გრ. ხავთასი

გოეთე და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია



სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1959

შესავალი

გოეთეს დამოკიდებულება რევოლუციისადმი, კერძოდ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისადმი, წარმოადგენს გოეთელოგიის ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, რომლის გამორკვევა შუქს მოჰფენს ამ მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების საკვანძო საკითხებს. ეს იმიტომ, რომ რევოლუციის შესახებ მწერლის მიერ გამოთქმული შეხედულებები ორგანულად უკავშირდება მთელს მის შემოქმედებას, როგორც მხატვრულს, ისე თეორიულ-კრიტიკულს. ბუნებრივია, ამიტომ, რომ რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების შესწავლა ამ მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ძირითადი საკითხების გარკვევას უნდა დაუკავშირდეს.

როცა რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ, თავისთავად ცხადია, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ კონკრეტული ისტორიული მოვლენა, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, მაგრამ არ შეიძლება დავიწყებულ იქნეს ისიც, რომ საფრანგეთის რევოლუციაზე დაკვირვების შედეგად მიღებულ თავის დასკვნებს გოეთე არაიშვიათად აძლევს განზოგადებულ ხასიათს, ლაპარაკობს რევოლუციების შესახებ საერთოდ. მწერალი მოგვითხრობს ფეოდალური საზოგადოების რევოლუციური ნგრევისა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარების შესახებ, გამოთქვამს ამ დიდი ისტორიული მოვლენისადმი თავის სიმპათიაანტიპათიებს, მაგრამ ამ საკითხის გარკვევისას იგი არ იფარგლება ბურჟუაზიული რევოლუციის შეფასებით, არამედ აყენებს თავის სოციალურ პროგრამასაც.

ეპოქა, რომელშიაც წარმოებს გოეთეს ჩამოყალიბება დიდ მწერლად და მოაზროვნედ, ერთობ რთული და მრავალფეროვანია, მდიდარია ისტორიული ამბებით. ესაა ეპოქა ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ დაწყებული მძლავრი ბრძოლისა, ამ წყობილების საფუძვლის რღვევისა და ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისა.

ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ განსაკუთრებით მძლავრი შეტევა მიაქვთ ამ დროის რუსეთსა და საფრანგეთში, მაგრამ ამ საერთო აღმავლობიდან აბსოლუტურად არც გერმანიაა გამოთიშული. გოეთეს დროის გერმანია დაქუცმაცებულია მრავალ, წვრილ ფეოდალურ სამთავროდ. ფეოდალური დეცენტრალიზაციის პირობებში ერთობ დაბრკოლებულია ქვეყნის ეკონომიური განვითარება, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება. გერმანელი ხალხის სანუკვარი ოცნება — ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება არ არის განხორციელებული, რადგან ის კლასი, რომელსაც ამ საქმის ინიციატივა უნდა აეღო, სუსტი, კლასობრივად ჩლუნგი და ფეოდალებისადმი კომპრომისულადაა განწყობილი. ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში, გლეხთა დიდი სოციალური მოძრაობის დროს, გამოამეღავნა გერმანიის ბურჟუაზიამ ეს მისთვის დამახასიათებელი კონსერვატიზმი, არა თუ ხელიდან გაუშვა ქვეყნის სახელმწიფოებრივი გაერთიანების შესაძლებლობა, არამედ ზურგში მახვილი ჩასცა ამ გაერთიანების საქმეს. გერმანიის ბიურგერებმა, აღნიშნავს ენგელსი, ფეოდალებს მიყიდეს „არა მარტო ხალხური, არამედ ბურჟუაზიული მოძრაობა“ [1].

ის გარემოება, რომ საუკუნეთა მანძილზე გერმანიაში არ განხორციელებულა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის ერაში გერმანია შეევიდა როგორც ფეოდალურად დაქუცმაცებული ქვეყანა, არ ნიშნავს, რომ იქ ადგილი არ ჰქონია საერთოდ არავითარ პოლიტიკურ გაერთიანებას. გერმანიის ცალკე ნაწილების პოლიტიკურ გაერთიანებას, როგორც ცნობილია, ადგილი ჰქონდა გერმანიის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, მაგრამ ამ გაერთიანებას არ გააჩნდა სათანადო მყარი საფუძველი. XVIII საუკუნეში გერმანიის სახელმწიფოებრივი გაერთიანების პრეტენზიით გამოდის ბრანდენბურგ-პრუსიის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, მაგრამ ამ საქმის ინიციატორად გვევლინება არა მოწინავე სოციალური ძალები, არამედ ფეოდალურ-რეაქციული კლასი, რომლის მიზანსაც შეადგენდა წარმოების

---

[1] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბილისი, 1952 წ., გვ. 59.

ძველი წესის შენარჩუნება, წარმოების ახალი წესის უარყოფა. ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების ის გზები, რომლებსაც მიმართავდა ამ სამხედრო-ბიუროკრატიული სახელმწიფოს მმართველი კლასი, დაპყრობები, სხვა ხალხთა მიწების მიტაცება, შეუძლებელია გამხდარიყო პოპულარული გერმანელ ხალხში, გამხდარიყო მათი მისწრაფების გამომხატველი.

როგორც აღინიშნა, გოეთე იმ დროს გამოდის სამწერლო სარბიელზე, როცა ევროპის რიგ ქვეყანაში იწყება ფეოდალური წყობილების საფუძვლების რღვევა და ახალი ურთიერთობის განვითარება. ცნობილია, რომ ამ დიდი სოციალური გარდაქმნის განხორციელებაში ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იდეოლოგიამ. ფრანგმა განმანათლებლებმა დიდი ხნით ადრე, ვიდრე რევოლუციური კლასები ფეოდალური ბასტილიის შტურმს მოახდენდნენ, გააჩაღეს ძლავრი კრიტიკა ფეოდალური საზოგადოებისა და მისი დამცველი იდეოლოგიის წინააღმდეგ, უჩვენეს, რომ ფეოდალური წყობილება ხელს უშლის საზოგადოებრივი პროგრესის განხორციელებას.

იმის გამო, რომ გერმანიის საზოგადოებრივი განვითარება სპეციფიკურ ხასიათს ატარებდა, რომ აქ არ არსებობდა ისეთი აქტიური რევოლუციური ძალა, როგორიც საფრანგეთში იყო, რომ გერმანიაში ადგილი ჰქონდა ბურჟუაზიის მხრივ ფეოდალურ-იუნკერული კლასის არა გამორიყვას, არამედ მასთან შეგუებას, თავისებურ ბეჭედს ასვამდა გერმანულ განმანათლებლობას, ამ პერიოდის მთელს გერმანულ ლიტერატურას.

თითქოს სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ ქვეყნის ეკონომიური დაქვეითებისა და პოლიტიკური დაბეჩავების ფონზე გერმანული იდეოლოგიის, ლიტერატურის განვითარების მრუდე დაბლა დაშვებულიყო. მაგრამ, სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ იდეოლოგიის, ლიტერატურის განვითარება მიდის აღმავალი გზით. ფრ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ეს ეპოქა ამავე დროს იყო გერმანული ლიტერატურის გაფურჩქვნის ეპოქაო. ამ ეპოქაში იშვენ ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსები, მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები; ამ პერიოდში დააღწია თავი გერმანულმა ლიტერატურამ უცხოური ლიტერატურისაგან დამოკიდებულ მდგომარეობას, გამოვიდა მსოფლიო ლიტერატურის ფართო გზაზე.

ამდროინდელი გერმანული იდეოლოგიის მძლავრ აღმავლობაზე მიუთითებენ კ. მ ა რ ქ ს ი და ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, აღნიშნავენ ამ აღმავლობის მკვეთრად გამოხატულ ნიშანს გერმანულ ფილო-

სოფიასა და ლიტერატურაში. მხატვრულ ლიტერატურაში ამ მძლავრი აღმავლობის დასაწყისს კ. მარქსი ხედავს ლესინგთან, მიიჩნევს რა მას ისეთ მწერლად, რომელიც იდეურად დაკავშირებულია ხალხთან, არღვევს ხალხისაგან ლიტერატურის ამქრული განკერძოების იმ ტენდენციას, რომელიც გოტშედის მსგავს „კომპეტენტურ“ მწერლებს ახასიათებდათ. ამ პერიოდის გერმანული ლიტერატურის მძლავრი აღმავლობის საილუსტრაციოდ ფრ. ენგელსს მოჰყავს გოეთეს დრამა „გოეც ფონ ბერლიხინგენი“ და შილერის „ყაჩაღები“, რომელშიაც ავტორი „აშკარა ბრძოლას უცხადებს მთელს საზოგადოებას“ [1]. შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრები XVIII საუკუნის გერმანულ იდეოლოგიაში დადებითი მომენტების გასწვრივ ხედავენ უარყოფითსაც, აღნიშნავენ ამ იდეოლოგიის აბსტრაქტულ ხასიათს, ცხოვრების მიერ დასმული პრაქტიკული საკითხისაგან განდგომას, მისტიკურ-მეტაფიზიკურ ძიებებს; მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი უარყოფენ თვით ფაქტს გერმანული იდეოლოგიის, ლიტერატურის აღმავლობისა.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის გერმანული ლიტერატურა რომ ადგია აღმავლობის გზას, წარმოადგენს ფაქტს, რომლის უარყოფა შეუძლებელია, რომელსაც მხოლოდ ახსნა ესაჭიროება. ამ ლიტერატურის მაღალი განვითარების მაჩვენებელია ის ხვედრითი წონა, რომელიც უკავია მას ამ პერიოდში გერმანელი ხალხის ცხოვრებაში, ის დიდი რეზონანსი, რომელიც აქვს მას მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში. მხედველობიდან არ შეიძლება გავუშვათ ის გარემოება, რომ გერმანული ლიტერატურა სწორედ ამ პერიოდში აღწევს თავს იმ დაქვემდებარებულ მდგომარეობას, რომელიც საფუძველს აძლევდა ლესინგს ეთქვა მის შესახებ, რომ იგი ბავშვურად გამოიყურებაო. ასევე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სწორედ ამ პერიოდში გამოდიან სამოღვაწეო ასპარეზზე გერმანული ლიტერატურის კორიფეები, რომ მსოფლიო რეზონანსის მქონე მხატვრული ტილოების შექმნის გასწვრივ ამ დროის გერმანია მძლავრ ნაბიჯს დგამს წინ ხელოვნების თეორიის, ლიტერატურის საკვანძო საკითხების მეცნიერული დამუშავების საქმეში.

რით უნდა ავხსნათ გერმანული იდეოლოგიის, ლიტერატურის ეს მძლავრი აღმავლობა საზოგადოებრივი ცხოვრების სიდუხჭირის პირობებში, ისეთ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, როცა

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. V, 1929, зд. 7.

საზოგადოების მოწინავე ადამიანებიც კი, როგორც ფრ. ენგელსი აღნიშნავდა, სასოწარკვეთას მოეცვა? ერთი შეხედვით აქ საქმე გვაქვს თითქოს სრულიად აუხსნელ ვითარებასთან, მაგრამ თუ საკითხის სიღრმეში ჩავიხედავთ, დავრწმუნდებით, რომ აუხსნელი აქ არაფერია. გერმანული ლიტერატურის მძლავრი აღმავლობა გოეთეს ეპოქაში ისევე საზოგადოებრივი მიზეზებითაა გაპირობებული, როგორც მისი დაცემა გლეხთა რევოლუციის მომდევნო ეპოქაში.

საკითხის დედაარსი იმაშია, თუ როგორ იქნება გაგებული XVIII საუკუნის გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენა, უბადრუკობა. ენგელსი აღნიშნავს, რომ პრაქტიკული სინამდვილე, რომელშიაც უხდებოდათ ცხოვრება ამ პერიოდის გერმანელ მწერლებს, იყო უბადრუკი[1], მაგრამ ექვი არ არის, რომ ენგელსს მხედველობაში აქვს გერმანიის არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი ჩამორჩენა, ქვეყნის ჩამორჩენა ბურჟუაზიული რევოლუციის პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით; მხედველობაში აქვს გერმანიის ბიურგერების უუნარობა და სურვილის უქონლობა დარაზმონ მასები ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. მოწინავე პოლიტიკური იდეების განხორციელება XVIII საუკუნის გერმანიაში აწყდება ფეოდალურ-რეაქციული კლასების მძლავრ წინააღმდეგობას, აგრეთვე, გულგრილობასა და წინააღმდეგობას გერმანიის ბურჟუაზიისა, რომელსაც არ გააჩნდა საერთო ეროვნული ინტერესები. გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების ამ თავისებურების მიზეზი იმ გარემოებაში უნდა ვეძიოთ, რომ ამ ქვეყნის განვითარებამ რეფორმაციის შემდეგ მიიღო წვრილბურჟუაზიული ხასიათი.

XVIII საუკუნის გერმანიის საზოგადოებრივი მდგომარეობის განხილვისას ფრ. ენგელსი გამოდის იმ წანამძღვრიდან, რომ მაშინდელ გერმანიაში არ იყო შექმნილი პირობები „აქტიური რევოლუციური კლასის წარმოშობისათვის". ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ამ დროს გერმანიაში არ იყო სოციალური წინააღმდეგობანი, არ მწიფდებოდა მძლავრი პროტესტი ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ. თუ გერმანიის ბურჟუაზია რეაქციულ კლასისადმი სერვილისტურად იყო განწყობილი, თუ იგი რევოლუციისაგან შეშფოთებით იხევდა უკან, ეს როდი ნიშნავს, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია გერმანიისათვის დღის წესრიგიდან მოხსნილი იყო, რომ იქ ფეოდალური რეჟიმის სტაბილიზაცია ხდებოდა.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. V, 1929, გვ. 142.

წარმოების ფეოდალური წესის, ფეოდალური პარტიკულარიზმის შენარჩუნების მიუხედავად, გერმანიაში, მართალია, სუსტად, მაგრამ მაინც გზას იკაფავდა ბურჟუაზიული წარმოება, ვითარდებოდა მოპოვებითი და გადამუშავებითი მრეწველობა, ინერგებოდა გაუმჯობესებული ტექნიკა. ფეოდალურ ურთიერთობას ამ ქვეყანაში, მართალია, არ უგემნია მძლავრი რევოლუციური დარტყმა, მაგრამ ეს არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ეს ურთიერთობა გერმანიაშიც ისევე დრომოჭმული იყო, როგორც საფრანგეთში. „ყველაფერი დამპალიყო, ირყეოდა, მზად იყო დასანგრევად", წერდა ამ პერიოდის გერმანიის შესახებ ენგელსი[1].

გერმანიის საზოგადოებრივი განვითარების სპეციფიკურობა მდგომარეობს არა იმაში, რომ აქ თითქოს არ იყო ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ რევოლუციური გამოსვლის ობიექტური მიზეზები, არამედ იმაში, რომ არ იყო რევოლუციური ძალა, რომელსაც „შეეძლებოდა დრომოჭმულ დაწესებულებათა გახრწნილი გვამების გადარეცხვა"[2].

გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენა პირველ რიგში მდგომარეობდა ბურჟუაზიული რევოლუციის პრაქტიკულად განხორციელების უარყოფაში, მაგრამ ობიექტურად კი ამგვარი რევოლუციისათვის გერმანიაში პირობები მზად იყო.

XVIII საუკუნის გერმანული კულტურის, ლიტერატურის აღმავლობის, მისი ჯანსაღი განვითარების ნამდვილი მიზეზი და საფუძველი უნდა ვეძიოთ გერმანელ ხალხში. ეს ხალხი იყო, რომელმაც გამოატარა გერმანული კულტურა საუკუნეების მანძილზე ბნელსა და ვიწრო ლაბირინტებში, მრავალ განსაცდელში, რომელიც იმთავითვე აძლევდა მძლავრ სტიმულს ლიტერატურის ჯანსაღ განვითარებას. ამდროინდელი გერმანული ლიტერატურა აღწევს განვითარების მაღალ საფეხურს სწორედ იმიტომ, რომ მასში სულ უფრო ძლიერდება ხალხური საწყისები, რომ მისი გამოჩენილი წარმომადგენლები თავს აღწევენ ლიტერატურის ხალხისაგან გათიშვის არისტოკრატიულ-ამქრულ ტენდენციას. ამიტომ იყო, რომ კ. მარქსი მკვეთრად გამოყოფდა ხოლმე ერთმანეთისაგან გერმანულ ლიტერატურას ლესინგამდე და ლესინგის შემდეგ, მიიჩნევდა, რომ მანამდელი ლიტერატურისაგან განსხვავებით, ლესინგის შემოქმედება და მომდევნო პერიოდის გერმანული ლიტერატურა არ ეთიშებოდა ხალხს, არამედ ორგანულად უკავშირდე-

---

[1] Ф. Энгельс. Положение Германии. Соч. К. Маркса и Ф. Энгельса, т. V, 1929, გვ. 6.

[2] იქვე.

ბოდა მას. კ. მარქსი დიდი მნიშვნელობის მოვლენად თვლის XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანელი მწერლების გამოსვლას ძველი არისტოკრატიული მიმართულების, ე. წ. „კომპეტენტური მწერლების“ წინააღმდეგ, რომლებიც ჩამდგარიყვნენ „ხალხსა და მის სულს შორის..., ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, თავისუფლებასა და ადამიანს შორის“ [1]. ამგვარი ხალხური განწყობილებების შემცველად კ. მარქსი თვლის არა მხოლოდ დიდი გერმანელი განმანათლებლის, ლესინგის შემოქმედებას, არამედ მთელს ახალ გერმანულ ლიტერატურას, რომელსაც ლესინგის სახელთან აკავშირებს.

კ. მარქსის ამ მოსაზრებას, გამოთქმულს გოტშედის მსგავსი ე. წ. კომპეტენტური მწერლების შესახებ, ენიჭება ფუნდამენტური მნიშვნელობა ამ პერიოდის გერმანული ლიტერატურის ბუნების გარკვევისათვის. ცხადი ხდება, რომ ახალი გერმანული ლიტერატურის ნიშანდობლივ მხარედ მიჩნეული უნდა იქნეს მასში ხალხური საწყისის განმტკიცება და არისტოკრატიულ-რეაქციული ნაკადის გამორიყვა. ამ ასპექტში ესახება მარქსს ლესინგისა და სხვა „არაკომპეტენტური მწერლების“ ბრძოლა გოტშედის სკოლის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიაც როგორც ლესინგამდელი ლიტერატურის, ისე ლესინგის შემოქმედების შეფასებისას მარქსამდელი ლიტერატურის მეცნიერებაში საკითხის ბრწყინვალე მეცნიერული განხილვა მოგვცეს დიდმა რუსმა რევოლუციურმა დემოკრატებმა, კერძოდ ჩერნიშევსკიმ *.

---

[1] К. Маркс. Дебаты о свободе печати. Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса. т. I, 1929, Москва—Ленинград, гз. 184.

* ამ მწერლის შემოქმედებას ჩერნიშევსკიმ უძღვნა ფუნდამენტური შრომა— „Лессинг, его время, его жизнь и деятельность“ (Чернышевский, Сочинения, т. IV, Москва, 1948.), აგრეთვე გამოთქვა მწერლის შესახებ საყურადღებო აზრები სხვა თავის შრომებშიაც. დასახელებულ შრომას ენიჭება ფრიად მნიშვნელოვანი როლი არა მხოლოდ ლესინგის შესასწავლად, არამედ მთელი იმ ეპოქის შესასწავლად, რომელშიაც მოღვაწეობდა ეს მწერალი. მას ასევე ფრიად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დიდი გერმანელი მწერლის—გოეთეს შესასწავლად, მისი შემოქმედების სათავეების გასათვალისწინებლად.

შრომას მთავარ ხოლად მიჰყვება შეგნება იმ დიდი როლისა, რომელიც შეასრულა ლესინგმა გერმანული ნაციონალური კულტურის განვითარებაში, შეგნება იმისა, რომ ლესინგი დიდია არა მხოლოდ როგორც მხატვარ-კრიტიკოსი, არამედ როგორც ადამიანი, პრინციპებისათვის მებრძოლი, ადამიანი მაღალი მორალური თვისებებით. ლესინგის შეფასებისას დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატი არა მხოლოდ იმ დებულებიდან გამოდის, რომ ლესინგი უფროსებელია ძველი გერმანული ლიტერატურის, არამედ იმ დებულებიდანაც, რომ იგი ახალი პერიოდის დამწყებია გერმანული ეროვნების ისტორიაში.

თავისთავად ცხადია, XVIII საუკუნის გერმანული ლიტერატურის აღმავლობის საკითხის განხილვა უნდა დაუკავშირდეს იმ საზოგადოებრივ-კულტურულ ვითარებას, რომელსაც ადგილი აქვს საკუთრივ გერმანიაში. მაგრამ სწორი არ იქნება, თუ ლიტერა-

---

კიდევ მეტი: ლესინგი, ჩერნიშევსკის აზრით, არა მხოლოდ ახალი ეპოქის დამწყებია გერმანული კულტურის ისტორიაში, არამედ იმის მაჩვენებელიცაა, თუ ოოგორ იზრდება გერმანული ლიტერატურის საერთაშორისო მნიშვნელობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ჩერნიშევსკის შეხედულებანი ლესინგზე წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან მასალას არა მხოლოდ დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატიის მოწინავე სოციალურ-პოლიტიკური, ფილოსოფიური და მხატვრული შეხედულებების შესასწავლად, არამედ იმ ეპოქის შესასწავლად, რომელშიაც ფესვებს უშვებს გოეთეს შემოქმედება. მთავარი, რაც თვალში გვეცემა ჩერნიშევსკის მიერ ლესინგის შეფასებისას, ესაა გზნასაზილველი საკითხის არა იზოლირებული, არამედ ყოველმხრივი განხილვა, მისი დაკავშირება მთელს იმდროინდელ იდეოლოგიასთან, გერმანელი ხალხის ისტორიასთან. ლესინგის შემოქმედების განხილვას ჩერნიშევსკის შოობაში წინ უძღვის XVIII საუკუნის გერმანიის ისტორიის ღრმა ანალიზი, კვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის მართალი სურათის დადგენა. ამ საფუძველზე აგებს იგი თავის დასკვნებს იმდროინდელი გერმანული კულტურის ჩამორჩენის შესახებ.

არც ერთ შრომაში მარქსამდელი ისტორიოგრაფიისა, აგრეთვე ლიტერატურის მეცნიერებისა, არ არის მოცემული ასეთი მართალი სურათი იმდროინდელი გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების, გერმანული კულტურის ჩამორჩენილობისა. არავის მანამ ასე რელიეფურად არ უჩვენებია ის ისტორიული აუცილებლობა, ოომელიც ამზადებდა გერმანული ლიტერატურის აღორძინების ნიადაგს, ლესინგის სახელთან რომ არის დაკავშირებული. ჩერნიშევსკი აღწევს ამ მხრივაც იმ სიმაღლეს, რომელიც მიუღწეველი დარჩა მარქსამდელი ლიტერატურის მეცნიერებაში. უამრავი ფაქტობრივი მასალის ღრმა ანალიზით მიჰყავს რა მკითხველი ლესინგის ისტორიული როლის გაგებამდე. ლესინგის ისტორიული როლის შეფასებაში ბოლოდ ჰაინე თუ შეედრება დიდ რუს რევოლუციურ დემოკრატს. მსგავსად ჩერნიშევსკისა, მასაც ლესინგი მიაჩნია ახალი გერმანული ლიტერატურის ფუძემდებლად, ტრადიციის, ფორმალისტურ-დოგმატიკური აზროვნების უღლისაგან ადამიანთა განმათავისუფლებლად (H. Heine. Zur Geschichte der Religion und Philosophie in Deutschland, Bd. IV, Elster, Leipz. u. Wien, S. S. 244—245.). მაგრამ ჰაინეს მიერ მოცემული ანალიზი ლესინგის შემოქმედებისა ჩაძოუვარდება ჩერნიშევსკის ანალიზს იმ მხრივ, რომ იგი საკითხს ვიწროდ იხილავს, თანაც ლესინგის შესახებ მსჯელობს გაკვრით მაშინ, როდესაც ჩერნიშევსკი დაწვრილებით იხილავს დიდი გერმანელი განმანათლებლის შემოქმედებას.

ლესინგამდელი გერმანული კულტურის განხილვისას ჩერნიშევსკი გამოდის იმ დებულებიდან, რომ იმდროინდელი გერმანია არ წარმოადგენდა ეროვნულ სახელმწიფოს, გერმანელები არ წარმოადგენდნენ ერს, რადგან კუთხური პარტიკულარიზმი მაღლა იყო დაყენებული საერთო ეროვნულ ინტერესებზე. ამგვარ მსჯელობაში თავს იჩენს ნაკლოვანი მხარე ჩერნიშევსკის ისტორიული კონცეფციისა, იმის გაუთვალისწინებლობა, რომ იმდროინდელი გერმანიის ჩამორჩენილობის მთავარ მიზეზს საბოლოო ჯამში წარმოადგენდა საზოგადოებრივი ცხოვ—

ტურის ამ აღმავლობის განხილვისას მხოლოდ იმ მოვლენებით შემოვიფარგლებით, რომელთაც ადგილი აქვს საკუთრივ გერმანიაში და მხედველობაში არ მივიღებთ მნიშვნელობას იმ მოვლენებისა, რომელთაც ადგილი აქვს სხვა ქვეყნებში. ცნობილია, რომ

რების მატერიალური პირობები, საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონე, აგრეთვე სპეციფიური მდგომარეობა გერმანიის ბურჟუაზიისა, რომელსაც არ სურდა ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ გაბედული ბრძოლა. მარქსიზმის კლასიკოსები მიგვითითებენ იმდროინდელი გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენის მთავარ მიზეზზე, ცხადყოფენ, რომ ასეთს წარმოადგენდა საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონე, ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობის შედარებით სუსტი განვითარება გერმანიაში.

მარქსიზმის კლასიკოსების მიერ მოცემული ეს დახასიათება ეხება არა მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის, არამედ აგრეთვე პირველი ნახევრის გერმანიის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, ე. ი. იმ პერიოდს, როცა უხდება სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლა ლესინგს. ბურჟუაზიული რევოლუციის კლასიკური ქვეყნის — საფრანგეთისთვის ეს ეპოქა წარმოადგენს რევოლუციის მოსამზადებელ საფეხურს. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის გერმანიის შესახებ კი ამის თქმა შეუძლებელია, რადგან აქ კაპიტალისტური საწარმოო ძალები აღნიშნულ პერიოდში სუსტადაა განვითარებული და არცაა საზოგადოებრივი კლასი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ბურჟუაზიული რევოლუციისათვის მზადებას.

იხილავს რა ლესინგის დროის გერმანიის საზოგადოებრივ-კულტურულ მდგომარეობას, ჩერნიშევსკი, მართალია, არ გვირკვევს ამის მსაზღვრელ მატერიალურ პირობებს. მაგრამ სწორად მიუთითებს მის უშუალო მიზეზებზე, ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე. პოლიტიკურად დაქუცმაცებული გერმანია — აი, ჩერნიშევსკის აზრით, მთავარი მიზეზი ლესინგამდელი გერმანიის საერთო ჩამორჩენილობის, კერძოდ, ლიტერატურის ჩამორჩენილობისა. ქვეყნის ეს პოლიტიკური დაქუცმაცება მიაჩნია ჩერნიშევსკის იმის მთავარ მიზეზად, რომ გერმანელებს ამ ხანაში არ მიეღწიათ ეროვნული მთლიანობისათვის, რომ გერმანიაში არ არსებობდა საერთო-სახალხო ინტერესები.

ლესინგამდელი პერიოდის გერმანული ლიტერატურა, ჩერნიშევსკის აზრით, ჩამორჩენილია, იგი არ არის ეროვნული, ამასთანავე, ხალხური ხასიათის მატარებელი. რომელიმე გოტშედი, ბოდმერი, ჰალერი და სხვა, მისი აზრით, არ წარმოადგენენ ჭეშმარიტ მხატვრებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ გააჩნიათ საჭირო მხატვრული მონაცემები, არამედ იმიტომაც, რომ არ გააჩნიათ ეროვნული შეგნება, რომ ისინი კურსს იღებენ არა გერმანელ ხალხზე, არამედ ფეოდალურ სასახლეებზე. უცხოურ კულტურაზე. ცხადი ხდება, რომ მთავარი კრიტერიუმი, რომელსაც უყენებს ჩერნიშევსკი ყველა დროის ხელოვნებას, მდგომარეობს იმის გამორკვევაში, თუ რამდენად უპასუხებს ეს ხელოვნება საერთო-სახალხო, ეროვნულ ინტერესებს, რამდენად ასახავს იგი ხალხის ფიქრებსა და განწყობილებებს. ცხადი ხდება, რომ ჩერნიშევსკისათვის არ არსებობს წინააღმდეგობა სწორად გაგებულ ეროვნულისა და ხალხურის ცნებებს შორის, რომ ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების მოთავედ მას მიაჩნია ხალხი და არა ამ უკანასკნელის მჩაგვრელები.

XVIII საუკუნის გერმანული მოწინავე ლიტერატურის განვითარებაში გარკვეული როლი შეასრულა ფრანგულმა განმანათლებლობამ, რაც არ ართმევს გერმანულ განმანათლებლობას თავის ეროვნულ ხასიათს. XVIII საუკუნის გერმანიის მოწინავე იდეო-

---

ჩერნიშევსკის შრომის მთავარ ღირსებად უნდა ჩაითვალოს სწორედ ამგვარი კრიტერიუმის მომარჯვება, ლიტერატურული მოვლენის შეფასება იმის მიხედვით, თუ რამდენად ასახავს იგი ხალხის მისწრაფებებს, რამდენად ხელს უწყობს იგი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეროვნული შეგნების გაღვიძებას. ლესინგამდელი გერმანული ლიტერატურა, ფიქრობს ჩერნიშევსკი, არაა ამგვარი ნიშნის მატარებელი, მის მთავარ წარმომადგენლებთან წინაა წამოწეული არა ეს საერთო ინტერესები, არამედ პირადი, პატივმოყვარული, ვიწროამქრული ინტერესები. „ეს ლიტერატურა, წერს ჩერნიშევსკი, კვლავ რჩებოდა მონური მიბაძვა იმისადმი, რაც იყო მკვდარი და ცარიელი ფრანგულსა და ინგლისურ ლიტერატურაში. მისთვის სრულიად უცხო იყო ხალხის ცხოვრება" (Чернышевский, 56).

ლესინგამდელი გერმანული ლიტერატურის „დიქტატორი" გოტშტედი იმით იმსახურებს მკვეთრ კრიტიკას ჩერნიშევსკის მხრივ, რომ მისი მოღვაწეობის „ერთადერთ მიზანს შეადგენდა პირადი ინტერესი" (იგივე, 53.).

ჩერნიშევსკი არაა განწყობილი ჯვარი დაუსვას ლესინგამდელი გერმანული ლიტერატურის მნიშვნელობას, არ დაინახოს მასში რაიმე სასარგებლო. მართალია, იგი ერთგვარი ირონიით ლაპარაკობს ხოლმე იმ ოპტიმისტზე, რომელიც შეეცდება ეს ლიტერატურა მიიჩნიოს პროგრესად XVII საუკუნის გერმანულ ლიტერატურასთან შედარებით, მაგრამ ეჭვი არ რჩება, რომ თვით ისიც არ უარყოფს ამ პროგრესის ფაქტს, მისთვისაც მისაღებია დებულება, რომ გოტშედი მაინც სჯობს რომელიმე ფარდოვან ლოენშტაინსა და გიუნთერს, რადგან წერს მაინც გასაგები ენით (იგივე, 49.). მართალია, პროგრესის ცნების გაგებას ოპტიმისტის მიერ ჩერნიშევსკი ირონიის საგნად იხდის, აღნიშნავს რა, რომ ამ პროგრესის განხორციელება ხდებოდა ოქტავიანეს პრინციპის მიხედვით—„Спеши медленно!", მაგრამ ძნელი არაა შევნიშნოთ, რომ ეს პროცესი ისტორიულ პერსპექტივაში ჩერნიშევსკის მაინც პროგრესად მიაჩნია.

ფაქტია, რომ ჩერნიშევსკი არ თვლის ლესინგამდელ გერმანულ ლიტერატურას მნიშვნელობას მოკლებულად, მაგრამ ეს სრულიადაც არ ცვლის იმ გარემოებას, რომ მისი დამოკიდებულება აღნიშნული ლიტერატურისადმი მკვეთრად კრიტიკულია. როგორც აღინიშნა, ამგვარი დამოკიდებულების მთავარ საფუძველს ჩერნიშევსკისთან იმის შეგნება წარმოადგენს, რომ ლესინგამდელი გერმანული ლიტერატურა დაშორებულია ხალხური საწყისისაგან.

ლესინგამდელი გერმანული ლიტერატურის შეკუმშული, არსებითად კი სწორი დახასიათებიდან ჩერნიშევსკის წიგნაში ისმება საკითხი იმის შეფასებისა, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ლესინგის სახელთან, ამ მწერლის ადგილის გარკვევისა გერმანული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში. ჩერნიშევსკი მიზნად ისახავს არა მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნას, რომ გერმანულმა ლიტერატურამ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში წინ გადადგა მძლავრი ნაბიჯი, არამედ, მის ახსნასაც. იგი კარგად ამჩნევს იმ მნიშვნელოვან როლს, რომლის შესრულება მოუხდა გერმანიის ისტორიაში ლიტერატურას.

ლოგია, ლიტერატურა ვერ დადგებოდა არსებული სოციალური ყოფის მიღების, მისი აპოლოგიის ნიადაგზე, მასშიაც უნდა ასახულიყო არსებულის წინააღმდეგ ბრძოლის, თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეალები.

აღმავლობის გზაზე დამდგარს ამ პერიოდის გერმანულ იდეოლოგიას, ლიტერატურას არ ახასიათებდა მხოლოდ მებრძოლ-დემოკრატიული მხარე. დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს,

---

ჩერნიშევსკი აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანული ლიტერატურა „წარმოადგენდა ნამდვილად მთავარ მამოძრავებელს ისტორიული განვითარებისა". ამ პერიოდის გერმანულმა ლიტერატურამ, ფიქრობს იგი, გერმანელ ხალხს მისცა „ნაციონალური ერთიანობის შეგნება, გააღვიძა მასში კანონიერებისა და პატიოსნების გრძნობა". დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატი შორდება ჭეშმარიტებას, როცა ლიტერატურას მიიჩნევს გერმანიის ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად, მაგრამ საფუძველში კი ლიტერატურისათვის აქტიური როლის მიწერისას იგი საერთოდ არ შორდება ჭეშმარიტებას. ჯერ ერთი, ჩერნიშევსკი თავის დაკვირვებას XVIII საუკუნის გერმანულ ლიტერატურაზე არ ანზოგადოებს, არ მიდის იმ დასკვნამდე, რომ ლიტერატურა საერთოდ ყველგან და ყოველთვის ასეთ დიდ როლს ასრულებდა. იგი თვლის, რომ კაცობრიობის ისტორიაში იშვიათია, გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა ლიტერატურა ასეთ პირველხარისხოვან როლს ასრულებდა ქვეყნის განვითარებაში. XVIII საუკუნის გერმანული ლიტერატურა, ჩერნიშევსკის აზრით, ასეთ გამონაკლისს წარმოადგენს. ამ ლიტერატურის შესწავლა მას არ აძლევს საფუძველს ყველა ხალხის ცხოვრებაში ისეთივე მიმართება დაინახოს ხალხის ბედსა და ლიტერატურას შორის, როგორც დაინახა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანიაში, განავითაროს დებულება, რომ ერის ბედი საერთოდ ლიტერატურისგანაა დამოკიდებული.

გერმანელი ლიტერატურის ეგზომ აქტიური როლის ხაზგასმისას ჩერნიშევსკის მხედველობაში აქვს ის სპეციფიკური ვითარება, რომელიც შეიქმნა XVIII საუკუნის გერმანიაში, ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც ნამდვილად შეასრულა გერმანულმა ლიტერატურამ გერმანელი ხალხის ცხოვრებაში. ჩერნიშევსკიმ სწორად შენიშნა ის, რაც შეადგენდა იმედს ამდროინდელი გერმანელი ხალხისა, მნიშვნელობა ლიტერატურისა, რომელშიაც ისახებოდა ნაციონალური აღორძინების პერსპექტივა. ცნობილია, რომ ფრ. ენგელსიც ასევე დიდი მნიშვნელობის მოვლენას ხედავდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანულ ლიტერატურაში, აღნიშნავდა, რომ ერთადერთ იმედს ამ დროს ლიტერატურაზე ამყარებდნენ (К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. V, გვ. 7).

გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში მხატვრულ ლიტერატურას ერის ცხოვრებაში უხდება პირველხარისხოვანი როლის შესრულება, ადამიანთა ისტორიის განვითარების მთავარ ფაქტორად გახდომა — ასე ფიქრობს ჩერნიშევსკი; ასეთი შემთხვევა კაცობრიობის ისტორიაში ერთობ მცირეა, მაგრამ იგი მაინც არსებობს, რის ილუსტრაციასაც წარმოადგენს XVIII საუკუნის გერმანული ლიტერატურა. განსახილველი საკითხისადმი ამგვარი მიდგომის გამო თავისთავად ცხადი ხდება, თუ რა ასპექტში აქვს გააზრებული ჩერნიშევსკის ლესინგისა და

რომ მასში მთელი სიცხადით ისახებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობა, ბიურგერულ-შემარიგებლური განწყობილებები. ცხადი ხდება, რომ ამ დროის გერმანული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები ვერ თავისუფლდებიან ბიურგერული შეზღუდულობისაგან, წინააღმდეგობისაგან. ისიც აღსანიშნავია, რომ მათი ეს წი-

---

სხვა გამოჩენილი გერმანელი მწერლების ადგილის გარკვევა გერმანელი ხალხის ისტორიაში. ლესინგი და მისი ხაზის გამგრძელებლები, გოეთე და შილერი არიან შემქმნელები ახალი გერმანული ლიტერატურისა. ასეთია ჩერნიშევსკის დასკვნა. დანტე და მილტონი, აღნიშნავს ჩერნიშევსკი, შესაძლოა იყვნენ უფრო გენიალურნი, ვიდრე გოეთე და შილერი, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში ამათ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ, ვიდრე დანტესა და მილტონს (Чернышевский, 8).

ცხადი ხდება, რომ იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც მოიპოვა XVIII საუკუნის ლიტერატურის კორიფეებმა — ლესინგმა, გოეთემ და შილერმა, ჩერნიშევსკი არ ხსნის მხოლოდ ამ მწერალთა არაჩვეულებრივი თვისებებით, არამედ ხსნის იმდროინდელ გერმანიაში არსებული კონკრეტული ვითარებით, იმ ისტორიული მოთხოვნებით, რომლებსაც ეპოქა აყენებდა და რომლებსაც ამ მწერლებმა აღღო აუღეს.

ჩერნიშევსკი, როგორც აღინიშნა, ურიგდება იმ აზრს, რომ სხვადასხვა ხალხსა და ეპოქას წარმოუშვია ხოლმე ამ მწერლებზე უფრო გენიალური ადამიანები, მაგრამ მათ არ უთამაშნიათ ხალხის ისტორიაში ისეთი დიდი როლი, როგორიც ითამაშეს ლესინგმა, გოეთემ და შილერმა. ეს იმიტომ, გამოდის ჩერნიშევსკის აზრთა თანმიმდევრობიდან, რომ მათი ეპოქა არ აყენებდა ლიტერატურის წინაშე ისეთ კარდინალურ საკითხებს, როგორსაც აყენებდა ლესინგის დროის გერმანია. გამოდის, რომ XVIII საუკუნის გერმანული ლიტერატურის საკვანძო საკითხების, ლიტერატურისა და ხალხის ცხოვრების ურთიერთობის გარკვევისას ჩერნიშევსკი არამც და არამც არ უგულებელყოფს იდეოლოგიის, კერძოდ, ლიტერატურის განმსაზღვრელი საზოგადოებრივი ფაქტორების როლს.

დახატა რა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენის მართალი სურათი, ჩერნიშევსკის ბუნებრივად მივყავართ იმ აუცილებლობის შეგნებამდე, რომ საჭირო იყო ერის სასიცოცხლო ძალების გაღვიძება, ანტიხალხური ხასიათის მქონე ოფიციალური ლიტერატურის ამკრული ტრადიციების საბოლოოდ დაძლევა, ნაციონალური ხასიათის მქონე გერმანული ლიტერატურის შექმნა. ამ მოთხოვნას აყენებდა ისტორია, ერის სასიცოცხლო ინტერესები და მხოლოდ ის მწერალი გახდებოდა დიადი, ვინც სწორად გაიგებდა ხალხის ამ სასიცოცხლო ინტერესებს. ლესინგი იყო სწორედ ის მწერალი, რომელმაც შეიგნო თავისი ხალხის ეს სასიცოცხლო ინტერესები, გერმანული თვითმყოფი კულტურის შექმნის ისტორიული ამოცანა და პრაქტიკულად შეუდგა მის განხორციელებას მხატვრული შემოქმედებისა და ზელოვნების თეორიის სფეროში, — ასე ესახება საქმის ვითარება, ლესინგის ადგილი გერმანულ ლიტერატურაში ჩერნიშევსკის. მას მხოლოდ ფორმალურად არ აქვს აღნიშნული, რომ ლესინგის გამოსვლა ისტორიულად იყო შემზადებული, რომ მის მიერ დასმული გრანდიოზული ამოცანები სათავეს იღებდა თვით

ნააღმდეგობრიობა კიდევ უფრო ძლიერდება საფრანგეთის რევოლუციის დროს. ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ამ დროის გერმანიის არა მხოლოდ რიგით, არამედ დიდ, მსოფლიო რეზონანსის მქონე მწერლებთანაც. ამ წინააღმდეგობრიობას აპირობებს, ერთის მხრივ, ამ მწერალთა მსოფლმხედველობის ბურჟუაზიული შეზღუდულობა, მეორე მხრივ კი მათ მიერ ბურჟუაზიული რევოლუციის შეზღუ-

---

ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ ლესინგის შესახებ მისი მსჯელობიდან ამგვარი დასკვნა ბუნებრივად გამომდინარეობს.

როგორც ლესინგის შემოქმედების, ისე ლესინგამდელი გერმანული ლიტერატურის ანალიზისას ჩერნიშევსკი დგას მატერიალისტური ესთეტიკის ნიადაგზე, იცავს იმ დებულებას, რომ ლიტერატურა წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვას. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურა, ფიქრობს იგი, „სავსებით ამართლებდა ცნობილ აქსიომას, რომ ლიტერატურა არის საზოგადოებრივი ცხოვრების გამოხატულება (Чернышевский, 62—63), რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობას შეესაბამება ლიტერატურის ჩამორჩენილობა. ლიტერატურის საცოდავი მდგომარეობის მიზეზს, ჩერნიშევსკის აზრით, ყოველთვის წარმოადგენს საზოგადოება. თუ საზოგადოება მრავალრიცხოვანია და გამსჭვალულია ცხოველი მისწრაფებებით, ქვეყნად არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს ლიტერატურის განვითარების შეჩერება. გერმანიის საზოგადოების გონებრივი განვითარების ხარისხი სავსებით შეესაბამებოდა ლიტერატურის საერთო მდგომარეობას (იგივე, 63).

ჩერნიშევსკი არ აღნიშნავს თუ მოცემულ შემთხვევაში საზოგადოების რომელი ნაწილი აძლევს სტიმულს ლიტერატურული ცხოვრების ჩამორჩენას და რომელი ნაწილი — მის აღმავლობას, მაგრამ ეჭვი არ რჩება, რომ იგი არაა განწყობილი გადააბრალოს ლიტერატურის ჩამორჩენა ხალხს, საზოგადოების უდიდეს ნაწილს, დაინახოს ლიტერატურის აღმავლობისათვის მთავარი სტიმულის მიმცემი ეკსპლოატატორ კლასებში; გერმანული ლიტერატურის ჩამორჩენის საზოგადოებრივი მიზეზების აღნიშვნისას მას მხედველობაში აქვს სწორედ ექსპლოატატორი კლასები, რომლებიც ხურგს აკცევენ ნაციონალურ-თვითმყოფი ლიტერატურის შექმნის პროგრამას და უცხოური კულტურისადმი მონურ მიბაძვას იჩენენ.

XVII—XVIII საუკუნეების გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩერნიშევსკისეული დახასიათებიდან ნათლად ჩანს, რომ გერმანული ლიტერატურის ჩამორჩენის მთავარ მიზეზს დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატი ხედავს გერმანელ ფეოდალებში და არა საერთოდ გერმანელ ხალხში. ჩერნიშევსკი, მართალია, ლაპარაკობს ხალხის ჩამორჩენაზე, მაგრამ აქედან არამც და არამც არ გამომდინარეობს, რომ, მისი გაგებით, ხალხია მიზეზი გერმანული ლიტერატურის ჩამორჩენისა. ეს რომ ასე იყოს, რომ ლესინგამდელი გერმანული ლიტერატურის ჩამორჩენის მთავარ მიზეზად ჩერნიშევსკი გერმანელ ხალხს თვლიდეს, მაშინ როგორღა უნდა გავიგოთ ის აღორძინება, რომელმაც თავი იჩინა გერმანულ ლიტერატურაში ასე მოკლე დროის მანძილზე? როგორ უნდა გავიგოთ თუ რა საზოგადოებრივმა ძალებმა განსაზღვრეს ლიტერატურის ეს მძლავრი აღმავლობა, დაკავშირებული ლესინგის სახელთან? ან იქნებ ჩერნიშევსკი იმ აზრის იყოს, რომ ხალხი ლიტერატურის მხოლოდ ჩამორჩენის შემთხვევაში თამაშობს

დული ხასიათის შეგნება. აქედან, ფილისტერობის გამოვლენის გასწვრივ, დემოკრატიულ-ჰუმანური იდეალები ამ დროის მთელ რიგ გამოჩენილ მწერლებთან, წამოყენება ახალი სოციალური პროგრამისა, რომელიც ხალხისადმი მათი დიდი გულშემატკივრობის მაჩვენებელია.

მთავარ როლს და არა აღმავლობის შემთხვევაში, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა?

ასეთი დაშვებისათვის ფორმალური საფუძველი არსებობს, რადგან ჩერნიშევსკი წერს, რომ ლიტერატურის საცოდავი მდგომარეობის მიზეზი ყოველთვის სახოგადოებაა („виновницей жалкого состояния литературы всегда бывает публика"), მაგრამ, არსებითად კი ასეთი დაშვებისათვის საფუძველი არ არსებობს. საფუძველი არ გვაქვს ჩერნიშევსკის მივაწეროთ ის აზრი, რომ გერმანული ლიტერატურის აღმავლობა არაა სახოგადოებრივად დაპირობებული, მივაწეროთ დავიწყება მის ესთეტიკის ძირითადი პრინციპისა, იმ აზრის განვითარება, რომ ეს აღმავლობა არაა ისტორიულად შემხადებული, პასუხი სახოგადოებრივ ცხოვრებაში, გერმანელ ხალხში მომწიფებულ განწყობილებაზე. გნოსეოლოგიის, ესთეტიკის სფეროში მატერიალიზმის ნიადაგზე მდგომი, სუბიექტური იდეალიზმის მკვეთრი მოწინააღმდეგე დიდი რუსი მოაზროვნე, შეუძლებელია, მოცემულ შემთხვევაში სუბიექტური იდეალიზმის პოზიციაზე დასულიყო, საქმის ვითარება იმგვარად დაესახა, რომ გერმანული ლიტერატურის ეს სწრაფი აღორძინება არაა სახოგადოებრივად დაპირობებული მოვლენა, არამედ ერთეული ადამიანის, ამ შემთხვევაში, ლესინგის მოღვაწეობის შედეგია.

შეუძლებელია მატერიალისტ ჩერნიშევსკის მივაწეროთ იმის უარყოფა, რომ ლესინგის მოღვაწეობა და მასთან დაკავშირებული აღმავლობა გერმანული ლიტერატურისა, თვითაა შედეგი სახოგადოებრივი ცხოვრებისა, ამავე დროს ამ უკანასკნელზე მძლავრი გავლენის მომხდენი და არა პირველი მიზეზი ნაციონალური აღორძინებისა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის პირველი ნახევრის გერმანული ლიტერატურის ანალიზიდან, რომელსაც ჩერნიშევსკი იძლევა, არამც და არამც არ გამომდინარეობს, რომ ამ ლიტერატურას, მისი აზრით, თითქოს არაფერი უანდერძებია მომდევნო ლიტერატურული ეპოქისათვის. შეუძლებელია ჩერნიშევსკის მივაწეროთ იმ აზრის უარყოფა, რომ ლესინგამდელი გერმანული ლიტერატურა წარმოადგენდა გარკვეულ საფეხურს ლიტერატურის განვითარების საერთო ჯაჭვში. ლაპარაკობს რა ამდროინდელი გერმანული ლიტერატურის ჩამორჩენაზე, დიდ რუს რევოლუციურ დემოკრატს მხედველობაში აქვს ოფიციალური ლიტერატურული სტილი, საკარო კლასიციზმი, რომელიც პრუსიული აბსოლუტიზმის იდეოლოგიურ დასაყრდენს წარმოადგენდა. მასში ჩერნიშევსკი ხედავს ზოგიერთ დადებით მომენტსაც, პროგრესულობას წინა ეპოქის ლიტერატურულ სტილთან შედარებით.

მართალია, მთლიანად აღებული, ლესინგამდელი გერმანული ლიტერატურა ჩერნიშევსკის ჩამორჩენილად მიაჩნია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ეპოქის ლიტერატურაში იგი საიმედოს ვერაფერს ხედავს. ვერ ხედავს ჯანსაღ ხალხურ საწყისს, ვერ ამჩნევს ხალხის გამაჯანსაღებელ როლს ლიტერატურის აღორძინების საქმეში. როცა ლესინგის დიდ წამოწყებაზე ლაპარაკობს, ჩერნიშევსკი იმას

ამ რთულ სოციალურ-პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ ფონზე უნდა იქნას განხილული დიდი გერმანელი მწერლის, გოეთეს შემოქმედება, ბურჟუაზიული რევოლუციისადმი მისი დამოკიდებულების საკითხი. გოეთეს გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე ხდება სწორედ იმ დროს, როცა გერმანიაშიაც გზას იკაფავს კაპიტალისტური წარმოება, როცა ბატონყმური რეჟიმი აქაც ძირმომპალია და დასაღუპად განწირული. გოეთეს შემოქმედება მოიცავს არა მხოლოდ პირველ პერიოდს ბურჟუაზიული რევოლუციისას, არამედ მის მომდევნო პერიოდებსაც. მწერალი მოესწრო არა მხოლოდ ბასტილიის აღებას აჯანყებული მასების მიერ, არამედ იაკობინურ

როდი ფიქრობს, რომ ლესინგმა თავისი მოღვაწეობა ცარიელ ადგილზე დაიწყო, არამედ იმას გვანიშნებს, რომ ეს დიადი წამოწყებანი შემხადებული იყო ისტორიული აუცილებლობით. არა ერთეული ადამიანების, თუნდაც ისეთის, როგორიც ლესინგი იყო, მოღვაწეობის შედეგად მიიჩნევს ჩერნიშევსკი გერმანიის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების აღორძინებას XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, არამედ შედეგად კონკრეტული ისტორიული ვითარებისა. ჩერნიშევსკი, ცხადია, არა თუ არ უარყოფს, არამედ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლესინგმა ფრიად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გერმანიის საზოგადოებრივ-კულტურულ განვითარებაში, მაგრამ მთავარ განმსაზღვრელ მნიშვნელობას იგი მაინც ობიექტურ-ისტორიულ ფაქტორებს ანიჭებს.

ყურადსაღებია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლების, კულტურული აღმავლობის ფაქტის ახსნისას ჩერნიშევსკი, მართალია, კურსს იღებს ქვეყნის შინაგან, საზოგადოებრივ ფაქტორებზე, მაგრამ იგი არ იხილავს ამ აღმავლობას იზოლირებულად სხვა ქვეყნების ისტორიული განვითარებისა და კულტურისაგან. უცხოური გავლენების წინააღმდეგ თითქოს მკვეთრად უარყოფითად განწყობილი ჩერნიშევსკი, მოცემულ შემთხვევაში, როცა თვითმყოფი გერმანული კულტურის წარმოშობაზე ლაპარაკობს, არაა განწყობილი უარყოს უცხოური კულტურის გავლენის მნიშვნელობა. ჩერნიშევსკი აღნიშნავს, რომ გერმანიაზე საფრანგეთიდან და ინგლისიდან გამაგრილებელმა ნიავმა დაკროლაო („Свежим воздухом веяло на неё из Франции, из Англии". Чернышевский, 65.).

ეხება რა ფაქტს ლესინგამდელი გერმანული ლიტერატურის ჩამორჩენისა, ჩერნიშევსკი მიუთითებს, რომ ეს ჩამორჩენა მეტწილად უცხოური კულტურისადმი მონურ მიბაძვაში მეღავნდებოდა. დიდ რუს რევოლუციურ-დემოკრატს ამხედრებდა არა ფაქტი გერმანელ და ფრანგ ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობისა, ფაქტი ფრანგული ლიტერატურის გავლენისა გერმანულზე, არამედ დავიწყება ამ უკანასკნელის მიერ საკუთარი ნაციონალური ინტერესებისა. ფრანგული ლიტერატურისადმი მიბაძვაშიც ჩერნიშევსკი ხედავდა გარკვეულად დადებით მომენტებს, მას იგი აფასებდა, როგორც ბოროტებას, მაგრამ როგორც „აუცილებელს, დროებით ბოროტებას". ამ მიბაძვის დადებით მომენტს, ჩერნიშევსკის ახრით, ის შეადგენდა, რომ იგი თვალნათლივ უჩვენებდა გერმანელებს განსხვავებას მათსა და იმ ხალხს შორის, რომელსაც ისინი მიბაძავდნენ; თვალებს უხელდა მათ თავიანთ ჩამორჩენილობაზე და, ამდენად, სტი-

დიქტატურას, ტერმიდორულ რეაქციას, იმპერიის, რესტავრაციისა და ივლისის რევოლუციის ეპოქებსაც. მწერალი თვალნათლივ ხედავს, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციას არ გადაუწყვეტია მტკივნეული სოციალური საკითხები, არ გაუნაღდებია ხალხისათვის მიცემული დაპირებები, ხედავს, რომ ამ რევოლუციამ კი არ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, არამედ დაამკვიდრა ჩაგვრის ახალი კაპიტალისტური ფორმა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამის შეგნება ასრულებს ფრიად მნიშვნელოვან როლს ბურჟუაზიული რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულებაში.

წინამდებარე შრომაში დასმული საკითხის შესწავლა უშუალოდ დაკავშირებულია გოეთეს მსოფლმხედველობის ბუნების გაგებასთან. ამ მხრივ ჩვენს მეცნიერებაში დიდი მუშაობაა ჩატარე-

---

მულს აძლევდა თვით ამ დროებით ბოროტების მოსპობასაც, თვითმყოფი ეროვნული კულტურის შექმნას. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს დროებითი ბოროტება ჩერნიშევსკის მიაჩნია არა უცხოეთიდან შემოტანილად, არამედ ადგილობრივ, გერმანულ ნიადაგზე აღმოცენებულ მოვლენად.

ლესინგის შემოქმედების ძირითადი საკითხების გარკვევისას, ლესინგამდელი გერმანული ლიტერატურის დახასიათებისას, ჩერნიშევსკი გამოდიოდა არა ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის წინააღმდეგ, არამედ უცხოური კულტურისადმი მონური მიბაძვის წინააღმდეგ, ფორმალიზმის, მშობლიური კულტურის ინტერესების დავიწყების წინააღმდეგ. მსოფლიო ლიტერატურის ბრწყინვალედ მცოდნე ჩერნიშევსკის, რასაკვირველია, გათვალისწინებული ჰქონდა, რომ ის კულტურა, რომელსაც ამ ხანებში ბაძავდა გერმანული კულტურა, მოწინავე კულტურა იყო, კერძოდ, ფრანგული კლასიციზმი XVII—XVIII საუკუნეებისა. ირკვევა, რომ ჩერნიშევსკი არაა განწყობილი უარყოს გერმანული ლიტერატურის აღმავლობის საქმეში მნიშვნელობა გერმანელ და ფრანგ ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობისა; ირკვევა ისიც, რომ მთავარ მნიშვნელობას თვითმყოფი გერმანული ლიტერატურის შექმნაში იგი ანიჭებს არა გარეგან ფაქტორებს, კულტურულ გავლენებს, არამედ შინაგან-სახოგადოებრივ ფაქტორებს. ქვეყნის სახოგადოებრივი განვითარების შედეგად ლიტერატურის წინაშე დასმული ამოცანების სწორად გაგებას გერმანული კულტურის მოამაგეების, პირველ რიგში, ლესინგის მიერ.

ასეთ წანამძღვარზე აგებს ჩერნიშევსკი თავის დასკვნებს ლესინგის შემოქმედებაზე. ლესინგს, მის გრანდიოზულ წამოწყებებს იგი იხილავს ამ მწერლის ორგანულ კავშირში ხალხთან, ეროვნული ლიტერატურის შექმნის სასიცოცხლო ინტერესებთან. მისთვის ლესინგში ყველაზე ფასეულია ის, რაც ამ მწერალს იდეურად თავის ხალხთან აკავშირებს, ფასეულია მისი შემოქმედების ჯანსაღი ხალხური საწყისები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ლესინგს იგი არ წარმოგვიდგენს ისეთ ადამიანად, რომელიც ქადაგებდეს ლიტერატურის ჩაკეტვას ნაციონალურ ჩარჩოებში. სხვა ხალხებთან კულტურული ურთიერთობის უარყოფას.

ბული. გამორკვეულია, რომ როგორც ბუნების, ისე ადამიანთა ისტორიის გაგების დარგში დიდი გერმანელი მწერალი დგას მატერიალიზმის ნიადაგზე. იგივე ითქმის გოეთეს მიერ ხელოვნების საკვანძო საკითხის გაგების შესახებაც. სახელმძღვანელო მითითებას გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების გასაგებად გვაძლევენ მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრები. კ. მარქსი და ფ. ენგელსი შრომაში—„გ ერ მ ა ნ უ ლ ი ი დ ე ო ლ ო გ ი ა“ და მთელ რიგ სხვა შრომაში არკვევენ მე-18 საუკუნის გერმანული იდეოლოგიის ბუნებას, გვიჩვენებენ მის აბსტრაქტულ-დუალისტურ ხასიათს. მათ მიერ მოცემულ დახასიათებას გერმანული იდეოლოგიისა ენიჭება ფუძემდებელი მნიშვნელობა მე-18 საუკუნის გერმანული ლიტერატურის, კერძოდ, გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების მეცნიერული შესწავლისათვის. შრომაში—„გერმანული სოციალიზმი ლექსებსა და პროზაში“ ფრ. ენგელსმა გამოთქვა მოსაზრებანი გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების კარდინალურ საკითხებზე. „გოეთე, წერს ენგელსი, თავის ნაწარმოებებში ორგვარ მიმართებაშია მისი დროის საზოგადოებასთან. იგი მტრულად არის განწყობილი მისდამი, მას ძაგს ეს საზოგადოება და ცდილობს გაექცეს მას, როგორც „იფიგენიაში“ და იტალიაში მოგზაურობის დროს; იგი უმხედრდება ამ საზოგადოებას, როგორც გოეცი, პრომეთე და ფაუსტი, მწარედ დასცინის მას მეფისტოფელის მსგავსად, ანდა, პირიქით, უმეგობრდება, ურიგდება მას, როგორც თავისი „უწყინარი ქსენიების“ უმრავლესობასა და მრავალ პროზულ ნაწარმოებში, ადიდებს მას, როგორც „ნიღბების სვლაში“, იცავს მას შემტევი ისტორიული მოძრაობისაგან, განსაკუთრებით იმ ნაწარმოებში, სადაც ლაპარაკობს საფრანგეთის რევოლუციაზე..., მასში განუწყვეტლივ ებრძვიან ერთიმეორეს გენიალური პოეტი, რომელსაც ზიზღს უნერგავს მისი გარემომცველი წრის უბადრუკობა და ფრანკფურტელი პატრიციის ფრთხილი შვილი, ან ვაიმარელი საიდუმლო მრჩეველი, რომელიც იძულებულია დრეებით დაუზავდეს და შეეგუოს მას. ამრიგად, გოეთე ხან კოლოსალურად დიადია, ხან კი წვრილმანი, ხან დაუმორჩილებელი, დამცინავი, ქვეყნის მოძულე გენიოსია, ხან კი ფრთხილი, ყველაფრით კმაყოფილი ვიწრო ფილისტერი. და გოეთემ ვერ შეძლო დაემარცხებინა გერმანული უბადრუკობა, პირიქით, ეს უკანასკნელი ამარცხებს მას. ამ უბადრუკობის (misère) გამარჯვება უდიდეს გერმანელზე საუკეთესოდ ამტკიცებს, რომ „შიგნიდან“ მისი დამარცხება საერთოდ შეუძლებელია. გოეთე იყო ერთობ უნივერსალური, ერთობ

აქტიური ნატურა, ერთობ ხორცი, რომ ამ უბადრუკობიდან ხსნა ეძებნა კანტის იდეალისაკენ შილერისეულ გაქცევაში. იგი ერთობ შორსმჭვრეტელი იყო, რომ ვერ დაენახა, რომ ეს გაქცევა ბოლოს და ბოლოს ნიშნავდა ულაზათო უბადრუკობის შეცვლას მაღალ-ფარდოვანი უბადრუკობით. მისი ტემპერამენტი, მისი ძალები, მთელი მისი სულიერი მიმართულება უბიძგებდა მას პრაქტიკული ცხოვრებისაკენ, მაგრამ ეს პრაქტიკული ცხოვრება, რომელიც მას გარს ეკვრა, უბადრუკი იყო. ეცხოვრა იმ გარემოში, რომელიც სძულდა, და მაინც მასზე მიკრული იყო, როგორც ერთადერთი გარემო, რომელშიაც მას შეეძლო ემოქმედნა, ამ დილემის წინაშე იდგა გოეთე განუწყვეტლივ და, რაც უფრო ხანში შედიოდა, მით უფრო უკან იხევდა მძლავრი პოეტი de guerre lasse (ბრძოლით მოქანცული) ვაიმარის უმნიშვნელო მინისტრის წინაშე. ჩვენ არ ვსაყვედურობთ გოეთეს ბოერნესა და მენცელის მსგავსად, რომ იგი არ იყო ლიბერალი, არამედ იმას, რომ დროგამოშვებით იგი იყო ფილისტერიც. ჩვენ არც იმას ვსაყვედურობთ, რომ მას არ გააჩნდა ენთუზიაზმის უნარი გერმანული თავისუფლებისადმი, არამედ იმას, რომ თავის ესთეტიკურ გრძნობას იგი სწირავდა ფილისტერულ შიშს „ყოველგვარი თანამედროვე დიდი მოძრაობისადმი“ [1].

ფრ. ენგელსის ამ სიტყვებში ცხადადაა ნაჩვენები გოეთეს წინააღმდეგობრივი სახე, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ნაჩვენებია მწერლის სისუსტის სოციალურ-კლასობრივი ფესვები, მწერლის შემოქმედებითი ევოლუციის მაგისტრალური ხაზი. თანაც საქმის ვითარება იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ, რაც უფრო ხანში შედის მწერალი, მასთან უფრო და უფრო სუსტდება საბრძოლო განწყობილებები და ძლიერდება შემარიგებლური განწყობილებები.

რადგან ფრ. ენგელსის ეს მოსაზრებები გამოთქმულია პოლემიკურ ვითარებაში, ზოგიერთი შესაძლებლად თვლის არსებითად კითხვის ქვეშ დააყენოს მათი ფუძემდებელი მნიშვნელობა გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში. ასე, მაგალითად, ცნობილი კრიტიკოსი ფრ. მ ე რ ი ნ გ ი იმით იფარგლება, რომ გოეთეს შესახებ გამოთქმულ ენგელსის ამ შეხედულებებს უწოდებს „საკმარისად საინტერესოს“ [2]. ენგელსის მიერ მოცემუ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. т. V, 1929, გვ. 142.

[2] Ф. Меринг. Мировая литература и пролетариат, Москва, 1924 გვ. 126.

ლი კლასიკური დახასიათების ამგვარ შეფასებაში ძნელი არ არის დავინახოთ მისი მნიშვნელობის შეუფასებლობა. ეს ნათლად ჩანს ამ დახასიათების შესახებ მერინგის მომდევნო მსჯელობიდან. „მარქსი, წერს მერინგი, რომელიც გოეთეზე გამოთქმულ ზევით მოყვანილ შეხედულებათა ავტორად მარქსს თვლიდა, სხვაგვარად გამოთქვამდა თავის აზრს, მას რომ იგი დაეწერა არა პოლეშიკის, არამედ სწავლების სახით“ [1].

ისე გამოდის, რომ გრიუნთან კამათისას ენგელსს თითქოს ნეგატურად, ცალმხრივად დაულაგებია გოეთე, რომ სხვაგვარ ვითარებაში ის მას სხვაგვარად დაალაგებდა. გამოჩენილი მარქსისტი კრიტიკოსის ამგვარი მსჯელობა ენგელსის შესახებ არსებითად არა მხოლოდ ამცირებს ენგელსის მიერ მოცემული კლასიკური ფორმულის მნიშვნელობას, არამედ კითხვის ქვეშ აყენებს თვით გოეთეს მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრიობის საკითხს, ასე ბრწყინვალედ ცხადყოფილს ენგელსის მიერ. თუ განვავითარებთ მერინგის შენიშვნის აზრს, გამოვა, რომ არაპოლემიკურ ვითარებაში ენგელსი არ წამოწევდა წინ გოეთეს წინააღმდეგობას. თვითონ მერინგი, მართალია, ამას არ ამბობს, მაგრამ ეს ბუნებრივად გამომდინარეობს მისი მსჯელობიდან.

ფრ. მერინგის ამ შეხედულების მცდარობას გვიდასტურებს პირველ ყოვლისა გოეთეს შემოქმედება, რომელიც, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ნათლად ამჟღავნებს მწერლის წინააღმდეგობრიობას. მერინგის შეხედულების მცდარობას გვიდასტურებს აგრეთვე ენგელსის ამ წერილის ისტორია. ირკვევა, რომ ენგელსს ეს წერილი, ვიდრე დაბეჭდავდა, თერთმეტი თვით ადრე ჰქონია დაწერილი და თანაც გაცილებით უფრო დიდი მოცულობით, ვიდრე დღეს მას მკითხველი იცნობს. ირკვევა, რომ ენგელსს მიზნად დაუსახავს ამ წერილის გადამუშავება, მისი შემცირება. 1847 წლის 15 იანვარს იგი წერდა მარქსს: „მე გადავამუშავებ სტატიას გრიუნისეული გოეთეს შესახებ, დავიყვან მას ნახევარ თაბახამდე, მაქსიმუმი — თაბახის სამ მეოთხედამდე და მოვამზადებ მას ჩვენი ჟურნალისათვის, თუ კი შენ ამას მოიწონებ, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა მომწერო“ [2]. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ გოეთეს შესახებ ჯერ კიდევ დაუბეჭდავ წერილში გამოთქმულ მოსაზრებებში ენგელსს მიაჩნდა საჭიროდ რაიმე ცვლილების შეტანა, ამას იგი თვითონვე მოახდენდა დროის იმ დიდ ინტერვალში, რომელიც

[1] ფ. Меринг. Мировая литература и пролетариат, Москва, 1924, გვ. 126.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. XXI, Москва, 1932, გვ. 63.

ამ წერილის პირველსა და საბოლოო ვარიანტს ერთიმეორისაგან აშორებს.

მერინგის შეხედულების მცდარობას ცხადყოფს მისი მცდარი შეხედულება პოლემიკური ჟანრის შესახებ საერთოდ. მტკიცება არ უნდა, რომ პოლემიკური ფორმა სრულიადაც არ წარმოადგენს ხელშემშლელ გარემოებას ჭეშმარიტების ძიებისათვის და მას არ შეუშლია ხელი ენგელსისათვის მოეცა გოეთეს შემოქმედების ღრმა მეცნიერული ანალიზი; ამაში ის გარემოებაც გვარწმუნებს, რომ კ. გრიუნთან კამათისას გოეთეს შესახებ ენგელსის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ორგანულ კავშირშია გოეთეს შესახებ მთელს მის კონცეფციასთან, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დასახელებულ წერილში გოეთეს შესახებ განვითარებულ აზრს ფრ. ენგელსი იცავდა ამ წერილის შემდეგ გამოქვეყნებულ სხვა შრომებშიაც.

როგორც აღვნიშნეთ, მერინგის მსჯელობაში გოეთეს ენგელსისეული კონცეფციის შესახებ არსებითად კითხვის ქვეშაა დაყენებული გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების წინააღმდეგობრიობის საკითხი. ფრ. ენგელსი გრიუნთან კამათში ხაზს უსვამს გოეთეს სწორედ ამ წინააღმდეგობრიობას, დაუსრულებელ ბრძოლას მებრძოლსა და ფილისტერულ-შემარიგებლურ განწყობილებებს შორის, მიაჩნია რომ ეს წინააღმდეგობრიობა წარმოადგენს გამოხატულებას თვით გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობრიობისა.

ფრ. ენგელსის ამ სახელმძღვანელო დებულების საფუძველზე ჩაატარა საბჭოთა გოეთეოლოგიამ დიდი მუშაობა გოეთეს ჭეშმარიტი სახის დასადგენად. მან მიზნად დაისახა გოეთეს სიდიადის ცხადყოფისათვის არა მიფუჩეჩება ამ მწერლის სუსტი მხარისა, არამედ მისი აღნიშვნა და ახსნა. სახელგანთქმული გერმანელი კრიტიკოსის მსჯელობას იმ კონცეფციის შესახებ, რომელსაც ანვითარებდა გოეთეზე ფრ. ენგელსი, შეუძლია არასწორი გზით წარმართოს გოეთეს მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლა.

გოეთეს მსოფლმხედველობის ძირითად ნიშნად უნდა ჩაითვალოს ამ მწერლის ჯანსაღი რეალისტური ხედვა, ამოსავალ პუნქტად ობიექტური რეალობის მიჩნევა, უარყოფა მისტიკა-იდეალიზმისა. მწერლის მსოფლმხედველობის ამ ჯანსაღ მხარეზე მიუთითებს ფრ. ენგელსი, როცა აღნიშნავს, რომ დიდი გერმანელი მწერალი იყო ერთობ პრაქტიკული, ერთობ მატერიალური და ხორციელიო. გოე-

თეს მსოფლმხედველობის ამ ჯანსაღ მატერიალისტურ მხარეზე მიუთითებს ენგელსი აგრეთვე ჰაინესა და ვეერთის შესახებ მსჯელობისას, როცა აღნიშნავს, რომ ხორციელობა (Fleischeslust) ჰაინეზე უფრო მძლავრად ახასიათებს ვეერთს, მაგრამ არა ისე მძლავრად, როგორც გოეთესო[1].

---

[1] Marx—Engels über Kunst und Literatur, Moskau, 1937, S. 178. რეალიზმის პრობლემას გოეთესთან სპეციალური შრომა მიუძღვნა ჰ. მაიერმა (H. Moyer. Goethes Begriff der Realität. იხ. კრებული შრომებისა—Goethe. Weimar, 1956; იხ. იმავე კრებულში ვ. შადევალდტის შრომა—„Goethes Begriff der Realität"). გოეთეს მსოფლმხედველობის ჯანსაღ, რეალისტურ საწყისებს შუქს ფენს მწერლის დამოკიდებულება მისი დროის სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებებთან — რომანტიზმსა და რეალიზმთან. იმ საფეხურზე, როცა გერმანულ რომანტიზმში ისახებოდა სახოგადოების მოწინავე ნაწილის უკმაყოფილება ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგებით, გოეთეს მისდამი დამოკიდებულება არ იყო კრიტიკული. ბუნებრივია, რომ ამ პერიოდში გოეთე გარკვეულად სტიმულს აძლევდა რომანტიკოსებს, რომლებმაც მწერალი თავიანთ მედროშედაც კი მიიჩნიეს.

განსაკუთრებით იდეურ სიახლოვეს გრძნობდნენ რომანტიკოსები „ვილჰელმ მაისტერთან", რომელიც მათ რომანტიკული ლიტერატურის ერთერთ მთავარ წყაროდ აღიარეს. და ეს ბუნებრივიცაა. რადგან ამ რომანში, განსაკუთრებით მის პირველ ნაწილში, რომანტიკულ მომენტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მაგრამ ბუნებრივია ისიც, რომ შემდეგ საფეხურზე გერმანელმა რომანტიკოსებმა პირი იბრუნეს გოეთესაგან, მისი „ვილჰელმ მაისტერისაგან", პირი იბრუნეს პიროვნებისა და სინამდვილის დამოკიდებულებისაკენ ამ რომანში მოცემული გაგებისაგან. ეს მოხდა არა იმიტომ, რომ თითქოს გოეთემ განიცადა მკვეთრი ცვლილებები, არამედ იმიტომ, რომ ევოლუცია განიცადეს თვით გერმანელმა რომანტიკოსებმა, ადრინდელი სოციალური პროტესტიდან მივიდნენ არსებული ყოფის რეაქციულ აპოლოგიამდე, მისტიკა-იდეალიზმამდე.

მართალია, ეს არ ითქმის კატეგორიულად იენის სკოლის ყველა რომანტიკოსის შესახებ, ზოგიერთი მათგანი ასე თუ ისე მაინც დარჩა ესთეტიკური ჯანყის ნიადაგზე, მაგრამ ძირითადი ხაზი ამ სკოლის განვითარებისა აღინიშნება ფეოდალურ-მონარქიული წყობილების აპოლოგიით, მისტიციზმში გაჩეხვით. ზოგი ამ სკოლის წარმომადგენელი კი, როგორც, მაგალითად, ნოვალისი გაცილებით უფრო ადრე ჩადგა რეაქციის ბანაკში, ვიდრე დანარჩენები, მათ შორის სკოლის იდეური მეთაური ფრიდრიხ შლეგელი. სრულიად კანონზომიერია ამიტომ, რომ „ქრისტიანობა და ევროპას" ავტორი მკვეთრად გამოდის გოეთეს „პოეტური ათეიზმის", უფრო სწორად, რეალიზმის წინააღმდეგ. ასევე სავსებით კანონზომიერია, რომ გოეთე, როგორც კი მისთვის ცხადი ხდება თუ საით უხვევენ რომანტიკოსები, თავს ანებებს მათდამი დამოკიდებულებაში იმას, რასაც ჰაინე დიპლომატურ მედიდურობას უწოდებდა, და გამოდის მკვეთრი კრიტიკით.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური რეაქციისაკენ, მისტიკა-იდეალიზმისაკენ რომანტიკოსთა მიჯრის ხასიათი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო გარკვე-

გოეთეს მსოფლმხედველობის მატერიალისტური ხასიათი ჩანს ამ მწერლის მიერ შემეცნების თეორიის ძირითადი საკითხის გაგებაში, მატერიის პირველადობის აღიარებაში, მისტიკა-სპირიტუალიზმის უარყოფაში, „ფაუსტში“ განვითარებული იმ აზრის გაბედულ დაცვაში, რომ „დასაწყისში იყო საქმე“, რომ ადამიანი პასიური მკვრეტელი კი არ უნდა იყოს, არამედ ბუნებისა და საზოგადოების გარდაქმნის აქტიური ფიგურა, თავისი ბედნიერების საკუთარი ხელით გამომჭედი („Nur der verdient sich Freiheit wie das Leben, der täglich sie erobern muss“).

ული, მიუხედავად იმისა, რომ ფრ. შლეგელი ათეული წლის განმავლობაში აყოვნებდა ნოვალისის რეაქციული შრომის—„ქრისტიანობა და ევროპის“ დაბეჭდვას, გოეთემ ჯერ კიდევ ახალი საუკუნის მიჯნაზე განკვრიტა რომანტიკოსთა ევოლუციის ხასიათი და გადაკრით გაიმიჯნა მათგან. ამ ნაბიჯში ჩანს მწერლის მსოფლმხედველობის ჯანსაღი, მატერიალისტური საწყისები, მისი შემოქმედებითი მეთოდის მკვეთრი განსხვავება რომანტიკოსთა შემოქმედებითი მეთოდისაგან. თავისი მატერიალისტური თვალსაზრისის ერთგული გოეთე მომდევნო პერიოდში, მაშინ, როცა გერმანელი რომანტიკოსები პოლიტიკური რეაქციის აქტიური დამცველები ხდებიან, კიდევ უფრო მკვეთრად გამოდის მათ წინააღმდეგ როგორც თავისი მხატვრული ნაწარმოებებით, ისე თეორიულ-კრიტიკული ხასიათის შენიშვნებით. ა ე ვ ე მკვეთრად აკრიტიკებს გოეთე მოგვიანო პერიოდის ფრანგ რომანტიკოსებს, რომლებშიაც ხედავს სუბიექტივიზმსა და მისტიციზმში გაჩეხვას. ამაში გვეპოწმება „მარინო ფალიერისა“ და ახალი დროის ფრანგი რომანტიკოსების ნაწარმოებთა დაპირისპირება, (E c k e r m a n n, Gespräche mit Goethe, Leipzig, Bd. III, 218), ასევე, მსჯელობა ვ. ჰიუგოს შესახებ.

აღსანიშნავია, რომ გოეთე მაღალი შეხედულებისაა ვ. ჰიუგოზე, მიაჩნია იგი „ჩინებული ტალანტის“ მწერლად, მაგრამ სასტიკად აკრიტიკებს მას, რადგან დარწმუნებულია, რომ ჰიუგო „მთლიანად იმყოფება საბედისწერო რომანტიკული მიმართულების ტყვეობაში“, რომ იგი მშვენიერი საგნების გვერდით ხატავს „ყველაზე უგვანოსა და საძაგელს“ (ibid; 251).

რომანში — „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ — გოეთეს ამხედრებს ის, რომ ამ წიგნში ვერ ხედავს ცხოვრების მართალსა და ბუნებრივ ასახვას, რომ მასში გამოყვანილი გმირები არ არიან „ცოცხალი ხორცისა და სისხლის ადამიანები, არამედ არიან ხის საცოდავი თოჯინები“ (ibid.). ჰიუგოს შემოქმედების ბუნების გაგებაში გოეთე, ცხადია, შორდება ჭეშმარიტებას, მაგრამ დასმული საკითხის განასერში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება არა ამ გარემოებას, არამედ იმას, თუ რა წანამძღვრებიდან გამოდის იგი ჰიუგოს, ახალი დროის რომანტიკოსთა შესახებ მსჯელობისას. ცხადი ხდება, რომ ხელოვნების ძეგლთა შეფასებისას გოეთესათვის გამოსავალ დებულებას წარმოადგენს იმის გამორკვევა თუ რამდენად ასახავს ხელოვნების ნიმუში რეალურ სინამდვილეს. წინ წამოსწევს რა რეალიზმის პრინციპს, გოეთე, ცხადია, არ გამოდის რომანტიკული ხელოვნების ყველა სამკაულის წინააღმდეგ. თავის შემოქმედებაშიაც მწერალი უხვად იყენებს ხოლმე ამგვარ სამკაულებს, რომანტიკულ მომენტებს, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ეს მხატვრული სამკაული არ არის დამახასიათებელი მხოლოდ რომანტიკული ხელოვ-

გოეთეს მატერიალიზმის კვინტესენციას წარმოადგენს დაბრმავებული, ცხოვრების სიბრძნითა და გამოცდილებით დამძიმებული ფაუსტის მკვეთრი გალაშქრება იმათ წინააღმდეგ, ვინც ქიმერებს მისდევს, მისტიციზმში იჩეხება. ასეთ ადამიანებს, რომელთაც დაუკარგავთ რეალური სინამდვილის გაგების უნარი, რომლებიც გამდგარან სინამდვილიდან და იდეალს ირეალურში ეძებენ, ფაუსტი უწოდებს სულელებს („Tor, wer dorthin die Augen blinzend richtet, sich über Wolken seines Gleichen dichtet").

ფაუსტის ფილოსოფიაა ადამიანის ამქვეყნად დარჩენა, რეალური სინამდვილისათვის თვალის გასწორება („Er stehe fest und sehe hier sich um"), თანაც სინამდვილის არა პასიური ჭვრეტა, არამედ მასზე აქტიური ზემოქმედება, რაც თვით სინამდვილის გაგების წინაპირობას წარმოადგენს.

გოეთე არ მიდის არც ემპირიზმი და არც რაციონალისტური ფილოსოფიის გზით. ცოდნის მასალა, ფიქრობს იგი, მოცემულია გარედან და ჩვენ გრძნობების, ამ ცენტრისაკენ მსრბოლავი ძალის საშუალებით გავიგებთ მათ. მწერალი ეთანხმება ემპირიზმს, რომ ცდითა და ექსპერიმენტით, ანუ „უმაღლესი ცდით", როგორც გოეთე ამბობდა, ვიღებთ ნამდვილ ცოდნას, მაგრამ იგი ფიქრობს, რომ ემპირიზმი არ იძლევა ცოდნას იდეებზე, არ სვამს საკითხს იმის შესახებ თუ ცდის მონაცემები რამდენად შეესაბამება ცდის შედეგებს. ღებულობს რა ემპირიული ფილოსოფიის ზოგიერთ მხარეს, გოეთე მიდის თავისი გზით.

მეორე მხრივ, არც რაციონალისტური ფილოსოფია აკმაყოფილებდა გოეთეს. იგი ცდილობდა დაეძლია ცალმხრიობა როგორც ემპირიზმის, ისე რაციონალიზმისა, მაგრამ თანმიმდევრულ

ნებისათვის. მწერალს უდავოდ მოსწონს, რომ რომანტიკოსებმა წინ წამოსწიეს ეს მომენტი, რომ მათ შემოქმედებაში შეინიშნება ესთეტიკური ჯანყი ბურჟუაზიული მონოტონობისა და ეულგარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ იგი ამ მომენტს წარმატებით იყენებდა თავის მხატვრულ შემოქმედებაში დიდი ხნით ადრე რომანტიკოსთა გამოსვლამდე და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ამ მომენტს გოეთესა და რომანტიკოსებთან საფუძველშივე განსხვავებული ხასიათი აქვს. რომანტიკული გოეთესთან წარმოადგენს არა რეალურის საპირისპიროს, არამედ მის ორგანულ ნაწილს. სინამდვილის რეალისტური, ანუ „ობიექტური ასახვის პრინციპი", რაც გოეთეს თავისთვის სახელმძღვანელო პრინციპად მიაჩნია, (Eckermann, II, 140), არ ნიშნავს რომანტიკულის უარყოფას. ამიტომაა, რომ გოეთე საფუძველში არ უარყოფს შილერის მიერ მისი „იფიგენიის" რომანტიკული ხასიათის ნაწარმოებად მიჩნევას (ibid.).

დასკვნებამდე მაინც ვერ მიდიოდა. საგულისხმოა ამ მხრივ ის ფაქტი, რომ მწერალი ილაშქრებდა ინდუქტიური მეთოდის წინააღმდეგ. „ინდუქციას მე თვითონ, აღნიშნავს გოეთე, არასდროს მივმართავდი. თუ კი ვინმე ასეთს ჩემს წინააღმდეგ იყენებდა, მე მას მაშინვე უარვყოფდი“ [1].

გოეთეს მატერიალიზმი ჩანს მის დამოკიდებულებაში იდეალიზმისადმი, კერძოდ, კანტის ფილოსოფიისადმი. მარქსი და ენგელსი მიუთითებენ, რომ კანტის ფილოსოფია წარმოადგენდა გამოხატულებას გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობისა, გამოხატულებას გერმანიის ბიურგერთა უუნარობისა აერჩიათ ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი პროგრამა. იგი წარმოადგენდა რევოლუციის იდეალების გადატანას მიღმამდებარე, „კეთილი ნების“ სამყაროში, პრაქტიკულად კი — გამიჯვნას „ენერგიული ფრანგული რადიკალიზმისაგან“, რევოლუციის იდეალებით მხოლოდ თეორიულად გატაცებას, პრაქტიკულად კი მათი განხორციელების უარყოფას, თეორიის დაშორებას პრაქტიკისაგან.

კანტის ფილოსოფიისადმი გოეთეს დამოკიდებულებაში შუქი ეფინება ამ მწერლის მსოფლმხედველობის პროგრესულ მხარეს, მის მატერიალისტურ მიდრეკილებებს. აღსანიშნავია, რომ კანტით გოეთეს დაინტერესება მისი განვითარების შედარებით გვიან პერიოდს ეკუთვნის. თვითონ მწერალიც აღნიშნავდა, რომ კანტის შესწავლაში მას შილერმა დაასწრო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროს გოეთე დარწმუნებული იყო, რომ მთელ რიგ მეცნიერულ საკითხს იგი კანტისებურად აშუქებდა, რომ მისი „მცენარეთა მეტამორფოზა“ დაწერილია კანტისებურად, მიუხედავად იმისა, რომ მან მაშინ, როგორც თვითონ ამბობდა, არაფერი იცოდა კანტის შესახებ.

ცხადია, იმას, თუ რას ამბობდა გოეთე კანტის ფილოსოფიით თავისი გატაცების შესახებ, არ შეიძლება მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა გოეთეს ფილოსოფიური მრწამსის შესასწავლად. შეუძლებელია, მაგალითად, გაზიარებულ იქნას გოეთეს აზრი, რომ მისი შრომა — „მცენარეთა მეტამორფოზა“ კანტისებურადაა დაწერილი, რადგან დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს მატერიალისტური ხასიათის შრომაა. ეს ასეა, მაგრამ მწერლის მიერ მოცემულ თვითშეფასებასაც გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ყურადსაღებია, რომ კანტის შესახებ მსჯელობისას

---

[1] Goethes sämtl. Werke, Stuttg. u. Tüb., 1853, Bd. III, S. 284.

გოეთე მოგვითხრობს არა მხოლოდ ამ ფილოსოფოსის გავლენის შესახებ, არამედ იმის შესახებაც, რომ იგი არასდროს არ უთმობდა პოზიციებს კანტს.

ირკვევა, რომ კანტის შეხედულებების მსგავს შეხედულებებს გოეთე, საკუთარი გაგებით, აქსოვდა იმ ნაწარმოებებში, რომლებიც დაიწერა მაშინ, როცა იგი არ იცნობდა კანტის მოძღვრებას. იმ პერიოდში კი, როცა მწერალმა კანტის მოძღვრება გაიცნო, ამ ფილოსოფიისადმი მის მიმართებაში შეინიშნება აშკარად კრიტიკული დამოკიდებულება. გოეთე, თავისივე გადმოცემით, ესწრებოდა ხოლმე დისკუსიებს კანტის შემეცნების თეორიის საკითხებზე, მაგრამ ამ თეორიისადმი ყოველთვის გულგრილი რჩებოდა. კანტის ფილოსოფიაში მას იზიდავდა სუბიექტისა და ობიექტის დამოკიდებულების საკითხის ახლებური დასმა, სუბიექტის განსხვავება ობიექტისაგან. „ეს სისტემა (კანტის სისტემა—გ. ხ.), უკეთ, ეს მეთოდი მდგომარეობს განსხვავებაში სუბიექტისა და ობიექტის, ჩემის „მე"-ს, რომელიც მსჯელობს, და საგნის, რომელზედაც ვმსჯელობ, იმ გაგებით, რომ ყოველთვის მსჯელობს „მე" (Лихтенштадт. Гете, 1920, გვ. 465).

სუბიექტი, ფიქრობს გოეთე, არაა ობიექტის ადექვატი. ცნობილია, რომ მწერალს არ აკმაყოფილებდა სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის საკითხის არც რაციონალისტური და არც ემპირიული გადაწყვეტა. როგორ აფასებს იგი ამ საკითხის კანტისებურ გაგებას? გოეთე ამბობს: „მე დავსწრებივარ ხოლმე მრავალ საუბარს მის (ე. ი. „კრიტიკის"—გ. ხ.) შესახებ და ცოტაოდენი ყურადღების დროსაც კი შემეძლო გამერჩია, რომ კვლავ თავს იჩენს ძველი ძირითადი საკითხი, სახელდობრ, საკითხი თუ რა შოაქვს ჩვენს სულიერ არსებობას, ჩვენს „მეს" და რა მოაქვს გარე ქვეყანას... „მე არასდროს ვთიშავდი მათ ერთიმეორისაგან და ვფილოსოფოსობდი რა საგნების შესახებ თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა დ, ამას ჩავდიოდი შეუგნებელი გულუბრყვილობით და ნამდვილად მეგონა, რომ ჩემი შეხედულებების ჭეშმარიტებას ნათლად ვხედავდი" (ი ქ ვ ე ; ხაზი ჩვენია—გ. ხ.).

გოეთესთვის მიუღებელია ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობის ის შეზღუდვა, რომელიც კანტმა მოახდინა. იგი წერს: „ადამიანს უნდა სწამდეს, რომ გამოუცნობი შეიძლება გამოცნობილ იქნას, ისე კი იგი კვლევას არ დაიწყებს" [1]. მწერალი ფიქრობს, რომ ბუნებაში, მართალია, ბევრი რამაა ჩვენთვის დაფარული, მაგრამ იგი გამოუცნობი არაა. ასე, მაგალითად, მერკისადმი გაგ-

[1] Goethes sämtl. Werke, Stuttg. u. Tüb., III, 1853, გვ. 303.

ზავნილ წერილში ვკითხულობთ: „Sieh, so ist die Natur ein Buch lebendig, unverstanden, doch nicht unverständlich“.

„კანტის მიერ ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობის განსაზღვრულობის წინააღმდეგ გალაშქრებისას გოეთე წანამძღვრად იმ დებულებას იღებს, რომ სამყაროს გაგება შეუძლია არა ერთ ადამიანს, არამედ ადამიანთა კრებადობას. ამ აზრს ავითარებს მწერალი შილერისადმი გაგზავნილ წერილში, რომელშიაც ვკითხულობთ: „Die Natur ist deswegen unergründlich, weil sie nicht ein Mensch begreifen kann, obgleich die genze Menschheit sie wohl begreifen könnte“*.

ადამიანის მიერ რეალური სინამდვილის შეცნობის შესაძლებლობის შესახებ გოეთე თავის „Maximen und Reflexionen“-ში შემდეგს წერს: „Der Mensch ist als Wirklich in die Mitte einer wirklichen Welt gesetzt und mit solchen Organen begabt, dass er das Wirkliche und nebenbei das Mögliche erkennen und hervorbringen kann. Alle gesunden Menschen haben die Überzeugung ihres Daseins und eines Daseienden um sie her“ [1]; ანდა: „ადამიანს საკუთარი შეფერის მიიღოს გამოუცნობი, მაგრამ თავის კვლევას მან არავითარი ზღვარი არ უნდა დაუდოს“ [2].

კანტის შრომებში გოეთეს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევდა „მსჯელობის უნარის კრიტიკა“. ამ ნაწარმოებს უმადლის პოეტი თავისი ცხოვრების უაღრესად ბედნიერ ეპოქას. ამ ნაწარმოებში გოეთეს იზიდავდა კანტის მიერ თეოლოგიის უარყოფა და აღიარება „უმიზნო მიზნობრიობისა“. მწერალს აქედან ის დასკვნა გამოჰქონდა, რომ ხელოვნებაში ყველაფერი ხდება თვით ბუნებით და არა განზრახულობით. მხოლოდ ბუნებამ იცის თუ რა სურს მას, ამბობს მწერალი, და იგი მოქმედებს ისე, როგორც მას სურს. ღმერთი იგყოფება ბუნებაში და ბუნება ღმერთში. აქ თავს იჩენს გოეთეს სიმპათია სპინოზასადმი. სპინოზას პანთეიზმისადმი სიმპათიას გამოთქვამს გოეთე იმ პასუხში, რომელსაც იძლევა ფაუსტი გრეთჰენის მიერ დასმულ კითხვაზე — სწამს თუ არა მას, ფაუსტს, ღმერთი. ამ პასუხიდან ირკვევა,

---

* თავის აღტაცებას გოეთეს ამ აზრით ლ. ფოიერბახი ასე გამოხატავდა: „რა ლრმადაა თქმული და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, როგორ მართლად!“ (Людвиг Фейербах. Избранные философские произведения, Москва, 1955, т. I, გვ. 56).

[1] Goethes sämtl. Werke, Bd. III, Stuttg. u. Tüb. 1853, გვ. 206.

[2] Лихтенштадт, 373.

რომ ფაუსტი არ ცნობს ორტოდოქსურ ღმერთს, ბუნების ზევით მდგომ ძალას, არამედ ცნობს მხოლოდ ამ ქვეყანას, თავისი მშვენებითა და ჰარმონიით, სიყვარულითა და ბედნიერებით.

ეს არ ნიშნავს, რომ გოეთე თავის თავს სპინოზას მიმდევრად თვლიდა, რომ მას საერთოდ აკმაყოფილებდა სპინოზას ფილოსოფია. „ეშმარიტება და პოეზიაში" ამ საკითხზე შემდეგს ვკითხულობთ: „საერთოდ არ შეიძლება უარვყოთ, რომ ყველაზე ინტიმური კავშირი წინააღმდეგობისაგან წარმოიშობა. სპინოზას ყველაფრის გამაწონასწორებელი სიმშვიდე წარმოადგენდა ჩემი მგზნებარე მისწრაფებების კონტრასტს. მისი მათემატიკური მეთოდი ჩემი პოეტური წყობისა და გადმოცემის ხერხის საპირისპირო იყო"; ანდა, მეორე ადგილას: „ნუ იფიქრებენ, რომ მთლიანად მოვაწერდი ხელს მის (ე. ი. სპინოზას—გ. ხ.) თხზულებას".

გოეთე რომ არ მიდის კანტის გზით და მისი ესთეტიკა საფუძველშივე რომ განსხვავდება კანტის ესთეტიკისაგან. ამაში გვარწმუნებს მისი როგორც თეორიულ-კრიტიკული, ისე მხატვრული შემოქმედება. სამყაროს როგორც მეცნიერული, ისე მხატვრული აღქმის დარგში გოეთე რჩება მატერიალიზმის ნიადაგზე. მხატვრული შემოქმედების დარგში იგი გვევლინება უდიდეს წარმომადგენლად გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ უ რ ი რ ე ა ლ ი ზ მ ი ს ა, სინამდვილის მართალი მხატვრული ასახვის გენიალურ ოსტატად. გოეთეს მხატვრული შემოქმედება იმას გვიდასტურებს, რომ ამ მწერლისათვის მიუღებელია სინამდვილისაგან განდგომის ფილოსოფია, სინამდვილისათვის მისტიკური სათვალეებით ცქერა. თავისი შემოქმედების ადრინდელ ნიმუშებშივე გვევლინება გოეთე როგორც საუკუნის დიდი რეალისტი, სინამდვილის ჯანსაღ რეალისტურ ხაზებში აღმქმელი. სწორედ გოეთეს რეალიზმის ცხადყოფა სურდა ჰაინეს, როცა წერდა, რომ ბუნებას სურდა გაეგო თუ როგორია მისი სახე და ამ მიზნით წარმოშვა გოეთეო. გოეთე, მართალია, წერდა კანტის „მსჯელობის უნარის კრიტიკით" თავისი გატაცების შესახებ, მაგრამ მთელი მისი შემოქმედება იმას გვიდასტურებს, რომ მისთვის მიუღებელია კანტის ესთეტიკური იდეალი. გოეთეს მიერ შექმნილი მხატვრული სახეები წარმოადგენენ სინამდვილის მართალ განზოგადებებს, მოწმობენ სინამდვილისადმი მწერლის გარკვეული თვალთახედვით მიდგომას და არა მისდამი რაღაც უმიზნო, აბსტრაქტულ დამოკიდებულებას.

გოეთეს რეალიზმი ჩანს მწერლის იდეურ კავშირში ხალხთან, ხალხური შემოქმედების წყაროს უხვად გამოყენებაში, მხატვრული სახეების შექმნაში ისტორიული თუ თანადროული ამბების კეთილ-

სინდისიერი შესწავლის მეოხებით. გოეთეს რეალიზმის, მისი მატერიალიზმის ბრწყინვალე ილუსტრაციას წარმოადგენს პოემა „ფაუსტი“. ამ ნაწარმოებიდან ჩანს, თუ რა დიდი ნაბიჯი გადაუდგამს გოეთეს „პრომეთე“ - „ვერთერის“ პერიოდთან შედარებით, როგორ დაუძლევია მას ის ნაკლოვანებები, რაც მის იმდროინდელ შემოქმედებას ახასიათებდა, სახელდობრ, აბსტრაქტულობის, ინდივიდუალიზმისა და ცალმხრივი სანტიმენტალიზმის მომენტები დიდი სოციალური საკითხების გადაწყვეტისას.

„ფაუსტი“ მაჩვენებელია იმის, თუ როგორ დასძლია გოეთემ საკუთარი რყევები და ეჭვები, ვერთერული კრიზისი, როგორ მტკიცედ დადგა იგი სინამდვილის ნიადაგზე და არა მხოლოდ დადგა, არამედ დასახა მისი გარდაქმნის გაბედული გზა. ამ გარდაქმნის, იდეური დავაჟკაცების, მატერიალიზმის ნიადაგზე მწერლის საბოლოო განმტკიცების მაჩვენებელია ფაუსტის მიერ უარის თქმა ვერთერის სამწუხარო ექსპერიმენტის განმეორებაზე და ცხოვრების მღელვარე ტალღებში შეჭრა, გზის გაკაფვა შრომისა და ბრძოლის მეოხებით. ამის მაჩვენებელია აგრეთვე ფაუსტის მიერ სახარების ტექსტის თავისებური წაკითხვა. იმ დასკვნამდე მისვლა, რომ პირველადია საქმე და არა სიტყვა. „ფაუსტი“ გოეთეს მატერიალისტური თვალთახედვის, მხატვრულ შემოქმედებაში მისი რეალიზმის ბრწყინვალე დადასტურებაა.

ფაუსტი მკვეთრად ილაშქრებს იდეალიზმის, კერძოდ, შემეცნების თეორიის ძირითადი საკითხის კანტიანური დაყენების წინააღმდეგ. მას არ სწამს როგორც იდეების აპრიორულობა, ისე ადამიანის შემეცნების შესაძლებლობის ის შეზღუდვა, რომელსაც კანტი აწესებდა. იგი იმ დებულებიდან გამოდის, რომ ადამიანს შეუძლია შეიმეცნოს არსებული, რომ მისთვის არ უნდა არსებობდეს არავითარი გამოუცნობი, ტრანსცენდენტური. ფაუსტის ჭმუნვის მიზეზს სწორედ იმის შეგნება წარმოადგენს, რომ ადამიანის ცოდნა ერთობ ნაკლოვანია, მაგრამ იგი როდი კმაყოფილდება ამ ფაქტის კონსტატაციით, არამედ ისწრაფვის მისი დაძლევისაკენ, სრულყოფილი ცოდნის მოპოვებისაკენ. ნაწარმოების სიუჟეტური ხაზიც სწორედ ისე ვითარდება, რომ უარიყოფა კანტის დებულება „საგნების თავისთვის“ შეცნობის შეუძლებლობის შესახებ. შრომისა და ბრძოლის გზით ფაუსტი მიდის იმ დასკვნამდე, რომ იდეები წარმოადგენს არა რაღაც სინამდვილისაგან მოწყვეტილს, არამედ სინამდვილის განზოგადებას, რომელთა პრაქტიკული განხორციელება შეიძლება.

მაგრამ გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ბუნების შესახებ სწორი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმარისი არ

არის ამ მწერალთან მისი მხოლოდ ძლიერი, მებრძოლ-დემოკრატიული მხარის ჩვენება. საჭიროა გათვალისწინებულ იქნას მისი სუსტი მხარეც, ბიურგერულ-შემარიგებლური განწყობილებები. საჭიროა მწერალი განხილულ იქნას თავის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ რ ი ო ბ ა შ ი. როგორც აღნიშნული გვქონდა, ფრ. ენგელსი სწორედ ამგვარად იხილავდა გოეთეს.

აღსანიშნავია, რომ ეს წინააღმდეგობრიობა ახასიათებს გოეთეს თავისი შემოქმედების არა ერთ რომელიმე საფეხურზე, არამედ მთელი თავისი ევოლუციის მანძილზე. გოეთეს ქეშმარიტი სახის დასადგენად, კერძოდ, საფრანგეთის რევოლუციისადმი მისი დამოკიდებულების შესასწავლად უნდა გამოვიდეთ მისი ამ წინააღმდეგობრიობიდან, რაც გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობრიობის გამოხატულებას წარმოადგენს.

ბურჟუაზიული რევოლუციებისადმი გოეთეს დამოკიდებულების გამოსაკვლევად, ბუნებრივია, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება მწერლის იმ ნაწარმოებებს, რომლებიც შეიქმნა რევოლუციის ეპოქაში და სხვადასხვა მხრით, პირდაპირ თუ ირიბად, ეხება რევოლუციის თემას. ეს ასეა, მაგრამ სწორი არ ვიქნებით თუ ამ საკითხის გადასაწყვეტად შემოვიფარგლებით მხოლოდ ამ რიგის ნაწარმოებებით და არ განვიხილავთ იმ ნაწარმოებებსაც, რომლებიც დაიწერა საფრანგეთის რევოლუციამდე, მაგრამ არსებითად იმ საკითხებს ეხება, რომელთა პრაქტიკულად გადაწყვეტას რევოლუციის გამარჯვებას უკავშირებდნენ. რომ გაირკვეს, თუ როგორია გოეთეს კონცეფცია რევოლუციისა, აუცილებელია იმ ნაწარმოებების შესწავლა, რომლებშიაც მწერალი ფეოდალური საზოგადოებისადმი თავის დამოკიდებულებას გადმოსცემს, აკრიტიკებს ფეოდალურ-იუნკერულ გერმანიას.

თ ა ვ ი I

ფეოდალური საზოგადოების კრიტიკა გოეთეს რევოლუციამდელ ნაწარმოებებში

იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებშიაც გოეთე უმხედრდება ფეოდალურ საზოგადოებას და რომლებიც, მთლიანად თუ ნაწილობრივ, შეიქმნა საფრანგეთის რევოლუციამდე, განსაკუთრებით აღსანიშნავია „გოეცი", „პრომეთე" და „ფაუსტის" პირველი ნაწილი. 1773 წელს გოეთე ამთავრებს მუშაობას დრამაზე — „გ ო ე ც ფ ო ნ ბ ე რ ლ ი ხ ი ნ გ ე ნ ი", რომელიც თავდაპირველად ატარებდა სახელწოდებას „დრამატიზებული ისტორია რკინისხელა გოტფრიდ ბერლიხინგენისა". გოეცის ისტორიული პროტოტიპია XVI საუკუნის რაინდი გოტფრიდ ბერლიხინგენი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი დაუდგრომლობით, არ ცნობდა მისი მოქმედების შემზღუდავ პირობებს. იგი გამუდმებით ებრძოდა სხვადასხვა საერო და სასულიერო ფეოდალს, განსაკუთრებით, — ბამბერგის ეპისკოპოსს.

ახალგაზრდა, „ქარიშხლისა და შეტევის" ლიტერატურის ფარვატერში მოქცეული გოეთე ძლიერ დაინტერესდა ისტორიული გოეცით, ამ უკანასკნელის ქრონიკებით და შეუდგა მის გულმოდგინედ შესწავლას. უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი ბრმად არ გაჰყოლია ისტორიულ წყაროს, სავალდებულოდ არ გაუხდია ისტორიული სიზუსტის სრულად დაცვა. მან დრამაში მთელი რიგი ახალი პერსონაჟი გამოიყვანა. ასე, მაგალითად, ავტორის მიერ გამოგონილი პერსონაჟებია: ადელჰაიდი, ელისაბედი, მარიამი, გეორგი, ფრანც ლერზე და ვაისლიგენი. ნაწარმოებში ახალი მო-

ტიეების სახით წარმოდგენილია მარტინისა და გოეცის შეხვედრის სცენა, სატუსაღოში გოეცის სიკვდილის სცენა და სხვა. ისტორიული გოეცი მოკვდა დაახლოებით 80 წლისა, დრამატიზებული გოეცი კი კვდება გაცილებით უფრო ახალგაზრდა. აღსანიშნავია, რომ ისტორიულმა გოეცმა მონახა საერთო ენა ტირანიასთან, განუდგა გლეხობას და თავისუფლად ცხოვრობდა თავის კოშკში, რაც არ ითქმის გოეთეს მიერ დრამატიზებული გმირის შესახებ.

ეს ცვლილებები არ არის შემთხვევითი ხასიათის, არამედ ორგანულად უკავშირდება სოციალური საკითხების იმ გაგებას, რომელსაც ამ პერიოდში გოეთე იძლევა, უკავშირდება ფეოდალური საზოგადოებისადმი მისი დამოკიდებულების საკითხს. ცვლილებები გოეცის პერსონაჟში ნაწარმოების გმირთა გალერეაში გაპირობებულია იმით, რომ გოეთეს სურს ახლებური გაშუქება მისცეს ისტორიული გოეცის საქმიანობას, XVI საუკუნის გმირში წინ წამოსწიოს ის მხარეები, რაც გულთან ახლოს უდგებოდა ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის ადამიანს *.

---

* ცხადია, იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ძაღალხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოების შექმნაში გოეთე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მხატვრის ნიჭსა და ოსტატობას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თვით მასალას, მის ხასიათს. „პოეტმა, ისე როგორც სახვითმა ხელოვანმა, გადმოგვცემს გოეთე წერილში — „ბუნების ფილოსოფია“, უპირველესად უნდა გაითვალისწინოს, რომ ის მასალა, რომლის დამუშავებაც მას განუზრახავს, არის თუ არა იმ სახის, რომ მისგან მიღებულ იქნას მრავალფეროვანი, სრულყოფილი და საკმაო ნაწარმოები“ (Goethes sämtl. Werke, Stuttg. u. Augsburg, 1840, Bd. III, S. 1). მაშასადამე, ყველა მასალა, გოეთეს აზრით, არ გამოდგება ხელოვნებისათვის, არამედ — გარკვეული ხასიათის მასალა. მართალია, მწერალი არ ავითარებს თავის ამ დებულებას, არაფერს ამბობს იმის შესახებ თუ რაში უნდა იხატებოდეს მხატვრული შემოქმედების მასალის ეს თავისებურება, მაგრამ ეკვი არ რჩება, რომ მას მხედველობაში აქვს ის მხარე, რითაც ეს მასალა, იქნება ის აღებული თანადროულობიდან თუ წარსულიდან, ეხმაურება თანადროულობას, მის მოწინავე მისწრაფებებს.

ირკვევა, რომ გოეთე წინააღმდეგია მასალისადმი ხელოვანის განურჩეველი დამოკიდებულების, მოითხოვა მისდამი გარკვეული თვალსაზრისით მიდგომას, წინასწარ გაანალიზებას იმისას თუ რამდენადაა შესაძლებელი ამ მასალისაგან ხელოვნების მაღალხარისხოვანი ძეგლის მიღება. თუ ეს პირობა არ არის დაცული, მაშინ ხელოვანის მთელი შრომა ფუჭად ჩაივლის. ხელოვნების დიდ ოსტატს ასეთი მასალისაგან შეუძლია შექმნას მაინც მოხდენილი ნაწარმოები (meisterhafte Ausführung), მაგრამ ასეთ ნაწარმოებს შეუძლია მხოლოდ წუთიერად მიიპყროს ყურადღება იმ ადამიანისა, რომელსაც ხელოვნების გაგება შეუძლია, წუთიერად და არა ხანგრძლივად, რადგან მასში იგი მალე აღმოაჩენს სულიერ სიცალიერეს (das Geistlose). ამავე აზრს ანვითარებს გოეთე „პოეშმა-

გოეცის ისტორიული ხასიათის გაშუქებაში ჩანს XVIII საუკუნის მოწინავე, მებრძოლ-დემოკრატიული თვალსაზრისის მწერალი, რომელიც ისტორიულ მასალას, მისი არსის დაუმახინჯებლად, იყენებს თავისი მებრძოლი, ანტიფეოდალური სულისკვეთების გამოსამჟღავნებლად. ამ ნაწარმოებში გაისმის ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ ამხედრებული მწერლის გაბედული პროტესტისა და ბრძოლის ხმა, მწერლისა, რომელიც გრძნობს, რომ ფეოდალური წყობილების საფუძველი შერყეულია.

გოეთეს სასახელოდ უნდა ითქვას არა მხოლოდ ის, რომ მან ისტორიული ფაქტის გაშუქება თანადროულობის მწვავე საკითხების გარკვევას დაუკავშირა, არამედ ისიც, რომ მას, ისტორიული ფაქტების განსხვავებულად წარმოდგენის მიუხედავად, არ დაურღვევია საფუძველში ისტორიული ჭეშმარიტება, არ გაუყალბებია XVI საუკუნის გერმანიის ისტორია. თვით გერმანიის ისტორიის ასეთს, ერთი შეხედვით თითქოს ნებისმიერ, გაშუქებაში, როგორც ამას ჰეგელი მიიჩნევდა, ჩანს გოეთეს მართალი ისტორიული ხედვა, წერის რეალისტური მანერა. მწერალი ცვლის ზოგიერთ ისტორიულ ფაქტს თვით ისტორიის არსის დაუმახინჯებლად და ამას აღწევს მით, რომ მშვენივრად ახერხებს წარსულში შენიშნოს და გამოჰყოს ის, რაც თანადროულობას ეხმაურება.

XVI საუკუნის გერმანიის დიდი ისტორიული ამბების ფონზე გოეცის ისტორია მწერალს აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ხედავს საერთოს ამ ეპოქასა და თავის ეპოქას შორის. გოეცში, მისი მკვეთრად გამოხატული კონსერვატულ-მონარქიული განწყობილების მიუხედავად, იგი ხედავს ისეთ ადამიანს, რომელიც ეხმაურება ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქას.

უცქერის რა ამგვარად გერმანიის ისტორიის ამ შესანიშნავ ეპოქას, გოეთე იჩენს დიდ ისტორიულ ალღოს, ისტორიის მატერიალისტური გაგების უნარს. ცნობილია, რომ XVI საუკუნეში გერმანიის წინაშე იგივე კარდინალური საკითხი იდგა, რაც XVIII საუკუნეში, ბატონყმური წყობილების დამხობისა და ბურჟუა-

---

რიტება და პოეზიაში", აღნიშნავს, რომ გენიას, ტალანტს შეუძლია ყველაფრისაგან ყველაფრის გაკეთება, შეუძლია ყველაზე ჰირვეული (widerspenstigsten) მასალის დაუფლებაც, მაგრამ ამის შედეგად მიიღწევა არა ხელოვნების ქმნილება, არამედ ფოკუსი („entsteht aber alsdann immer mehr ein Kunststück als ein Kunstwerk". Goethes sämtl. Werke, Berlin, 1879, Bd. 17-18, S. 280).

ზიული საზოგადოების შექმნის საკითხი. XVI საუკუნის გერმანიის რევოლუციას, რომელსაც ლ ე ნ ი ნ ი ძველი დროის ბურჟუაზიულ რევოლუციებს შორის იხსენიებს[1], უნდა გადაეწყვიტა ის საკითხი, რაც ასე მწვავედ ისმება გოეთეს დროის ევროპაში. და როცა მწერალმა თავისი არჩევანი გერმანიის ისტორიის ამ საინტერესო ეპოქაზე შეაჩერა, მან ამით, ბუნებრივია, ცხადყო თავისი მოწინავე სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები, ფეოდალური წყობილებისადმი აშკარად კრიტიკული დამოკიდებულება.

გოეთეს ეს ანტიფეოდალური, მებრძოლ-დემოკრატიული შეხედულებები თავს იჩენს დრამისათვის არამხოლოდ სათანადო ისტორიული ფონის დაძებნაში, XVI საუკუნის გერმანიის ისტორიის ზოგადი საკითხების მიახლოებით სწორ გაგებაში, არამედ ამ ეპოქის ᲐᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ სოციალურ-პოლიტიკური მიმდინარეობის მიახლოებით ასეთივე სწორ გაგებაში. ამ მხრივ პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას იქცევს ის, თუ როგორ აფასებს მწერალი XVI საუკუნის გაბატონებულ სოციალურ ძალას, გერმანიის მსხვილ ფეოდალებს.

გოეთეს სწორი ისტორიული ხედვა, მისი მებრძოლ-დემოკრატიული შეხედულებები, წერის რ ე ა ლ ი ს ტ უ რ ი მანერა ჩანს იმ ფაქტში, რომ იგი წარმტაც მხატვრულ ფერებში აცოცხლებს გერმანიის ისტორიის ამ შესანიშნავ ეპოქას, გვიჩვენებს პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყანას, ერთიმეორესთან დაუსრულებელ ქიშპობაში მყოფ მსხვილ ფეოდალებს, თავნება და თავგასულებს, ანტიხალხურ, ანტიეროვნულ პოლიტიკას რომ ახორციელებენ.

მწერალი მშვენივრად მიმხვდარა, რომ ფეოდალური რეჟიმი XVI საუკუნის გერმანიაში არ არის მყარი, რომ ფეოდალური საზოგადოების შიგნით მომწიფებულია რევოლუციური ძალები, რომელთაც გერმანიის განვითარება ა ხ ა ლ ი გზით უნდა წაიყვანონ. მას გათვალისწინებული აქვს, რომ ფეოდალური კლასების ბანაკი ამ პერიოდში დაშლას იწყებს, რომ მსხვილი ფეოდალები კვლავინდებურად ებრძვიან ერთიმეორეს, გათვალისწინებული აქვს, რომ მსხვილ ფეოდალთა წინააღმდეგ ოპოზიციურად არიან განწყობილი წვრილი ფეოდალები, რაინდობა. ამ ფონზე ხატავს გოეთე ისტორიული გოეცისა და ფრანც ფონ ზიკინგენის ტრაგედიას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. XV, თბილისი, 1950, გვ. 55.

ცნობილია, რომ ისტორიული გოეცი ეკუთვნოდა რაინდთა წოდებას, რომელმაც XVI საუკუნეში ჰუტენისა და ზიკინგენის მეთაურობით მოაწყო აჯანყება მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ, წამოაყენა რა აზნაურული დემოკრატიის დამყარების პროგრამა, აზნაურული დემოკრატიისა, რომლის სათავეშიაც მონარქი იყო ნავარაუდევი[1]. ისტორიული გოეცი იმ დროს ცხოვრობდა, როცა რაინდობა აშკარად დეგრადაციის გზაზე იყო დამდგარი, როცა გზას იკაფავდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაღუპვას უქადდა ძველს ფეოდალურ ურთიერთობას. გოეცი მოღვაწეობდა გერმანიაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების, ფეოდალური წყობილების და მისი დამცველი იდეოლოგიის წინააღმდეგ გაშლილი ბრძოლების ეპოქაში. მთელს ფეოდალურ კლასთან ერთად დასაღუპად განწირული გერმანელი აზნაურობა ცდილობს თავი დააღწიოს დაღუპვას მსხვილი საერო და სასულიერო ფეოდალებისათვის სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმის ხელიდან გამოტაცებით, ფეოდალური წყობილების საფუძვლების ხელუხლებლად დატოვების პირობებში. მის მიზანს შეადგენდა არსებული სოციალური წყობის არა საფუძვლიანი გარდაქმნა, არამედ მისი შელამაზება, ძველი მუშტის უფლების აღდგენა[2].

ამგვარი წინააღმდეგობა ახასიათებდა აზნაურულ მოძრაობას, ამ მოძრაობის მეთაურებს ჰუტენსა და ზიკინგენს. ამიტომ იყო, რომ ფ. ლასალის დრამის — „ფრანც ფონ ზიკინგენის“ განხილვისას კ. მარქსი მკვეთრად აკრიტიკებდა ისტორიულ ზიკინგენს იმის გამო, რომ იგი მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდა რაინდების და არა იმ დროის რევოლუციური კლასების პოზიციებიდან, რომ იგი ამ ბრძოლაში არ ახდენდა აპელაციას ქალაქებისა და გლეხებისადმი[3].

აზნაურული რევოლუციის მეთაურთა ეს წინააღმდეგობა, მათი წარმოსახვითი რევოლუციურობა, კიდევ უფრო მკვეთრადაა მოცემული ისტორიულ გოეცში, ამ „საცოდავ სუბიექტში“, როგორც მას მარქსი უწოდებდა[4]. ისტორიული გოეციც მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ ილაშქრებდა რაინდთა და არა იმდროინდელი

---

[1] Ф. Энгельс. Крестьянская война в Германии, Москва, 1952. стр. 67.

[2] Marx-Engels über Kunst und Literatur, 91.

[3] Ф. Энгельс. Крестьянская война в Германии, 143.

[4] Marx-Engels über Kunst und Literatur, 91.

რევოლუციური კლასების პოზიციიდან, მიზნად ისახავდა რა ფეოდალური წყობილების საფუძვლების ხელუხლებლად დატოვებას. ბუნებრივია, რომ ამგვარ წინააღმდეგობრიობას აზნაურული მოძრაობის მეთაური, გოეცი საბოლოო ჯამში უნდა მიეყვანა, და მიიყვანა კიდევაც, მსხვილ ფეოდალებთან შეთანხმებამდე, გლეხთა რევოლუციური მოძრაობის დროებითი თანამგზავრობიდან—ამ მოძრაობის ღალატამდე.

სწორედ იმიტომ, რომ ისტორიულად ადგილი არ ჰქონია რაინდული მოძრაობის საფუძვლიან დაკავშირებას XVI საუკუნის პლებეურ-ბურჟუაზიულ მოძრაობასთან, აკრიტიკებდნენ მარქსი და ენგელსი ლასალს, რომელმაც თავის დრამაში ამგვარი კავშირის დახატვა განიზრახა. ენგელსი მიუთითებდა ლასალს, რომ ასეთ დაკავშირებას არ ამართლებს ისტორიული სინამდვილე, რომ ამგვარ კავშირს შეუძლებლად ხდიდა ის სერიოზული ეჭვები და უნდობლობა, რომელიც გააჩნდა ურთიერთისადმი პლებეებსა და რაინდებს.

სწორად მოიქცა გოეთე თუ არა, როცა მან თავის დრამაში გამოიყვანა „საცოდავი სუბიექტი", ისტორიული გოეცი, როცა ეს უკანასკნელი დააახლოვა მაინც გლეხთა რევოლუციურ მოძრაობასთან? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სწორად მოიქცა. მწერალი სწორად მოიქცა, როცა თავისი დრამისათვის მასალა XVI საუკუნიდან აიღო, ასევე სწორად მოიქცა, როცა გოეცი ასე თუ ისე პლებეების მოძრაობასთან დააახლოვა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მწერლის არჩევანს განსაზღვრავდა იმ ამოცანების შეგნება, რომლებსაც მის წინაშე ეპოქა აყენებდა, მოეცა ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლის სულით გაჟღენთილი ნაწარმოები. კ. მარქსს მართებულად მიაჩნდა, რომ გოეთემ თავისი ტრაგედიის ცენტრში მოაქცია ისტორიული გოეცი, რომლის პიროვნებაში თავისი ადექვატური ფორმით მოცემული იყო ტრაგიკული წინააღმდეგობა, ერთი მხრით, რაინდობასა და, მეორე მხრით, მეფესა და თავადებს შორის[1].

კ. მარქსი მიუთითებს, რომ ისტორიული გოეცი საკვლევით გამოდგებოდა ტრაგიკულ გმირად, რადგან მასში მოცემული იყო ის ნიშანი, რაც ტრაგიკული გმირისათვისაა აუცილებელი, სახელდობრ, შინაგანი წინააღმდეგობა. ამგვარი წინააღმდეგობის ბუნებრივი შედეგი უნდა ყოფილიყო რაინდული მოძრაობის დამარცხება, თვით ისტორიული გოეცის დამარცხება. ეს წინააღმდეგობა მოიხსნებოდა იმ შემთხვევაში, თუ გოეცი მსხვილი ფეოდალების

[1] Ф. Энгельс. Крестьянская война..., 143.

წინააღმდეგ ბრძოლისას გამოვიდოდა არა რაინდების, არამედ რევოლუციური კლასების პოზიციიდან; მაგრამ გოეცის ასეთი ნაბიჯი სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა, ასეთ შემთხვევაში იგი ტრაგედიის გმირიც ვერ გახდებოდა, რადგან მის მოქმედებაში უკვე არ ექნებოდა ადგილი ტრაგიკულ კოლიზიას.

გოეთემ აიღო ისტორიული გოეცი და აქცია იგი ტრაგედიის ცენტრალურ გმირად სწორედ იმიტომ, რომ იგი თავისი მოქმედებით ტრაგიკული გმირია, ასახავს იმ ღრმა წინააღმდეგობას, რომელიც რაინდთა მოძრაობას ახასიათებდა, სახელდობრ, რაინდთა დაპირისპირებას მსხვილი ფეოდალებისადმი ერთი მხრივ, მეორე მხრივ, მათ უუნარობას დაკავშირებოდნენ რევოლუციურ კლასებს.

გოეთეს ინტერესს ისტორიული გოეცისადმი არა მხოლოდ ამ რაინდში წინააღმდეგობრიობის დანახვა განაპირობებდა, რადგან წინააღმდეგობრიობა მას სხვა ისტორიულ გმირშიაც შეეძლო დაენახა. წინააღმდეგობრიობა გოეცისა მწერალს იზიდავდა არა როგორც თავისთავად დრამის აგებისათვის აუცილებელი მომენტი, არამედ როგორც თავისებური ხასიათის მქონე წინააღმდეგობა. ეს თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ გოეცი, მისი სურვილის საპირისპიროდ, იბრძვის იმის წინააღმდეგ, რაც მოძველებული და უარსაყოფია, იბრძვის მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ. თქმა არ უნდა, გოეთე ხედავს ისტორიული გოეცის შეზღუდულობას, ხედავს ფეოდალთა წინააღმდეგ მისი ბრძოლის შეზღუდულ ხასიათს. მწერალი ხატავს მას ღრმა წინააღმდეგობრივ გმირად, მაგრამ მასში ამჩნევს ისეთ მხარესაც, რომელიც გოეცს, მისი გაგებით, ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების თანამგზავრად აქცევს.

გოეთეს გაგებითაც ისტორიული გოეცი შეზღუდული რაინდია, მაგრამ ამასთანავე მაინც არსებულის წინააღმდეგ მებრძოლი, ბუნტარი. რომ გოეთეს ამ შემთხვევაშიაც არ ღალატობს ისტორიული ალღო, ამას გვიდასტურებს ის გარემოება, რომ ფრ. ენგელსიც ისტორიულ გოეცს ახასიათებდა არა მხოლოდ როგორც პლებეური მოძრაობის მოწინააღმდეგეს, არამედ როგორც მეამბოხეს. „გოეთემ დასწერა „გოეც ფონ ბერლიხინგენი", წერს ენგელსი, — დრამატიული შექება მეამბოხის ხსოვნისა" [1].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. V, гл. 7.

ისტორიულ გოეცში გოეთეს ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ ამ გმირის ბუნტარობა, არამედ მისი მისწრაფება ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისადმი, ე. ი. ის საკითხი, რომელსაც ერთობ აქტიური მნიშვნელობა ჰქონდა როგორც XVI საუკუნის, ისე გოეთეს დროის გერმანიისათვის. ისტორიულ გოეცში დიდი გერმანელი მწერალი ხედავს ფეოდალური პარტიკულარიზმის, თავადების თვითნებობისა და თავგასულობის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციას. თვით ის გარემოება, რომ ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლა გოეცს შეუთავსებია მეფისადმი პატივისცემასთან, იმაზე მიგვითითებს, რომ გოეცი მას მიაჩნია ქვეყნის ნაციონალური ერთიანობისათვის მებრძოლად.

დასასრულ, გოეცისადმი გოეთეს ინტერესს განაპირობებს ის გარემოება, რომ გოეცი მწერლის გაგებაში სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლია; ის, მართალია, თვითონაც აწყობს ხოლმე თავდასხმებს, მაგრამ თავისი მისწრაფებებით იგი განსხვავდება გერმანელი ფეოდალებისაგან.

ამგვარად შეხედა გოეთემ ისტორიულ გოეცს, იგი თავისი ტრაგედიის ცენტრალურ გმირად აქცია, აღჭურვა მოწინავე იდეალებით, თავისუფლებისა და სამართლიანობისადმი მისწრაფებით. ეს სწორედ ის ნიშნებია, რომლებიც გოეცს ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებულ გმირად აქცევს.

გოეთეს მიერ დახატული გოეცი მიზნად ისახავს არა საერთოდ ფეოდალური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ ბრძოლას მის ცალკე მანკიერებათა წინააღმდეგ. დრამატიზებული გოეცი სუბიექტურად დაკავშირებულია თავის წოდებასთან, მაგრამ ფაქტების ლოგიკას იგი ობიექტურად მიყავს თავისი წოდების წინააღმდეგ. მისი სოციალური იდეალები, მიუხედავად ბუნდოვანებისა, ეხმაურება უფრო დაბალი სოციალური ფენების მისწრაფებებს, ვიდრე XVI საუკუნის გერმანელი რაინდების პოლიტიკურ მისწრაფებებს.

გოეთეს სუბიექტურად არ გაუთიშავს გოეცი თავისი სოციალური წრიდან, მაგრამ ობიექტურად იგი თავისი დროის მოწინავე იდეალებით შეამკო. ამ ფონზე წარმოგვიდგინა მან გოეცის წინააღმდეგობრიობა, მისი ტრაგედია. ამით მწერალმა უთუოდ მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა ისტორიულ გოეცის ხასიათში, მისი წინააღმდეგობრიობის დახატვაში თვალსაჩინო ადგილი დაუთმო იმ გარემოებას, რომ გოეცი, ნებით თუ უნებლიეთ, გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თანამგზავრი გახდა. რაინდთა მოძრაობის წარმომადგენელთა დახატვისას მწერალმა შესძლო

თავი დაეღწია იმ ნაკლისათვის, რომელიც კ. მარქსმა ფ. ლასალის მიერ დრამატიზებულ ზიკინგენის დრამაში შენიშნა, სახელდობრ ის, რომ ზიკინგენი არ ახდენს აპელაციას ქალაქებისა და გლეხობისადმი. განსხვავებით ლასალის ზიკინგენისაგან, გოეთეს მიერ დახატული გოეცი უკავშირდება გლეხთა მოძრაობას მაშინ, როდესაც ლასალთან ასეთი დაკავშირების პერსპექტივა ისახება მხოლოდ, პრაქტიკულად კი გლეხთა მოძრაობის სურათები ნაჩვენები არაა.

გოეთეს მიერ დახატული გოეცი უპირისპირდება არა საერთოდ ფეოდალებს, არამედ ზოგიერთ ფეოდალს; იგი ფიქრობს, რომ არსებობენ ორი კატეგორიის ფეოდალები, კეთილი და ბოროტი ფეოდალები. ცხადი ხდება, რომ თავადების უმრავლესობას გოეცი ამ მეორე კატეგორიაში ათავსებს. ამათ გოეცი თვლის ისეთ ადამიანებად, რომელთაც არა ქვეყნის, არამედ თავიანთი პირადი ინტერესები ამოძრავებთ. გოეცი თვლის, რომ ფეოდალების უმრავლესობაა დამნაშავე იმაში, რომ გერმანელ ხალხს არ აქვს მშვიდობიანი ცხოვრება. იგი გადაჭრით უარყოფს ვაისლინგენის მტკიცებას, რომ ფეოდალებს თითქოს ქვეყნად მშვიდობის დამყარება სწადდეთ. „თვითეული მტაცებელი ფრინველის სურვილია, ამბობს იგი, ჰქონდეს საშუალება, რათა მშვიდად და დაუბრკოლებლად შეექცეოდეს თავის მსხვერპლს“. გოეცი გადაჭრით წინააღმდეგია, რომ თავადები ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლებად ჩათვალონ. „თვითეული მოქალაქის კეთილდღეობა, წამოიძახებს გოეცი, ამაზე ზრუნვით მათ თმაში ჭაღარა არ გაეერევათ“.

გერმანელი თავადები, გოეცის გაგებით, არიან მთავარი მიზეზი იმ გართულებისა, რომელიც აქვს ქვეყანას საგარეო ფრონტზე. ისინი მოხერხებულად სარგებლობენ სასახლის წრეების დაბნეულობით და, მეფეს ამოფარებულნი, გაჰყვირიან მშვიდობიანობაზე, სახელმწიფოს უშიშროებაზე, ამავე დროს კი ფეხქვეშ თელავენ დაბალ წოდებებს. თავადები თავიანთი მიზნისათვის იყენებენ ქვეყნის საგარეო ფრონტზე შექმნილ გართულებას. „მე დავიფიცებ, ამბობს გოეცი გერმანელი თავადების შესახებ, რომ ბევრი მათგანი მადლობას სწირავს ღმერთს იმისათვის, რომ ოსმალო გასაქანს არ აძლევს იმპერატორს“.

როგორც ვხედავთ, გოეცში მწერალმა ჩააქსოვა თავისი ანტიფეოდალური, მებრძოლ-დემოკრატიული შეხედულებები, აშკარა გახადა ფეოდალური საზოგადოებისადმი თავისი კ რ ი ტ ი კ უ ლ ი დამოკიდებულება. ეს თავისი შეხედულებები გოეთემ გამოათქმე-

ვინა ბუნტარ გოეცს, რომლის გაგებაშიაც ფეოდალები არიან სოციალური ბოროტების განსახიერება, ფეხქვეშ გამთელნი ხალხის ინტერესებისა. გოეცის მოწინააღმდეგეები, ბამბერგის ეპისკოპოსი და ვაისლინგენი კრიტიკის საგნადაა ქცეული სწორედ იმიტომ, რომ ისინი აბუჩად იგდებენ ადამიანს, სამართლიანობას. „საქმე ისაა, ეუბნება გოეცი ვაისლინგენს, თუ ვის მხარეზეა სინათლე და სამართლიანობა. თქვენს შეხედულებებს, მეტი რომ არა ვთქვა, სინათლისა ეშინია“ [1].

---

[1] ეს გარემოება ცხადს ხდის უსაფუძვლობას ვ. ჰ ე ნ ი ს შეხედულებისა, რომლის მიხედვითაც გოეთეს ამ დრამაში დაღმავალი ქვეყანა, იგულისხმება ფეოდალური ურთიერთობა, დასახულია როგორც კეთილშობილური, ადამიანური, შესაბრალი ქვეყანა, მაშინ, როდესაც მის სანაცვლოდ მომავალი საზოგადოება დახატულია როგორც ბოროტი და ზიზღის მომგვრელი. ჰენი წერს: „Keiner von ihnen erwähnt (ლაპარაკია კრიტიკოსთა შესახებ—გ. ხ.), dass in dem Drama die Untergehende Welt als die edle, menschliche, mitleidwerte, die aufgehende als die boshafte, hassenswürdige geschildert werde (W. H e h n. Gedanken über Goethe, Berlin, 1825; S. 53).

ჰენს უთუოდ მხედველობაში აქვს გოეცის უკანასკნელი მონოლოგი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ დადგება დრო ბილწებისა და მატყუარების. ეს, მართალია, ოომ გოეცი მისტირის: წარმავალს და ზიზღით იხსენიებს იმ „გაფუჭებულ ქვეყანას“, რომელიც ამ წარსულის სანაცვლოდ უნდა მოვიდეს. მაგრამ ეს არაფრ და არამც არ ნიშნავს, რომ ნაწარმოებში ეს წარმავალი ფეოდალური წყობა დადებით ფერებშია მოცემული. ბწერალი დიდი დამაჯერებლობით გვიჩვენებს ამ ნაწარმოებში ფეოდალური წყობილების მანკიერებას, ერთ შტრიხსაც არ იყენებს, რომ დახატოს ეს სახოგადოება მომხიბლავ ფერებში. ეს სახოგადოება მისთვის არის საძულველი და ამიტომ გამოყავს მის წინაალმდეგ ამხედრებული გმირები, აშიშვლებს მის იარებს. მართალია, ამ გმირებს წინაალმდეგობა ახასიათებთ, ისინი ვეო ახერხებენ ამ სახოგადოებასთან იდეური კავშირის ბოლომდე გაწყვეტას, კიდევაც დარდობენ ხოლმე მისი დაღუპვის გამო, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი უახლოვდებიან იმ ძალებს, რომელთაც სახოგადოების რევოლუციური გარდაქმნა უნდა მოახდინონ, ხედავენ რა სამართლიანობას ამათ და არა ფეოდალების მხარეზე. ამდენად, ის გარემოება, რომ გოეცი მისტირის წარმავალს, გრძნობს, რომ მისი საკუთარი „ფესვები მოგლეჯილია“, არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ეს წარმავალი მის გაგებაში კეთილშობილური და ადამიანურია, მით უფრო არ ნიშნავს იმას, რომ თვით მწერალი ქმნიდეს ნაწარმოებში ამ წარმავალი სახოგადოებისადმი თანაგრძნობის ატმოსფეროს.

რაც შეეხება მომავალს, რომელმაც ეს წარმავალი უნდა შეცვალოს, იგი ნაწარმოებში, როგორც აღენიშნეთ, მართლა მუქ ფერებშია დახატული და ამ მხრივ ჰენის დებულება დავას არ იწვევს. მაგრამ იგი დავას იწვევს იმ მხრივ, რომ აიგივებს მომავლის გაგებას გოეცისა და თვით ნაწარმოების ავტორის მიერ მაშინ, როცა ამგვარი გაიგივებისათვის საფუძველი არ არსებობს. როგორც გოეცი, ისე გოეთე ხედავს, რომ წარსული იღუპება და გზას უთმობს ახალს, მაგრამ ისინი სხვადასხვაგვარად უცქერიან ამ მომავალს. გოეცისათვის ეს მომა-

იბრძვის რა სამართლიანობისათვის, ვერაგებისა და ბილწების წინააღმდეგ, გოეცი თავის გარშემო იკრებს და იდეურად ურთიერთთან აკავშირებს მისებრ სამართლიანობის მოყვარე ადამიანებს — ზელბიტცს, ლერზეს, ზიკინგენსა და სხვას, რომლებიც მამაცურად იბრძვიან გოეცის მიერ დაწყებული საქმისათვის, რადგან ეს საქმე მათ სახალხო საქმედ მიაჩნიათ. არ ჩანს, რომ მართალი საქმისათვის ამგვარ ბრძოლაში მათ რაიმე ანგარება, ვიწრო კასტური ინტერესები ამოძრავებდეთ. გოეთეს მიერ დახატული რაინდები ობიექტურად შორდებიან თავიანთ სოციალურ წრეს, ფეოდალებს და ფართო მასების მისწრაფებებით იმსჭვალებიან, ფაქტობრივად გოეცისებრ ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ იბრძვიან, ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრებულ ადამიანთა ბანაკს წარმოადგენენ. მათ დროშასაც სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგები აწერია. თავისუფლების სიდღეგრძელოს სვამენ ისინი კრიტიკულ წუთებში, თავისუფლებას შეტრფის გოეცი სიკვდილის წინა წუთებშიაც. სიტყვა „თავისუფლება“, გაისმის როგორც აპოთეოზი ამ შესანიშნავი დრამისა.

ვალი არ ნიშნავს ფეოდალური წყობის დამხობას, არამედ, პირიქით, მის განმტკიცებას ნიშნავს. მან საკუთარი წარუმატებელი ბრძოლის მაგალითზე დაასკვნა, რომ იმარჯვებს არა ახალი, რევოლუციური გერმანია, არამედ ძველი ფეოდალური გერმანია, საკუთარი თვალით ნახა განადგურება იმ საქმისა, რომელსაც იგი ემსახურებოდა. მას ხელიდან გამოეცალა რაინდთა წრიდან საუკეთესო მეგობრები და ამიტომ, იმის იმედი, რომ მსხვილ ფეოდალთა ბატონობა და თარეში მოისპობა, საბოლოოდ გაუქრა. ამ ასპექტში უნდა იქნეს გაგებული გოეცის წინასწარმეტყველება, რომ დადგება დრო მატყუარებისა და არამზადების, აგრეთვე, მისი სიტყვები სათნო ელისაბედისადმი, რომ სტოვებს მას ამ „გაფუჭებულ ქვეყანაში“. არავითარი რწმენა იმისა, რომ ეს უკანასკნელი დაინგრევა და შეიცვლება ახალი, მასზე არა ნაკლებ საძულველი სოციალური წყობილებით, ამ მომაკვდავს არ გააჩნია; ეს იმ დროს, როცა დრამის ავტორი ასე არ ფიქრობს: იგი გვიჩვენებს გმირის წინააღმდეგობას, როგორც მის პრაკტიკულ მოღვაწეობაში, ისე სულიერ ცხოვრებაში და ამდენად მიეყავართ იმ დასკვნამდე, რომ გოეცის დალუპვა გარდაუვალია. მაგრამ საკითხის სწორედ ამგვარი დაყენებიდან ჩანს, რომ გოეთესა და გოეცის სოციალურ-პოლიტიკური იდეალები ერთი და იგივე არ არის, რომ საზოგადოების განვითარების შეფასებაში ისინი სხვადასხვა თვალსაზრისზე დგანან. მომავალს გოეცი შეყურებს შიშითა და ძრწოლით იმ დროს, როცა ნაწარმოების ავტორი ხედავს ისტორიულ პერსპექტივას, ოპტიმისტურად უცქერის საზოგადოების განვითარებას. სინამდვილისადმი ღრმა რეალისტურმა მიდგომამ, მაღალმა მხატვრულმა ოსტატობამ შექმნა მტკიცე წანამძღვრები, რათა გოეცისა და მისი ამალის ამ უპერსპექტივობისა და სასოწარკვეთის ატმოსფეროში მწერალს დაენახა ისტორიის განვითარების მაგისტრა-

სწორი არ ვიქნებით თუ გოეცში მხოლოდ პროგრესულ მხარეს დავინახავთ და ვერ შევნიშნავთ ამ გმირის შეზღუდულობას, მისი სოციალური შეხედულებების ბუნდოვანებას. გოეცი გამოდის არსებულის წინააღმდეგ, მაგრამ გამოდის არა გარკვეული, არამედ ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ი პოლიტიკური პროგრამით. ეს ბუნდოვანება თავს იჩენს ამ გმირის როგორც შეხედულებებში, ისე იმ გზის არჩევაში, რომელმაც ამ შეხედულებების პრაქტიკული განხორციელება უნდა უზრუნველყოს. ბუნდოვანება გოეცის იდეალების, მისი სამოქმედო პროგრამისა იმაში მდგომარეობს, რომ მას არ აქვს გათვალისწინებული, რომ სოციალური ბოროტების მოსასპობად იერიში უნდა იქნას მიტანილი მთელი ფეოდალური რეჟიმის და არა მხოლოდ ცალკე ფეოდალების წინააღმდეგ.

ადამიანთა გათავისუფლება, ქვეყნად სამართლიანობის დამყარება გოეცს შესაძლებლად მიაჩნია ფეოდალური წყობილების ხელუხლებლად დატოვების პირობებში. მას ჰგონია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გონივრულ გარდაქმნაში მთავარ როლს შეასრულებენ ე. წ. კეთილი თავადები. გოეცის შეცდომა აგრეთვე მდგომარეობს მის მიერ მეფის იდეალიზაციაში, იმის ფიქრში, რომ მეფე უმაღლესი სიკეთისა და სამართლიანობის განსახიერებაა. მას არ აქვს გათვალისწინებული, რომ მეფე დიდადაა დაინტერესებული ფეოდალური ჩაგვრის, საერთოდ სოციალური ბოროტების შენარჩუნებაში, რომ საჭირო შემთხვევაში მეფესა და თავადებს შორის ადვილად გამოიძებნება საერთო ენა.

გოეცის შეზღუდულობა ამასთანავე დანახულ უნდა იქნას იმაშიც, რომ იგი აყენებს საზოგადოების გარდაქმნის არა რევოლუციურს, არამედ ბუნტარულ პროგრამას. გოეცი კურსს იღებს არა ფეოდალური წყობილებით განაწამებ მასებზე, პლებეურ-ბიურ-

---

ლური ხაბი, ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის ბოლომდე მიყვანა. მწერლის ეს ოპტიმიზმი, ურყევი რწმენა ძველსა და დრომოჯმულზე ახალის გამარჯვებისა და შექსპირის რეალიზმის მხარის დაპერა, ყოველგვარ საფუძველს აცლის იმათ, ვისაც გოეთეს ეს დრამა მიაჩნია მისტიკურ-რომანტიკული ხასიათის დრამად. მისტიკური რომანტიზმის კარების შეღებად, ნიადაგის მომზადებად არა მხოლოდ ვალტერ სკოტის, არამედ შატობრიანისთვისაც. ახალ დროში ასეთ საფუძველშივე მცდარ ახრს ანვითარებს, მაგალითად, ა. მ. კ ა რ ე, იგი წერს: „A ec une drame gotique comme Goetz von Berlichingen et un roman comme Werther, il avait (ლაპარაკია გოეთეს შესახებ—გ. ხ.) ouvert, toutes grandes, les portes du romantisme, préparé la venue de Walter Scott et de René“, (J. M. Carré. La vie de Goethe, Paris, 1927, p. 289).

გერულ ოპოზიციაზე, არამედ ერთეულ, ძლიერი ნებისყოფის ადამიანებზე. მიუხედავად სპეტაკი მიზანსწრაფვისა, ფიზიკური და მორალური სიმტკიცისა, გოეცი და მისი მეგობრები რჩებიან მაინც ინდივიდუალისტები, რომლებიც იბრძვიან, მაგრამ ბრძოლის მიზანი წინ ნათლად არ უდგათ. ამდენად, გოეცის იდეალები, მისი სამოქმედო პროგრამა ეხმაურება „ქარიშხლისა და შეტევის“ წარმომადგენელთა სამოქმედო პროგრამას. შტიურმერების მსგავსად, ისიც პროტესტს აცხადებს, მაგრამ მისი პროტესტი არ არის ზუსტად გამიზნული და არსებითად აბსტრაქტული ხასიათისაა. მის კეთილ სურვილებს საფუძვლად იმის შეგნება უდევს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა დამოკიდებულია ადამიანების, მათი მეთაურების მორალურ სრულყოფაზე. მას არ აქვს გათვალისწინებული, რომ ადამიანთა ცხოვრების გარდაქმნისათვის საჭიროა სოციალური წყობის შეცვლა.

მიუხედავად ამგვარი შეზღუდულობისა გოეცი მაინც დადებით გმირად გვევლინება. მართალია, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში იგი ,ცალკე ტირანების წინააღმდეგ ბრძოლით იფარგლება, მაგრამ ფაქტების ლოგიკას გოეცი ობიექტურად მთელი ფეოდალური წყობის წინააღმდეგ ამხედრებამდე მიჰყავს. პროტესტი ცალკე ტირანების წინააღმდეგ ობიექტურად იღებს პროტესტისა და ბრძოლის ფორმას მთელი ფეოდალური სისტემის წინააღმდეგ. თავისი გაბედული ბრძოლით გოეცი წყალს უშვებს იმათ წისქვილზე, ვინც მიზნად ისახავდა ფეოდალური საზოგადოების საფუძვლების დანგრევას. შემთხვევითი არ არის, რომ აჯანყებული გლეხები თავიანთ მეთაურად გოეცს ასახელებენ. ისინი გოეცში ხედავენ ისეთ პიროვნებას, რომელიც უპირისპირდება მსხვილ ფეოდალებს, ცალკე ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლით ობიექტურად მთელს ფეოდალურ სისტემას ებრძვის. მათ, ცხადია, იციან, რომ სუბიექტურად გოეცი არ არის მათ მხარეს, ამას გოეცი არც მალავს. მაგრამ მათ იციან, რომ გოეცი, სურს თუ არა, სამსახურს გაუწევს ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ მასებს.

რომ გოეცის ბუნტარობა ფაქტობრივად მიმართულია ფეოდალური სისტემის წინააღმდეგ, ეს გათვალისწინებული აქვთ აგრეთვე ამ სისტემის დამცველებს, კერძოდ, ბამბერგის ეპისკოპოსსა და ვაისლინგენს. მათ იციან, რომ გოეცის ვარაუდში არ შედის არსებული სისტემის დანგრევა, მაგრამ თავისი გაბედული მოქმედებით იგი დახმარებას უწევს ამ სისტემის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციურ ძალებს, ხელს უწყობს გერმანიაში სამოქალაქო

ომის გაჩაღებას. აი რას ეუბნებიან ამის შესახებ მეფე მაქსიმალიანეს: „თუ კი ზომებს მივიღებთ ამაყი ზიკინგენის, დაუდეგარი ზელბიტცისა და ბერლიხინგენის თავიდან მოსაშორებლად, მაშინ დანარჩენებს ადვილად დავამარცხებთ. მხოლოდ ესენია, რომ მეამბოხე ბრბოებს აფხიზლებენ“. ფეოდალები ცდილობენ დაარწმუნონ მეფე, რომ სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს გოეცის გზიდან ჩამოშორებას.

გოეცის წინააღმდეგობაც იმაშია, რომ იგი სპრის იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ ზის, თავისი ბუნტარული საქციელით იმათ უწყობს ხელს, ვინც ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ იბრძვის. იგი იძულებული ხდება დაარღვიოს იმპერატორისადმი მიცემული ფიცი, რომლის მიხედვით იგი უნდა გამოთიშოდა პოლიტიკურ ცხოვრებას და თავის ციხე-კოშკში დარჩენილიყო. გოეცისათვის აუტანელი ხდება ამგვარი პოლიტიკური იზოლაცია. მშფოთვარე ბუნება მას მოქმედებისაკენ, ბრძოლისაკენ მოუწოდებს, „მდგომარეობათა ძალა“ მას გლეხებთან დაახლოებისაკენ უბიძგებს. არა ნუჭარის შედეგად ეთანხმება იგი გლეხებს გახდეს ნათი მეთაური, არამედ ფაქტების კარნახით, რაოდენ არ განიზიდავდეს მას აჯანყებული გლეხების სოციალური პროგრამა. გოეცი კიცხავს გლეხებს იმისათვის კი არა, რომ მათ აჯანყება დაიწყეს, არამედ იმისათვის, რომ ბრძოლაში მკაცრი ზომები გამოიყენეს. მას, მართალია, სურს, რომ მოძრაობამ მიიღოს რაც შეიძლება ნორმალური ხასიათი, ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები სისხლი დაიღვაროს, არ განადგურდეს მატერიალური ღირებულებანი, მაგრამ მას სრულიადაც არ სურს გლეხთა მოძრაობის დამარცხება. საფუძველი არ არის ვიფიქროთ, რომ მას განზრახული ჰქონდეს ზურგში მახვილი ჩასცეს აჯანყებულ გლეხობას.

გოეცი მიყვება აჯანყებულ გლეხებს, მისი მებრძოლ-ჰუმანიური მისწრაფებები ხ.ძლევს კონსერვატიულ მისწრაფებებს. კვდება ეს მედგარი .სულის ადამიანი, რომელსაც მუხლი არ მოუდრეკია მტრების წინაშე, მაგრამ მას სამარეში თან მიაქვს მწარე გრძნობა, რომ ცოცხლად დარჩენილებს მოუხდებათ ცხოვრება ამ „გაფუჭებულ ქვეყანაში“, რომ დადგება დრო მატყუარებისა, როცა არამზადები დაიწყებენ გამგებლობას, როცა მახეში გაებმებიან კეთილშობილი ადამიანები. თუ ვინ იქნება ეს „ტანჯული კეთილშობილები“, ან ეს მატყუარები, ამაზე გოეცი არაფერს ამბობს, .მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ის გულისხმობს იმათ, ვინც სოციალურ ბოროტებას იცავს.

გოეცი შეუძლებელს ხდის თავის ბანაკსა და ტირანიას შორის შერიგებას. შერიგების მომენტი დრამაში თითქოს ვაისლინგენის სახითაა მოცემული, როცა იგი ხევს იმ დოკუმენტს, რომელშიაც გოეცის სიკვდილის განაჩენი სწერია. ასევე შერიგების მიზნითაა დრამაში თითქოს გამოყვანილი მეფის პერსონაჟი. მეფე მოითხოვს, რათა ლმობიერად მოეპყრან გოეცს. მისი ნაბიჯი კარგად მოფიქრებული და მოზომილია. მხოლოდ ვაისლინგენსა და ნაწარმოებში გამოყვანილი კაპიტანის მსგავს პირებს შეუძლიათ აირჩიონ გოეცის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა გზა, თუ არა ის, რომელსაც მათ იმპერატორი სთავაზობდა. მეფისათვისაც ცხადია, რომ გოეცი ფაქტობრივად მთელი ფეოდალური წყობის წინააღმდეგ იბრძვის. ეპისკოპოსისა და ვაისლინგენის წამასისიანებელ სიტყვებზე, რომ მოღალატე გოეცი გზიდან უნდა იქნას ჩამოშორებული, მეფე ასე პასუხობს: „დაზოგვა წინ უნდა უსწრებდეს, ვიდრე სიმკაცრე შესძლებდეს თავისი თავის ლმობიერად გამოვლენას“.

თავიანთი ბოლომდე გაუაზრებელი საქციელით ტირანებმა დააჩქარეს გოეცის დაკავშირება რევოლუციურ ბანაკთან, მისი ბრძოლის ფარგლების გაფართოება; და მიუხედავად იმისა, რომ სადღეგრძელოების წარმოთქმისას, კერძო საუბრებსა და სასამართლოს პროცესზედაც გოეცი სათნოებით იხსენიებს მეფეს, მიუხედავად იმისა, რომ მას აზრადაც არ მოსდის მეფის წინააღმდეგ გალაშქრება, იგი მაინც რევოლუციური მოძრაობის თანამგზავრი ხდება. თავიანთი უგნური პოლიტიკით ეპისკოპოსმა და ვაისლინგენმა დააჩქარეს გოეცის დაახლოება რევოლუციურ ძალებთან. მეფე კი უფრო სხვაგვარი პოლიტიკის მომხრე იყო. იგი ფიქრობდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა სხვა მიმართულება მისცემოდა გოეცის ბუნტარულ მისწრაფებებს, შესაძლებელი გახდებოდა გოეცის გამოყენება გარეშე მტრის, თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ „მდგომარეობათა ძალამ“ შეუძლებელი გახადა გოეცი ამგვარ გზას დასდგომოდა. იგი დათანხმდა შეთავაზებულ წინადადებას—ხელი აეღო ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაზე და განმარტოებულად ეცხოვრა თავის კოშკში. მაგრამ მდგომარეობამ, მღელვარე პოლიტიკურმა ამბებმა შეუძლებელი გახადეს გოეცის ამგვარი განმარტოება. რევოლუციური მოძრაობის ტალღამ იგიც წარიტაცა და, მისი სურვილის წინააღმდეგ, ამ მოძრაობის თანამგზავრი გახადა. ამიტომ გახდა შეუძლებელი შერიგების ხიდის გადება როგორც გოეცსა და მსხვილ ფეოდალებს, ისე გოეცსა და მეფეს შორის.

„გოეც ფონ ბერლიხინგენი“ გვიჩვენებს „ქარიშხლის და შეტევის“ მოძრაობის სათავეში მოქცეულ გოეთეს მებრძოლ-დემოკრატიულ შეხედულებებს, მის მკვეთრად გამოხატულ ანტიფეოდალურ განწყობილებებს, მის ღრმა სიმპათიას ხალხის, თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეებისადმი. ეს ნაწარმოები გამოხატულებაა იმ პროტესტის, რომელსაც ღრმად გაედგა ფესვი ჩაგრულ მასებში, გამოხატულებაა ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის ღრმა სიძულვილისა. ამ ნაწარმოებში აისახა ის საბრძოლო განწყობილებები, რომლებიც დამახასიათებელი იყო „ქარიშხლისა და შეტევის“ წარმომადგენლებისათვის, ამასთანავე ის ბუნდოვანება და ცალმხრიობა, რომელიც მათ სამოქმედო პროგრამას ახასიათებდა.

ფეოდალური დესპოტიისადმი გოეთეს ეს კრიტიკული დამოკიდებულება არა ნაკლები სიმკვეთრით ჩანს დრამატიულ ფრაგმენტში—„პრომეთე“, რომელიც 1773 წელს დაიწერა. ამ ნაწარმოებში მწერალი ამუშავებს პრომეთეს შესახებ არსებულ მითს, რომლის მიხედვით პრომეთემ ცეცხლი მოსტაცა ზეესს და მიუტანა იგი ადამიანებს. ამისათვის იგი ზეესის ბრძანებით კლდეს მიაჯაჭვეს. „ქარიშხლისა და შეტევის“ მოძრაობის სათავეში მოქცეული გოეთე, ბუნებრივია, დაინტერესდა პრომეთეს თემით, რადგან პრომეთეში მან დაინახა ძალა, რომელიც ებრძვის ტირანიას, ადამიანთა მტერს, განსახიერებულს ოლიმპის მბრძანებელ ზეესში.

მსგავსად ისტორიული გოეცისა, მითოლოგიურ პრომეთეშიაც გოეთემ დაინახა ისეთი გმირი, რომელიც ეხმაურება მის დროს, ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქას, განასახიერებს ტირანიის წინააღმდეგ გაბედულს ბრძოლას, მკვეთრად გამოხატული ანტიტირანული, ანტიფეოდალური განწყობილებების მატარებელია[1].

---

[1] ამგვარად აფასებდა მწერალი თავის ნაწარმოებს მოგვიანო პერიოდში. ცელტერისადმი 1820 წლის 11 მაისს გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ, რომ „პრომეთეს“ ჩვენი რევოლუციონერი ახალგაზრდობა თავის სახარებად მიიჩნევს („Es käme unserer revolutionären Jugend als Evangelium recht willkommen“); რაც, ცხადია, არ ნიშნავს, რომ გოეთე ახლა სავსებით გამართლებულად თვლის კონფლიქტის ისეთ მებრძოლ ხაზებში გაშუქებას, როგორც ამას „პრომეთეში“ ვხედავთ. „ჭეშმარიტება და პოეზიაში“ მწერალი გვაუწყებს, რომ მისთვის უფრო შესაფერი იყო დახატვა ისეთი გმირისა, რომელიც კი არ უარყოფს, არამედ ითმენს მის ზევით მდგომ ძალას, თავს მის თანასწორად თვლის („Eher ziemte sich mir, darzustellen jenes friedliche, plastische, allen-

მსგავსად გოტფრიდ ბერლიხინგენის ქრონიკებისა, პრომეთეს მითთმაც, როგორც გოეთე გადმოგვცემს, ერთობ გაიტაცა იგი და მან მიზნად დაისახა ამ თემის ორიგინალური დამუშავება, თანადროულობასთან მისი შეგუება.

გოეთეს პრომეთე მნიშვნელოვნად განსხვავდება ესქილეს პრომეთესაგან, იგი 70-იანი წლების გერმანული სინამდვილის პროდუქტია, ახალი მსოფლმხედველობით შეიარაღებულია. იგი შვილია განათლების საუკუნის, გამსჭვალულია ეპოქის მოწინავე სოციალურ-პოლიტიკური იდეალებით, იჩენს სამყაროსადმი ფხიზელ რეალისტურ დამოკიდებულებას. იგი არ ეძებს მოვლენებში რაღაც იდუმალ ძალას, არ ახდენს მათ მისტიფიკაციას, არამედ თვალს უსწორებს რეალურ ქვეყანას, ღებულობს მას ისე, როგორც იგი მოცემულია.

ეს მოწინავე მებრძოლ-რეალისტური მსოფლმხედველობა განაპირობებს პრომეთეს მოქმედებას, ხასიათს, მის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, ადამიანებისა და ღმერთებისადმი. ამ საფუძველზეა დამყარებული ის, რაც შეადგენს პრომეთეს ბუნების ნიშანდობლივ მხარეს, მისი უსაზღვრო სიძულვილი და შეურიგებლობა ტირანიისადმი, გამაგრებული მისი უდრეკი ნებისყოფითა და კოლოსალური ძალით.

გოეთეს პრომეთეში იმთავითვეა გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ტირანიასთან შერიგების შესაძლებლობა, რაც არ ითქმის ბერძნული პრომეთეს შესახებ, რომელმაც იცოდა საიდუმლოება ოლიმპის მბრძანებლის, იცოდა, რომ თუ ზევსი ცოლად შეირთავდა ფეტიდეს, მისგან ტახტის მოცილე გაუჩნდებოდა. ამ მოტივით ძველს გადმოცემებში შესაძლებელი იყო პრომეთეს შერიგება ზევსთან. ასე შეხედა პრომეთეს სიუჟეტს ესქილემ, რომელმაც მიჯაჭვული პრომეთეს გვერდით შერიგებული პრომეთე გამოიყვანა.

ასე არ შეუხედია პრომეთეს სიუჟეტისათვის გოეთეს. თუ ესქილეს პრომეთე ბნელი და დრომოჭმული ღმერთების წარმომადგენელია, გოეთეს პრომეთე მებრძოლი, შემოქმედებითი პრინციპის მატარებელია, რეალისტ-პრაქტიკოსია. პრომეთეს სიტყვებში მოჩანს უდრეკი ძალა და ენერგია. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ ემსახუროს ღმერთებს, რადგან იცის, რომ ღმერთების მიზანია მისი, საერთოდ ადამიანების დამონება.

---

falls duldende Widerstreben, das die Obergewalt anerkannt, aber sich ihr gleichsetzen möchte" (G o e t h e s W e r k e, Bd XIX. B e r l i n, 1879, S. 192).

გოეთეს პრომეთე თავის თავს უკვდავად, ღმერთების თანასწორად თვლის. როცა მას, მაგალითად, მინერვა განუმარტავს, რომ უმართებულოა ღმერთების სიძულვილი, რომ ღმერთებს აქვთ მძლეობა, სიბრძნე და სიყვარული, პრომეთე მას უპასუხებს, რომ ისიც ისევე უკვდავია, როგორც ღმერთები („Ich daure so wie Sie, wir alle siud ewig"), რომ მას არ აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული („Meines Anfangs erinnr' ich mich nicht, zu enden hab' ich keinen Beruf").

„პრომეთეში" ნათლად ისახება შტურმუნდდრანგელი გოეთეს მსოფლმხედველობის ძირითადი ხაზები, თვით გოეთეს კრიტიკული დამოკიდებულება ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმისადმი, პოზიტური დამოკიდებულება რევოლუციის იდეალებისადმი. პრომეთე არ ცნობს დახავსებულ ტრადიციას, დაკანონებულ ნორმებსა და წესებს. მისი პროტესტი შეიცავს ყოველგვარი ტირანიის მეურვეობისაგან განთავისუფლების სურვილს როგორც თეორიულს, ისე პრაქტიკულ სფეროში. მისი პროტესტი მიმართულია აგრეთვე ადამიანის დაძაბუნებისა და დაჩიავების წინააღმდეგ. ნაწარმოებში არ არის ისეთი შტრიხი, რომელიც პრომეთეს მხრივ დათმობასა და საკუთარი პოზიციის შესუსტებაზე მეტყველებდეს. შემოქმედებითი პათოსით აღფრთოვანებულს, მას ოდნავადაც ვერ იპყრობს ეჭვები და სასოწარკვეთა.

გოეთეს პრომეთეს სიდიადე არა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი რეალისტია, შემოქმედი ნატურაა, არამედ იმაშიაც, რომ იგი უპირისპირდება ადამიანების მტრებს. მას სძულს ტირანები, რადგან მათში ადამიანების მტრებს ხედავს. „რისთვის გცე თაყვანი შენ,—ზევსო, რისთვის, წამოიძახებს პრომეთე. განა შენ ოდესმე შეგიმსუბუქებია ტანჯულის მწუხარება? შეგიშრია შენ ოდესმე ცრემლები დამწუხრებულისა?... აქა ვარ მე და ვაყალიბებ ადამიანებს ჩემდაგვარად. ისინიც შესძლებენ იტანჯონ ჩემებრ, იტირონ, დასტკბენ და გაიხარონ, შესძლებენ შეგიძულონ შენ ისე, როგორც მძულხარ მე".

ტირანების სიძულვილი გოეთეს პრომეთეში ორგანულად უკავშირდება მის კონსტრუქტიულ, შემოქმედებითს საქმიანობას. იგი არა მხოლოდ მნგრეველი, არამედ ახლის შემქმნელი ძალაცაა. იგი ცდილობს შეაყვაროს ეს ქვეყანა ადამიანებს, შეათვისებინოს მათ, რომ ისინი თვით უნდა გახდნენ თავიანთი თავის ბატონი. იგი არ ცნობს თავის თავზე, ადამიანებზე ტირანების მეურვეობას, გათვალისწინებული აქვს, რომ ღმერთები, თავის მხრივ, მათზე უფრო მაღალ ძალას, ბედისწერას ექვემდებარებიან.

გოეთეს პრომეთე გამოდის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოწინააღმდეგედ. მის საზრუნავს ადამიანები, მათი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა წარმოადგენს. იგი ადამიანთა მასწავლებელი, მათი ცხოვრების წარმართველია, ბუნების დამორჩილებისა და ტირანიის წინააღმდეგ გამიზნული ბრძოლის ორგანიზატორია.

პრომეთე იწყებს ახალი, პოზიტიური ქვეყნის შექმნას, აყვავებს ადამიანებს შრომას, აძლევს მათ წარმმოდგენას საკუთრების შესახებ, შთაუნერგავს იმ აზრს, რომ ადამიანები თვითონ უნდა იყვნენ თავიანთი ნაშრომის მფლობელი. იგი უარყოფითად პასუხობს ერთ-ერთი ადამიანის კითხვაზე—ეკუთვნის თუ არა სხვას ის ქოხი, რომელიც ამ ადამიანმა ააშენა. იგი განუმარტავს შემკითხველს, რომ ქოხი იმას ეკუთვნის, ვინც ის ააშენა, რომ მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, შეუშვებს თუ არა იგი თავის ქოხში სხვას. პრომეთე განმარტავს, რომ ყველა საკუთარი შრომით უნდა ცხოვრობდეს, რომ ყველა, ვისაც კი სურს ბინა ჰქონდეს, თვითონ უნდა გაისარჯოს და ააშენოს ასეთი.

ანტიტირანული განწყობილებები პრომეთეში იმზომად ძლიერია, რომ მას დაბნეულობა და განხეთქილება შეაქვს ოლიმპის ღმერთებს შორის. მწერალი ორიოდე შტრიხით იძლევა სურათს შეშფოთებული ღმერთებისას, სურათს კალაპოტიდან ამოვარდნილი მერკურისას, რომელიც ემუდარება კრონიონს პრომეთეს წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას.

პრომეთეს ამხედრება ტირანიის წინააღმდეგ მაინც არ ატარებს ნამდვილად ქმედითს, რადიკალურ ხასიათს. ტირანების სიძულვილში იგი თავს ვერ აღწევს აბსტრაქტულობას. იგი მხოლოდ ლაპარაკობს ბრძოლაზე, პრაქტიკულად კი ბრძოლის სურათებს ვერ ეხედავთ. გოეთე ხატავს პრომეთეს იმ მომენტში, როცა ის უკვე ბრძოლაგადახდილია, როცა, ირკვევა, მას ადამიანები ღმერთებისათვის გამოუტაცნია და თავის გზაზე დაუყენებია. ამის შემდეგაც, ირკვევა, რომ ადამიანთა ბედნიერება არაა უზრუნველყოფილი, მაგრამ ამ უზრუნველყოფისათვის პრომეთე მხოლოდ სიტყვიერი ბრძოლით, რიტორიულ-დეკლამატორული ხერხების გამოყენებით იფარგლება. ჩანს, რომ მისი ბუნტარობის მეორე მხარეა არსებულით, მოპოვებულით დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა, ტირანიასთან კავშირის გაწყვეტის, მაგრამ მისი ხელუხლებლად დატოვების პირობებში. ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა ამ ნაწარმოებში არსებითად მისგან თ ა ვ ი ს დ ა ხ ს ნ ი ს ცდას წარმოადგენს. პრომეთე იმას ცდილობს, რომ ღმერთებმა თავი გაანებონ მას, დაა-

ცალონ თავისი დადებითი, შემოქმედებითი მუშაობა, ოლიმპის საბრძანებელი კი თავისთვის დაისაკუთრონ.

—„მიმოაფინე ზეცაზე ღრუბლები და წყვდიადი, მიმართავს ზევსს პრომეთე, თავს დაატეხე შენი ძალა მუხებსა და მთის მწვერვალებს, ოღონდ დამიტოვე მე ჩემი კერა თავისი ნათელი ცეცხლით, რაც შენ ასე შეგშურს. მზის ქვეშ არ მეგულვის თქვენზე უფრო საძაგელი რამ, ღმერთებო... თქვენ ყველანი შიმშილისაგან ამოწყდებით, რომ ბავშვები და მათხოვრები ასე სულელები არ იყვნენ“.

პრომეთეს არ აქვს შეგნებული, რომ ადამიანები ვერ მიაღწევენ ნამდვილ თავისუფლებას თუ კი ისინი ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლას აბსტრაქტული პროტესტის ხასიათს მისცემენ, მას არ აქვს გათვალისწინებული, რომ ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა მისი სოციალური საფუძვლების მოსპობის გარეშე არ გამორიცხავს ტირანიის ახალი ფორმის წარმოშობას. გოეთეს პრომეთე არ მიდის ამგვარ თანმიმდევრულ დასკვნამდე. ეს შესაძლოა ნაწილობრივ იმითაც აიხსნებოდეს, რომ ნაწარმოები დაუმთავრებელი დარჩა, უფრო კი იმ გარემოებით, რომ გოეთეს სოციალურ-პოლიტიკური იდეალები ამ პერიოდში, მიუხედავად მათი პროგრესულობისა, მაინც არ არის თანმიმდევრულად მებრძოლი ხასიათის. ამის მიუხედავად, გოეთეს „პრომეთე“ მშვენივრად ეხმაურება ბურჟუაზიული რევოლუციის წინა პერიოდის გერმანიის საზოგადოებრივ ცხოვრებას, მოწინავე საზოგადოებრივი ძალების სოციალურ-პოლიტიკურ მისწრაფებებს.

იდეურად ამავე ხაზზე უნდა ვიგულვოთ მსოფლიო რეზონანსის მქონე რომანი — „ახალგაზრდა ვერთერის ტანჯვანი“, რომელიც 1774 წელს დაიწერა. ამ რომანშიაც მთელი სისრულით ჩანს, „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის სათავეში მოქცეული გოეთე, რომელიც მკვეთრად აკრიტიკებს მისი დროის სოციალურ ურთიერთობას, გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების სიდუხჭირეს. რომანის მთავარი გმირის — ვერთერის სახით გოეთე გვიჩვენებს სამართლიანობასა და თავისუფლებაზე მეოცნებე ახალგაზრდას, რომელსაც უყვარს ხალხი, მიზნად ისახავს მათთვის ტვირთის შემსუბუქებას, მაგრამ არ გააჩნია მონაცემები ამ დიდი სურვილების განსახორციელებლად და ამთავრებს თავის ცხოვრებას ტრაგიკულად.

ვერთერის სახით მწერალი ხატავს მელანქოლიურად განწყობილს, პოეტური მიდრეკილებებით აღჭურვილ ახალგაზრდას, რომელიც უპირისპირდება გარემომცველი სინამდვილის უბადრუ-

კობას, ვეტცლარის ოფიციალურ საზოგადოებას, საიმპერიო სასამართლოში გამეფებულ ბიუროკრატიზმს, ელჩს და სხვა წარმომადგენლებს პრივილეგირებული წოდებისა.

ვერთერის მხატვრული სახის შექმნას წინ უსწრებდა გოეთეს დაკვირვება ვეტცლარის არისტოკრატიასა და თვითკმაყოფილი ბიურგერების ცხოვრებაზე. აქ მიღებულმა შთაბეჭდილებებმა კი არ შეანელეს, არამედ უფრო გააძლიერეს არსებული სოციალური ყოფისადმი გოეთეს კრიტიკული დამოკიდებულება. მაგრამ მწერლის ამ კრიტიკულ დამოკიდებულებას, როგორც მის ამდროინდელ სხვა ნაწარმოებებში, ისე „ვერთერშიაც", არ მიუღია რადიკალურ-რევოლუციური ხასიათი. ნაწარმოების მთავარი გმირის სახით გოეთემ დახატა მხატვრული სახე სოციალური სიდუხჭირის წინააღმდეგ არა რადიკალური გზით მებრძოლი ადამიანისა, არამედ მეოცნებე ინტელიგენტისა, რომელსაც სძულს სოციალური ჩაგვრა, შეტრფის თავისუფალ კაცობრიობას, მაგრამ იფარგლება მხოლოდ ილუზიებით, ოცნებაში ცდილობს მოხსნას საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობანი.

ვერთერი პროდუქტია 70-იანი წლების გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების, პროდუქტია იმ ეპოქის, როცა სახავენ ახალს, მოწინავე იდეალებს, გამოთქვამენ არსებულისადმი უკმაყოფილებას, მაგრამ არ გააჩნიათ უნარი დასახონ ფეოდალური ყოფის რევოლუციური გარდაქმნის პროგრამა. ვერთერი თავის თავში ატარებს თავისი სოციალური წრის, ბიურგერული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. იგი იმ ეპოქის მხატვრული განზოგადებაა, როცა გაბატონებული სოციალური ინსტიტუტები გერმანიაში აშკარად მოძველდნენ, საზოგადოებრივი პროგრესის ხელშემშლელ ფაქტორად იქცნენ, მაგრამ არ ჩანდა საზოგადოებრივი ძალა, რომელიც ხელთ აიღებდა ძირმომპალი ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივას.

ვერთერს ვერთერად აქცევს სწორედ ის გარემოება, რომ იგი თავისში ატარებს იმ წინააღმდეგობრიობას, რომელიც დამახასიათებელი იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, გერმანიის ბიურგერობისათვის. ესაა წინააღმდეგობა, გამოწვეული გერმანიაში შექმნილი სპეციფიკური ვითარებით, იდეალების დასახვით, მათ პრაქტიკულად განხორციელებაზე კი, ხელის აღებით, თეორიის პრაქტიკისაგან მოწყვეტით.

გოეთეს ვერთერის სიძლიერე, მისი კულტურულ-შემეცნებითი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ისწრაფვის გაცდეს თავისი სოციალური წრის, ბიურგერობის ფარგლებს, არ ჩაიძიროს ბიურგერულ-ფილისტერულ შეზღუდულობაში, წინ წამოსწიოს არა პირადი, ეგოისტური, არამედ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი მიზნები. დგას რა თავისი დროის მოწინავე აზრის მიღწევათა დონეზე, საზრდოობს რა განათლების საუკუნის იდეათა საგანძურიდან, ვერთერი შეტრფის ეპოქის მოწინავე სოციალურ-პოლიტიკურ იდეალებს, იმ იდეალებს, რომლებსაც რევოლუციის იდეოლოგები აყენებდნენ და რომლებსაც მხარს უჭერდნენ დაბალი სოციალური ფენები. ფართო ჰორიზონტი, ფილისტერული შეზღუდულობის დაძლევის ცდა, თავისუფლებისა და სამართლიანობისადმი სწრაფვა— აი რა თიშავს ვერთერს იდეურად თავისი სოციალური წრისაგან და აახლოებს დაბალ სოციალურ ფენებთან.

დაპირისპირება როგორც ფეოდალური დესპოტიისადმი, ისე არსებულით კმაყოფილი, კესტნერის ტიპის გერმანელი ბიურგერებისადმი — აი რა ამაღლებს მკითხველის თვალში ვერთერს, აქცევს მას რევოლუციის წინა ეპოქის გერმანული ლიტერატურის შესანიშნავ მხატვრულ სახედ. ეს გარემოება განაპირობებს აგრეთვე ვერთერის იდეურ დაახლოებას ხ ა ლ ხ თ ა ნ, მის სიმპათიებს მშრომელი ხალხისადმი, მის შეუნელებელ სურვილს დაეხმაროს რითიმე გაჭირვებულთ, მშიერთ, ცხოვრებით განაწამებ ადამიანებს, ქვრივებსა და ობლებს. ვერთერი, მიუხედავად ღრმა სულიერი კრიზისისა, განმარტოებისადმი სწრაფვისა, გრძნობს სულიერ მყუდროებას არა მხოლოდ ბუნებაში, ეპიკურ-იდილიური განწყობილებების შემცველ წიგნებში, არამედ ხალხში, უბრალო ადამიანებში. ბუნება და ბუნებრიობა მას ესმის ფართო მნიშვნელობით, როგორც განსახიერება არა მხოლოდ სიმშვიდისა და უბრალოების, არამედ სიწმინდისა და სისპეტაკის, სიცოცხლის და სიჯანსაღისა. ამ ნიშნებს ვერთერი ნახულობს არა მხოლოდ ბუნებაში, არა მხოლოდ ეპიურ ჰომეროსსა და ოსიანთან, არამედ და მომეტებულად, დაბალი სოციალური წრის ადამიანებში.

აი, მის ყურადღებას იპყრობს მოჯამაგირე ბიჭი, რომელიც გუთნით მიწას ხნავს. იგი მაშინვე გრძნობს სიახლოვეს ამ ყმაწვილთან, საუბარს გააბამს მასთან და ხდება მისი გულითადი მეგობარი. ვერთერი გვიხატავს ამ ყმაწვილს როგორც სპეტაკი გრძნობის, მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე ახალგაზრდას, როგორც განსახიერებას სიცოცხლის და სილამაზისა. მას გულის

სიღრმემდე აძრწუნებს მძიმე სულიერი ტანჯვა ამ ყმაწვილისა, რომელსაც შეუყვარებია თავისი ქალბატონი.

მსახური ბიჭის გრძნობებში ვერთერი ნახულობს ისეთ სისპეტაკეს, მის ხმაში იმდენ ჰარმონიას, გამოხედვაში კი ისეთ უჩინარ ცეცხლს, რომ თავს უძლურად თვლის გადმოსცეს იგი, მიაჩნია, რომ ამის გადმოსაცემად საკმარო იქნებოდა დიდი მხატვრის ნიჭი. ვერთერი აღნიშნავს, რომ მას არასდროს, არც ცხადში და არც სიზმარში არ უნახავს ასეთი გულითადი, წმინდა გრძნობა. ბუნებრიეია, რომ შემდეგშიაც ვერთერს ღრმად აძრწუნებს ამ ყმაწვილის ბედი, რომ იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გამოიხსნას პატიმრობიდან ეს ახალგაზრდა, რომელმაც თვითონვე მოუღო ბოლო თავის საყვარელ არსებას.

ვერთერის ეს ღრმა სიმპათია მსახური ბიჭისადმი არ არის ერთეული ფაქტი, არამედ გამოხატულებაა მისი დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მისწრაფებების, ღარიბი ხალხისადმი მისი ღრმა თანაგრძნობისა. ვერთერს იზიდავს ღარიბი ბავშვები, ქვრივ-ობლები, რომელთაც იგი შეძლებისამებრ დახმარებას უწევს. იგი კიცხავს მათ, ვინც იმიჯნება ხალხისაგან, მიაჩნია, რომ ასეთები ისევე გასაკიცხია, როგორც ის მშიშარები, რომლებიც მტრებს ემალებიან.

როგორც ვხედავთ, ვერთერის ცალმხრიობა არ იხატება მის გამიჯვნაში ხალხისაგან, რეალური სინამდვილისაგან. იგი, მართალია, ტირიაა, ცალმხრივ სანტიმენტალიზმშია გადაჩეხილი, მაგრამ მაინც არ წყვეტს კავშირს ცხოვრებასთან, ეპოქის მოწინავე იდეებთან. იგი მაინც გრძნობს, რომ საკიროა კავშირის დამყარება სინამდვილესთან, ბუნებით მდიდარსა და ჯანსაღ ადამიანებთან. ცხადია, ვერთერი ვერ ახერხებს ბოლომდე სინამდვილის მხარის დაჭერას, ჯანსაღი, დემოკრატიულ-რეალისტური განწყობილებების შენარჩუნებას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მას ამგვარი განწყობილებები არ გააჩნდა. ვერთერს ვერთერად აქცევს უპირველეს ყოვლისა იმის შეგნება, რომ ადამიანის ცხოვრება ისე არაა მოწყობილი, როგორც იგი უ ნ დ ა ი ყ ო ს მოწყობილი, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი სოციალურად დაბეჩავებულია. აქედან იღებს სათავეს მისი პესიმიზმი, ღრმა მელანქოლია.

საზოგადოებრივი მოვლენების, საზოგადოებისა და ადამიანის დამოკიდებულების გაგებაში ვერთერი არ არის მოკლებული რეალობის გრძნობას, ჯანსაღ, რეალისტურ შეხედულებებს, მაგრამ იგი ვერ ახერხებს განმტკიცდეს ამ რეალისტური შეხედულებების ნიადაგზე, მატერიალიზმის ნიადაგზე, თავი დააღწიოს იდეალიზმში

გადაჩეხვის საფრთხეს, ამდენად, ფიზიკურსა და სულიერ კატასტროფას.

ეს ასეა, ვერთერი საბოლოოდ იკრება უშუქარ პესიმიზმსა და იდეალიზმში, ვერ ახერხებს მონახოს ცხოვრებაში საყრდენი, დარღვეული სულიერი ჰარმონიის აღდგენის საშუალებები, მაგრამ ეს გარემოება არ უარყოფს იმას, რომ მას უყვარდა ცხოვრება, უყვარდა ბუნებით ლაღი, სპეტაკი და გულითადი ადამიანები, რომ იგი იკერდა მათ მხარს, ამართლებდა მათ მოქმედებას, მიმართულს ჩაგვრის ბორკილების დამსხვრევისაკენ.

როგორც შვილი განათლების საუკუნისა, ვერთერი ცდილობს განიხილოს ადამიანის მოქმედება მკიდრო კავშირში ეპოქასთან, იმ სოციალურ მოვლენებთან, რომლებშიაც ადამიანს უხდება ცხოვრება. მას მიაჩნია, რომ ადამიანის მოქმედებას განაპირობებს გარკვეული შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, რომ ადამიანი ამიტომ არ შეიძლება აუგად მოვიხსენიოთ მისი ამა თუ იმ მოქმედების გამო. ადამიანს არ შეიძლება ბრალი დავსდოთ იმაში, რომ იგი მიდის თვითმკვლელობამდე, რადგან სიცოცხლის დამთავრება თვითმკვლელობით, ვერთერის აზრით, იმას გვანიშნებს, რომ შინაგანმა და გარეგანმა ფაქტორებმა, პირობებმა ადამიანი თავის ტყვეობაში მოაქცია, რომ მისი მოთმინების ფიალა საბოლოოდ აივსო. ვერთერი ფიქრობს, რომ ადამიანს მხოლოდ განსაზღვრულ წერტილამდე, შეუძლია აიტანოს სიხარული, ტანჯვა და მწუხარება, რომ ამ საზღვრის იქით, ადამიანი იღუპება. ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ თვითმკვლელობის ფაქტის ანალიზისას ვერთერი კურსს იღებს გარემოებებზე, ეპოქაზე, ადამიანის ნებისყოფის სოციალურ დეტერმინაციაზე.

ამავე თვალსაზრისს იმარჯვებს ვერთერი ისეთი სოციალური მოვლენის ანალიზისას, როგორიცაა ქურდობა. მას მიაჩნია, რომ ქურდობა—ეს მანკიერებაა, მაგრამ ისეთი, რომელიც ღრმა სოციალური მიზეზებით არის გამოწვეული, მიაჩნია, რომ ადამიანი, რომელიც ქურდობს იმისათვის, რომ შიმშილით გამოწვეულ სიკვდილს ააცდინოს თავისი თავი და თავისიანები, უფრო თანაგრძნობას იმსახურებს, ვიდრე დასჯას. ასევე, გარემოებებზე მითითებით ამართლებს ვერთერი იმ მამაკაცს, რომელმაც მოჰკლა როგორც მოღალატე ცოლი, ისე მისი შემაცდენელი. ასევე ნახულობს ვერთერი სიმართლეს იმ ხალხის მოქმედებაში, რომელიც „გმინავს ტირანიის აუტანელი უღლის ქვეშ“ და ბოლოს და ბოლოს „იწყებს მღელვარებას და ამსხვრევს თავის ბორკილებს“.

როგორც ვხედავთ, ვერთერი ცდილობს განიხილოს ფართო სოციალურ ასპექტში ცალკე ინდივიდისა და მთელი ხალხის მდგომარეობა ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში, აყენებს დებულებას, რომ როგორც ცალკე ადამიანის, ისე მთელი ხალხის ცხოვრება და შოქმედება სოციალურად განპირობებულია, რომ განსაზღვრული სოციალური მიზეზებისა და გარემოებებისაგან განსაზღვრული შედეგები გამომდინარეობს. წინამდებარე შრომაში დასმული საკითხის შუქზე ამ დასკვნას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. იგი გვიჩვენებს, რომ რევოლუციამდელი გოეთეს შემოქმედებისათვის არ არის უცხო ტირანიის წინააღმდეგ ხალხის ამხედრების, ჩაგვრის სისტემის რევოლუციური დამხობის იდეა. ცხადი ხდება, რომ ამ პერიოდშიაც გოეთე იხილავს რევოლუციას როგორც ღრმა აუცილებლობით გამოწვეულ მოვლენას, აღიარებს ხალხის უფლებას რევოლუციაზე.

ეს ასეა, მაგრამ ვერთერი, როგორც ითქვა, არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს რადიკალურ-რევოლუციური მისწრაფებების მატარებელ გმირად. იგი, მართალია, ილაშქრებს მისი გარემომცველი საზოგადოების წინააღმდეგ, მაგრამ ეს ბალაშქრება არ ატარებს ქმედით, რევოლუციურ ხასიათს. დუხჭირ სოციალურ სინამდვილეს ვერთერი უპირისპირებს არა ნათელ, პოზიტურ იდეალებს, არამედ მხოლოდ თავის ილუზიებს; იგი მხოლოდ შეტრფის თავისუფლებასა და სამართლიანობას, მაგრამ უუნაროა ქმედითად იბრძოლოს მისი განხორციელებისათვის. მისი გამოსვლა სოციალური სიდუხჭირის წინააღმდეგ არ შეიძლება ჩაითვალოს ქმედითი ხასიათის კრიტიკად. ამ გამოსვლას ფრ. ენგელსი უწოდებდა მეოცნებე ტირიას მოთქმას იმ უფსკრულის გამო, რომელიც ბურჟუაზიულ სინამდვილესა და ამ სინამდვილის შესახებ ვერთერის არანაკლებ ბურჟუაზიულ ილუზიებს შორის არსებობს [1].

იმის შეგნებამ, რომ ადამიანის ნათელ იდეალებსა და სოციალურ ყოფას შორის უფსკრულია, ვერთერი მიიყვანა არა არსებულის რევოლუციური გარდაქმნის აღიარებამდე, არამედ ღრმა პესიმიზმსა და სასოწარკვეთამდე, უკიდურეს სანტიმენტალიზმამდე, საბოლოო ჯამში—სულიერ და ფიზიკურ კრახამდე. მან ვერ შესძლო შინაგანი ცენტრის მონახვა, დარღვეული სულიერი ჰარმონიის აღდგენა, რადგან იგი არ გამოდიოდა ცხოვრებაზე ჯანსაღი, მატერიალისტური შეხედულებიდან, ვერ დაეძლია იდეალიზმი, ღრმა სკეპტიციზმი. ნაცვლად იმისა, რომ ცხოვრებაში დარჩენილიყო

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. V, 1929, გვ. 196.

და აქტიური ბრძოლა ეწარმოებინა, იგი ჩაიკეტა ოცნების სფეროში, მიეცა უნიადაგო ცრემლთა დენას. ვერთერის იდეალები, მისი ფილოსოფია, ამიტომ არ შეიძლებოდა გამხდარიყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიური იარაღი.

ვერთერის ეს მარცხი, მისი უუნარობა გამოიმუშაოს ცხოვრებაზე რევოლუციური შეხედულება როდი ნიშნავს, რომ თვით გოეთე შორსაა ამგვარი შეხედულებისაგან. მართალია, ვერთერში მწერალმა ზოგი რამ მისი საკუთარი ბუნების დამახასიათებელი მომენტიც გვაჩვენა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ვერთერის მხატვრული სახის ნაკლი თვით გოეთეს მსოფლმხედველობის მანკიერებაზე მიგვითითებს. ვერთერის გზა გოეთესათვის განვლილ საფეხურს წარმოადგენს. მწერალი, მართალია, არ იხდის სატირის საგნად ვერთერს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი დგას მისი გმირის იდეალისტური შეხედულებების ნიადაგზე.

ხატავდა რა ამ გმირს, გოეთე მიზნად ისახავდა ეჩვენებინა სინამდვილე მძლავრი სოციალური კონფლიქტებით და არა იმას, რომ გაეიდეალებინა მეოცნებე ვერთერი*. ამგვარი ცალმხრივი

* რიგ მკვლევარს, მათ შორის ზოგიერთ საბჭოთა მკვლევარსაც, მიაჩნია, რომ გოეთეს „ვერთერი" წარმოადგენს ნიადაგის შემზადებას მისტიკური რომანტიზმის ლიტერატურისათვის. კარე, მაგალითად, ფიქრობს, რომ გოეთემ თავისი „გოეცითა" და „ვერთერით" შეაღო კარი ამ ლიტერატურისა („il avait ouvert les portes du romantisme"), მოამზადა ნიადაგი ვალტერ სკოტისა და შატობრიანისათვის (Carré, 269). ფრ. შტრიხის აზრითაც გოეთე თავისი „გოეცით", „ვერთერითა" და „ფაუსტით" ნიადაგს ამზადებს რომანტიკოსებისათვის, განსაკუთრებით კი, შატობრიანისათვის (Fr. Strich. Goethe und die Weltliteratur, Bern, 1946, S. 368).

ძ. ე. ელიზაროვას აზრით „XIX საუკუნის 10—20-იანი წლების ახალგაზრდა ადამიანების წარმოდგენაში ვერთერის სახე შეერწყა ბაირონის, შატობრიანის გმირთა და სხვა რომანტიკულ „მოდარდეთა" სახეებს" (М. Е Елизарова, С. П. Гиждеу, Б. И. Колесников и Н. П. Михальская — История зарубежной литературы XIX века, Москва, 1957, зд. 21).

იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ ვერთერის მხატვრულმა სახემ, საერთოდ „ვერთერის" პრობლემატიკამ გარკვეული როლი ითამაშა რომანტიკული ლიტერატურის განვითარებაში, რომ მან გარკვეულად ხელი შეუწყო იმის დანერგვაა, რასაც ჰაინე სენტიმენტალურ უკიდურესობას უწოდებდა. ამ მეოცნებე ტირიას ფილოსოფია, ცხადია, ეხმაურება XIX საუკუნის პირველი ათეული წლების რომანტიკოს „მოდარდეთა" განწყობილებებს. მაგრამ ეს გარემოება მაინც არ გვაძლევს საფუძველს მივიჩნიოთ „ვერთერი" ნიადაგის შემზადებად მისტიკური რომანტიზმისათვის, კარების შეღებად ამ ლიტერატურაში, როგორც ეს კარეს სურს ირწმუნოს. ეს გარემოება ასევე არ გვაძლევს უფლებას მივიჩნიოთ გოეთეს ამ რომანის ცენტრალური გმირი შატობრიანის რომანტიკულ გმირებში გათქვეფილად, როგორც ეს ელიზაროვას სურს ირწმუნოს.

გმირის დახატვითაც მწერალმა შეასრულა ეპოქის დაკვეთა, მოგვცა ეპოქის დიდი მხატვრული ტილო, რომელზედაც ასახა რევოლუციის წინაპერიოდის გერმანიის სოციალური ცხოვრების სიდუხჭირე, ძირითადი სოციალური წინააღმდეგობანი, გამოთქვა თავისი

რომანტიზმის ლიტერატურისადმი გოეთეს დამოკიდებულება ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვანს, დღემდე არასაკმარისად შესწავლილ საკითხს წარმოადგენს და მისი „გადაწყვეტა" რამდენიმე სტრიქონში ყოველგვარი საბუთის გარეშე, როგორც ამას კარესთან ვხედავთ, არ შეიძლება დამაჯერებლად ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ მ. ე. ელიზაროვაც არ ახდენს თავისი ზემოთ აღნიშნული დებულების არგუმენტაციას, ივარაუდება, იმ გარემოების გამო, რომ მისი ეს შრომა სახელმძღვანელოს წარმოადგენს. მაგრამ მით უფრო საჭირო იყო, რომ ჩვენს მკვლევარს დაეცვა ელემენტარული მოთხოვნა, შეეტანა სახელმძღვანელოში ის, რაც მეცნიერებაში უკვე დადგენილია.

მიუხედავად იმისა, რომ რომანტიზმისადმი გოეთეს დამოკიდებულების საკითხი მეცნიერებაში ჯერ კიდევ არაა შესწავლილი, ელიზაროვა შესაძლებლად თვლის ჩასწეროს თავის სახელმძღვანელოდ მიჩნეულ შრომაში, რომ გოეთეს ვერთერი ერწყმება შატობრიანისა და სხვა „მოდარდე" რომანტიკოსთა მხატვრულ სახეებს. კიდევ მეტი: ის, როგორც ჩანს, დადგენილად თვლის ჩვენს მეცნიერებაში, რომ გოეთე XIX საუკუნის დასაწყისში უარს აცხადებს ანტიკურობისადმი ორიენტაციაზე და გადადის რომანტიკოსებისადმი ორიენტაციაზე. ელიზაროვა წერს: „Гете в начале века отходит от ориентации на античность, пластически-замкнутые формы, и подобно романтикам, ищет более „живописные", более субъективно окрашенные, а подчас и аллегорически-символические литературные формы" (გვ. 22—23).

როცა რომანტიზმისადმი გოეთეს დამოკიდებულების შესახებ ელაპარაკობთ, შეუძლებელია შემოვიფარგლოთ გოეთეს მხოლოდ ერთი რომელიმე ნაწარმოებით, თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებით, როგორიცაა „ვერთერი", არამედ უნდა განვიხილოთ მწერლის მთელი შემოქმედება, როგორც მხატვრული, ისე თეორიულ-კრიტიკული. მართალია, ვერთერი ეხმაურება რომანტიკოს-მოდარდეებს, მაგრამ განა ეს საკმარისია ვამტკიცოთ, რომ გოეთე მისტიკური რომანტიზმის კარებს აღებს, რომ მისი ვერთერი შატობრიანის გმირებში ითქვიფება, რომ გოეთე XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში იცვლის ორიენტაციას ანტიკურობიდან რომანტიზმზე, ობიექტურობიდან სუბიექტურობაზე? ამგვარი დასკვნისათვის საფუძველი არ არსებობს. გოეთეს დამოკიდებულება რომანტიზმის ლიტერატურისადმი არ შეიძლება გადავწყვიტოთ მხოლოდ იმით, თუ რა გამოხმაურება აქვს „ვერთერს" რომანტიკოსთა შორის.

თუ საქმე გამოხმაურებაზე ძიდგა, მაშინ უნდა ითქვას, რომ „ვერთერზე" უფრო დიდი გამოხმაურება პოვა გოეთეს „ვილჰელმ მაისტერმა". ცნობილია, რომ გერმანული რომანტიზმის თეორეტიკოსები ამ რომანს მიიჩნევდნენ ერთ-ერთ წყაროდ რომანტიზმის ლიტერატურის მათ მიერ დასახელებულ სამ წყაროს შორის. ფრ. შლეგელი, მაგალითად, წერდა: „საფრანგეთის რევოლუცია, ფიხტეს მოძღვრება მეცნიერებაზე და გოეთეს „მაისტერი" წარმოადგენენ ჩვენი დროის უდიდეს ტენდენციებს" (Литературная теория немецкого романтизма, Ленинград, 1934, გვ. 172).

ანტიტირანული, ანტიფეოდალური შეხედულებანი. ამდენად ფენს შუქს „ვერთერი“ გოეთეს სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს ბურჟუაზიული რევოლუციის წინა პერიოდში, იმყოფება ორ-

---

რომანტიკოსებს უფრო მეტად ეხმაურებოდათ „ვილჰელმ მაისტერის“ გმირი მინიონი, ვიდრე მეოცნებე-ტირია ვერთერი და ამ გარემოებას შემდეგში მათთვის ხელი არ შეუშლია მკვეთრად გამიჯნულიყვნენ გოეთესაგან, მისი „ვილჰელმ მაისტერისაგან“, როცა დარწმუნდნენ, რომ გოეთე არ გამოდგებოდა მათ მედროშედ, რომ „ვილჰელმ მაისტერს“ რომანტიკული მიმენტების სიუხვის მიუხედავად, მსჭვალავს რეალისტური თვალსაზრისი. ცნობილია, რომ შემდეგში მათ პირი იბრუნეს გოეთესაგან, მისი რეალიზმისაგან. რომანტიკოსთა ეს შეცვლილი პოზიცია გოეთესადმი გამოიხატა ნ ო ვ ა ლ ი ს ი ს შემდეგ სტატიებში: „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“ გარკვეული მნიშვნელობით არის მეტად პროზული და თანადროული. რომანტიკული აქ ისპობა, ისპობა აგრეთვე პოეზია ბუნებისა, სასწაულებრივი. აქ საუბარია ჩვეულებრივ ადამიანურ საქმეებზე, დაციწყებულია ბუნება და მისტიკურობა. ეს პოეზიად გარდაქმნილი მეშჩანურ-საოჯახო მოთხრობაა. ამ წიგნის სულს შეადგენს მხატვრული ათეიზმი. ერთობ ბევრია ყოფიერება, იაფი პროზული მასალით მიღწეულია პოეტური ეფექტი“.

ამგვარი ცვლილება გოეთესადმი მისტიკოს რომანტიკოსთა დამოკიდებულებაში გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გოეთემ, როგორც ჰაინე იტყოდა, შეწყვიტა მათდამი „დიპლომატიური მედიდურობა“ (H. Heine. Die romantische Schule. Sämtl. Werke herausgeg. v. Elster, Bd. V, S. 247), როცა დარწმუნდა, რომ ისინი პოლიტიკაში რეაქციისაკენ, იდეოლოგიაში მისტიკა-პათოლოგიზმისაკენ მიდიოდნენ (დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ჩვენი შრომა—Гете и концепция Генриха Гейне, თბილისის სახ. უნივ. შრომები, 1939 წ.—იხ. აგრეთვე ჩვენი შრომა — ნარკვევები გერმანული ლიტერ. ისტორიიდან, თბილისი, 1953, გვ. 495—498).

გოეთემ წარმოთქვა მრისხანე განაჩენი მისტიკოს რომანტიკოსებზე და ეს თავისი შეხედულება რომანტიკოსებზე მას სიკვდილამდე არ შეუცვლია. ეკერმანთან საუბარში რომანტიზმს იგი ახასიათებდა, როგორც ავადმყოფურს შედარებით ანტიკურთან, რომელსაც იგი სიჯანსაღეს უწოდებდა („Das Klassische nenne ich das Gesunde, und das Romantische das Kranke“.—Eckermann, II, 63).

ასეთი იყო გოეთეს პოზიცია მისტიკოს რომანტიკოსებისადმი დამოკიდებულებაში XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში. ამ პოზიციას მწერალი იცავდა არა მხოლოდ თავის თეორიულ-კრიტიკულ შრომებში, არამედ მხატვრულ შემოქმედებაშიაც. ელიზაროვას დებულებას, რომ XIX საუკუნეში გოეთე ანტიკურ-პლასტიკური ფორმების ორიენტაციიდან რომანტიკული ფორმების ორიენტაციისაკენ იხრება, არ ამართლებს ამ პერიოდის გოეთეს შემოქმედება.

ჩვენს მკვლევარს გაუთვალისწინებელი რჩება ის გარემოება, რომ XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ანტიკურობაზე ორიენტაცია საზღვარგარეთის ლიტერატურაში საერთოდ და კერძოდ გოეთესთან, განსხვავებულ ხასიათს ატარებს, მაგრამ მას მხედველობიდან ეპარება ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდის გოეთეს შემოქმედებაში ანტიკურ ფორმებს, ანტიკურობაზე ორიენტა-

განულ კავშირში იმ ნაწარმოებებთან, რომლებიც აქამდე ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ ამხედრებულ მწერალს დაეწერა.

რევოლუციამდელი გოეთეს ანტიფეოდალური, რადიკალურ-დემოკრატიული შეხედულებები დასრულებული სახით წარმოდგენილია მონუმენტური ნაწარმოების—„ფ ა უ ს ტ ი ს“ პირველ ნაწილში. ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია მოსაზრება, რომ „ფაუსტის“ პირველი ნაწილი არ შეიძლება მიეკუთვნოს რევოლუციამდელი პერიოდის გოეთეს შემოქმედებას, რადგან ეს ნაწარმოები საბოლოო სახით გამოქვეყნდა არა საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციამდე, არამედ 1808 წელს*. გოეთეს შემოქმედე-

---

ციას კვლავაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ჩვენი მკვლევარი ყურადღების გარეშე ტოვებს იმ ფაქტს, რომ XIX საუკუნეში შეიქმნა „ფაუსტის“ II ნაწილი, რომელშიაც ანტიკურ თემებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

* ასე, მაგალითად, ნ. ურუშაძეს უმართებულოდ მიაჩნია, რომ ჩვენს შრომაში—„ნ ა რ კ ვ ე ვ ე ბ ი გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ი ს ტ ო რ ი ი-დ ა ნ“, გოეთეს იმ ნაწარმოებთა გვერდით, რომლებიც დაიწერა მე-19 საუკუნემდე, განხილულია „ფაუსტის“ პირველი ნაწილი. თავისი აზრის დასამტკიცებლად იგი საბუთად აყენებს იმ გარემოებას, რომ „ფაუსტის“ პირველი ნაწილი დასრულებული სახით გამოვიდა 1808 წელს, აგრეთვე იმას, რომ „ფაუსტის“ ანალიზის ასეთ დაყოფას ადგილი აქვს ბურჟუაზიულ ლიტერატურისმცოდნეობაში (ციტ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1954, № 8, გვ. 78). „ფაუსტის ანალიზის ასეთ დაყოფას ბურჟუაზიულ ლიტერატურისმცოდნეობაში, წერს ნ. ურუშაძე, ის საფუძველი აქვს. რომ მისი წარმომადგენლები წინ აყენებენ პირველ ნაწილს და ამცირებენ მეორე ნაწილს“ (იქვე). რა გვეთქმის ამის შესახებ? რამდენად მართებულად იქცევა ნ. ურუშაძე, როცა „ფაუსტის“ ნაწილების ცალკე განხილვის წინააღმდეგ ილაშქრებს იმის გამო, რომ ასე დაყოფილად იხილავენ ამ ნაწარმოებს თურმე ბურჟუაზიული ლიტერატურისმცოდნეები და რომ ამის გამო ჩვენც უნდა უკუვაგდოთ „ფაუსტის“ პირველი ნაწილის ცალკე განხილვის პრაქტიკა?

უნდა შევნიშნოთ, რომ „ფაუსტის“ ანალიზის ამგვარ პრაქტიკაზე ხელის აღების მოთხოვნა იმის გამო, რომ ასე დაყოფილად განხილვას ადგილი აქვს ზოგიერთი ბურჟუაზიული გოეთელოგის შრომაში, მეტი რომ არ ვთქვათ, გულუბრყვილობაა, რადგან მთავარი მნიშვნელობა იმას კი არ ენიჭება, თუ სად იქნება განხილული ესა თუ ის ნაწარმოები, ან მისი ნაწილები, არამედ იმას, თუ რ ო გ ო რ, რა თვალსაზრისით იქნება იგი განხილული. რა უშლის ხელს რომელიმე ბურჟუაზიულ გოეთელოგს განიხილოს „ფაუსტის“ პირველი ნაწილი იქ, სადაც ის იხილავს ხოლმე გოეთეს უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებებს, ანდა განიხილოს პოემის ორივე ნაწილი ერთად და განიხილოს სწორედ ბურჟუაზიული თვალსაზრისით? ცხადია, არაფერი. ფაქტები მოწმობს, რომ ეს სწორედ ასეა, რომ მთელი რიგი ბურჟუაზიული გოეთელოგებისა, წინააღმდეგ ნ. ურუშაძის განცხადებისა, არ იხი-

ბის ასე რუბრიკებად დაყოფის მოყვარულნი მხედველობიდან უშვებენ, რომ „ფაუსტის“ პირველ ნაწილზე, ისე როგორც მომდევნო ნაწილზე, გოეთე მუშაობდა ხანგრძლივი დროის მანძილზე, რომ ამ ნაწარმოების შექმნის იდეა მას დაებადა ჯერ კიდევ ჰაბუკობის პერიოდში. ისინი მხედველობიდან უშვებენ, რომ 90 იან წლების გასულამდე შეიქმნა „ფაუსტის“ პირველი ნაწილის მთავარი ნაწილები და რომ „ფაუსტის“ პირველი ნაწილი იდეურად გოეთეს შემოქმედებითი განვითარების ამ პერიოდს უკავშირდება.

ლავენ „ფაუსტს“ დაყოფილად, არამედ ეძებენ „ფაუსტში“ მთლიანობას, საერთო მაგისტრალურ ხაზს, იხილავენ „ფაუსტის“ პირველ ნაწილს გოეთეს იმ ნაწარმოებებთან ერთად, რომლებიც XIX საუკუნეში შეიქმნა. ასე იქცევა, მაგალითად, ლიტერატურის ისტორიკოსი ლ ა ი ქ ს ნ ე რ ი, რომელიც „ფაუსტის“ ორივე ნაწილის ანალიზს ახდენს მწერლის არა ადრინდელი ნაწარმოებების, „გოეცის“, „პრომეთეს“, „ვერთერისა“ და სხვათა გვერდით, არამედ გოეთეს ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში დაწერილი ნაწარმოებების, „რჩეულთა შენათესავების“, „დასავლეთ-აღმოსავლეთის დივანის“, „ჭეშმარიტებისა და პოეზიის“ გვერდით (L e i x n e r O. Geschichte der deutschen Literatur, Leipzig 1906, გვ. 663—674) ასევე იქცევა გ. კ ლ ე ე, რომელიც გოეთეს შემოქმედების განხილვას ამთავრებს „ფაუსტის“ ორივე ნაწილის მთლიანი ანალიზით (Dr. G o t h o l d K l e e. Grundzüge der deutschen Literaturgeschichte. Berlin, 1922, გვ. 118—121). ჰ. კ ლ უ გ ე ც თავის ლიტერატურის ისტორიაში „ფაუსტის“ ორივე ნაწილის ანალიზს აბდენს იქ, სადაც არჩევს „მოგზაურობის წლებს“ (K l u g e H. Geschichte der deutschen national-literatur, Altenburg. 1905, SS 177—181).

„ფაუსტის ნაწილების არა დაყოფის, არამედ მათი ერთიანობის დებულებიდან გამოდის აგრეთვე ვ. ჰ ე რ ტ ც ი (W. H e r t z. Fausts letzter Erdentag“. ჟურნ. Germ. romant. Monatsschrift, XX, Jahrgang, Heft ³/₄, Heidelberg, 1932, გვ. 107—122), რაც მას ხელს არ უშლის საფუძველშივე მცდარად წარმოადგინოს „ფაუსტის“, როგორც ერთიანი ნაწარმოების, პრობლემატიკა (შდრ. იმავე ჟურნალის 1932 წლის მე-7—8 ნომერში გამოქვეყნებული წერილი ვ. ლ ი ნ დ ე ნ ი ს ა — „Faust und Wilhelm Meister“, გვ. 265, აგრეთვე კ ე ს ტ მ ა ი ს წერილი—„Zur Einheit in Faust“, რომლის ავტორიც „ფაუსტის“ მთლიანობის აღიარებისაკენ იბრძვა).

„ფაუსტის ორივე ნაწილის ერთიანობის აღიარებიდან გამოდის აგრეთვე კ. ბ ურ დ ა ხ ი (K. Burdach. Das religiöse Problem in Goethes Faust), რაც მას ხელს არ უშლის საფუძველშივე გააყალბოს ამ ერთიანობის არსი, წარმოადგინოს იგი როგორც გოეთეს მიერ წარმოებში ქრისტიანულ-რელიგიური იდეის თანმიმდევრული გატარების შედეგი. დაბოლოს, სხვა ბურჟუაზიულ გოეთელოგებზე რომ არაფერი ვთქვათ, „ფაუსტის“ ნაწილების თავისებურებად გაგებული ერთიანობის თვალსაზრისიდან გამოდიან ისეთი თვალსაჩინო ბურჟუაზიული

გოეთეს კრიტიკული დამოკიდებულება მისი გარემომცველი ფეოდალური საზოგადოებისადმი, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ მწერლის ამხედრება განსაკუთრებით მძლავრად ჩანს „ფაუსტში“.

გოეთელოგები, როგორიც არიან გუნდოლფი და ჩემბერლენი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელიც „ფაუსტის“ პირველ ნაწილს, როგორც დასრულებულ ნაწარმოებს, არ ათავსებს „გოეცის“, „პრომეთეს“, „მუზამედის“, „ვერთერისა“ და სხვათა კვერდით. გოეთეს ცხოვრების პირველ ნახევარში (Chamberlain H. S. Goethe. München, 1919, S. S. 16—63).

ყოველივე ეს მოწმობს, თუ რამდენად სწორი წარმოდგენა აქვს ჩვენს კრიტიკოსს საქმის ვითარებაზე, რამდენად ორიენტირებულია იგი მასალაში, როცა აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული ლიტერატურისმცოდნეობა „ფაუსტის“ ნაწილებს დაყოფილად იხილავსო, როგორც დაეინახეთ, მთელი რიგი ბურჟუაზიული გოეთელოგი არ იხილავს „ფაუსტს“ დაყოფილად, ბევრი მათგანი პოემის პირველ ნაწილს იხილავს იქ, სადაც განიხილება ხოლმე გოეთეს შემოქმედების უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებები, მაგრამ მასალის ამგვარ განლაგებას არ მოუხდენია რაიმე სასწაული, არ დაუზღვევია ისინი „ფაუსტის“ შესახებ ყალბი კონცეფციის განვითარებისაგან.

შეუძლებელია ითქვას, რომ „ფაუსტის“ შესახებ ჩვენი კრიტიკოსის ამ გულუბრყვილო მსჯელობაშიაც სიმართლის არავითარი მომენტი არ მოიპოვებოდეს. ასეთად მიჩნეული უნდა იქნას იმის აღნიშვნა, რომ ბურჟუაზიულ ლიტერატურისმცოდნეობაში ადგილი აქვს „ფაუსტის“ ნაწილების ურთიერთდაპირისპირებას. შეცდომა ჩვენი კრიტიკოსისა ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ იგი ანზოგადებს ამ დებულებას, ხელაღებით ლაპარაკობს ამ დაპირისპირების შესახებ ბურჟუაზიულ ლიტერატურისმცოდნეობაში. ფაქტები კი მოწმობს, რომ ამ დებულების განზოგადება მთელი ბურჟუაზიული გოეთელოგიის მიმართ სწორი არ არის, რომ მთელი რიგი ბურჟუაზიული გოეთელოგი არ იზიარებს ფიშერის, შერერისა და სხვათა კონცეფციას „ფაუსტის“ ნაწილების დიამეტრული წინააღმდეგობის შესახებ, რომ ისინიც ცდილობენ დაინახონ „ფაუსტში“, გოეთეს შემოქმედების სხვადასხვა პერიოდებს შორის ერთიანობა, მაგრამ ეს ერთიანობა მათ ესმით საფუძველშივე მცდარად, ესმით როგორც „ფაუსტში“ მწერლის მიერ რელიგიური იდეის თანმიმდევრულად გატარების შედეგად მიღწეული ერთიანობა, როგორც მწერლის გათავისუფლება თავისი „ურკონფლიქტისაგან“, ადრინდელი მეამბოხური შეხედულებებისაგან, როგორც „თვითაღზრდა“, ბურჟუაზიულად გაგებულ წესრიგსა და ზომიერებაზე გადასვლა.

შრომის სხვა ადგილას დაწვრილებით იქნება ნაჩვენები და განხილული როგორც ის შეხედულებები, რომლებიც ერთიმეორეს უპირისპირებენ გოეთეს შემოქმედების ორ პერიოდს, „ფაუსტის“ პირველსა და მეორე ნაწილებს, ასევე ის შეხედულებები, რომლებიც გოეთეს მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში ერთიანობის ძიების აბრის ქვეშ აყალბებენ ამ მსოფლმხედველობისა და შემოქმედების არსს. აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ურუშაძეს, როცა იგი „ფაუსტის“ ანალიზის დარგში „ნარკვევების“ ავტორისა და ბურჟუაზიული ლიტერატურისმცოდნეობის რაღაც თანხვედენილობის შესახებ ლაპარაკობს, მოეთხოვებოდა მასალის ცოდნის საფუძველზე გაეკეთებინა თავისი დასკვნები აღნიშნულ ლიტერა-

სწორედ ამ ნაწარმოებში დასძლია გოეთემ არსებულის წინააღმდეგ ამხედრების ის ბუნდოვან-ბუნტარული ფორმა, რომელსაც ვხედავთ გოეცსა და პრომეთეს მხატვრულ სახეებში; ასევე დასძ-

---

ტურისმცოდნეობაზე, თუმცა უნდა ითქვას, რომ აზრი ბურჟუაზიულ ლიტერატურისმცოდნეობაში „ფაუსტის“ ნაწილების ურთიერთდაპირისპირების შესახებ არ ეკუთვნის ნ. ურუშაძეს, არამედ დიდი ხანია ცნობილია. ორიგინალობა ჩვენი კრიტიკოსისა იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისებურად გაიმეორა ეს აზრი, გაიმეორა ისე, რომ ყველაფერი არია. თავდაყირა დააყენა. რაში სჩანს ეს? გოეთეს შემოქმედების შესახებ არსებულ ბურჟუაზიული ლიტერატურის შესწავლას იმ დასკვნამდე მიეყვანართ, რომ „ფაუსტის“ ნაწილების, მწერლის შემოქმედებითი განვითარების ე. წ. წინავაიმარული და ვაიმარული პერიოდების დაპირისპირებაზე ბურჟუაზიული თეორია მიზნად ისახავს განადიდოს მწერალი, როცა ის თავისი მსოფლმხედველობის სუსტ მხარეს შედარებით უფრო მკვეთრად ამჟღავნებს, ჩაწიხლოს მწერალი, როცა იგი უმხედრდება ჩაგვრის სისტემას, თავს ესხმის მას თავისი გმირების—გოეცის, პრომეთეს, ფაუსტის და სხვათა მეშვეობით. იგივე ითქმის გოეთეს „ფაუსტის“ შესახებაც. მთელი რიგი ბურჟუაზიული გოეთელოგები, მათ შორის ისეთი თვალსაჩინონი, როგორიც არიან გუნდოლფი და ჩემბერლენი, მიიჩნევენ პოემის პირველი ნაწილის გმირს, მასთან ერთად შტიურმერული ხანის სხვა პერსონაჟებსაც, როგორც გოეთეს ანარქიულობის, მისი გაუთვითცნობიერებლობის პროდუქტს, ხოლო მეორე პერიოდის მხატვრულ პერსონაჟებს კი, — როგორც მწერლის ანარქიულობისა და კონფლიქტისაგან განთავისუფლების მაჩვენებელს. გოეთეს შემოქმედებითი განვითარების ამ ორ პერიოდს შორის, რომლებშიაც იშვა „ფაუსტის“ ცალკე ნაწილები. ჩემბერლენი, მაგალითად, ხედავს მკვეთრად გავლებულ დემარკაციულ ხაზს („eine scharfe Scheidungslinie“), „ფაუსტის“ პირველ ნაწილზე მუშაობის დაწყების პერიოდს იგი უწოდებს დაბნეულობის, დაუდგრომლობისა და უიეგმობის ხანას („die nun volgenden Iahre sind die verworrensten in Goethes Leben. Das Fahrige, Unstete, Planlose, Grillenhafte in seinem Wesen erreichte hier den Hohepunkt“. Chamberlain, 36).

და აი, წინააღმდეგ ყოველივე ამისა, ნ. ურუშაძე წერს, რომ ბურჟუაზიულ ლიტერატურისმცოდნეობის წარმომადგენლები „წინ აყენებენ პირველ ნაწილს და ამცირებენ მეორე ნაწილს“-ო (Op. cit.). „ფაუსტის“ ნაწილების განხილვა ბურჟუაზიულ ლიტერატურისმცოდნეობაში მან წარმოგვიდგინა სრულიად არეულად, ნაცვლად იმისა, რომ ამ მეცნიერებაში დაენახა „ფაუსტის“ პირველი ნაწილის დამცირება, დაენახა მისი განდიდება, ე. ი. წარმოადგინა იმის სრულიად შებრუნებული სურათი, რასაც სინამდვილეში აქვს ადგილი. თავისთავად ცხადია, ასეთ კრიტიკას არ შეუძლია დაგვაახლოოს ჭეშმარიტების გაგებასთან, შემატოს რაიმე საკითხის შესწავლას. რა უნდა შემატოს საკითხის შესწავლას, მაგალითად, ნ. ურუშაძის განცხადებამ, რომ სწორი არ არის „ნარკვევებში“ განვითარებული აზრი იმის შესახებ, რომ ფაუსტის სასოწარკვეთილების მიზეზი თავიდანვე არის მისი იმედების გაცრუება მეცნიერებაზე“ (იქვე). „ფაუსტის იმედგაცრუების ნამდვილი მიზეზი ისაა, წერს ურუშაძე, რომ მისი მოქმედი ბუნება და დიდი ცოდნა ვერ პოულობენ თავის გამოყენებას ცხოვრებაში“ (18). თუ ჩვენი კრიტიკოსის შეხედულების საფუძველზე დავდგებით, უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ

ლია მან ამ ნაწარმოებში უსაგნო მეოცნებობა და სასოწარკვეთა ვერთერისა და გადავიდა ბრძოლის რადიკალურ ფორმაზე, არსებულის დასაბუთებულ უარყოფაზე, დადებითი პოზიტიური პროგრამის გამომუშავებაზე.

ფაუსტი არის არა მოაზროვნის, ახალი დროის მოაზროვნის ტიპი, არამედ ტიპი ჩვეულებრივი ბიურგერი ინტელიგენტისა, რომელსაც თავისი ცოდნა ცხოვრებაში ვერ გამოუყენებია, სამსახურებრივი კარიერა ვერ მოუპოვებია. საიდან დასკვნა კრიტიკოსმა, რომ ფაუსტის (ლაპარაკია პოემის პირველ ნაწილზე) დიდი ცოდნა ვერ პოულობს გამოყენებას ცხოვრებაში? აბა რატომაა, რომ ხალხი ასე აღტაცებით ეგებება ფაუსტს, აფასებს მის ამაგს? განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ფაუსტის ცოდნა მითაა მნიშვნელოვანი და განსხვავებული სქოლასტიკურ-მეტაფიზიკური ცოდნისაგან, რომ იგი ცხოვრებისაგან მიღებული და მასთან დაკავშირებული ცოდნაა, რომ ფაუსტი არ არის კაბინეტური ტიპის მოაზროვნე, რომ მას ცოდნა არა პირადი, არამედ სახალხო კეთილდღეობისათვის სურს გამოიყენოს?

საკამათოდ იხდის რა ჩვენს დებულებას, რომ დასაწყისში ფაუსტი არის იმედგაცრუებული მეცნიერებაზე, ნ. ურუშაძეს ან არ აქვს გაგებული, ანდა ჩქმალავს იმას, თუ რომელ მეცნიერებაზეა აქ ლაპარაკი. თავისთავად ცხადია, ლაპარაკია სქოლასტიკურ-მეტაფიზიკურ განათლებაზე, რომელზედაც ფაუსტი მართლაც იმედგაცრუებულია. ასევე „შეუმჩნეველი“ რჩება ჩვენს კრიტიკოსს „ნარკვევებში“ განვითარებული ის აზრი, რომ ფაუსტის იმედგაცრუება შუასაუკუნეების მეცნიერებაზე არ გამოხატულა საერთოდ მეცნიერებაზე იმედგაცრუებაში. ამის აღნიშვნა, როგორც ჩანს, ჩვენს კრიტიკოსს არ აწყობს.

როგორც აღვნიშნეთ, ნ. ურუშაძეს უმართებულოდ მიაჩნია „ფაუსტის“ პირველი ნაწილის განხილვა „ნარკვევების“ პირველ ტომში იმ გარემოების გამოც, რომ წიგნში იმ მოვლენებზეა ლაპარაკი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ XIX საუკუნემდე მაშინ, როდესაც „ფაუსტის“ პირველი ნაწილი დასრულებული სახით გამოქვეყნდა 1808 წელს. როგორც ჩანს, ნ. ურუშაძისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა იმ გარემოებას, თუ იდეურ-შინაარსობრივად რომელ ეპოქას ეკუთვნის „ფაუსტის“ პირველი ნაწილი, როგორ იქმნებოდა ეს ნაწარმოები, არამედ იმას, თუ რომელ წელს გამოქვეყნდა იგი. თუ მისთვის განმსაზღვრელი ეს მომენტია, თუ „ნარკვევების“ ავტორი საყვედურს იმსახურებს იმისათვის, რომ მან 1808 წელს გამოქვეყნებული ნაწარმოები განიხილა თავის წიგნში, მაშინ რატომ არ იჩენს იგი თანმიმდევრობას, რატომ მიიჩნევს წიგნის „დიდ ხარვეზად“ იმ გარემოებას, რომ მასში არაა განხილული „ფაუსტისა“ და „ვილჰელმ მაისტერის“ მეორე ნაწილები? „წიგნის დიდ ხარვეზად მიგვაჩნია, წერს ურუშაძე, ის, რომ მასში არაა გოეთეს „ფაუსტისა“ და „ვილჰელმ მაისტერის“ მეორე ნაწილების განხილვა“ (დასაბეჭდებული ჟურნალი, გვ. 77). საინტერესოა რა ლოგიკით ხელმძღვანელობს კრიტიკოსი, როცა, ერთი მხრივ, იმას აღნიშნავს, რომ „ნარკვევების“ პირველ ტომში არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი „ფაუსტის“ პირველი ნაწილის განხილვა იმის გამო, რომ ეს ნაწარმოები 1808 წელს გამოქვეყნდა, ხოლო, მეორე მხრივ, წიგნის დიდ ხარვეზად მიაჩნია მასში გოეთეს 1829 და 1831 წწ. გამოქვეყნებული ნაწარმოებების შეუტანლობა. დიდი მიხვედრა არაა საჭირო იმის გასაგებად, რომ თუ „ნარკვევებში“ არ იყო ადგილი „ფაუსტის“ პირველი ნაწილის განხილვისათვის, მით უფრო არ იქნებოდა ადგილი ოცდასამი წლის შემდეგ გამოქვეყნებული მეორე ნაწილის განხილვისათვის.

„ფაუსტი“ წარმოადგენს მონუმენტურ ძეგლს იმ ეპოქისა, როცა ძველი და ახალი საძყარო ეოთიძეორის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა, როცა იწყება წარსულის ღირებულებათა გადაფასება, საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველსა და ზედნაშენში ადგილი აქვს გრანდიოზულ ცვლილებებს, როცა რევოლუცია მზადდება არა ბბოლოდ ბაზისში, არაძედ საზოგადოებრივი ცნობიერების სფეროშიაც. მართალია, „ფაუსტი“ ემყარება გერძანულ სინამდვილეს და ამდენად ატარებს იმ შეზღუდულობის ნიშნებსაც, რაც დამახასიათებელი იყო იმდროინდელი გერმანიისათვის, მაგრამ ამ ნაწარმოებში არა მხოლოდ ისაა გენიალურად განზოგადებული, რასაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში, არაძედ ისიც, რასაც ადგილი ჰქონდა მთელს იმდროინდელ ევროპაში, სახელდობრ, განზოგადებულია ფეოდალური წყობისა და მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ ეანგრძლივი ბრძოლის

რასაკვირველია, ლიტერატურის მკვლევარი ვერავითარ შემთხვევაში გვერდს ვერ აუვლის განსახილველი ნაწარმოების გამოქვეყნების თარიღს. მაგრამ ამის გასწვრივ იგი ვალდებულია გაითვალისწინოს ბევრი სხვა მომენტი, უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივი მხარე, ნაწარმოების შექმნის ისტორია. „ფაუსტის“ პირველი ნაწილის ანალიზისას სწორედ ეს მომენტია ეალრესად მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი, სახელდობრ ის გარემოება, რომ იდეურად ეს ნაწარმოები გოეთეს იმ ნაწარმოებების ჯეერდით დგას, რომლებშიაც მწერალი ფეოდალურ-აბსოლუტისტური რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდა, გოეთეს მებრძოლ-დემოკრატიული განწყობილებებით გამსჭვალული ნაწარმოებების გვერდით. ლაპარაკობს რა გოეთეს მიერ შექმნილ იმ მხატვრულ სახეებზე, რომლებშიაც მწერალი უმსჯდრდება მის გარემომცველ ფეოდალურ საზოგადოებას, ფრ. ენგელსი ასახელებს გოეცს, პრომეთეს და ფაუსტს (Marx-Engels über Kunst und Literatur, Moskau, 1937, გვ. 129—130). ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ იმაში, რომ ენგელსს მხედველობაში აქვს ფაუსტი ნაწარმოების პირველი ნაწილისა. ფაუსტი „ქარიშხლის და შეტევის“ ეპოქისა.

„ფაუსტის“ პირველი ნაწილი აგრძელებს, აღრმავებს და აგვირგვინებს გოეთეს შემოქმედებითი განვითარების იმ ხაზს, რომელზედაც მოცემულია „გოეცი“, „პრომეთე“, „ვერთერი“ და ამ პერიოდის სხვა ნაწარმოებები. ქრონოლოგიურადაც მას აქვს ამ ნაწარმოებებთან შესხების ბევრი წერტილი. იდეა მისი დაწერისა იშვა სწორედ იმ პერიოდში, როცა გოეთე „ქარიშხლისა და შეტევის“ მოძრაობის სათავეში იდგა; მისი ცალკე ნაწილები დაიწერა სწორედ იმ ხანაში, როცა „გოეცი“ და „ვერთერი“ დაიწერა; მისი როგორც დასრულებული ნაწარმოების წინარე სახე („Urfaust“) გამოქვეყნდა 80-იან წლებში, როცა „ქარიშხლისა და შეტევის“ განწყობილებები მწერალთან ჯერ კიდევ ძლავრად იყო წარმოდგენილი. იტალიაში ყოფნის პერიოდში მწერალმა შეიტანა გარკვეული ცვლილებები ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში, თავის მხატვრულ ჩანაფიქრში. მაგრამ არავითარი ფაქტობრივი მონაცემი არ არსებობს, რომლის საფუძველზედაც შეიძლებოდეს დავასკვნათ, რომ გოეთემ რადიკალურად შეცვალა თავისი ნაწარმოები. რომ ამის გამო ეს უკანასკნელი უნდა დავაშოროთ იმ ეპოქას, რომელშიაც „გოეცი“, „პრომეთე“ და „ვერთერი“ იშვა.

გამოცდილება. გოეთეს „ფაუსტის“ სიდიადე იმაშიაც მდგომარეობს, რომ მასში ასასვას პოულობს ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის სხვადასხვა ხალხთა მიზანსწრაფვა. ეს გარემოება აძლევდა საფუძველს ბელინსკის მიეჩნია, რომ „ფაუსტში“ მოცემულია ყველა ზნეობრივი საკითხი, რომელიც კი შეიძლება ჩაისახოს ჩვენი დროის ადამიანის გულში[1].

„ფაუსტი“ გვაძლევს გოეთეს ევოლუციის, ბურჟუაზიული რევოლუციისადმი მისი დამოკიდებულების ნათელ სურათს. არც ერთ სხვა აქამდე დაწერილ ნაწარმოებში გოეთე იდეურად ასე ახლო არ მისულა ბურჟუაზიულ რევოლუციასთან, როგორც ტრაგედია „ფაუსტში“, კერძოდ, მის პირველ ნაწილში. მართალია, აქ ვერსად შეეხვდებით ისეთ მოტივებს, რომლებიც ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ რაიმე მასობრივ მოძრაობაზე მიუთითებდეს, ვერ შეეხვდებით ამ ურთიერთობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის სურათებს, მაგრამ ნაწარმოების მთელი იდეური ქარგა ისეა აგებული, რომ ჩვენ ვგრძნობთ, რომ ვიმყოფებით ბრძოლის წინა ხაზზე, ვხდებით მოწამე, თუ როგორ იბადება ძველი წყობილების წიაღიდან ბრძოლისა და რევოლუციური უარყოფის გზით ახალი წყობილება.

გოეთეს „ფაუსტში“ ისახება ჭიდილი ძველსა და ახალს შორის და ამ ნიადაგზე წარმოშობილი შეშფოთებისა და ეჭვიანობის ჰანგები, საბოლოო ჯამში კი, დადებითი, პოზიტური თვალსაზრისის გამარჯვება. ნაწარმოების მთავარი გმირი ტიპია ახალი ეპოქის მოაზროვნის, გაბედულად დაპირისპირებულის ფორმალისტურ-სქოლასტიკური განათლებისადმი, მეტაფიზიკისა და თეოლოგიისადმი, საერთოდ იმ იდეოლოგიისადმი, რომელიც ფეოდალურ საზოგადოებას იცავდა. „ფაუსტში“ მაატვრულად განზოგადებულია ის საზოგადოებრივი ცვლილებები, რომლებსაც ადგილი აქვს ევროპაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში. ის იმ ეპოქის მაატვრული პროდუქტია, როცა მთელ რიგ ქვეყანაში ნიადაგი ერყევა ფეოდალურ ურთიერთობას, კერძოდ, გოეთეს სამშობლოშიაც, როცა ადგილი აქვს ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ მასობრივ რევოლუციურ გამოსვლებს.

ფაუსტის მხატვრული სახის წარმოქმნა დაკავშირებულია არა მხოლოდ იმ ეპოქასთან, როცა წარმოებს სამზადისი ბურჟუაზიული რევოლუციისათვის, არამედ, თვით ბურჟუაზიული რევოლუ-

---

[1] Белинский. Сочинения, т. III, 1948, გვ. 797.

ციის ეპოქასთან. დიდი კულტურულ-შემეცნებითი ღირებულება ამ მხატვრული სახისა იმაში მდგომარეობს, რომ მასში მოისმის რეზონანსი იმ ბრძოლებისა, რომლებიც წარმოებდა ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ, აგრეთვე იმ ბრძოლებისა, რომლებიც წარმოებდა თვით ბურჟუაზიული რევოლუციისა და მის მომდევნო პერიოდებში.

გოეთეს ამ მონუმენტური ნაწარმოების გმირები, ფაუსტი და მეფისტოფელი, გამოჭრილნი დიდი სოციალური ამბებით მდიდარი ეპოქის თარგზე, არ იმეორებენ თავიანთ თავში XVI—XVII საუკუნის ფაუსტისა და მეფისტოფელის პერსონაჟებს, არამედ წარმოადგენენ მათთან შედარებით თვისობრივად ახალ მხატვრულ მოვლენებს. ისინი არიან შვილნი განათლების საუკუნისა, კრიტიკული აზრის განვითარების ეპოქისა. მთლიანად საფუძველს მოკლებულად არ შეიძლება ნივიჩნიოთ კაროს შენიშვნა მეფისტოფელის შესახებ, აღნიშვნა იმისა, რომ მეფისტოფელი არის „XVIII საუკუნის ფრანგი..., რომლისთვისაც ღიაა ვერსალის კარები და რომელიც სადილობს ენციკლოპედისტებთან“ [1].

ნაწარმოების მთავარი გმირის, ფაუსტის მისწრაფებები, წარმოადგენს თვით გოეთეს მისწრაფებებს. ეს მისწრაფებები ატარებს აშკარად მებრძოლ ხასიათს, მიმართულია ცრურწმენების, თეოლოგიის, მისტიკა-იდეალიზმის წინააღმდეგ. ფაუსტი გადაჭრით უარყოფს სასკოლო ფილოსოფიას. ვერც ფილოსოფიამ, ვერც იურისპრუდენციამ, მედიცინამ და თეოლოგიამ ვერ დააკმაყოფილა იგი, ვერ მისცა მას სულიერი საზრდო. იმის შეკნებამ, რომ „ჩვენ არაფრის გაგება არ შეგვძლებია“, ფაუსტი მიიყვანა მწარე დასკვნამდე, გულგატეხილობამდე. მაგრამ ამის მიუხედავად, იგი არ გადაჩეხილა სასოწარკვეთაში, უსასოებაში, გული არ აუცრუებია საერთოდ მეცნიერებაზე. იგი გულგატეხილია მხოლოდ იმ მეცნიერებაზე, რომელიც ვერ იძლევა ჭეშმარიტ ცოდნას, რომელიც ადამიანს იძულებულს ხდის მოიტყუოს თავი და მოატყუოს სავები, თქვას ის, რაც არ იცის.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ფაუსტი მისტიკოს-მეტაფიზიკოსია, რომელიც ისეთ საკითხებს სვამს, რაზედაც მეცნიერებას არ შეუძლია პასუხის გაცემა, რომ ის სფერო რომლისაკენ ფაუსტი ისწრაფვის, არ არის მეცნიერების სფერო [2]. კ. ფი-

---

[1] E. Caro. La philosophie de Goethe, Paris, 1880, p. 234.

[2] Шахов. Гете и его время, С-Петербург, 1891, გვ. 154. შახოვი წერს: „Фауст задает науке ложные требования“ (ibid.).

შ ე რ ი აღნიშნავს, რომ ფაუსტს ახასიათებს ბუნებისადმი სწრაფვა, რომ „იგი იშვერს ხელებს არა ჯოჯოხეთისაკენ, არამედ ბუნებისაკენ, რომელშიაც მას უნდოდა დაბრუნებულიყო, როგორც უძღებ შვილს თავის სამ.ობლოში, თავის მშობლიურ სახლში“ [1]. ბუნებისადმი ფაუსტის ამგვარ სწრაფვაში კ. ფიშერი ხედავს და, არც თუ უსაფუძვლოდ, რუსოს იდეების უკუფენას.

„ფაუსტი“, თქმა არ უნდა, აგრძელებს „ქარიშხლისა და შეტევის“ ეპოქის გოეთეს იდეურ ხაზს, „ვერთერის“ ხაზს. ნაწარმოების ცენტრალურ გმირსაც, ბუნებრივია, აქვს შეხების წერტილები, საერთო ამ რომანის ცენტრალურ გმირთან. ერთერთ ასეთ საერთო მომენტს წარმოადგენს მისწრაფება ბუნებრიობისადმი... რუსოს იდეების, მისი „ბუნების უფლების“ გამოძახილი იგრძნობა არა მხოლოდ „ვერთერში“, არამედ „ფაუსტშიაც“. როგორც ვერთერის, ისე ფაუსტის მხატვრულ სახეში ავტორი გვაგრძნობინებს, რომ ადამიანს არ გააჩნია ის, რაც შეადგენს დაბადებიდანვე მის განუშორებელ ნაწილს, არ გააჩნია ბუნებრივი უფლება, თავისუფლება. როგორც ვერთერი, ისე ფაუსტი გრძნობს, რომ საზოგადოების განვითარების გზა — ესაა გზა ბუნებრიობიდან ხელოვნურობისაკენ, ჰარმონიიდან დისჰარმონიისაკენ, მთლიანობიდან დანაწევრებისაკენ. ორივე მწვავედ აღიქვამს თავდაპირველი მთლიანობის დაშლის ფაქტს და მიზნად ისახავს მის აღდგენას ბუნებასთან დაბრუნების, ბუნებრიობის პრინციპის აღდგენის გზით.

ცხადია, პრინციპი ბუნებრიობისა, როგორც ვერთერთან, ისე ფაუსტთან არამც და არამც არ ნიშნავს წარსულისადმი დაბრუნების მოწოდებას, პირველყოფილობის აპოლოგიას, კაცობრიობის მიერ მიღწეული პროგრესის უგულებელყოფას. როგორც ჟ. ჟ. რუსო, ასევე გოეთე დგას თავისი დროის მოწინავე აზრის მიღწევათა სიმაღლეზე, განათლების საუკუნის მიღწევათა ნიადაგზე. პირველყოფილობისა და პატრიარქალობისადმი სწრაფვა, რაც თავს იჩენს მათ ნაწერებში, გამოხატავს არა წარსულისადმი დაბრუნების სურვილს, არამედ, სურვილს იმ მთლიანობის აღდგენისა, რაც, მათი აზრით, გარდასულ ეპოქას ახასიათებდა. რუსოს იდეათა ფარვატერში მოქცეულ გოეთეს გმირებს წარსული იტაცებთ იმდენად, რამდენადაც წარსულში ისინი ვერ ხედავენ მათი ეპოქისათვის დამახასიათებელ კონფლიქტებსა და დისონანსებს. იმის შეგნება, რომ ადამიანის ცხოვრება არ არის მოწყობილი ისე.

---

[1] К. Фишер. „Фауст“ Гете. 1867, გვ. 190.

როგორც უნდა იყოს მოწყობილი, რომ იდეალსა და სინამდვილეს შორის ღრმა კოლიზიაა, განაპირობებს მათ გატაცებას რუსოს იდეალებით.

მსგავსად ვერთერისა, ფაუსტიც ისწრაფვის ბუნებისა და ბუნებრიობისადმი. მასაც იზიდავს ყოველივე ის, რასაც დაუშლელობის და, მაშასადამე, ბუნებრიობის ბეჭედი აზის. მაგრამ ბუნებისადმი და ბუნებრიობისადმი მისი სწრაფვა საფუძვლიანად განსხვავდება ვერთერის მიზანსწრაფვათაგან. ბუნებისა და ბუნებრიობისადმი მისწრაფება ვერთერთან იღებს ბუნებასთან ამ გმირის საბოლოოდ შერწყმის, უსასრულობაში გათქვეფის ხასიათს. ბუნებისადმი სწრაფვა ვერთერთან საბოლოო ჯამში ღებულობს უკიდურესს, ცალმხრივ ხასიათს, რის ლოგიკურ შედეგსაც წარმოადგენს გმირის სულიერი და ფიზიკური კატასტროფა. სრულიად სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე ფაუსტთან. ისიც, მსგავსად ვერთერისა, პირს იბრუნებს ბუნებისაკენ იმის შეგნებით, რომ ადამიანთა საზოგადოებაში ადგილი აქვს მკვეთრ დისონანსებს, რომ სინამდვილესა და იდეალს შორის ღრმა კოლიზიაა, მაგრამ ფაუსტი მკვეთრად განსხვავდება ვერთერისაგან არა მხოლოდ იმით, რომ იგი უფრო ღრმად და საფუძვლიანად აღიქვამს ამ დისონანსებს, არამედ იმითაც, რომ ბუნებისადმი სწრაფვა მისთვის არ წარმოადგენს რაღაც თვითმიზნად, არამედ — თანადროულობის აქტიური საკითხების გადაწყვეტის საშუალებას.

ბუნებასთან დაახლოება ფაუსტს სჭირდება არა იმისათვის, რომ ზურგი შეაქციოს ცხოვრების მიერ დასძულ მწვავე საკითხებს, არამედ იმისათვის, რომ დასახოს ბრძოლის გაბედული პროგრამა, შეიმეცნოს სინამდვილე მისი არა პასიური განჭვრეტის, არამედ აქტიური გარდაქმნის მიზნით. გრეთჰენი მისთვის წარმოადგენს განსახიერებას ამგვარი დაუშლელი და დაუნაწევრებელი ბუნებისა, პირველყოფილობისა. მასთან ამ დიდი მოაზროვნის დაახლოვება ნაკარნახევია არა ტრადიციასა და პატრიარქალურობაში გათქვეფის სურვილით, არამედ იმით, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს იგი, როგორც მოაზროვნე, თავის თვალსაზრისზე. ყველა შეძთხვევაში, წარმოთქვამს თავის განთქმულ მონოლოგებს, თუ ატარებს დროს აუერბახის სარდაფში, ანდა საუბრობს გრეთჰენთან რელიგიის საკითხებზე, ფაუსტს მხედველობიდან არ ეპარება მთავარი მიზანი, ის, რაც მას ახალი დროის მოაზროვნედ აქცევს.

ფაუსტის სწრაფვა ბუნებრიობისადმი, მისი რუსოიზმი, საფუძველშივე განსხვავდება იმისაგან, რაც ამ მიმართებით ვერთერს ახასიათებს. რუსოიზმი ვერთერთან გამოხატულებაა მისი პასიუ-

რობის, მისი უუნარობისა აირჩიოს სინამდვილის გარდაქმნის ქმედითი გზა. მას არ მოაქვს ვერთერისათვის რაიმე ხსნა, პირიქით, იგი კიდეე უფრო აღრმავებს მის წინააღმდეგობრიობას. სასოწარკვეთაში ჩაკარდნილი ვერთერი ფიქრობს, რომ ბუნება მისცემს მას სიმშვიდეს, მალამოს სულიერი იარების მოსაშუშებლად; მაგრამ ბუნება ვერთერისათვის ვერ ასრულებს ამგვარ როლს, რადგან ეს გმირი საერთოდ პასიური მეკრეტელობით ხასიათდება. ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ ბუნებას მისთვის შვება და სიმშვიდე მოეტანა, ის მის შთამთქმელ ძალად იქცევა.

სრულიად განსხვავებულია ბუნებისადმი, საერთოდ სინამდვილისადმი ფაუსტის დამოკიდებულება. ბუნება მას იზიდავს, როგორც მთლიანობა და ჰარმონია და იგი იყენებს მას, როგორც სულიერი წინააღმდეგობრიობისაგან, სულიერი კრიზისისაგან თავის დაღწევის საშუალებას. განსხვავებით ვერთერისაგან, იგი რჩება მთლიანი, თავისი პრინციპების ერთგული. ამ მთლიანობას ინარჩუნებს ფაუსტი იმით, რომ იგი არის უაღრესად ქმედითი, კონსტრუქტული ყალიბის ადამიანი, რომლისთვისაც არაა დამახასიათებელი ვერთერისეული პასიური მეკრეტელობა და მეოცნებობა. მთლიანობა და ჰარმონია ფაუსტთან მიიღწევა არა წინააღმდეგობათა ძირითადი კომპონენტების მორიგებით, არამედ წინააღმდეგობრიობის გადალახვით, აქტიური მოქმედების პროგრამის დასახვით, რაც არ ნიშნავს, რომ წინააღმდეგობრიობა მასთან სრულიად იხსნება.

ბუნებამ ვერთერის განვითარებაში ვერ შეასრულა ის როლი, რაც შეასრულა მან ფაუსტის განვითარებაში, ვერ დააღწევინა თავი ბოქმედ პირს სულიერი კრიზისისათვის. ეს იმიტომ, რომ ვერთერი თავისი ბუნებით არ იყო მოწოდებული დაეძლია ეს კრიზისი. ფაუსტს კი ბუნებამ, ბუნებრიობისადმი სწრაფვამ ხელი შეუწყო გამოეძუშავებინა მწყობრი თვალსაზრისი, მოქმედების კონსტრუქტიული პროგრამა. და თუ დასაწყისში ღრმა ეჭვებში მყოფ ფაუსტს შეეძლო თავის შესახებ ეთქვა, რომ მასში ორი ერთიმეორის საპირისპირო ძალა მოქმედებს, შემდეგში აქტიური შემოქმედებითი საქმიანობით იგი უკვე აღადგენს დარღვეულ ჰარმონიას, შინაგან მთლიანობას. ვერთერული კრიზისი, გაძლიერებული გარესამყაროზე ვერთერთან შედარებით უფრო ღრმა დაკვირვებით, მისთვის იქცევა განვლილ საფეხურად იმიტომ კი არა, რომ იგი კადნიერებით ხასიათდება, რომ იგი თავისთავს ციწის სულის სწორად აცხადებს, არამედ იმიტომ, რომ მან შრომისა და აქტიური მოქმედების გზით მიაღწია ამგვარ მდგომარეობას, ბუ-

ნება ადამიანის არა მხოლოდ ესთეტიკური ტკბობის საგნად აქცია. არამედ ჩააყენა იგი ადამიანის საბსახურში, კაცობრიობისათვის ბედნიერი მომავლის შექმნის სამსახურში. ვერთეოისათვის ბუნება ფასეული იყო როგორც ადამიანისათვის სულიერი სიმშვიდის უზრუნველყოფის, ღრიური ჭირ-ვარამის, სოციალური სიღუსტირის დავიწყების საშუალება, ფაუსტისათვის კი იგი ბრძოლაში, პოზიტიურ საქმიანობაში ადამიანის გამარჯვების საშუალებაა.

ფაუსტის ნსატვრული სასის ეს ძირითადი მაარე უგულებელყოფილია ფიშეოის ბიერ.

ფ. გუნდოლფიც იზიარებს, რომ ფაუსტში არის დაუკმაყოფილებლობა, ტიტანიზმი და შეუჩერებელი სწრაფვა, მაგრამ ამ უკანასკნელის ფორმა, მისი აზრით, არის ორგვარი: საკუთარი მეობის დადგენა და ყოვლადობისადმი სწრაფვა. ეს მისწრაფებები, გუნდოლფის აზრით, მისტიკერ ხასიათს ატარებს [1].

ამგვარი შეხედულება ფაუსტის შესაებ არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ. არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ ფაუსტის გაბოცაადება მისტიკოს-ძეტაფიზიკოსად ინის გამო, რომ იგი არ კმაყოფილდება არსებულით, მეცნიერების მიერ მოპოვებულით, არამედ ეძებს ახალს, სასურველ ცოდნას საგნებისა და მოვლენების სამყაროში.

ფაუსტი მაღალი სფეროებისაკენ მიილტვის, ისწრაფვის გადალახოს ყოველგვარი შეზღუდულობა, ყოველგვარი მოძენტური, ერთ წერტილზე გაყინული, მკკდარი აბსტრაქტული სქემები. იგი ჰგავს პრომეთეს, ბისებრ რომ გააზრებული აქვს იდეროინდული უბადრუკი გერმანული სინამდვილე, მაგრამ—პრომეთეს, რომელსაც არა მარტო აფექტები ახასიათებს, არამედ სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნის ძლიერი სურვილი. ფაუსტის გაგებით არ არსებობს რაიმე ზღვარი ჩვენი შემეცნებისათვის. მან იცის, რომ ადამიანის ცოდნა რელატიურია და არა აბსოლუტური და არც ისახავს ნიზნად ასეთი აბსოლუტური ცოდნის მოპოვებას*. ფაუსტი არ ცნობს ადამიანის შემეცნებისათვის რაიმე ზღვარის დაწესებას, გამიჯვნას, არ ცნობს „ტრანსცენზუსს"; იგი იმ აზრისაა, რომ ადამიანის გონებას შეუძლია მიწვდეს არა თუ მოვლენებს („schwankenden Erscheinungen), არამედ, ე. წ. ნოუმენების ქვეყანასაც.

---

[1] Gundolf Fr.. Goethe, Berlin, 1922. S. 132.

* ვ. ი. ობენჰაუერი კი გოეთეს თითქმის აგნოსტიკოსად აცხადებს. „გოეთესაც აწუხებდა, წეოს იგი, ბუნების შემეცნებისათვის ზღვარის დადება. შეზღუდულია ჩვენი შემეცნება, რადგან ჩვენ დაკავშირებული ვართ დედამიწას-

ფაუსტის მიჩნევა მისტიკოს-მეტაფიზიკოსად, მისი მიზნის არამეცნიერულ მიზნად გამოცხადება მკვეთრად ეწინააღმდეგება ნაწარმოების მთელს იდეურ ხაზს, უგულებელყოფს იმას, რომ ფაუსტი არის ახალი ეპოქის ადამიანი, ტრადიციისა და რუტინის წინააღმდეგ მკვეთრი მებრძოლი. ფაუსტის მიჩნევა მისტიკოს-მეტაფიზიკოსად ნიშნავს იმის უგულებელყოფას, რომ გოეთეს ეს ნაწარმოები ევროპაში მომხდარი დიდი ისტორიული ცვლილებების მხატვრულ განზოგადებას წარმოადგენს.

ისინი, ვინც განწყობილი არიან ფაუსტის დაუდგრომლობაში, მის ტიტანურ მისწრაფებებში დაინახონ მოაზროვნე, რომელიც მეცნიერებას არამეცნიერულ ამოცანას უყენებს, არ ითვალისწინებენ ნაწარმოების იდეურ გამიზნულობას, ფაუსტის მკვეთრ დაპირისპირებას სქოლასტიკურ-მეტაფიზიკური განათლებისადმი, თეოლოგიის, თვით რელიგური რწმენისადმი.

ბუნებრივად ისმება კითხვა, — თუ ფაუსტის მისწრაფებები მეტაფიზიკური ხასიათისაა, თუ იგი მეცნიერებას არამეცნიერულ ამოცანას უყენებს, მაშინ რაღა აზრი აქვს მის ასე მკვეთრ გალაშქრებას სქოლასტიკოს ვაგნერის წინააღმდეგ. გალაშქრებას, რომელიც შუქს ფენს თვით მწერლის მსოფლმხედველობის მთავარ საწყისებს? გოეთეს მიერ დახატული ვაგნერი ტიპია სქოლასტიკოსი მეცნიერის. ფორმალისტური სტილის მოაზროვნისა. ამ ადამიანისათვის ძვირფასია მხოლოდ ფორმალური ცოდნა, ცოდნა ცოდნისათვის, ძვირფასია ცოდნის რაოდენობრივი და არა თვისობრივი მხარე. გოეთეს მიერ აშკარად კრიტიკულ ხაზებში დახატული ვაგნერი შემთხვევას არ უშვებს გაზარდოს რაოდენობრივად თავისი ცოდნა, მაგრამ იგი მოკლებულია უნარს დააკავშიროს მოვლენები ერთიმეორესთან, დაინახოს მათში კანონზომიერება. მისი დაახლოება ფაუსტთან გამოწვეულია არა იმის შეგნებით, რომ ფაუსტისაგან მას შეუძლია ისწავლოს სამყაროსადმი ნამდვილად მეცნიერული მიდგომა, არამედ იმის სურვილით, რომ კიდევ უფრო გაზარდოს რაოდენობრივად თავისი ცოდნა.

თან. არა „საგანი თავისთავად“ არის შეუცნობადი, არამედ ის, რაც დედამიწასა და მის ქმნილებას აკავშირებს მზისა და ვარსკვლავების სამყაროსთან... შემეცნება თავისთავად კი არაა უმაღლესი და ერთერთი მიზანი, პირიქით, უმთავრესია სული, რომლის ძეგლებითაც ჩვენ ვმოქმედებთ“ (K. Obenhauer. Das faustische Mensch. Iena, 1928, S. 142—143; ე. ნოიბაუერის აზრითაც ცოდნის წყურვილი არაა მთავარი ფაუსტისათვის (E Neubauer. Goethes religiöses Erleben im Zusammenhang seiner irtuitiv - organischen Weltanschauung, 1925, Tübingen. S. 71).

ვაგნერისა და ფაუსტის დაპირისპირების ფონზე აშკარად ეოჩანს ფაუსტის მსოფლმხედველობის მთავარი საწყისები, შუქი ეფინება მის ფიქრებსა და განწყობილებებს. წინააღმდეგ ფაუსტისა, ვაგნერში არ აქვს ადგილი ეკვიანობას, შინაგან წინააღმდეგობას. იგი აღფრთოვანებულია თავისი პატარა ქვეყნით, აღფრთოვანებით გადადის „წიგნიდან წიგნზე", როგორც ლენინი შენიშნავდა[1]. იგი განსახიერებაა ფილისტერის, თავისი ბედით კმაყოფილი კაბინეტური მოაზროვნისა, რომელიც გამოხატავს არსებულთან შერიგებული გერმანელი ბიურგერების ფიქრებსა და განწყობილებებს.

რომ ფაუსტის მიჩნევა მეტაფიზიკოს-მისტიკოსად საფუძველს მოკლებულია, ამას გვიჩვენებს ის სატირა, რომელსაც მიმართავს მწერალი მეტაფიზიკის წინააღმდეგ მეფისტოფელის სახით და რომელიც, მტკიცება არ უნდა, ფაუსტის თვალსაზრისსაც გამოხატავს. მეფისტოფელის საუბარში ფაუსტის მოწაფესთან მკვეთრად გაკრიტიკებულია ფორმალისტური, სიტყვათა კომბინაციებზე აგებული განათლება, გამოტანილია მრისხანე განაჩენი შუა საუკუნეების იდეოლოგიაზე. ეს სატირა მეტაფიზიკურ განათლებაზე გამოთქმულია მეფისტოფელისათვის დამახასიათებელი ცინიკური ფორმით, მაგრამ საეჭვო არ არის, რომ იგი თვით ფაუსტის შეხედულებასაც გამოხატავს.

როგორც ვხედავთ, საფუძველი არ არის მივიჩნიოთ ფაუსტის მოთხოვნები მეტაფიზიკურ, მისტიკური ხასიათის მოვლენად, რომელზედაც მეცნიერებას არ შეუძლია და ვერც ოდესმე შეძლებს პასუხის გაცემას. ფაუსტი მიისწრაფვის სწორედ ამ გამოუკვლეველი, მაგრამ ჩვენი შემეცნებისათვის სავსებით მისაწვდომი სფეროს გამოკვლევისაკენ. ეს არ არის ფაუსტისათვის ზებუნებრივი, ზეგრძნობიერი სფერო, არამედ სფეროა ადამიანის ცხოვრებისა და მოქმედების, სფერო ბუნების, რომელშიაც, მისი აზრით, ერთიანობის სახით მოცემულია ყოველივე ნაღალი და სასრული. ამიტომ, უმაღლესისა და ამაღლებულისადმი სწრაფვა ფაუსტისათვის არ ნიშნავს ბუნებისა და მყოფობის სფეროდან გასვლას.

ფაუსტი ახალი ეპოქის გმირია უპირველეს ყოვლისა იმ გაგებით, რომ უპირისპირდება ძველს, შუა საუკუნეების მსოფლგაგებას, წიგნურ-მეტაფიზიკურ განათლებას, ისწრაფვის ქეშმარიტი ცოდნისაკენ, რისი განხორციელების შესაძლებლობასაც ხალხთან

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 30, 1951, თბილისი, გვ. 437.

იდეურ კავშირში ხედავს. ბუნებით ჰუმანისტს, მას სურს თავისი ცოდნა ხალხის კეთილდღეობას მოაბაროს და ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს, რომ ხალხს ვერ უწევს იმ დახმარებას, როგორსაც თვითონ ისურვებდა.

წარსულისადმი ფაუსტის ეს დაპირისპირება ატარებს არა აბსტრაქტულს, არამედ კონკრეტულ ხასიათს. ფაუსტი არ კმაყოფილდება მხოლოდ იმის კონსტატაციით, თუ რა ღობა უფსკრულია იდეალსა და სინამდვილეს შორის, იმას შორის, რაც არის და რაც უნდა იყოს, არამედ მიუთითებს ამ კოლიზიიდან ვამოსავალზედაც. იგი მიდის გაბედულ, რადიკალურ დასკვნამდე, საბელდობრ, არსებულის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი უარყოფის იდეამდე. შეიგრძნო რა ის საცოდავი მდგომარეობა, რომელშიაც ჩავარდნილა შისი დროის ადამიანი, მიუთითა რა ადამიანის ცხოვრების ღრმა წინააღმდეგობებზე, ფაუსტმა გაბედულად უარყო ამ წინააღმდეგობის „გადაწყვეტის“ ვერთერული გზა, დასძლია ვერთერული კრიზისი, გადააგდო რა საწამლავით სავსე ფიალა და ცხოვრებას დაუბრუნდა. ეს არის უაღრესად ნიშვნელოვანი ფაუსტის მბატვრულ სახეში, მის ევოლუციაში, სახელდობრ, დაძლევა უსაგნო მეოცნებობისა და ჯანსაღი მატერიალისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზე განმტკიცება. ფაუსტმა გაბედულად დაიჭირა რეალიზმის მხარე, ჩადგა ადამიანთა შორის იმ იმედით, რომ მათ სანეტარო ცხოვრებას შეუქმნიდა.

ფაუსტის მიერ ჭმუნვის, რყევების დაძლევა და რეალიზმის ნიადაგზე განმტკიცება არ გამოხატულა შეზღუდულ ბიურგერულ ყოფამდე მის ჩამოქვეითებაში, მის შერიგებაში დუხჭირ სოციალურ სინამდვილესთან, არამედ, პირიქით, გამოიხატა ამ უკანასკნელისადმი მის მკვეთრ დაპირისპირებაში. ვერთერული კრიზისის დაძლევამ იგი მიიყვანა არა დუხჭირ სინამდვილესთან შერიგების, არამედ, ბრძოლის ფილოსოფიამდე, არსებულის უარყოფამდე. ფაუსტმა გაბედულად დაისახა მიზნად დადებითი ცოდნის მოპოვება, ახალის გამოჭედვა ძველის დანგრევის ნიადაგზე. ამითაა გამართლებული მისი დაახლოება, ნიღლავი მეფისტოფელთან, უარყოფის ამ აბსოლუტურ ძალასთან. ფაუსტს გათვალისწინებული აქვს, რომ მეფისტოფელს, როგორც უარმყოფელ ძალას, შეუძლია დაიძარება გაუწიოს მას. კრიტიციზმი, არსებულისადმი მკვეთრი სატირიკულ-კრიტიკული დამოკიდებულება აახლოებს ურთიერთთან ფაუსტსა და მეფისტოფელს, ამ ორს, საფუძველში სრულიად სხვადასხვა ყალიბის პერსონაჟებს. ეს ის მხარეა, რომლითაც ფაუსტი ახალს,

რევოლუციის ეპოქას ეხმაურება, თავისი წვლილი შეაქვს ბასტილიის წინააღმდეგ მიმართულ იმ საბრძოლო სიმღერაში, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის დროს გაისმა.

მაგრამ რევოლუციის ეპოქასთან გოეთეს ფაუსტს აახლოებს არა მხოლოდ მისი კრიტიციზმი, ბრძოლა ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ, არა მხოლოდ ბრძოლის პროგრამის წამოყენება, არამედ წამოყენება კონსტრუქტული პროგრამისა. ფაუსტი არა მხოლოდ უარმყოფელია, არამედ ახლის შექმნის ინიციატორიც. მისი სიძლიერე არა მხოლოდ ნეგაციაში მდგომარეობს, არამედ პოზიციაშიც, ახლის წარმოქმნაში. იგი არის ღრმად შემოქმედი, აქტიური ნატურა. ეს გარემოება გასაგებს ხდის ფაუსტის კრიტიკულ დამოკიდებულებას მეფისტოფელისადმი, ამ ყველაფრის უარმყოფელისადმი. ფაუსტმა იცის, რომ მეფისტოფელის სტიქია ყველაფრის უარყოფაში მდგომარეობს. ამიტომ იგი მკვეთრად უპირისპირებს თავის პროგრამას მეფისტოფელის პროგრამას. იგი განუმარტავს მეფისტოფელს, რომ მას არ აკმაყოფილებს არსებულის დანგრევა, რომ მისი სურვილია, რათა ნგრევის პროცესი ამასთანავე ახალის შექმნის დასაწყისი გახდეს.

„Schlägst du erst diese Welt zu Trümmern,
die andre mag darnach entstehen".

ფაუსტის მხატვრულ სახეში გამოჩნდა გოეთეს მებრძოლ-დემოკრატიული შეხედულებები, მწერლის მკვეთრად კრიტიკული დამოკიდებულება მისი გარემომცველი ფეოდალური საზოგადოებისადმი, ამ საზოგადოების გაბატონებული იდეოლოგიისადმი. სიუჟეტის განვითარება დრამის პირველ ნაწილში მიდის აშკარად მებრძოლ-რადიკალურ ხაზებში. არსებულის უარყოფის შეუნელებელი სურვილით შეპყრობილი, ფაუსტი ხელშეკრულებით ეკვრის მეფისტოფელს, რათა გაიადვილოს არსებულის უარყოფა. იგი წარმოთქვამს წყევლას, რომლითაც აფეთქებს უკანდასახევ, არსებულთან მერიგების გზას. იგი ღრმად დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს, არსებულის უარყოფის ბეოხებით მიაღწევს ეშმარიტ ცოდნას. არ ჩანს, რომ მწერალი ფიქრობდეს სინანულისა და დათმობის გზით წაიყვანოს თავისი გმირი, მოუნახოს მას ხსნა ღვთაებაში, გაბადოს იგი ღმერთის თვალებახელილ მსახურად. მთელი პოემა წარმოადგენს ეშმარიტებისა და ნათელი იდეალებისათვის ადამიანის ბრძოლის გაბედულ ჰიმნს, ქმედობისა და ბრძოლის აპოთეოზს. იგი ფეოდალური საყაროს წინააღმდეგ ამხედრებული მწერლის შემოქმედების უმაღლეს მიღწევას წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის სათავეში მოქცეული გოეთე თავის რევოლუციამდელ ქმნილებებში უმხედრდება მის გარემომცველ ფეოდალურ საზოგადოებას, ამ უკანასკნელის იდეოლოგიას, ხდება გერმანული განმანათლებლობის უდიდესი წარმომადგენელი, აქსოვს თავის შემოქმედებაში ძმობის, ერთობისა და თავისუფლების იდეებს. ცხადია, ეს არ შეიძლება ერთნაირად ითქვას ამ პერიოდის გოეთეს ყველა ნაწარმოების შესახებ. ზოგიერთ მათგანში მწერალი თავს ვერ აღწევს საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი საკითხის აბსტრაქტულ დაყენებას, ვერ გვიჩვენებს დუხჭირ სოციალურ სინამდვილესთან ადამიანთა ბრძოლის რომანტიკას, მაგრამ მაგისტრალური ხაზი რევოლუციამდელი გოეთეს შემოქმედებისა ერთია — ესაა ფეოდალური ყოფის წინააღმდეგ ამხედრება.

თავი II

გოეთე საფრანგეთის რევოლუციის პირისპირ

როგორც დავინახეთ, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა საფრანგეთში დღის წესრიგში დგას ბურჟუაზიული რევოლუცია, როცა ფეოდალური წყობილების საფუძველი გერმანიაშიაც აშკარად ძირმომპალია, გოეთე თავისი პრომეთეს, გოეცისა და და ფაუსტის მხატვრული სახეებით უმხედრდება მის გარემომცველ ფეოდალურ საზოგადოებას, შილერი თავისი „ყაჩაღებით“ უცხადებს „აშკარა ბრძოლას მთელს საზოგადოებას“ [1].

იმის მტკიცება შეუძლებელია, რომ გოეთესა და შილერის ამხედრება მათი გარემომცველი საზოგადოების წინააღმდეგ წარმოადგენდა თანმიმდევრული ხასიათის ბრძოლას, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ დიდი გერმანელი მწერლების ამ გალაშქრებაში სოციალური ცხოვრების სიდუხჭირის წინააღმდეგ გამოხატულებას პოულობდა ტირანებისადმი საუკუნეების მანძილზე ხალხში დაგუბებული სიძულვილი, მათგან განთავისუფლების სურვილი. მასში ისახებოდა ხალხის ფიქრები და გულისთქმანი, ოცნება ბედნიერ მომავალზე, ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისადმი მისწრაფება. ეს ითქმის ამდროინდელ არა მარტო გოეთესა და შილერის შემოქმედების შესახებ, არამედ „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის სხვა გამოჩენილი ძეგლების შესახებაც. „ამ ეპოქის ყოველი შესანიშნავი ნაწარმოები, აღნიშნავს ენგელსი, გამსჭვალულია იმდროინდელი საზოგადოების წინააღმდეგ პროტესტის, აღშფოთების სულით [2].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. V, 1929, Москва-Ленинград, გვ. 7.

[2] იქვე.

ამ ხაზით არ მიდის გერმანული ლიტერატურის, საერთოდ გერმანული იდეოლოგიის განვითარება მომდევნო პერიოდში. განსხვავებით 70—80-იანი წლებისაგან, ახლა გერმანულ ლიტერატურაში ადგილი აქვს სოციალური პროტესტის არა განვითარებასა და გაღრმავებას, არამედ აშკარად შესუსტებას, ზოგიერთ მწერალთან კი, სოციალური პროტესტის იდეა ადგილს უთმობს არსებულ სოციალურ ყოფასთან შეგუებას. ამის მაგალითია მწერლები, გამოსულნი გერმანული რომანტიზმის სკოლიდან, მათთვის დამახასიათებელი კონსერვატიულ-მისტიკური მისწრაფებებით.

გერმანულ იდეოლოგიაში, ლიტერატურაში მომხდარი ასეთი ღრმა ცვლილებების მიზეზი უნდა ვეძიოთ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების თავისებურებაში, გერმანიის ბურჟუაზიის შეზღუდულობაში, მის კლასობრივ სიჩლუნგეში. თუ პირველ ხანებში საფრანგეთის რევოლუციამ გერმანიაშიაც დიდი გამოძახილი პოვა, შემდეგში გერმანიის ბურჟუაზია მკვეთრად გაიმიჯნა „ენერგიული ფრანგული რადიკალიზმისაგან", აშკარად გამოამჟღავნა ფეოდალურ-იუნკერულ კლასებთან შერიგების მისწრაფება, შიში არსებულის რევოლუციური გარდაქმნის წინაშე. მაშინ, როდესაც საფრანგეთის ბურჟუაზიამ რევოლუციის შედეგად მიაღწია გაბატონებულ მდგომარეობას, უძლური გერმანელი ბიურგერები მივიდნენ მხოლოდ კანტის „კეთილ ნებამდე"[1], რაც რევოლუციის იდეალების რეალური საფუძვლიდან მოწყვეტას წარმოადგენდა. „კანტის ეს კეთილი ნება, წერენ მარქსი და ენგელსი, სავსებით შეესაბამება უძლურებას, სიძაბუნესა და უბადრუკობას გერმანელი ბიურგერებისას, რომელთა წვრილმანურ ინტერესებს არ შეეძლო ქცეულიყო კლასის ნაციონალურ ინტერესებად"[2].

ეს სისუსტე, წვრილმანური ინტერესები, ფილისტერობა გერმანიის ბურჟუაზიისა, შიში საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის წინაშე დაღს ასვამს მთელს იმდროინდელ გერმანულ იდეოლოგიას, ლიტერატურას, განაპირობებს მიდრეკილებას აბსტრაქტული, კაბინეტური აზროვნებისადმი. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ბელინსკის, როცა წერდა, რომ „გერმანული ესთეტიკა გამოვიდა სამეცნიერო კაბინეტიდან, გერმანული

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. IV. Москва, 1933, გვ. 174.

[2] იქვე.

პოეზია კი გერმანული ესთეტიკიდანო"[1]. ამ აზრით წერდა იგი „ვალენშტაინთან" დაკავშირებული საკითხების შესახებ, რომ „ყველა ეს მოვლენა...გამოვიდა პირდაპირ გერმანელთა წყნარი საოჯახო, ვანქვრეტითი, კაბინეტური ხასიათის სოციალური მდგომარეობიდან"[2].

გერმანიის ბურჟუაზიის თეორეტიკოსები და მწერლები თავს ვერ აღწევენ მათი კლასის შეზღუდულობას. „გერმანული იდეოლოგიის" ავტორები აღნიშნავენ, რომ იმდროინდელ გერმანელ მოაზროვნეთა დამოუკიდებლობა გერმანელი ბიურგერებისაგან წარმოადგენდა „მოჩვენებით დამოუკიდებლობას"[3]. ამ შეზღუდულობას თავს ვერ აღწევენ საუკუნის ისეთი გაჰოჩენილი მწერლები, როგორიც იყვნენ კლოპშტოკი და ვილანდი. მას თავს ვერ აღწევენ გერმანული კლასიკური ლიტერატურის კორიფეები, გოეთე და შილერი. განსხვავებით ბევრი თავიანთი თანამედროვისაგან, რომელთა შემოქმედებაში ფესვი გაიდგა მისტიკისა და სასოწარკვეთის განწყობილებებმა, გოეთემ და შილერმა შეინარჩუნეს თავიანთი მსოფლმხედველობის ჯანსაღი, რეალისტური საწყისები, ჰუმანიურ-დემოკრატიული მხარე, მაგრამ ბურჟუაზიული რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში მათს შემოქმედებაშიაც აშკარად იგრძნობა შიში და ეჭვიანობა, რაც მათთან გერმანელ ბიურგერთა შეზღუდულობის გამოვლენას წარმოადგენს.

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გოეთეს განვითარებაში შეასრულა როლი სასინჯი ქვისა, რომელზედაც შემოწმდა თუ რამდენად დაახლოებული იყო დიდი სოციალური საკითხების რევოლუციურ გაგებასთან ის შეხედულებები, რომლებსაც მწერალი აქამდე ავითარებდა. პირისპირ წარსდგა რა რევოლუციასთან, გოეთემ სცადა დაეპირა ნეიტრალური პოზიცია, სცადა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მის თვალწინ მომხდარი დიდი პოლიტიკური ამბები მასში არ იწვევს ცხოველ ინტერესს, რომ ხელოვნებისა და მეცნიერების ენთუზიასტ მწერალს სხვა უფრო საჭირბოროტო საკითხებზე შეუძლია შეაჩეროს თავისი ყურადღება, ვიდრე რევოლუციის თემაზე. ამ გარემოებამ მისცა საფუძველი ზოგიერთ მკვლევარს მიეჩნია გოეთე პოლიტიკური ინდიფერენტიზმის მქადაგებლად, ოლიმპიელად, რომლის მარმარილოსებრ ვლუესა და ცივ სახეზე არ აღიბეჭდება ცხოვრების მღელვარე ტალ-

---

[1] Белинский. Сочинения, т. III, зз. 56.
[2] იქვე.
[3] К. Маркс и Ф. Энгельс, IV, 174.

ლების დენა. თვით ჰაინეც კი განწყობილი იყო ერწმუნა, რომ გოეთეს მხატვრული ქმნილებები არიან ბერწნი[1], არ ასახავენ სამოქალაქო ენთუზიაზმს[2], რომ საზოგადოებრივი ცხოვრების უმგვანოებათა წინააღმდეგ გოეთეს ბრძოლა „კართოფილურ ბრძოლას" წარმოადგენდა.

რამდენად საბუთიანია ამგვარი მსჯელობა ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის გოეთეს შესახებ, მართებულია თუ არა ამ პერიოდის გოეთეში დაეინახოთ საფრანგეთის რევოლუციის მოწინააღმდეგე, პოლიტიკური ინდერფერეტიზმის მქადაგებელი მწერალი? ამ საკითხის გადასაწყვეტად სახელმძღვანელო დებულებას გვაძლევს ფრ. ენგელსი, როცა აღნიშნავს, რომ გოეთე ხან უმხედრდება მის გარემომცველ საზოგადოებას, ხან კი „იცავს მას შემტევი ისტორიული მოძრაობისაგან"[3]. ბურჟუაზიული რევოლუციის წინაშე მწერლის მიერ გამოჩენილი შიში აქვს მხედველობაში ენგელსს, როცა აღნიშნავს, რომ „ისტორიამ შური იძია გოეთეზე იმისათვის, რომ იგი ყოველთვის ზურგს აქცევდა მას, როცა მის პირისპირ დგებოდა"[4].

გოეთეს შემოქმედება, როგორც თეორიულ-კრიტიკული, ისე მხატვრული, სავსებით ამართლებს ენგელსის ამ დებულებას, ცხადყოფს, რომ საფრანგეთის რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში დიდ გერმანელ მწერალს ახასიათებდა „ფილისტერული გამოსვლები"[5]. ამასთანავე, მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ, რომ რევოლუციისადმი დამოკიდებულებაშიაც გოეთე ვერ არის თავისუფალი წინააღმდეგობრიობისაგან, რომ ამ პუნქტშიაც ერთიმეორეს ებრძვის გენიალური მწერალი და ვიწრო ფილისტერი.

უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობრიობა გოთეს არ ახასიათებს მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში, არამედ ბევრ სხვა შემთხვევაშიაც, მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრად ეს წინააღმდეგობრიობა რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის გაგებაში გამოვლინდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საფრანგეთის რევოლუციისადმი გოთეს ეს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, ჭიდილი დიადსა და შეზღუდულს შორის არ იძლევა საფუძველს, როგორც ეს თავის ადგილას იქნება დამტკიცებული.

---

[1] H. Heine. Die romantische Schule, Bd. V, 255.
[2] Г. Гейне. Письма, ч. I, Academia, გვ. 239.
[3] Op. cit.
[4] Op. cit.
[5] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. XXI, გვ. 266.

მწერალი მსოფლმხედველობრივად დაფლეთილად მივიჩნიოთ, უარვყოთ სისტემურობა რევოლუციის შესახებ მის ნააზრევში. იგი ასევე არ იძლევა საფუძველს ერთიმეორეს დავუპირისპიროთ ის ნიმუშები, რომლებიც გოეთეს რევოლუციამდე შეექმნა, იმ ნიმუშებს, რომლებიც მან შექმნა რევოლუციისა და მის მომდევნო ეპოქაში, არ იძლევა საფუძველს ერთი რომელიმე მათგანის განსაკუთრებული უპირატესობის გახაზვისა მეორესთან შედარებით. ეს ასეა, მაგრამ საფრანგეთის რევოლუციის თემის დამუშავებისას, განსაკუთრებით იმ ნაწარმოებებში, რომლებიც დაწერილია რევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშ, თვალში გვეცემა მწერლის ზომიერ-შემარიგებლური განწყობილებები, ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ გამოსვლა.

მწერლის ეს თვალსაზრისი მკვეთრად გამოვლინდა მე-18 საუკუნის 90-იან წლებში, მაგრამ იგი შეინიშნება მანამდე დაწერილ ნაწარმოებებშიაც, მომეტებულად, დრამა „ეგმონტი", რომელიც საფრანგეთის რევოლუციამდე ორი წლით ადრე გამოვიდა. ნაწარმოები აგვიწერს ნიდერლანდელი ხალხის ბრძოლას ესპანელი დამპყრობელების წინააღმდეგ და ამ ფონზე წარმოგვიდგენს ესპანელთა სამსახურში მყოფ ნიდერლანდელი ფეოდალის, გრაფ რამორალ ეგმონტის ტრაგედიას, მისი სიკვდილით დასჯას ესპანელი საექსპედიციო ჯარის მეთაურის ჰერცოგ ალბას მიერ.

ნაწარმოების პირველი სცენებიდან ვხედავთ, რომ ეგმონტის სახით გოეთეს სურდა შეექმნა ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გმირი, მაგრამ შემდეგი სცენები გვიჩვენებს, რომ გოეთეს არ მიყავს სიუჟეტის განვითარება ამ გზით, არ ხატავს ეგმონტის ტრაგედიას თავისუფლებისა და ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ნიდერალანდელი ხალხის ბრძოლის ფონზე. უნდა შევნიშნოთ, რომ მწერალი საერთოდ არ იძლევა თავიანთი სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის ნიდერლანდელ ხალხის აქტიური ბრძოლის სურათს, არ ხატავს მის იდეურ მესიტყვეებს.

იმ დროს, როცა ტირანია სასტიკ ზომებს იღებს ნიდერლანდელი ხალხის წინააღმდეგ, მიზნად ისახავს ძალის გამოყენებით წელში გასტეხოს ნაციონალური მოძრაობა, თავზარი დასცეს ხალხს, ჩაკლას მასში ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის ყოველგვარი სურვილი, თვით ნიდერლანდელი ეგმონტი დგას აშკარად შემარიგებლურ პოზიციაზე. იგი საჭიროდ არ თვლის დაუპირისპიროს დამპყრობელთა პოლიტიკას რაიმე ქმედითი პროგრამა, შთაგონოს თავის თანამემამულეებს მოახლოვებული საფრთხე, მოუწოდოს მათ აქტიური ბრძოლისაკენ. იგი არც თავის მეგობარს,

ვილჰელმ ორანელს უჯერის გაიქცეს ნიდერლანდეთიდან, არ შეხვდეს მრისხანე ალბას, რადგან დარწმუნებულია იმაში, რომ საფრთხე თავიდან იქნება აცდენილი. იგი ხალხს არ მოუწოდებს, წინააღმდეგობის გაწევისაკენ, არამედ, პირიქით, სიმშვიდისაკენ, წინააღმდეგობის გაუწევლობისაკენ. „არ გააბრაზოთ კიდევ უფრო მეტად მეფე, მიმართვს იგი თანამემამულეებს, ძალა მის მხარეზეა. თვითეული წესიერი ნიდერლანდელი, თუ კი ის წესიერად და ერთგულად შრომობს, სარგებლობს იმდენი თავისუფლებით, რამდენიც საჭიროა მისთვის“. ეგმონტი ქადაგებს კეთილმოქმედებასა და ზომიერებას და იმდენად გულუბრყვილოა, რომ ოდნავადაც არ შეაქვს ეჭვი მტრეების განზრახვაში. მაშინაც კი, როცა ალბა მის დატყვევებას ბრძანებს, ეგმონტი არავითარ წინააღმდეგობას არ წევს, თვითონვე აბარებს იარაღს ესპანელებს.

ეგმონტის სახით გოეთე ხატავს ფეოდალს იმ ქვეყნისა, რომელიც დამპყრობელთა მორჩილებაში იმყოფება. არ ჩანს, რომ ამ ფეოდალებს გააჩნდეთ უნარი სათავეში ჩაუდგნენ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას. ეს გარემოება ასვამს შეზღუდულობისა და შინაგანი წინააღმდეგობის ბეჭედს ეგმონტის სამოქმედო პროგრამას. მისი პროტესტი დესპოტიზმის წინააღმდეგ არ ატარებს კონკრეტულ ხასიათს. განსხვავებით გოეცისაგან, ეგმონტი ტირანიის წინააღმდეგ გამოდის არა ქმედითად, არამედ აბსტრაქტულად, თავის წამოსახვაში „ხსნის“ იმ წინააღმდეგობას, რომელიც აქტიური ბრძოლის გზით უნდა გადაწყვეტილიყო.

ეგმონტის პოზიციის ამგვარი არათანმიმდევრობა განპირობებულია იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, ამ გმირის მსოფლმხედველობის კლასობრივი განსაზღვრულობით. მის პოლიტიკურ შეხედულებათა ზომიერებას განაპირობებს არა მხოლოდ ის გარემოება, რომ იგი მსხვილ ფეოდალთა კლასს ეკუთვნის, არამედ ის გარემოებაც, რომ ამგვარი ზომიერ-შემარიგებლური თვალსაზრისით ხასიათდებოდნენ ნიდერლანდელი ბიურგერებიც. კიდევ მეტი: მწერალი გვიჩვენებს, რომ ეგმონტის ამ ზომიერ-შემარიგებლურ თვალსაზრისს მხარს უჭერს თვით ნიდერლანდელი ხალხი, რომელიც უჯერის თავის თანამემამულე ეგმონტს, და, მისი მოწოდების შესაბამისად, არ უპირისპირდება ტირანიას, არჩევს გულში ჩაიმარხოს დამპყრობელთა სიძულვილი.

ნაწარმოები გვიხატავს შეძრწუნებულ ნიდერლანდელებს, რომლებიც ქუჩებზედაც ერთიმეორეს ვერ ელაპარაკებიან იმის შიშით, რომ ესპანელ გუშაგთა ყურადღებას მიიპყრობენ. მათ ვერ

გაუბედნიათ პროტესტის გამოთქმა ვერც ეგმონტის შეპყრობის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ სძულთ ალბა, დამპყრობელები. მათ არ აღაგზნებს არც კლერჰენის მგზნებარე სიტყვები—აღსდგნენ, მხარი მისცენ ერთიმეორეს და იბრძოლონ სახალხო საქმისათვის. კლერჰენის მოწოდებაში ისინი ვერ ხედავენ გონივრულ აზრს, დარწმუნებული იმაში, რომ ესპანელთა წინააღმდეგ აჯანყება ერთობ სარისკო იქნება. კლერჰენის მგზნებარე სიტყვები გამოძახილს ვერ პოულობს ვერც ბრაკენბურგში, იმ ადამიანში, ვისაც ეს ქალი გაგიჟებით უყვარდა. ბრაკენბურგი არ მიყვება კლერჰენის მოწოდებას იმიტომ, რომ ესპანელთა წინააღმდეგ ბრძოლა მასაც არაგონივრულად მიაჩნია. იგი ამართლებს თავის პასივობას იმით, რომ ნიდერლანდელი ხალხი ტირანიას რკინის სალტეებით შეუბოჭავს. გოეთეს არ მიყავს დრამის განვითარება ტირანიასთან ხალხის შეჯახების გზით, იგი არ გვიჩვენებს არც ამგვარი ბრძოლისათვის მზადების სურათს. კლერჰენის საბრძოლო მოწოდება, ამდენად, რჩება როგორც უნიადაგო, დროისათვის სრულიად შეუფერებელი მოწოდება. ტირანიის წინააღმდეგ ქმედით სადღეისო ბრძოლას დრამაში ცვლის სიმბოლიური ბრძოლის სურათები, დახატული ნაწარმოების ფინალში.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციამდე ჩანს გოეთეს შემოქმედებაში ის ზომიერ-შემარიგებლური განწყობილება, რომელიც უფრო მკვეთრად რევოლუციის პერიოდში გამოვლინდა, განსაკუთრებით კი, იაკობინელთა დიქტატურის დროს. როცა საფრანგეთის რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ რევოლუციის შესახებ მსჯელობისას გოეთე, განსხვავებით ზოგიერთი მისი თანამოკალმისაგან, უფრო მეტი თანმიმდევრობით ხასიათდება. მას არ განუცდია რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში ისეთი რადიკალური მეტამორფოზა, როგორც განიცადეს კლოპშტოკმა და ვილანდმა. ამ დიდი ისტორიული მოვლენის შესახებ გოეთეს მიერ მოხუცებულობის ასაკში გამოთქმული შეხედულებები წარმოადგენს განვითარებას, მომეტებულად კი—განმეორებას მე-18 საუკუნის 90-იან წლებში გამოთქმული შეხედულებებისა[1]. გოეთეს ამ შეხედულებებს

---

[1] არ შეილება გაზიარებულ იქნას გ. ვიტკოვსკის აზრი, რომ გოეთეში სრულიად არ გამოხატულა ის ენთუზიაზმი, რომელმაც მოიცვა გერმანიის ახალგაზრდობა საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისში (G. Witkowski. Goethe, Leipzig-Berlin und Wien, 1929, S. 177).

მთავარ ზოლად მისდევს მწერლის მისწრაფება პოლიტიკური ინდიფერენტიზმისადმი. სწორედ ამის ხაზგასმა სურდა ფრ. ენგელსს, როცა გოეთეს შესახებ შემდეგს წერდა: „თუ კი მოვლენები მასთან ისე ახლოს აღწევდა, რომ იძულებული იყო ეფიქრა—იწყება რაღაც ახალი, გოეთე მაშინაც კი მყუდროებისაკენ ისწრაფოდა და მაგრად იხურავდა ხოლმე კარებს, რათა დარჩენილიყო მოსვენებული“ [1].

ფრიად საგულისხმოა, რომ საფრანგეთის რევოლუციის კრიტიკას გოეთე, როგორც ეს ქვევით იქნება ნაჩვენები, უკავშირებს მმართველი კლასების მორალური დაცემის სურათის ჩვენებას. იგი უჩვენებს, თუ როგორ დგას ცბიერებისა და მატყუარობის, ანტიხალხური პოლიტიკის გატარების გზაზე ხელისუფლების მმართველი კლასი. ასეთი სურათია გადმოცემული კომედიაში „დიდი კოფტა“. ჯერ კიდევ 1785 წელს მიიქცია გოეთეს ყურადღება ცნობილმა ყელსაბამის ისტორიამ, რომელშიაც მთავარ როლს მატყუარა კალიოსტრო ასრულებდა. ეს ის კალიოსტროა, ანუ გრაფი როსტრო, როგორც ის კომედიაში თვითონ ეძახის თავისთავს, რომელმაც მატყუარობის ქსელში გააბა სასახლის წარჩინებულნი, მათ შორის დედოფალი მარიამ ანტუანეტი და კარდინალი დეროგანი, რომელმაც მოინდომა დედოფლის მოსყიდვა ძვირფასი ყელსაბამით.

ამ ამბავმა დიდად დააღონა გოეთე, მასში მან დაინახა მინიშნება დიდ ისტორიულ მოვლენებზე. „უკვე 1785 წელს შემაშფოთა მე ყელსაბამის ისტორიამ, წერს გოეთე... ამ გაუგონარ, დანაშაულებრივ ქმედებაში დავინახე მე დიდებულთა ღირსების დასამარება და ამ დროიდან მოყოლებული ყოველი შემდეგი ნაბიჯი სამწუხაროდ მეტად ძლიერად ამტკიცებდა ამ ჩემს საშინელ წინათგრძნობას“. მწერლის ამ სიტყვებში მოჩანს შიში არსებულის შესაძლო დანგრევის წინაშე. არსებული წყობილების ნგრევის ნიშნებს გოეთე აქამდეც ხედავდა, მაგრამ ახლა, როცა რევოლუციის იდეები გერმანიაშიაც გზას იკაფავდა, ყელსაბამის ისტორიის მოგონებას, მის სარკასტულ ხაზებში გადმოცემას გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებოდა.

კომედიას მთავარ ზოლად მისდევს მწერლის შიში არსებულის შესაძლო დაღუპვის წინაშე. ეს, ცხადია, არ იყო შიში სასოწარკვეთილი, უილაჯო ადამიანისა, რომელსაც კაცობრიობის ბედნიერი მომავალისადმი რწმენა დაკარგოდა, არამედ, შიში „ბრძოლაში დაღლილი“ დიდი გერმანელი მწერლისა, რომელიც

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. II, Москва—Ленинград, 1931, გვ. 528.

ვერ გათავისუფლებულიყო გერმანელი ბიურგერის შეზღუდულობისაგან. 80-იან წლებში, უნდა ვიფიქროთ, მწერალმა თავი აარიდა ამ შიშის გამომწვევ მიზეზს, მაგრამ ახლა, როცა რევოლუციური იდეები რაინის გამოღმა მხარეზედაც ვრცელდებოდა, დუმილი შეუძლებელი იყო. რა სიძლიერისაც არ ყოფილიყო გოეთეში მოცემული პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, იგი, შეუძლებელია, არ გამოხმაურებოდა ისეთი დიდი მნიშვნელობის მოვლენას, როგორიც საფრანგეთის რევოლუცია იყო, თავისი სიტყვა არ ეთქვა აგრეთვე ე. წ. ყელსაბამის ისტორიაზედაც.

გოეთემაც თქვა თავის სიტყვა ამ ისტორიაზე, რითაც რევოლუციისადმი მისი დამოკიდებულების ზოგი მხარე გვიჩვენა. „და აი, წერს გოეთე, ჩემს წინ იყო ამ სულელობის პირდაპირი და არაპირდაპირი ნაყოფი, როგორც უმაღლესი ხელისუფლების წინაშე სრული ან ნაწილობრივი დანაშაული, რასაც სავსებით შეეძლო ქვეყნის მშვენიერი ტახტის შენგრევა". გოეთე რწმუნდება, რომ მისი წინაგრძნობა გამართლდა, რომ კალიოსტროსა და მსგავსთა მატყუარობა დამანგრეველ ძალად იქცა. ამით ამართლებს იგი იმ ფაქტს, რომ ხელი მოჰკიდა „დიდი კოფტას" სიუჟეტის დამუშავებას.

მწერალმა ოსტატურად შეარჩია მოქმედი პირები, არ დაერიდა ისტორიული პროტოტიპებისათვის გვერდის აევლასაც. კომედიაში გამოყვანილი ხელისუფლების წარმომადგენელი, მაგალითად, არ შეიძლება ჩაითვალოს რეალისტურ სახედ. მასში ნაჩვენებია არა რეალისტური სახე ხელისუფლების კონკრეტული წარმომადგენლებისა, არამედ, გოეთესათვის სასურველი ხელისუფალის სახე.

მატყუარა გრაფი თავის გარშემო იკრეფს მოწაფეებს, რათა შეასწავლოს მათ სულებთან დაახლოება, მოამზადოს ისინი დიდი კოფტას შესახვედრად. მის ანკესს წარჩინებული წოდების ბევრი წარმომადგენელი წამოეგო. გრაფის ფანატიკურ მიმდევართა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მაღალი წოდების წარმომადგენელი დომჰერი, რომელსაც გაგიჟებით უყვარს პრინცესა. გახრწნილთა ბანაკს ეკუთვნის მლიქვნელი და მატყუარა მარკიზის ცოლი, რომელიც მახეს უგებს დომჰერს, თვითონ წერს ამ უკანასკნელს ვითომდაც პრინცესას წერილს, რომელშიაც დომჰერს სიყვარულს აღუთქვამენ. ამ საშუალებით იგი გამოძალავს დომჰერს დიდძალ თანხას და განზრახვა აქვს მიაღწიოს კიდევ უფრო მეტს, ხელში ჩაიგდოს ძვირფასი ყელსაბამი. რომ ეს მიზანი განხორციელდეს, ამისათვის საჭიროა დომჰერი ფანატიკურად მისდევდეს გრაფს, სჯეროდეს მისი ფოკუსების.

გრაფსა და მარკიზის ცოლს ერთიმეორისა კარგად ესმით-ქალმა იცის, რომ გრაფი მატყუარაა, მაგრამ დუმს, რადგან სარგებლობის მიღებას მოელის. დიდი კოფტას გამოცხადების საღამოსაც მარკიზის ცოლი თავისი მიზნისათვის იყენებს. ამ შავბნელ საქმიანობაში იგი უკანმოუხედავად აბამს თავის ნათესავ ქალს. დომჰერმა მიიღო ვითომდა პრინცესას, ნამდვილად კი მარკიზის ცოლის მიერ დაწერილი წერილი, რომელშიაც დომჰერისაგან ძვირფასი ყელსაბამის ყიდვას მოითხოვენ. ყელსაბამი უკვე შეძენილია და ახლა იგი მარკიზის ცოლის განკარგულებაშია, რომელიც სამაგიეროდ უწყობს დომჰერს ვითომდა პრინცესასთან, ნამდვილად კი თავის ნათესავ ქალთან შეხვედრას. გაბრიყვებულს, გონებადაკარგულ დომჰერს ჰგონია, რომ პრინცესას ხელს ეამბორება. ასე ვითარდება მოქმედება, ვიდრე ბოროტმოქმედების კვალს ალმოაჩენდნენ.

მთელს კომედიას წითელ ზოლად მიყვება გოეთეს უარყოფითი დამოკიდებულება მატყუარათა ამ ხროვისადმი. სიუჟეტი ნაწარმოებისა ვითარდება კომიკურ ხაზებში, მაგრამ იგრძნობა, რომ მწერალს სრულიადაც არ ეცინება, რომ იგი მდგომარეობას ფრიად სერიოზულად თვლის. მწერალს ერთობ აშინებს შექმნილი ვითარება, რადგან დარწმუნებულია, რომ კალიოსტრო და მისი დამქაშები არ წარმოადგენენ შემთხვევით მოვლენას, რომ ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდნენ გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში, ძველი საზოგადოებრივი წყობის რღვევისა და ახლის შექმნის ეპოქაში.

მწერალი ხედავს, რომ კალიოსტროები არ არიან ერთეულები, რომ მათ სოციალურ დასაყრდენს თვით მმართველი კლასი წარმოადგენს, რომ ისინი იმათი რიგებიდან გამოდიან, ვისაც ხელთ უპყრია საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის საქე. მწერალს აფიქრებს არა ის, რომ მოიძებნებიან ისეთი მატყუარები, როგორიც არიან გრაფი და მარკიზის ცოლი, არამედ ის გარემოება, რომ მათ ზურგს უმაგრებენ ხელისუფლების მეთაურები. ეს ის დრო იყო, როცა მესმერმა თავისი ჯამბაზობით ევროპის ყურადღება მიიქცია, როცა გაფაციცებით დაეძებდნენ ე. წ. სიბრძნის ქვას და თუ გრაფი ჯერჯერობით ერთეულ მიმდევრებს ითვლიდა, ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ სინამდვილეში მას თავისი სკოლის გარეშე არ ყავდა მიმდევრები.

გრაფის, მარკიზის ცოლისა და მათ მსგავსთა სარკასტულ ხაზებში წარმოდგენა, მათი გაკბილვა, მწერლის გაგებით, წამოადგენდა თავდაცვით ზომას საზოგადოებრივი უშიშროების თვალ-

საზრისით, გარანტიას იმისას, რომ არ დაირღვეოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მყუდროების საფუძველი.

აძლევს რა კომედიას პოლიტიკურ გამიზნულობას, მწერალი არ იშურებს მხატვრულ საშუალებებს, რათა წარმოადგინოს ერთობ მუქ ფერებში გრაფის სკოლის წევრები, დახატოს ისინი როგორც ბრიყვები, გაიძვერები, ფლიდები და ანგარებათმოყვარეები. ამ სკოლაში გამოყენებული აღზრდის წესები წარმოადგენს არა ადამიანის გონივრული აღზრდის, გაკეთილშობილების საშუალებას, არამედ მისი მორალური დაცემის საშუალებას. აღზრდის საბოლოო მიზნად აქ ისაა მიჩნეული, რომ ადამიანი გათავისუფლდეს ჰუმანური შეხედულებისაგან და იქცეს უკიდურეს ეგოისტად, მორალურად დაცემულად. ამ მიზანს ემსახურება საფეხურებრივი აღზრდის პრინციპი, რომელსაც ამ სკოლაში დაუმკვიდრნია.

აღზრდის პირველ საფეხურზე იმყოფებიან ამ სკოლის ის მოსწავლეები, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენიათ ადამიანური ღირსება, რომლებიც ადამიანებს არ უყურებენ როგორც მგლებს, არამედ აფასებენ მათში ადამიანს, რომლებიც სხვებს იმას უკეთებენ, რასაც თავისთვის ისურვებენ ხოლმე. აღზრდის ამ საფეხურზე გაბატონებულია შემდეგი პრინციპი: რასაც ისურვებდი, რომ სხვებს გაეკეთებინა შენთვის, იმასვე გაუკეთებ შენ მათ.

მაგრამ აღზრდის ეს საფეხური იმიტომაა პირველი საფეხური, რომ იგი არ შეესაბამება ამ სკოლის მიზანდასახულობას. იგი მხოლოდ ფაქტის ფიქსაციას წარმოადგენს, იმის აღნიშვნას, თუ როგორ ვითარებას უნდა ჰქონდეს ადგილი სინამდვილეში, როგორი უნდა იყვნენ ადამიანები. აღზრდის ამ საფეხურზე გამეფებული პრინციპი ეს თვით გოეთეს პედაგოგიური პრინციპია. გრაფისა და მარკიზის ცოლისათვის კი იგი გარდამავალი საფეხურია მეორე, თითქოს უფრო მაღალი საფეხურისაკენ, ნამდვილად კი, ადამიანის მორალური დაცემისაკენ. აღზრდის ამ საფეხურზე ხელმძღვანელობენ შემდეგი პრინციპით; „რასაც ისურვებდი, რომ შენთვის გაეკეთებინა სხვებს, ის არ გააკეთო შენ მათთვის“.

გრაფი და მარკიზის ცოლი ლაპარაკობენ მატყუარას, მლიქვნელის ენით. მათი მოქმედება ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების არევდარევას, ადამიანთა შორის უთანხმოების ჩამოგდებას, ზნეობრივ გახრწნასა და ეფექტებისადმი გამოდევნებას. კომედიაში დიდი ოსტატობითაა დახატული პრივილეგიური კლასების წარმომადგენელთა გახრწნილება. ინდივიდუალიზმს, სიმდიდრის შეძენის წყურვილს ისინი მიჰყავს საზიზღარ საქმემდე. მარკიზიც გარყვნი-

ლების მორევშია ჩაფლული, სქესობრივად აღვირახსნილია, პრანჭიაობს, ფუფუნებით ცხოვრებას ესწრაფვის. ასევე გახრწნილი ტიპია მისი ცოლი. კომედიის ავტორს ეშინია არსებულის დანგრევის. „დიდ კოფტაში“ ეს შიში გარკვევით მოჩანს. მწერალი იკვლევს იმ მიზეზებს, რომლებიც, მისი აზრით, ადვილად უდევს ბურჟუაზიულ რევოლუციას. ერთერთ ასეთ მიზეზად მას მიაჩნია მართველი კლასების გახრწნილება.

ბურჟუაზიული რევოლუცია საფრანგეთში უკვე მომხდარი ფაქტი იყო. გოეთეს წინაშე ამოცანა იყო—მიეღო თუ არა იგი. რევოლუციის იდეების დიდ გავლენას განიცდიან რაინის მარცხენა ნაპირას მცხოვრები გერმანელები. თუ როგორი აღტაცებითა და იმედებით ხვდებიან ისინი რევოლუციას, ამის შესახებ მჭევრმეტყველურად გვემოწმება „ჰერმანსა და დოროთეაში“ გამოყვანილი მოხუცი. იგი ყვება, თუ როგორი აღფრთოვანებით შეხვდნენ მისი თანამემამულეები საფრანგეთის რევოლუციას, წინათიგრძნეს რა მათი სანუკვარი ოცნების განხორციელება.

ვიდრე რევოლუცია არ გაცდენოდა საფრანგეთის საზღვრებს, გოეთე სდუმდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იფეთქა ომმა, რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ დაირაზმნენ რეაქციული სახელმწიფოები, დუმილი შეუძლებელი იყო.

1792 წელს პრუსიისა და ავსტრიის ინტერვენტული არმია შეიჭრა რესპუბლიკური საფრანგეთის ტერიტორიაზე. კ. მარქსი ნიღაბს ხდის რა „ტევტონური პატრიოტიზმის“ ქურუმთა მტკიცებას, რომ გერმანელები ამ შემთხვევაში თავდაცვის მიზნით მოქმედებდნენო, ირონიულად შენიშნავს: „თითქოს ეს გერმანია როდი ყოფილიყოს, რომელიც 1792 წელს საფრანგეთში შეიჭრა ამაღლებული მიზნით—XVIII საუკუნის რევოლუცია ხიშტებით დაეთრგუნა“.[1]

გოეთე მონაწილეობს ამ საგხედრო ექსპედიციაში, ლონგისთან და ვერდენთან წარმოებულ ბრძოლებში, ხდება მოწამე ვალმისთან მოკავშირეთა არმიის სასტიკი დამარცხების, რასაც იგი ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ დიდი ამბების მომსწრე მწერალი პოლიტიკური მოვლენების აღწერისას ცდილობს იყოს ერთობ სიტყვაძვირი, შეპყრობილია წმინდა მეცნიერული მუშაობის

---

[1] კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი, გვ. 657.

ინტერესით, ათვალიერებს ლანდშაფტებს, აწარმოებს მინერალების შეკრებას, აკვირდება ფერებს, საერთოდ, აგროვებს მასალებს თავისი სამეცნიერო შრომებისათვის *. მწერალი გაურბის გამოთქვას თავისი თვალსაზრისი რევოლუციასა და რეაქციას შორის ატეხილი ომის შესახებ. საექსპედიციო არმიაში ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებები გოეთემ ჩააქსოვა თავის ანალებში—„კამპანია საფრანგეთში", რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება როგორც რევოლუციისადმი მწერლის დამოკიდებულების, ისე თვით ისტორიული ამბების შესასწავლად.

„ანალების" ავტორს მიზნად დაუსახავს შეინარჩუნოს პოლიტიკური ამბებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, შემოიფარგლოს მეტწილად სამეცნიერო დაკვირვებებით, ბაგრამ წერის რეალისტურ ალღოს იგი მიყავს პირისპირ პოლიტიკურ ამბებამდე, მათ არანებისმიერ აღწერილობამდე. მწერალი მოხდენილად აღწერს ომის საშინელებას, დამარცხების შედეგად გამოწვეულ შიშსა და დაბნეულობას მოკავშირეთა არმიაში, მაგრამ ცდილობს მაინც იყოს ამბების გადმომცემის როლში, იშვიათად თუ წამოცდება ხოლმე მათდამი თავისი დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები.

მაგრამ ამ დუმილს „ანალებში" ზოგჯერ არღვევს აღიარებანი. მწერალი იძულებული ხდება ილაპარაკოს რევოლუციისა და რევოლუციონერების შესახებ. შიში და ძრწოლა შეინიშნება გოეთეს ამ აღიარებაში. რესპუბლიკელთა ისტორიულ გამარჯვებას ქ. ვალმისთან შედეგად მოჰყვა მძლავრი დაკვრა მოკავშირეთა არმიაზე. შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ იაკობინელებმა

---

* ჯერ კიდევ 1790 წელს, როცა საფრანგეთის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის გაცხოველებული სამხედროსი მიმდინარეობდა, გოეთე ამჯობინებდა განზე გამდგარიყო, შედარებითი ანატომიის საკითხებით გატაცებულიყო („In Breslau hingegen, wo ein soldatischer Hof und zugleich der Adel einer der ersten Provinzen des Königsreichs glänzte, wo man die schönsten Regimente ununterbrochen marschieren und manövrieren sah, beschäftigte mich unaufhörlich, so wunderlich es auch klingen mag, die vergleichende Anatomie, weshalb mitten in der bewegtesten Welt ich als Einsiedler in mir selbst abgeschlossen lebte". Goethes Werke, dritte verbesserte Auflage, Berlin, 1872, Bd. XXIV, S. 7). ამგვარი პოზიცია, ენერგიული სამეცნიერო მუშაობა, მასალების შეკრება, კლასიფიკაცია და შესწავლა იმ დროს, როცა ხდება დიდი ისტორიული მოვლენები, მწერალს მიაჩნია თავისი თავის გადარჩენის საიმედო საშუალებად („Und so hielt ich für meine Person wenigstens mich immer fest an diese Studien wie an einem Balken im Schiffbruch". Ibid., 11).

ფართოდ გამოიყენეს ტერორი. რევოლუციის ორგულნი და მერ-ყევნიც რევოლუციონერთა ბანაკიდან გილიოტინაზე გაიგზავნენ. გილიოტინის დანის ქვეშ დაგორდა თავები ლუი XVI და დან-ტონისა.

გერმანელი თავადაზნაურობა და ბიურგერობაც შიშითა და ძრწოლით აღიქვამდა ამ რეპრესიებს. შიშით აღიქვამდა მას ბურ-ჟუაზიის ინტელიგენციაც. ვილანდმა პირი იბრუნა რევოლუციისა-გან და დიქტატორული ხელისუფლების დამყარებას მოითხოვდა, შილერმა უარყო მისთვის ბოძებული საფრანგეთის საპატიო მოქა-ლაქის სახელი, კლოპშტოკმაც მოინანია თავისი „ოდეები“.

რეაქცია გერმანიაში ცდილობს შინაგანი ძალების კონსოლი-დაციას, იაკობინელთა ტერორის გამოყენებას საფრთხობელად თავისი ხალხის მიმართ. ამ გზით მთავრობას სურს გააღვივოს შუღლი ფრანგებსა და გერმანელებს შორის. აღარ ჩანს მძლავრი ოპოზიცია პრუსიის მთავრობის ამ რეაქციული პოლიტიკის წინააღ-მდეგ. ომის დაწყებისას ფიქრობდნენ, რომ ფრანგები მოკავში-რეებს დიდი თანაგრძნობით შეხვდებოდნენ, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ფრანგი ხალხი აღსდგა რევოლუციის დასაცავად, ინტერვენტთა გასადევნად საფრანგეთის ტერიტორიიდან.

შექმნილმა ვითარებამ გარკვეული გავლენა მოახდინა გოეთეზედაც. განსაზღვრა რევოლუციისადმი მისი დამოკიდე-ბულების ხასიათი. ჯერ კიდევ ე. წ. ყელსაბამის აფიორაში დაინახა მწერალმა მრისხანე გაფრთხილება, წინათგრძნო არსებულის საფუძვლების რყევა. ახლა, როცა მწერლის ეს წინათგრძნობა ახდა, როცა რევოლუცია ფაქტი გახდა, როცა გაჩაღდა იაკობინური ტე-ერორი, გოეთე ერთობ შეშფოთდა. ამ ამბებმა, თვით მწერლის გადმოცემით, მასზე ისეთი მძლავრი გავლენა მოახდინა, რომ მე-გობრები მას ვეღარც კი ცნობდნენ, იგი მათ თითქმის გაგიჟებუ-ლი ეჩვენებოდათ.

რაში უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ საფრანგეთის რევო-ლუციამ გოეთეზე ასეთი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა? იმ ფაქ-ტში, რომ საფრანგეთის რევოლუციაში მან დაინახა არსებული სოციალური წყობის დანგრევის საფრთხე და არა იმ პროგრამის განხორციელება, რომელსაც კომპრომისის გზაზე დამდგარი გერ-მანიის ბიურგერობა აყენებდა. რადგან საზოგადოებრივი ცხოვრე-ბის პროგრესის განხორციელებას გერმანიის ბურჟუაზია ფიქრობდა არა არსებულის რევოლუციური უარყოფით, არამედ მასთან შერი-გებით, რადგან ასეთი შეზღუდულობის გავლენისაგან არც გოეთე იყო თავისუფალი, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მას შიშს გვრიდა

ბურჟუაზიული რევოლუცია. ბურჟუაზიის კლასობრივი სიჩლუნგე, მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობა, ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების მოდუნება საშუალებას არ აძლევდა მწერალს სწორი ორიენტაცია ჰქონოდა ამ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში *.

---

* საფრანგეთის რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების განხილვის საფუძველზე ე. ლ უ დ ვ ი გ ი ასკვნის, რომ „გოეთე ყოველთვის რეალისტურად აზროვნებდა და თითქმის ყოველთვის იდეალისტურად მოქმედებდა" (E. L u d w i g. Goethes Weg zum Idealstaat. „Die neue Rundschau", April, 1932, Berlin und Leipzig, S. 508), რომ ეს გარემოება წარმოადგენს მის მიერ საფრანგეთის რევოლუციის უარყოფის მიზეზს.

გარეგნულად ასეთი მოსაზრება თითქოს საკმაოდ საბუთიანია, რადგან ცნობილია, რომ გოეთე თეორიულად ღებულობდა ხოლმე რევოლუციის იდეებს, მაგრამ პრაქტიკულად კი რევოლუციას უარყოფდა. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, ნამდვილად კი ე. ლუდვიგის მოსაზრებას არ გააჩნია საბუთიანობა, გოეთეს წინააღმდეგობრიობის მცდარ გაგებას წარმოადგენს. გოეთე იღებს საფრანგეთის რევოლუციის იდეალებს, მაგრამ არა იმ სახით, როგორც მას ბურჟუაზია იღებდა, იგი მოელის ამ რევოლუციისაგან ფართო მასების, დემოკრატიის საუკუნეებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და არა კუდშეკვეცილ სოციალურ რეფორმებს; და როცა მწერალი დარწმუნდა, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია შეზღუდული ხასიათისაა, რომ მასები ამ რევოლუციაში თავიანთ მდგომარეობას ვერ იუმჯობესებენ, იგი განუდგა მას. საფუძველი არ არის ამიტომ გოეთე რეალისტად ჩავთვალოთ მხოლოდ მაშინ, როცა ის თეორიულად იღებს რევოლუციას, და იდეალისტად ჩავთვალოთ იქ, სადაც უარყოფს მას. ეს იმიტომ, რომ მწერალს ორივე შემთხვევაში მხედველობაში აქვს არა შეზღუდული ხასიათის რევოლუცია, არამედ ფართო ხასიათისა. და რადგან იგი ხედავს რომ რევოლუცია პრაქტიკაში არ არის ის, რასაც იგი თეორიულად იღებდა, ბუნებრივია, რომ იგი გამოდის ბურჟუაზიული რევოლუციის კრიტიკით

გოეთეს წინააღმდეგობრიობა იმ სახით კი არ უნდა გვესმოდეს, რომ იგი რეალისტია აზროვნების დარგში, იდეალისტი—პრაქტიკული მოღვაწეობის დარგში, არამედ იმ სახით, რომ იგი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში ასახავს იმ წინააღმდეგობრიობას, რომელსაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასახავს, ერთი მხრივ, საზოგადოების დემოკრატიული ფენების, მეორე მხრივ კი შეზღუდული გერმანელი ბიურგერების მისწრაფებებს. როგორც დიდი ჰუმანისტი, თავისი ხალხის მოამაგე, გოეთე შეტრფის რევოლუციას, ფიქრობს, რომ იგი მოუტანს ხსნას ჩაგრულ კაცობრიობას; და როცა რწმუნდება, რომ ეს რევოლუცია არ სცილდება შეზღუდულ ბურჟუაზიულ ფარგლებს, იგი იხდის მას კრიტიკის საგნად.

მაგრამ დიდი გერმანელი მწერალი აჰასთანავე ვერ ახერხებს დააღწიოს თავი გერმანიის ბიურგერთა შეზღუდულობას, მათ კონსერვატიზმსა და ფილისტერობას, რაც გამოხატულებას პოვებს იმ ფაქტში, რომ იგი გამოდის რევოლუციონერთა მიერ გამოყენებული ბრძოლის მეთოდების წინააღმდეგ, გამოთქვამს შიშს გერმანიაში რევოლუციის შესაძლებელი გამარჯვების გამო. არავითარი საფუძველი არ არის მაინცდამაინც რეალისტად მივიჩნიოთ გოეთე თეორიის

„მოქმედ“, პროდუქტულ ადამიანს, ჭეშმარიტად, მშობლიურად მოაზროვნე და მკვიდრი ლიტერატურის შექმნის მომთხოვნ პიროვნებას. წერს გოეთე, კარგად ჩაეთვლება, როცა მას აშინებს ყოველიფე არსებულის ნგრევა მაშინ, როდესაც წინათგრძნობა მას ოდნავადაც არ უჩვენებს, რომ აქედან სხვა უკეთესი რამ შეიქმნება. ასეთ პიროვნებას უნდა დავეთანხმოთ, როცა ის შეწუხებულია, რომ ამგვარი ინფლუენციები გერმანიაშიაც ვრცელდება“ [1]. გოეთეს ეშინია რევოლუციის იმიტომ, რომ იგი, მისი აზრით, დაანგრევს რა არსებულს, თან წარიტაცებს კულტურის ძეგლებსაც. ტერორი, ხოცვა-ჟლეტა და ძალადატანება—აი რა არ მოსწონს მწერალს მისი დროის რევოლუციაში. მწერალს არ აქვს გათვალისწინებული, რომ ტერორი, რომელსაც მიმართავდნენ იაკობინელები, იყო ისტორიულად აუცილებელი და არა რობესპიერის „უხამსობათა“ გამოხატულება.

დარგში. პრაქტიკული მოღვაწეობის დარგში კი იდეალისტად, რადგან ეს სრულიად აბუნდოვანებს გოეთეს წინააღმდეგობრიობის საკითხს. გოეთე წინააღმდეგობრიობისაგან არ არის თავისუფალი არც თეორიის, აზროვნების და არც პრაქტიკული მოღვაწეობის დარგში. ლუდვიგი მხედველობიდან უშვებს, რომ გოეთე მაშინაც. როცა იღებს თეორიულად რევოლუციას და მაშინაც, როცა აკრიტიკებს მას, გვევლინება უპირველეს ყოვლისა, როგორც მოაზროვნე და არა პრაქტიკული მოღვაწე. მწერალს იარაღი არ აუღია ხელში ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობით არც მაშინ, როცა რევოლუციისადმი თანაგრძნობას გამოთქვამდა და არც მაშინ, როცა რევოლუციას აკრიტიკებდა. ასე რომ, ძნელია ხლვარის დადება თუ სად იღებს გოეთე რევოლუციას და სად აკრიტიკებს მას, დაძენნა ისეთი ნაწარმოებისა, რომელშიაც იგი რევოლუციისადმი თავისი დამოკიდებულების მხოლოდ ერთ მხარეს ამყლავნებდეს. ერთი კი აშკარაა, რომ ორივე შემთხვევაში, მაშინაც, როცა იღებს რევოლუციას და მაშინაც, როცა აკრიტიკებს მას, გოეთე გვევლინება უპირველეს ყოვლისა, როგორც მოაზროვნე-მხატვარი, ორივე შემთხვევაში საკმე გვაქვს გოეთეს აზროვნების პროდუქტთან, თეორიულ-კრიტიკული თუ მხატვრული ხასიათის ნაწარმოებებთან.

როცა გოეთეს იდეალისტურ საქმიანობაზე ლაპარაკობს, ე. ლუდვიგს, უნდა ვიფიქროთ, მხედველობაში აქვს გოეთეს პრაქტიკული, საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რადგან ისე რეალიზმისა და იდეალიზმის მომენტთა დაძენნა გოეთესთან კარგავს ყოველგვარ აზრს. მაგრამ, როგორც ამას დაწვრილებით ქვევით ვეუჩვენებთ, არავითარი საფუძველი არ არსებობს გამოცხადდეს თავისი ხალხის მოამაგე, მოქალაქე და საზოგადოებრივი მოღვაწე გოეთე იდეალისტად. გოეთეს ფრიად ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ვაიმარის საჰერცოგოში ნათლად მოწმობს, რომ დიდი გერმანელი მწერალი იყო დიდი რეალისტი არა მხოლოდ თავისი სულიერი შემოქმედების სფეროში, არამედ პრაქტიკული, საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროშიაც.

[1] Annalen. Goethes sämtl. Werke, Stuttg. u. Tüb., Bd. XXI, 1851, S. 15.

გოეთე კი ერთობ შეაშფოთა იაკობინელთა ტერორმა. „ან რანაირად შეიძლებოდა მოსვენება, წერს გოეთე, როცა საფრანგეთის შიგნით საშიში მოძრაობა ყოველდღიურად გვაფრთხობდა და გვემუქრებოდა. გასულ წელს ჩვენ გამოვიგლოვეთ მეფისა და დედოფლის სიკვდილი. ამ წელში კი—იგივე ბედი პრინცესა ელისაბედისა. რობესპიერის უხამსობამ თავზარი დასცა მთელს ქვეყანას. სიხარულის გრძნობა ისე დაიკარგა, რომ ვერავინ ბედავდა აღტაცების გამოხატვას მისი დამხობის გამო; მით უმეტეს, რომ ამბოხებული ერის საომარი ოპერაციები შეუჩერებლივ წინ მოიწევდა, ირგვლივ მთელს ქვეყანას ანძრევდა და ყოველ არსებულს, დაღუპვით თუ არა, გადატრიალებით მაინც ემუქრებოდა“ [1].

მწერალი აღწერს იმ სასოწარკვეთას, რომელიც გამოიწვია მასში საფრანგეთის მეფის დატყვევებამ. „ის, რაც პირველად ზღაპრად გვეჩვენებოდა, გადმოგვცემს გოეთე, შემდეგში სრული სიმართლე აღმოჩნდა“. გოეთე არ გამოხმაურებია საფრანგეთის რევოლუციას ოდებით, არც ნაციონალური კრებისადმი მიძღვნილი დითირამბებით. იგი ცდილობდა შორიდან ეცქირა რევოლუციური მასის მოქმედებისათვის, განზე გამდგარიყო ამ დიდი ისტორიული მოვლენიდან. დროგამოშვებით დიდი გერმანელი მწერალი ციევად გადახედავდა ხოლმე ისტორიის კაბადონს, რათა გაეგო ხომ არ მოელის საფრთხე საკაცობრიო კულტურას, რომლის ფაქტიური გამდიდრებისათვის იგი თავგამოდებით შრომობდა. ყელსაბამის ისტორიამ გოეთე წონასწორობიდან გამოიყვანა. მან იგრძნო პოლიტიკური ცხოვრების ჰორიზონტზე მრისხანე ღრუბლების ჩამოწოლა და შიშით გაჰყურებდა მომავალს. მწერალმა თითქოს დაარწმუნა თავისი თავი, რომ მისი წინათგრძნობა არ გამართლდებოდა, მან ზურგი შეაქცია მოახლოვებულ ქარტეხილს და თავის სამეცნიერო საქმიანობაში ჩაიძირა.

მაგრამ დადგა 90-ანი წლები, პოეტის წინათგრძნობა „ახდა“, გაჩაღდა იაკობინელთა ტერორი. ახლა კი მწერალი შეინძრა, მაღალი პიედესტალიდან დაბლა დაეშვა და პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემას ყური დაუგდო. მან იგრძნო, რომ ირყეოდა არსებული სოციალური წყობის საფუძველი, რომ რევოლუციის ტალღა საცაა გერმანიასაც მიწვდებოდა. პოეტი ხედავდა, რომ უკმაყოფილება მოდიოდა ქვევიდან, რასაც აძლიერებდა უგნური პოლიტიკა ზევიდან; მას ეგონა, რომ რევოლუცია განსაცდელში ჩააგდებდა მთელს ევროპას.

---

[1] ibid., 16.

რევოლუციის დროშას ძმობის, თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგები ეწერა. ამ ლოზუნგებით მოიწევდა ფრანკფურტისაკენ საფრანგეთის არმია. რევოლუციური ლოზუნგები და სიმღერები გზას იკაფავდა რაინის მარცხენა ნაპირზედაც. იმ დროს, როდესაც მოკავშირეთა არმია საფრანგეთის ტერიტორიაზე შეიჭრა, როცა ჰერცოგი ბრაუნშვაიგელი, მოკავშირეთა გაერთიანებული ჯარების სარდალი, მოწოდებით მიმართავდა ევროპის ხალხებს, ამ დროს, გადმოგვცემს გოეთე, შეხედულებათა ბრძოლის უაღრესად გამძაფრების ნიშნით, გერმანიაშიც შემოიჭრა ფრანგული სიმღერები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს. ამ დაძაბული მდგომარეობის პირობებშიაც კი გოეთე ცდილობს განზე გადგეს პოლიტიკური ამბებიდან; მაგრამ, როდესაც რევოლუციის არმიამ ვალმისთან მოკავშირეებს სასტიკი დამარცხება აგემა და გოეთეს მშობლიურ ფრანკფურტსაც ალყა შემოარტყა, როცა არსებობდა იმის ნიშნები, რომ იაკობინელები გერმანიასაც თავის გავლენაში მოაქცევდნენ, მაშინ გოეთემაც ხმა აიმაღლა.

მწერალი აღნიშნავს, რომ ისეთ პიროვნებას, როგორიც თვითონაა, მიეტევება, როცა მას აშინებს არსებულის დანგრევის შესაძლებლობა. იგი ბრაზობს რობესპიერის სისასტიკის გამო და გადადის თავდაცვაზე. ამ მიზნით აქვეყნებს იგი მთელ რიგ ნაწარმოებს რევოლუციის შესახებ.

პოეტი ირწმუნება, რომ ამ მოვლენებში მან ამოარჩია სასაცილო მხარეები, მაგრამ ძნელი არ არის მივხვდეთ, რომ ეს არ არის მხიარულებისაგან გამოწვეული სიცილი. უდავოდ სასაცილოა დომჰერი, შნაპსი, მერტენი და სხვა გმირები რევოლუციის თემაზე დაწერილი პიესებისა, რომ თვით ამბავი არ იყოს ცრემლით ნალესი*. გინდათ იცინოთ შნაპსის ყოყოჩობასა და ლაჩრობაზე, მაგრამ როცა ხედავთ, რომ მწერალი შნაპსის თვითეული ნაბიჯის აღწერისას სატირის მახვილს მიმართავს ძალდამტანებლების, „ექსპერიმენტების“ მომხრეთა წინააღმდეგ, სიცილს მადლი ეკარგება. ცხადი ხდება, რომ ავტორს სრულებით არ ეცინება, რომ რევოლუციის შესახებ დაწერილ მის პიესებში უფრო მეტად სარკაზმია, ვიდრე იუმორი.

---

* თვითონ მწერალი მიუთითებს, რომ საფუძველი ამ კომიკური განწყობილებისა უფრო ტრაგიკულია, ვიდრე კომიკური („aber die Urbilder dieser lustigen Gespenster waren zu furchtbar, als daß nicht selbst die Scheinbilder hätten beängstigen sollen“.—Goethes Werke, dritte verbesserte Auflage. Bd. XXIV, Berlin, 1872, S. 12).

„კამპანია საფრანგეთში“ წარმოადგენს გოეთეს პირველ დიდ ნაწარმოებს, რომელშიაც მწერალი საფრანგეთის რევოლუციას ეხება და რომლისადმიც იგი გარკვეულად კრიტიკულ დამოკიდებულებას იჭერს. ამავე ხაზზე უნდა ვიგულვოთ გოეთეს ამ პერიოდის სხვა ნაწარმოებებიც, რომლებიც ასევე საფრანგეთის რევოლუციას შეეხება. ამათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია კომედია „მ ო ქ ა ლ ა ქ ე გ ე ნ ე რ ა ლ ი“, რომელიც 1793 წელს დაიბეჭდა. ნაწარმოების მთავარი გმირია მატყუარა შნაპსი, რომელსაც სადღაც უშოვნია იაკობინელის ფორმა და განუზრახავს გლეხი მერტენის მოტყუება. იგი მერტენის წინაშე ტირანიის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის დემონსტრაციას ახდენს და ამას აკეთებს თითქოს იმ მიზნით, რომ დაარწმუნოს მერტენი ასეთი ბრძოლის აუცილებლობაში. ნამდვილად კი შნაპსის მიზანია ხელში ჩაიგდოს კარადაში ჩაკეტილი რძის შეჭამანდი. ის იყო შნაპსს მიზნისათვის უნდა მიეღწია, რომ მას თავს ესხმის და მაგრად მიბეგვავს გლეხი გეორგი.

მწერალი კრიტიკის ობიექტად იხდის რევოლუციას, იაკობინელთა დიქტატურას, მის მიერ გამოყენებულ მეთოდებს. ამ კრიტიკის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან იქნეს აცილებული რევოლუციის გავრცელება გერმანიაში. გოეთე განსაკუთრებით იმან აღაშფოთა, რომ გერმანიაში, მისი აზრით, ცდილობენ რევოლუციის ხელოვნურად გადმოტანას, წარმოიშვნენ შნაპსები, რომელთა მოქმედებასაც ჯერ. მართალია, ფართო მოძრაობა არ გამოუწვევია, მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა მათ გვერდში ბრემები ამოუდგებოდნენ, რომელთა გარშემო უკვე არსებულით უკმაყოფილო, აჯანყებისათვის მზადმყოფი მასები ირაზმებიან.

„მოქალაქე გენერალში“ მწერალი მწარედ დასცინის იაკობინელებს. მათი „მიმდევრის“ როლში გამოყვანილია ქარაფშუტა, თაღლითი და ანგარებიანი შნაპსი, რომელიც რევოლუციის იდეებს იყენებს თავისი ანგარებითი მიზნისათვის. იგი უპრინციპოა და მშიშარა, ლაპარაკობს პათეტურად, მაგრამ ერთბაშად დაფრთხება ახალგაზრდა გლეხის, გეორგის დანახვაზე. კომედიის ავტორი სატირის საგნად იხდის შნაპსის ყალბ პათოსს, ააშკარავებს ფილანტროპობის შესახებ მისი მსჯელობის ნამდვილ არსს, უჩვენებს, რომ შნაპსი დიდი კოფტას პლეადას განეკუთვნება. კომედიაში გარკვეულად იგრძნობა მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება იმ მეთოდებისადმი, რომლებიც იაკობინელებს აურჩევიათ თავიანთი შეხედულებების გასავრცელებლად. მწერალი გაბრაზებით აღნიშნავს, რომ იაკობინელები

გერმანიაშიაც აგროვებენ თავიანთ მომხრეებს და ხალხს აჯანყების, რევოლუციისაკენ მოუწოდებენ.

ამასთანავე გოეთე გვიჩვენებს საფრანგეთის რევოლუციით დამფრთხალი გერმანელების მოხდენილ სახეებს. იაკობინელის ტანსაცმელი და კოკარდა მათ მიაჩნიათ იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ მახლობლად შეთქმულთა ბუდეა, რომ აჯანყება იწყება. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ მხატვრული სახე მოსამართლისა, ამ ქედმაღალი, მაგრამ საფუძველშივე მხდალი ადამიანისა, რომელსაც გაზეთებიდან შეუმუშავებია წარმოდგენა იაკობინელის გარეგნობაზე და შნაპსის მაგალითზე სურს დარწმუნდეს მართლა ასეთია თუ არა იაკობინელი.

იაკობინელები, მაღალი სოციალური წრის ადამიანთა წარმოდგენით, განსაკუთრებული ყალიბის არიან. დაბალი სოციალური წრის ადამიანთა შორისაც იაკობინელთა შესახებ უცნაური ამბები ვრცელდება. მათ არ თვლიან ჩვეულებრივ ადამიანებად. როცა, მაგალითად, შნაპსი უყვება მერტენს. რომ ნახა იაკობინელთა რწმუნებული, რომლისაგანაც დავალება მიიღო, მერტენი მას სწრაფად შეაწყვეტინებს საუბარს კითხვით, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს უცხოელი („wie sah er aus?").

კომედიაში დაცინვის საგნადაა ქცეული იაკობინელთა სამოქმედო პროგრამა. იაკობინელები ფიქრობენ, რომ თავისუფლად შესძლებენ რევოლუციის დაწყებას გერმანიაში თუ კი აქ ათასიოდე მომხრე ორატორს იშოვნიან. სხვა შემთხვევაშიაც მწერალი ამგვარად მსჯელობდა ხოლმე რევოლუციონერების შესახებ. ასე, მაგალითად, თავის ეპიგრამებში იგი ამათრახებდა სიტყვის ოსტატებს—თავისუფლების მოციქულებს, რომლებიც ამბობენ ბრძნულ აზრებს იმ მიზნით, რომ მასები მოატყუონ და გაიყოლიონ. ისინი, ფიქრობს მწერალი, სარგებლობენ მსმენელების გულუბრყვილობით, რათა გზა გაიკაფონ თავიანთი კეთილდღეობისაკენ, ხალხი კი მონობაში ამყოფონ. გოეთე არ ეწინააღმდეგებოდა თავის თავს, როცა ბურჟუაზიული რევოლუციის მესვეურთა შესახებ ამგვარად მსჯელობდა, ვინაიდან რევოლუციური მასა, მისი აზრით, თავისთვის კი არ მოქმედებს, არამედ დემაგოგების სასარგებლოდ.

„მოქალაქე გენერალში" გოეთე კიცხავს რევოლუციონერების მიერ გამოყენებულ იძულებისა და ძალდატანების მეთოდს. ამ მიზნისათვის იგი მიმართავს საინტერესო პარალელს. შნაპსი, იმისათვის, რომ ხელში ჩაიგდოს კარადაში ჩაკეტილი საუზმე, ახდენს კარადის დამტვრევის ექსპერიმენტს. როცა ამის შედეგად რძით სავსე ფინჯანი უკვე მაგიდაზე დგას და საჭიროა მხოლოდ ჭამის

დაწყება, შნაპსი მეორე ექსპერიმენტს მიმართავს. იგი ჩასჩიჩინებს მერტენს, არ გამოვიდეს თავისი როლიდან, წარმოიდგინოს ეს ფინჯანი ტირანიის კოშკად, რომელსაც რევოლუციისა და თანასწორობის სახელით თავისი ჯარით უტევს შნაპსი. ასევე თაღლითურ ხერხს მიმართავს შნაპსი შაქრის ხელში ჩასაგდებად.

სიუჟეტის ამგვარი განვითარებით მწერალს სურს უჩვენოს, რომ არაა სწორი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ექსპერიმენტის გამოყენება იმ სახით, როგორც ეს ბუნებაშია შესაძლებელი, სურს უჩვენოს, რომ შეუძლებელია ნებელობა ჩაერიოს იქ, სადაც აუცილებლობა უნდა ბატონობდეს. ამგვარი ექსპერიმენტით ისარგებლა მატყუარა შნაპსმა. „ებრძოდა“ რა ჩაგვრის ქვეყანას, იგი ნამდვილად თავისი სარგებლობისათვის ზრუნავდა. შნაპსის სიტყვებს, ცხადია, არ აქვს შინაგანი სითბო, დამაჯერებლობა, რადგან შნაპსი მატყუარაა, მაგრამ მის სიტყვებს, მწერლის აზრით, შეუძლია დიდი ზიანის მოტანა საზოგადოებისათვის. შნაპსებს შეუძლიათ თავიანთი ექსპერიმენტის მოსახდენად აიყოლიონ გულუბრყვილო ადამიანები. მართალია, ეს არ იქნება შეგნებული მოძრაობა, მაგრამ მასების დიდი ნაწილი იძულებული იქნება გაჰყვენ შნაპსებს და თუ ისინი დაეჭვდებიან ამ უკანასკნელთა სამართლიანობაში, თუ ისინი, იაკობინელთა ბანაკის ეს ობიექტური მოკავშირეები, გაბედავენ არ დაეთანხმონ შნაპსებს, მაშინ იაკობინიზმის რისხვა მათაც თავს დაატყდებათ.

ასე ფიქრობდა გოეთე, როცა ქმნიდა შნაპსისა და მერტენის შეხვედრის სცენას და მისი ამგვარი შეხედულება ემყარებოდა რევოლუციური მასის საფუძველშივე მცდარ შეფასებას. რევოლუციურ მასას, რომელიც ბურჟუაზიულ რევოლუციაში მონაწილეობს, მწერალი თვლის ჭრელი შემადგენლობის მასად.

რევოლუციური მასის ამგვარი მცდარი შეფასების ფონზე გასაგები ხდება „მოქალაქე გენერალში“ გამოყვანილი გლეხის, მერტენის პერსონაჟი. მერტენი გოეთეს არ გამოჰყავს როგორც იაკობინელთა მიმდევარი, როგორც მატყუარა და შემთხვევის მაძიებელი. იგი პატიოსანი მშრომელი გლეხია, რომელიც სხვას არაფერს ართმევს და არ სურს, რომ თავისი ვინმეს დაუთმოს. მართალია, სუბიექტურად იგი არ არის იაკობინელთა თანამგზავრი, რევოლუციური ძალდატანების მომხრე, მაგრამ ობიექტურად კი იგი შეიძლება გახდეს მათი თანამგზავრი; მასში არის მონაცემები იმისა, რომ გაჰყვეს გერმანელ იაკობინელებს, რის შედეგადაც გერმანიაშიც ისეთივე ამბებია მოსალოდნელი, როგორიც საფრანგეთში მოხდა.

რა მონაცემია ეს? ესაა ერთი მხრივ გულუბრყვილობა, რომელიც ახასიათებს მერტენს და რომლითაც მოხერხებულად შეუძლიათ ისარგებლონ „თავისუფლების ყალბ მოციქულებს“, რათა გააბრიყვონ სხვები და ჩაითრიონ ისინი მოძრაობაში. მეორე მხრივ, ესაა პოლიტიკური ამბებისადმი გამოჩენილი ინტერესი, პოლიტიკური ცნობისმოყვარეობა, რომლისაგან თავისუფალი არაა მერტენი. ამ ფაქტში ხედავს მწერალი საშიშროებას არა მხოლოდ მერტენებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. მერტენს ცნობისმოყვარეობა სტანჯავს, მას სურს ყური დაუგდოს პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემას, და რადგან მას საკუთარი ორიენტაცია არ აქვს, ამიტომ შნაპსების ლათაიებს ისმენს. მას, მართალია, შესდის ეჭვი შნაპსის სიტყვებში, გრძნობს, რომ შნაპსი ტყუის, მაგრამ ცნობისმოყვარეობა, ეს მისი თითქოს შინაგანი მტერი, მაინც ამ მატყუარასთან აკავშირებს. როცა მერტენის ეჭვები უმაღლეს საფეხურს აღწევს, როცა მას აღარაფერი უნდა იწამოს, ან მოისმინოს შნაპსისაგან, მაშინ ეს უკანასკნელი ძალას მიმართავს, რომ „დაითანხმოს“ მერტენი, იგი ხმალს იშიშვლებს და ამ გზით ცდილობს თავისი მსმენელების „დარწმუნებას“. „მაშ გაიგე, მიმართავს იგი მერტენს, რომ შენ, გინდა თუ არა, ვალდებული ხარ აითვისო ახალი შეხედულებები, ვალდებული ხარ გონიერი, თავისუფალი და თანასწორი გახდე“.

კომედიის ავტორს მიაქვს იერიში მასების მხრივ პოლიტიკით გატაცების, საერთოდ პოლიტიკური ცნობისმოყვარეობის წინააღმდეგ. იგი კიცხავს არა მხოლოდ იმათ, ვინც ბორტოტად იყენებს ადამიანთა გულუბრყვილობასა და პირდაპირობას, არამედ იმათაც, ვინც ბუნებით ჯანსაღია, მაგრამ მატყუარებს საშუალებას აძლევს ისინი თავიანთ საქმეში ჩაითრიონ, ვინც გასცქერის პოლიტიკური ცხოვრების ჰორიზონტს. ეს აზრი ჩაქსოვილია „მოქალაქე გენერალში“ და საერთოდ რევოლუციის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში. „მოქალაქე გენერალში“ მწერალმა უჩვენა, თუ როგორ მოხერხებულად გამოიყენა მატყუარა შნაპსმა მერტენის ეს თითქოს სუსტი მხარე მერტენისავე წინააღმდეგ. მერტენს ეშინია იაკობინელების, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ ასვენებს, იძულებულს ხდის დაჟინებით სთხოვოს შნაპსს პოლიტიკურ თემაზე საუბარი.

გოეთე უარყოფს მასების მხრივ ამგვარი პოლიტიკური ცნობისმოყვარეობის გამოვლენის მიზანშეწონილობას. თვითეულის მოვალეობაა, აღნიშნავს იგი უფრო გვიან პერიოდში, ეწიოს თავის საკუთარ საქმეს. „მეჩექმე თავის საქმიანობას უნდა შერჩეს, გლეხი გუ-

თანს, თავადმა კი მართვა-გამგეობა უნდა იცოდეს" („Das Vernünftigste ist immer, daß jeder sein Metier treibe, wozu er geboren ist und was er gelernt hat,... Der Schuster bleibe bei seinem Leisten, der Bauer hinter dem Pfluge, und der Fürst wisse zu regieren"[1].

პოლიტიკურ ცხოვრებაზე ასეთი ინდიფერენტული თვალსაზრისის გამოთქმას „მოქალაქე გენერალში" გოეთე აკისრებს ნაწარმოებში გამოყვანილ თავადს, რომელიც ცხადდება მერტენის ახლში, გამოიკვლევს მომხდარ ამბავს და გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა წავიდეს ქვეყნის განვითარება, როგორ უნდა იქნეს თავიდან აცილებული ის მრისხანე ქარტეხილი, რომელიც „სეტყვავს" საფრანგეთს. ერთერთ ასეთ თავდაცვით ზომად თავადს ის მიაჩნია, რომ ყველამ თავისი საქმე აკეთოს და პოლიტიკიდან თავი შორს დაიჭიროს. „თქვენში მოხუცო, მიმართავს იგი გაბრიყვებულ მერტენს, ქების ღირსი იქნება ის, თუ აქაური ამინდის გამოცნობა გეცოდინება, რასაც შეუფარდებთ თესვასა და მკას. სხვა ქვეყნებმა დეე თვითონ იზრუნონ თავიანთ თავზე. თქვენ კი პოლიტიკურ ცას მხოლოდ დღესასწაულების დროსა და კვირა-დღეობით მიმოაველეთ თვალი".

ბურჟუაზიული რევოლუციის თემის გაგებას „მოქალაქე გენერალში" ორგანულად უკავშირდება რევოლუციის ლოზუნგების გაგება. თითქოს სრულიად არაბუნებრივია, რომ თავისუფლების, სართლიანობისა და ჭეშმარიტების მომღერალი დიდი განმანათლებელი გოეთე ამ ნაწარმოებში კრიტიკულადაა განწყობილი თავისუფლებისა და თანასწორობის იმ პოლიტიკური ლოზუნგებისადმი, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის დროშაზე ეწერა. გოეთე, აშკარაა, სატირის მახვილს მიმართავს თანასწორობისა და თავისუფლების ცნების იაკობინური გაგების წინააღმდეგ. მართალია, მისი სატირის მახვილი უშუალოდ მიმართულია იაკობინელთა გერმანელი მიმდევრების წინააღმდეგ, მართალია, შნაპსს იგი არ წარმოგვიდგენს იაკობინელთა იდეურ და შეგნებულ მიმდევრად, მაგრამ ეს მაინც ხელს არ გვიშლის შნაპსის კრიტიკაში თვით იაკობინელთა სოციალური იდეალების კრიტიკა დავინახოთ.

„მოქალაქე გენერალში" გაკრიტიკებულია „გამათანაბრებელი" ტენდენციები, ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ წამოყენებული თანასწორობის ლოზუნგი. ბრძოლა მდიდრების წინააღმდეგ აქ განხილულია, როგორც გაიძვერათა მანევრი, გამიზნული პირადი

---

[1] Eckermann, I, 91.

სარგებლის მოპოვებისაკენ. ნამდვილად კი ამ მოძრაობის წარმომადგენლებს, ფიქრობს მწერალი, არ აწუხებთ ღარიბთა მდგომარეობა, მათი გათავისუფლება. გათანაბრების მოთხოვნა, მდიდრების წინააღმდეგ გალაშქრება კომედიაში შეფასებულია, როგორც ბრძოლა სიმდიდრის ხელახალი გადანაწილებისათვის, როგორც ახალი ჩაგვრის დასაწყისი.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მერტენისა და შნაპსის შეხვედრიდან ის ადგილი, სადაც შნაპსი განმარტავს თუ რას ნიშნავს ადამიანთა თანასწორობა. თუ რას ნიშნავს რევოლუციური ძალდატანება ეს შნაპსმა „განმარტა“ მერტენის კარადის დამტვრევის ექსპერიმენტით, ხოლო თუ რას ნიშნავს თანასწორობა, ამის ნათელსაყოფად იგი ისევ ფინჯანს მიმართავს. „აი, კოშკის აღების შემდეგ, იწყებს შნაპსი, მე თავს ვუყრი მოქალაქეებს და ვეუბნები მათ: „ძმებო და მოქალაქენო! მე ვწუხვარ, რომ თქვენ არა ხართ გაერთიანებული, რომ თქვენ დაგიკარგავთ თანასწორობის პირვანდელი მდგომარეობა“. და როცა მერტენი შნაპსს ამის განმარტებას მოსთხოვს, შნაპსი თავისას განაგრძნობს:

შ ნ ა პ ს ი (პათეტურად) „როცა თქვენ ერთად სუფთა რძეს წარმოადგენდით, მაშინ თვითეული წვეთი ერთნაირი იყო“.

მ ე რ ტ ე ნ ი. მაგის უარყოფა არ შეიძლება.

შ ნ ა პ ს ი. „ახლა კი თქვენ ამღვრეულხართ“.

მ ე რ ტ ე ნ ი. მოქალაქეები?

შ ნ ა პ ს ი. „ახლა თქვენ განცალკევებულხართ“.

მ ე რ ტ ე ნ ი. დახე!

შ ნ ა პ ს ი. „აქ მე ვხედავ მდიდრებს, რომლებიც მღვრე ნაღებშია წარმოდგენილი“.

მ ე რ ტ ე ნ ი. ეს ლაყბობაა!

შ ნ ა პ ს ი. „მდიდრები მაღლა ცურავენ“.

მ ე რ ტ ე ნ ი. მდიდრები მღვრე ნაღებია?

შ ნ ა პ ს ი. „ისინი მაღლა ცურავენ, ეს არ მოითმინება“.

მ ე რ ტ ე ნ ი. აუტანელია!

შ ნ ა პ ს ი. მე მათ მოვხდი (გადმოაქვს ნაღები თეფშზე).

მ ე რ ტ ე ნ ი. ოი, ახლა კი ყველაფერი აირია.

შ ნ ა პ ს ი. „როგორც კი ნაღებს ვხდი, ქვევით ვნახულობ მაწონს“.

მ ე რ ტ ე ნ ი. ცხადია!

შ ნ ა პ ს ი. „რომელიც არ არის სიძულვილის ღირსი“.

მ ე რ ტ ე ნ ი. მეც მგონია.

შ ნ ა პ ს ი. „ეს არის მშვენიერი, საყვარელი საშუალო წოდება“.

როგორც ვხედავთ, მწერალი აკრიტიკებს თანასწორობის ბურჟუაზიულ ლოზუნგს, გამოსული იქიდან, რომ ასეთი თანასწორობისათვის ბრძოლა არსებითად ნიშნავს ადამიანთა ცხოვრების გავულგარებასა და გაერთფეროვნებას.

ასე გააკრიტიკა გოეთემ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პოლიტიკური ლოზუნგები. თუ „დიდ კოფტაში“ იგი თავისი წინათგრძნობის გამართლებას ხედავდა, თუ „მოქალაქე გენერალში“ იგი რევოლუციის სხვა ქვეყანაში გადატანის საფრთხეზე მიუთითებდა, დრამაში—„აჯანყებულები“ იგი უკვე მომხდარ ფაქტს აგვიწერს, საფრანგეთის რევოლუციის გამოძახილს გერმანიაში. რევოლუციამ გამოაფხიზლა დაჩაგრულები, რომლებიც სულ უფროდაუფრო მარცხნივ იხრებიან. გლეხები დაუპირისპირდნენ მემამულეებს და ჩაისახა ფართო სახალხო მოძრაობის პერსპექტივა. ახლა გოეთეს წინაშე ისმება ძირითადი საკითხი: არის თუ არა ისტორიულად გამართლებული ეს მოძრაობა, ან როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება? შეიძლება თუ არა მასები მართალი იყვნენ, როცა ისინი რევოლუციას ახდენენ?

ამ საკითხს გოეთე აყენებს დრამაში — „აჯანყებულები“, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. ნაწარმოები აგვიწერს გლეხთა შეთქმულებას, რომელსაც ქირურგი ბრემე ხელმძღვანელობს. შეთქმულების გამომწვევი მიზეზია გლეხებისათვის იმ უფლებების წართმევა, რომლითაც ისინი აქამდე სარგებლობდნენ. დოკუმენტი, რომელშიაც გლეხთა ეს უფლებაა ფიქსირებული, დაკარგულია. რათა აღიდგინონ თავიანთი უფლებები, გლეხები ირაზმებიან აჯანყებისათვის, მაგრამ გრაფის ცოლს, რომელიც პარიზიდან დაბრუნდა, საქმე აჯანყებამდე არ მიყავს.

ამ ნაწარმოებშიაც ისე, როგორც „მოქალაქე გენერალში“, თავს იჩენს ბურჟუაზიული რევოლუციისადმი გოეთეს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, რევოლუციაში დადებითი მომენტების დანახვის გასწვრივ, კრიტიკა ბურჟუაზიული რევოლუციისა, იმის ფიქრი, რომ გერმანია ბურჟუაზიული რევოლუციის გარეშე შეძლებს გაიკაფოს გზა უკეთესი მერმისისაკენ. ამჯერად შემოვიფარგლოთ რევოლუციისადმი გოეთეს კრიტიკული დამოკიდებულების ჩვენებით. ამ დრამაშიაც თვალში გვეცემა გოეთეს შიში რევოლუციის, მასების გარევოლუციონერების წინაშე, მკვეთრი კრიტიკა ბრძოლის იმ მეთოდებისა, რომლებსაც რევოლუციური მასა მიმართავდა. რომ მწერლისათვის ბრემესა და ალბერტის გზა მიუღე-

ბელია, ეს ნათლად ჩანს ამ ფრაგმენტში. თუმცა ბრემეს იგი არ გვიხატავს ისე სარკასტულ ხაზებში, როგორშიაც ხატავს შნაპსს, მაგრამ ბრემეც არ არის დახატული კეთილშობილ პიროვნებად. შნაპსისაგან ბრემე განსხვავდება იმით, რომ იგი მასზე უფრო ჭკვიანია და მტკიცე ნებისყოფის მქონე, მაგრამ პრინციპული განსხვავება მათ შორის არაა.

ბრემეს რომ ეგოისტური მისწრაფებები ამოძრავებს, ეს ნათლად ჩანს მასსა და გლეხთა მეთაურებს შორის საუბრიდან. იგი ურჩევს მეთაურებს, რომ გამარჯვების შემდეგ ჩამოაშორონ მას ვალი და გადასცენ აგრეთვე ის ბაღიც, რომელიც მოსამართლეებმა თავისთვის დაინარჩუნეს. ბრემე შნაპსთან შედარებით, თქმა არ უნდა, მეტი სიმტკიცით ხასიათდება, მაგრამ გულუბრყვილობა მასაც ახასიათებს. ამაში გვარწმუნებს ის გარემოება, რომ მას სჯერა, რომ მეფე მხარს დაუჭერს გლეხთა აჯანყებას. რევოლუციისადმი მწერლის კრიტიკულ დამოკიდებულებას ის გარემოებაც გვიჩვენებს, რომ მას არ მიყავს სიუჟეტის განვითარება რადიკალური გზით, არ ხატავს ბრძოლას ჩაგრულებსა და მჩაგვრელებს შორის. მართალია, დრამა, დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ მისი გაგრძელების შემონახული სქემა აშკარად გვანიშნებს, რომ საქმე აჯანყებამდე არ მივა, გვანიშნებს, რომ დაკარგულ დოკუმენტს ნახავენ და აჯანყებასაც თავიდან აიცდენენ.

საფრანგეთის რევოლუციის თემას უძღვნა გოეთემ შესანიშნავი ეპიკური პოემა—„ჰერმანი და დოროთეა“, რომელიც 1797 წელს დაიწერა. ამ ნაწარმოებში აღწერილია მძიმე გასაჭირი, რომელშიაც ჩავარდა რაინის ოლქის გერმანელ მოსახლეთა ერთი ნაწილი საფრანგეთის რევოლუციის შედეგად. ისინი იძულებული გახდნენ აყრილიყვნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან. ეს ლტოლვილები ნაწარმოებში წარმოდგენილია, როგორც მსხვერპლი რევოლუციისა, იმ გარემოებისა, რომ წინათ ენთუზიაზმით ეგებებოდნენ რევოლუციის ლოზუნგებს, მოელოდნენ სანუკვარი ოცნების განხორციელებას, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ამ ლოზუნგების პრაქტიკულ განხორციელებაზე არავინ ფიქრობს.

პოემის სიუჟეტად გამოყენებულია მე-17 საუკუნის ამბავი, ისტორია ზალცბურგელი ემიგრანტებისა, რომელნიც იძულებულნი ხდებიან აიყარონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან. ზალცბურგელ ემიგრანტთა ისტორიასთან შედარებით გოეთეს პოემაში უფრო გაფართოებულია მოქმედების არე. აქ მასალის დამუშავების ფონად აღებულია მთელი ეპოქა.

პოემა აგვიწერს ჰერმანის მამის, სასტუმროს—„ოქროს ლომის“ პატრონის ოჯახის მშვიდსა და უდარდელ ცხოვრებას. ამ მშვიდი ბიურგერული ცხოვრების კონტრასტად ნაწარმოებში დახატულია აოხრება და უსაზღვრო გასაჭირი გერმანელი ლტოლვილებისა, რომელთა გრძელი კოლონები ჰერმანის სახლის მახლობლად ჩაივლიან. ჰერმანის მამის, ამ ფრთხილი ბიურგერის გვერდით პოემაში გამოყვანილია მოძღვარი და მეაფთიაქე, რომლებიც ისეთივე განწყობილებებით ხასიათდებიან, როგორითაც სასტუმროს პატრონი. ესენი არიან ცხოვრებით კმაყოფილნი, არსებულთან მტკიცედ მიკედლებული გერმანელი ბიურგერების ცოცხალი მხატვრული სახეები. მათში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ჰერმანის მამა, ეს ჭკვიანი და ფრთხილი ბიურგერი, რომლისათვისაც დამახასიათებელია პრაქტიციზმი, მოვლენებისადმი უტილიტარული დამოკიდებულება.

მთელი პოემა წარმოადგენს ჰიმნს საზოგადოებრივი მოვლენისადმი იმ გულცივი, აპოლიტიკური დამოკიდებულებისა, რომელიც სასტუმროს პატრონს, მოძღვარსა და მეაფთიაქეს ახასიათებთ. ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ მათ თვალწინ გათამაშებული დიდი პოლიტიკური მოვლენებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, არ ჩაერიონ ამბის განვითარებაში; კიდევ მეტი: ერთობ ნაკლებად ილაპარაკონ მათ შესახებ. როგორც კი შემთხვევით საუბარი პოლიტიკურ თემაზე გადავა, სამივე მოსაუბრე შეთანხმდება შეწყვიტონ საუბარი ასეთ თემაზე და გადავიდნენ ჩვეულებრივ საოჯახო-საყოფაცხოვრებო თემებზე.

შეუძლებელია ითქვას, რომ პოემის ამ რეალისტურად დახატულ ადამიანებში ჩამკვდარია პოლიტიკური ამბებისადმი ყოველგვარი ინტერესი. არა, მკითხველი გრძნობს, რომ ეს ინტერესი მათში, მართალია, მკრთალად, მაგრამ მაინც არის და დროდადრო თავს იჩენს კიდევაც მათ საუბარში. როგორც „ანალები“, ისე ეს ნაწარმოები გვიჩვენებს, რომ მწერალი თვითონ გრძნობს შეუძლებლობას იმ მოთხოვნის დაცვისა, რომ ადამიანი მთლიანად გამოითიშოს მისი დროის დიდი პოლიტიკური ამბებიდან. ეს ასეა, მაგრამ ნაწარმოების გმირები ცდილობენ არ მისცენ გასაქანი მ გრძნობას, არ გამოავლინონ პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესი, გარეგნულად მაინც შეინარჩუნონ სრული სიმშვიდე და ზომიერება. ამ ადამიანებს არ ახასიათებთ სოციალური ცხოვრების გარდაქმნის სურვილი, სოციალური პროგრესისადმი სწრაფვა. ისინი მაგრად ებღაუჭებიან მამა-პაპათაგან ნამემკვიდრეე ტრადი-

ციას და ამ უკანასკნელის დაცვას უხდიან სავალდებულოდ მომავალ თაობას.

მათ აშინებთ სოციალური ქარტეხილები, საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლის რევოლუციური გარდაქმნა. სოციალური ცხოვრების ამგვარი გარდაქმნის იდეალს ისინი უპირისპირებენ მშვიდი ბიურგერული ცხოვრების იდეალს, სოციალური ბოროტობის წინააღმდეგ ბრძოლის, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის ფილოსოფიას—არსებულთან შერიგების, არსებულით დაკმაყოფილების ფილოსოფიას. სამწუხაროა, რომ პროვინციული გერმანელი ბიურგერების ამგვარ თვალსაზრისს გარკვეული გავლენა მოუხდენია თვით ნაწარმოების ავტორზედაც, რომელიც პოემაში ერთგვარად აიდეალებს კიდევაც მისი გმირების ამგვარ ყოფას. მწერალი წარმტაც ფრაზებში გადმოსცემს პროვინციელ გერმანელ ბიურგერთა სამყაროს, ქმნის მშვენიერ მხატვრულ პასაჟებს. პოემის ამ მხატვრულ ღირსებაზე მიუთითებდა ჩერნიშევსკი სტატიაში—„გულითადობის შესახებ კრიტიკაში“ [1]. ეს ასეა, მაგრამ პოემის ავტორი არ აკრიტიკებს ამ ბიურგერებს, მათ კონსერვატიულ მისწრაფებებს; ამიტომ იყო, რომ ჩერნიშევსკი მკვეთრად აკრიტიკებდა „ჰერმან და დოროთეას“, ხედავდა რა მასში „მავნებლურ სანტიმენტალობასა“ და „შინაარსის სიცალიერეს“ [2].

გოეთე ფიქრობს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური განვითარებისათვის ძირითად საწყისს წარმოადგენს კომპაქტური ბიურგერული ოჯახი, რომლის წევრები იღწვიან ერთი მიზნისათვის, ოჯახის კეთილდღეობისათვის, საკუთრების დაცვისა და გადიდებისათვის. ასეთ კომპაქტურ ოჯახად წარმოგვიდგება სასტუმროს პატრონის ოჯახი, რომლის წევრებს არ აქვთ სხვა ინტერესი თუ არა ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. ამ ოჯახის წევრებს არ აქვთ ყველა საკითხზე ერთი აზრი; მამა და ვაჟიშვილი, მაგალითად, არ არიან ერთი აზრის იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს არჩევანი ჰერმანისა. ვინ უნდა გახდეს მისი მეუღლე.

ჰერმანის მამა იმ აზრისაა, რომ მისი რძალი უეჭველად მდიდარი ოჯახიდან გამოსული, დიდი მზითვების მქონე უნდა იყოს. ასეთი მას აურჩევია კიდევაც მისი მეზობელი ვაჭრის ასულის სახით. ჰერმანი კი არ თვლის გამართლებულად ამგვარ ანგარებით ქორწინებას, ქორწინებას სიყვარულის გარეშე. მას მთელი გატა-

---

[1] Чернышевский. Сочинения, т. II, Москва, 1946, გვ. 257.
[2] ibid.

ცებით შეუყვარდა ბედისაგან დატანჯული, ლტოლვილი დოროთეა. ეს იმიტომ, რომ მან ამ ქალში ფიზიკურ მშვენებასთან ერთად დაინახა მაღალი მორალური თვისებები, პირველ-ყოვლისა, მზადყოფნა დახმარება გაუწიოს გაჭირვებულებს, დაინახა ქალი, რომელიც მისი ოჯახის ღირსეული წევრი გახდება, შეძლებს მასთან ერთად გასწიოს ცხოვრების ჭაპანი, არა მხოლოდ შეინარჩუნოს და განამტკიცოს მოპოვებული, არამედ გაზარდოს და გააფართოოს იგი.

შთაბეჭდილება იქმნება, რომ ოჯახის, ქორწინების გაგებაში სასტუმროს პატრონსა და მის ვაჟს შორის თითქოს პრინციპული ხასიათის წინააღმდეგობაა, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს ამ ოჯახის მთლიანობა, მაგრამ ნამდვილად კი ეს ასე არ არის. უჩვენებს რა მამისა და ვაჟის სხვადასხვა შეხედულებას, მწერალი ამასთანავე იმასაც გვიჩვენებს, რომ ამ გარემოებას არ შეუძლია შეიტანოს ბზარი, განხეთქილება ჰერმანის ოჯახში, რადგან ირკვევა, რომ სასტუმროს პატრონსა და მის ვაჟს შორის არ არის პრინციპული განსხვავება, რომ მათ შორის უეჭველად მოიძებნება საერთო ენა.

მამასა და შვილს შორის კონფლიქტის ბედნიერი გადაწყვეტის წინაპირობად წარმოდგენილია ის გარემოება, რომ ჰერმანის მამა, მართალია, შეუბრალებელ და გულცივ ადამიანად გვეჩვენება, მაგრამ ასეთად იგი გვეჩვენება მხოლოდ. სინამდვილეში კი იგი არ არის ოჯახის ტირანი, განუსაზღვრელად მბრძანებელი, თავისი ავტორიტეტის ბოროტოდ გამომყენებელი. დამოკიდებულება მასსა და ოჯახის სხვა წევრებს შორის არ არის აგებული შიშზე, არამედ აგებულია რიდსა და პატივისცემაზე, მისი ავტორიტეტის მორალურ ძალაზე.

ჰერმანის მამას, მართალია, ანგარებიანობა და პედანტობა ახასიათებს, მაგრამ ოჯახის წევრებისადმი დამოკიდებულებაში იგი სათანადო გულთბილობითაც ხასიათდება. იგი არ არის ჯიუტი, ხეპრე და დაუფიქრებელი, ოჯახის ისეთი მეთაური, როგორსაც რიჩარდსონი გვიხატავს, არამედ საჭიროების შემთხვევაში დამთმობი, სხვისი შეხედულებისათვის ანგარიშის გამწევიცაა. იგი თავის შეხედულებას არ აძლევს კატეგორიულ ხასიათს, ჯიუტად არ ცდილობს თავისი გადაწყვეტილების გატარებას, არამედ მზად არის უკან დაიხიოს. ასევე იქცევა მამა დოროთეასთან შეხვედრისას, როცა მკვახე, არასაკმარისად მოფიქრებული სიტყვებით დიდ საგონებელში აგდებს ქალს. იგი არ ჯიუტობს, არ ცდილობს თავისი გაიტანოს, როცა ატყობს, რომ მისი და ჰერმანის შეხედულებათა შერიგება შეუძლებელია. იგი აძლევს მოქმედების

თავისუფლებას თავის კეთილსა და სათნო მეუღლეს, აგრეთვე მეაფთიაქესა და მოძღვარს, რათა ისინი ჩაერიონ ჰერმანის საქმეში, შეისწავლონ ყველაფერი და, როგორც კი რწმუნდება, რომ სიმართლე ჰერმანის მხარეზეა, მყისვე დათმობაზე მიდის.

მწერალი არ იშურებს მხატვრულ საშუალებებს, რათა დახატოს ეს ოჯახი მიმზიდველ ფერებში, შექმნას შთაბეჭდილება, რომ ამ ოჯახში არ არის უგულებელყოფილი სიყვარული და პოეზია, რომ ცხოვრება აქ არ ატარებს ერთფეროვანსა და მონოტონურ ხასიათს. ამ მიზნით არბილებს იგი ხასიათს ოჯახის უფროსისას, წარმოგვიდგენს მას ფაქტიურად არა მშრალ და ცალმხრივ ბიურგერად, არამედ ისეთ ადამიანად, რომელმაც იცის სხვებისათვის ანგარიშის გაწევაც.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ მხატვრული სახე ჰერმანის დედისა. იგიც შვილია თავისი სოციალური წრისა, პროვინციული გერმანელი ბიურგერია, მაგრამ მას არ ახასიათებს ის ანგარება და პედანტობა, რაც მისი ქმრისათვისაა დამახასიათებელი. იგი გაჭირვებულთა გამკითხავია, ნაზი და მოსიყვარულე გულისაა. იგი დახმარებას უწევს გადმოხვეწილებს, დახმარებას უწევს თავის ვაჟს მისი სურვილის განხორციელებაში, დედური მზრუნველობით თავს ევლება მას, იხსნის მას კრიზისული მდგომარეობიდან. ასე იქცევა იგი არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამას შთააგონებს შვილისადმი მშობლიური სიყვარულის გრძნობა, არამედ იმიტომაც, რომ ხედავს სიმართლეს თავისი ვაჟის მხარეს, ხელმძღვანელობს რა იმ აზრით, რომ სიყვარულისათვის დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს ანგარება. მან თავის თავზე გამოსცადა სიყვარულის მწველი გრძნობის გაელენა, შვილის ახლანდელი მდგომარეობა თავის წარსულს აგონებს და რადგან სიყვარულის ამ სპეტაკ გრძნობაზე მან ცხოველი გამოძახილი ჰპოვა ჰერმანის მამაში, ამიტომ იმედი აქვს, რომ ქმარს ბოლოს და ბოლოს ჰერმანის არჩევანის სასარგებლოდ განაწყობს.

როგორც აღვნიშნეთ, პოემის ავტორი არა თუ კიცხავს, არამედ ერთგვარად აიდეალებს კიდევაც პროვინციელ გერმანელ ბიურგერთა ცხოვრებას. ამიტომ იყო, რომ ფრ. ენგელსი სააუგო ფაქტად მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ ამ ნაწარმოებში მოცემულია „ბურჟუაზიული იდილია“, რომ მასში გამოდიან მხდალი და კეთილგონიერი პროვინციელები[1].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. V, стр. 148.

პოემის ძირითად ნაკლად ის გარემოება უნდა იქნას მიჩნეული, რომ იგი გვიჩვენებს მწერლის უარყოფით დამოკიდებულებას საფრანგეთის რევოლუციისადმი, ცალმხრივად ხატავს ამ მოვლენას, მის გამოძახილს გერმანიაში. ნაწარმოები საფრანგეთის რევოლუციის მსხვერპლად ხატავს რაინის მხარის გერმანელ მოსახლეობას, ხატავს „გლეხებს, რომელნიც, ცრუმორწმუნეობრივი შიშით შეპყრობილნი, გაურბიან სანკულოტების არმიას და ომის საშინელებას [1].

ნაწარმოების ავტორი ანგარიშს უწევს და მოხდენილად იყენებს თავის პოემაში იმ ფაქტს, რომ საფრანგეთის რევოლუციის იდეებმა გერმანიაში პოვა ცხოველი გამოძახილი, პირველ რიგში კი, საფრანგეთის მოსაზღვრე მხარეებში. პოემის გმირის, გადმოხვეწილი მოხუცის საშუალებით იგი გვამცნობს თუ როგორი იმედებით შეჰყურებდნენ გერმანელები საფრანგეთს, როგორი აღტაცებით შეეგებნენ ისინი საფრანგეთის რევოლუციას. „ვის შეუძლია უარყოფა იმისა, გადმოგვცემს მოხუცი, რომ მაღლა აღიმართა გული..., როცა ახალი მზის პირველი სხივი გამოჩნდა, როცა გვესმა აღმაფრთოვანებელი თავისუფლების, ქებული თანასწორობის შესახებ“... „ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, როგორც მეზობლები, ვიყავით ცხოველად აგზნებული“. მოხუცი ყვება თუ როგორ აღტაცებით შეხვდნენ შეიარაღებულ ფრანგებს გერმანელები, როგორ ნერგავდა რევოლუციური არმია მეგობრობისა და თავისუფლების გრძნობას. იგი აღნიშნავს, თუ როგორ მოიცვა სიხარულმა გერმანელი მოსახლეობა, როგორ გაეხსნა ენა ყველას თავიანთი სასიხარულო განცდების გადმოსაცემად.

რევოლუციის იდეებით გერმანელთა აღფრთოვანების გადმოცემა პოემის ავტორს იმისათვის სჭირდება, რომ დახატოს მისი სრულიად საწინააღმდეგო განწყობილება, სახელდობრ, საფრანგეთის რევოლუციით გამოწვეული იმედგაცრუება. მსაგვსად თავისი ზოგიერთი სხვა ნაწარმოებისა, მწერალი აქაც იმ აზრს ანვითარებს, რომ ხალხის აღფთოვანებას საფრანგეთის რევოლუციის პირველ ეტაპზე ცვლის მისი სასტიკი იმედგაცრუება იმ პერიოდში, როცა ხელისუფლებას სათავეში იაკობინელები ჩაუდგნენ. მწერალი ლაპარაკობს იმ ომზე, რომელიც წამოიწყეს პრუსია-ავსტრიელმა

---

[1] ი ქ ვ ე. პოემის ეს ძირეული ხასიათის ნაკლოვანება მაინც არ იძლევა საფუძველს გავიზიაროთ მ. შ ა გ ი ნ ი ა ნ ი ს აზრი ამ ნაწარმოების შესახებ, ჩავთვალოთ იგი გოეთეს ყველაზე უფრო რეაქციული ხასიათის ნაწარმოებად (М. Ш а г и н я н. Гете. Москва-Ленинград, 1950, გვ. 21).

ინტერვენტებმა და რომელიც მათი დამარცხებით დამთავრდა. საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის ამ პერიოდს გოეთე შიშითა და ძრწოლით აღიქვამდა. ეს შიში გამოსჭვივის „ანალებში“, როცა მწერალი იაკობინელთა დიქტატურის, კერძოდ რობესპიერის „უხამსობათა“ შესახებ ლაპარაკობს, და იგი გამოსჭვივის აგრეთვე „ჰერმანსა და დოროთეაში“.

პოემის გმირი, გადმოხვეწილთა მეთაური მოგვითხრობს, თუ როგორ ჩამოწვა ღრუბლები პოლიტიკური ცხოვრების ჰორიზონტზე, როგორ წამოჰყო თავი პირადი სარგებლობის მიღებას მოწყურებულმა „წამხდარმა მოდგმამ“ („ein verderbtes Geschlecht“), როგორ დაერიენენ ისინი ერთიმეორეს, დაიმონეს ხალხები, როგორ ყოველდღიურად იზრდებოდა და აუტანელი ხდებოდა ხალხის გაჭირვება („allzugross war die Not und täglich wuchs die Bedrückung“) და როგორ იძულებული გახდნენ გერმანელები ხელი მოეკიდნათ იარაღისათვის, რათა დაეცვათ თავიანთი ღირსება. ამ ბრძოლაში თავი ისახელა დოროთეამ.

ძნელი არ არის მიხვედრა, რომ გოეთეს მხედველობაში აქვს ის პერიოდი, როცა რევოლუციური საფრანგეთის ჯარები ინტერვენტების დამარცხების შემდეგ შემოიჭრენ გერმანიაში. მწერალმა იცოდა, რომ მასები დიდ იმედებს ამყარებდნენ საფრანგეთის რევოლუციაზე, მაგრამ ამ უკანასკნელმა, ფიქრობს იგი, არ გაამართლა დაპირებები, ერთი ტირანი მეორე ტირანმა შეცვალა, ბრბო თვით იქცა თავისი თავის მტრად და მოუხმო ახალ ტირანებს, რომელთაც ხელი მიჰყვეს ძარცვა-გლეჯას, მკვლელობას, ფეხქვეშ გათელეს თავიანთი დაპირებებიც. ასე ფიქრობდა გოეთე საფრანგეთის რევოლუციის შესახებ და ეს აზრი გაატარა მან აგრეთვე „ჰერმანსა და დოროთეაში“. ამ ნაწარმოებში აღნიშნულია, თუ რა იმედგაცრუება და ტანჯვა მოუტანა გერმანელებს საფრანგეთის რევოლუციამ, მაგრამ თუ მან რაიმე დადებითი შედეგი მოუტანა, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მიუხედავად იმისა, რომ პოემის სიუჟეტურ ინტრიგად ჰერმანისა და დოროთეას სიყვარულია წარმოდგენილი, ეს პოემა მაინც გოეთეს პოლიტიკური სატირების რიგს მიეკუთვნება.

საფრანგეთის რევოლუციისადმი თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას გოეთე გამოთქვამს არა მხოლოდ ნაწარმოებში გამოყვანილი მოხუცის სახით, არამედ დოროთეას სახითაც. ამ ქალს იგი ხატავს როგორც ფაქიზი გულისა და სპეტაკი გრძნობის ადამიანს, სათნოსა და გულკეთილს, გაჭირვებულთა გამკითხავს. დოროთეა გამოირჩევა თავისი უბრალოებითა და მორალური სიწმინდით,

პირდაპირ და შეუნიღბავად რომ გამოთქვამს თავის სიმპათია-ანტიპათიებს. ამასთანავე მწერალი მას წარმოგვიდგენს, როგორც მებრძოლი სულის ადამიანს, მედგრად რომ იბრძვის გაჭირვებაში ჩავარდნილთა დასაცავად. იგი მამაცურად იცავს თავის მეზობელ ქალებს მოძალადე ფრანგ ჯარისკაცთაგან, მოიპოვებს რა ამის შედეგად საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას. დოროთეას შემკობა ასეთი მებრძოლი სულით, აშკარაა, მწერალს დასჭირდა იმისათვის, რომ შუქი მოჰფენოდა რევოლუციონერთა მოქმედებას, რესპუბლიკური არმიის ნამდვილ მიზნებსა და მისწრაფებებს. დოროთეას ამგვარი თვისებებით შემკობას, მწერალი სავსებით გამართლებულად თვლიდა და კატეგორიულად უარყოფდა ამ მიმართებით ჰუმბოლტის საყვედურს [1].

გოეთეს კრიტიკული დამოკიდებულება საფრანგეთის რევოლუციისადმი, ამ უკანასკნელისადმი თავისი პროგრამის დაპირისპირება ნათლად ჩანს ნაწარმოების ფინალში, სადაც მწერალი ალაპარაკებს თავისი ოჯახისა და ქვეყნის მომავალზე დოროთეას სიყვარულში გამარჯვებულ ჰერმანს. ეს ყმაწვილი გამოთქვამს რწმენას, რომ დოროთეას მეოხეობით იგი შექმნის მტკიცე და კომპაქტურ ოჯახს, გამოთქვამს თავის შეხედულებას საფრანგეთის ამბებზე, იმათზე, ვინც უპირისპირდება იმ მშვიდ ბიურგერულ იდილიას, რომელსაც დაუსადგურნია ამ კეთილგონიერ პროვინციელთა ოჯახში.

ჰერმანის უკანასკნელი სიტყვები გაისმის, როგორც აპოთეოზი მშვიდი ბიურგერული ცხოვრებისა, ამასთანავე, როგორც მოწოდება იმ ძალების წინააღმდეგ ბრძოლისა, რომლებიც გერმანიას გარედან ემუქრება. მას სავსებით გამართლებულად მიაჩნია ცხოვრების ტვირთის თანამზიდველად აირჩიოს ასეთი მამაცური სულის მქონე და ამასთანავე მშვიდი დიასახლისი—დოროთეა, რადგან ეს კავშირი იკვრება იმ დროს, როცა საერთოდ ირყევა არსებულის საფუძვლები („bei der allgemeinen Erschütterung"). იგი იმ აზრისაა, რომ გერმანელები მტკიცედ უნდა მიეკედლონ არსებულს, თავიანთ საკუთრებას, ღმერთს, კანონსა და ადათ-წესებს, რომ მათ სრულიად არ შეფერით ჩაებან ისეთ საშინელ მოძრაობაში, როგორსაც ადგილი აქვს საფრანგეთში („nicht dem Deutschen geziemt es, die fürchterliche Bewegung fortzuleiten").

იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას ეს ბიურგერული სიმშვიდე, არსებული სოციალური წყობა, ჰერმანს საჭიროდ მიაჩნია

---

[1] Eckermann, II, 61.

მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში იარაღის ასხმა მტრისათვის პასუხის გასაცემად. საზოგადოების თვითოეული წევრის ამგვარ განწყობაში ხედავს ჰერმანი საზოგადოებრივი მშვიდობის შენარჩუნების გარანტიას. ეკვი არ არის, რომ ესაა თვალსაზრისი რევოლუციით დაშინებული გერმანელი ბიურგერისა, რომელიც მტკიცედ მიკედლებია არსებულს, უარყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის მნიშვნელობას და საჭიროების შემთხვევაში მზადაა ხელი გაუწოდოს თავისი ქვეყნის რეაქციულ ძალებს რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საფრანგეთის რევოლუციით დაზარალებულთა სურათს გვიხატავს გოეთე 1795 წელს დაწერილ ნოველაში—„გ ე რ მ ა ნ ე ლ ლ ტ ო ლ ვ ი ლ თ ა ს ა უ ბ ა რ ი“. განსხვავებით „ჰერმან და დოროთეასგან“, ამ ნაწარმოებში საფრანგეთის რევოლუციით დაზარალებულად, ლტოლვილებად გვევლინებიან მეტწილად პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლები, ბარონები, გრაფები და სხვა. ნაწარმოების ავტორი ისწრაფვის შექმნას გადმოხვეწილთა გარშემო თანაგრძნობის ატმოსფერო, შეუნელებელი ინტერესი მათი ცხოვრების გაცნობისა. ასეთივე განწყობილება შეინიშნება „ჰერმან და დოროთეაშიაც“, რომელშიაც ამ მიზანს ემსახურება პოემის არა მხოლოდ შინაარსობლივი მხარე, არამედ ვერსიფიკაციაც. სიმშვიდე, უდარდელობა, გვერდზე განდგომა მღელვარე პოლიტიკური ამბებისაგან და ამის გასწვრივ ასეთივე მშვიდ, ეპიკურ ფორმებში დასურათება ათასობით ადამიანების ტრაგედიისა—აი რა ახასიათებს მოხსენებულ პოემას.

მწერალს მიზნად დაუსახავს ისე ჩართოს სიუჟეტის განვითარებაში ბრძოლის სურათები, პოლიტიკური ამბები, რომ არ დაირღვეს მთავარ მოქმედ პირთა მდორე და მყუდრო ცხოვრება, არ გამოვიდნენ ისინი წონასწორობიდან. ხატავს რამკვეთრ კონტრასტებს, ერთის მხრივ ტრაგიკულ თავგადასავალს ათასობით ადამიანებისა, მეორეს მხრივ კი პროვინციულ შეზღუდულობაში ჩაფლულ გერმანელ ბიურგერებს, მწერალს არა მხოლოდ ის სურს, რომ გული აუჩუყოს მკითხველს, აგრძნობინოს მას რევოლუციის შედეგები, არამედ ისიც, რომ გახაზოს პოლიტიკური მოვლენებისადმი გულგრილი დამოკიდებულების მნიშვნელობა. ასეთ მიზანს ისახავს გოეთე როგორც „ჰერმანსა და დოროთეაში“, ისე „გერმანელ ლტოლვილთა საუბარში“.

ამ ნაწარმოებში ვეცნობით მაღალი სოციალური წრის სხვადასხვა წარმომადგენლებს, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციამ

დააზარალა. ამ პოლიტიკურ ლტოლვილთა შორის არ არის შეხედულებათა სრული ერთიანობა მომხდარ დიდ პოლიტიკურ ამბებზე, საფრანგეთის რევოლუციაზე. ერთნი, რომელთა წარმომადგენლადაც რომანში გამოყვანილია საიდუმლო მრჩეველი, არიან არსებული სოციალური რეჟიმის თავგამოდებული დამცველნი, სასტიკი მოწინააღმდეგენი იაკობინელებისა, ამასთანავე, იმ გერმანელებისა, რომლებიც მათ მსგავსად არ აიყარნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან, ვარაუდობდნენ რა, რომ ფრანგი იაკობინელების გულს მოიგებდნენ. საიდუმლო მრჩეველი იმ აზრისაა, რომ გერმანელი კლუბისტები ვერ მოიგებენ გულს ფრანგი იაკობინელებისა, რომ ეს უკანასკნელები ბოლოს და ბოლოს გამოიყენებენ გილიოტინას თავიანთი გერმანელი მომხრეების წინააღმდეგაც. საიდუმლო მრჩეველის პერსონაჟით მწერალი გვაძლევს საფრანგეთის რევოლუციისადმი ღრმა მძულვარებით გამსჭვალული გერმანელი არისტოკრატის, ჩაგვრის სისტემის თავგამოდებული დამცველის ცოცხალ მხატვრულ სახეს. იგი მხატვრული სახეა იმ რეაქციონერებისა, რომლებსაც ხელი არ აუღიათ აქტიურ აგრესიულ პოლიტიკაზე, რევოლუციის, განმანათლებლური იდეების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაზე, შოვინიზმის, ხალხთა შორის შუღლის ჩამოგდების პოლიტიკაზე.

ამ პირწავარდნილი რეაქციონერის გასწვრივ მწერალი ხატავს მხატვრულ სახეს მაღალი სოციალური წრიდან გამოსული ახალგაზრდა კარლისა, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის იდეებითაა მოხიბლული. თუმცა კარლიც რევოლუციონერებს გამოეჭცა, მაგრამ ირკვევა, რომ იდეურად იგი იმ ადამიანებთანაა დაკავშირებული, რომლებიც რევოლუციური არმიის შემოტევის დროს დარჩნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში, როგორც მათი თანამგრძნობნი. გოეთეს ამ შემთხვევაშიაც არ ღალატობს ისტორიული მოვლენების მართალი გაგების ალღო, იგი მშვენივრად ამჩნევს, რომ საფრანგეთის რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში გერმანულ პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელთა შორისაც არ არის თვალსაზრისთა ერთიანობა, რომ რევოლუციის იდეები გავლენას ახდენს ამ კლასის ზოგიერთ წევრზედაც. დიდი გერმანელი მწერლის ამ ისტორიული ალღოს ილუსტრაციას წარმოადგენს კარლის პერსონაჟი. მაგრამ გოეთეს ისტორიული ალღო განსაკუთრებით იმაში ჩანს, რომ კარლის მხრივ რევოლუციური იდეებით ამგვარ გატაცებას იგი არ მიიჩნევს ამ ახალგაზრდას ნამდვილ რევოლუციურობად, აშკარად გვაგრძნობინებს,

რომ ეს არ არის რევოლუციის არსში ჩახედვა, არამედ მხოლოდ გარეგნული გატაცებაა.

მწერალი ხატავს კარლს, რომელიც თითქოს შეტრფის რევოლუციის იდეებს, ილაშქრებს ტირანების წინააღმდეგ და ამართლებს იაკობინელთა ტერორს. კარლის პერსონაჟი ნაწარმოებში გამოყენებულია იმისათვის, რომ მკვეთრად გამოვლინდეს პერსონაჟი საიდუმლო მრჩეველისა, შეიქმნას ილუზია, რომ საიდუმლო მრჩეველისა და კარლის სახით ამ ლტოლვილ გერმანელ დიდგვარიანთა შორის ერთიმეორეს უპირისპირდება ორი დიამეტრულად მოპირისპირე თვალსაზრისი—რევოლუციური და რეაქციული. მწერალი იმის აღიარებისაკენ იხრება, რომ საფრანგეთის რევოლუციასა და კერძოდ იაკობინელებზე პრივილეგირებული კლასის ყველა წარმომადგენელს შეუძლებელია ჰქონოდა ისეთი აგრესიულ-რეაქციული თვალსაზრისი, როგორიც გააჩნია საიდუმლო მრჩეველს, რომ რევოლუციით კარლის გატაცებასაც თავისი საფუძველი ჰქონდა. მწერალი შენიშნავს, რომ ბრძოლა იაკობინელების წინააღმდეგ გერმანელ დიდგვარიანთა გაგებაში უოგივდებოდა ბრძოლას ფრანგების წინააღმდეგ, სიძულვილი იაკობინელებისა—ფრანგების სიძულვილს. და მიუხედავად იმისა, რომ ფრანგების შემოსევის შედეგად კარლმა დაკარგა მთელი თავისი ქონება, იგი, გადმოგვცემს მწერალი, არ შეიძლებოდა იმ ერის მტერი გამხდარიყო, რომელიც ქვეყანას ამოდენა სარგებლის მოტანას პირდებოდა.

ეს ასეა, კარლის გატაცებას რევოლუციური იდეებით, ნაციონალისტური შეზღუდულობის უარყოფას მწერალი სავსებით გამართლებულად მიიჩნევს, მაგრამ ამასთანავე იგი კარლს არ წარმოგვიდგენს როგორც ჭეშმარიტ რევოლუციონერს.

კარლსა და საიდუმლო მრჩეველს შორის თითქოს პრინციპული წინააღმდეგობაა, მაგრამ სინამდვილეში კი მათ შორის არ არის ასეთი წინააღმდეგობა. არსებითად კარლი არ არის რევოლუციის შეგნებული თანამგზავრი, არამედ ისეთთა რიგებს ეკუთვნის, რომლებიც ადვილად შეიძლება წამოეგონ შნაპსებისა და ბრემების ანკესს. მან არ იცის რევოლუციის გამომწვევი მიზეზები, რევოლუციის პროგრესული მნიშვნელობა. იგი რევოლუციას შეტრფის, მაგრამ კავშირი არ აქვს გაწყვეტილი იმ სოციალურ ძალებთან, რომლებსაც რევოლუცია ებრძოდა. ამიტომაა, რომ იგი ლტოლვილთა შორისაა, ე. ი. იმ ადამიანთა შორის, რომლებიც რევოლუციას უპირისპირდებიან. რომ იგი შეგნებული რევოლუციონერი იყოს, მაშინ ბუნებრივია, იგი იმათ ბანაკში იქნებო-

და, ვისაც თავს ესხმის საიდუმლო მრჩეველი, ე. ი. იმ კლუბისტთა შორის, რომლებსაც იგი წარმატებას უსურვებს. რომ კარლი არ არის ნამდვილი რევოლუციონერი, ამაში განსაკუთრებით ის გარემოება გვარწმუნებს, რომ იგი ბოლოს და ბოლოს ხელს იღებს მკაცრ პოლიტიკურ პაექრობაზე, პირობას სდებს, რომ გამოსწორდება.

ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ გოეთეს თვალსაზრისს არ გამოხატავს არც საიდუმლო მრჩეველის კონსერვატიულ-რეაქციული შეხედულებები და არც კარლის მოჩვენებითი რადიკალიზმი. მწერალი თვლის, რომ ერთიც და მეორეც ცალმხრივობას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა არ არის. გოეთე ფიქრობს, რომ საზოგადოების ინტერესები მოითხოვს ქვეყნის შიგნით არა წინააღმდეგობათა გამწვავებას არსებული სოციალური წყობის დამცველთა ბანაკში, არამედ ძალთა კონსოლიდაციას, საერთო ენის გამონახვას ბწვაკე სოციალურ-პოლიტიკური საკითხების შეფასებისას. იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს სიმშვიდე ქვეყნის შიგნით, თავიდან იქნეს აცილებული დიდი სოციალური ქარტეხილები საჭიროა შინაგახი სიმშვიდის, ზომიერების, პოლიტიკური ცხოვრებისადმი გულგრილი დამოკიდებულების შენარჩუნება.

ამ თვალსაზრისის გამოთქმას მწერალი აკისრებს ბარონის ცოლს, რომელიც ცდილობს შეიტანოს ლტოლვილთა ბანაკი სიმშვიდისა და ერთიანობის განწყობილება, შეარიგოს ერთი შეხედვით თითქოს სხვადასხვა თვალსაზრისის დამცველი საიდუმლო მრჩეველი და კარლი. იმით შეშფოთებული, რომ კარლთან პოლემიკის შედეგად გაჯავრებულმა საიდუმლო მრჩეველმა გადაწყვიტა განშორდეს ბარონის ცოლის სახლთან დაახლოვებულ დიდგვარიანთა წრეს, ქალი ზემოქმედობს თავის ნათესავ კარლზე, რათა იგი წავიდეს დათმობაზე, ხელი აიღოს ძაცრ პოლემიკაზე. ბარონის ცოლის შეშფოთებას საფუძვლად იმის შეგნება უძევს, რომ პოლიტიკურ საკითხებზე გამართულ პოლემიკას არ მოაქვს კარგი ნაყოფი იმ ბანაკისათვის, რომელსაც ეს ლტოლვილები წარმოადგენენ, საერთოდ ქვეყნისათვის. გამოსავალი მხოლოდ ერთია: უნდა აღსდგეს ადრინდელი სიმშვიდე და ჰარმონია, რაც ამ ლტოლვილთა შორის აქამდე იყო, უნდა ყველამ თავი შეიკავოს მკვეთრი გამოთქმებისაგან, ისეთ თემაზე საუბრისაგან, რომელსაც მათ შორის შეუძლია წარმოშვას განხეთქილება. ეს ის თვალსაზრისია, რომელსაც გოეთე რევოლუციის თემაზე აქამდე დაწერილ სხვა მრავალ ნაწარმოებში გამოთქვამდა. ამ ნაწარმოებში ნაჩვენებია ბარონის ცოლის

ლიბერალური პროგრამის გამარჯვება, ლტოლვილთა შორის ადრინდელი სიმშვიდისა და ურთიერთგაგების განწყობილების აღდგენა, ნაცვლად პოლიტიკურ თემებზე საუბრისა თავის შეკცევა ზღაპრების მოყოლით.

საფრანგეთის რევოლუციის თემაზე დაწერილ გოეთეს ნაწარმოებთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტრაგედიას „ობერკირხელი ქალი". დარჩენილია ამ ნაწარმოების მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტი, მაგრამ შემონახულია სქემა, რომლის მიხედვით შესაძლებელი ხდება შევიმუშაოთ ზოგადი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ ხაზებში ფიქრობდა მწერალი თავისი მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელებას. ეს ნაწარმოები იდეურად უკავშირდება გოეთეს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც დაიწერა საფრანგეთის რევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშ. მასში აღწერილია ის ეპოქა, როცა გამარჯვებული იაკობინელები იწევენ აღმოსავლეთისაკენ და როცა საფრანგეთის მოსაზღვრე მხარის გერმანელი დიდგვარიანები იძულებული ხდებიან აიყარონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან. ამდენად, თემატურად და იდეურადაც „ობერკირხელი ქალი" უკავშირდება „ჰერმანსა და დოროთეას" და „გერმანელ ლტოლვილთა საუბარს". თვით ნაწარმოების მთავარი გმირი—მარიამი, რამდენადაც მის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ დრამის შემორჩენილი ნაწყვეტისა და გაგრძელების სქემის მიხედვით, მოფიქრებულია იმავე პლანში, რომელშიაც მოფიქრებულია დოროთეას მხატვრული სახე. ასევე, ფრაგმენტში გამოყვანილ გრაფის მეუღლისა და ბარონის მხატვრულ სახეებს ყავთ შესატყვისი დასახელებული ნოველის მხატვრულ სახეთა გალერეაში.

როგორც დრამის შემონახული ნაწყვეტები, ისე მისი გაგრძელების სქემა გვიჩვენებს თუ როგორი შეშფოთება, შიში და ძრწოლა გამოუწვევია საფრანგეთის რევოლუციას გერმანელ არისტოკრატებში, როგორი სისასტიკით და თანმიმდევრობით ნერგავენ რევოლუციის იდეებს იაკობინელები. ცხადი ხდება, რომ ნაწარმოების ავტორი ერთობ ღრმად განიცდის მომხდარ ამბებს, რევოლუციონერების შემოტევაში ხედავს მრისხანე საშიშროებას საზოგადოებისათვის.

როგორც „ჰერმანსა და დოროთეასა" და „გერმანელ ლტოლვილთა საუბარში", ისე „ობერკირხელ ქალში" გოეთე ცხადყოფს, რომ საფრანგეთის რევოლუციის იდეებმა გერმანიაშიც დიდი გამოძახილი ჰპოვა, რომ გერმანელები პირველ პერიოდში იმედითა და აღფრთოვანებით შესცქეროდნენ რევოლუციას, მოელოდნენ

მისგან საყოველთაო ბედნიერების განხორციელებას. გოეთე გვიჩვენებს, რომ რევოლუციით გატაცებას იჩენდნენ არა მხოლოდ ხალხთა ფართო ფენები, არამედ, თავისებურად, თვით პრივილეგირებული წოდების ზოგიერთი წარმომადგენელიც. იაკობინელთა იდეებით მოხიბლული ასეთი გერმანელი არისტოკრატის ტიპი გვიჩვენა მწერალმა „გერმანელ ლტოლვილთა საუბარში“ კარლის სახით და ასეთივე მხატვრული სახეების შექმნას ცდილა იგი „ობერკირხელ ქალშიაც“ ახალგაზრდა ბარონისა და მანერის პერსონაჟებით. ირკვევა, რომ ორივე ეს ახალგაზრდა დასაწყის საფეხურზე გარკვეულ იმედებს ამყარებდა საფრანგეთის რევოლუციაზე. განსხვავება ბარონ-მანერსა და კარლს შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველთათვის რევოლუციით ეს გატაცება განვლილ საფეხურს წარმოადგენს, რაც არ ითქმის კარლის შესახებ. კარლი, მართალია, უჯერის ბარონის მეუღლეს, პირობას დებს, რომ მეტად აღარ გააჯავრებს რევოლუციის მიერ დევნილ არისტოკრატებს თავისი მკვეთრი პოლიტიკური სიტყვებით, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მან უარი თქვა თავის შეხედულებებზე. და ეს მაშინ, როცა ბარონის შესახებ იგივე არ შეიძლება ითქვას. ირკვევა, რომ რევოლუციისადმი მის დამოკიდებულებაში სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს არა საზოგადოების კეთილდღეობის ინტერესი, არამედ პირადი, ეგოისტური მოსაზრებები. ცხადი ხდება, რომ ფრანგ რევოლუციონერებს იგი მიემხრო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი მდგომარეობა სტაბილური გაეხადა, გადაერჩინა თავისი და ზოგიერთი სხვა დიდგვარიანის ქონება. გულის სიღრმეში კი იგი ყოველთვის რევოლუციური მასის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო და ასეთი რჩება იგი იმ მომენტშიაც, როცა რევოლუციის გამარჯვებულმა არმიამ ფეხი შემოდგა გერმანიის ტერიტორიაზე. ირკვევა, რომ ბარონი მოხერხებულად ნიღბავდა თავის თავს მაშინ, როცა თითქოს რევოლუციონერებს ეხმარებოდა და ასევე ცდილობს შენიღბოს თავისი თავი ახლაც, კონტრრევოლუციის დამარცხების მომენტშიაც. გოეთე მას გვიხატავს როგორც ფლიდსა და არამყარს, ადამიანს, რომლისთვისაც არ არსებობს პრინციპები, რომელიც ქამელეონივით იცვლება, ხელმძღვანელობს რა ერთადერთი მოსაზრებით, შეინარჩუნოს თავისი მდგომარეობა ამ მღელვარე ეპოქაში, ემლიქვნელოს რევოლუციონერებს, რათა შეუქმნას მათ მთაბეჭდილება, რომ იგი მათი თანამგზავრია.

ფრაგმენტის დასაწყისშივე ნათელი ხდება რევოლუციის ამ ვითომდა მხარდამჭერის ნამდვილი ბუნება, მისი ანგარებითი მის-

წრაფებები. იგი მოდის გრაფის მეუღლესთან, რათა მიიღოს ამ უკანასკნელის თანხმობა, შეირთოს ცოლად დაბალი წრიდან გამოსული მარიანი, აღზრდილი გრაფის მეუღლის მიერ. ის თვითონვე ხდის ფარდას თავის განზრახვებს, იმ მოტივებს, რომლებმაც განაპირობეს მისი ეს გადაწყვეტილება. იგი აღნიშნავს, რომ მისი გადაწყვეტილება ნაკარნახევია უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური მოსაზრებით, აღნიშნავს, რომ ქორწინება სოციალურად ერთიმეორისაგან განსხვავებული წრის ადამიანებს შორის დღევანდელ პირობებში ისევე საჭირო და სასურველია, როგორც საჭირო და სასურველი იყო იგი წინათ მდიდართა წრიდან გამოსულ ქალვაჟთა შორის. ირკვევა, რომ, გადაუწყვეტია რა მარიამის ცოლად შერთვა, ბარონს მიზნად დაუსახავს აღადგინოს ხალხში, იაკობინელებში თავისი შეღალული ავტორიტეტი. „განა მას (ე. ი. მარიამს—გ. ხ.) პატივს არ სცემს ყველა მისი წოდების ხალხი, ეკითხება ბარონი თავის თანამოსაუბრეებს, და როცა მე მას ხელს ვუწვდი, იმ ხალხს ვუახლოვდები, ვისაც ახლა ძალაუფლება უპყრია, განა არ შემიძლია დაიმედებული ვიყო, რომ ამ კავშირისაგან მშვენიერ სარგებელს ვნახავ ჩემთვისაც და ჩემიანებისთვისაც?“

რაც შეეხება მანერს, მის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში ისიც ისევე ანგარებითი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდეს, როგორც ბარონი. ირკვევა, რომ დასაწყის საფეხურზე ისიც ისევე იმედით შეჰყურებდა საფრანგეთის რევოლუციას, როგორც შეჰყურებდნენ მას რაინის მარცხენა ნაპირას მცხოვრები გერმანელები. მაგრამ ამბების შემდეგმა განვითარებამ მასშიაც ისეთივე შეშფოთება და იმედგაცრუება გამოიწვია, როგორიც „ჰერმანსა და დოროთეაში“ გამოყვანილ ლტოლვილებში. ეჭვი არ არის, რომ მანერის მხატვრული სახე მწერალს იმავე პლანში აქვს მოფიქრებული, რომელშიაც მოფიქრებული აქვს მხატვრული სახე „ჰერმანსა და დოროთეაში“ გამოყვანილი მოხუცი მსაჯულისა. მსგავსად ამ უკანასკნელისა, მანერიც მწვავედ აღიქვამს მომხდარ ამბებს, რევოლუციის ადრინდელი გატაცებიდან მის დაუზოგავ კრიტიკაზე გადადის. მაგრამ ამ გარემოებას, შეხედულებათა შეცვლას იგი არ მიყავს იმ გზით, რა გზითაც წავიდა ბარონი. ის ინარჩუნებს სიდინჯეს, წინდახედულებასა და სიკეთის გრძნობას. ამ კრიტიკულ ეპოქაში იგი არ ეძლევა სასოწარკვეთას ისე, როგორც არ ეძლევიან სასოწარკვეთას ანალოგიურ შემთხვევაში რევოლუციის თემაზე დაწერილი გოეთეს სხვა ნაწარმოებთა გმირები. იგი ეძებს გამოსავალს

და ასეთს ნახულობს არა ბარონის უპრინციპობასა და თაღლითობაში, არა კარლის სანტიმენტალურ გულჩათხრობილობაში, არამედ ადამიანთა ერთიანობაში, კომპაქტურობაში. ეს ის გამოსავალია, რომელსაც აყენებს გოეთე საფრანგეთის რევოლუციის და აგრეთვე სხვა თემაზე დაწერილ ბევრ თავის ნაწარმოებში. მანერი გადაჭრით უარყოფს ბარონის გეგმას არა იმიტომ, რომ მარიამი უყვარს და ქალსაც ის უყვარს, არამედ იმიტომ, რომ იგი არ მიაჩნია სწორ გეგმად, ისეთად, რომელიც რეალურ გამოსავალზე მიუთითებდეს.

უპირისპირებს რა ერთიმეორეს ბარონსა და მანერს, მათი სახით კი რევოლუციონერების წინაშე მლიქვნელს და მათ კრიტიკოსს, გოეთე არაორაზროვნად იხრება მეორის მხარეს, გვიჩვენებს მის გულწრფელობასა და პირდაპირობას, საბოლოო ჯამში, მის იდეურ გამარჯვებას. ნაწარმოების გაგრძელების სქემიდან ვხედავთ, რომ ბარონი მოხერხებულად იყენებს შექმნილ კონიუნქტურას თავის სასარგებლოდ, ახერხებს გადაიბიროს თავის მხარეზე გრაფის მეუღლე, აიძულოს ეს უკანასკნელი ზეიმოქმედოს მის მიერ აღზრდილ მარიამზე, რათა გაჰყვეს იგი ცოლად ბარონს. ასეთივე ხრიკებით ახერხებს იგი მიიღოს ოფიციალური თანხმობა მარიამისა, რომელიც მას ბოლოს და ბოლოს დაღუპვამდე მიჰყავს. ნაწარმოების ფინალში, როცა ტყვედქმნილი მარიამის დახსნაზე მიდგება საქმე, ისახება პერსპექტივა ბარონის ზნეობრივი გარდაქმნისა, საერთო გასაჭირის წინაშე შინაგან ძალთა კონსოლიდაციისა, მაგრამ ასეთი პერსპექტივა ისახება მხოლოდ, რეალურად კი იგი არ ხორციელდება, რადგან იაკობინელთა რისხვა ბარონსაც თავს ატყდება.

ბარონის მხატვრული სახის დახატვით მწერალი აკრიტიკებს იმათ, ვინც საფრანგეთის რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში პირადი, ანგარებითი მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, მაგრამ იგი კრიტიკის საგნად იხდის თვით რევოლუციასაც, იმ მეთოდებს, რომელთაც იაკობინელები მიმართავდნენ. მწერალი მუქ ფერებში წარმოგვიდგენს ბარონს არა იმიტომ, რომ იგი რევოლუციონერების წინააღმდეგაა განწყობილი, არამედ იმიტომ, რომ მის მოქმედებაში ვერ ხედავს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამებას, პირველის დაქვემდებარებას მეორისადმი. რაც შეეხება რევოლუციონერთა წინააღმდეგ ბარონის გამოსვლას, მას მწერალი კრიტიკის საგნად არ იხდის, გვიჩვენებს, რომ ამ პუნქტში ბარონსა, გრაფის მეუღლესა და მანერს შორის აზრთა სრული ერთიანობაა. არც ერთი მათგანი არ აყენებს ეჭვის ქვეშ იმ დებულებას, რომ

საფრანგეთის რევოლუციამ საზოგადოებას თავს დაატეხა უბედურება. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გრაფის მეუღლესა და მანერს, მომეტებულად ამ უკანასკნელს, არ მიაჩნიათ გამართლებული თავიანთი შეხედულებების იმგვარი შენიღბვა, იმგვარი ტაქტიკური სელები, როგორსაც ბარონი მიმართავს. ამიტომაა, რომ ისინი, განსაკუთრებით მანერი, აკრიტიკებენ ბარონის გეგმას, მის განზრახვას შენიღბოს მარიამზე ქორწინებით თავისი ლეგიტიმისტური შეხედულებანი.

რევოლუციური მასის კრიტიკის ფონზე გამართლება ეძლევა ნაწარმოებში მარიამის მხატვრულ სახეს. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია როგორც ფიზიკური და მორალური მშვენიერების განსახიერება. ტრაგიკული მდგომარეობა ამ ელზასელი გლეხის ქალის, „ელზასის მარგალიტისა“, როგორც მას იაკობინელები უწოდებენ, იმაში მდგომარეობს, რომ მის გამოყენებას თავიანთი მიზნებისათვის ცდილობს არა მხოლოდ ბარონი, არამედ იაკობინელებიც. ეს უკანასკნელები გადაწყვეტენ მონაწილეობა მიიღებინონ რევოლუციურ დღესასწაულში ობერკირხელ მარიამს, როგორც გონების ღვთაებას, წარმოათქმევინონ მას მათ მიერ წინასწარ დაწერილი საპროგრამო სიტყვები, ატარონ იგი ქალაქიდან ქალაქში. ამ ტრაგიკული მდგომარეობიდან მარიამისათვის მხოლოდ ერთი გამოსავალი ისახება, შეწყვიტოს იმ როლის თამაში, რასაც მისგან იაკობინელები მოითხოვენ და პირდაპირ გამოთქვას ის, რაც გულს აწვევს, თავისი ანტიიაკობინური შეხედულებები.

ასეთ ხაზებში ფიქრობდა მწერალი, რამდენადაც ამის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ დარჩენილი სქემის მიხედვით, ობერკირხელი ქალის ტრაგედიის წარმართვას. ირკვევა, რომ მის მიზანს შეადგენდა არა მხოლოდ არისტოკრატების, არამედ რესპუბლიკელების კრიტიკაც, საქმის ვითარების ისე დასახვა, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მხარე უკიდურეს ცალმხრიობას იჩენს. დასაყრდენს ამ კრიტიკულ ეპოქაში მწერალი ხედავს იმ ადამიანებში, რომლებიც წინა პლანზე აყენებენ საერთო, საზოგადოებრივ ინტერესებს, ადამიანთა შორის მორიგებასა და კომპაქტურობას ქადაგებენ. ასეთად გვევლინება თვით ობერკირხელი მარიამი და მანერი. მარიამს მსხვერპლად მიაქვს თავისი თავი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას უშიშროება მისი აღმზრდელი გრაფის მეუღლისა, თამაშობს იმ როლს, რისთვისაც იგი სრულიად არ თვლის თავს მოწოდებულად. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამ ქალში იმარჯვებს შინაგანი ხმა და იგი ისევე გაბედულად იბრძვის თავისი

პრინციპებისათვის, როგორც იბრძოდა დოროთეა მაშინ, როცა შეიარაღებული ჯარისკაცები უკუაქცია.

ეჭვი არ არის, გოეთეს დრამაში ეს მომენტი განსაკუთრებული მნიშვნელობის იქნებოდა, რადგან აქ იყო მოსახერხებელი ამ ქალის დიდი შესაძლებლობის გამოვლენა, მისი ნამდვილი ბუნების ჩვენება, მაგრამ სამწუხაროდ მწერლის ეს მხატვრული ჩანაფიქრი განუხორციელებელი რჩება. სინიდისმა, შინაგანმა ხმამ და პრინციპებმა საბოლოოდ გაიმარჯვეს ობერკირხელ ქალიშვილში, გამოათქმევინეს მას ის, რასაც ფიქრობდა. იგი, მართალია, დაიღუპა პრინციპებისათვის ბრძოლაში, ისე როგორც დაიღუპა მანერიც, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ, მწერლის გაგებით, დაიღუპა ის საქმე, რომლისთვისაც მარიამი იბრძოდა. რომ ამ რყევისა და დუღილის ეპოქაში არავითარი დასაყრდენი არ დარჩენილა.

საფრანგეთის რევოლუციის თემაზე დაწერილ აქამდე განხილულ ნაწარმოებებს იდეურად უკავშირდება დაუმთავრებელი დრამა „უკანონო ქალი". როგორც თვითონ აღნიშნავდა, ამ ნაწარმოების დაწერის სურვილი გოეთეს დაებადა სტეფანე ბურბონ კონტის მემუარების გაცნობის შედეგად. მწერალი აღნიშნავს, რომ განზრახული ჰქონდა შეექმნა ისეთი ნაწარმოები, რომელშიაც სათანადო სერიოზულობით გადმოცემული იქნებოდა ყოველივე ის, რაც მას სხვადასხვა დროს ეფიქრა და დაეწერა საფრანგეთის რევოლუციის შესახებ.

ამ დრამით გოეთეს განუზრახავს გააერთიანოს და გარკვეული სიმწყობრე შეიტანოს იმ შეხედულებებში, რომლებიც მას აქამდე დაბადებოდა თუ გამოეთქვა კიდევაც წერილობით საფრანგეთის რევოლუციაზე. მწერალი გვანიშნებს, რომ ამ ნაწარმოებში იგი საკითხს გაცილებით უფრო ფართო პლანში იხილავს, მოქმედების უფრო გაშლილ ტილოს იღებს, ვიდრე აქამდე აეღო. მართალია, თავის პოლიტიკურ შეხედულებებში გარკვეული სიმწყობრის შეტანის ტენდენციას მწერალი რევოლუციის შესახებ აქამდე დაწერილ ნაწარმოებებშიაც იჩენდა, მაგრამ ამ ნაწარმოებებში იგი მაინც შედარებით პატარა, კონკრეტული საკითხებით იფარგლებოდა.*.

---

* გოეთეს შემოქმედების, მისი მხატვრული მეთოდის ეს მხარე კარგად შენიშნა ჰ. ჰაინემ. იგი ფიქრობს, რომ გოეთე, განსხვავებით შილერისაგან, არის ოსტატი ცალკეულის, კონკრეტულის დახატვისა (იხ. ამ საკითხზე ჩვენი ნაშრომი—„ჰაინრიხ ჰაინეს ხელოვნების თეორია", თბილისი, 1956, გვ. 311—315).

დრამაში „უკანონო ქალი“ მწერალი მიზნად ისახავს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის არა ერთი რომელიმე მხარის ჩვენებას, ვთქვათ იმის ჩვენებას, თუ როგორი გამოძახილი პოვა მან გერმანიაში, არამედ ამ რევოლუციის ისტორიის, მისი არსის ჩვენებას. მწერალი გვიხატავს თუ როგორ მზადდებოდა საფრანგეთში ნიადაგი რევოლუციისათვის, როგორ გაჩაღდა პარტიათა შორის ბრძოლა, შეირყა მეფის ხელისუფლების ძლიერება. გოეთემ ვერ შეძლო ეჩვენებინა შემდეგი განვითარება პოლიტიკური ამბებისა, თვით რევოლუციის სურათი; მან არჩია ნაწარმოები დაუმთავრებელი დაეტოვებინა. ნაწარმოებში დახატულია უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური ვითარება, რევოლუციური ქარიშხლის ზღურბლთან მისული ქვეყანა და, ნაცვლად იმისა, რომ ამის იქითაც დარჩენილიყო ერთგული ისტორიული ამბების გადმოცემის თავისი საკუთარი გეგმისა, მან წარმართა მოქმედების განვითარება სხვა გზით. თუ აქამდე მწერალი ამბების გადმოცემაში მიყვებოდა ისტორიულ ფაქტებს, ახლა, როცა გადამწყვეტი ბრძოლები, უშუალო რევოლუცია იწყებოდა, მან საჭიროდ ჩათვალა გადაეხვია წერის რეალისტური გზიდან, საჭიროდ ჩათვალა რევოლუციის წინა დღის საფრანგეთის ისტორიაში დაენახა ისეთი ძალები, რომლებსაც, მისი აზრით, შეეძლებოდა აღედგინა დარღვეული ჰარმონია, დაეხატა იდეალური ადამიანები, რომლებიც არსებულის ხელუხლებლად დატოვების საფუძველზე შექმნიდნენ ადამიანთა შორის იმ იდეალურ დამოკიდებულებას, რასაც შესაძლებლად თვლიდა ბიურგერული შეზღუდულობისაგან თავდაუღწეველი გოეთე.

გოეთეს ამ შეხედულების დამცველად ნაწარმოებში გამოდის ჰერცოგის უკანონო ქალი ევგენია, რომელიც ღრმად შეძრწუნებულია იმით, რომ პოლიტიკური ატმოსფერო ერთობ დამძიმებულია, რომ სამეფო ხელისუფლებას აშკარა საფრთხე მოელის. იგი ყოველ ღონეს ხმარობს გაამტკიცოს ტახტის მდგომარეობა, დააკავშიროს მეფესთან ის ადამიანები, რომლებიც მას ასე თუ ისე განუდგნენ. თავის აშკარა მონარქისტულ-სერვილისტურ შეხედულებებს ევგენია აკავშირებს ჰუმანიური შეხედულებების ქადაგებასთან, ზრუნვასთან, რომ ადამიანთა შორის დამყარდეს „წმინდა ადამიანური“ დამოკიდებულება.

მწერალს უნდოდა მოეცა საფრანგეთის რევოლუციის ეპოქის მართალი სურათი. ირკვევა, რომ მის განზრახვაში არ შედიოდა ამბის გადმოცემის შეწყვეტა იქ, რასაც ადგილი აქვს დრამაში, არამედ, ჩვენება ამბის შემდეგი განვითარებისაც, თვით რევოლუციური გადატრიალების და ამ უკანასკნელის შედეგებისა. დარ-

ჩენილია ნაწარმოების გაგრძელების სქემა, საიდანაც აშკარა ხდება თუ როგორ ფიქრობდა მწერალი დრამის კონფლიქტის გადაწყვეტას. სქემაში ლაპარაკია საზოგადოების გარკვეული წრეების ინტრიგების, ძალმომრეობისა და განცხრომის მოყვარეობის შესახებ; ამას მოსდევს აღნიშვნა რევოლუციური მასების გაბატონებისა, მათი დიქტატორული მმართველობისა, მერყევი ელემენტების განდევნისა და წინააღმდეგობათა დათრგუნვისა. ეპეი არ არის, ამით მწერალს სურს იმ ამბების გადმოცემა, რასაც ადგილი ჰქონდა იაკობინური დიქტატურის დროს, იაკობინური ტერორის სურათის დახატვა. შემდეგ სქემაში ლაპარაკია აჯანყებულთა ე. წ. გამათანაბრებელი ტენდენციის, მოწინააღმდეგე პარტიის დაშლისა და განადგურების შესახებ. ამბების განვითარების ამ ფონზე სქემაში ლაპარაკია ევგენიასა და მსაჯულის შესახებ, რომლებიც ოცნებობენ უკეთეს მერმისზე, იმუშავებენ პარტიათა შეერთების, ჰარმონიული საზოგადოების შექმნის გეგმას. სქემაში, მაგალითად, ასეთი პუნქტი გვხვდება: „იმედი როგორც ეს იყო რევოლუციის დასაწყისში..... საერთო აღწერილობა, გაერთიანების იმედი".

როგორც ვხედავთ, ამ ნაწარმოებშიაც გოეთე საფრანგეთის რევოლუციისადმი ისეთივე კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს, როგორსაც ვხედავთ რევოლუციის შესახებ აქამდე დაწერილ ნაწარმოებში, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ აქ საკითხი უფრო ფართო ასპექტშია მოფიქრებული და, ნაწილობრივ, გადაწყვეტილიც. მწერალს ამ ნაწარმოებით უნდოდა მოეცა გაშლილი სურათი იმ ნაკლოვანებებისა, რომელთაც ხედავდა საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში და ამასთანავე ეჩვენებინა მომავლის პერსპექტივა, საზოგადოებრივი განვითარების იმ გზის მართებულობა, რომელსაც იგი აყენებდა; მაგრამ აღსანიშნავია, რომ როცა მან სცადა თავისი ჩანაფიქრის მხატვრული განხორციელება, იგი დადგა გადაულახავი დაბრკოლების წინაშე, მან ვერ შეძლო თავისი ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება, ვერ გახდა ბურჟუაზიული რევოლუციის გადაჭრით უარმყოფელი, მედგარი დამცველი იმ უტოპიური პროგრამისა, რომლის დამცველადაც მან ჰერცოგის ქალი, ევგენია გამოიყვანა.

წერის მართალი მანერა, დიდი რეალისტის ალღო ცხადს ხდიდა გოეთესათვის, რომ ამ დრამაში იგი იდგა არარეალისტურ პოზიციაზე, რომ ნაცვლად რეალასტური გმირებისა მას აბსტრაქტული, უტრირებული მხატვრული სახეები გამოუვიდა. საფიქრებელია, რომ ამიტომ არჩია მწერალმა წერტილი დაესვა იქ, სა-

დაც უნდა დაწყებულიყო მისი შემოქმედებითი მარცხი, არჩია ნაწარმოები ფრაგმენტული სახით დაეტოვებინა.

ის გარემოება, რომ მწერალმა „უკანონო ქალი" დაუმთავრებელი დატოვა, არ წარმოადგენს შემთხვევით მოვლენას, დამახასიათებელს რევოლუციის თემაზე დაწერილი მხოლოდ ამ ნაწარმოებისათვის. იგი არ წარმოადგენს შემთხვევით მოვლენას იმიტომ, რომ მას აქვს საფუძველი თვით მწერლის მსოფლმხედველობაში, ქვეყნის საზოგადოებრივ განვითარებაში. ამ ფაქტში ნათლად ჩანს ბურჟუაზიული რევოლუციისადმი გოეთეს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, ამ რევოლუციაში არა მხოლოდ უარყოფითი, არამედ დადებითი მხარეების დანახვაც.

თავისთავად ცხადია, წინამდებარე შრომის ამ თავში, რომელიც მიზნად ისახავს უჩვენოს ბურჟუაზიული რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების ერთი მხარე, რევოლუციისადმი მისი კრიტიკული დამოკიდებულება, შეუძლებელია საბოლოოდ გაირკვეს, თუ რატომ დადგა დიდი რეალისტი გოეთე ამ ნაწარმოებში ალტერნატივის წინაშე—მიეყვანა თუ არა ბოლომდე თავისი მხატვრული ჩანაფიქრი, რატომ დასტოვა მან ეს დრამა, მსგავსად ანალოგიურ თემაზე დაწერილი რიგი სხვა ნაწარმოებისა, დაუმთავრებელი. შრომის მომდევნო თავში, რომელშიაც ნაჩვენები იქნება რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების მეორე მხარე, პოზიტური დამოკიდებულება, ასევე ნაჩვენები იქნება გოეთეს სოციალურ-პოლიტიკური მრწამსის მთლიანი სურათი, ეს საკითხი უფრო ნათელი გახდება. ამჯერად მხოლოდ ისაა აღსანიშნავი, რომ რევოლუციის თემაზე დაწერილ იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც გოეთემ აქამდე შექმნა, „უკანონო ქალს" არ შეაქვს რაიმე დისონანსი, მასშიაც ნათლად ჩანს ბურჟუაზიული რევოლუციით შეშინებული, საზოგადოების განვითარების რევოლუციური გზის უარმყოფელი მწერალი. თვით ის ფაქტიც, რომ რევოლუციის კრიტიკაში „უკანონო ქალის" ავტორი გადაულახავი დაბრკოლების წინაშე დადგა, რომ მასში ნათლად იჩინა თავი წინააღმდეგობრიობამ, რევოლუციისადმი პოზიტურმა დამოკიდებულებამაც, არ წარმოადგენს გამონაკლისს, დამახასიათებელს მხოლოდ ამ ნაწარმოებისათვის, არამედ იგი, მეტად თუ ნაკლებად, დამახასიათებელია რევოლუციის თემაზე დაწერილი სხვა, როგორც მხატვრული, ისე კრიტიკული ნაწარმოებებისთვისაც.

საფრანგეთის რევოლუციისადმი გოეთეს კრიტიკულ დამოკიდებულებას შუქს ფენს აგრეთვე პოემა „რ ა ი ნ ე კ ე მ ე ლ ა", რომელშიაც დამუშავებულია ძველი ფოლკლორული მოტივი მელას მო-

ხერხებისა და გაიძვერობის შესახებ. იმთავითვე ჯანსაღი საწყისის შემცველ ამ ფოლკლორულ მასალაში გოეთემ შეიტანა ახალი გაგება, ჩაბერა მას თანადროულობის სული. მწერალმა მიზნად დაისახა გამოეყენებინა ეს ტრადიციული მოტივი ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ თავისი შეხედულებების გამოსათქმელად. ანტიტირანული განწყობილებების გასწვრივ ნაწარმოებში ნათლად შეინიშნება სატირა იმათ წინააღმდეგ, ვინც ტირანიას ებრძვის, სატირა რევოლუციონერებზე. მხეცთა მბრძანებლის—ლომისა და მისი ამალის სახით მწერალი ხატავს ფეოდალური არისტოკრატიის დაცემისა და გადაგვარების, მათი დაბნეულობისა და გონებრივი სიჩლუნგის მოხდენილ სურათს. მას სურს უჩვენოს თუ რა საფრთხე მარხია საზოგადოების ჯანსაღი განვითარებისათვის მმართველი კლასის ამგვარ დაცემაში, როგორ ამზადებს იგი ნიადაგს საზოგადოებრივი ანარქიისათვის და გზას უხსნის ისტორიის არენაზე დემაგოგებისა და ავანტიურისტების გამოსვლას. ასეთ დემაგოგად და ავანტიურისტად მწერალს გამოყავს მელა, რომელიც სარგებლობს შექმნილი კონიუნქტურით და, თავისუფლებისა და ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებს ამოფარებული, თავის პირად, ბილწ მიზნებს ანხორციელებს.

შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი, ვინც ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე გამოვიდნენ, გოეთეს მიაჩნია არა თავისუფლებისა და სამართლიანობის, ღარიბი ხალხის ინტერესების დამცველებად, არამედ მატყუარებად, ცბიერებად და ეგოისტებად, რომელთაც იგი მელას მხატვრული სახის დახატვით ამათრახებს. რამდენად მართებულად შეიძლება ჩაითვალოს გოეთეს შესახებ ამგვარი მსჯელობა, მასთან რევოლუციური მასის და საერთოდ რევოლუციონერებისადმი ამგვარი დამოკიდებულების დანახვა? რომ ამ საკითხზე პასუხი გაიცეს ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ გოეთეს შეხედულებები საზოგადოების განვითარებაზე, ისტორიის მამოძრავებელ ძალაზე.

გოეთე ხედავდა, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარებას ობიექტიური კანონები განსაზღვრავს. ბუნების ახსნის დარგში მატერიალიზმის ნიადაგზე მდგომი მწერლისათვის უცხო იყო საზოგადოებრივი მოვლენების ახსნისადმი თეოლოგიური მიდგომა. მწერლისათვის აშკარა იყო, რომ საზოგადოების განვითარებას განსაზღვრავს ქვეყნის სამეურნეო, საწარმოო ძალების განვითარება. ახალ ეპოქაში გოეთე ერთი პირველთაგანია, ვისაც კარგად ესმოდა საწარმოო ძალთა განვითარების როლი, ვინც დიდ ყუ-

რადღებას აქცევდა მოწინავე ტექნიკის განვითარებას, სამეურნეო ცხოვრებაში გაუმჯობესებული მანქანების დანერგვას. ცნობილია თუ როგორ თავგამოდებით შრომობდა გოეთე იმისათვის, რომ ბოლო მოღებოდა გერმანიის ფეოდალურ დაქუცმაცებას, განვითარებულიყო ერთიმეორისაგან გათიშულ ფეოდალურ სამთავროებს შორის კავშირი, აღებმიცემობა, გაყვანილიყო და გაუმჯობესებულიყო გზები, შემოღებულიყო მთელს გერმანიაში ერთიანი ზომაწონის ერთეული, აგრეთვე პროგრესული საშემოსავლო გადასახადი. ცნობილია თუ როგორ დადებით შეფასებას აძლევდა მწერალი კაცობრიობის ისტორიისათვის ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ორთქლის მანქანის გამოგონება და დანერგვა წარმოებაში, როგორ ესალმებოდა იგი არხების გაჭრის პროექტებს სხვადასხვა მატერიკების ერთიმეორესთან დასაკავშირებლად, ორთქლმავალი გემების გამოჩენას მდინარე რაინზე, ნაცვლად იალქნიანი გემებისა, მოპოვებითი და დამუშავებითი მრეწველობის განვითარებას.

გოეთეს ნაწერებში ჩანს მოაზროვნე, რომელიც ადამიანთა ისტორიას უცქერის, როგორც შედეგს თვით ადამიანის მოქმედებისა, რომელიც საზოგადოებრივი მოვლენების ახსნაში ადგილს არ ტოვებს ღვთაებისათვის. ფრიდრიხ ენგელსი აღნიშნავს, რომ გოეთეს არ იზიდავდა ღვთაება, რომ მისთვის მთავარი იყო ადამიანური [1], რაც უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ ბუნების მკვლევარ გოეთეზე, არამედ გოეთეზე როგორც სოციალური მოვლენების მკვლევარზე.

გოეთე დარწმუნებულია, რომ ისტორიის შემქმნელი არის თვითონ ადამიანი, რომ ისტორია არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც განგების ძალის გამომჟღავნება. მწერალს მიაჩნია, რომ ადამიანის ცხოვრება არ არის მოწყობილი ისე, როგორც ეს ადამიანთა უმრავლესობის სურვილებს შეესაბამება, რომ იდეალსა და სინამდვილეს შორის მკვეთრი კოლიზიაა, მაგრამ მიაჩნია, რომ ამგვარი კოლიზიის არსებობაში ბრალი მიუძღვის თვით ადამიანებს, რომ იგი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც განგების მიერ ადამიანისათვის თავზე დატეხილი რისხვა.

დასმული საკითხის განასერში მნიშვნელოვანია მწერალთან არა მხოლოდ იმის ცხადყოფა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება არაა მოწყობილი ადამიანთა უმრავლესობის სურვილის შესაბამისად, არამედ იმისიც, რომ ადამიანი არის აქტიური ფიგურა ის-

---

[1] Marx-Engels über Kunst und Literatur, 126.

ტორიისა. ადამიანთა აქტიურ როლს თავისი ისტორიის შექმნაში გოეთე ხედავს არა მხოლოდ წარსულ ეპოქებში, არამედ თანადროულობაშიაც. იმუშავებს რა სოციალური ცხოვრების გაუმჯობესების პროექტს, გოეთე, ბუნებრივია, იმ წანამძღვრიდან გამოდის, რომ თავისი ცხოვრების გაუმჯობესებაში მთავარი როლი თვით ადამიანმა უნდა ითამაშოს.

მართალია, გოეთე დროდადრო, განსაკუთრებით ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ მსჯელობისას, როგორც ამას ქვეეით ვნახავთ, რევოლუციურ განვითარებას უპირისპირებს მშვიდობიან განვითარებას, პოლიტიკური ცხოვრებით გატაცებას—პოლიტიკური ინდიფერენტიზმის ქადაგებას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი ქვიეტიზმის მქადაგებლად გვევლინება, როგორც ეს ჰ. ჰაინეს მიაჩნია. საქმის ვითარება ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ, გოეთეს აზრით, საზოგადოების განვითარება მოწინავე ადამიანთა მიერ დასახული მიზნისაკენ წარიმართება თავისთავად, თვით ადამიანთა მონაწილეობის გარეშე, არამედ ისე, რომ ამისათვის საჭირო არ იქნება მძაფრი სოციალური ბრძოლები.

გოეთეს, როგორც სოციალური მოვლენების მკვლევარის, პროგრესულობა დანახული უნდა იქნას იმ ფაქტში, რომ იგი ამჩნევს მისი დროის საზოგადოებაში სოციალური საკითხების გამწვავებას, ხედავს საზოგადოების ერთ პოლიუსზე სიმდიდრეს, მეორე პოლიუსზე სიღარიბეს. პოეტისათვის აშკარა იყო, რომ ხალხის დიდი ნაწილი ცხოვრობს სიღარიბეში, ხოლო სიღარიბე კი, მისი აზრით, უდიდესი სატანჯველია. ლექსში—„Schatzgräber“ გოეთე წერს:

„Armut ist die grösste Plage,
Reichtum ist das höchste Gut“.

სიღარიბე, მატერიალური სიდუხჭირე, აი რა ამოძრავებს, მწერლის აზრით, ხალხს, იძულებულს ხდის მას აღმართოს არსებულის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა, მონაწილეობა მიიღოს იმ მოძრაობაში, რომელიც არსებულის შეცვლას ისახავს მიზნად, გაჰყვეს იმათ, ვინც მას ამ ქვეყნად სამართლიანობის განხორციელებას პირდება. ებმება რა პოლიტიკურ მოძრაობაში, ხალხი ცდილობს გააუმჯობესოს თავისი ნივთიერი მდგომარეობა, იშოვოს ლუკმა-პური.

„Warum treibt sich das Volk so, und schreit?
Es will sich ernähren,
Kinder zeugen und die nähren so gut es vermag.
Merke dir, Reisender, das, und tue zu Hause desgleichen!

Weiter bringt es kein Mensch, stell'er sich wie er auch will".

ეს მართალია, გოეთე ხედავს სამართლიანობას ღარიბი ხალხის პოლიტიკურ გამოსვლებში, მაგრამ ეს მას არ აძლევს საფუძველს ყველა შემთხვევაში გაამართლოს რევოლუციური მასის მოქმედება, არსებულის წინააღმდეგ მისი პოლიტიკური გამოსვლა. მწერლის ასეთ შეხედულებას რევოლუციურ მასაზე საფუძვლად უდევს მის მიერ ამ უკანასკნელის მცდარი შეფასება. გოეთე ფიქრობს, რომ რევოლუციური მასა, ე. წ. უმრავლესობა, ერთობ ჭრელი შემადგენლობისაა, რომ იგი შედგება ძლიერი მეთაურებისაგან, გაიძვერებისაგან, რომლებსაც გააჩნიათ უნარი შეეგუონ მოძრაობას, სუსტებისაგან, რომელნიც ასიმილირდებიან, და მასისაგან, რომელიც მიჩანჩალებს მათ უკან და სრულიად არ გაეგება თუ რა სურს. ფრ. ენგელსი მკვეთრად აკრიტიკებდა გოეთეს მიერ რევოლუციური უმრავლესობის ამგვარ გაგებას, უწოდებდა მას ობივატელის ტიპიურ შეხედულებას, რომელიც „თავის გაუნათლებლობითა და სიბეცით შესაძლებელი იყო აღმოცენებულიყო მხოლოდ გერმანული ჯუჯაკაცური სახელმწიფოს ტერიტორიაზე"[1].

როგორც თავის ადგილას ვუჩვენებთ, რევოლუციური მასის ამგვარი, საფუძველშივე მცდარი გაგებიდან არამც და არამც არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ გოეთეს საერთოდ ძაგს რევოლუციური მასა, ხალხი, რომ იგი იმსახურებს იმ მძიმე ბრალდებას, რომელიც მას სიცოცხლეშივე წაუყენეს, ბრალდებას ხალხის სიძულვილისა. რათა ჩამოიშოროს ამგვარი ბრალდება, ცხადყოს, რომ არ არის ხალხის მოძულე, გოეთე ცდილობს განასხვავოს ერთიმეორისაგან მასისა და ხალხის ცნება. მას გაუმართლებლად მიაჩნია, რომ მასის (Pöbel) წინააღმდეგ მისი გალაშქრება შეფასდეს როგორც ხალხის წინააღმდეგ გალაშქრება. უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტი, რომელსაც აყენებს გოეთე თავის დასაცავად, ასეთად არ გამოდგება და არამც თუ შუქს ფენს საკითხის ამ მხარეს, არამედ კიდევ უფრო აბუნდოვანებს მას. ცხადია, იმის დასამტკიცებლად, რომ სწორი არ არის გოეთეს ბრალი დავდოთ ხალხის სიძულვილში, საბუთად არ გამოდგება ის, რასაც აყენებს მწერალი, სახელდობრ, ხალხისა და რევოლუციური მასის ცნების დაპირისპირება. აღსანიშნავია ისიც, რომ რევოლუციური მასის შეფასებაში მწერალი ამ შემთხვევაში არა თუ ნა-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, V, 149.

ბიჯს დგამს წინ საკითხის სწორი გაგებისაკენ, არამედ კიდეე უფრო აღრმავებს თავის ადრინდელ მცდარ შეხედულებას. იგი წერს, რომ არ არის მეგობარი რევოლუციური ხალხის („Freilich bin ich kein Freund des revolutionären Pöbels"), რომელსაც „ძარცვასა, მკვლელობასა და წვაზე უჭირავს თვალი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ყალბი აბრის უკან ფარავს ჩვეულებრივ ეგოისტურ მიზნებს"[1].

ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ გოეთეს კრიტიკულ გამოსვლას რევოლუციური მასის წინააღმდეგ საფუძვლად უდევს იმის დაშვება, რომ ამ მასის მოქმედებაში ტონის მიმცემია არა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა, არამედ უმცირესობა, მატყუარები და დემაგოგები, რომლებიც თავიანთი ანგარებითი მიზნით ხელმძღვანელობენ. რაც შეეხება თვით ძირითად მასას რევოლუციური უმრავლესობისა, გოეთე მის მოქმედებაში ვერ ხედავს რაიმე ამორალურსა და ცბიერულს. ამიტომ საფუძველში იგი, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, არ უარყოფს მას, არ სძულს იგი, არამედ დიდად შესტკივა გული მის ტანჯულ მდგომარეობაზე.

მწერალს საუგოდ მხოლოდ ის მიაჩნია, რომ, მისი მცდარი შეხედულებით, მასას, როგორც რევოლუციური უმრავლესობის ძირითად ნაწილს, არ გააჩნია საკუთარი მისწრაფებები, იდეალები, რომ იგი უკან მიჩანჩალებს იმათ, ვინც ტონს აძლევს მოძრაობას. ამ მასას არ აქვს, ფიქრობს გოეთე, თავისი მკვეთრად გამოხატული მიზნები და მისწრაფებები და, რაც კიდეე უფრო ყურადსაღებია, იგი მას არც არასოდეს ექნება.

„Nie gelingt es der Menge, für sich zu wollen, wir wissen's;
doch wer versteht für uns alle zu wollen, er zeig's".

ამგვარად, რევოლუციური უმრავლესობის ძირითად ნაწილს, გაუთვითცნობიერებელ მასას, გოეთეს აზრით, არ აქვს საკუთარი იდეალები, იგი შეუგნებლად მიყვება მატყუარებს, ფიქრობს, რომ ამ გზით გაიუმჯობესებს თავის საარსებო პირობებს, იწყებს ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ გოეთეს ებრალება ღარიბები, ებრალება ისინი, რომლებიც საარსებო საშუალებათა მოპოვებისათვის იბრძვიან, იგი მაინც უარყოფითადაა განწყობილი იმ ფაქტისადმი, რომ ეს მასა არსებულის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლას იწყებს. რევოლუციური მასის მისწრაფებებში გოეთე ხედავს სამართლიანობის ელემენტებს, მაგრამ იგი არ

---

[1] Eckermann, III, 61—62.

დგება რევოლუციური უმრავლესობის პოზიციაზე, არ იზიარებს იმ ხერხებსა და საშუალებებს, რომლებსაც იყენებს ეს უმრავლესობა.

მწერალი ფიქრობს, რომ საჭიროა არა მასის გაგებამდე ჩამოქვეითება, არამედ თვით ამ მასის ამაღლება ე. წ. „წმინდა ადამიანურობამდე". ერთ ადგილას პოეტი წერს:

Wer dem Publikum dient, ist ein armes Tier.

Es quält sich ab, niemand bedankt sich dafür".

სხვა ადგილას მწერალი ამ აზრს კიდევ უფრო გარკვევით გამოთქვამს. „უდიდესი პატივისცემა, რომელსაც კი შეიძლება ავტორი იჩენდეს თავისი საზოგადოებისადმი, წერს გოეთე, იმაში მდგომარეობს, რომ იგი მას არასოდეს არ აწოდებს იმას, რასაც მისგან მოელიან, არამედ—იმას, რასაც იგი თვითეულ შემთხვევაში განვითარების საფეხურების მიხედვით სწორად და სასარგებლოდ თვლის". ანალოგიური აზრი აქვს გოეთეს გატარებული რიგ აფორიზმებსა, ანდაზებსა და სხვა სახის ნაწარმოებებში.

მასის აღზრდა, მათი აყვანა „წმინდა ადამიანურობამდე"—აი რას მოითხოვს გოეთე. რატომ სჭირდება მასას ამგვარი აღზრდა, გაკეთილშობილება, რა არის მის მისწრაფებებში ისეთი, რომელიც გოეთეს მიუღებლად მიაჩნია? ის, რომ უმრავლესობის ძირითად მასას, მწერლის აზრით, არ გააჩნია საკუთარი მისწრაფებები, რომ მისი მისწრაფებები დაქვემდებარებულია სხვების მისწრაფებებისადმი. მართალია, რევოლუციურ მოძრაობაში უმთავრეს ძალას წარმოადგენს მასა, მაგრამ მოძრაობას უძღვება არა ეს უკანასკნელი, არამედ სხვები, რევოლუციის შედეგებს მკის არა ისინი, ვინც რევოლუციაში სისხლი დაღვარა, არამედ ისევ ექსპლოატატორები. მწერალს არ ჰქონდა იმის რწმენა, რომ ტირანიის ნანგრევებზე შეიქმნებოდა უკეთესი წყობილება, ბოლო მოეღებოდა საერთოდ ყოველგვარ ტირანიას.

ასე ფიქრობდა გოეთე რევოლუციური უმრავლესობის შესახებ. მწერალმა დაასკვნა, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციას არ მიჰყავს საზოგადოება აღთქმული ქვეყნისაკენ, რომ რევოლუციის ლოზუნგები—ძმობა, ერთობა, თავისუფლება ცარიელ სიტყვებად იქცა, რომ საფრანგეთი, უპირველეს ყოვლისა პარიზი, გახდა „თავისუფლების მოციქულთა" და ფანტაზიორთა სავარჯიშო მოედანი. მწერალი მკვეთრად ილაშქრებს თავისუფლების ამ „ყალბი მოციქულების" წინაღმდეგ. იგი ფიქრობს, რომ ფანტაზიორებს გაცილებით უფრო მეტი მიმდევარი ჰყავთ, ვიდრე გონიერ ადამიანებს.

Schüler macht sich der Schwärmer genug und rühret die Menge
Wenn der vernünftige Mann einzelne Liebende zählt".

დემაგოგებს, ფიქრობს გოეთე, თავიანთი „სიბრძნე" გააჩნიათ. თავიანთ საქციელს ისინი „ასაბუთებენ" იმის აღნიშვნით, რომ ხალხი ველურია და მოუხეშავი. აი რას ალაპარაკებს მწერალი დემაგოგებს:

„Sage, tun wir nicht recht? Wir müssen den Pöbel betrügen;
Sieh nur, wie ungeschickt, sieh nur, wie wild er sich zeigt".

როგორც აღინიშნა, გოეთეს არ ძაგს საფუძველში რევოლუციური ხალხი („Ich habe gar nichts gegen die Menge"), მათ მისწრაფებებში იგი სამართლიანობასაც ხედავს, მაგრამ, ფიქრობს იგი, რევოლუციური ხალხი, ამხობს რა ერთ ტირანს, არ სპობს საერთოდ ტირანიას, არამედ გზას უკაფავს ახალ ტირანიას.

„Doch kommt sie einmal in Gedränge,
so ruft sie, um den Teufel zu bannen,
Gewiss die Schelme, die Tyrannen".

ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლამ, ამდენად, მწერლის აზრით, სასურველი შედეგი ვერ მოიტანა, ამ ბრძოლით საქმე კიდევ უფრო წახდა („Und wenn man auch den Tyrannen ersticht, ist immer noch viel zu verlieren), კეისარი დაამხვეს, მაგრამ ის კი აღარ იციან თუ როგორ მართონ სამეფო („Sie gönnten Cäsarn das Reich nicht und wussten's nicht zu regieren").

საფრანგეთის რევოლუცია ბევრ საგულისხმო გაკვეთილს იძლევა. ამ რევოლუციის სამწუხარო შედეგებმა უნდა დააფიქროს სახელმწიფოს მეთაურები („Frankreichs traurige Geschick, die Grossen mögen's bedenken"), მაგრამ მან კიდევ უფრო მეტად უნდა დააფიქროს დაბალი ფენები („aber bedenken führwahr sollen es Kleine auch mehr"); ეს იმიტომ, ფიქრობს მწერალი, რომ ახლა, როცა დაემხო პრივილეგირებული წოდების ტირანია, როცა იგი მიწას დაანარცხეს („Große gingen zu Grunde"), გზა გაეხსნა თვით ბრბოს ტირანიას, თვით ბრბო იქცა საკუთარი თავის ტირანად და არ ჩანს ძალა, რომელიც მათ ერთიმეორისაგან დაიცავდა („Doch wer beschütze die Menge gegen die Menge? Da war Menge der Menge Tyrann").

ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ მწერლის ამგვარ მსჯელობას რევოლუციური მასის დიქტატურის შესახებ საფუძვლად უდევს დაკვირვება იაკობინელთა ბატონობაზე, შიში იაკობინური ტერორის წინაშე. გოეთე, რასაკვირველია, არ შორდება ჭეშმარიტებას, როცა საფრანგეთის მესამე წოდებას აფასებს არა როგორც ერთ-

ფეროვან მასას, როცა ფიქრობს, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციას შედეგად არ მოჰყოლია საერთოდ ტირანიის მოსპობა, მაგრამ იგი საფუძველშივე ცდება, როცა რევოლუციური უმრავლესობის ძირითადი ნაწილი გამოჰყავს, როგორც რაღაც ამორფული, საკუთარი მისწრაფებების არმქონე მასა, რომელიც თურმე კუდში მიჩანჩალებს იმათ, ვისაც ანგარებითი მიზნები ამოძრავებს. მწერალი ასევე საფუძველშივე ცდება, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თავისთავსვე ეწინააღმდეგება, როცა იმავე მასაში, რომელსაც იგი ხან ხალხს, ხან კი ბრბოს უწოდებს, ხედავს ტირანულ მისწრაფებებს, როცა საფრანგეთის რევოლუციაში ხედავს ბრბოს ტირანიას თავისი თავის მიმართ.

გოეთეს მსჯელობა საფრანგეთის რევოლუციის შესახებ მოწმობს, რომ მწერალს, მიუხედავად ამ რევოლუციის შესახებ რიგი სწორი შეხედულების გამოთქმისა, ზოგ შემთხვევაში ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის სწორ გაგებასთან დაახლოებისა, ერთობ არასწორი, ბუნდოვანი შეხედულებები აქვს რევოლუციურ მასაზე, თვით რევოლუციური ამბების განვითარებაზე. ნაცვლად იმისა, რომ საფრანგეთის რევოლუციის განვითარებაში დაინახოს წინააღმდეგობის ზრდა მშრომელ ხალხსა და ბურჟუაზიას შორის,'' დაინახოს რევოლუციური მასის ნამდვილი, გულწრფელი სწრაფვა სოციალური სამართლიანობის განხორციელებისადმი, გოეთეს ეს მასა ფაქტიურად გამოყავს ხან როგორც ბურჟუაზიის დანამატი, ხან კი როგორც ახალი ტირანი, საკუთარი თავის მტერი. გოეთეს ძირითადი შეცდომა იმაშია, რომ მას საფრანგეთის რევოლუციის განვითარება, იაკობინელთა გამარჯვება, რევოლუციის ორგულთა წინააღმდეგ ტერორის გამოყენება მიაჩნია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების არევდარევად, ინფლუენციად, ისეთ ვითარებად, როცა ძველი ავტორიტეტები დანგრეულია, მაგრამ ცხოვრება კი არეულ-დარეულია, საზოგადოების წარმართველი ძალა არ ჩანს, როცა გამარჯვებულები ერთიმეორეს დარევიან, ერთიმეორეს ტირანი გამხდარან.

სწორედ იმის წარმოდგენა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება აირევა, რომ „ამგვარი ინფლუენციები" გერმანიაშიაც გავრცელდება, აძლევს მწერალს საფუძველს გამოთქვას შიში არსებულის დანგრევის გამო, უარყოფითი დამოკიდებულება რევოლუციური აქტისადმი. ასეთ შიშს მწერალი თვლის საკმაოდ საფუძვლიანად, პროდუქტიული, „ჭეშმარიტად მშობლიურად მოაზროვნე" ადამიანის ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად წარმოშობილად.

რევოლუციური მასის, რევოლუციური ამბების ამგვარ შეფასებაში ჩანს მთელი სიცხადით გოეთეს მსოფლმხედველობის სუსტი მხარე. მისი ბიურგერული შეზღუდულობა. გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობამ, გერმანიის ბურჟუაზიის „პროვინციულმა შეზღუდულობამ“, გერმანიის ბურჟუაზიისა, რომლის გავლენისაგან თავი ვერ დაუღწევია, არ მისცა საშუალება დიდ გერმანელ მწერალს დაენახა რევოლუციური მასების ნამდვილი როლი, წამყვანი ტენდენციები 90-იანი წლების საფრანგეთის პოლიტიკურ მოძრაობაში. იმის მაგიერ, რომ დაენახა გარკვეული განსხვავება იმ მოთხოვნებს შორის, რომლებსაც აყენებდა საფრანგეთის რევოლუციაში ერთი ხხრივ, მშრომელი ხალხი, მეორე მხრივ კი—ბურჟუაზია, გოეთემ რევოლუციურ ხალხსაც მიაწერა ზოგიერთი ისეთი ნიშანი, რომელსაც იგი ამჩნევდა და აკრიტიკებდა ბურჟუაზიაში.

არ შეიძლება ითქვას, რომ მწერლის შეხედულებამ რევოლუციური მასის შესახებ განიცადა რაიმე ძირეული ცვლილება ისე, როგორც ამის თქმა არ შეიძლება ბურჟუაზიული რევოლუციის გოეთესეული კონცეფციის შესახებ საერთოდ. ცხოვრების უკანასკნელ პერიოდშიაც, იმ დროს, როცა მოწამე იყო ბევრი დიდი მნიშვნელობის მოვლენისა, გოეთე არ იცვლის თავის ადრინდელ შეხედულებას რევოლუციური მასის შესახებ, კვლავინდებურად ანვითარებს იმ მცდარ შეხედულებას, რომელიც მე-18 საუკუნის 90-იან წლებში შეიმუშავა.

რევოლუციური მასის, რევოლუციის ბუნების გაგებას გოეთესთან ორგანულად უკავშირდება ანტაგონისტურ საზოგადოებაში არსებული კლასობრივი ბრძოლის გაგების საკითხი. ცხადია, იმის მტკიცება შეუძლებელია, რომ გოეთემ აღიარა კლასთა ბრძოლის მნიშვნელობა და, მიუხედავად ამისა, უარყო რევოლუციის როლი საზოგადოების განვითარებაში. მაგრამ, იმის უარყოფაც შეუძლებელია, რომ იგი ხედავს საზოგადოების კლასებად დაყოფას, წინააღმდეგობას მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ხედავს გამწვავებას სოციალური საკითხისა, რის ბუნებრივ შედეგადაც მიაჩნია რევოლუცია. მართალია, გოეთეს არ აქვს ნახმარი ცნება—საზოგადოებრივი კლასი, მაგრამ იგი ლაპარაკობს წოდებაზე, საზოგადოების იერარქიულ დაყოფაზე, მდიდრებსა და ღარიბებზე და იმ დაპოკიდებულებაზე, რომელიც მათ შორის არსებობს.

გოეთესათვის ცნობილია თუ როგორ გამოვლინდება კლასთა ბრძოლა, მაგრამ არსი და მნიშვნელობა ამ მოვლენისა მისთვის

ცნობილი არ არის. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ მწერალი არავითარ შინაარსს არ ათავსებს კლასობრივი ბრძოლის გამოვლენის ფორმაში. შეუძლებელია „უკანონო ქალის“ ავტორმა, რომელიც სოლიდარობას უცხადებს ნაწარმოების გმირის სიტყვებს—„Der Schein. was ist er dem das Wesen fehlt? Das Wesen wäre's wenn er nicht erschiene“?—არ იცოდეს, რომ პოლიტიკურ პარტიათა არსებობას და მათ ბრძოლას ანტაგონისტურ საზოგადოებაში გარკვეული შინაარსი აქვს. სხვა საკითხია თუ რამდენად სწორად აქვს მწერალს გაგებული მებრძოლი კლასების, პარტიების არსი.

გოეთე ამჩნევს, რომ საზოგადოება მებრძოლ ნაწილებად, პარტიებადაა დაყოფილი („Die Welt war immer in Parteien geteilt, besonders ist sie es jetzt“). მწერალს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს მომეტებულად ინგლისი და საფრანგეთი, თუმცა მას მხედველობიდან არ ეპარება ისეთი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბებიც, როგორიცაა გამათავისუფლებელი მოძრაობა იმ დროის პოლონეთსა და საბერძნეთში. ინგლისელების შესახებ მწერალი შემდეგს ამბობდა: „ყველა ინგლისელი, როგორც ასეთი, მოკლებულია საჭირო რეფლექსიის უნარს, აბნეული ცხოვრება და პარტიული სული (der Parteigeist) არ აძლევს მათ დამშვიდებული ცხოვრების საშუალებას“ [1].

დაახლოვებით ასეთივე ვითარებას ხედავდა გოეთე ფრანგებთანაც. „ფრანგებს, ამბობდა იგი, აქვთ სული და გონება, მაგრამ მათ არ აქვთ ფუნდამენტი და მოკრძალება. მათთვის ის არის მისაღები, რაც ამ წუთში ემსახურება, რაც მათი პარტიისთვისაა გამოსადეგი. ჩვენ ისინი არასდროს არ გვაქებენ იმისათვის. რომ აღიარონ ჩვენი დამსახურება, არამედ იმისათვის, რომ ჩვენი შეხედულებების მეოხებით თავიანთი პარტიის გაძლიერება შეძლონ“ [2].

მაგრამ რა უდევს საფუძვლად პარტიათა არსებობას და ბრძოლას, გამართლებულია თუ არა პარტიის არსებობა—აი კითხვა, რომელზედაც მწერალს პასუხი უნდა გაეცა. გოეთე ცდილობს ჩაწვდეს იმ მიზეზებს, რომლებიც საფუძვლად უდევს პარტიების წარმოშობას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ პარტიის დაარსება გაუმართლებელია („Jene machen Partei, welch unerlaubtes Beginn“). პარტიები, ფიქრობს მწერალი, არ უწყობს ხელს საზოგადოების კე-

---

[1] Eckermann, I, 150.
[2] ibid, 127.

თილდღეობას. ისინი უმთავრესად იმ ქვეყანაში წარმოიშვება, რომლის მცხოვრებლები თავისში ატარებენ წამხდარ ელემენტს („Verdorbene Elementen"). პარტიების არსებობა ფაქტია, მაგრამ მისი არსებობის გამართლება ნიშნავს ხელი მოაწერო იმ რეპრესიულ ღონისძიებებს, რასაც იაკობინელები ანხორციელებდნენ. პარტიათა კანონიზაცია ნიშნავს შურის, როგორც პასიური უკმაყოფილების, შუღლში, როგორც აქტიურ უკმაყოფილებაში, გადასვლის კანონიზაციას [1].

გოეთეს კი არ სურს შუღლით გაიმსჭვალოს. პარტიების წარმოშობა, მისი აზრით, იმაზე მიგვითითებს, რომ დაიკარგა ხალხის გამაერთიანებელი ძალა და გაივლის მრავალი წელი, ვიდრე ეს განცალკევებული ადამიანები მონახავდნენ დამაკავშირებელ ცენტრს („Vier Jahreszeiten". Goethes Werke, Bd. I—II, Berlin, S. 285).

პარტიათა ბრძოლას, გოეთეს გაგებით, ქვეყანა მიყავს განადგურებისაკენ, იწვევს არსებულის დაღუპვას. ამ აზრს ატარებს მწერალი საფრანგეთის რევოლუციის შესახებ დაწერილ მთელ რიგ ნაწარმოებში. ამიტომაა, რომ დრამა—„აჯანყებულნის" ერთერთი მოქმედი პირი, გრაფის ცოლი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ არ მიიყვანოს საქმე პარტიათა შეჯახებამდე. ასევე იქცევა კომედია „მოქალაქე გენერალში" გამოყვანილი თავადი. განსაკუთრებული სიცხადით პარტიათა ბრძოლის თავიდან აცდენის ეს მისწრაფება მოცემულია დრამაში „უკანონო ქალი". დრამის მოქმედი პირი—ევგენია, რომელიც ტყვეობაში იმყოფება, უხატავს მის დასახმარებლად მოსულ მსაჯულს ქვეყნის შიგნით შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას და განსაკუთრებით მუქად აუწერს იმ საშინელებას, რომელიც შედეგად მოყვება პარტიათა ბრძოლას. იგი ამბობს:

„Der innre Zwist unsicherer Parteien,
der nur in düstern Höhlen sich geneckt,
er bricht vielleicht in Freie bald hervor
und was mich erst als Furcht und Sorg umgeben,
entscheidet sich, indem es mich vernichtet,
und droht Vernichtung aller Welt umher".

ევგენიას სჯერა, რომ ქვეყანას, რომელშიაც დაბრუნების ფიქრი მას არ ასვენებს, პოლიტიკური ბრძოლების შედეგად მოე-

---

[1] Goethes sämtl. Werke, Bd III; Stuttg. u. Tüb., 1853, S. 179.

ლის დიდი განსაცდელი, რომ აღარსად ჩანს ისეთი ძალა, რომელიც მოწოდებული იქნება გააერთიანოს სხვადასხვა პოზიციაზე მდგომი პარტიები. რომ პარტიათა შესახებ გამოთქმული ამგვარი მოსაზრება გოეთესათვის არ წარმოადგენს შემთხვევითი ხასიათის მოვლენას, არამედ დამახასიათებელია მისი მსოფლმხედველობისათვის, ეს ჩანს ამ დრამის გაგრძელების გეგმიდან. ამ უკანასკნელში სხვა პუნქტთა შორის შეტანილია ასეთიც: „მასა ხდება აბსოლუტი, აძევებს მერყევთ, იმორჩილებს წინააღმდეგობის გამწევთ, ადაბლებს მაღალთ, ამაღლებს დაბალთ, რათა ისინი ხელმეორედ დააადაბლოს". აჯანყებულთა მოქმედების დამახასიათებელ ნიშნად გოეთე აქ ითვალისწინებს შემდეგ მომენტს: „ნაძალადევი გათანაბრება, დანგრევა ერთი პარტიისა და სხვა".

როგორც ვხედავთ, გოეთე იმ აზრს ავითარებს, რომ პარტიების შექმნას და ბრძოლას შედეგად მოყვება საზოგადოებრივი ცხოვრების არევ-დარევა, ძალადობა, ხოცვა-ჟლეტა და ნაძალადევი გათანაბრებისადმი სწრაფვა. ამ აზრს ანვითარებს მწერალი აგრეთვე დაუმთავრებელ რომანში—„მ ე გ ა რ ა ს ა ც ო ნ ი ს ვ ა ჟ ე ბ ი ს მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა", რომელშიაც აღწერილია ძმებს შორის უთანხმოება და ბრძოლა. ამ ბრძოლას რომანის ერთი მოქმედი პირი თვლის იმ დროისათვის დამახასიათებელ მოვლენად, ეპოქის ციებცხელებად (Zeitfieber). „ეს არის ბოროტი, გადამდები ავადმყოფობა, ვკითხულობთ რომანში, ავადმყოფობა, რომელიც ჰაერის საშუალებითაც კი ვრცელდება".

საფრანგეთის რევოლუციის თემაზე დაწერილი ნაწარმოებებიდან ცხადი ხდება, რომ გოეთე არ თვლის გამართლებულად პარტიათა ბრძოლას, მიაჩნია, რომ საზოგადოების განვითარება შესაძლებელია წავიდეს სხვა გზით, საზოგადოებრივი ცხოვრების მკვეთრი შერყევის გარეშე. მწერალი საჭიროდ არ ცნობს პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში ჩაბმას, რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარის დაჭერას. მას მიაჩნია, რომ პოლიტიკასის მწერალი ეტანება, რომელსაც არ აქვს საკუთარი სახე დასტილი, ფეხქვეშ მტკიცე ნიადაგი. „ასევე არიან ისეთი ჰირები, ეუბნებოდა გოეთე ეკერმანს, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ხასიათი, რათა მარტოდ გამაგრდნენ. ასეთები მიეკედლებიან ხოლმე, პარტიას, რის შედეგადაც თავს მაგრად გრძნობენ"[1]. ასეთ მწერლად მიაჩნია მას, მაგალითად, თ. კორნერი, ხედავს რა მასში უნარს წეროს ლექსები პოლიტიკურ თემაზე, გამსჭვალოს ისინი

[1] Eckermann, II, 234.

ნაციონალისტური განწყობილებებით. გოეთე გადაჭრით უარს აცხადებს ყალბად გაგებულ პატრიოტულ თემაზე ლექსების წერაზე, მათში სხვა ხალხების სიძულვილის ჩაქსოვაზე. ასეთი ლექსები, ამბობდა გოეთე, არა ჩემი, არამედ თ. კორნერის საქმეაო.

შეუძლებელია ითქვას, რომ გოეთე აბსოლუტურად უარყოფს პოლიტიკის მნიშვნელობას. ცნობილია, რომ იგი დუმილით შეხვდა ნაპოლეონის სიტყვებს—„ბედი არის პოლიტიკა"-ო. მწერალი ცდილობს თვალი გაუსწოროს და შეფასება მისცეს იმ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი აქვს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი მაინც ცხოველ ინტერესს იჩენს მისი დროის დიდი პოლიტიკური ამბებისადმი—საფრანგეთის რევოლუციის, ინგლისის პარლამენტის, ირლანდიის, პოლონეთისა და საბერძნეთის ამბებისადმი. ეს ასეა, მაგრამ პოლიტიკურ ამბებში მონაწილეობას იგი არ თელის ფართო მასების, კერძოდ, პოეტების საქმედ. პოეტებმა, ფიქრობს იგი, უნდა შეინარჩუნონ საკუთარი სახე და არ ჩაებან რაიმე პოლიტიკურ კომბინაციებში, პოლიტიკური პარტიების საქმეში. პოეტმა უნდა შეინარჩუნოს დინჯი, მიუდგომელი და ობიექტური ტონი. იგი ჰაერის მაღალ სივრცეში მონავარდე არწივს უნდა დაემსგავსოს [1].

აქედან იღებს სათავეს გოეთესთან პოლიტიკურ-ტენდენციური პოეზიის წინააღმდეგ მკვეთრი გამოსვლა, რის საფუძველსაც წარმოადგენს მის მიერ პოლიტიკური პარტიების დაარსებისა და ბრძოლის მნიშვნელობის უარყოფა. რადგან პარტიებს, მწერლის აზრით, აარსებენ ცალკე პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ანგარებით და არა საზოგადოებრივი მიზნებით, ამიტომ, ფიქრობს იგი, გამართლებულია ის ზომები, რომლებსაც მიმართავს ხელისუფლება, როცა იგი პოლიტიკურ პოეტებს შემზღუდავ პირობებს უქმნის. ამიტომ იყო, რომ გოეთე ერთგვარად ამართლებდა კიდევაც საფრანგეთში რევოლუციონერთა წინააღმდეგ მიმართულ კანონებს. მწერალი აღნიშნავდა, რომ ფრანგები განვითარების იმ საფეხურზე იმყოფებიან, როცა მათი დაჩაგვრა არავის შეუძლია. ამიტომ ფიქრობდა იგი, რომ შემზღუდავი კანონი კარგად იმოქმედებს ოპოზიციაზე, რადგან შეზღუდვა ბიძგს მისცემს ოპოზიციურ პარტიებს სულიერი გამდიდრებისაკენ. პარტია, ფიქრობს გოეთე, არ შეიძლება იყოს მართალი სწორედ იმიტომ, რომ იგი პარტიაა; მაგრამ, დასძენს მწერალი, ურჩებზე არაპირდაპირი გზით უფრო მეტი გავლენის მოხდენა შეიძლება, ვიდრე პირდაპირი

---

[1] Eckermann, II, 245.

გზით და ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს თავისი მსახურის მაგალითი. ჩემს მსახურს, ამბობს გოეთე, პირდაპირ ვეუბნები— „ივანე, გამხადე ფეხსაცმელი"; ეს მას ესმის, მაგრამ ამხანაგებთან რომ ვარ, მაშინ გადაკრულად ვეტყვი". ამიტომაა თურმე, გოეთეს აზრით, მოსაწონი პრესის თავისუფლების შეზღუდვა[1].

საზოგადოებრივი კლასების, პარტიებისა და პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელობის ასეთი მცდარი გაგებიდან გამოსული, გოეთე ანვითარებდა ასეთივე მცდარ თეორიას პოლიტიკური ცხოვრებისადმი პოეტის, საერთოდ ხელოვნების დამოკიდებულებისა. დგას რა ხელოვნების ძირითადი საკითხების გაგებაში მატერიალიზმის ნიადაგზე, გოეთე, ცხადია, ოდნავადაც არ აყენებს ეჭვის ქვეშ დებულებას, რომ პოეზიის მასალას წარმოადგენს ობიექტური სინამდვილე, რომ ხელოვანი სინამდვილეს უნდა ასახავდეს. მაგრამ, ირკვევა, ყოველგვარი სინამდვილე არ შეიძლება, გოეთეს აზრით, გახდეს მასალა ხელოვნებისა, არამედ ისეთი, რომელიც გაწმენდილია განზრახულობის, ტენდენციურობის მომენტისაგან. თუ ეს პირობა არაა დაცული, მაშინ მწერალს გამორიცხულად მიაჩნია სრულფასიანი მხატვრული ნაწარმოების შექმნა. ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ გოეთეს მხედველობაში აქვს ხელოვნების დამოკიდებულება პოლიტიკისადმი, რომ იგი იმის აღიარებისაკენ იხრება,—ხელოვანი არ უნდა იჩენდეს მასალისადმი პოლიტიკურ-ტენდენციურ დამოკიდებულებას. მართალია, ამბობს ერთ ადგილას გოეთე, ჩვენ დღეს ნაპოლეონთან ერთად გავიძახით, რომ პოლიტიკა არის ბედი, მაგრამ ვუფრთხივართ იმის თქმას, რომ პოლიტიკა პოეზიაა, ანდა იმის თქმას, რომ პოლიტიკა პოეტისათვის გამოსადეგი მასალაა[2].

პოლიტიკური მასალა, ფიქრობს გოეთე, არ შეიძლება გახდეს პოეზიის საგანი. ჭეშმარიტ პოეზიას არ ესაქმება პოლიტიკურ თემასთან და თუ ვინიცობაა პოეტი, რაოდენ დიდი მხატვრული ნიჭის მქონე არ იყოს იგი, ხელს მოჰკიდებს ასეთ თემას, მას გამოუვა მ დ ა რ ე მხატვრული ნაწარმოები. ამ საფუძველშივე მცდარი შეხედულების საილუსტრაციოდ გოეთე ასახელებს თ ო მ ს ო ნ ს, რომელსაც წელიწადის დროთა შესახებ გამოუვიდა მაღალი მხატვრული ოსტატობით შესრულებული ლექსები, მაგრამ—ძალზე მდარე ნაწარმოები თავისუფლების შესახებ[3]. ეს მოხდა არა იმიტომ,

---

[1] ibid., I, 264.

[2] E c k e r m a n n, II, 242.

[3] ibid.

რომ თომსონს არ აქვს სათანადო მხატვრული ნიჭი, არამედ იმიტომ, რომ თვით გადმოსაცემ მასალაშია პოეზიის ნაკლებობა[1].

როცა გოეთე აღნიშნავს, რომ პოეზიას არ უნდა ჰქონდეს საქმე ისეთ მასალასთან, რომელიც განზრახულობის, ტენდენციურობის ბეჭედს ატარებს, ამით მას ხაზი სურს გაუსვას, რომ ჭეშმარიტი პოეტური ქმნილება არ მიიღება ერთეული, ყოველდღიური და განკერძოებული მოვლენებიდან, არამედ ისეთისაგან, რომელიც ატარებს ბეჭედს ზოგადის, მუდმივისა და საკაცობრიოს. პოეზიის თემა არ უნდა შეეხებოდეს ერთ რომელიმე განკერძოებულ კუთხეს, ფაქტს, არამედ უნდა იყოს ზოგადი, საკაცობრიო; ერთეულსა და ყოველდღიურში უნდა გამოვლენილ იქნეს ეს ზოგად-საკაცობრიო. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გახდეს ერთეული ფაქტი, ცალკე ადამიანი თუ ერი ჭეშმარიტი პოეზიის საგანი.

სწორი არ იქნება თუ გოეთეს მსჯელობიდან პოეზიისა და პოლიტიკის დამოკიდებულების შესახებ გავაკეთებთ დასკვნას, რომ პოეტს, გოეთეს აზრით, საერთოდ არ აქვს უფლება წეროს პოლიტიკურ თემაზე. თვით გოეთეს შემოქმედებაში იშვიათად როდი ვხვდებით პოლიტიკურ თემას, მაგრამ ამ რიგის ნაწარმოები, მწერლის აზრით, განსხვავდება ჩვეულებრივ პოლიტიკურ თემაზე დაწერილი ნაწარმოებებისაგან. ჩვეულებრივ პოლიტიკურ პოეტებში გოეთე უმთავრესად მისი დროის ნაციონალისტ მწერლებს გულისხმობდა, რომელთა პოეზია ამავე დროს გარკვეულად პარტიულიც იყო. პოლიტიკური პოეზია კი, რომელსაც აქვს პოეტურის პრეტენზია, გოეთეს აზრით, არ უნდა იყოს ამგვარი ხასიათის მატარებელი. იგი ადამიანებს, მებრძოლ პარტიებს უნდა ზრდიდეს და ამაღლებდეს, აჰყავდეს ისინი ადამიანურის გაგებამდე. ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ გოეთე ლოგიკურ მახვილს პოლიტიკური ბრძოლების, რევოლუციების უარყოფაზე უშვებს.

ამ თვალსაზრისით უდგება გოეთე ბ ერ ა ნ ჟ ე ს პოლიტიკური ლექსების შეფასებას. იგი ცნობად იღებს ეკერმანის აზრს, რომ უფრო მოსაწონია ბერანჟეს ის ლექსები, რომლებიც ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს თემაზეა დაწერილი, ვიდრე ის ლექსები, რომლებიც პოლიტიკურ თემაზეა დაწერილი, აღნიშნავს, რომ იგი არაა პოლიტიკური ლექსების მეგობარი, მაგრამ ისეთი პოლიტიკური ლექსები, როგორიც ბერანჟემ დასწერა, მას მოსწონს. ამას გოეთე იმით ხსნის, რომ ბერანჟეს პოლიტიკური ლექსები კი არ აღრმავებს ადამიანთა შორის არსებულ შუღლს, პოლიტიკურ ბრძოლებს, არა-

[1] ibid., 243.

მედ ასუსტებს მას, ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანებს. „მისმა სიმღერებმა, ამბობს გოეთე, წლიდან წლამდე გაახარა ადამიანთა მილიონები; ისინი უფარდდება მუშათა კლასსაც, ისე მაღლდება ჩვეულებრიობის დონიდან, რომ ხალხი ამ მომაჯადოვებელ სულებთან კავშირში ეჩვევა და თავისთვის აუცილებლად იხდის თვითონაც უფრო უკეთესად და კეთილშობლურად იაზროვნოს“ [1].

პოეტს, გამოდის გოეთეს აზრთა თანმიმდევრობიდან, უფლება აქვს დახატოს კონკრეტული ისტორიული პირები, ბრუტუსები, კეისრები, ნაპოლეონები და სხვა, მაგრამ მათი ხასიათიდან გამორჩეულ უნდა იქნას ის, რაც არის საერთო და საკაცობრიო. ეს გარემოება გარკვეულ კვალს ამჩნევდა გოეთეს დამოკიდებულებას ნაპოლეონისადმი. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ნაპოლეონს მიიჩნევდა დამპყრობელად, იგი მაინც აღტაცებით იგონებდა მას, რადგან მასში ხედავდა არა მხოლოდ კორსიკელ მხედართმთავარს, არამედ რაღაც მუდმივისა და საკაცობრიოს მატარებელს. ნაპოლეონი, კეისარი და სხვა, მართალია, პოლიტიკური მოღვაწეები არიან, მაგრამ მათი პოეტური გამოხატვა სავსებით შესაძლებელია, რადგან ისინი არ არიან ჩვეულებრივი პოლიტიკური მოღვაწეები. მათში არის ისეთი ნიშნები, რომლებიც ამ მოღვაწეებს ამაღლებენ ჩვეულებრიობის, ყოველდღიურობის დონიდან ზოგად-საკაცობრიომდე. ამ ნიშნის გასწვრივ გოეთე ნაპოლეონში ხედავს ისეთ ნიშნებს, რომლებიც მას ჩვეულებრიობასთან, გარკვეულ მებრძოლ ბანაკთან აკავშირებს.

პოეზიის თემა, როგორც აღინიშნა, გოეთეს აზრით, არ შეიძლება იყოს პოლიტიკური თემა. ეს იმას ნიშნავს, რომ პოეტი არ უნდა დადიოდეს ყოველდღიურობასა და შეზღუდულობამდე, არამედ, ისწრაფოდეს ე. წ. „წმინდა ადამიანურისადმი“. თუ ეს პირობა არაა დაცული, მაშინ პოეტი, გოეთეს აზრით, იძულებული გახდება მ ი ე კ ე დ ლ ო ს რომელიმე პარტიას და ამით თავის თავს, როგორც პოეტს, გამოუტანოს სასიკვდილო განაჩენი. „როგორც კი პოეტი პოლიტიკურ საქმიანობას მოისურვებს, ეუბნება გოეთე ეკერმანს, იგი უნდა მიეკედლოს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას და როგორც კი ასეთ ნაბიჯს გადადგამს, იგი როგორც პოეტი დაღუპულია. ასეთ შემთხვევაში პოეტი უნდა გამოემშვიდობოს თავისუფალ სულს, მიუკერძოებელ ხედვას და სამაგიეროდ, ყურებზე,

---

[1] E c k e r m a n n, III, 219.

ჩამოიფხატოს შეზღუდულობისა და ბრმა სიძულვილის ქუდი[1]. პოლიტიკა ფიქრობს გოეთე, რიცხავს პოეზიას. „ყური დამიგდე, ეუბნება იგი ეკერმანს, პოლიტიკოსი შეეკამს პოეტს. დაჯგუფების წევრობა და ყოველდღიურ შეჯახებასა და ამბოხებაში არ არის ნაზი ბუნების მქონე პოეტის საქმე“[2].

პოლიტიკური ლექსი, ფიქრობს გოეთე, უმრავლეს შემთხვევაში არის ორგანო ამა თუ იმ პარტიისა, მით სარგებლობენ წოდებათა შორის არსებული უთანხმოების კიდევ უფრო გასაძლიერებლად. პოეტი ხედავდა თუ როგორ აქეზებდნენ გერმანიაში ფეოდალური სახელმწიფოს მესვეურები ნაციონალისტ პოეტებს რევოლუციის ეპოქის საფრანგეთის წინააღმდეგ. გოეთე საჭიროდ თვლის, რომ პოეტი არ იქრებოდეს პოლიტიკაში, არამედ ცდილობდეს შეინარჩუნოს მიუდგომელი პოზიცია, თვალი ეჭიროს არა ერთი რომელიმე პარტიის, არამედ მთელი კაცობრიობისაკენ, არა ინდივიდუალობის, არამედ ადამიანურობისაკენ.

ხელოვნებისა და პოლიტიკის დამოკიდებულების გოეთესეული გაგება მთელი სიცხადით გვიჩვენებს მწერლის მსოფლმხედველობის სუსტ მხარეს, მის ფილისტერულ შეხედულებებს. აყენებდა რამღელვარე პოლიტიკური ამბებისაგან ხელოვნების განდგომის მოთხოვნას, გოეთე ფაქტობრივად გამოხატავდა რევოლუციით დაშინებული გერმანელი ბიურგერის შეხედულებას. ის ფაქტი, რომ რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის დროს, ასევე მაშინ, როცა „ნაპოლეონი გერმანიაში სწმენდდა ავგიოსის ვებერთელა თავლებს“ გოეთე შეპყრობილი იყო ე. წ. წმინდა საბეცნიერო თუ ბხატვრული ინტერესებით, მიგვითითებს იმაზე თუ როგორ წინააღმდეგობრივი იყო დიდი გერმანელი მწერლის პოზიცია. გოეთეს მიერ ე. წ. ზეპარტიული პოეზიის მოთხოვნა-იმაზე მიგვითითებს, რომ მწერალს თავი ვერ დაეღწია ბიურგერულ-შემარიგებლური შეხედულებების გავლენისათვის[3].

---

[1] Eckermann, II, 245.

[2] ibid., 246.

[3] ეს ჩანს აგრეთვე მწერლის დამოკიდებულებაში იმ ღონისძიებებისადმი, რომლებსაც მიმართავდნენ პრესის თავისუფლების წინააღმდეგ. იენის უნივერსიტეტის პროფესორმა ლ. ოკენმა გამოსცა ჟურნალი, რომელშიაც შეუქდებოდა პრესის თავისუფლებისა და კონსტიტუციის საკითხები. კარლ ავგუსტმა ამ ჟურნალის შესახებ რჩევა ჰკითხა გოეთეს, რომლისაგანაც ასეთი პასუხი მიიღო: „ოკენი, თქვა გოეთემ, ამას გარდა თავს დაესხა თვით დიდ ჰერცოგს იმის მომიზეზებით, რომ თითქოს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამოდის. იგი უდავოდ არ შეეპუმანდება. იერიში მიიტანოს ჰერცოგის პირად ცხოვრებაზედაც. ოკენის წამოწყება უდრის კატილინას საქციელს. საჭირო იქნებოდა მისი ნათლად უარყოფა და დაკმაყოფილება იმით, რომ მიგვეწერა იენაში ი. გ. შრაიბერისათვის, რათა მან თვითონ აიღოს ხელში თავისი პირადი პასუხისმგებლობით ჟურნალის ბეჭდვა.

თავი III

გოეთე და ფეოდალური სასახლეები

აქამდე ჩატარებული კვლევა საეჭვოდ არ ხდის იმ დებულებას, რომ გოეთეს სოციალურ-პოლიტიკურმა შეხედულებებმა მე-18 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში განიცადა ევოლუცია ადრინდელი მებრძოლ-ბუნტარული შეხედულებებიდან ზომიერ-კონსერვატიულ შეხედულებებამდე, რომ მწერალი დგება არსებული სოციალური სისტემის დაცვის ნიადაგზე. მიზნად ისახავს ააცდინოს თავის ქვეყანას ბურჟუაზიული რევოლუცია.

მაგრამ რამდენად სწორი იქნება ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის გოეთეში დავინახოთ მ ხ ო ლ ო დ ზომიერ-კონსერვატიული მიდრეკილებები, არსებული სოციალური ყოფის დამცველი მწერალი, რამდენად სწორი იქნება მთლიანობა ამ პერიოდის გოეთეს მსოფლმხედველობისა დანახულ იქნას იმაში, რომ მწერალმა თითქოს პრინციპულად უარყო თავისი ანტიფეოდალურ-ანტიტირანული შეხედულებები, გადაჭრით დადგა ფეოდალური საზოგადოების დაცვის, ბურჟუაზიული რევოლუციის მნიშვნელობის ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი უარყოფის ნიადაგზე? ამ საკითხს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა გოეთეს მსოფლმხედველობის ბუნების, რევოლუციისადმი მისი დამოკიდებულების ნამდვილი სურათის დასადგენად.

რამდენად სწორი იქნება რევოლუციებისადმი გოეთეს დამოკიდებულებაში დანახულ იქნას მხოლოდ კრიტიკა, უარყოფითი პასუხი გაეცეს საკითხს იმის შესახებ,—ხედავს თუ არა მწერალი რაიმე დადებითს ბურჟუაზიულ რევოლუციაში.

რომ ამ საკითხს პასუხი გავცეთ, საჭიროა გამოვარკვიოთ გოეთეს დამოკიდებულება ფეოდალური სასახლეებისადმი, საერთოდ ფეოდალური სისტემისადმი იმ პერიოდში, როცა დღის წესრიგშია დასმული ამ სისტემის საფუძვლების დანგრევა, აგრეთვე იმ პერიოდში, როცა ევროპის მთელ რიგ ქვეყანაში პრაქტიკულად

იწყება ფეოდალური ურთიერთობის რღვევა და ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება. საჭიროა გამორკვეულ იქნას ე. წ. ვაიმარის პერიოდის გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ბუნება, მისი დამოკიდებულება ე. წ. წინავაიმარული პერიოდისადმი.

ცნობილია, რომ 1775 წელს გოეთე ღებულობს ახალგაზრდა ჰერცოგის, კარლ ავგუსტის მიპატიჟებას და, წინააღმდეგ მამის სურვილისა, გადადის საცხოვრებლად ვაიმარში.

„პოეზიასა და ჭეშმარიტებაში“ გოეთე დაწვრილებით აღწერს თუ როგორ გაიტაცა კარლ ავგუსტის გაცნობამ და როგორ აიკვიატა მან ვაიმარში გამგზავრება. იგი დაწვრილებით აღწერს ამ საკითხში თავისი მამის და აგრეთვე იმათ პოზიციას, ვინც ბას ბანკირის ქალის, მშვენიერი ლილისაკენ მოუწოდებდა. გოეთელოგიაში სადავო საკითხს წარმოადგენს არა მხოლოდ ის, თუ რა ბედი ეწვია გოეთეს ვაიმარში გადასვლის შემდეგ, როგორ უნდა იქნას გაგებული ვაიმარელი გოეთე, არამედ ისიც, თუ რა მიზეზებმა განაპირობეს მწერლის გადასვლა ვაიმარის საჰერცოგოში. ბურჟუაზიულ ლიტერატურის მეცნიერებაში ის აზრია გაბატონებული, რომ გოეთეს გადასვლა ვაიმარის სასახლეში წარმოადგენდა ამ მწერლის შემოქმედებითი განვითარების შინაგანსა და ბუნებრივ შედეგს, რომ ვაიმარის გარეშე მას არ შეეძლო გამხდარიყო ის, რადაც ის იქცა სინამდვილეში.

ასე, მაგალითად, გოეთეს ერთერთი ბიოგრაფი, ლუისი საკუთარ ამართლებს გოეთეს გადასვლას ვაიმარში, ფიქრობს, რომ მწერალს თავისი განვითარების გზაზე არ ჰქონდა სხვა, ამაზე უფრო კარგი არჩევანი, რადგან პოეტს საერთოდ მაშინ არ შეეძლო თავის გამოკვება მარტო ლექსების შემოსავლით. ი. ბაბის აზრით კი, გოეთეს გადასვლა ვაიმარში ნაკარნახევი იყო მწერლის სურვილით მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში[1].

რა გვეთქმის ამის შესახებ? რატომ აირჩია მწერალმა თავისი შემდგომი მოღვაწეობის არენად ვაიმარი, მიატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი, ყურად არ იღო მამის გამაფრთხილებელი სიტყვები, დასტოვა საყვარელი დედა? ძნელია ამომწურავი პასუხის გაცემა იმაზე, თუ რით ხელმძღვანელობდა მწერალი, როცა ამგვარ არჩევანს იღებდა, ვარაუდობდა თუ არა იგი, რომ ვაიმარში გადასვლის შემდეგ მისი მოღვაწეობის გზაზე გადაიშლებოდა არა მხო-

---

[1] J.u l i u s. B a b. Das Leben Goethes, Leipzig, 1932, S. 48.

ლოდ ახალი პერსპექტივები, არამედ ახალი, მწერლისათვის არა-საკმარისად ნაცნობი სიძნელეები. შეუძლებელია ითქვას, რომ ვაიმარში გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ შთაბეჭდილებებს, რომლებიც მოახდინა მწერალზე კარლ ავგუსტის გაცნობამ, მაგრამ ეს სუბიექტური ფაქტორი აოამც და არამც არ შეიძლება მივიჩნიოთ ვაიმარში გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მთავარ მიზეზად. მთავარ მიზეზს, რომელმაც განაპირობა ამგვარი გადაწყვეტილების მიღება, უთუოდ გოეთეს მიერ ხალხის წინაშე თავისი მოვალეობის შეგნება წარმოადგენდა.

გოეთე ხედავდა, თუ როგორ შეზღუდულ პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა იმდროინდელ გერმანიაში გამოჩენილ ადამიანებს, ხედავდა, რომ ქვეყნის ფეოდალური დაქუცმაცება, პროვინციული შეზღუდულობა ფრთებს უკვეცავდა მათ მოღვაწეობას. მაგრამ ღებულობდა რა ვაიმარში გადასვლის გადაწყვეტილებას, გოეთე უთუოდ ანგარიშს უწევდა იმ გარემოებას, რომ იმდროინდელ ვაიმარში თავი მოეყარათ გერმანული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს, რომ აქ წარმოებდა დიდი შემოქმედებითი მუშაობა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. მწერალი ამასთანავე ხედავდა, რომ იმ დროის ბევრი მონარქი და ფეოდალი განმანათლებლის ნიღაბით გამოდიოდა, რაც მათ ხელს არ უშლიდა უზომოდ ეყვლიფათ თავიანთი ქვეშევრდომები.

გოეთემ კარგად იცოდა, თუ რა ბედი მოელოდა ფეოდალური სასახლის კარზე მცხოვრებ მწერალს. ფერარას მგოსნის—ტასოს და აგრეთვე ვოლტერის თავგადასავალი მისთვისაც მრისხანე გაფრთხილებას წარმოადგენდა. ამ საფრთხეზე მიუთითებდა ახალგაზრდა მწერალს მისი მამა, ეს ჭკვიანი და გამოცდილი ბიურგერი; და მიუხედავად ამისა, გოეთე მაინც გაბედულად წავიდა ამ გზით. გადავიდა მუდმივად საცხოვრებლად ვაიმარში. მან დაიჭირა უმნიშვნელოვანესი ადგილი ამ საჰერცოგოში, მიიღო საიდუმლო მრჩევლის თანამდებობა. მალე ამის შემდეგ გოეთეს ვხედავთ ვაიმარის საჰერცოგოს პირველი მინისტრის თანამდებობაზე.

რით უნდა აიხსნას მწერლის ცხოვრებაში მომხდარი ამგვარი ცვლილებები, რატომ წავიდა იგი შეგნებულად ამგვარ ნაბიჯზე, თანხმობა განაცხადა ფეოდალური სასახლის ცხოვრებაში ასეთ აქტიურ მონაწილეობაზე? ნუთუ ფეოდალური დესპოტიის წინააღმდეგ მკვეთრად მებრძოლმა მწერალმა სულ მოკლე დროის მან-

ძილზე რადიკალურად შეიცვალა თავისი პოზიცია, თვალსაზრისი, გახდა სასახლის მწერალი, ფეოდალური წყობილების აპოლოგეტი?

ვაიმარში გოეთეს გადასვლაში უთუოდ გარკვეული როლი ითამაშა მწერლის პირადმა განწყობილებებმაც, მისმა სიმპათია-ანტიპათიებმა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არა ამ გარემოებას უნდა მიენიჭოს მსაზღვრელი როლი მწერლის მიერ ამ ახალი გადაწყვეტილების მიღებაში, არამედ საზოგადოებრივ ფაქტორებს. რიგი ბურჟუაზიული გოეთელოგის აზრით გოეთეს გადასვლა ვაიმარში წარმოადგენდა პრინციპულად ახალი საფეხურის დასაწყისს მწერლის მოღვაწეობაში, მწერლის მიერ ხელის აღებას თავის ადრინდელ მებრძოლ განწყობილებაზე და ზომიერ-შემარიგებლურ პოზიციაზე გადასვლას. ამ შეხედულებების დამცველები გადაჭრით უპირისპირებენ ერთიმეორეს გოეთეს შემოქმედების ე. წ. წინავაიმარულსა და ვაიმარულ პერიოდს, მიიჩნევენ რა გოეთეს ფეოდალური წყობის აპოლოგეტად, რეაქციული ძალების დამცველად.

ასე, მაგალითად, ჯ. ფიშერის, თ. ფიშერის, კაროსა და სხვათა შეხედულებით, გოეთეს გადასვლა ვაიმარში ნიშნავდა სრულიად ახალი საფეხურის დაწყებას მწერლის შემოქმედებაში. მათ მსგავსად ე. როდიც ფიქრობს, რომ ვაიმარში გოეთეს არ შეუნარჩუნებია თავისი ადრინდელი პერიოდის არც ერთი თვისება. „როცა ის კვლავ გამოჩნდა ლიტერატურის ასპარეზზე ახალი ტიტულით დამშვენებული, წერს როდი, იგი მთლიანად გარდაქმნილი იყო. ფრანკფურტელი წვრილი ბურჟუის, შტრასბურგის ადრინდელი სტუდენტის, ვეტცლარის დაღვრემილი სტაჟიორის არც ერთი მხარე აღარ იყო მრჩეველი გოეთეს ბრწყინვალე პიროვნებაში“ [1].

უახლესი პერიოდის ბურჟუაზიულ გოეთელოგიაში აშკარად შეინიშნება ტენდენცია დაუპირისპირონ ერთიმეორეს ვაიმარისა და წინავაიმარის ხანის გოეთე, მიიჩნიონ ვაიმარის პერიოდი თავისი „ურკონფლიქტისაგან“ მწერლის გათავისუფლების, მის მიერ თავისი თავის პოვნის, შინაგანი განწმენდის პერიოდად [2]. ის გარემოება, რომ ვაიმარის დროის გოეთეს შემოქმედებაში აშკარად გამომჟღავნდა მწერლის ზომიერი ბიურგერული შეხედულებები, საფუძველს აძლევს ბურჟუაზიულ გოეთელოგებს ჩათვალონ ვაიმა-

---

[1] E. Rod. Essai sur Goethe, Paris, 1898, p. 150-151.

[2] ფრ. შტრიხიც გოეთეს შემოქმედებითს განვითარებას წარმოადგენს როგორც „ჭარიშხლისა და შეტევის“ დროის კონფლიქტისაგან გათავისუფლების პროცესს/: „Seine Dichtung eine Art von Selbstbefreiung und Gestaltung seiner Leiden war“ (Fr. Strich. Goethe und die Weltliteratur, Bern, 1946, S. 195).

რელი გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ძირითად, წამყვან ტენდენციად კონსერვატიულ-ფილისტერული შეხედულებები, დასახონ დიდი გერმანელი მწერალი არსებული სოციალური წყობის აპოლოგეტად, პოლიტიკური რეაქციის დამცველად, ბურჟუაზიული საზოგადოების მკურნალად.

გამოსავალ პუნქტს, ძირითად მასალას მწერლის ამგვარი კვალიფიკაციისათვის წარმოადგენს ბურჟუაზიული რევოლუციებისადმი გოეთეს დამოკიდებულების საკითხის გაგება. ჩვენ თავის ადგილას ვნახავთ თუ რამდენად იძლევა საფუძველს რევოლუციების გოეთესეული კონცეფციის ანალიზი მწერლის ამგვარი შეფასებისათვის, ვნახავთ, რომ ამ მწერლის შემოქმედების არსის დამახინჯების გარეშე შეუძლებელია მისი გამოყვანა სოციალური ჩაგვრის, ბურჟუაზიული საზოგადოების აპოლოგეტად. ამჯერად განვიხილოთ უფრო დაწვრილებით, თუ როგორ შეფასებას აძლევენ ახალი და უახლესი დროის ბურჟუაზიული გოეთელოგები მწერლის სოციალურ პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, პირველ რიგში მის დამოკიდებულებას ბურჟუაზიული რევოლუციებისადმი.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ცნობილი ბურჟუაზიული გოეთელოგის, გ უ ნ დ ო ლ ფ ი ს შეხედულებები. გოეთეს შემოქმედებითი ევოლუცია გუნდოლფს წარმოდგენილი აქვს, როგორც პერიოდი დადუღებისა და თვითაღზრდის (Selbsterziehung). ასევე წარმოუდგენია გოეთეს ევოლუცია კ. ა ლ ტ ს ა ც[1]. მწერლის შემოქმედების განვითარების ამ სახით წარმოდგენა მიზნად ისახავს არა მხოლოდ იმას, რომ მოახდინოს კონსტატაცია გოეთეს პოლიტიკური ინდიფერენტიზმისა, არამედ იმას, რომ გაამართლოს იგი, გაამართლოს რევოლუციისადმი მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება.

გუნდოლფი გარეგნულად არ თიშავს ერთიმეორისაგან გოეთეს განვითარების ე. წ. შტიურმერობისა და ე. წ. ოლიმპიელობის პერიოდს, არ უპირისპირებს მათ ერთიმეორეს, არამედ ეძებს მათ შორის ერთიანობას, მთლიანობას, მაგრამ ამგვარად გაგებულ ერთიანობას საერთო არაფერი აქვს იმასთან, რასაც ადგილი აქვს სინამდვილეში მწერალთან, გოეთეს შემოქმედებითი განვითარების ქეშმარიტ ხასიათთან, რადგან იგი არასწორად წარ-

---

[1] K. A l t. Goethe und seine Zeit, Leipzig, 1911, S. 52. ანალოგიურ შეხედულებას გამოთქვამს ჰ. ლ ი ხ ტ ე ნ ბ ე რ გ ე რ ი ც (H. L e i c h t e n b e r g e r. L'époque classique de Goethe. „Revue des cours et conférences", Paris, 1929, № 2. p. 119).

მოადგენს მწერლის შემოქმედების როგორც ერთს, ისე მეორე პერიოდს. გუნდოლფს მიაჩნია, რომ გოეთე მთლიანია იმიტომ, რომ მისი განდგომა რევოლუციისაგან სავსებით ბუნებრივია, მისი შტურმუნდდრანგელობის ბუნებრივი შედეგია.

გუნდოლფი იმ აზრისაა, რომ გოეთეს ბუნებას არ შეესაბამებოდა საბრძოლო განწყობილებები, მღელვარე პოლიტიკურ თემებზე წერა*. იგი ფიქრობს, რომ მწერალმა შეცდომა დაუშვა, როცა

---

* გოეთეს შემოქმედებითი ევოლუციის ამგვარი გაგება, რევოლუციებისადმი მისი დამოკიდებულების ახსნა წმინდა სუბიექტური მიზეზებით ფართოდ გავრცელდა ახალი დროის ბურჟუაზიულ გოეთეანაში. გუნდოლფის მიერ წამოყენებული თეორია გოეთეს თვითაღზრდისა და დადუღების შესახებ, თეორია, რომელსაც სხვადასხვა ვარიაციით აყენებენ ალტი, ლიხტენბერგერი, ამანი, კროჩე და სხვები, გამოსავალ პუნქტად მიიჩნევს დებულებას, რომ გოეთე არ იყო ბუნებითა და მოწოდებით პოლიტიკის მწერალი, რომ მის ბუნებას არ შეესაბამებოდა პოლიტიკაზე, რევოლუციის თემაზე წერა.

მწერლის შემოქმედებითი განვითარების ახსნის ამ სუბიექტივისტურ-იდეალისტურ ხასს ანვითარებს და სოციალური პროგრესის წინააღმდეგ გესლიანი გამოხდომისათვის იყენებს ე. ლ უ დ ვ ი გ ი. მისი აზრით, გოეთე იმიტომ აკრიტიკებდა საფრანგეთის რევოლუციას, რომ იყო მტერი ყოველგვარი ანარქიისა და ქაოსის. გოეთეს, ლუდვიგის აზრით, გააჩნდა თანდაყოლილი მიდრეკილება წესრიგისადმი (angeborene Trieb zur Ordnung), რაც მას შთააგონებდა უარყოფა საფრანგეთის რევოლუცია (E. L u d w i g. Goethes Weg zum Idealstaat. „Die neue Rundschau", April, 1932, Berlin und Leipzig, S. 508). სხვა შრომაშიც ლუდვიგი წესრიგიანობასა და ქაოსის სიძულვილს აღიარებს გოეთეს ბუნების ძირითად მხარედ, ოღონდაც მესამე მხარედ („Ordnungsliebe—ein dritter Grundzug seiner Seele—lässt zurückscheuen vor Chaos und Anarchie.— E. L u d w i g. Goethe, Berlin, 1928, Bd. I, S. 561).

ე. ლუდვიგის ტენდენციას საბოლოოდ ეხსნება ფარდა, როცა კრიტიკოსი თანასწორობის ნიშანს სვამს გოეთესა და იმათ შორის, ვინც ცდილობდა წინააღდგომოდა გერმანიაში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის იდეების გავრცელებას. ლუდვიგი უგულებელყოფს, ერთი მხრივ, იმ ფაქტს, რომ გოეთე არ ილაშქრებდა საფრანგეთის რევოლუციის იდეების წინააღმდეგ, რომ ამ იდეებს აქსოვდა იგი თავის მხატვრულ ნაწარმოებებში. მეორე მხრივ, იგი უგულებელყოფს იმ გარემოებას, რომ ბურჟუაზიული რევოლუციისადმი გოეთეს კრიტიკული დამოკიდებულება არამც და არამც არ წარმოადგენდა მისი ბუნების მონაცემებით, არამედ ღრმად საზოგადოებრივი მიზეზებით განპირობებულ მოვლენას, რომ უწესრიგობის, ქაოსისა და ანარქიის უარყოფა არამც და არამც არ ნიშნავს უარყოფას რევოლუციისას, რადგან ეს უკანასკნელი სპობს ძველ წესებს იმისათვის კი არა, რომ საზოგადოებაში ანარქია დაამკვიდროს, არამედ იმისათვის, რომ ახალი წესები დაამკვიდროს.

ბურჟუაზიული რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების ახსნის ის თეორია, რომელსაც ე. ლუდვიგი აყენებს, საფუძველში არაფრით არ განსხვავდება გუნდოლფის, ლიხტენბერგერის, ალტისა და სხვათა თეორიებისაგან. ამ თეორიის დამცველად გამოდის აგრეთვე ჰ. ა მ ა ნ ი, რომელიც ამტკიცებს, რომ გოეთე ბუ-

ყურად იღო თავისი შინაგანი ხმა და იწყო გარეგან, პოლიტიკურ მოვლენებზე წერა. რადგან მწერალმა დაარღვია თავისი ბუნებრივი, შინაგანი განვითარების ხაზი, დაუქვემდებარა თავისი შემოქმედება გარეშე მიზეზებს, შემთხვევებსა და საბაბს (Anlass), ამიტომ, ფიქრობს გუნდოლფი, რევოლუციების შესახებ გოეთეს სუსტი ნაწარმოებები გამოუვიდა. გოეთეს მოწოდება არ იყო ეპასუხნა

ნებით არის ჰარმონიის კაცი, „ნორმალური გერმანელი" („Goethe est l'Allemand normal". P. Amann. Goethe et les catastrophes politiques de son temps. „Europe", revue mensuelle, 1932, numero 12, p. 65 [569]). იეის ზომიერება (იქვე), რომ მის პოლიტიკურ შეხედულებებში დიდი სიმეტრიის ადამიანი ჩანს („grande symétrie de la vie politique de Goethe", ibid., 70[574]).

ამანი ფიქრობს, რომ ბუნებით ამ ზომიერი, წესრიგის მოყვარული გოეთეს განკითარება მიმდინარეობდა არახელსაყრელ პირობებში, რაშიაც კრიტიკოსი გულისხმობს' იმას, რომ მწერლის თვალწინ ხდებოდა გათამაშება დიდი პოლიტიკური პოვლენებისა, რომ მას ჯერ კიდევ ბავშვობაში მოუხდა თვალის გასწორება „პოლიტიკური ქაოსისათვის" (Chaos politique), შემდეგ, საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში, მისი ბუნების ნიშანდობლივი მხარე—წმინდა ჰარმონია დაიფარა ხარბახნებისა და დაფდაფების ხმებით; მაგრამ ბოლოს და ბოლოს გოეთეს მშვიდმა, ზომიერებასა და წესრიგს დაწაფებულმა ბუნებამ თავისი გაიტანა, განუდგა რა რევოლუციას, მწერალი გახდა ნორმალური გერმანელი.

პ. მენცერიც იმ აზრისაა, რომ ვაიმარში გადასვლა მოასწავებდა გოეთეში წესრიგიანობის გამარჯვებას („Sein Leben erhält durch die von ihm übernommenen Pflichten eine bestimmte Ordnung". P. Menzer. Goethes Aesthetik, Köln, 1958, S. 39). ამავე წანამძღვრიდან გამოდის ფრ. შტრიხი ვაიმარისა რა წინავაიმარული პერიოდების განხილვისას. იგი აკრიტიკებს ორტეგას დებულებას, რომ ვაიმარში გოეთეს გადასვლა მის გაქცევებას მოასწავებდა (Fr. Strich. Goethe und die Weltliteratur, Bern, 1946, S. 395), ეთანხმება იმაში, რომ „ეს [იყო გოეთეში ზომიერების გამარჯვება („er wusste um die Gefahr des Sturmes und um den Segen des Masses, und so hat er den Sturm in sich gebändigt und das Mass gewonnen". Ibid., 395-396).

ჰოფმანსტალიც გოეთეში ხედავს ზომიერებისა და კანონის ადამიანს, მორალური კანონის გამარჯვებას ვნებებზე, ე. ი. იმაზე, რაც, უნდა ვიფიქროთ, უწესრიგობისა და ანარქიისაკენ გვახედებს (Hofmanstal, H. Loi et Liberté. ზევით დასახელებული ჟურნალი, გვ. 173 [677]). ასევე ზომიერების, კანონიერებისა და ჰარმონიის განსახიერებად მიაჩნია გოეთე ბ. კროჩეს, რომელიც ირონიულად შენიშნავს, რომ ამგვარი ნიშნების დაძენით ადამიანს ჩვეულებრივ „ბურჟუას" ეპითეტით ამკობენო („La figure de Volfgang von Goethe est faite de vertu tranquille, de bonté sérieuse, de justice, de sagesse, d'equilibre... et somme de tout ce qu'on a l'abitude de dènigrer sous l'épithéte de „bourgeois". Ibid., 144 [648].)

ასევე იხილავს გოეთეს ევოლუციას ი. ო. გასეტი. მას მიაჩნია, რომ გოეთე თავისში აერთიანებს ორს, ერთიმეორის საწინააღმდეგო მომენტს. ზომიერების უქონლობა, გასეტის აზრით, დამახასიათებელია საერთოდ გერმანიისა-

გარეგან, თუნდა დიდ პოლიტიკურ მოვლენებზე, ფიქრობს გუნდოლფი, უგულებელყოფს რა იმ ფაქტს, რომ დიდ საზოგადოებრივ მოვლენებზე გოეთემ შექმნა ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, როგორიცაა „ეგმონტი", „ჰერმანი და დოროთეა", „ვილჰელმ მაისტერი", „ფაუსტი" და მრავალი სხვა. „იგი არ იყო გარეგანი აქტუალობის, პრაქტიკისა და ისტორიის მწერალი, აღნიშნავს გუნდოლფი, არამედ—ბუნებისა და სულის შინაგანი, მუდმივი კანონებისა და ძალების მწერალი"[1].

თვის, ამდენად, გოეთესთვისაც, მაგრამ ეს უკანასკნელი ანვითარებს თავისში ზომიერების გრძნობას, რაც თურმე მიღწეულ იქნა ვიამარში გადასვლით („und darum geht er nach Weimar, um einige Semester iphigenischen Masses zu absolvieren". J. O. Gasset. Um einen Goethe von innen bittend. „Die neue Rundschau", april, 1932, Berlin und Leipzig, S. 569).

განსხვავებით პ. ამანისაგან, რომლის აზრითაც ზომიერებისა და წესრიგისადმი სწრაფვა იმთავითვე შეადგენდა გოეთეს ნატურის ძირითად ნიშანს, რომ მას ჭაბუკობის პერიოდშივე მოუხდა თვალის გასწორება პოლიტიკური ქაოსისათვის, ლიხტენბერგეოს სურს დაამტკიცოს, რომ დისჰარმონია და ზომიერების უქონლობა დამახასიათებელი იყო გოეთეს ახალგაზრდობის პერიოდისათვის, იმ დროისათვის, როცა მწერალი არსებულის წინააღმდეგ ამხედრებული იყო. ახალგაზრდა გოეთეს სიდიადეს ლიხტენბერგერი ხედავს იმაში, რომ მას გააჩნდა იმ საფრთხის შეგნება, რომელიც ამ ზომიერებისა და ჰარმონიის უქონლობაში მარხია (H. Lichtenberger. L'époque classique de Goethe. Revue des cours et conferences, № 2, 1929, Paris, p. 119).

მსგავსად გუნდოლფისა ლიხტენბერგერსაც შემდეგი პერიოდი გოეთეს შემოქმედებითი განვითარებისა შეფასებული აქვს როგორც მწერლის ბრძოლა თავისი ტიტანიზმის დაოკებისათვის, თავისი თავის ჰდისციპლინირებისათვის („Tout sa maturité n'est qu'une long effort pour dompter et discipliner son titanisme". Ibid., 119).

ძნელი არ არის მიხვედრა, რომ ლიხტენბერგერი და კომპ., ახასიათებენ რა გოეთეს შემოქმედების იმ პერიოდს, როცა მწერალი ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ ამხედრებულთა მბატვრულ სახეებს ქმნიდა, ზომიერებისა და ჰარმონიის უქონლობის პერიოდად, მიზნად ისახავენ განადიდონ მწერლის სუსტი, ფილისტერული მხარე, რაც ფეოდალური სინამდვილისადმი კომპრომისულ დამოკიდებულებაში გამოიხატა. გოეთესთან ზომიერებისა და ჰარმონიის მომენტის ხაზგასმა, გოეთეს განვითარების ისე დასახვა, როგორც მწერლის განთავისუფლება ამ „ურკონფლიქტისაგან", მიზნად ისახავს გოეთეს გამოყვანას რეაქციული წყობის აპოლოგეტად, რევოლუციის საფუძველშივე უარმყოფელად.

[1] F. Gundolf, Goethe, 1922, S. 485. რამდენად სწორია გუნდოლფის გამოსავალი დებულება, რომ გოეთე არ იყო თავისი ბუნებითა და მოწოდებით ისეთი მწერალი, რომელსაც შეეძლო წარმატებით აესახა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები? ცხადია, ყოველგვარი დასკვნა გოეთეს შემოქმედების შესახებ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ მასალას. ასეთი სხვა არ შეიძლება იყოს თუ არა ამ მწერლის შემოქმედება. იძლევა თუ არა გოეთეს შემოქმედება და მოღვაწეობა იმის საფუძველს, რომ იგი აპოლიტიკურ ადამიანად მივიჩნიოთ? გადაჭრით

გუნდოლფი აკრიტიკებს გოეთეს არა პოლიტიკური ინდიფერენტიზმის, არამედ იმის გამო, რომ მწერალმა სავსებით არ აიღო ხელი პოლიტიკაზე, გარეგან მოვლენებზე, რომ მას მაინც იტაცებდა პოლიტიკური ცხოვრება, ეხმაურებოდა საფრანგეთის რევოლუ-

---

შეიძლება ითქვას, რომ არა. მწერლის მდიდარი მხატვრული და თეორიულ-კრიტიკული შემოქმედება როგორც ადრინდელი, ისე მომდევნო პერიოდების, ავლენს მის ღრმა ინტერესს საზოგადოებრივი მოვლენებისადმი, არა მხოლოდ იმისადმი, რაც ხდება მის ქვეყანაში, არამედ იმისადმი, რაც ხდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

გუნდოლფი ფიქრობს, რომ გოეთე თავის საკუთარ ბუნებას უპირისპირდებოდა, როცა განვითარების შედეგებით ადრინდელ საფეხურზე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებს ამუშავებდა, ასევე, თავის ბუნებას უპირისპირდებოდა, როცა 90-იან წლებში თემად საფრანგეთის რევოლუციას იხდიდა, მაგრამ თუ აქ ნამდვილად ადგილი აქვს მწერლის დაპირისპირებას თავის ბუნებასთან, მაშინ რატომაა, რომ ერთ შემთხვევაში ამ თავისი ბუნებისაგან თითქოს გამდგარ მწერალს მხატვრულად მდარე ხასიათის ნაწარმოებები გამოუდის, მეორე შემთხვევაში კი მაღალხარისხოვანი? თუ გოეთეს ნაწარმოებთა მხატვრულ ხარისხს განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მწერალი პოლიტიკური მასალის დამუშავებით თავისი მოწოდების სფეროს გაცდა, მაშინ ბუნებრივი იქნებოდა, რომ გუნდოლფს მხატვრულად დაბალი ხარისხის ნაწარმოებებად მიეჩნია არა მხოლოდ „დიდი კოფტა", „მოქალაქე გენერალი", „აჯანყებულები" და სხვა, არამედ „გოეცი", „პრომეთე", „ვერთერი", „ეგმონტი", „ფაუსტის" I ნაწილი და სხვ. მაგრამ ასეთ დასკვნამდე გუნდოლფი არ მიდის, რაც ცხადია, მისი გამოსავალი დებულების სისწორეს ეჭვის ქვეშ აყენებს.

გუნდოლფის მიერ წამოყენებული დებულება მოკლებულია საფუძვლიანობას არა მხოლოდ იმიტომ, რომ ადრეც და 90-იან წლებშიაც მწერალი ნებით და სრული შეგნებით ირჩევდა თავისი მხატვრული შემოქმედების მასალას, არამედ იმიტომაც, რომ ისე იქცეოდა იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. მართალია, 90-იან წლებიდან გოეთეს შემოქმედებაში უფრო მომეტებულად გამოჩნდა ზომიერ-შემრიგებლური მიდრეკილებები, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ მან რადიკალურად გადასინჯა თავისი ფილოსოფიური, სოციალ პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებები. გუნდოლფის და სხვ. თეორია იმის შესახებ, რომ 90-იან წლებიდან გოეთე დაუბრუნდა თავის თავს, ხელი აიღო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინტერესზე, იმას გვანიშნებს, რომ მწერალმა მიიღო არსებული სოციალური ყოფა, ჩაიკეტა თავის თავში, უარყო მატერიალიზმის, მხატვრული შემოქმედების დარგში რეალიზმის პრინციპები. გოეთეს შემოქმედებითი ევოლუციის ამგვარი წარმოდგენა კი საფუძველშივე მცდარია, რადგან 90-იანი წლები და მისი მომდევნო პერიოდი ამ მწერლის განვითარებაში აღინიშნება მატერიალიზმის, რეალიზმის არა შესუსტებით, არამედ კიდევ უფრო გაღრმავებით.

იგივე ითქმის გოეთეს პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებაც. მთელი მისი ცხოვრების მანძილზე მწერლისათვის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენდა თავის ქვეყანაზე ზრუნვა, ზრუნვა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებაზე, მის ეკონომიურსა და ტექნიკურ გაძლიერებაზე, ხალხის მდგომარეობის გაუჯობესებაზე. მწერლისათვის ასევე სახელმძღვანელო პრინციპს წარმოა-

ციას. გუნდოლფი გოეთეს საყვედურობს იმას კი არა, რომ მწერალმა თავი ვერ დააღწია ფილისტერობას, არამედ იმას, რომ იგი სავსებით არ გადაბარგდა ესთეტიზმში, რითაც თურმე თავისი შემოქმედების მაგისტრალურ ხაზს გადაუხვია.

დგენდა ინტერნაციონალიზმი, ჰუმანიზმი, თავისი ერის ინტერესების შეხამება სხვა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებთან, ხალხთა შორის ძმობისა და თანამშრომლობის იდეა, ჩაგვრის ხუნდებისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლა. ამიტომ, შეუძლებელია დიდი გერმანელი მწერლის დასახვა ისეთ ადამიანად, რომლისთვისაც ბუნებით, მოცემულობით თითქოს შეუსაბამო იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე ყურადღების შეჩერება.

რამდენად მართებულად შეიძლება მივიჩნიოთ გუნდოლფის მტკიცება, რომ პოლიტიკურ თემებზე გოეთეს მხატვრული თვალსაზრისით დაბალხარისხოვანი ნაწარმოებები გამოუვიდა? ზევით უკვე ეუჩვენეთ, რომ მკვლევარი ამ დებულებას აყენებს ზოგადად გოეთეს მთელი შემოქმედების მიმართ, მაგრამ ილუსტრაციული მასალის სახით მას მოაქვს მწერლის მოლოდ ის ნაწარმოებები, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის თემაზე დაიწერა. რაც შეეხება ადრინდელი პერიოდის ნაწარმოებებს, მათ გუნდოლფი, მართალია, მიიჩნევს იმ რიგის ნაწარმოებებად, რომლებშიაც გოეთე თავის ბუნებას ეთიშება, მაგრამ განსხვავებით რევოლუციის თემაზე დაწერილი ნაწარმოებებისაგან, მათში იგი უკვე ხედავს ჩანასახს, გადასასვლელ პუნქტს მწერლის მოგვიანო პერიოდის შემოქმედების პრობლემატიკაზე. ეს ასეა, მაგრამ თუ გამოვალთ საკითხის გუნდოლფისეული დაყენებიდან, მთლიანად ეს ნაწარმოებები მაინც იმ რიგის ნაწარმოებებად უნდა მივიჩნიოთ, რომლებშიაც მწერალი თავისი საკუთარი ბუნებისაგან გამდგარია. მაშასადამე, მოსალოდნელი იყო, რომ გუნდოლფის მიერ ისინიც მხატვრულად დაბალხარისხოვნად გამოცხადდებოდა, რასაც ადგილი არ აქვს.

გოეთეს განვითარების ე. წ. წინავაიმარული პერიოდის შემოქმედება არ ამართლებს გუნდოლფის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გოეთეს მხატვრულად დაბალი ხარისხის ნაწარმოებები გამოუდის მაშინ, როცა იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებს ამუშავებს. „გოეცში" მწერალმა სიუჟეტის განვითარება წარმოადგინა მძლავრი სოციალური კონფლიქტების ფონზე და ამის მიუხედავად მას ნაღალხარისხოვანი ნაწარმოები გამოუვიდა. მაგრამ რა მდგომარეობა გვაქვს გოეთეს განვითარების იმ პერიოდში, რომელსაც გუნდოლფმა მწერლის თვითაღზრდის პერიოდი უწოდა და რომლის ნიშანდობლივ თვისებად აღიარა ხელის აღება აქტიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე? რომ გოეთეს შემოქმედებითი განვითარების იმ სახით წარმოდგენა, ამ პერიოდის მწერლის შემოქმედების და მოღვაწეობის იმგვარი გაგება, რომ იგი ხელს იღებს აქტიურ საზოგადოებრივ თემებზე, არ გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას, ეს ზევით უკვე ეუჩვენეთ; მაგრამ რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას ის დებულება, რომ გოეთე მხატვრულად დაბალხარისხოვან ნაწარმოებებს ქმნის, როცა იგი მისი ცხოვრების ამ ეტაპზე აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებს ამუშავებს, როცა იგი თითქოს თავისი საკუთარი ბუნების, შინაგანი მოწოდების წინააღმდეგ გამოდის?

,რომ ამ საკითხს ვუპასუხოთ, საჭირო იქნება გოეთეს ამ რიგის ნაწარმოებთა მხატვრული მხარის გათვალისწინება. უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა

ჰეშმარიტ ხელოვნებას, ფიქრობს გუნდოლფი, არ ესაქმება პოლიტიკური მოვლენები. თუ ეს პირობა არაა დაცული, მაშინ ვღებულობთ არა ობიექტურ, არამედ ტენდენციურ პოეზიას. „როგორც კი მწერალი იწყებს წერას არა შინაგანი აუცილებლობით,

---

შევახეროთ „ეგმონტზე", რომელიც ჩვეულებრივად გარდამავალი პერიოდის ნაწარმოებადაა მიჩნეული, რომელშიაც ჩანს არა მხოლოდ ადრინდელი ბუნტარული, არამედ შემდეგი პერიოდის ზომიერ-შემარიგებლური განყწობილებები და რომელშიაც სიუჟეტის განვითარება საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მოძრაობის ფონზეა მოცემული. შეუშალა თუ არა ამ გარემოებამ მწერალს ხელი მოეცა მხატვრულად მაღალი ხარისხის ნაწარმოები? ცხადია, არა. გოეთეს, როგორც მხატვრის უნარი და ოსტატობა მთელი სისრულით გამოჩნდა ამ ნაწარმოებშიაც, რომელიც წარსულის დიდი სოციალური მოძრაობისადმი მწერლის ღრმა სიმპათიური დამოკიდებულების შთაბეჭდილებათა ქვეშაა დაწერილი. ამ ნაწარმოების მაღალი მხატვრული ღირსებები ჩანს მწერლის მხატვრული ჩანაფიქრის სიღრმესა და სისწორეში, ნაწარმოების ძირითადი იდეისათვის შესაფერისი მხატვრული საშუალებების გამოძებნაში, ამბის ბუნებრივსა და თანმიმდევრულ განვითარებაში და, რაც მთავარია, ცოცხალი მხატვრული სახეების დახატვაში. ძნელია დაძებნა ამ ნაწარმოებში ისეთი მხატვრული დეტალისა, რომელიც არ წარმოადგენდეს დრამის მხატვრული ქსოვილის ორგანულ ნაწილს, რომელსაც ან თვითონ დამოუკიდებლად არ ენიჭებოდეს მნიშვნელობა ნაწარმოების იდეური ხაზის გამართვაში, ან რომელიმე სხვა მხატვრულ მომენტთან დაკავშირებით.

მწერალს სურს უჩვენოს დამპყრობელთა უღლის ქვეშ მგმინავი ნიდერლანდელი ხალხი, რომელსაც გარეშე მტრებს გარდა ყავს აგრეთვე შინაგანი მტრებიც და რომლისთვისაც ამ ეტაპზე მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ნაციონალური დამოუკიდებლობის მოპოვებას. აქ არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად ესმის მწერალს ნიდერლანდეთის რევოლუციის ხასიათი და მამოძრავებელი ძალები, ამ რევოლუციის პერსპექტივები. ჩვენთვის ამჯერად ისაა მნიშვნელოვანი თუ რამდენად თანმიმდევრულად, მხატვრულად სრულყოფილად შესძლო მან თავისი ჩანაფიქრის მხატვრული განხორციელება, შესაფერი სიტუაციებისა და მხატვრული სახეების გამოყენა. მასალისადმი მწერლის მხატვრული მიდგომის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ არაა დახატული უშუალო სურათები იმ დიდი სოციალური ქარტეხილისა, რომლის საფუძველზედაც ხდება ეგმონტის დრამის გათამაშება, არამედ ნაჩვენებია ის, რაც მოყვა შედეგად ამ მოძრაობას. დასაწყისშივე გრძნობს მკითხველი, რომ ამ ქვეყანაში დიდ სოციალურ ქარტეხილს გადაუვლია, ვხედავთ არა თვით ამ ქარტეხილს, არამედ იმ შედეგებს, რომლებიც მას დაუტოვებია. ჩვენს წინ გაივლიან მხატვრული სახეები ისტორიული თუ მწერლის მიერ გამოგონილი გმირებისა, რომლებზედაც მომხდარ ამბავს ღრმა კვალი აღუბეჭდავს და რომლებიც მომხდარს მჭიდროდ აკავშირებენ თანადროულობის ამოცანებთან, სოციალური მოძრაობის შემდგომი გაშლის პერსპექტივებთან.

რაც შეეხება გოეთეს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშ დაიწერა, მათ შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი საერთოდ მხატვრულად დაბალი ღირსების არის. ისინი არ დგას მხატვრულობის მხრივ ერთსადაიმავე დონეზე, ყველანი ერთნაირად მაღალი

არამედ იმპულსითა და განზრახულობით, ე. ი., როცა მისი პოეზია საშუალებაა მიზნისაკენ (...) ნაცვლად იმისა, რომ იყოს არსის გამოხატვა, მაშინ იგი ვერ ქმნის გამოთქმის ვერავითარ ახალ ფორმას, არამედ იყენებს არსებულს“ [1].

გუნდოლფი წყვეტს პოეზიას ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისაგან, აცხადებს პოეზიის ქვეყანას დამოუკიდებელ სამყაროდ, უგულებელყოფს პოეზიის მსაზღვრელი საზოგადოებრივი ფაქტორების როლს. გუნდოლფთან ამაოდ დავიწყებთ პასუხის ძებნას იმაზე, თუ რითაა განსაზღვრული გოეთეს შემოქმედების ეს „მუდმივი და შინაგანი კანონები“. იგი ფიქრობს, რომ პოეზიის არსი არაა დაკავშირებული გარეგანთან, რომ ნამდვილი პოეზია ამ არსის გამოხატვის ფორმაა და არა საშუალება მიზნისაკენ, ე. ი. საშუალება

მხატვრული ღირსებებით არ ხასიათდება. ისინი მხატვრულობის თვალსაზრისით ისევე მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი არიან, როგორც გოეთეს სხვა რიგის და სხვა პერიოდის ნაწარმოებები. ცხადი ხდება, რომ ამ პერიოდის გოეთეს შემოქმედებითი ნიმუშები თავიანთი მხატვრული ღირსებით არ წარმოადგენენ რაღაც განსაკუთრებულს, არამედ სრულიად ბუნებრივსა და ნიშანდობლივს გოეთეს ზემოქმედებითი განვითარების სხვადასხვა ფაზებისათვის. ამ პერიოდშიაც გოეთეს კალამი ისევე ქმნის მხატვრულად შედარებით დაბალი ღირებულების ნიმუშს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 90-იან წლებამდე და მწერლის ევოლუციის შემდეგ საფეხურებზედაც, რის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა იმაში თუ რას ხატავდა მწერალი, არამედ იმაში თუ როგორ ხატავდა იგი. კონკრეტულად, საფრანგეთის რევოლუციის პირისპირ წამდგარი მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიიდან გამოვიდა მხატვრულად შედარებით ნაკლებად ფასეული ნაწარმოებები, მაგრამ ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა იმაში, რომ მწერალმა ყურადღება შეაჩერა აქტიურ პოლიტიკურ საკითხებზე, არამედ იმაში, რომ მან ვერ შესძლო ამ დიდი ისტორიული მოვლენის სწორი გაგება და გაშუქება. თუ კი გოეთეს ნაწარმოებთა ხარისხი უშუალოდ პოლიტიკური თემების დამუშავებითაა გაპირობებული, მაშინ რევოლუციის თემებზე დაწერილი მისი ყველა ნაწარმოები მხატვრული თვალსაზრისით დაბალხარისხოვან ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ. გვაქვს კი სინამდვილეში საქმე ასეთ ვითარებასთან? განა რევოლუციის თემაზე გოეთეს არ შეუქმნია მაღალხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებები? გოეთეს ამ პერიოდის შემოქმედების ობიექტური განხილვა გვიდასტურებს, რომ მწერლის განვითარებაში ეს პერიოდი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არ წარმოადგენს რაღაც არაჩვეულებრივსა და განსაკუთრებულს, რომ მხატვრულად შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწარმოებების გვერდით რევოლუციის თემაზე და რევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშ იგი წერს მხატვრულად მაღალხარისხოვან ნაწარმოებებს. „დიდი კოფტას“, „მოქალაქე ჯენერალისა“ და „აჯანყებულების“ გასწვრივ ამ პერიოდში გოეთე აქვეყნებს მხატვრული პროზის ისეთ შესანიშნავ ნიმუშს, როგორიცაა „კამპანია საფრანგეთში“, ასევე, ეპიკური პოეზიის შესანიშნავ ძეგლს—„ჰერმანი და დოროთეა“, რომლის მაღალი მხატვრული ღირსებები ეჭვის ქვეშ არავის დაუყენებია.

[1] ibid., 486.

გარეგანის, ამ შემთხვევაში პოლიტიკური მოვლენების გამოსახატავად. ამგვარი ყალბი მეთოდოლოგიური წანამძღვრიდან გამოდის გუნდოლფი, როცა იხილავს გოეთეს დამოკიდებულებას მისი დროის დიდი პოლიტიკური მოვლენებისადმი, როცა აკრიტიკებს გოეთეს იმის გამო, რომ იგი არ გადაიჩეხა ესთეტიზმში. აქედან იღებს სათავეს ხელოვნური დაცილება პოეზიაში მიზნისა და საშუალების, გარეგანის მიჩნევა საშუალებად მიზნისაკენ, შინაგანისა კი—არსის გამოხატვის ფორმად.

ამგვარად, გუნდოლფის კონცეფციით, გოეთე შეცდა, გადაუხვია თავისი შემოქმედების ძირითად ხაზს, შინაგან რწმენას, როცა იწყო რევოლუციის შესახებ წერა. დაინტერესდა რა პოლიტიკური მოვლენებით, გოეთემ თურმე უღალატა თავის თავს, ჭეშმარიტ პოეზიას, რის გამოც რევოლუციის შესახებ მდარე ხარისხის ნაწარმოებები გამოუვიდა. გუნდოლფის კონცეფცია რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულებისა უგულებელყოფს არა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ გოეთეს შემოქმედების ისე, როგორც საერთოდ ხელოვნების, მსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრება, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, არამედ იმ ფაქტსაც, რომ გოეთეს შემოქმედებაში ზომიერი, ბიურგერული განწყობილებების გასწვრივ არსებობს მებრძოლ-დემოკრატიული განწყობილებები, რომ ეს უკანასკნელი მწერლის არა მოუმწიფებლობის მაჩვენებელია, როგორც ეს გუნდოლფს მიაჩნია, არამედ მისი შემოქმედების ორგანული თვისება, ძირითადი მხარე*.

წინამდებარე შრომაში დასმული პრობლემის შესწავლაში თავისებური პოზიცია უკავია ფრანგ გერმანისტს ი. ლუაზოს. ის უკანასკნელი გოეთეს შემოქმედების განხილვისას არ უგულებელყოფს სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების მნიშვნელობას. ლუაზო მართებულად შენიშნავს, რომ გოეთემ ვერ მოგვცა საფრანგეთის რევოლუციის სწორი სურათი, მაგრამ რევოლუციისადმი მწერლის დამოკიდებულების ჭეშმარიტ მეცნიერულ ანალიზს

---

* დრეშიც რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების შეფასებას ისეთივე ყალბი მეთოდოლოგიური წანამძღვრებიდან ახდენს, როგორც გუნდოლფი, რომლის წიგნსაც იგი სთვლის საუკეთესოდ, რაც კი უკანასკნელ წლებში დაწერილა გოეთეს შესახებ („Revue universitaire" № 4, 1933, P. 342). ასევე გადაჭარბებულად აფასებს გუნდოლფის დასახელებულ შრომას ალბერტ ფუქსი ემილ შტაიგერის შრომაზე დაწერილ რეცენზიაში. იგი წერს, რომ შტაიგერის წიგნი ეკუთვნის იმ საუკეთესო წიგნების ჯგუფს, რაც შექმნილა გუნდოლფის შემდეგ („Was nach Gundolf. der gross bleibt ... geschaffen worden ist—„Deutsche literarische Zeitung", Heft 4; April 1957, S. 315).

იგი მაინც ვერ იძლევა. გოეთემ, ლუაზოს აზრით, ვერ მოგვცა რევოლუციის მართალი სურათი, რადგან „იგი თავის თავს ანგარიშს აძლევდა იმაში, რომ მეტად ახლო იდგა მოვლენებთან, პირადად ერთობ დაინტერესებული იყო ამ უკანასკნელით, რომ მიუკერძოებლად ემსჯელა მათ შესახებ“ [1]. ლუაზო კიდევ უფრო შორს მიდის, იგი ფიქრობს, რომ გოეთეს არა თუ არ შეეძლო, არამედ არც სურდა საფრანგეთის რევოლუციის ნამდვილი სურათის დახატვა. მის მიზანს თურმე შეადგენდა რევოლუციის ხელაღებით უარყოფა და თავის თანამედროვეთა გაფრთხილება. გოეთეს ნამდვილი შეხედულებები საფრანგეთის რევოლუციაზე, ლუაზოს აზრით, უნდა ვეძიოთ არა რევოლუციის შესახებ დაწერილ დრამებში, არამედ ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებებში“ *.

გოეთეს ნაწარმოებთა მიუდგომელი შესწავლა გვიჩვენებს ამგვარი შეხედულების უსაფუძვლობას, იმას, რომ საფრანგეთის რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების გასაგებად არ შეიძლება ერთიმეორეს დავუპირისპიროთ მწერლის ავტობიოგრაფიული ნაწარმოებები და საფრანგეთის რევოლუციის შესახებ დაწერილი პიესები.

ძირითადი ნაკლი ბურჟუაზიული რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების იმ გაგებისა, რომელსაც ლუაზო იძლევა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამართლებს რევოლუციისადმი მწერლის მიერ გამოჩენილ შიშსა და მერყეობას. ლუაზო სწორად მიიჩნევს გოეთეს აზრს, რომ რევოლუცია საფრანგეთში აუცილებელი იყო, მაგრამ გერმანიაში მისი გადმონერგვა კი შეცდომა იქნებოდაო. „იგი უფრო ლოგიკური და მყარი იყო თავის დამო-

---

[1] H. Loiseau, 65.

* ასეთი შეხედულება, რომლის მიხედვითაც რევოლუციის შესახებ დაწერილი გოეთეს დრამები არის ე. წ. წმინდა მხატვრული ნაწარმოებები, ანდა ცალნბრივი პოლემიკა და არა მწერლის პოლიტიკური შეხედულებების მაჩვენებელი, გავრცელებულია ახალი დროის ბურჟუაზიულ გოეთეანაში. ასეთ აზრს იცავს. მაგალითად, ი. ბაბი (J. Bab, 10). ე. ლ უ დ ვ ი გ ი ს შეხედულებითაც, გოეთეს „დიდი კოფტა“ და „მოქალაქე გენერალი“ წმინდა მხატვრული ნაწარმოებებია“ (L u d w i g E. Goethe. Geschichte eines Menschen, Berlin, 1928, გვ. 534)

ასეთივე აზრისაა პ. ა მ ა ნ ი ც. იგი წერს: „არა მის დაწერილ ნაწარმოებებში უნდა ვეძიოთ პირდაპირი აზრი ამ ქარიშხლის (იგულისხმება—საფრანგეთის რევოლუცია—გ. ხ.) შესახებ. მეტად უბადრუკი აზრი შეგვექმნება საფრანგეთის რევოლუციაზე ამ ორი თუ სამი პატარა პიესის მიხედვით... ეს აზრები მონდომებით უნდა ამოვკრიფოთ მის წერილებში, უმთავრესად კი მის ზოგიერთ თანამოსაუბრეთა შენიშვნებში (A m a n n. P. Goethe et les catastrophes politiques de son temps, „Europe“, avril, 1932, p. 69 (573).

კიდებულებაში, წერს ლუაზო, ვიდრე მისი დროის მრავალი გერ-მანელი"[1].

ლუაზო მხედველობიდან უშვებს, რომ დიდი ისტორიული მოვლენებისადმი ფილისტერული დამოკიდებულების გამომჟღავნება, გერმანიისათვის რევოლუციური განვითარების გზის მიზანშეწონილობის უარყოფა, არ მეტყველებს გოეთეს პოზიციის მყარობასა და ლოგიკურობაზე. ლუაზო მხედველობიდან უშვებს აგრეთვე, იმასაც, რომ უფრო ლოგიკური და მყარი იყო პოზიცია გოეთეს იმ თანამედროვეებისა (ფორსტერი, ზოიმე), რომლებიც არ თვლიდნენ რევოლუციას გერმანიისათვის უცხოდ და მიუღებლად. პრინციპში აყვანა და განდიდება იმისა, რაც წარმოადგენს ბურჟუაზიული რევოლუციის გოეთესეული კონცეფციის ძირითად ნაკლს, აშორებს ლუაზოს დასმული საკითხის ჭეშმარიტად მეცნიერულ გადაწყვეტისაგან.

როგორც ვხედავთ, ერთი წყება ბურჟუაზიული გოეთელოგებისა დიამეტრულად უპირისპირებს ერთიმეორეს გოეთეს შემოქმედებითი განვითარების ე. წ. წინავაიმარულსა და ვაიმარულ პერიოდებს, ხედავს უკანასკნელში მწერლის აშკარად გადაჩეხვას ესთეტიზმის, რეაქციის დამცველთა ბანაკში. ამ თვალსაზრისის დამცველები, მკვეთრად განასხვავებენ რა ერთიმეორისაგან გოეთეს შემოქმედების ამ ორ პერიოდს, ცდილობენ დაინახონ ვაიმარელ გოეთეში დამშვიდებული, მეამბოხურ შეხედულებებზე საბოლოოდ ხელაღებული მწერალი. გამოდიან რა გოეთეს მსოფლმხედველობრივი დაფლეთილობის აღიარებიდან, ისინი ახდენენ მწერლის შემოქმედების სუსტი მხარის აპოლოგიას, ჯვარს უსვამენ იმას, რაც ჭეშმარიტად გენიალურია როგორც წინავაიმარის, ისე ვაიმარის პერიოდის გოეთეს ნაწერებში.

დიდი გერმანელი მწერლის ამგვარ გაგებას საფუძველი ჩაუყარა ე. წ. ჭეშმარიტი სოციალიზმის მიმდევარმა კ. გრიუნმა, რომლის შესახებ ფრ. ენგელსი შემდეგს წერდა კ. მარქსს: „გრიუნი ქებას ასხამს გოეთეს ყოველგვარ ფილისტერობას, როგორც ადამიანურს: იგი ფრანკფურტელ და ჩინოვნიკ გოეთეს აქცევს „ჭეშმარიტ ადამიანად" მაშინ, როდესაც ყოველ კოლოსალურსა და გენიალურს გვერდს უვლის, ანდა კიდევაც აფურთხებს მას; ასე, რომ ეს წიგნი ბრწყინვალე დამტკიცებაა იმის, რომ ადამიანი=გერმანელ მეშჩანს"[2].

---

[1] Loiseau, 80.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. XXI, გვ. 63-64. ფრ. ენგელსის მიერ მოცემული ამ შეფასების სისწორის ბრწყინვალე ილუსტრა-

პრინციპულად სხვაგვარია გოეთეს შემოქმედებითი ევოლუციის გაგება საბჭოთა მეცნიერებაში. გოეთეს შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ფუძემდებელი შეხედულებებიდან გამოსული, საბჭოთა გოეთელოგია ბურჟუაზიული მეცნიერებისაგან პრინციპულად განსხვავებულად აყენებს ამ მწერლის შემოქმედების საკითხს, კერძოდ, ე. წ. ვაიმარული და წინავაიმარული პერიოდების საკითხს. იგი გოეთეს მსოფლმხედველობასა და შემოქმედებას იხილავს მთელს თავის მრავალფეროვნებასა და წინააღმდეგობაში. წინააღმდეგობრიობა გოეთესი საბჭოთა მეცნიერებაში წარმოდგენილია არა როგორც უცელელი, არამედ როგორც ისტორიულად ცვალებადი მოვლენა, იმ სახით, რომ ე. წ. ვაიმარის პერიოდის მწერალთან ადგილი აქვს წინაალმდეგობის არა შესუსტებას, არამედ გაძლიერებას, რისი მსაზღვრელი მიზეზები უნდა ვეძიოთ ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების თავისებურებაში.

განსხვავებით ბურჟუაზიულ გოეთელოგიაში დამკვიდრებული შეხედულებისა, რომლის მიხედვითაც ვაიმარელი გოეთე დიამეტრულად უპირისპირდება წინავაიმარელ გოეთეს, საბჭოთა მეცნიერება ხედავს გოეთესთან ერთიანობას, სისტემას აზრების და შეხედულებებისა, მაგრამ, ერთიანობას წინააღმდეგობრიობაში. იგი ცხადყოფს, რომ გოეთეს წინააღმდეგობრიობაში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება არა მწერლის სუსტ, ზომიერ-ბიურგერულ, არამედ პროგრესულს, ჰუმანურ-დემოკრატიულ განწყობილებებს. გოეთეს ფილოსოფიურ, პოლიტიკურსა და ესთეტიკურ შეხედულებებში ამგვარი სინთეზის ძიებას საერთო არაფერი აქვს იმ სინთეზთან, რომლის დადგენასაც ცდილობს რიგი ბურჟუაზიული გოეთელოგი, რადგან სინთეზი მათთან გაგებულია, როგორც მწერლის მიერ ხელაღებით უარის თქმა თავის მებრძოლ-დემოკრატიულ შეხედუ-

---

ციას წარმოადგენს გრიუნის მიერ „ჰერმანი და დოროთეას“ განხილვა. ამ განხილვის შედეგად გრიუნი ასკვნის, რომ გოეთე მშვიდი, თვინიერი ბუნების ადამიანია და როგორც ასეთისათვის, მისთვის მიუღებელია ბურჟუაზიული საკუთრების უფლების დარღვევა („Seine häusliche, friedliche Natur empörte sich gegen eine Verletzung des Besitzsrechtes, die von der Willkür ausgeübt, ganze Menschenmassen in Flucht und Elend jagte“.—K. Grün. Über Goethe von menschlichen Standpunkte, Darmstadt, 1846, S. 151).

გრიუნის მტკიცების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ დააკავშიროს გოეთე, მომეტებულად კი ვაიმარის პერიოდის გოეთე, ბურჟუაზიულ-მეშჩანურ ყოფასთან. ასევე ბურჟუაზიულ ყოფასთან აკავშირებს ვაიმარში ცადასახლებულ მწერალს ი. ბაბი (J. Bab, 43).

ლებებზე, ანდა ამ უკანასკნელის უგულებელყოფა თვით წინავაიმარული პერიოდის გოეთესთან.

გამოვარკვიოთ თუ გოეთეს შემოქმედების ძირითად საკითხთა კვლევის საბჭოთა მეცნიერებაში მიღწეული შედეგების შუქზე როგორ უნდა გადაწყდეს წინამდებარე შრომაში დასმული ძირითადი საკითხი—გოეთეს დამოკიდებულება ბურჟუაზიული რევოლუციებისადმი, რამდენად სწორი იქნება რევოლუციისადმი მწერლის დამოკიდებულებაში დანახულ იქნას დიამეტრული წინააღმდეგობა ე. წ. წინავაიმარისა და ვაიმარის პერიოდებს შორის. საბოლოო ჯამში ეს კითხვა ადექვატურია კითხვისა—რევოლუციებისადმი გოეთე აბსოლუტურად ნეგატურ დამოკიდებულებას იჩენს თუ პოზიტურსაც? ცხადია, თუ რევოლუციისადმი მწერლის დამოკიდებულებაში დავინახავთ ხელაღებით კრიტიკას, მაშინ გზა გახსნილი რჩება, რომ იგი გამოცხადდეს ფეოდალური წყობის დამცველად, საზოგადოების პროგრესის მოწინააღმდეგედ.

ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მე-18 საუკუნის მიწურულში წინააღმდეგობრიობა გოეთესთან კი არ სუსტდება, არამედ ძლიერდება, რომ ამიტომ შეუძლებელია უგულებელყოთ ამ ხანებში მასთან მკვეთრად გამოვლენილი ბიურგერულ-კონსერვატიული განწყობილებები. ამ ფაქტის უგულებელყოფა ვერ მოგვცემს გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების სწორ სურათს და არსებითად დიდი მწერლისათვის ისეთივე ცუდი სამსახურის გაწევა იქნება, როგორც, უგულებელყოფა მისი მებრძოლ-დემოკრატიული შეხედულებებისა. იხილავს რა გოეთეს წინააღმდეგობრიობას, საბჭოთა მეცნიერება არ უგულებელყოფს ამ მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების სუსტ მხარეს. განსახილველი მასალისადმი სწორედ ამგვარი მიდგომა იძლევა შესაძლებლობას დადგენილ იქნას მწერლის ჰეშმარიტი სახე, უკეთ გამოვლინდეს ის, რაც დიადი და პროგრესულია მასში.

ეპატიჟებოდა რა გოეთეს ვაიმარის სასახლეში, კარლ ავგუსტი ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ შეემოსა თავისი თავი ხელოვნების მფარველის, განმანათლებლის შარავანდედით, არამედ იმ მოსაზრებითაც, რომ გავლენა მოეხდინა დიდ გერმანელ მწერალზე, დაეახლოვებინა იგი ფეოდალურ სასახლეებთან, პრივილეგირებულ კლასთან. გოეთე თვითონვე ატყობდა, რომ ვაიმარის სასახლეში გადასვლისას მის განვითარებაში ახალი ხაზი იწყებოდა, რაც მას აღმავალ ხაზადაც კი ეჩვენებოდა. საიდუმლო მრჩევლად გახდომის გამო იგი აღნიშნავდა: „სასწაულად მოჩანს, რომ მე, 30 წლისამ, როგორც მანამდე სიზმარში, მივაღწიე

დიდების უმაღლეს საფეხურს, რომლის მიღწევაც კი შეეძლო გერმანიაში რომელიმე ბიურგერს“ [1].

ბრძოლა გოეთესათვის, მისი გადაბირებისათვის გარკვეულად ისმება იმ დროის მონარქებისა და დიდგვარიანების წინაშე. ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე გერმანიის ფარგლებს იქითაც, კერძოდ, რუსეთის იმპერიაში. მართალია, პავლე პირველმა სასტიკად აკრძალა რუსეთში გოეთეს მიმდევრობა, მისი ნაწარმოებების გავრცელება იმის მომიზეზებით, რომ გოეთეანელობა ეს იგივე ვოლტერიანელობაა, მაგრამ ამგვარი დამოკიდებულება გერმანელი მწერლისადმი მალე შეცვლილ იქნა. გოეთესადმი დამოკიდებულების ადრინდელი პოლიტიკის რევიზიამ რუსეთში თავი იჩინა სწორედ იმ დროს, როცა მზადდებოდა დეკაბრისტთა აჯანყება. გოეთეს გადაბირებას გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა რუსეთის მმართველი წრეებისათვის. გოეთეს გადაბირებით რუსეთის რეაქცია ფიქრობდა მაგალითი მიეცა ქვეყნის შიგნით ოპოზიციურად განწყობილი მწერლებისათვის.

გოეთესადმი დამოკიდებულებაში ამ ახალი პოლიტიკის დამწყებად გამოვიდა იმპერატორი ალექსანდრე პირველი, რომელიც 1806 წელს ერფურტში ნაპოლეონთან ერთად შეხვდა პოეტს. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე პირველმა მწერალზე ვერ მოახდინა ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც ნაპოლეონმა. გოეთე მიმზიდველად აღწერს შეხვედრას ნაპოლეონთან, მასთან საუბრის მთავარ საკითხს, ალექსანდრე პირველთან შეხვედრას კი იგი ორიოდე სიტყვით იხსენიებს.

ნაპოლეონისაგან მწერალმა საჩუქრად მიიღო „საპატიო ლეგიონის“ ორდენი, რუსეთის მონარქისაგან კი—„წმინდა ანას“ ორდენი. რუსეთის სასახლისაკენ გოეთეს გადაბირების საქმეში განსაკუთრებულ აქტიობას იჩენდა მინისტრი უვაროვი და დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, რომელსაც ვაიმარის მინისტრი გოეთე მოკრძალებით იხსენიებდა. გოეთეს გადაბირებას ცდილობდნენ აგრეთვე სხვა ქვეყნების მოღვაწეებიც. ამ მხრივ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება შესწავლას მწერლის დამოკიდებულებისა ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი ს ა დ მ ი. პოეტს იტაცებდა ნაპოლეონის პიროვნება, რომელიც მას უძლეველობის განსახიერებად მიაჩნდა. თავის მხრივ ნაპოლეონიც პატივს სცემდა ხოლმე „ვერთერის“ ავტორს, თვლიდა მას მსოფლიო ლიტერატურის ერთერთ უშესანიშნავეს მოვლენად.

---

[1] Lewes, G. H. Goethes Leben und Werke, Bd. II, Berlin, 1873, S. 37.

გოეთესადმი დამოკიდებულებაში ნაპოლეონი არ ხელმძღვანელობდა ესთეტიკური ინტერესებით, არამედ, გარკვეულად პოლიტიკური ინტერესებით. უნდა ვიფიქროთ, რომ გოეთეს გულის მოგებით იგი ფიქრობდა თავისი განუსაზღვრელი უფლებების განმტკიცებას; ამიტომ იყო, რომ მან წინადადება მისცა გოეთეს, რათა ამ უკანასკნელს ახლებურად დაემუშავებინა ი. კეისრის ისტორია*. ნაპოლეონს არ აკმაყოფილებდა ამ თემის დამუშავება ვოლტერის მიერ, მას უნდოდა ენახა კეისრის პერსონაჟში თავისი საკუთარი სახე ნაწარმოებისათვის ტრაგიკული ფინალის მიუცემლად. ნაპოლეონის სურვილი იყო ი. კეისრის თემის ახალი გაშუქებიდან გამორიცხულიყო ბრუტუსის, მონარქიის დამხობის ამ პირველი ინიციატორის პერსონაჟი, რადგან ბრუტუსის საქციელი მას სისულელედ მიაჩნდა.

კეისარიზმის შექებას, რასაც ნაპოლეონი მოითხოვდა გოეთესაგან, უნდა ეჩვენებინა მთელი კაცობრიობისათვის, თუ რა დიდ საქმეებს შეასრულებდა კეისარი, რომ მას დაცლოდა და სცენაზე

---

* აღსანიშნავია, რომ ი. კეისრის თემა ადრევე იქცევდა გოეთეს ყურადღებას. ჯერ კიდევ სტრასბურგის პერიოდში, უნივერსიტეტში ყოფნის დროს დაინტერესდა მწერალი ი. კეისრის პიროვნებით და ეს მისი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა მაშინ, როცა იგი გაეცნო შექსპირის შემოქმედებას. ვაიმარში გადასვლის პირველ წლებში გოეთეს უკვე მოხაზული აქვს მთელი გეგმა ტრაგედიისა და დაწერილი აქვს კიდევაც ზოგიერთი ადგილი. ძნელია იმის გარკვევა თუ როგორ გაშუქებას იძლევა ახლა გოეთე ი. კეისრის თემისას, რადგან ნაწერი არ შემონახულა, მაგრამ ის კი სათუო არ უნდა იყოს, რომ ადრინდელ გაგებას ამ თემისას იგი ამ ხანებში მნიშვნელოვნად დაშორებული იყო. მუშაობა კეისრის თემაზე გოეთემ, როგორც ირკვევა, განაახლა ნაპოლეონთან შეხვედრის შემდეგ. მწერალი აღნიშნავს ნაპოლეონისა და ალექსანდრე I-ის ჩამოსვლას ერფურტიდან ვაიმარში, დადგმას ფრანგული დასის მიერ ვოლტერის პიესის—„იულიოს კეისრისა". გოეთე აღნიშნავს, რომ ნაპოლეონმა მისი ყურადღება მიაქცია კეისრის თემის ახლებურად დამუშავების აუცილებლობას („Ich werde bei dieser Gelegenheit aufgefordert einen Brutus im anderen Sinne zu schreiben". Goethes Werke, Auswahl in zwanzig Teilen, Berlin—Leipzig—Wien—Stuttgart, Bd. 6-9; შესავალი წერილი რ. პეხელისა, გვ. XII).

ირკვევა, რომ გოეთეს ფორმალურად უარი არ უთქვამს ნაპოლეონის დაკვეთის შესრულებაზე, რომ მას, როგორც თვითონ გადმოგვცემს, მიზნად დაუსახავს წინ წაეწია საქმე მასალის წინასწარი შესწავლის საფუძველზე („Nach einigen Vorstudien findet man Bedenken weiter zu gehen"(ibid.). სამწუხაროდ, ი. კეისრის თემაზე მწერლის როგორც ამ წინასწარი, ისე მთელი მანამდელი მუშაობიდან არაფერი შენახულა, გარდა მცირეოდენი ნაწყვეტისა, რომელიც ვერ იძლევა წარმოდგენას იმაზე თუ როგორ ესახებოდა მწერალს ი. კეისრის თემა თავისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე.

ბრუტუსები არ გამოსულიყვნენ*. კეისარიზმის თემის დამუშავება, ცხადია, ნიშნავდა პოლიტიკური თემის დამუშავებას, მწერლის მიერ თანადროულობის აქტიურ-პოლიტიკური საკითხისადმი თავისი დამოკიდებულების ჩვენებას. ისურვებდა თუ არა ასეთი თემის აღებას მწერალი, რომელსაც იმ დროსაც ბევრნი პოლიტიკური საკითხისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას საყვედურობდნენ?**. ალბათ ამ საგონებელში იყო ჩავარდნილი თვით ნაპოლეონიც, რომელმაც პოეტს პირველი შეხვედრისთანავე განუმარტა, რომ ბედი—ეს პოლიტიკაა.

„ვერთერის", „პრომეთეს" და „ფაუსტის" ავტორი, ნაპოლეონის აზრითაც, ვერ გამოდგებოდა ი. კეისრის ისტორიის მხატვრულ ამსახველად ამ ნაწარმოებთა არა სოციალურ-პოლიტიკური დამიზნულობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ეს დამიზნულობა აშკარად ანტიტირანული ხასიათის მატარებელი იყო. ცნობილია, რომ ნაპოლეონმა, „ვერთერის" ამ გატაცებულმა მკითხველმა, ჰერდერის შემდეგ და მისგან დამოუკიდებლად, იერიში მიიტანა ამ რომანში პიროვნებისა და საზოგადოების დამოკიდებულების კონტრასტულ ხაზებში გადმოცემის წინააღმდეგ. საყვედურს გოეთეს მიმართ, რომ ვერთერი თავს იკლავს შელახული თავმოყვარეობის და არა უიმედო სიყვარულის ნიადაგზე, საფუძვლად ის ედვა, რომ ნაპო-

---

* თავის დაკვეთას, გოეთესთან საუბარში, ნაპოლეონმა ასეთი მოტივაცია გაუკეთა: „ტრაგედია უნდა იყოს მეფეებისა და ხალხების სკოლა. ესაა მთავარი, რისი მიღწევაც მწერალს შეუძლია. თქვენ, მაგალითად, ღირსეულად და უფრო გრანდიოზულად, ვიდრე ეს ვოლტერმა ბოიმოკმედა, უნდა ასწეროთ კეისრის სიკვდილი. ეს იქნებოდა თქვენი ცხოვრების უმშვენიერესი ამოცანა. საპირო იქნებოდა გვეჩვენებინა ქვეყნისათვის, თუ როგორ გააბედნიერებდა მას კეისარი, როგორ სხვაგვარი, სრულიად სხვაგვარი ყოფა შეიქმნებოდა, რომ მისთვის ეცლიათ თავისი უაღრესად გონივრული გეგმის შესრულება" (Goethe als Persönlichkeit. Berichte und Briefe von Zeitgennossen, gesammelt von H. Amelung, Berlin, 1923, Bd. II, S. 100).

** ამგვარად აფასებდა გოეთეს შარლოტე შტაინი თავისი ვაჟისადმი გაგზავნილ წერილში, რომელშიაც შემდეგს ვკითხულობთ: „Goethes Vorlesungen gehen alle Mitwochen ihren Weg. Ein Viertersdtündchen wird der Politik gewidmet, oder vielmehr den jetzigen Begebenheiten, doch hat er dies nicht gern" (Arnold E. Goethes berliner Beziehungen, Gotha, 1925, S. 65). პოლიტიკისადმი ასეთივე დამოკიდებულებას ხედავს გოეთესთან თ. მანი'ც, რომელიც იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამგვარი დამოკიდებულება განსაზღვრავდა გოეთეს შიშს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისადმი („Sein Grauen vor der Revolution war das Grauen vor der Politisierung, das heisst der Demokratisierung Europas" (Th. Mann. Goethe als Repräsentant des bürgerlichen Zeitalters, S. 449).

ლეონს არ მოსწონდა ვერთერის სოციალური პროტესტი. მისი ანტიტირანულ-დემოკრატიული მისწრაფებები. მსოფლიო დიქტატორის პრეტენზიებით შეპყრობილ კორსიკელს მიაჩნდა, რომ გოეთემ გადაუხვია ბუნებრიობის ხაზს, გაშალა რა ვერთერის ტრაგედია სოციალურ და არა ინტიმური სიყვარულის ფონზე. „ეს არ არის ბუნებისდაგვარი, ეუბნებოდა იგი გოეთეს, და მკითხველში ასუსტებს წარმოდგენას იმ უმძლავრესი გავლენის შესახებ, რომელიც მოახდინა ვერთერზე სიყვარულმა; რატომ მოიქეცით ასე?“ [1].

---

[1] A m e l u n g, 90. ამ ასპექტში ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ რა მოსწონდა და აღფრთოვანებდა ნაპოლეონს „ვერთერში“, რატომ კითხულობდა იგი მას ასე გატაცებით. იმპერატორის ამ აღფრთოვანებას უთუოდ მნიშვნელოვნად განაპირობებდა ნაწარმოების მაღალი მხატვრული ღირსებები, მაგრამ მხოლოდ ამ გარემოებით შეუძლებელია აიხსნას ნაპოლეონის აღფრთოვანება. ფრ. შ ტ რ ი ხ ი ფიქრობს, რომ ვერთერი ნაპოლეონის ქმედით ბუნებას აძლევს პოეტურ-იდეალურ გაქანებას, რომ მისი რევოლუციური გარდაქმნის მისწრაფება პოულობდა მძლავრ სტიმულს მსოფლიო მწუხრის პოეზიაში (S t r i c h, 119), მაგრამ ამ აზრის გაზიარება შეუძლებელია იმ გარემოების გამო, რომ ვერთერიანობა ქმედითობის, სინამდვილეზე ქაქტიური ზემოქმედების უარყოფას წარმოადგენს.

შტრიხს მიაჩნია, რომ ნაპოლეონს ვერთერში აღაგზნებდა ხოლმე ფაუსტური იდეის ნაპერწკალი („Es war ein Funke des faustischen Geistes, der aus dem Werther in Napoleon eindrang und dort zündete“.—Ibid., 199), მაგრამ თუ ამ გარემოებას მივიღებთ გამოსავალ პუნქტად, მაშინ უფრო ბუნებრივი იქნებოდა დაგვესვა კითხვა თუ რატომ იტაცებდა ნაპოლეონს ფაუსტური იდეის ნაპერწკალი, უკეთ, ჩანასახი ამ იდეისა და არა მისი სრულყოფილი ასახვა თვით „ფაუსტში“, რატომ არ იყო იგი აღფრთოვანებული თუ მოხიბლული გოეთეს ამ მონუმენტური ნაწარმოებით. ცნობილია, რომ ერფურტის აუდიენციის დროს „ფაუსტის“ ნაწილები უკვე გამოქვეყნებული იყო და ძნელი დასაჯერებელია, რომ მის შესახებ ნაპოლეონს არაფერი სმენოდა. თანაც, როცა ფაუსტური იდეალისადმი ნაპოლეონის დამოკიდებულების შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ის გარემოება, რომ „ვერთერი“ მხოლოდ ნიადაგს ამზადებს „ფაუსტისათვის“ იმდენად, რამდენადაც ცხადს ხდის, რომ ის დიდი კონფლიქტი, რომლის საფუძველზედაც ვერთერის ტრაგედია იშლება, არ გადაწყდება იმ გზით, რასაც ვერთერი ირჩევს, ცხოვრებიდან გაქცევის, აქტიური მოქმედების უარყოფის გზით. ძირითადი საკითხის ამგვარი გაშუქებით მივყავართ გოეთეს „ვერთერს“ ირიბად იმის შეგნებამდე, რომ საჭიროა მისი გადაწყვეტის სხვა გზა. ირიბად იმიტომ, რომ მწერალს არ გამოაქვს მსჯავრი თავისი რომანის უბედური გმირისათვის, პირდაპირ არ ამბობს, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ის წინააღმდეგობა, რომელმაც ვერთერი იმსხვერპლა. შეუძლებელია ამიტომ მართებულად მივიჩნიოთ ის აზრი, რომ „ვერთერში“ ნაპოლეონი ფაუსტური იდეის ნაპერწკალს ამჩნევდა, იგი მას პრაქტიკული მოქმედებისათვის აღაგზნებდა.

ნაპოლეონი არ ცდებოდა ვერთერის ტრაგედიის ამგვარ გაგებაში, იმის მიჩნევაში, რომ არა სიყვარული, არამედ სოციალური საკითხი წარმოადგენს ვერთერის კატასტროფის ძირითად მიზეზს. ბუნებრივია, ამიტომ, რომ ნაპოლეონი არ მოითმენდა, რომ ი. კეისრის თემა მებრძოლ-პროტესტულ ხაზებში დამუშავებულიყო. წინაპირობას იმისას, რომ ეს თემა ნაპოლეონისათვის სასურველ ხაზებში დამუშავებულიყო, წარმოადგენდა ის, რომ მწერალი არ ყოფილიყო პოლიტიკისადმი ინდიფერენტულად განწყობილი, აგრეთვე ისიც, რომ პოლიტიკით მის გატაცებას არ მიეღო ანტიტირანულ-დემოკრატიული ხასიათი.

ნაპოლეონი უთუოდ დარწმუნებული იყო, რომ შემტევ-სოციალურ განწყობილებათა გამომჟღავნების მხრივ XIX საუკუნის გოეთე სერიოზული შეშფოთების საფუძველს არ იძლეოდა, რომ ვერთერიანობა დიდი გერმანელი მწერლისათვის განვლილ საფეხურს წარმოადგენდა, მაგრამ იმაში კი ნაპოლეონი დარწმუნებული არ იყო, რომ გოეთე შესძლებდა თავი დაეღწია პოლიტიკური ინდიფერენტიზმისათვის ისე, როგორც ამას იმპერატორი ისურვებდა, რომ იგი ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ გამოსვლას შეუთავსებდა იმპერიის დაცვას, მისი განდიდების ამოცანას.

იმ დროს, როცა პრუსია და ევროპის რიგი სახელმწიფოები გართხმული იყვნენ მის წინაშე, ნაპოლეონი ფიქრობდა, რომ გოეთეს იდეურად დააკავშირებდა თავის იმპერიასთან, მწერალს ხელს ააღებინებდა როგორც შემტევ სოციალურ, ისე ინდიფერენტულ - პოლიტიკურ განწყობილებებზე. მწერლის ამგვარი გარდაქმნის საშუალებად მას მიაჩნდა გოეთეს დაახლოება იმპერიასთან, მისი ჩაბმა საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში, მის მიერ საფრანგეთის მონახულება. ამიტომ ეუბნებოდა იგი გოეთეს, რათა ამ უკანასკნელს ენახა საფრანგეთი. „ჩამოდით პარიზში, ეუბნებოდა იგი მწერალს, ამას მოვითხოვ მე თქვენგან. იქ თქვენ შეიმუშავებთ უფრო ფართო მსოფლმხედველობას, ნახავთ თქვენი მხატვრული შემოქმედებისათვის ვეებერთელა მასალას“ [1].

პრუსიის მონარქიაც იძულებულია ანგარიში გაუწიოს გოეთეს, მიმართოს მისი გადაბირების პოლიტიკას, მკვეთრად გაილაშქროს მწერლის მებრძოლ-დემოკრატიული ხასიათის მქონე ნაწარმოებების წინააღმდეგ, შეაქოს და განადიდოს მისი კონსერვატიული განწყობილებები. ცნობილია, თუ როგორ მკვეთრად ილაშქრებდა

[1] ibid., 100.

ფრიდრიხ II „გოეცის“ წინააღმდეგ. ამ ნაწარმოებს იგი მხატვრული გემოვნების დაკარგვის ნიმუშად თვლიდა. „აი ახლა, აბობს ფრიდრიხ II, სცენაზე გამოჩნდა „გოეც ბერლიხინგენი“—ეს უხამსი მიბაძვა ინგლისური პიესისა. პარტერი კი ტაშს უკრავს და ენთუზიაზმით მოითხოვს ამ საძაგელ უმგვანოებათა განმეორებას“[1]. პრუსიის მონარქიისათვის მისაღები იყო კონსერვატიულად მოაზროვნე და არა მებრძოლი განწყობილების მატარებელი მწერალი. ჯერ კიდევ ბურჟუაზიის ოპოზიცია ფეოდალურ პრუსიაში ისე არ გაძლიერებულიყო, რომ მეფეს საჭიროდ დაენახა გოეთეს გამოყენება ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ პოლიტიკური მოვლენებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება არც გერმანიის რეაქციური კლასებისათვის იყო მისაღები. მათ სურდათ სასახლის ცხოვრებასთან საბოლოოდ შეგუებული გოეთე, რომელიც მხარს დაუჭერდა პრუსიის მეფის რეაქციულ პოლიტიკას, გაიმსჭვალებოდა ნაციონალისტურ-შოვინისტური ენთუზიაზმით.

ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიტიკოსი ცდილობს საქმის ვითარება ისე წარმოგვიდგინოს, რომ გოეთე თითქოს კმაყოფილი იყო და თავისი პოეტური განვითარებისათვის ხელშეწყობ პირობებს ხედავდა აბსოლუტური მონარქიის პირობებში. ასეთი აზრისაა, მაგალითად, ი. ლუაზო[2], აგრეთვე ე. ლუდვიგიც[3]. ქვეით, როცა ფეოდალური სასახლეებისადმი გოეთეს დამოკიდებულების მთლიანი სურათის დადგენას შევეცდებით, ვნახავთ, თუ რამდენად საბუთიანია გოეთეზე აბსოლუტური მონარქიის კეთილისმყოფელ გავლენაზე ლაპარაკი. ამჯერად კი ჩვენს მიზანს შეადგენს ცხადვყოთ, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენდა დიდ გერმანელ მწერალზე რეაქციური სამყარო და როგორ იძულებული ხდებოდა პოეტი ხარკი მიეზღო ფეოდალურ-რეაქციული ყოფისათვის.

იმპერატორები და დიდგვარიანები თანხმდებოდნენ იმაში, რომ დაედუმებინათ გოეთეს შემტევ-დემოკრატიული განწყობილებები. პრუსიის მონარქს სურდა გოეთეს გადაქცევა ნაციონალური შუღლის ტრუბადურად. ნაპოლეონი მწერლისაგან თავისი დაპყრობითი პოლიტიკის განდიდებას მოითხოვდა, რუსეთის მონარქებს კი სურდათ გოეთე გამოეყენებინათ რუსეთში რევოლუციურად განწყობილი პოეტების წინააღმდეგ.

---

[1] Lewes, I, 429.
[2] Loiseau, 76.
[3] E. Ludwig, 561.

როგორი იყო თვით გოეთეს პოზიცია, მივიდა თუ არა იგი ლეგიტიმიზმამდე, გახდა თუ არა ნაციონალისტ-შოვინისტი პოეტი, ანდა ნაპოლეონისა და რუსეთის მონარქიის დამცველი? ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა ედვა საფუძვლად ვაიმარის ჰერცოგის ხხრივ გოეთეს მფარველობასა და სასახლის კარზე დაწინაურებას. ჰერცოგის მოქნილმა პოლიტიკამ ნაყოფი გამოიღო. გოეთე „დარწმუნდა", რომ ვაიმარში კარგი პირობებია მისი შემოქმედებითი განვითარებისათვის. იგი ფიქრობს, რომ მტკიცედაა დაკავშირებული ვაიმარის ჰერცოგთან. სასახლეში მყოფი მხცოვანი ვილანდიც ამის გამო წერდა: „ვიდრე ცოცხლობს კარლ ავგუსტი, მის (ე. ი. გოეთეს—გ. ხ.) წინააღმდეგ ჯოჯოხეთიც ვერას გააწყობს"[1]. საფიქრებელია, რომ ჰერცოგთან ამგვარმა დამოკიდებულებამ გარკვეულად შეეწყო ხელი გოეთეს მიერ კლოპშტოკთან დამოკიდებულების გაწყვეტას, იმ კლოპშტოკთან, რომლის „მესიადასაც" იგი სიყრმის პერიოდში თავის და კორნელიასთან ერთად მამისაგან დაფარულად თავდავიწყებით კითხულობდა.

„ჩვიდმეტი წელია, გადმოგვცემს გოეთე, ესტეტები ვაიმარის ჰერცოგის ნდობითა და პატივისცემით შექმნილი იშვიათი ბედნიერებით. ეს ბუნებით უხვად დაჯილდოებული, მშვენიერად განვითარებული თავადი იწონებდა ჩემს კეთილად გამიზნულ, ხშირად არასაკმარის სამსახურს და მაძლევდა განვითარების საშუალებას, რაც შეუძლებელი იყო ყოველ სხვა მმობლიურ პირობებში"[2]. საუბრებშიაც გოეთე იმ აზრს გამოთქვამდა, რომ ჰერცოგი ნამდვილი ადამიანია, რომელსაც შეუძლია არა მარტო ბრძანებლობა, არამედ სხვებისათვის სამსახურიც. იმ დროს, როდესაც გოეთეს, მისივე შეხედულებით, ბევრნი ბრძოლას უმართავდა, მისი საქმეები არც ერთ მეფეს არ აწუხებდა, იმ დროს მხოლოდ ვაიმარის ჰერცოგი იყო მისი დამხმარე და მეცენატი.

Niemals frug ein Kaiser nach mir, es hat sich kein König um mich bekümmert, und Er war mir August und Mäcen". Denn mir hat er gegeben, was Grosse selten gewähren, Neigung, Musse, Vertrauen, Felder und Garten und Haus. Niemand braucht'ich zu danken als Ihm"[3].

ეს ამონაწერი სხვა რეალიებთან ერთად იმაზე მიგვითითებს, რომ ფეოდალური სასახლის პოლიტიკას გოეთეზე ზემოქმედებისას

---

[1] Lewes, I, 377.
[2] Goethes sämtl. Werke, Bd. XX, Stuttg. und. Tüb., 1851, S. 94.
[3] Goethes Werke, Berlin, 1872, Bd. I-II, S., 211.

გარკვეული ნაყოფი გამოუღია, რომ დიდი გერმანელი მწერლის მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში XVIII საუკუნის მიწურულში მკვეთრად გამოვლინდა ფეოდალური ყოფისადმი შემარიგებლური, კონსერვატიული განწყობილებები. ცხადია, მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ამ მხარეს აპირობებს არა ერთეული, დეე იმ დროისათვის გავლენიანი ადამიანების მასზე ზემოქმედება, არამედ ქვეყნის საზოგადოებრივი პირობები, მაგრამ იმის უარყოფაც შეუძლებელია, რომ გოეთეზე ზემოქმედების პოლიტიკამაც გარკვეული ნაყოფი გამოიღო. ამიტომაც მიაჩნდა მწერალს, რომ იგი ეკუთვნის როიალისტთა ბანაკს, რადგან მას, როგორც პოეტს, უკვე მოპოვებული აქვს სათანადო სახელი[1].

კონსერვატიულ-შემარიგებლური განწყობილებები საუკუნის უკანასკნელი ათეული წლების გოეთესთან თავს იჩენს არა მხოლოდ ვაიმარის ჰერცოგის შესახებ გამოთქმულ შეხედულებებში, არამედ ამ პერიოდის მის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში საერთოდ. იგი კანონზომიერი მოვლენაა ამ პერიოდის გოეთეს შემოქმედებაში, განსაზღვრული თვით საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებით. მწერლის ასეთივე განწყობილებებს ვხედავთ მის დამოკიდებულებაში რუსეთის მონარქებისადმი. იქ, სადაც რუსეთის პოლიტიკური ვითარების შესახებ ლაპარაკობს, გოეთე იჩენს დიდ სიფრთხილეს,რათა არ გაამწვავოს დამოკიდებულება რუსეთისა და გერმანიის მონარქებს შორის. მას უთუოდ კარგად ჰქონდა შეგნებული თუ როგორ თანდათან მზარდ გავლენას ახდენდა ევროპის ცხოვრებაზე მონარქიული რუსეთი. როცა გოეთემ გაიგო, რომ მის „იენის საყოველთაო სალიტერატურო გაზეთს“ პეტერბურგშიაც კითხულობდნენ, იგი დარიგებას აძლევს თავის თანაშემწეს, აიხშდატდტს, რათა გაზეთში გაშუქებულ იქნას პეტერბურგის ამბებიც.

1818 წელს გოეთეს მიეცა დავალება მარია თეოდორეს ასულის ვაიმარში მოსვლის დღისათვის პოეტურ-თეატრულად გაეფორმებინა ვაიმარის კულტურული მიღწევები. გოეთემ მიიღო ეს დავალება, როგორც ამას გვიდასტურებს „ნ ი ღ ა ბ თ ა ს ვ ლ ი ს“ შესავალი და შეასრულა კიდევაც. 1804 წელს გოეთეს ხელში უვარდება ა. ს. შიშკოვის წიგნი—„გ ა ნ ს ჯ ა ძ ვ ე ლ ს ა დ ა ა ხ ა ლ რ უ ს უ ლ მ ა რ ც ვ ა ლ ზ ე“. ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა არა ის ფაქტი, რომ მწერალი არ იყო მაღალი შეხედულების ამ წიგნის მეცნიე-

[1] Goethes Werke, Bd. III, Stuttg. u. Tüb., 1854, გვ. 109.

რულ ღირებულებაზე, არამედ მითითება, რომელსაც იგი აძლევდა გაზეთის რედაქციას ამ წიგნის გამო, ჰოთხოვნა, რომ რედაქციამ წიგნისადმი თაყვანჭერილი დამოკიდებულება გამოიჩინოს; უამისოდ, პოეტის აზრით, შეიძლებოდა დამოკიდებულების გაფუჭება რუსეთის სასახლესთან.

დეკაბრისტთა მოძრაობას რუსეთში გოეთე დუმილით შეხვდა, თუმცა შეუძლებელია იმის დაშვება, რომ იგი არ იყო გაცნობილი ამ მოძრაობას. „ვერთერისა“ და „ფაუსტის“ ავტორში დეკაბრისტები ხედავდნენ თავიანთი მისწრაფებების მხარის დამჭერს. ისინი, ცხადია, ფანატიკურად არ იხრიდნენ ქედს ვაიმარელი გენიოსის წინაშე, არამედ მასში თავიანთი შეხედულებების დასაყრდენს ეძებდნენ და, როგორც კი რწმუნდებოდნენ, რომ დიდ გერმანელ მწერალთან მკვეთრად ეჩინა თავი კონსერვატიულ განწყობილებებს, მწუხარებით ხელს იქნევდნენ. ასე მოუვიდა, მაგალითად, ცნობილ კიუხელბეკერს, რომელიც წერდა: „გოეთეს მეფობა ჩემს სულზე დამთავრებულია. რაც არ უნდა ილაპარაკოს მის სასარგებლოდ „გეზლიტმა“, შეუძლებელია, კვლავ მოვიყარო მუხლი ჩემი ადრინდელი იდეალის წინაშე, როგორც ამას ჩავდიოდი 1824 წელს, და როგორც ეს ვაიძულე მოემოქმედებინა ჩემთან ერთად მთელს რუსეთს“.

დეკაბრისტთა მოძრაობისადმი გოეთეს დამოკიდებულებას შუქს ფენს მწერლის მიერ რუსეთში თავისი პატივისმცემლებისადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც დაიბეჭდა „მოსკოვის უწყებაში“ 1823 წელს. წერილში გოეთე ასეთ დარიგებას აძლევდა თავის მიმდევრებს: „ისეთივე თანდათანობით, როგორც აქამდე, განაგრძეთ თქვენი თანამემამულეებისათვის იმის გადაცემა, რასაც მათთვის აქვს მახლობელი სარგებლობა. გყავდეთ რა მუდამ მხედველობაში მონარქი და მისი ბრძნული, კეთილი განზრახვები, თქვენ თქვენი მხრივ შეასრულეთ ის, რაც თქვენთვისაა განკუთვნილი... დეე, თქვენი გულის დასტური, თქვენი უფროსების დასტურთან ერთად, მუდამ იყოს თქვენთვის გამამხნევებელი საჩუქარი... განაგრძეთ მშვიდად გააცნოთ ადამიანი თავის თავს; დეე, იგრძნოს მან თავისი ფასი, ღირსება და ისწაულოს გაგება იმ ადგილისა, რომელიც მისთვისაა განკუთვნილი მთელი ქვეყნის და, განსაკუთრებით, ამ უკანასკნელის განსაზღვრული შინაგანი წრის ფიმართ“ [1].

---

[1] Московский вестник, ч. IX, Москва, 1823, зг. 330.

ეს ამონაწერიც გარკვეულად შუქს ფენს გოეთეს კონსერვატიულ მისწრაფებას [1]. მწერლის იგივე მისწრაფებები თავს იჩენს იმ შეფასებაში, რომელიც მან მისცა ნაპოლეონის დამოკიდებულებას ვაიმარის ჰერცოგისადმი. ნაპოლეონი კარლ ავგუსტში პრუსიის სამხედრო და ფინანსურ დამხმარეს ხედავდა. ჰერცოგის საქციელი მან ამიტომ შეთქმულებად ჩათვალა, რამაც უსაზღვროდ აღაშფოთა გოეთე. ჩვენთვის, დასმული პრობლემის შუქზე, მნიშვნელოვანია არა ის ფაქტი, რომ გოეთე უპირისპირდება ნაპოლეონს, რადგან ცნობილია, რომ ნაპოლეონი, წმენდდა რა ფეოდალური პრუსიის ავგიოსის თავლებს, მაინც დამპყრობლად ევლინებოდა ხალხებს, არამედ ის ფაქტი, რომ იგი ჰერცოგის დამცველად გამოდის. გოეთე მიზნად ისახავს დაიცვას ვაიმარის ჰერცოგი ნაპოლეონის ბრალდებისაგან, დაინახოს მის საქციელში იდეურად ხალხთან დაახლოებული თავადი.

„ბალღები და ქალები, წერს გოეთე, როცა ისინი შეგვხვდებიან სოფლად, გაახელენ ნამტირალ თვალებს და ერთიმეორეს ასე გადაულაპარაკებენ: შეხედე, ესენი არიან მოხუცი გოეთე და ვაიმარის ყოფილი ჰერცოგი, რომელიც საფრანგეთის იმპერატორმა ტახტიდან გადააყენა იმიტომ, რომ ჰერცოგი ერთგული დარჩა ებედურებაში ჩავარდნილი მეგობრისადმი, იმიტომ, როდ მან მოინახულა თავისი მომაკვდავი ბიძა, ჰერცოგი ბრაუნშვაიგელი... მე ვიმღერებ ნაპერი პურისათვის, განაგრძო გოეთემ, გავხდები მოედნის პოეტი და გავლექსავ ჩვენს უბედურებას. მე გავწევ ყველა სოფლისა და სკოლისაკენ, სადაც კი ცნობილია გოეთეს სახელი, ვიმღერებ გერმანელთა გაბახების შესახებ და ბავშვები ვალდებული გახდებიან ისწავლონ ჩემი უხამსი ლექსები, ვიდრე ისინი დავაკაცდებოდნენ და მაღლა, ისევ ტახტზე მჯდომს ჩემს ბატონს, და ჩვენ კი დაბლა მყოფს, სიმღერას მოგვაწვდიდნენ“ [2].

როგორც ვხედავთ, იმ დიდი პოლიტიკური ამბებისადმი დამოკიდებულებაში, რომელთაც ადგილი აქვს XVIII საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებსა და XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში, ფეოდალური სასახლეებისადმი დამოკიდებულებაში გოეთე გარკვეულად ამჟღავნებს შემარიგებლურ განწყობილებებს, გამოთქვამს შიშს ფეოდალური ყოფის დანგრევის წინაშე. მაგრამ ჩვენ საფუძველშივე შემცდარი ვიქნებით, თუ ფეოდალური სასახ-

---

[1] შდრ. Baldensperger. Goethe et la legion d'honneur, „La revue de Paris“, 15 Mars, 1932, p. 375.

[2] Amelung. Bd. II, 96.

ლეებისადმი მწერლის მიმართებაში დავინახავთ მის მხოლოდ კონსერვატიულ მისწრაფებებს, თუ გოეთეს გამოვაცხადებთ სასახლის მწერლად, ფეოდალური ყოფის აპოლოგეტად. ასეთი რამ გოეთეს დიდი მემკვიდრეობის ფალსიფიკაცია იქნებოდა. იმისათვის, რომ დადგენილ იქნას ერთიანობა ბურჟუაზიული რევოლუციების შესახებ გოეთეს ნაბრძოლში, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთიანობის დადგენას ფეოდალური სასახლეების შესახებ მის შეხედულებებში.

როგორც ბურჟუაზიული რევოლუციებისადმი, ისე ფეოდალური სასახლეებისადმი გოეთეს დამოკიდებულება წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ რ ი ვ ი ხასიათისაა. მასში თავს იჩენს მწერლის მსოფლმხედველობის როგორც სუსტი, ისე ძლიერი მხარე. მაგრამ გოეთეს სიდიადე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი დროის დიდი პოლიტიკური ამბებისადმი, ფეოდალური საზოგადოებისადმი მის დამოკიდებულებაში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება მწერლის მსოფლმხედველობის არა სუსტ, არამედ ძლიერ მხარეს, არა კონსერვატიულ-ფილისტერულს, არამედ ჰუმანიურ-დემოკრატიულ განწყობილებებს.

ის გარეშეა, რომ გოეთეს შემოქმედებაში XVIII საუკუნის მიწურულში ძლიერდება ბიურგერულ-შემარიგებლური განწყობილებები, არამც და არამც არ ნიშნავს, რომ მწერალმა უკუაგდო თავისი შემოქმედების ჯანსაღი, ხალხური საწყისები, იგი ფეოდალური სასახლეების ინტერესებს დაუქვემდებარა. იგი არ ნიშნავს, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, რომ მწერალმა საფუძველშიც უარყო ბურჟუაზიული რევოლუციის იდეები, ადრინდელი მებრძოლ-დემოკრატიული მისწრაფებები.

ამაში გვაწმუნებს განხილვა მწერლის დამოკიდებულებისა ფეოდალური სასახლეებისადმი, თავისი ხალხის, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებისადმი. ღებულობს რა ვაიმარის ჰერცოგის მიპატიჟებას, მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობას, გოეთე ხელმძღვანელობს არა პირადი განდიდების სურვილით, არა რანგებისა და ორდენების მიღების სურვილით, არამედ სახალხო ინტერესებით. ვაიმარის პირველი მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს გოეთე სახავს გერმანელი ხალხის სანუკვარი ოცნების, ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების პროგრამას, გადაჭრით იბრძვის შექმნას ეკონომიური ბაზა ამგვარი გაერთიანებისათვის, დანერგოს მოწინავე ტექნიკა, განავითაროს ვაჭრობა და აღებმიცემობა, სამიმოსვლო საშუალებები, რათა საფუძველი გამოეთხაროს ნატურალურ მეურნეობას, ფეოდალურ პარტიკულარიზმს.

როგორც მოქალაქე და სახელმწიფო მოღვაწე, გოეთე გვეელინება საუკუნის უდიდეს ადამიანად, თავის ხალხთან იდეურად ღრმად დაკავშირებულად, სხვა ხალხთა ღირსების პატივისმცემლად. მწერალი სახავს დაქუცმაცებული ქვეყნის ბურჟუაზიული გარდაქმნის ფართო გეგმას, ბატონყმობის უღლის ქვეშ მგმინავი გერმანელი ხალხისათვის ტვირთის შემსუბუქების, საგადასახადო სისტემის რეფორმის, მეურნეობის, სამიმოსვლო საშუალებათა განვითარების გეგმას. ამასთანავე იგი ცდილობს აზიაროს თავისი ხალხი ხელოვნების მაღალ ქმნილებებს, ხელი შეუწყოს გერმანული კულტურის აღორძინებას.

გოეთეს დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მისი მ ო ხ ს ე ნ ე ბ ე ბ ი, წაკითხული ვაიმარის საზოგადოებაში. ამ მოხსენებებში ჩანს არა მხოლოდ ღრმად განათლებული, მისი დროის მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში კარგად ორიენტირებული საზოგადო მოღვაწე, არამედ თავისი ქვეყნის დიდი გულშემატკივარი, ეკონომიურ-ტექნიკური და კულტურული პროგრესისათვის დაუღალავი მებრძოლი. როგორც შესავალი საუბრიდან ჩანს, მწერალს განუზრახავს ფართოდ მიმოიხილოს ქვეყნის განვითარების საკითხები, არ დატოვოს ყურადღების გარეშე არც ერთი მოვლენა, რომელსაც ცოტა თუ ბევრად მნიშვნელობა ექნება ხალხში სასარგებლო ცოდნის გავრცელებისათვის, საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესისათვის.

ცხადი ხდება, რომ გოეთესათვის საფუძველშივე მიუღებელია თავისში ჩაკეტილი, ცხოვრების საჭიროებათაგან მოწყვეტილი კულტურა და ხელოვნება, არამედ მისაღებია მხოლოდ ისეთი ხელოვნება, რომელიც ღრმად უშვებს ფესვებს თანადროულობაში, ცხოვრების ასახვისა და მისი გაუჯობესების ამოცანას ემსახურება. პირველივე საუბარში გოეთე კრიტიკის საგნად იხდის ისეთ მწერალს, რომელიც მხოლოდ თავისი პიროვნებით იფარგლება, ფიქრობს, რომ მისი მოქმედების წარმმართველი და შთამაგონებელია მუზები. („Es scheint, als bedürfe der Dichter nur sein Selbst und horche am sichersten in der Einsamkeit auf die Eingebung der Musen")[1].

ასეთ ფიქრს, ხელოვნების ამოცანის ამგვარ განსაზღვრას გოეთე თავისმოტყუებას უწოდებს (Selbstbetrug). იგი მართებუ-

---

[1] Goethe. Annalen. biographische Einzelnheiten. Sämtl Werke, Bd. XV, der Tempel—Verlag in Leipzig. S. 361.

ლად სვამს კითხვას, თუ რა იქნებოდნენ მწერლები და მხატვრები, რომ მათ განკარგულებაში არ ყოფილიყო ის ნაწარმოებები, რომლებიც საუკუნეებსა და ყველა ხალხს შეუქმნია. რომ ხელოვნების წარმატება ორგანულად დაკავშირებულია ხალხთა ცხოვრებასთან, რომ მხოლოდ ამ კავშირის მეოხებით მიიღწევა ხელოვნების მაღალი ნიმუშები, ამის საილუსტრაციოდ მწერალს მოყავს ანტიკური მხატვრები, რომლებმაც „იმიტომ მიაღწიეს ხელოვნების მწვერვალს, რომ მათ სწრაფვაში მთელი ხალხები ძონაწილეობდა". საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ასეთივე კავშირის აუცილებლობას აღიარებს გოეთე მეცნიერებისათვის, მიიჩნია, რომ მეცნიერებაც, მსგავსად ხელოვნებისა, ვითარდება არა განმარტოებაში, არამედ ხალხთან კავშირში, აზრთა ბრძოლაში, წინააღმდეგობაში (იქვე).

იხილავს რა სახვითი ხელოვნების მდგომარეობას და მისი განვითარების პერსპექტივებს გოეთე ხელოვნების ამ დარგის თვითეული მუშაკის, ხელოვნების ყველა სკოლისათვის სახელმძღვანელო დებულებად აყენებს ხალხთან, ეპოქასთან კავშირს, მათი მოთხოვნების გამოხატვას. „როგორც ხელოვანი, ისე ხელოვნების სკოლაც, წერს იგი, შეუძლებელია განვიხილოთ იზოლირებულად. იგი დაჰკიდებულია იმ ქვეყნისაგან, რომელშიაც ხელოვანი ცხოვრობს. თავისი ერის საზოგადოებისაგან, განსაკუთრებით იგი ვალდებულია... უსწორდეს თავის ეპოქას, მისი მოთხოვნებისათვის იღვწოდეს".

აღსანიშნავია, რომ გოეთე არ იფარგლება ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულების ზოგადად აღიარებით, არამედ იხდის მას სახელმძღვანელოდ თავისი მოღვაწეობისათვის, უჩვენებს ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკე დარგების მაგალითზე ამგვარი კავშირის მნიშვნელობასა და აუცილებლობას. იგი იხილავს ძდგომარეობას და განვითარების პერსპექტივას ფერწერული ხელოვნებისა, მუსიკის, თეატრის, ქორეოგრაფიული ხელოვნების, არქიტექტურის, მხატვრული ლიტერატურის და ხელოვნების სხვა დარგებისა. მწერალი გულმოდგინედ იხილავს აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, ბეჭდვითი საქმის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივას.

განსაკუთრებით ფართო ასპექტში სურს მწერალს განიხილოს ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების საკითხი მისი დროის გერმანიაში. მისი ყურადღების ცენტრშია მოქცეული ბოტანიკის, ფიზიკის, ქიმიის განვითარების საკითხი. მწერალს განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიაჩნია ის წარმატე-

ბები, რომლებიც მოიპოვა ქიმიურმა მეცნიერებამ, კერძოდ ტექ-ნოლოგიურმა ქიმიამ, წარმატებები მექანიკის, მათემატიკისა და გეოგრაფიულ მეცნიერებათა განვითარებაში. სამწუხაროდ, გოეთეს არ მიუყავს ბოლომდე თავისი დაკვირვებები ქვეყნის სამეურ-ნეო-კულტურულ განვითარებაზე. მაგრამ დარჩენილია სქემა, მონახაზი იმ საკითხებისა, რომელთა შესახებაც მას თავისი შეხე-დულებები შემდეგ უნდა გადმოეცა. ამ სქემიდან ნათლად ჩანს, თუ საკითხთა რა ფართო პროგრამას აყენებდა გოეთე. როგორ შორს მიდიოდა მისი საზოგადოებრივ-პრაქტიკული მოღვაწეობა ვაიმარის სასახლეში ყოფნის დროს.

ამ სქემაში სხვა მრავალთა შორის გათვალისწინებულია ასეთი საკითხები: ჰიდროტექნიკური დანადგარი, ამოშრობითი სამუშაოები, ხანძრის საწინააღმდეგო საშუალებები, ობლების სახ-ლის აგება, ჭკუიდან შეშლილთათვის სახლის აგება, საძოვარი ადგილების გასწორება, ფასების აწევა სანოვაგეზე სოფლის მცხოვ-რებთა სასარგებლოდ, მესაქონლეობა, მეცხვარეობა, ფაბრიკები, წინდების საქსოვი ფაბრიკა, ბამბის სართავი ფაბრიკა, ხალიჩები, სხვადასხვა სახის ქაღალდები და მრავალი სხვა.

ცნობილია, რომ გოეთე არა მხოლოდ თეორიულად აყენებდა ამ საკითხებს, არაფერად სავალდებულოდ იხდიდა მათ განხორციე-ლებას თავის პრაქტიკულ საქმიანობაში. ცხადია, სოციალურ გარდაქმნათა ის პროგრამა, რომელსაც გოეთე აყენებდა, ძირითა-დი ნაკლოვანებითაც ხასიათდებოდა. ეს ნაკლოვანება იმაში მდგო-მარეობდა, რომ ამ გარდაქმნათა განხორციელებას ნწერალი ფიქ-რობდა მხოლოდ და მხოლოდ ევოლუციური გზით, მაგრამ გოეთეს ეს პროგრამა მაინც ფრიად საყურადღებო მოვლენას წარმოად-გენს, რადგან იგი, მიუხედავად წინააღმდეგობრიობისა, ხელს უწყობდა საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესს. გოეთეს ეს პროგრამა ამასთანავე ცხადყოფს, რომ ბურჟუაზიული რევოლუ-ციის კრიტიკისას მწერალი არ გამოდიოდა ფეოდალური კლასის პოზიციიდან, რომ ფეოდალური საზოგადოება მას არ მიაჩნდა მყარად და გარდაუვალად, არამედ ისეთად, რომელსაც გზა უნდა დაეთმო უკეთესი ყოფისათვის.

გოეთეს ეს პროგრამა იმას მოწმობს, რომ მწერალი კონსერ-ვატიული განწყობილების გამომჟღავნების მიუხედავად, არ დგას ფეოდალურ-რეაქციული ყოფის აპოლოგიის ნიადაგზე, არამედ იდეურად თავის ხალხთანაა დაკავშირებული. ამით უნდა აიხსნას, რომ ვაიმარის პირველი მინისტრის—გოეთეს სოციალური პრო-გრამა აწუდებოდა თავადაზნაურობის მკვეთრ წინააღმდეგობას.

თავადაზნაურობა უკმაყოფილო იყო უპირველეს ყოვლისა არა იმით, რომ გოეთე აო იყო არისტოკრატიული წარმომობის, არამედ იმით, რომ გოეთე-მინისტრის ეკონომიური პოლიტიკა არსებითად ამ კლასის წინააღმდეგ იყო მიმართული და ხელს უწყობდა ბურჟუაზიული საწარმოო ძალების განვითარებას, ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას. გოეთე-მინისტრის სოციალური პროექტები არ განხორციელდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას წინააღმდეგობა გაუწია ფეოდალურმა კლასმა, არამედ იმიტომაც, რომ მას იხარი არ დაუპირა თვით გერმანიის ბურჟუაზიამაც. არ განხორციელდა გოეთეს საზრუნაკი—შეა გერმანული სამთავროების პოლიტიკური გაერთიანება.

თ ა ვ ი IV

ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის გაგების საკითხი გოეთესთან

ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ფეოდალური სასახლეებისადმი გოეთეს დამოკიდებულებაში შეუძლებელია დანახულ იქნას ფეოდალური წყობის აპოლოგეტი, რომ ამ დამოკიდებულებაში ნათლად ჩანს თავისი დროის მოწინავე სოციალური იდეების დამცველი მწერალი. ეს გარემოება გარკვეულად შუქს ფენს ბურჟუაზიული რევოლუციებისადმი გოეთეს დამოკიდებულების არსს, გვირკვევს, რომ იგი არ შეიძლება შეფასებულ იქნას როგორც ბურჟუაზიული რევოლუციების ისტორიული მნიშვნელობის აბსოლუტური უარყოფა. თუ იმ თვალსაზრისზე დავდგებით, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციას გოეთე ფეოდალური კლასების პოზიციიდან აკრიტიკებდა, მაშინ აუხსნელი დარჩება ის ფაქტი, რომ ფეოდალური საზოგადოებისადმი დამოკიდებულებაში ვაიმარის პერიოდის გოეთე ამჟღავნებდა არა მხოლოდ კონსერვატიულ, არამედ პროგრესულ-დემოკრატიულ მისწრაფებებსაც, რომ იგი პრაქტიკულად და თავისი შემოქმედებით აქტიურად იბრძოდა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის, ახალი საწარმოო ურთიერთობის განვითარებისათვის.

ფაქტები გვიდასტურებს, რომ იმ პერიოდშიაც, როცა წინააღმდეგობრივობა გოეთეს სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებში განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა, ბურჟუაზიული რევოლუციის კრიტიკის გასწვრივ მწერალი გარკვეულად გამოთქვამს მისდამი თავის პოზიტურ დამოკიდებულებასაც, ცდილობს ჩაწვდეს რევოლუციის არსს და ალაგ-ალაგ ანვითარებს საყურადღებო აზრებს რევოლუციის დადებითი მნიშვნელობის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ კონსერვატიულ-ფილისტერული განწყობილებები, რომლებიც

აშკარად იჩენს თავს 90-იანი წლების გოეთეს შემოქმედებაში, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ამ პერიოდის მწერლის შემოქმედების წამყვან მხარედ, მით უფრო არ შეიძლება იგი მიჩნეულ იქნას ასეთად გოეთეს მთელი შემოქმედებისათვის. ლაპარაკობს რა გოეთეს შემოქმედების ამ მხარეზე, ფრ. ენგელსი საილუსტრაციო მასალად აყენებს გოეთეს არა მთელს შემოქმედებას, არამედ გოეთეს ნაწარმოებთა ერთ ჯგუფს.

ბურჟუაზიული რევოლუციებისადმი გოეთეს დამოკიდებულებაში მაშინაც, როცა იგი რევოლუციის კრიტიკით გამოდის და მაშინაც, როცა რევოლუციის დადებით მნიშვნელობაზე მიუთითებს, ნათლად ჩანს თავისი ხალხის მოამაგე, სხვა ხალხთა ღირსებისა და სუვერენიტეტის პატივისმცემი მწერალი, რომელიც მიისწრაფვის შეუმსუბუქოს ტვირთი ხალხს, გააუმჯობესოს მისი ცხოვრება. აკრიტიკებს რა ბურჟუაზიულ რევოლუციას, გოეთე, როგორც ეს ზევით ვუჩვენეთ, იმის შეგნებით ხელმძღვანელობს, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია არ ახორციელებს ხალხის სანუკვარ ოცნებას, არ უღებს ბოლოს სოციალურ ჩაგვრას. თანაუგრძნობს რა გულის სიღრმემდე იმ ხალხს, რომელიც ლუკმაპურისათვის იბრძვის, სიღარიბეში სულს ღაფავს, გოეთე ამასთანავე მიუთითებს, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში არა ეს მასა აძლევს ტონსა და მიმართულებას მოძრაობას, არაჰედ სხვადასხვა ჯურის დემაგოგები და ეგოისტები, ისინი, რომლებიც მოხერხებულად იკეთებენ თავისუფლებისა და თანასწორობის დამცველთა ნიღაბს და რევოლუციურ მოძრაობას თავიანთი ეგოისტური მიზნებისათვის იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ მწერალს მცდარად ესმის რევოლუციური მასის როლი, იგი საფრანგეთის რევოლუციის გარიჟრაჟზე მშვენივრად მიხვდა, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციას არ მოაქვს კაცობრიობისათვის აღთქმული ბედნიერება, რომ იგი სპობს მიოლოდ ჩაგვრის ერთ ფორმას და აკანონებს ჩაგვრის ახალ ფორმას. დიდი მანძილი არ აშორებდა გოეთეს იმ პერიოდთან, როცა ბურჟუაზიამ ჩამოიხადა რევოლუციური ჰეროიზმის, წარსულის საბრძოლო რომანტიკის ნიღაბი და გამოაჩინა თავისი ნამდვილი—ეგოისტურ-ექსპლოატატორული ბუნება.

გოეთეს მრავალმხრივი შემოქმედება, აგრეთვე მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა იმას გვიდასტურებს, რომ ბურჟუაზიული რევოლუციებისადმი მის მიმართებაში შეინიშნება არა მხოლოდ კრიტიკული, არამედ პოზიტური დამოკიდებულებაც, რომ საზო-

გადოებრივი მოვლენების შეფასებისას, მაშინაც კი, როცა აშკარად მცდარ შეხედულებას ანვითარებს, მწერლისათვის გამოსავალ პუნქტს წარმოადგენს ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, კაცობრიობისათვის ბედნიერი მომავლის შექმნა. ხალხის, კაცობრიობისათვის ეს უანგარო მებრძოლი მწერალი ჩანს როგორც ადრინდელ, ისე სიმწიფის პერიოდის ნაწარმოებებში, ასევე იმ ნაწარმოებებშიაც, რომლებშიაც ყველაზე ძლავრად ჩანს ძისი მსოფლმხედველობის სუსტი მხარე, სახელდობრ, საფრანგეთის რევოლუციის თემაზე დაწერილ მხატვრულ ნიმუშებში.

ყურადღებას იქცევს ამ ბრივ მაღალი მხატვრული ოსტატობით შესრულებული დრამა „ე გ მ ო ნ ტ ი“, რომელშიაც აშკარად იგრძნობა რევოლუციის მოახლოება. წინამდებარე შრომაში ნაჩვენები იყო, თუ როგორი კვალი დააჩინა ამ დრამას მწერლის ზომიერ-ბიურგერულმა განწყობილებებმა, როგორ შეარბილა მწერალმა ის სოციალური კონფლიქტები, რომლებიც მე-17 საუკუნის ნიდერლანდელი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებდა. მაგრამ ამ დრამისათვის ისე, როგორც გოეთეს შემოქმედებისათვის საერთოდ როდია ძირითადი და ნიშანდობლივი ეს ზომიერ-კონსერვატიული ხაზი, არამედ, ჰუმანისტურ-დემოკრატიული ხაზი.

ამ ნაწარმოებშიაც ნათლად აღინიშნება გოეთეს მსოფლმაედველობის წინააღმდეგობრიობა, წინააღმდეგობა მებრძოლ-დემოკრატიულსა და ზომიერ-ბიურგერულ განწყობილებებს შორის. ცხადდ ხდება, რომ, აკრიტიკებს ოა ბურჟუაზიულ რევოლუციას, მწერალი არაა განწყობილი უარყოს ამ რევოლუციის მნიშვნელობა, პირიქით, იმას აღიარებს, რომ რევოლუციას აქვს ღრმა სოციალური ფესვები, რომ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში იგი აუცილებელია და გარდაუვალი. მწერლის ეს თვალსაზრისი ჩანს მის მიერ მე-17 საუკუნის ნიდერლანდელი ხალხის ბრძოლის სურათების დახატვაში, ისტორიული ეგმონტის ტრაგედიის გაშუქებაში. დრამის მასალის არჩევაშიაც ნათლად ჩანს გოეთეს მსოფლმაედველობის პროგრესული მხარე, მისი მებრძოლიჰუმანიური იდეალები.

გოეთეს დაინტერესება ეგმონტის პიროვნებით ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ ისტორიულ ეგმონტში ისე, როგორც ისტორიულ გოტფრიდ ბერლიხინგენში, იგი ხედავდა წინააღმდეგობრივ ნატურას და, ამდენად, ტრაგედიისათვის შესაფერის გმირს. მასში იგი ხედავდა ერთი მხრივ ფეოდალს, რომელსაც არ სურდა ნიდერლანდეთში ფეოდალური წყობილების მოსპობა, მეორე მხრივ კი, ისეთ პიროვნებას, რომელსაც „გარემოებათა ძალა“ ეწევა ხალათან დაახლოებისაკენ, აქცევს გამათავისუფლებელი მოძ-

რაობის გმირად ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. გოეთეს გათვალისწინებული ჰქონდა, რომ ისტორიული ეგმონტი თავისი სოციალური მდგომარეობის შედეგად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას რევოლუციონერად, ხალხთა მოაბაგედ, მაგრამ გათვალისწინებული ჰქონდა ისიც, რომ ობიექტურად, თავისი სურვილის წინააღმდეგ, იგი ხელს უწყობს ტირანიის წინააღიდეგ მიმართულ ბრძოლას.

გადმოსაცემი მასალისადმი ამგვარი მიდგომა ნათლად მეტყველებს, რომ დაახლოებას ფეოდალურ სასაალეებთან მწერალი არ მიუყვანია რევოლუციის აბსოლუტურ უარყოფამდე, თავისი ადრინდელი მებრძოლ-დემოკრატიული შეხედულებების რადიკალურ გადასინჯვამდე. ამას გვიდასტურებს ის გარემოება, რომ ეგმონტის პრობლემატიკა იმავე იდეურ სიბრტყეზე ძევს, რომელზედაც „გოეც ფონ ბერლინხინგენის“, „პრომეთეს“, „ფაუსტის“ და გოეთეს სხვა ნაწარმოებთა პრობლემატიკა.

თუ მივიჩნევთ, რომ 90 იანი წლები მწერლის იდეურ განვითარებაში წარმოადგენს რადიკალური გარდატეხის პერიოდს, რომ გოეთემ ამ ხანებში გადაჭრით აიღო ხელი თავის ანტიტირანულ, მებრძოლ-დემოკრატიულ განწყობილებებზე და ფეოდალური ყოფის აპოლოგეტი გადხა, მამინ სრულიად გაუგებარი გაადება, რომ რევოლუციის გარიჟრაჟზე იგი წერს „ეგმონტს“, რომელშიაც არსებითად რჩება ანტიტირანულ, მებრძოლ-დემოკრატიულ პოზიციაზე, იცავს ტირანიის წინააღმდეგ ხალაის ამბეიდრების იდეას, ასაბუთებს ხალხის უფლებას რევოლუციაზე. ფაქტობრივი მასალა, ამ ხანის გოეთეს შემოქმედება და ბოლოწეობა კი იმას გვემოწმება, რომ ამგვარი დაშვება მოკლებულია საბუთიანობას, რევოლუციის თემაზე იწერლის ძიერ დაწეოილ ნაწარმოებთა, მისი მსოფლმხედველობის ცალმხრივ გაგებას წარმოადგენს. როგორც ქვევით იქნება ნაჩვენები, რევოლუციის შესაებ გოეთეს მიერ დაწერილი ნაწარმოებები არ ეწინააღმდეგება „ეგმონტის“ იდეურ ხაზს, არამედ კონკრეტულ ისტორიულ ვითარეაში მის გაგრძელებასა და გაღრმავებას წარმოადგენს. მართალია, ბევრი ამ ნაწარმოებთაგანი მხატვრული მნიშვნელობით ჩამოუვარდება „ეგმონტს“, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი სხვა იდეურ სიბრტყეზე უნდა ვიგულოთ, ვიდრე „ეგმონტი“.

გოეთეს შემოქმედებითს განვითარებაში XVIII საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში ნათლად ჩანს წინააღმდეგობრიობა, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ არ არსებობს ამ განვითარების ერთიანი ხაზი, სისტემა აზრებისა და შეხედულებების, რომ მწერალი 90-იან წლებში მკკეთრ მობრუნებას აიდენს თავის

შემოქმედებით განვითარებაში, უარყოფს ადრინდელ მებრძოლ-ჰუმანურ იდეალებს და ფეოდალური რეაქციის დამცველი ხდება.

ეს ერთიანი ხაზი ჩანს „ეგმონტსა“ და იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც მწერალს მანამდე შეექმნა, აგრეთვე „ეგმონტსა“ და იმ ნაწარმოებებს შორის, რომლებიც 90-იან წლებში დაიწერა, რომ აღარაფერი ვთქვათ შემდეგ პერიოდში შექმნილ მხატვრული ნიმუშების შესახებ. გოეთე რჩება ერთგული ჰუმანურ-დემოკრატული პრინციპებისა თავის ნაწარმოებებში და აქედან გამონაკლისს არ წარმოადგენს არც საფრანგეთის რევოლუციის გარიჟრაჟზე დაწერილი „ეგმონტი“ და არც საფრანგეთის რევოლუციის თემაზე შექმნილი მხატვრული ნიმუშები.

ამიტომაა, რომ ეგმონტის მხატვრულ სახეში გოეთე წინ წამოწევს იმას, რაც ისტორიულ გრაფ ლამორალ ეგმონტს, მისი გაგებით, ხალხთან აახლოებდა, თავისი ქვეყნის პატრიოტად აქცევდა.

ვაიმარის სასახლეში მყოფი მწერლისაგან თითქოს უფრო ის იყო მოსალოდნელი, რომ მას მკვეთრად შეერბილებინა დამპყრობელთა და დაპყრობილთა შორის წინააღმდეგობა. ამავე დროს პირველივე სცენებიდან ხედავს მკითხველი, თუ პროტესტის როგორ ღრმა გრძნობას დაუსადგურნია ნიდერლანდელ ხალხში, როგორ სძულთ მათ ესპანელი დამპყრობელები.

ეგმონტის მხატვრულ სახეში გოეთე წინ წამოსწევს იმ ნიშნებს, რომლებიც მის საკუთარ მისწრაფებებს ეხმაურება, სახელდობრ, ამ გმირის პატრიოტიზმს, ხალხთან კავშირს, თავისუფლების სიყვარულს და ტირანიის სიძულვილს. მართალია, ეგმონტის საქციელში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პირად მომეტებსაც, უმანკო კლერჰენის სიყვარულს, მაგრამ ამ გარემოებას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეგმონტს შეუძლია უგულებელყოს პირადი სიმპათია-ანტიპათიები, იხელმძღვანელოს იმით, თუ რა სჭირდება მის ქვეყანას, ხალხს. ამით აიხსნება, რომ მან უარყო ორანელის წინადადება გაქცეულიყო ნიდერლანდეთიდან საოკუპაციო ჯარების მეთაურის ჰერცოგ ალბას მოსვლის მოლოდინში.

ისტორიული ეგმონტი არ გაიხიზნა ბრიუსელიდან იმიტომ, რომ მას, როგორც ფეოდალს, არ სურდა დაეკარგა თავისი მამულები და თანამდებობა. გოეთეს ეგმონტისათვის კი ასეთი ინტერესები არ არის დამახასიათებელი. მის გადაწყვეტილებაში, დარჩეს სამშობლოში, უდავოდ გარკვეული როლი ენიჭება კლერჰენის სიყვარულს, მაგრამ სიყვარულის ინტერესი ეგმონტთან ორგანულადაა დაკავშირებული მის მიერ ხალხის წინაშე თავისი მოვალეობის შეგნებასთან, ამ გმირის გადაწყვეტილე-

ბასთან—წაადგეს ამ კრიტიკულ მომენტში რითიმე თავის ქვეყანას. გოეთეს მიერ დახატული ორანელიც ნიდერლანდელი ხალხის ინტერესებისათვის იბრძვის, მაგრამ იგი ფიქრობს, რომ შეძლებს ამ ბრძოლის უფრო ეფექტურად წარმოებას სამშობლოს საზღვრების იქით. რთული კონიუნქტურის შეფასებაში ორანელი იჩენს სწორ პოლიტიკურ ალღოს, იცის, რომ ესპანეთის მონარქია არ აპატიებს ნიდერლანდელ ხალხს და მის თავკაცებს ამბოხებას იმ დროს, როცა ეგმონტი აშკარად პოლიტიკურ უდარდელობას იჩენს, ჰგონია, რომ მგრძნობიარე სიტყვებით მოალბობს მრისხანე ალბას, ზეიმოქმედებს ესპანეთის მონარქიის პოლიტიკაზე.

ეს ასეა, ეგმონტის მოქმედებაში აშკარად ჩანს მეოცნებე, რომელსაც თავი ვერ დაუღწევია ილუზიებისათვის, მაგრამ იგი გვხიბლავს იმით, რომ არ სურს კრიტიკულ მომენტში მიატოვოს თავისი ხალხი, სურს მასთან იყოს ჭირსა და ლხინში. მან არ იცის, რომ მისი სოციალური პროგრამა უტოპიურია, ტირანიისათვის საფუძველშივე მიუღებელი, არ იცის, რომ მისი ილუზიები განუხორციელებელია. და სწორედ ის გარემოება, რომ მან ეს არ იცის, სჯერა, რომ წარმატებით მოემსახურება თავის ქვეყანას, შუქს ფენს მის იდეურ კავშირს ხალხთან, წარმოგვიდგენს მას როგორც თავისი ხალხის მოამაგესა და გულშემატკივარს.

ეგმონტის სახით გოეთე გამოთქვამს თავის სოციალურ იდეალებს, ხალხისადმი სამსახურის იდეას, აყენებს სოციალური კონფლიქტების გადაჭრის პროგრამას. ამ უკანასკნელის ძირითადი აზრი გადმოცემულია ეგმონტისა და ალბას შეხვედრის სცენაში. როგორც ქვევით დავინახავთ, ამ პროგრამას იცავს გოეთე საფრანგეთის რევოლუციის შთაბეჭდილებათა ქვეშ დაწერილ, აგრეთვე შემდეგი პერიოდის ნაწარმოებებში. ეგმონტისა და ალბას შეხვედრის სცენაში გოეთე უპირისპირებს ერთიმეორეს აბსოლუტური მონარქიის პრინციპების დამცველს, რევოლუციური იდეების სასტიკ მოწინააღმდეგე ჰერცოგ ალბას და ჰუმანიურ-დემოკრატიული იდეალების დამცველ ეგმონტს. ეჭვი არ არის, რომ ეს უკანასკნელიც არ არის რევოლუციონერი, ფეოდალური დესპოტიის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი, მაგრამ თუ ასეთი იგი არ არის სუბიექტურად, ობიექტურად, თავისი მოქმედებით იგი ხელს უწყობს იმ ძალებს, რომლებმაც ბოლო უნდა მოუღონ ფეოდალურ დესპოტიას. ეგმონტს არ სურს მონარქიის დამხობა, იგიც თავის თავს ფეოდალად თვლის, მაგრამ ამ გმირს ისეთი თვისებები გააჩნია, რომლებიც მას ბოლოს და ბოლოს ტირანიას დაუპირისპირებს, წარმოსახვაში მაინც რევოლუციის თანამგზავრად აქცევს.

ალბასთან საუბარში ეგმონტი გულწრფელად ამბობს იმას, რაც აწუხებს ესპანელ ხალხს, გამოთქვამს ხალხის მოთხოვნას მისი ეროვნული ღირსებისა და ადათწესების პატივისცემის შესახებ. იგი იმ აზრისაა, რომ ხალხს მშვიდობა სწყურია, რომ პოლიტიკას, რომელსაც ესპანეთის ტახტი ახორციელებს, ქვეყნისათვის მოაქვს არა სიმშვიდე, არამედ მღელვარება, არეულობა, რადგან იგი ძალმომრეობის, ხალხის დაჩაგვრის პოლიტიკაა. ასეთი პოლიტიკის კონკრეტულ მაგალითად მიაჩნია ეგმონტს ესპანეთის დამოკიდებულება ნიდერლანდელი ხალხისადმი, ამ უკანასკნელის მიმართ გამოყენებული ძალმომრეობა და უსამართლობა, რამაც ეგმონტის თანამემამულეები ესპანეთის მონარქიის წინააღმდეგ აჯანყებამდე მიიყვანა.

ეგმონტი ხედავს, რომ ესპანეთის მონარქიამ მომხდარი ამბებიდან არ გამოიტანა სათანადო გაკვეთილი, არ გადასინჯა თავისი ანტიხალხური პოლიტიკა, არამედ ისევ აგრძელებს მას, აგზავნის საოკუპაციო არმიას მრისხანე ალბას მეთაურობით, რომელსაც დავალებას აძლევს ისევ ძველი მეთოდების გამოყენებით დაუმორჩილოს მონარქიას ნიდერლანდელი ხალხი. წინააღმდეგ ესპანეთის მონარქის. ფილიპე მეორის პოლიტიკისა, მეფის ნაცვლის—მარგარიტა პარმელის პოლიტიკამ, ფიქრობს ეგმონტი, სასიკეთო შედეგი გამოიღო, რამდენიმე თვის განმავლობაში დაამშვიდა ამბოხებული ხალხი, მაგრამ ეს პოლიტიკა უკუგდებულ იქნა ფილიპე II მიერ და შეცვლილ იქნა ტრადიციული პოლიტიკით.

ეგმონტისა და ალბას პაექრობის აღწერილობით გოეთე გადმოგვცემს თავისი სოციალური პროგრამის ძირითად პუნქტებს, რომლებსაც იგი იცავდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. ამ პროგრამის უმთავრეს პუნქტს წარმოადგენს ხალხისა და ხელისუფალთა დამოკიდებულების საკითხი. მწერალი იმ აზრს ავნვითარებს, რომ ხელისუფლების სათავეში მოქცეულნი უნდა ხალხზე ზრუნავდნენ, მათი ინტერესების შესაბამის პოლიტიკას ატარებდნენ. ხალხის ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გატარება აუცილებელი და სასარგებლოა ადამიანთა მთელი საზოგადოებისათვის, მათ შორის თვით ხელისუფალთათვის, ასეთი ძირეული ხასიათის დასკვნა გამომდინარეობს ალბასა და ეგმონტის შეხვედრის აღწერილობიდან.

ეგმონტს, იგულისხმება თვით მწერალსაც, ჰგონია, რომ ჩაგვრის სისტემის ხელუხლებლად დატოვების პირობებში, საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლების შეუცვლელად, მოსახერხებელია გახხორციელდეს ხალხის სანუკვარი იდეალები—თავისუფლება,

სამართლიანობა. საჭიროა მხოლოდ ხელისუფლების მესვეურებისა და ქვეშევრდომების სათანადო გ ა ნ წ ყ ო ბ ა, ხალხზე ზრუნვა ხელისუფალთა მხრივ, გატარებული გონივრული ცვლილებების დაფასება მასების მიერ. შემდეგში, საფრანგეთის რევოლუციის შესახებ დაწერილ ნაწარმოებებში გოეთე უფრო ფართოდ გამოთქვამს თავის ამ შეხედულებას ხელისუფლების მმართველთა და ქვეშევრდომთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ეგმონტი არ გამოდის მონარქის, საერთოდ ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ, მას არ უნდა რომ გაჩაღდეს რევოლუციური ბრძოლა, დაიწყოს ამბოხება მონარქის წინააღმდეგ, რადგან მიაჩნია, რომ ამბოხება ბოლოს უღებს საზოგადოებრივი ცხოვრების მყუდროებას, ბოლოს უღებს მშვიდობას ქვეყნის შიგნით, რაც არ შეესაბამება ხალხის მისწრაფებას იცხოვროს ამ ქვეყნად მშვიდად და თავისუფლად. ირკვევა, რომ ეგმონტს არაფერი აქვს ფილიპე II-ს მეფობის წინააღმდეგ, მაგრამ მიაჩნია, რომ აბსოლუტური მონარქიის პრინციპები მიუღებელია, მიუღებელია ხალხთა დამონების, მათი სუვერენიტეტისა და ნაციონალური ღირსების შელახვის პოლიტიკა. ეგმონტი უშვებს მონარქს, მაგრამ ისეთს, რომელსაც ა ღ ა რ ე ქ ნ ე ბ ა თავისი ძირითადი ნიშანდობლივი თვისებები, რომელიც აღარ იქნება მეფე თვითმპყრობელი, არამედ ხალხის მოამაგე იქნება.

ფილიპე II, ეგმონტის გაგებით, არ იყო ამგვარი იდეალური მმართველი არც მანამ, სანამ ნიდერლანდელი ხალხი მის წინააღმდეგ ამხედრდებოდა და არც მას შემდეგ, რაც ეს ხალხი დამარცხდა; იმის მაგიერ, რომ ახლა მაინც ირიეულად შეეცვალა თავისი ანტიხალხური პოლიტიკა, ფილიპე II, ფიქრობს ეგმონტი, ისევ აგრძელებს მას, აგზავნის დამსჯელ ექსპედიციას, მიზნად ისახავს ნიდერლანდელთა შემუსვრას, იმის უზრუნველყოფას, რომ კვლავ აღარ განმეორდეს მოახდარი ამბები, ხალხთა ამბოხება. ალბამ იცის, რომ არ არის იმის გარანტია, რომ ნიდერლანდელები ისევ არ ამხედრდებიან, რომ შემდეგში ისინი ტახტის ერთგულნი იქნებიან („Wer will das Volk hindern, loszubrechen? Wo ist die Macht sie abzuhalten? Wer bürgt uns, dass sie sich ferner treu und untertänig zeigen werden?"). ალბას ეს ეჭვები, ცხადია, არაა მოკლებული საფუძველს, ამბებისადმი მისი ფხიზელი, რეალისტური დამოკიდებულების შედეგია. ახალი ამბოხების მოწყობა აოაა გამორიცხული, რადგან ძალაში რჩება ის პოლიტიკა, რომელიც ამგვარ ამბოხებას იწვევს, ანტიხალხური, ძალმომრეობის პოლიტიკა.

ეგმონტმაც იცის, რომ ამგვარი პოლიტიკის გატარების პირობებში არ არის გარანტია, რომ ნიდერლანდეთში კვლავ არ იფეთქებს აჯანყება ესპანეთის წინააღმდეგ, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ამგვარ ამბებს ადგილი არ ექნება, თუ კი მონარქია საფუძველშივე შეცვლის ხალხისადმი თავის დამოკიდებულებას; მაშინ საზოგადოებრივი სიმშვიდის გარანტია უზრუნველყოფილი იქნება, მაშინ სახელმწიფოში გაიმარჯვებს სამართლიანობის პრინციპი, ყველანი ერთისათვის და ერთი ყველასათვის იბრძოლებს.

ხალხი, ფიქრობს ეგმონტი, თავისი ბუნებით კეთილია. თუ მონარქია გონივრულად იმოქმედებს, იგი ხალხს თავისადმი კეთილად განაწყობს და კეთილი სურვილი ხალხისა წარმოადგენს საუკეთესო გარანტიას, რომ ამბოხებას ადგილი არ ექნება (ეგმონტი ასე ეკითხება ალბას: „Und ist der gute Wille eines Volks nicht das sicherste, das edelste Pfand?“). ხელმწიფეს შეუძლია ჩათვალოს თავისი მდგომარეობა მტკიცედ საშინაო და საგარეო მტრების წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ, თუ მის საბრძანებელში ყველანი ერთისათვის, ერთი კი ყველასათვის იბრძვის („Wann darf sich ein König sicherer halten, als wenn sie alle für Einen, Einer für alle stehn? Sicherer gegen innere und äussere Feinde?“)

ეგმონტს გულწრფელად სჯერა თავისი პროგრამის რეალურობა, სჯერა, რომ მართველთა და მართულთა შორის, საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლების შეუცვლად, შესაძლებელია დამყარდეს სრული ურთიერთგაგება, თვითეული ერი-იმეორის ინტერესებისათვის იღწოდეს, ე. ი. გაიმარჯვოს იმან, რასაც გოეთე „წმინდა ადამიანურობას“ უწოდებდა.

იდეა „წმინდა ადამიანურობისა“ გოეთეს სოციალური კრედოს ერთერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს. ამ იდეას განსაკუთრებით ცხადად გამოთქვამს გოეთე მომდევნო პერიოდის ნაწარმოებებში, მაგრამ იგი ცხადად ჩანს „ეგმონტშიაც“, ამ უკანასკნელის მთელს იდეურ ქარგაში.

ამ იდეის თავგამოდებულ დამცველად აქცევს მწერალი თავის ხანდაზმულ გმირს, რომელიც დარწმუნებულია, რომ საკმარისია ხელმწიფემ ნიდერლანდეთში გამოაცხადოს საყოველთაო ამნისტია და ხალხი მისდამი ერთგულებითა და სიყვარულით გაიმსჭვალება. არ შეიძლება ითქვას, რომ გოეთე მთლიანად იზიარებს ამ მეოცნების ილუზიებს ისე, როგორც ანალოგიურ საკითხზე ეს არ შეიძლება ითქვას იმ მწერლის შესახებ, რომელმაც მარკიზ პოზასა და მაქს პიკოლომინის მხატვრული სახეები შექმნა; მაგრამ ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეგმონტის სოციალური

პროგრამის ძირითადი პუნქტები გოეთეს სოციალურ-პოლიტიკურ კრედოსაც გამოხატავს.

საკითხის არსის გარკვევისათვის, ბურჟუაზიული რევოლუციებისადმი გოეთეს დამოკიდებულების სრული სურათის დადგენისათვის იმას კი არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ „ეგმონტის“ ავტორიც ვერ გათავისუფლებულა ილუზიებისაგან, არამედ იმ გარემოებას, რომ იგი ხალხის ინტერესებისათვის იბრძვის, ხალხის ნაციონალური ღირსებისა და სუვერენიტეტის დამცველად, სოციალური ჩაგვრის სასტიკ მოწინააღმდეგედ გვევლინება.

ეგმონტის მხატვრულ სახეში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ამ გმირის არა მხოლოდ იდეალიზმი, ილუზიები, არამედ და მომეტებულად, მისი ჰუმანისტურ-დემოკრატიული მისწრაფებები, მისი პროტესტი და კრიტიკა არსებული სოციალური ყოფისა. თავის სიტყვებში ეგმონტი თითქოს მონარქის დამცველი ჩანს, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, არსებითად ეგმონტი ანტიმონარქიული შეხედულებებით ხასიათდება. იდეალი მონარქისა, რომელსაც იგი სახავს, საფუძველშივე განსხვავდება რეალურად არსებული მონარქებისაგან; არსებითად ეგმონტი არა მონარქიის, არამედ ხალხთა მოამაგის, მათი ინტერესებისათვის მებრძოლი ხელისუფალის იდეას იცავს.

რეალურად არსებულ მონარქიას კი ეგმონტი თავს ესხმის, მკვეთრად აკრიტიკებს, უყენებს უმძიმეს ბრალდებას—ხალხის საწინააღმდეგო მოქმედების წარმოებას, ჩაგვრისა და ძალმომრეობის პოლიტიკის გამოყენებას. მონარქიის პოლიტიკა, ეგმონტის აზრით, გამიზნულია იქითკენ, რომ დაიმონოს ხალხები, მათ შორის ნიდერლანდელი ხალხი, წელში გატეხოს იგი („Die Kraft seines Volks, ihr Gemüt, den Begriff, den sie von sich selbst haben, will er schwächen, niederdrücken, zerstören, um sie bequem regieren zu können“).

ეგმონტი ფიქრობს, რომ ხალხი სწორედ ისეთია, როგორსაც იგი ხატავს, რომ ხალხი ებრძვის არა საერთოდ მონარქს, არამედ ისეთს, რომელსაც მცდარი, საბედისწერო გზა აურჩევია („Nicht dem Könige widersetzt man sich; man stellt sich nur dem Könige entgegen, der einen falschen Weg zu wandeln die ersten unglücklichen Schritte macht“); მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობს ეგმონტის ილუზიები, სახელდობრ, იმის რწმენაში, რომ შესაძლებელია არსებობდნენ ხალხის მოამაგე მონარქები, იმის გაუთვალისწინებლობაში, რომ ხალხთა ღირსებისა და სუვერენიტე-

ტის პატიოსანმცემელი, მათი კეთილდღეობისათვის მებრძოლი ხელისუფალის ცნება საფუძველშივე რიცხავს იმას, რაც მონარქიის ცნებაში იგულისხმება*.

* ზოგი ფიქრობს, რომ გოეთე განმანათლებლური მონარქიის იდეას იცავს. გამოდის რა იმ დებულებიდან, რომ ადამიანის სრულყოფის საქმეში გოეთე მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა სახელმწიფოს, ლ უ ა ზ ო თვლის, რომ ამ მიზნისათვის მწერალი შესაფერისად თვლიდა განმანათლებლურ დესპოტიზმს, როგორსაც წარმოადგენდა ფრიდრიხ II-სა და კარლ ავგუსტის დესპოტიზმიო („Un despotisme éclairé" comme celui de Frédéric II et de Charles August lui paraissait parfaitement répondre à ce but".—L o i s e a u, 76.). ასევე მსჯელობს გოეთეს შესახებ ე. ლ უ დ ვ ი გ ი ც, მიაჩნია, რომ მწერალი მონარქიული შეხედულებებით ხასიათდება („fühlt sich im Sinne seines Monarchien monarch"). საფრანგეთის რევოლუციისაგან გოეთეს განდგომა, ლუდვიგის აზრით, იმ გარემოებითაც იყო ნაკარნახევი, რომ მას უყვარდა თავისი კეთილისმყოფელი (Wohltäter) ვაიმარის ჰერცოგი და არ სურდა ამიტომაც მხარი დაეჭირა თავადების წინააღმდეგ მიმართული მოძრაობისათვისო („Kann Goethe keine fürstenfeindliche Bewegung stützen". E. L u d w i g. Goethe, Berlin, 1928, S. 561.

გოეთეს პოლიტიკური კრედოს ამგვარი კვალიფიკაციისათვის არავითარ საფუძველს არ იძლევა გოეთეს შემოქმედება, განსაკუთრებით ის ნაწარმოებები, რომლებშიაც გოეთე თავის სოციალურ კონცეფციას აყენებს. ამგვარი კვალიფიკაციისათვის არავითარ საფუძველს არ იძლევა არც „ეგმონტი". ჯერ ერთი, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ გოეთე, მართალია, ღრმა სიმპათიით ხატავს ეგმონტს, აქსოვს დრამის იდეურ ქარგაში თავის მოწინავე სოციალურ იდეალებს, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ეგმონტის სოციალური იდეალები მთლიანად ემთხვევა გოეთეს სოციალურ იდეალებს. ის ფაქტი, რომ ეგმონტის ტრაგედია მწერალმა წარმოადგინა გმირის ღრმა სულიერი ტანჯვის ფონზე, რომ მან გვიჩვენა წინააღმდეგობრიობა ეგმონტის მსოფლმხედველობაში, იმას მოწმობს, რომ ავტორი იდეურად მაღლა დგას თავის გმირზე, მასთან შედარებით უფრო რეალისტურად აფასებს მოვლენებს, ადამიანის მოქმედების სფეროს.

რომ ეგმონტის სოციალური იდეალები მთლიანად ასახავდეს გოეთეს სოციალურ იდეალებს, მაშინაც კი ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იქნებოდა გოეთე განმანათლებლური მონარქიის დამცველად მიგვეჩნია, რადგან ამგვარი მონარქიის დამცველად საბოლოოდ არც ეგმონტი გამოდის. საბოლოოდ, ეგმონტიც რწმუნდება, რომ მონარქის ის იდეალი, რომელსაც იგი იცავდა, წარმოადგენს ფიქციას, რომ სინამდვილეში არ არსებობს ისეთი მონარქი, რომელიც ხალხის მოამაგე იყოს. იგივე უნდა ითქვას გოეთეს შესახებაც, რომელიც „ეგმონტში", ასევე ამ დრამის მომდევნო მრავალ ნაწარმოებში, აყენებს გონიერი და ჰუმანიური მმართველის იდეალს, მმართველისა, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, არამედ იდეურად ღრმადაა მასთან დაკავშირებული. სახელმწიფოს

ეგმონტი შეხარის კეთილს, ხალხის მოამაგე მონარქს, რეალურად არსებულ მონარქებს კი იგი უპირისპირდება, საფუძვლიანად აკრიტიკებს. ტრაგედია ეგმონტისა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი თვალნათლივ ხედავს თავისი მისწრაფებების უნიადაგობას, რწმუნდება, რომ მონარქია ცხოვრებიდან მიღებულ გაკეთილებს არ ითვალისწინებს, ტრადიციულ პოლიტიკას არ ღალატობს, რითაც ზიანი მოაქვს როგორც მთელი საზოგადოებისათვის, ისე ხელისუფლების მესვეურთათვისაც. ირჩევს რა მცდარ გზას („einen falschen Weg"), აგრძელებს რა ხალხის ჩაგვრისა და დამონების ტრადიციულ პოლიტიკას, ესპანეთის მონარქი, ფიქრობს ეგმონტი, დგამს სავალალო ნაბიჯს.

ადვილი შესამჩნევია, რომ ამგვარი ნაბიჯის გადადგმის შედეგად ეგმონტს ბუნებრივად მიაჩნია ხალხის მღელვარება, მათი გამოსვლა თავისი ღირსებისა და უფლების დასაცავად. ეგმონტის და მასთან ერთად გოეთეს წინააღმდეგობა ნათლად ჩანს იმ ფაქტში, რომ მან, ერთი მხრივ, სავალალოდ მიიჩნია ის მღელვარება, სოციალური პროტესტის მკვეთრი და აშკარა გამოხატვა, რომელიც, მისი აზრით, მოხდა იმიტომ, რომ მჩაგვრელებმა მცდარი გზა აირჩიეს, მეორე მხრივ კი ეგმონტის წინააღმდეგობრიობა ჩანს იმ ფაქტში, რომ ეს ახალი პოლიტიკური ვითარება მას სრულიად გამართლებულად მიაჩნია.

ბურჟუაზიული რევოლუციის კრიტიკა, რწმენა იმისა, რომ რევოლუციების თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელია, ჩანს

მეთაურის ამგვარ იდეალს საერთო არაფერი აქვს ე. წ. განმანათლებელი მონარქის ცნებასთან, რადგან მწერლისათვის კარგადაა ცნობილი, რომ განმანათლებლური მონარქიისა და დესპოტიზმის, სოციალური ჩაგვრის ცნება ერთიმეორისაგან განუყოფელია.

რაც შეეხება გოეთეს დამოკიდებულებას ფრიდრიხ II, საერთოდ პრუსიის მონარქებისადმი, ასევე ვაიმარის ჰერცოგისადმი, უნდა ითქვას, რომ იგი გარკვეულად კრიტიკული ხასიათისაა. მონარქიზმის საფუძვლებს მწერალი მკვეთრად აკრიტიკებდა თავის რევოლუციამდელ ნაწარმოებებში და ამ მხრივაც ვაიმარის პერიოდის გოეთესთან შეუძლებელია ვნახოთ რაიმე რადიკალური ხასიათის ცვლილება. მწერალი მკვეთრად გამოდის ფეოდალური მონარქების საშინაო და საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ, ცდილობს თავისი პოეტური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობით ხელი შეუწყოს გერმანიის განვითარებას იმის საწინააღმდეგო მიმართულებით, რასაც ცდილობდნენ პრუსიის და სხვა გერმანელი მონარქები. მწერალი მკვეთრად აკრიტიკებს პრუსიის და ავსტრიის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, დაპყრობით ომებს; იგი აკრიტიკებს აგრეთვე ვაიმარის ჰერცოგის პოლიტიკასაც.

საფრანგეთის რევოლუციის გარიჟრაჟზე შექმნილ ამ დრამაში, მაგრამ აქ ჩანს აგრეთვე ამ რევოლუციისადმი მწერლის დამოკიდებულების მეორე, პოზიტური მხარე, რევოლუციის მიჩნევა ხალხის სასიცოცხლო ინტერესების გამოხატულებად, ჩანს კონკრეტულ შემთხვევაში რევოლუციის ისტორიული აუცილებლობის აღიარება და გამართლება.

ეგმონტის სახით მწერალი იმ აზრს ავითარებს, რომ ხალხი თავისი ბუნებით სამართლიანობის, თავისუფლებისა და მშვიდობის მოყვარეა, რომ მისთვის უცხოა სოციალური ჩაგვრა, ძალმომრეობა, რომ იგი თავისი ბუნებით მშვიდობის მოყვარეა და, როგორც ასეთს, მას არ იტაცებს დიდი სოციალური ქარტეხილები. მაგრამ თუ კი ხალხს მოთმინებიდან გამოიყვანენ, მის დამონებას, წელში გატეხვას მოინდომებენ, მაშინ იგი აღსდგება თავისი უფლების დასაცავად, იწყებს ბრძოლას ტირანიის წინააღმდეგ. ამდენად, რევოლუცია, რომლის თავიდან აცილება ხელისუფალთა მხრივ გონივრული, ხალხური პოლიტიკის გატარების გზით შესაძლებელი იყო, ხდება კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში აუცილებელი, გარდაუვალი—ასეთი ძიროითადი დასკვნა გამომდინარეობს „ეგმონტის" პრობლემატიკის გოეთესეული გაგებიდან.

ეგმონტი პირადად არ მოუწოდებს ხალხს აჯანყებისაკენ, რევოლუციისაკენ, ეს ამბოხება მას თითქოს სამწუხარო მოვლენად მიაჩნია, მაგრამ ობიექტურად იგი იძლევა რევოლუციის აუცილებლობის, რევოლუციის მოხდენის საქმეში ხალხის უფლების დასაბუთებას. ამბების განვითარება, ე. წ. კეთილისმქნელი მონარქის შესახებ მისი იდეალის კრახი, მონარქის მიერ მისდამი გამოჩენილი მუხანათობა უმტკიცებს ეგმონტს, თუ რაოდენ ცდებოდა იგი, როცა ფიქრობდა, რომ ზეიმოქმედებდა მონარქიის პოლიტიკაზე, უმტკიცებს, რომ ოცნება და სინამდვილე ერთიმეორისაგან მკვეთრად დაშორებულია.

მსგავსად გოეცისა, ეგმონტის პოლიტიკური მისწრაფებები ფიასკოთი მთავრდება, სოციალური ცხოვრების გარდაქმნის პროგრამა, მის მიერ შემუშავებული, არარეალური გამოდგა. მაგრამ იგი ხედავს, წინათგრძნობს, რომ თავისუფლება და სამართლიანობა გაიმარჯვებს, ხალხი აღსდგება თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ. განსხვავებით გოეცისაგან, რომელიც მომავალში საიმედოს ვერაფერს ხედავს, ეგმონტი ამჩნევს, რომ საზოგადოების განვითარება მიდის პროგრესის გზით, რის მთავარ პირობად ახლა მას, სიკვდილის პირისპირ წამდგარს, ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა მიაჩნია. „ყოველი მხრიდან მტერი გვაკრავს, ამბობს

ის უკანასკნელ მონოლოგში, ხმლებს ლაპლაპი გაუდის; მამაცურად დავუხვდეთ მათ მეგობრებო!... დაიცავით თქვენი საბადებელი; ჩემსავით სიხარულით გასწირეთ თავი იმისათვის, რასაც ყველაზე უფრო სასიყვარულოდ თვლით".

ეგმონტს, ცხადია, არ ძალუძს მონაწილეობა მიიღოს ამ დიდ ბრძოლებში, რადგან იგი პირადად განწირულია, მასაც თავის შესახებ შეუძლია თქვას ის, რასაც მომაკვდავი გოეცი ამბობდა— „ჩემი ფესვები მოკვეთილია". ეს ასეა, მაგრამ, გოეცისაგან განსხვავებით, ეგმონტი ხედავს ისტორიულ პერსპექტივას და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ამ პერსპექტივის განხორციელებას ხედავს მასების ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა შ ი, ტირანიის საფუძვლების დანგრევაში. ბრძოლა, ისტორიული ქარტეხილი, რომლის თავიდან აცდენაზედაც ეგმონტი აქამდე ფიქრობდა, ხდება ისტორიულად გარდაუვალი, ხალხის ნებისა და უფლების განხორციელება. ნაწარმოების ფინალი, ეგმონტის ანტიტირანული, ცეცხლოვანი სიტყვები, შეერთებული მტრებისადმი უსაზღვრო მძულვარების გამომხატველ კლერჰენის სიტყვებთან, ეღერს როგორც ანტითეზა, ეგმონტის მთელი აქამდელი კრედოს უარყოფა, მშვიდი ბიურგერული იდილიის უარყოფა.

არ შეიძლება ითქვას, რომ თუნდაც ნაწარმოების ფინალში ეგმონტი მაღლდება შეგნებულ რევოლუციურ თვალსაზრისამდე, მთლიანად უარყოფს თავის სოციალურ ილუზიებს, ქმედით რევოლუციურ პროგრამას აღიარებს. უფრო ისაა საფიქრებელი, რომ ეგმონტი დგას ტირანიის წინააღმდეგ აბსტრაქტული ბრძოლის აღიარების თვალსაზრისზე, წარმოსავაში ცდილობს მიიღოს და შეაქოს ბრძოლა ჩაგვრის სამყაროს წინააღმდეგ. მომწიფებული სოციალური საკითხისადმი ამგვარ მიდგომას განსაზღვრავს ის თავისებური როლი, რომელსაც თამაშობდა სოციალური გარდატეხის ეპოქაში გერმანიის ბურჟუაზია. შეზღუდულობა ამ უკანასკნელისა ბეჭედს ასვამდა მთელს იმდროინდელ გერმანულ იდეოლოგიას, მისი გავლენისაგან თავი ვერ დაეღწია ვერც დიდ გერმანელ მწერალს—გოეთეს.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციამდე დაწერილ ნაწარმოებებში გოეთეს დამოკიდებულება ბურჟუაზიული რევოლუციისადმი აშკარად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, ამ მოვლენის ისტორიული მნიშვნელობის შეფასებაში ერთიმეორეს ებრძვის თავის ხალხთან, საერთოდ თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებთან იდეურად დაკავშირებული დიდი გერმანელი მწერა-

ლი და, გერმანელი ბიურგერი, რომელსაც აშინებს არსებული სოციალური რეჟიმის დამხობა.

რევოლუციისადმი გოეთეს ეს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება კიდევ უფრო რელიეფურად ჩანს საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში, როცა მწერალი პირისპირ წარსდგა მის წინაშე და იძულებული შეიქმნა გამოეთქვა მის შესახებ თავისი შეხედულებები. წინამდებარე შრომაში ცხადყოფილ იქნა ბურჟუაზიული რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების ერთი მხარე, კრიტიკა ამ რევოლუციისა, კრიტიკა იმ მეთოდებისა, რომლებსაც იაკობინელები იყენებდნენ, რევოლუციისათვის საზოგადოების მშვიდი, ევოლუციური განვითარების დაპირისპირება.

მაგრამ ამ დიდი მოვლენისადმი გოეთეს დამოკიდებულებაში არ შეიძლება დანახულ იქნას მხოლოდ ნეგატური მხარე, არამედ, პოზიტური მხარეც, რევოლუციის კრიტიკის გასწვრივ დანახული უნდა იქნას მისი დადებითი, ისტორიული მნიშვნელობის აღიარებაც, ხალხის უფლების აღიარება რევოლუციაზე. რევოლუციისადმი ასეთი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება იგრძნობა, როგორც ეს ცხადყოფილ იქნა წინამდებარე შრომაში, საფრანგეთის რევოლუციამდე დაწერილ მთელს რიგ ნაწარმოებებში, მათ შორის, „ეგმონტში“, რომელიც, ტრადიციული შეხედულების მიხედვით, გოეთეს შემოქმედებით განვითარებაში გარდამავალი პერიოდის ნაწარმოებს წარმოადგენს.

იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ გოეთესთან რევოლუციის თემაზე უშუალოდ საფრანგეთის რევოლუციის შთაბეჭდილებათა ქვეშ დაწერილ ნაწარმოებებში ბურჟუაზიული რევოლუციის კრიტიკა უფრო საგრძნობია, ვიდრე მანამდე დაწერილ ნაწარმოებებში, მაგრამ ეს არამც და არამცარ ნიშნავს, რომ ამ ეპოქაშიაც გოეთე რევოლუციის მხოლოდ კრიტიკით იფარგლება, ვერ იჩენს მისი დადებითი მნიშვნელობის შეფასების უნარს. „ეგმონტის“, რევოლუციის გარიჟრაჟზე შექმნილი ამ ნაწარმოების განხილვამ გვიჩვენა, რომ რევოლუციის კრიტიკის გასწვრივ გოეთე იძლევა ამ მოვლენის ისტორიული აუცილებლობის დასაბუთებასაც, ხალხის უფლების აღიარებას—გააჩაღოს ტირანიის წინააღმდეგ მიმართული გამათავისუფლებელი მოძრაობა. ამ პოზიციაზე დგას მწერალი 90-იან წლებშიაც, საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში, ანვითარებს არსებითად იმავე სოციალურ კრედოს, რასაც ანვითარებდა „ეგმონტში“.

ეს ფაქტია, რომ იმ დროს, როცა იფეთქა საფრანგეთის რევოლუციამ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ იაკობინელები, გოეთეს იტანს ძრწოლა, შეშფოთება იაკობინელთა ტერორის გამო, შიში იმის გამო, რომ ეს „ინფლუენციები“ („Influenzen“) გერმანიაშიაც ვრცელდება. ეს შიში დამახასიათებელი იყო მთელი იმდროინდელი გერმანიის ბურჟუაზიისათვის, მისი მოწინავე ნაწილისთვისაც. გოეთეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ შიშს იგი არ მიუყვანია თავისი სოციალურ-პოლიტიკური კრედოს რადიკალურ გადასინჯვამდე, რეაქციის აპოლოგიასა და ბურჟუაზიული რევოლუციის აბსოლუტურ უარყოფამდე.

განსხვავებით ბევრი მისი თანამედროვისაგან, გოეთე არ ახდენს მკვეთრ მობრუნებას თავისი ადრინდელი ანტიტირანული შეხედულებებისაგან, არამედ საფრანგეთის რევოლუციის კრიტიკის, ალაგ-ალაგ რევოლუციონერთა კარიკატურული სურათის დახატვის გასწვრივ ცდილობს გაიგოს არსი ბურჟუაზიული რევოლუციისა, დაინახოს კავშირი მასსა და ხალხის მისწრაფებებს შორის. ამის შედეგია ის გარემოება, რომ დიდი სოციალური ამბების უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშ დაწერილ დღიურებში—„კამპანია საფრანგეთში“— რევოლუციონერთა ბანაკი წარმოდგენილია როგორც ხალხის, რესპუბლიკელების ბანაკი, ხოლო ისინი კი, ვინც რევოლუციონერებს ებრძვიან, წარმოდგენილი არიან საზოგადოების პრივილეგიური ნაწილის ბანაკში. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ იმ დროს, როცა რეაქციული სახელმწიფოები აწყობენ ინტერვენციას საფრანგეთის წინააღმდეგ, ამ კამპანიის მონაწილე გოეთე სამართლიანობას ხედავს არა მოკავშირეების, არამედ ფრანგი რესპუბლიკელების მხარეზე, რომლებსაც იგი ხატავს როგორც თავისი ქვეყნის თავდადებულ პატრიოტებს. როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, პრუსიისა და ავსტრიის ჯარების შეჭრა საფრანგეთის მიწა-წყალზე წარმოადგენდა არა თავდაცვითი ხასიათის ღონისძიებას, არამედ ინტერვენციას რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ, რეაქციის მისწრაფებას—ხიშტებით დაეთრგუნა XVIII საუკუნის რევოლუცია.

გოეთეს ფხიზელ რეალისტურ ხედვას, მის მოწინავე სოციალურ შეხედულებებს ცხადყოფს ის გარემოება, რომ ამ ომს იგი

აფასებს როგორც დაპყრობით, რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ღონისძიებას, მოკავშირეთა არმიის უკან ხედავს იმათ, ვინც საფრანგეთის რევოლუციამ ისტორიის ავანსცენიდან გააძევა, ფრანგ ემიგრანტებს. გოეთემ იცის, რომ საფრანგეთის რევოლუციის იდეები არ იფარგლება საფრანგეთის ტერიტორიით, რომ ისინი გერმანიაშიაც ვრცელდება, მაგრამ მას მიაჩნია, რომ რევოლუციის გავრცელების აღსაკვეთად საჭიროა არა ბრძოლა ამ იდეების მოსასპობად, რევოლუციის ჩასახშობად, არა ინტერვენცია, არამედ ქვეყნის შიგნით გონივრული სოციალური რეფორმის გატარება, მმართველი კლასების მხრივ დიდი დათმობის განხორციელება, ხალხზე ზრუნვა, მათი მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება. გოეთე უარყოფს არა რევოლუციის იდეებს, არამედ იმ მეთოდებს, რომლებსაც ამ იდეების განსახორციელებლად იყენებენ; თავისთავად კი ეს იდეები მწერალს მიაჩნია მშვენიერ იდეებად, რომლის განხორციელებაც მუდამ კაცობრიობის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა.

საფრანგეთში, ფიქრობს მწერალი, სწორედ იმიტომ, რომ არ იქნა გამოყენებული ისტორიის გაკვეთილები, ხელისუფლების მმართველები არ გამოვიდნენ თავისუფლებისა და სამართლიანობის განხორციელების ინიციატორებად, რევოლუცია აუცილებელი და გარდაუვალი გახდა. რევოლუციის იდეების დაცილება საფრანგეთის ხალხისაგან ამიტომ გაუმართლებელია, შეუძლებელია საფრანგეთის რევოლუციისა და საფრანგეთის ხალხის ურთიერთდაპირისპირება. ამიტომაა, რომ თავის დღიურებში გოეთე პოლიტიკურ ვითარებას ისე წარმოგვიდგენს, რომ ავსტრიისა და პრუსიის რეაქციული არმია რევოლუციის იდეების სახით ებრძვის ფრანგ ხალხს, ხოლო ისინი, ვინც ძველი რეჟიმის რესტავრაციის მოლოდინში უკან მიჰყვებიან ოკუპანტებს, არ წარმოადგენენ საფრანგეთის ხალხს.

ცხადად იგრძნობა, რომ მწერალი საფუძველშივე უარყოფს იმ მიზნებს, რომლებსაც ინტერვენტული არმია ისახავდა, მიაჩნია, რომ ეს ომი წარმოადგენს დაპყრობით, ანტიხალხურ ომს. მწერალი ცდილობს თავისი თავი პოლიტიკიდან განზე გამდგარ, ამ ომის დროს მხოლოდ სამეცნიერო ინტერესებით გატაცებულ ადამიანად წარმოადგინოს, მაგრამ აშკარა ხდება, რომ ამგვარი ნეიტრალიტეტის ბოლომდე დაცვა შეუძლებელია, რომ მწერალმა ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კი გაკვრით, მოვლილი გზით მაინც უნდა გამოთქვას თავისი აზრი თანადროულობის ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე. არაერთგზის გვაგრძნობინებს მწერალი, რომ ეს ომი არის არა საფრანგეთის გამათავისუფლებელი ომი, როგორადაც მას ხა-

ტავდნენ რეაქციონერები, არამედ დაპყრობითი ომი, მიმართული იქითკენ, რომ ჩაახშონ საფრანგეთის რევოლუცია.

პირველივე დღიურში ხატავს მწერალი საკმაოდ მუქ ფერებში ბ-ნ შტაინს, მის სიძულვილს რევოლუციებისადმი („der...im Hass gegen alles Revolutionäre gewaltsam auszeichnete"). რევოლუციური საფრანგეთისადმი ღრმა სიძულვილით გამსჭვალულ დოკუმენტად მიაჩნია მწერალს ის მანიფესტი, რომლითაც მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალმა—ჰერცოგმა ბრაუნშვაიგელმა მიმართა საფრანგეთის ხალხს. ეს სიძულვილი, ფიქრობს მწერალი, გამოხატულებაა იმ გრძნობის, რომლითაც გამსჭვალული იყო პრუსია-ავსტრიის არმია და ფრანგი ემიგრანტები („Haß und Verachtung des revolutionären Frankreichs, durch die Manifeste des Herzogs von Braunschweig ausgesprochen, zeigte sich ohne Ausnahme bei Preussen, Österreichern und Emigrierten").

საექსპედიციო არმიის შესახებ თავის ფრთხილ მსჯელობაში გოეთე ვერ ახერხებს შეინარჩუნოს ნეიტრალური პოზიცია, ამბების მხოლოდ მთხრობელის როლი, არამედ იძულებული ხდება ახადოს ფარდა იმ ამბებს, რომლებიც მის თვალწინ ხდება, უჩვენოს რეაქციული და რევოლუციური სამყაროს დაპირისპირება, ერთი მხრივ, რევოლუციურ საფრანგეთზე თავდამსხმელები, მეორე მხრივ კი, რევოლუციის დამცველები, მათი გმირობა და თავდადება.

მწერალი თითქოს იფარგლება ყოველდღიურ 'მთაბეჭდილებათა ფიქსაციით, მომხდარი ფაქტების უბრალო აღწერილობით, თითქოს დამშვიდებულ კოლექციონერ-მეცნიერად გამოიყურება, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, ნამდვილად კი, იგი ღრმად შეძრწუნებულია იმ ამბებით, რომლებიც მის თვალწინ ხდება, შეძრწუნებულია არა მხოლოდ იმით, რომ რევოლუცია საფრანგეთში ისტორიულ აუცილებლობად იქცა, არამედ და მომეტებულად იმით, რომ რევოლუციის ჩასახშობად დაირაზმნენ სხვადასხვა ჯურის რეაქციონერები, მათ შორის, ფრანგი ემიგრანტები. მწერალი გვიხატავს ამ უკანასკნელთა ტრაგი-კომიკურ სახეებს, რომელთა უმთავრეს მიზანს შეადგენს საფრანგეთში ძველი რეჟიმის აღდგენა.

მწერალი ფარდას ხდის ფრანგი ემიგრანტების ანტიპატრიოტულ, როიალისტურ ბუნებას, უჩვენებს, რომ ისინი მზად არიან გაყიდონ თავისი ქვეყნის ინტერესები, ხელი მიყონ პრუსიისა და ავსტრიის ჯარებთან ერთად თავისი ქვეყნის განადგურებას, მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვას, უსირცხვილო გამოძალვას. ინტერვენტთა მოქმედებას შუქს ფენს ის საუბარი, რომელიც გაუმართა მწერალს

ფოსტის დამტარებელმა, მიუთითა რა იმაზე, რომ ოკუპანტები ძარცვავენ უდანაშაულო მოსახლეობას („Zulezte suchte er mich aufmerksam zu machen, wie die Preussen beim Einmarsch ruhige und schuldlose Dörfer geplündert, es sei nun durch die Truppen geschehen oder durch Packknechte und Nachzügler“).

თუ როგორ ამხედრებულია გოეთე მოკავშირეებისა და ფრანგი ემიგრანტების პოლიტიკის წინააღმდეგ, ამას გვიჩვენებს აღწერილობა ისეთი ფაქტისა, როგორიც იყო გამოშვება მათ მიერ ყალბი ბონებისა, რომელთაც ძალად აჩეჩებდნენ ხელში ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას. ამ ბონებზე იძენდნენ ოკუპანტები არმიისათვის საჭირო სანოვაგეს, ართმევდნენ მწყემსებს მათ საქონელს იმის დაპირებით, რომ ბონებს დაფარავს მეფე ლუი XVI, რომელიც იაკობინელებს დატყვევებული ჰყავდათ. გოეთე აღნიშნავს, რომ ოკუპანტების ამგვარმა ნაბიჯმა ხალხი გაცილებით უფრო მეტად აამხედრა, ვიდრე ჰერცოგ ბრაუნშვაიგელის ზევით დასახელებულმა მანიფესტმა.

მწერალი აგვიწერს ინტერვენტების მიერ მშრომელი ხალხის გამოძალვის ერთს ასეთ აღმაშფოთებელ ფაქტს, რომელსაც იგი უაღრესად ტრაგიკულ სცენას უწოდებს. იგი აღნიშნავს, რომ ბევრმა ფრანგმა მწყემსმა ომის დაწყებისას გააერთიანა თავიანთი ფარები, რათა იგი უფრო საიმედოდ დაემალათ მოწინააღმდეგისაგან; მაგრამ ინტერვენტებმა ისინი იპოვეს და სამხედრო ბანაკში წაასხეს, შეშფოთებულსა და დაღონებულ მწყემსებს კი მათ დაურიგეს ბონები. თუ სხვა შემთხვევაში მწერალი მაინც ახერხებს იხმაროს ფრთხილი გამოთქმები, ამ შემთხვევაში იგი ვეღარ ფარავს მოწოლილ გრძნობას, ღრმა შეძრწუნებასა და სიბრალულს ამ ადამიანებისადმი.

როცა ხედავს, რომ უდანაშაულო ადამიანებს მოტყუებით გამოსტაცეს ხელიდან მათი სარჩო-საბადებელი, როცა ჯარისკაცებმა მათ თვალწინ მასობრივად იწყეს ბატკნების განადგურება, მწერალი თავს ვეღარ იკავებს, რომ არ გამოთქვას თავისი ღრმა აღშფოთება მომხდარი ფაქტის გამო („So gesteh‘ ich wohl: es ist mir nicht leicht eine grausamere Szene und ein tieferer männlicher Schmerz in allen seinen Abstufungen jemals vor Augen und zur Seele gekommen“).

ბურჟუაზიული რევოლუციის, იაკობინელთა მიერ გამოყენებული მეთოდების წინაშე შიშის მიუხედავად, მწერალი აშკარად გვაგრძნობინებს, რომ რევოლუციური საფრანგეთი ეწევა **სამართლიანს**, თავდაცვით ომს, ხოლო მოკავშირეები კი უსამართლო ომს,

რომ პრუსია-ავსტრიის ინტერვენტულ არმიას უპირისპირდება შეიარაღებული ხალხი (Volkstroupp). მართალია, საფრანგეთში ადგილი არ აქვს სრულ ერთიანობას, საფრანგეთშიაც ერთიმეორეს უპირისპირდებიან რევოლუციონერები და ძველი რეჟიმის მომხრეები, მაგრამ თვით რევოლუციური ბანაკი კი შინაგანად არაა დაფლეთილი, საფრანგეთის ინტერესებს მხოლოდ იგი გამოხატავს. ამიტომაც საფრანგეთისა და რევოლუციის ინტერესების დაცვა, გამოდის გოეთეს მსჯელობიდან მომხდარ ამბებზე, ერთი და იგივეა, რევოლუციონერები ამასთანავე თავისი ქვეყნის თავდადებული პატრიოტები არიან; ამიტომაა, რომ ოკუპირებული საფრანგეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ღრმა მძულვარებითაა გამსჭვალული ინტერვენტებისადმი იმ დროს, როდესაც დიდგვარიანები მათ სიხარულით ეგებებიან.

გოეთე ცხადყოფს, რომ დამპყრობლებს საფრანგეთის ტერიტორიაზე ფეხქვეშ ნიადაგი მეტად არასაიმედო აქვთ, რომ მათ ყველგან ხიფათი, ფრანგი ხალხის სიძულვილი მოელით. ასე, მაგალითად, ვერდენში პრუსიის მეფეს ხვდება თოთხმეტი ლამაზი ქალი ყვავილებითა და ხილეულობით, ხოლო მხლებლები ურჩევენ მეფეს მოერიდოს ხილეულის ჭამას იმის გამო, რომ იგი შესაძლოა მოწამლული იყოს.

მწერალი ხაზს უსვამს რესპუბლიკელების აშკარა მ ო რ ა ლ უ რ უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ა ს, რადგან ისინი იბრძვიან რევოლუციის, მამულის დაცვისათვის. ისინი მტერს ფიზიკურად დამორჩილებული ჰყავთ, მაგრამ სულიერად კი, არა. გოეთე ხატავს სურათს თავისი ქვეყნის პატრიოტის, ვერდენის ციხესიმაგრის კომენდანტისა, რომელიც იძულებულია დაუთმოს ქალაქი ოკუპანტებს, მაგრამ მყისვე თავს იკლავს, რათა ამით გამოხატოს თავისი მაღალი პატრიოტული გრძნობა („um abermals ein Beispiel höchster patriotischer Aufopferung darzustellen“).

მწერალი გვიხატავს ფრანგთა მხრივ სამშობლოსათვის თავდადებისა და თავგანწირვის მეორე ფაქტს, მამაც პატრიოტს, რომელიც ვერდენის ქუჩებზე შეკრებილ ხალხთა მასიდან თოფს ესვრის ოკუპანტებს და მაღალი კედლებიდან მდინარეში გადახტება, საიდანაც იგი მკვდარი გამოაქვთ. მამაცი პატრიოტის ამგვარ საქციელს გოეთე უწოდებს ვერდენის კაპიტანის დაღუპვის შემდეგ მეორე საგმირო მოქმედებას („zweite heroische, ahnungsvolle Tat“), წინააღმდეგ ფრანგი ემიგრანტებისა, რომლებიც სასტიკად კიცხავენ ორთავე დაღუპულთ.

როგორც ვხედავთ, ნაწარმოებში—„კამპანია საფრანგეთში“ ვლინდება დიდი გერმანელი მწერლის მსოფლმხედველობის არა მხოლოდ სუსტი მხარე, შიში საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის წინაშე, არამედ მისი ჰუმანურ-დემოკრატიული მხარე, კრიტიკა სამხედრო ბიუროკრატიული რეჟიმისა, ცდა ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის დასაბუთებისა. ბურჟუაზიული რევოლუციის, იაკობინელების მიერ გამოყენებული მეთოდების კრიტიკას ამ ნაწარმოებში უთავსდება რევოლუციის დადებითი, ისტორიული მნიშვნელობის აღიარება, ღრმა თანაგრძნობა რევოლუციური საფრანგეთისადმი.

მართალ, დამაჯერებელ ფერებში გვიჩვენებს მწერალი არა მხოლოდ იმ შიშსა და შეშფოთებას, რომელიც გამოიწვია საფრანგეთის რევოლუციამ პრივილეგირებულ კლასებსა და მასთან შემარიგებლურად განწყობილ ბიურგერებში, არამედ იმ უბედურებასაც, რომელიც თავს დაატეხა საფრანგეთის ხალხს რეაქციული არმიის ინტერვენციამ. მართალია, მწერალი თვითონ საექსპედიციო არმიის რიგებში იმყოფება, მაგრამ ეს გარემოება მას ხელს არ უშლის არსებითად კრიტიკულ ხაზებში წარმოადგინოს ამ არმიის საქმიანობა, დაინახოს სამართლიანობა და პროგრესი ფრანგი რევოლუციონერების მხარეზე.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ამ დაძაბულ ბრძოლაში გოეთემ წინადიგრძნო, რომ ფრანგი რესპუბლიკელები განასახიერებენ ისტორიის პროგრესს იმ დროს, როდესაც ინტერვენტები ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნებას ცდილობენ. ის ფაქტი, რომ მოკავშირეებთან შედარებით სუსტად შეიარაღებულმა ფრანგებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს ოკუპანტებზე, გოეთე განწყობილია ახსნას რევოლუციონერთა აშკარა მორალური უპირატესობით, ახსნას იმ გარემოებით, რომ ისინი კეთილშობლური საქმისათვის იბრძვიან, მოკავშირეები კი—არაკეთილშობლური საქმისათვის.

ამ მორალურ ფაქტორთან ერთად რევოლუციური საფრანგეთის მხარეზე მწერალი ხედავს ინტელექტუალურ უპირატესობასაც, რაც აშკარად თავს იჩენს მათ სტრატეგიასა და ტაქტიკაში. საომარ ოპერაციათა დაგეგმვის, ჯართა მანევრირებისა და ხელმძღვანელობის, პოზიციებზე მათი განლაგების ახალი ფორმები, რომლებსაც იყენებდა რესპუბლიკური არმია, გოეთეს აზრით, ამ უკანასკნელის აშკარა უპირატესობაზე ლაპარაკობს. მწერალი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ აშკარად გვანიშნებს, რომ სუსტად შეიარაღებული რესპუბლიკელების ეს უპირატესობა იმ დროის გაწვრთ-

ნილ არმიებზე გამოხატულებაა იმ უპირატესობისა, რომელიც ახასიათებდა ახალ საზოგადოებრივ წყობას ძველ საზოგადოებრივ წ ყობასთან შედარებით.

ამ ისტორიული პროგნოზის სისწორეს უდასტურებს მწერალს ის გარემოება, რომ მოკავშირეები, რომელთაც ეგონათ, რომ გ'ხა პარიზისაკენ გახსნილია, წააწყდნენ რესპუბლიკური საფრანგეთის სასტიკსა და მზარდ წინააღმდეგობას, ორგანიზებულობასა და დარაზმულობას. საფრანგეთის ტერიტორიაზე ინტერვენტული არმიის დამარცხებაში გოეთე იძულებულია გარკვეული მნიშვნელობა დაუთმოს მეტეოროლოგიურ ფაქტორს, სუსხიანს, არახელსაყრელ ამინდს, მაგრამ ადვილი შესამჩნევია, რომ მას ეს გარემოება კი არ მიაჩნია მოკავშირეთა დამარცხების, მათი პანიკური უკანდახევის მთავარ მიზეზად, არამედ ის გარემოება, რომ ამ ბრძოლაში ერთიმეორეს დაუპირისპირდა ორი მოპირდაპირე, რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ბანაკი, რომელთაგან ერთი სამართლიანი საქმისათვის იბრძვის, ისტორიულ პროგრესს განასახიერებს, მეორე კი არაკეთილშობლური საქმისათვის იბრძვის. ისტორიის ჩარხის უკუღმა შეტრიალებას ლამობს. რევოლუციური საფრანგეთის გამარჯვება რეაქციურ ავსტრია-პრუსიაზე, ამდენად, გამარჯვებაა ახალისა ძველზე, რევოლუციისა კონტრრევოლუციაზე, დასაწყისია ახალი პერიოდისა მსოფლიო ისტორიაში. „დღეიდან და ამის შემდეგ, ეუბნება მოკავშირეთა დამარცხების შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი გოეთე გერმანელ ოფიცრებს, იწყება მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა და თქვენ შეგეძლებათ თქვათ, რომ იყავით იქ იმ დროს“.

როგორ შევუთავსოთ ერთიმეორეს შეხედულება, რომ რეაქციაზე რესპუბლიკელთა გამარჯვების შემდეგ იწყება მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა გოეთეს სოციალურ კონცეფციას, მის მტკიცებას, რომ საზოგადოების განვითარება უნდა წავიდეს ევოლუციური და არა რევოლუციური გზით.? ნუ თუ არ არის აქ წინააღმდეგობა? წინააღმდეგობა რევოლუციის შესახებ გამოთქმულ გოეთეს შეხედულებებში, ცხადია, არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მწერლის ამ შეხედულებებში არ არის შინაგანი კავშირი და სისტემურობა. გოეთე არ ეწინააღმდეგება თავისთავს, თავისი სოციალური კონცეფციის ერთგული რჩება, როცა ერთი მხრივ შიშს გამოთქვამს ბურჟუაზიული რევოლუციის წინაშე, იმუშავებს საზოგადოების მშვიდობიანი გარდაქმნის გეგმას, მეორე მხრივ კი, რეაქციაზე საფრანგეთის რევოლუციის გამარჯვებაში

ხედავს ისტორიის პროგრესის განხორციელებას, ახალი ეპოქის დასაწყისს *.

საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა იმას აქვს, თუ რამდენად ერთგულია მწერალი რევოლუციის შესახებ თავისი კონცეფციის, როცა ვალმის მომდევნო ისტორიას მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა უწოდა, აგრეთვე იმას, თუ როგორია მისი დამოკიდებულება ამ ახალი ეპოქისადმი. გოეთეს უდავოდ ჰქონდა საფუძველი ვალმისთან მოკავშირეთა დამარცხებაში დაენახა ისტორიაში ახალი ხანის დასაწყისი, რამდენადაც ეს იყო რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის ბრძოლის უაღრესად დაძაბული პერიოდი. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ახალ ეპოქაში მწერალი გულისხმობდა ახალი პერიოდის დასაწყისს საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაში. ივარაუდება, რომ, მწერლის აზრით, რევოლუცია ამის შემდეგ აღარ შემოიფარგლებოდა საფრანგეთით, არამედ გზას გაიკაფავდა სხვა ქვეყნებშიაც.

ეს „ახალი ეპოქა" რევოლუციის განვითარების ახალ პერსპექტივებს შეეხებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. გოეთემ იგრძნო, რომ ვალმის შემდეგ იწყებოდა შეტრიალების ხანა რევოლუციის ისტორიაში. მას ვერ მოვთხოვთ, რომ ამ დაძაბულ ვითარებაში რევოლუციის ტალღის აზვირთებასთან ერთად მისი დამთავრების დასაწყისიც დაენახა, ბრძოლის საცეცხლო ხაზზე გასულს, დაენახა მოახლოებული ტერმიდორული რეაქცია.

მწერალი არ ეწინააღმდეგებოდა თავისთავს, როცა ახალი ეპოქის დაწყებაზე ლაპარაკობდა, რადგან იგი ხედავდა, რომ საფრანგეთის განვითარება წარიმართა არა იმ გზით, რასაც თვითონ გერმანიისათვის თვლიდა საჭიროდ, არამედ რევოლუციური გზით. საფრანგეთის მმართველმა კლასებმა, ფიქრობს მწერალი, არ გააატარეს გონივრული სოციალური რეფორმები, არ შეუმსუბუქეს ტვირთი ხალხს, არამედ გააატარეს ხალხის დაჩაგვრის პოლიტიკა, რითაც გამოიწვიეს რევოლუცია. ამდენად, საფრანგეთის რევოლუცია, რომლის თავიდან აცდენა შესაძლებელი იყო, ისტორიულად აუცილებელი გახდა. მომხდარმა ამბებმა, რეაქციული სახელმწიფოების შემოტევამ დარიზმა საფრანგეთის ხალხი რევოლუციის

---

* გაუგებარია, რატომ მიაჩნია ე. ლ უ დ ვ ი გ ს საფრანგეთის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის გოეთესეული გაგება, ჩაქსოვილი მწერლის ზევით მოტანილ სიტყვებში, ერთადერთად, რაც მწერლისათვის შესაფერისია („das Einzige, was dem Dichter ziemt". E. L u d w i g, 508). შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ საფრანგეთის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის აღიარებას მწერალი ახდენს სხვა ბევრ ნაწარმოებშიაც.

მონაპოვართა დასაცავად, გამარჯვება მოუპოვა რევოლუციას კონტრრევოლუციაზე. ამიერიდან რევოლუციის საქმე იქცა არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ სხვა ქვეყნების საქმედაც, რევოლუციის იდეებმა სწრაფად იწყო გავრცელება საფრანგეთის მეზობელ ქვეყნებში. ამ მნიშვნელობით უნდა ლაპარაკობდეს გოეთე რესპუბლიკური საფრანგეთის გაძარჯვების გამო მსოფლიო ისტორიაში ახალი ეპოქის დაწყების შესახებ.

როგორია „საფრანგეთში კამპანიის" ავტორის დამოკიდებულება ისტორიის ამ მის მიერ აღიარებული ახალი ეპოქისადმი? ბუნებრივია, გოეთეს არ შეეძლო სიხარულითა და შვებით მოეხდინა ეს თავისი ისტორიული აღიარება, რადგან ეს თითქოს მთელი მისი სოციალური კრედოს უარყოფას მოასწავებდა. არ შეიძლება გოეთეს მივაწეროთ ის აზრი, რომ ვალმის შემდეგ იწყება კაცობრიობის ნამდვილი ისტორია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება ყველგან იმ გზით უნდა წავიდეს, რა გზითაც წავიდა იგი საფრანგეთში.

რომ ეს ასე იყოს, რომ მწერალი ამგვარად აფასებდეს საფრანგეთში მომხდარ ამბებს, მაშინ, ბუნებრივია, იგი ამიერიდან საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის სრულიად სხვა გეგმას წამოაყენებდა, ვიდრე აქამდე აყენებდა, მაშინ იგი პრინციპშივე მიიღებდა ფეოდალური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის პროგრამას. მაგრამ მოხდა ამის სრულიად საწინააღმდეგო, სახელდობრ ის, რომ გოეთე სწორედ ამის შემდეგ წერს სატირებს საფრანგეთის რევოლუციაზე, იაკობინელებზე. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ახალი ეპოქა მსოფლიო ისტორიისა, რომლის შესახებაც გოეთე ლაპარაკობს, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანა, და მათ შორის გერმანიაც, უცილობლად მოექცევა საფრანგეთის გავლენის ორბიტში, რომ გერმანიის განვითარებაც ყველა შემთხვევაში იმ გზით წავა, რა გზითაც წავიდა საფრანგეთის განვითარება.

როგორც ვხედავთ, საფრანგეთის რევოლუციისადმი პირდაპირ წამდგარი გოეთე არა მხოლოდ აკრიტიკებს ამ რევოლუციას, არამედ ცდილობს მოგვცეს მისი ისტორიული მნიშვნელობის შეფასება, ანვითარებს რა იმ აზრს, რომ რევოლუცია, როგორც მომხდარი ფაქტი, უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევით და არაბუნებრივ მოვლენად, არამედ უნდა ჩაითვალოს ისტორიული აუცილებლობით გამოწვეულ მოვლენად. მწერალი იმ აზრის იყო, რომ რევოლუციურ მოძრაობას საფუძვლად უდევს ხალხთა საარსებო ინტერესების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლა, რევოლუ-

ცია თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობისადმი ხალხთა საუკუნოვანი მისწრაფების გამოხატულებას წარმოადგენს.

რევოლუცია, ფიქრობს მწერალი, აყენებს ჩაგრული ადამიანებისათვის გასაგებსა და მიმზიდველ ლოზუნგებს, ექომაგება ტვირთმძიმეებს, უსახავს მათ იმედებსა და პერსპექტივებს. თუ, ერთი მხრივ, გოეთემ რევოლუციურ მოძრაობაში დაინახა მატყუარები და ეგოისტები, რომლებიც მოხერხებულად იყენებენ შექმნილ კონიუნქტურას, იყენებენ აოსებული რეჟიმით მასების უკმაყოფილებას თავიანთი ვიწრო, ეგოისტური მიზნებისათვის, მეორე მხრივ, მან გამოთქვა თავისი ღრმა თანაგრძნობა რევოლუციაში მონაწილე ხალხისადმი, აღიარა, რომ ხალხი იძულებული ხდება ხელი მოჰკიდოს იარაღს არსებული სოციალური რეჟიმის დასამხობად. როგორც რევოლუციის დადებითი მნიშვნელობის აღიარებისას, ისე იაკობინური ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების კრიტიკისას გოეთე ხაზს უსვამს თავის ღრმა სიმპათიას ხალხისადმი, ჩაგრული ადამიანებისადმი, მათ მექომაგედ და მჩაგვრელთა სასტიკ მოწინააღმდეგედ გამოდის. ამ აზრითაა გამსჭვალული მეტად თუ ნაკლებად მწერლის როგორც ის ნაწარმოებები, რომლებშიაც იგი გაბედულად იბრძვის ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ, ასევე ის ნაწარმოებები, რომლებიც დაიწერა საფრანგეთის რევოლუციური ამბების უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ დიდი მხატვრული ტილოების შესახებ, რომლებიც მომდევნო პერიოდში შეიქმნა.

საფრანგეთის რევოლუციის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში, როგორც ეს ვუჩვენეთ, მწერალი გამოთქვამს შიშს რევოლუციის, მისი გერმანიაში შესაძლო გადატანის გამო, ხატავს რევოლუციით შეშინებულ გერმანელ ბიურგერებს, ანდა რევოლუციის იდეებით გარეგნულად გატაცებულთა თუ მატყუარათა კარიკატურულ სახეებს. მაგრამ ამ სახის ნაწერებშიაც ადვილად გამოიცნობა მწერალი, რომელსაც საფუძველში არ ძაგს რევოლუცია, მიაჩნია, რომ იგი ჩაგრულებს ესარჩლება. „მოქალაქე გენერლის", „ჰერმანი და დოროთეას" და სხვათა ავტორს აშინებს არა რევოლუციური იდეები, არამედ ამ იდეების განხორციელების ის გზა, რომელიც საფრანგეთმა აირჩია. ხატავს რა სარკასტულ ფორმებში შნაპსს, ბრემესა და სხვებს, გოეთე იბრძვის არა რევოლუციის იდეების, ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების იდეების წინააღმდეგ, არამედ მათი ყალბი გაგების, მათი ეგოისტური მიზნებისათვის გამოყენე-

ბის წინააღმდეგ. გოეთე დასცინის რევოლუციის იდეალების შნაპ-სისეულ გაგებას, უჩვენებს, რომ თავისუფლება შნაპსს საფუძველ-შივე ყალბად, ეგოისტურად ესმის, სახელდობრ, როგორც თავისუ-ფლება პირადად მისთვის.

მწერალი დასცინის თანასწორობის ცნების შნაპსისეულ გაგებას, უჩვენებს, რომ თანასწორობა შნაპსს ესმის ვულგარულ-ეგოისტურად, ესმის, როგორც ცხოვრების მრავალფეროვნების უარყოფა, ყველა-ფრის ნიველირება, რათა ამის მეოხებით ყველაზე ფასეული და მნიშვნელოვანი თვითონ მან მიითვისოს. იგივე ითქმის დრამა „აჯან-ყებულნის“ გმირის—ბრემესა და სხვათა შესახებ, რომლებიც გარეგნულად თითქოს თავისუფლებისა და თანასწორობისათვის იღწვიან, მაგრამ არსებითად კი—მათ ეგოისტური მიზნები ამოძ-რავებთ.

ეს გარემოება ცხადყოფს, რომ გოეთე არ შეიძლება მიჩნეულ იქნას რევოლუციის პრინციპულ მოწინააღმდეგედ, მისი დადებითი მნიშვნელობის აბსოლუტურ უარმყოფელად, რადგან ირკვევა, რომ იგი, როგორც საუკუნის დიდი განმანათლებელი, იცავს იმ სო-ციალურ იდეალებს, რომლებსაც რევოლუცია აყენებდა, მიაჩნია, რომ არსებული სოციალური ყოფა უცილობლად საჭიროებს შეცვ-ლას სამართლიანი სოციალური ყოფით. ირკვევა, რომ რევოლუ-ცია, გოეთეს შეხედულებით, კონკრეტულ ვითარებაში აუცილე-ბელი და გარდაუვალია. იგი გარდაუვალი ხდება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფალთა მხრივ ხალხზე ზრუნვის გონივრული პოლიტიკა ხალხის დაჩაგვრის პოლიტიკით შეიცვალა.

ხელისუფალთა მხრივ ასეთი უგნური პოლიტიკის გატარების შედეგად მწერალს სრულიად გ ა მ ა რ თ ლ ე ბ უ ლ ა დ მიაჩნია, რომ დაჩაგრული ხალხი იარაღს ჰკიდებს ხელს, ბრძოლას იწყებს თავი-სი საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. ასეთ პი-რობებში ისახება „მთელი ნაციების ამხედრებითი განწყობილებები“ („aufrürische Gesinnungen ganzer Nationen“), როგორც ამას გა-მოათქმევინებს მწერალი „მოქალაქე გენერლის“ ერთ-ერთ გმირს. ცხადია, მწერალს არ მიაჩნია სასურველად ისეთი ვითარება, როცა დაჩაგრული ხალხი იძულებულია ამხედრდეს, არსებული სოცია-ლური წყობის საფუძვლების ნგრევას შეუდგეს, მაგრამ მას მიაჩნია, რომ სიმართლე ამ ხალხის მხარეზეა, რომ ხალხი მიიყვანეს ასეთ მდგომარეობამდე, იძულებული გახადეს იარაღისათვის მოეკიდა ხელი. ხალხი, რომელიც მოთმინებიდან გამოიყვანეს, რომლის და-ჩაგვრა და წელში გატეხა მიზნად დაისახეს, აღსდგება თავისი

მჩაგვრელების წინააღმდეგ და ეს ბრძოლა სრულიად მართებული იქნება, ამბობს გოეთე „ეგმონტში". ამავე აზრს ატარებს იგი დრამაში „აჯანყებულნი".

ეს არის გოეთეს მხრივ აღიარება ხალხის უფლებისა რევოლუციაზე, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, არსებითად, გამართლება საფრანგეთის რევოლუციისა, მისი ისტორიული აუცილებლობისა და მნიშვნელობის აღიარება.

თავი V

საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის გზების ძიება

როგორც გამოირკვა, გოეთეს დამოკიდებულება მისი დროის სოციალური ყოფისადმი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, ფეოდალური საზოგადოებისადმი დამოკიდებულებაში მწერალი იჩენს, ერთი მხრივ, მებრძოლ-დემოკრატიულს, მეორე მხრივ კი, ბიურგერულ-შემარიგებლურ განწყობილებებს. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ასეთი ვითარება არ არის შემთხვევითი, მარტოოდენ გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების დამახასიათებელი მოვლენა, არამედ დამახასიათებელია მთელი იმდროინდელი გერმანული იდეოლოგიისათვის, რადგან მას საფუძველი აქვს თვით გერმანიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენ ვნახეთ, რომ წინააღმდეგობა გოეთეს მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა მწერლის დამოკიდებულებაში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისადმი, ამ უკანასკნელის კრიტიკაში, ერთი მხრივ, რევოლუციასთან შედარებით ევოლუციის უპირატესობის აღიარებაში; მეორე მხრივ კი, იგი გამოვლინდა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის აღიარებაში, მის დაკავშირებაში ხალხის საარსებო ინტერესებთან.

აღსანიშნავია, რომ რევოლუციის ამგვარი გაგება გოეთემ გამოიმუშავა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ხანგრძლივი დაკვირვების, პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში ჩაბმის, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შედეგად. საბოლოო სახით რევოლუციის შესახებ თავისი კონცეფცია გოეთემ შეიმუშავა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში, რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის დაძაბული ბრძოლის პირობებში.

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ რევოლუციის გოეთესეული გაგება ასეთი წინააღმდეგობის შემცველია, თუ მწერალი, ერთი ხრივ, უარყოფს რევოლუციას, მეორე მხრივ კი, არსებითად იცავს მას, მაშინ რა უფლებით შეიძლება ვილაპარაკოთ რევოლუციის შესახებ ჩწერლის კონცეფციაზე, როგორც შეხედულებათა გარკვეულ სისტემაზე? არსებობს თუ არა რაიმე შინაგანი კავშირი ერთიდაიმავე საზოგადოებრივი მოვლენის შესახებ მწერლის მიერ გამოთქმულ სხვადასხვა შეხედულებებში, რაც ამ უკანასკნელს გარკვეული სიმწყობრის ხასიათს ანიჭებდეს? თეორიულად ასეთი შინაგანი სიმწყობრის ძიება სავსებით შესაძლებელია მაშინაც, როცა ეს სისტემა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, რადგან სისტემა სწორედ იმიტომაა სისტემა, რომ შინაგან კავშირს გულისხმობს; სხვა საკითხია, როცა საქმე გვაქვს ფრაგმენტული სახით გამოთქმულ შეხედულებებთან, რომლებიც ერთიმეორესთან არ არის დაკავშირებული.

შეიძლება თუ არა გოეთეს შესახებ ითქვას, რომ მისი შეხედულებები რევოლუციის შესახებ მოკლებულია შინაგან სიმწყობრეს, სისტემურობას?

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად საჭიროა მწერლის მიერ რევოლუციის შესახებ გამოთქმული შეხედულების გაანალიზება სხვა კუთხით, სახელდობრ, ამ შეხედულებებში შინაგანი კავშირის დაძებნის თვალსაზრისით; ბუნებრივია, რომ ამ მიზნისათვის არ იკმარებს მხოლოდ რევოლუციის შესახებ მწერლის მიერ გამოთქმული შეხედულებების ანალიზი, შეხედულებებისა, რომელთა ერთი ნაწილი შესაძლოა შემთხვევით ხასიათსაც ატარებდეს; საჭიროა მწერლის სხვა შემოქმედებითი რეალიების მოშველიება.

იმისათვის, რომ გაირკვეს ეწინააღმდეგება თუ არა გოეთე თავისთავს საფუძველშივე ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ გამოთქმულ შეხედულებებში, საჭიროა გაირკვეს თუ რა ძირითად წანამძღვრებს ემყარება მწერალი ორივე შეპთხვევაში, მაშინ, როცა აკრიტიკებს რევოლუციას და მაშინ, როცა მის დადებით მნიშვნელობას აღიარებს. საკითხის ამ მხარის გამორკვევა უკვე იმას ნიშნავს, რომ ცხადყოფილ იქნას რევოლუციის გოეთესეული გაგების ძირითადი ასპექტები, ცხადყოფილ იქნას თუ რატომ ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში მწერალი ამგვარად და არა სხვაგვარად მსჯელობს რევოლუციაზე.

საკითხის ამ მხარის გამორკვევა, რევოლუციის შესახებ გოეთეს შეხედულებების გარკვეულ თეორიულ ფუნდამენტამდე დაყვანა, ამასთანავე გულისხმობს იმის გამორკვევას, თუ როგორია სა-

ერთოდ გოეთეს სოციალურ-პოლიტიკური კრედო, მისი კონცეფ-ცია საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისა, როგორია მისი შეხედულება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე, ადამი-ანთა ისტორიაზე საერთოდ, რა მამოძრავებელ ძალებს ხედავს იგი ადამიანთა საზოგადოებაში, როგორ ესმის მას საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერება, როგორია მისი პროგრამა ადამიან-თა ცხოვრების გარდაქმნისა.

ეს საკითხი დაწვრილებით იქნა განხილული წინამდებარე შრომაში, როცა მწერლის მსოფლმხედველობის ბუნების გამორკვე-ვას ვახდენდით. შრომაში ცხადყოფილ იქნა, რომ როგორც მყო-ფობის, ისე ადამიანთა ისტორიის გაგებაში გოეთე დგას მ ა ტ ე რ ი ა-ლ ი ზ მ ი ს ნიადაგზე, რომ მისთვის როგორც შემეცნების თეორიის, ისე ადამიანთა ისტორიის ძირითადი საკითხის გაგების დარგში უცხოა საკითხის იდეალისტური დაყენება, რომ მისთვის პირველა-დია განვითარებაში მყოფი მატერია, რომ ადამიანთა ისტორიის შემოქმედად იგი თვლის ადამიანს, რომ ისტორიის გაგების დარ-გში ძირითადად მატერიალიზმის ნიადაგზე მდგარი გოეთე საზო-გადოების განვითარებაში ხედავს ობიექტურ კანონზომიერებას.

რევოლუცია, ფიქრობს მწერალი, არ არის აუცილებელი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი არ არის საზოგადოებრივი რიგის მოვლენა, კონკრეტული ისტორიული ვითარებით გამოწვე-ული. ასევე ბუნებრივი და ისტორიულად აუცილებელია, ფიქრობს მწერალი ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაზე დაკვირვების შედეგად, ადამიანთა დაყოფა კლასებად და პარტიე-ბად, ღარიბებად და მდიდრებად. მწერალი კი არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ საზოგადოება კლასებად და პარტიებადაა დაყო-ფილი, არამედ ღებულობს მას როგორც ფაქტს, ახდენს მათ შო-რის არსებული დაუსრულებელი ბრძოლის კონსტატაციას.

წინააღმდეგობებს, პოლარიზმს, გოეთეს აზრით, ვხვდებით ბუნებაშიაც. აქ ადგილი აქვს ერთიმეორის მოწინააღმდეგე პოლუ-სების ბრძოლას, რის ნიმუშადაც მას მიაჩნია მაგნიტის პოლუსე-ბის ურთიერთდამოკიდებულება. ამ პოლუსთა შორის დამოკიდე-ბულება, ფიქრობს გოეთე, ისეთივეა, როგორიცაა დამოკიდებულება სიბნელესა და სინათლეს, სიყვარულსა და სიძულვილს შორის, როგორიცაა დამოკიდებულება თავისი მდგომარეობით უთანასწო-რო ადამიანებს შორის.

ამგვარად, როგორც ბუნებაში, ისე ადამიანთა საზოგადოება-ში, გოეთეს კონცეფციით, ადგილი აქვს პ ო ლ ა რ ი ზ მ ს, ურთი-ერთ ბრძოლას. საზოგადოებაში იგი ღარიბებსა და მდიდრებს

შორის ბრძოლის ხასიათს ატარებს. ამ ბრძოლაში გაისმის ღარიბი ხალხის სამართლიანი ხმა, მოთხოვნა, რომ მათ შეუმსუბუქდეს ტვირთი, შეექმნას ადამიანური ცხოვრების პირობები. მწერალს გულს უდაგავს ღარიბთა მდგომარეობა, იმის შეგნება, რომ ადამიანთა უმრავლესობა თავის დღეებს სიღარიბეში ატარებს. იგი ხედავს, რომ ღარიბები უმიზეზოდ არ იწყებენ არსებულის წინააღმდეგ ბრძოლას, უმიზეზოდ არ უპირისპირდებიან მქონებელთა კლასს, ხედავს, რომ მათ ამას აიძულებს ცხოვრების მძიმე პირობები.

გოეთე ღებულობს როგორც ფაქტს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ სოციალურ ბრძოლას, მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს შორის ბრძოლას. რევოლუციაც მას ამ გარემოების ლოგიკურ შედეგად მიაჩნია, სახელდობრ, იმ გარემოების, რომ ადამიანებს წაართვეს თავისუფლება, მონობასა და სიღარიბეში ჩააგდეს, არ გაატარეს გონივრული სოციალური რეფორმები, ხალხის დაჩაგვრის პოლიტიკა არ შეცვალეს ხალხზე ზრუნვის პოლიტიკით. აქ არის რევოლუციისადმი გოეთეს პოზიტიური დამოკიდებულების სათავე, მისი მიჩნევა ისტორიულად გარდაუვალ მოვლენად მაშინ, როცა თეორიულად იგი მას არ მიაჩნია ბუნებრივად და აუცილებლად. რევოლუცია აუცილებელი ხდება მაშინ, როცა ხელისუფლების მესვეურები არ ცდილობენ ხალხთან საერთო ენის გამონახვას, როცა ისინი ტვირთის შემსუბუქების მაგიერ ხალხს სოციალურ ბორკილებს ადებენ, რითაც იძულებულს ხდიან მას პოლიტიკური ბრძოლა გააჩაღოს, მიზნად არსებულის საფუძვლების დანგრევა დაისახოს.

ამგვარ ვითარებას ხედავს გოეთე მისი დროის საფრანგეთში. მას, მართალია, ისტორიულად გამართლებული მიაჩნია კლასთა ბრძოლა და რევოლუცია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მას იგი სასურველად მიაჩნია. ბიურგერული შეზღუდულობისაგან თავდაუღწეველ მწერალს ჰგონია, რომ რევოლუცია ემუქრება არა მხოლოდ ძველ სოციალურ ყოფას, არამედ საერთოდ საზოგადოებას, რომ იგი ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებრივ მისწრაფებას მშვიდად იცხოვროს ამ ქვეყანაზე, დატკბეს მისი მშვენიერებით.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გზას, რომელსაც საფრანგეთი დაადგა, გოეთე უპირისპირებს თავის სოციალურ პროგრამას, რომელიც გარკვეულად რევოლუციით დაშინებული გერმანელი ბიურგერის მისწრაფებებსაც უდგება. როგორია ამ სოციალური პროგრამის არსი, რა გზით უნდა წავიდეს განვითარება იმ ქვეყნებისა, რომლებშიაც ბურჟუაზიული რევოლუცია არ მომხდარა? საკითხის ამ მხარეს გოეთე სერიოზულ ყურადღებას

უთმობს. მწერალი, ცხადია, არ იკეტება ნაციონალურ ფარგლებში, საფრანგეთის ამბები მას გულთან ერთობ ახლოს მიაქვს ისე, როგორც სხვა ხალხების საქმე, მაგრამ ადვილი შესამჩნევია, რომ მას განსაკუთრებით აწუხებს გერმანიის ბედი, ის საკითხი თუ რა ხაზით წავა გერმანიის განვითარება. გოეთე მიხვდა, რომ ფეოდალურ-იუნკერული გერმანია ვერ დარჩება უცვლელი, რომ ყინული აქაც დაიძრა; იგი მიხვდა, რომ ფეოდალური წყობილების საფუძველი გერმანიაშიაც დამპალია, რომ რევოლუციური იდეები აქაც სწრაფად იკაფავს გზას და ამიტომ მწერალი ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაშივე იმუშავებს თავის სოციალურ პროგრამას, სახავს თავისი ქვეყნის განვითარების გზას.

გოეთე ფიქრობს, რომ მთავარი მნიშვნელობა იმას ენიჭება, თუ როგორი მიმართება დამყარდება როგორც ცალკე ადამიანებს, ისე სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანისა და საზოგადოების დამოკიდებულების საკითხს. საზოგადოება ყოველთვის მოწინააღმდეგე სოციალურ ჯგუფებად, ურთიერთ მებრძოლ პარტიებად იყო დაყოფილი, ფიქრობს მწერალი, მაგრამ გონივრული პოლიტიკის შედეგად ზოგჯერ ხერხდებოდა ხოლმე ამ გარემოების ლოგიკური შედეგის, რევოლუციის თავიდან აცილება.

წინააღმდეგობას, მწერლის აზრით, როგორც აღინიშნა, ადგილი აქვს არა მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ბუნებაშიაც, მაგრამ ეს გარემოება ამასთანავე წარმოადგენს თვით წინააღმდეგობრიობის დაძლევის საშუალებას. წინააღმდეგობათა დაპირისპირება, რომელსაც ბუნებაში აქვს ადგილი, ამასთანავე ქმნის პირობებს განვიცადოთ მოსვენების, სიმშვიდის მდგომარეობა; მაგნიტის პოლუსების ერთმანეთთან მიახლოებით შეიგრძნობა ის, რაც საერთოა მათ შორის, სახელდობრ, მოსვენებულობა („Die endliche Ruhe wird nur verspürt, sobald der Pol den Pol berührt“) [1]. ამიტომ განგებას მადლობა უნდა შევწიროთ, რომ მან ერთმანეთისაგან გათიშა პოლუსები, რადგან ეს გათიშულობა წარმოადგენს მათ შორის საერთოს დანახვის საშუალებას. გოეთე მიხვდა, რომ განსხვავებულში საერთო დაინახება, რომ მთელი ჩანს ნაწილში („Willst du dich am Ganzen erquicken, so musst du das Ganze im Kleinsten erblicken“ [2]).

---

[1] „Gott, Gemüht und Welt“. Goethes sämtl. Werke, Stuttg. u. Tüb. Bd. III, 1853, S. 5.
[2] ibid.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებულობა, გოეთეს გაგებით, მუდმივი და გარდაუვალია, პოლუსები მუდამ არსებობს, ასევე, წყვდიადი და სინათლე, სიყვარული და სიძულვილი. თავისი მდგომარეობით უკანა რიგში მდგომი წინ მიისწრაფვის, წინა რიგში მდგომი კი თავისი ფაქტობრივი მდგომარეობის შენარჩუნებას ცდილობს. ნამდვილი თანასწორობა მიიღწევა მოწინააღმდეგე პოლუსებს შორის არა ბრძოლის გამწვავებით, არამედ მათი მორიგებით („Und so bleibt auch in ewigem Frieden, die Finsterniss vom Licht geschieden")[1].

წინააღმდეგობათა ბრძოლა იძლევა საშუალებას განვიცადოთ სიმშვიდის მდგომარეობა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი უზრუნველყოფს ნამდვილ სიმშვიდესა და მოსვენებას. წინააღმდეგობათა ბრძოლამ, ამდენად, უნდა შეგვასწავლოს სიმშვიდის მდგომარეობის დაფასება, მუდმივი და გარდაუვალი უნდა გახდეს არა განსხვავებულის ბრძოლა, არამედ სიმშვიდე და მოსვენება („Dass sie mit einander streiten können, das ist eine baare Torheit zu nennen" [2]).

გოეთე ანგარიშს უწევს იმ ფაქტს, რომ საზოგადოება იყო და არის დაყოფილი მოპირდაპირე სოციალურ ჯგუფებად და პარტიებად. მაგრამ ამ გარემოების ლოგიკურ შედეგს, ურთიერთბრძოლასა და რევოლუციას თავიდან იცდენდნენ ხოლმე ხელისუფლების სათავეში მდგომთა და დაქვემდებარებულთა ურთიერთდათმობის მეოხებით. როცა კი ასეთი ურთიერთდათმობა არ ხერხდებოდა, მაშინ საზოგადოებას თავს ატყდებოდა ხოლმე რევოლუციები. ასეთი ვითარება იყო, ფიქრობს მწერალი, XVI საუკუნის გერმანიაში და ასეთივე ვითარება იქმნება დღესაც, საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში („Franztum drängt in diesen verworrenen Tagen, wie ehmals Luthertum es getan, ruhige Bildung zurück" [3]).

მწერალი კრიტიკულადაა განწყობილი ბურჟუაზიული რევოლუციისადმი, უარყოფს მისი ერთი ქვეყნიდან მეორეში ხელოვნუ-

---

[1] ibid., 7.

[2] ibid., 8.

[3] „Yier Jahreszeiten". Goethes Werke, Berlin, 1872, Bd. I — II S. 235. უფრო გვიან პერიოდშიაც ლუთერი მწერალს არ მიაჩნდა არსებული სოციალური წყობის მეგობრად, მაგრამ თვლიდა, რომ ლუთერის გამოსვლას არსებულის წინააღმდეგ ჰქონდა ღრმა სოციალური გამართლება, ხალხში მომწიფებულ მისწრაფებათა გამოხატულებას წარმოადგენდა („Ist aber ein wirkliches Bedürfnis zu einer grossen Reform in einem Yolke vorhanden, so ist Gott mit ihm und sie gelingt.. Er war ebenso sichtbar mit Luther, denn

რად გადატანის მიზანშეწონილობას. ყოველი სახალხო მოძრაობა, ფიქრობს იგი, უნდა აღმოცენდეს თავის საკუთარ ფესვზე. „მეორე მხრივ, ერისათვის მხოლოდ ის არის კარგი, ეუბნება გოეთე ეკერმანს, რაც მისი საკუთარი თესლის, საზოგადო მოთხოვნილებებისაგან გამომდინარეობს სხვებისადმი ყოველგვარი სულელური მიბაძვის გარეშე. რაც ერთი ხალხისათვის განსაზღვრულ საფეხურზე შეიძლება კეთილმოქმედ საკვებად გამოდგეს, მეორისათვის ალბათ საწამლავად იქცევა. ამიტომ სისულელეა ყოველგვარი ცდა, რომელიც მიზნად ისახავს იმ ახალ წამოწყებათა შემოღებას, რისი მოთხოვნილებაც ერში არ არის ღრმად ფესვგადგმული, ხოლო ყოველი ამგვარი განზრახული რევოლუცია კი უშედეგოა“ [1].

რევოლუცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული წინააღმდეგობის გამოხატვაა. იგი აუცილებელი გახდა იმიტომ, რომ არ გატარდა ის, რაც უნდა გატარებულიყო, არ გატარდა სასარგებლო სოციალური რეფორმები, არ შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაძლებლობა იყოს ქმედითი იმ სფეროში, რომლისთვისაც იგი მოწოდებულია („wo niemand gehindert ist, in seiner Art tätig zu sein“).

ძნელი არაა იმის დანახვა, რომ კლასთა ბრძოლასა და რევოლუციას გოეთე უპირისპირებს საზოგადოების ყველა წევრის ურთიერთ თანამშრომლობის, ერთის მიერ ყველასათვის და ყველას მიერ ერთისათვის მხარის მიცემის პროგრამას, ადამიანების მიერ, განურჩევლად მათი სოციალური მდგომარეობისა, ერთმანეთში \ადამიანის დანახვას და დაფასებას. ამგვარი სოციალური პროგრამის წამოყენებაში ნათლად ჩანს გოეთეს მსოფლმხედველობის ბიურგერულ-შემარიგებლური მხარე, „ბრძოლით მოქანცული“ დიდი გერმანელი მწერალი, რომელსაც ვერ დაუძლევია გერმანიის ბურჟუაზიის „პროვინციული შეზღუდულობა“.

რა საშუალებით უნდა განხორციელებულიყო კლასებისა და პარტიების ეს თანამშრომლობა, ვის უნდა ეკისრა ამ განუხორციელებელი ამოცანის შესრულება, ვინ უნდა გამოსულიყო „წმინდა ადამიანობის“, საზოგადოების ამ ახალი ისტორიის დაწყების მებაირაღტრედ? როგორი უნდა ყოფილიყო ასეთ ვითარებაში მქონებელი კლასების პოზიცია, პოზიცია ჩაგრულებისა, იყო თუ არა შესაძლებელი, რომ ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს

---

die Reinigung jener durch Pfaffenwesen verunstalteten Lehre war es nicht weniger“. Eckermann, III, 34).

[1] ibid.

მხედველობიდან გაეშვათ თავიანთი კლასობრივი ინტერესები — აი ძირითადი საკითხები, რომლებიც მწერლის წინაშე ისმებოდა.

როგორც ვუჩვენეთ, გოეთე არ უარყოფს რევოლუციის დადებით მნიშვნელობას. საფრანგეთის რევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშ მყოფი მწერალი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ რევოლუციის გამარჯვება კონტრრევოლუციაზე წარმოადგენს ახალი ეპოქის დასაწყისს მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ, როგორც ვუჩვენეთ, ეს გარემოება მას სრულიად არ აძლევს საფუძველს მიიღოს საერთოდ ბურჟუაზიული რევოლუცია, გადასინჯოს თავისი სოციალური კონცეფცია. ამიტომაა, რომ სწორედ ამ პერიოდში შეიმუშავა მწერალმა საბოლოო სახით თავისი სოციალური პროგრამა, იწყო თავისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების აქტიური პროპაგანდა მრავალრიცხოვან ნაწარმოებში.

საფრანგეთის რევოლუციაზე დაკვირვებას, მისი დადებითი ისტორიული მნიშვნელობის აღიარებას მწერლისათვის ხელი არ შეუშლია დაეცვა და განევითარებინა თავისი სოციალურ-პოლიტიკური კრედო, ეღიარებინა ევოლუციის უპირატესობა რევოლუციაზე. ამ ფაქტში პოულობდა გამოხატულებას ის გარემოება, რომ გოეთეს თავი ვერ დაეღწია გერმანელ ფილისტერთა გავლენისაგან, მეორე მხრივ, ის გარემოება, თუ როგორ ახლოს იყო მწერალი ჰეშმარიტებასთან, როცა შიშობდა, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციას არ მოჰქონდა ხალხებისათვის ნანატრი თავისუფლება, რომ იგი ჩაგვრის ერთ ფორმას ჩაგვრის სხვა ფორმით ცვლიდა. ეს გარემოება შთააგონებდა მწერალს თავისი აქამდელი თვალსაზრისის მართებულობას საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საკითხში უპირატესობა მიენიჭებინა რევოლუციასთან შედარებით ევოლუციისათვის.

ამ ფონზე ქმნის პოეტი სახელმწიფოს საუკეთესო მმართველის და საუკეთესო მოქალაქის იდეალს. საუკეთესო მმართველი ის არის, ვისაც შეუძლია ემსახუროს ხალხს, ვინც დგას თავისი მოწოდების სიმაღლეზე და კი არ დადის გემოვნებით დაბალ საფეხურზე მყოფთა დონემდე, არამედ აფაქიზებს და აკეთილშობილებს მათ, ხელს უწყობს მათში იმის დაძლევას, რაც ინდივიდუალურისა და ადამიანურის წინააღმდეგობაში იხატება. თავის მხრივ იმათაც, ვისაც ხელისუფლების მმართველები ემსახურებიან, ევალებათ თავაზიანობისა და დათმობის გამოჩენა, დაკმაყოფილება იმ რეფორმებით, რომლებსაც ზევიდან ატარებენ. თუ არ არის დაცული ეს პირობა, ხალხზე ზრუნვა და დათმობა ზევიდან, მოთმინება და თავაზიანობა ქვევიდან, მაშინ საზოგადოებას თავს ატ-

ყდება ხოლმე მძიმე განსაცდელი, ნგრევა და განადგურება [1]. საჭიროა მოწინააღმდეგე ბანაკებს შორის საერთო ენის მონახვა, ერთიმეორის დამსახურების დაფასება („Nicht grössern Yorteil wüsst'ich zu nennen, als des Feindes Yerdienst erkennen").

მწერალი არ ხუჭავს თვალს სინამდვილის წინაშე, იცის, რომ მის დროში არ არიან ისეთი ხელისუფალნი, რომელთა იდეალსაც თვითონ აყენებს, რომ მათ არ ამოძრავებთ ხალხის კეთილდღეობის ინტერესები, არამედ, პირადი სარგებლობის მიღების ინტერესები („Mache zum Herrscher sich Der, der seinen Yorteil versteht". „Epigramme". Goethes Werke in vier Bänden, erster Band, Stuttgart, 1887, S. 146). ცხადია, ასეთები არ შეიძლება სარგებლობდენ ხალხის თანაგრძნობითა და მხარდაჭერით, რადგან ისინი ხალხის კეთილდღეობაზე არ ზრუნავენ. თუ ხალხის ნებასურვილს გაეწევა ანგარიში, ხალხი ხმას მისცემს არა ასეთ ხელისუფალს, არამედ ისეთს, რომელიც მთელი ხალხის ინტერესით იხელმძღვანელებს („Doch wir wählen uns Den, der sich auf unsern versteht".— იქვე).

გოეთე აღნიშნავს, რომ ადამიანები არ კმაყოფილდებიან ხოლმე იმით, რაც მათ წილად ხვდებათ საზოგადოებაში, არამედ მოითხოვენ იმაზე უფრო მეტს, ვიდრე მათ სინამდვილეში გააჩნიათ. ეს გარეშოება, ფიქრობს მწერალი, განაპირობებს ხოლმე ომის წარმოშობას („Keiner bescheidet sich gern mit dem Teile,

---

[1] Vier Jahreszeiten 236. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშ გამოთქმული შეხედულებების გასწვრივ უფრო გვიან პერიოდში მწერალი იმ აზრს ანვითარებს, რომ ბრძოლა ძველსა და ახალს შორის არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ახალი დროისათვის, რომ ბრძოლა არსებულის, დაშყაყებული წესების წინააღმდეგ იწყება იმიტომ, რომ ყოველგვარი წესრიგიანობა ბოლოს და ბოლოს წარმოშობს ხოლმე პედანტობას („Aus aller Ordnung entsteht zuletzt Pedanterie"—Goethes sämtl. Werke, Stuttg. u. Augsburg, 1840, Bd. III, S. 197). ბრძოლა პედანტობის წინააღმდეგ, გოეთეს კონცეფციით, გამოხატულებას პოვებს თვით წესრიგიანობის მოსპობაში. ეჭვი არ არის, ოომ რევოლუციას მწერალი იმ პერიოდთან აკავშირებს, როცა ირღვევა ძველი წესები, ახალი კი შექმნილი არ არის, როცა, მისი აზრით, საჭირო ხდება დროის გარკვეული მონაკვეთი იმისათვის, რომ ადამიანებმა შეიგნონ ახალი წესების დამყარების აუცილებლობა (ibid., 197 — 198). სახელმწიფოს მმართველთა ამოცანად გოეთეს მიაჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების ამ წინააღმდეგობის იმზომად დაოკება, რომ მას შედეგად არ მოჰყვეს ერთი რომელიმე მხარის განადგურება, საერთოდ, არევდარევა. აღსანიშნავია, რომ მწერალი თვითონვე ეჭვის ქვეშ აყენებს ამგვარი ვითარების შექმნის შესაძლებლობას („dieses ist aber den Menschen nicht gegeben und Gott scheint es auch nicht zu wollen"— Ibid., 198).

der ihm gebühret und so habt ihr den Stoff immer und ewig zum Krieg". „Vier Jahreszeiten"; იქვე, გვ. 166).

დასკვნა ნათელია: თვითეული უნდა დაკმაყოფილდეს თავისი მდგომარეობით, ნდობითა და პატივისცემით მოეპყროს ურთიერთს, ისწრაფოდეს ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებაში ჰარმონიის, წონასწორობის დამყარებისაკენ. მხოლოდ ის ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს კეთილშობილად, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ წოდებას ეკუთვნის, რომელიც მუდამ ამგვარი წონასწორობის დამყარებისაკენ ისწრაფვის. მხოლოდ ის ხელისუფალია ნამდვილი ხელისუფალი, ნამდვილი მთავარი, ვინც თავისი მოწოდების სიმაღლეზე დგას, ვისაც შეუძლია გაამართლოს ის, რაც ხელისუფალს მოეთხოვება. მწერალი აყენებს ხელისუფლების ისეთ იდეალს, როცა ყველანი მშვიდად და შეხმატკბილებულად იცხოვრებს, ისეთ რესპუბლიკას, რომელიც მის მეთაურებს არა რაიმე პირად სარგებლობას მოუტანს, არამედ ახალ საზრუნავსა და ტვირთს („Republiken hab'ich gesehn, und das ist die beste, die dem regierenden Teil Lasten, nicht Vorteil, gewährt".—იქვე).

რევოლუცია, გოეთეს კონცეფციით, საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენაა, ლოგიკური შედეგია შექმნილი სოციალური ვითარების, მაგრამ მისი თავიდან აცდენა სავსებით შესაძლებელია, თუ კი ადგილი არ ექნება, ლიკვიდირებული იქნება ის მიზეზები რომლებიც მას წარმოშობენ. რევოლუციები, ფიქრობს მწერალი, სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, თუ მთავრობები დარწმუნდებოდნენ, რომ ხალხის განადგურება და დამონება არ შეიძლება, თუ კი ისინი იზრუნებდნენ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის მოსპობა, ხალხის ღირსების, მისი სუვერენიტეტის პატივისცემა, ქვეყნად სამართლიანობის დანერგვა — აი რისკენ უნდა ისწრაფოდნენ, ხელისუფლების მესვეურები *.

---

* გოეთეს ეს შეხედულება, მთელი სიცხადით გამოთქმული ეკერმანთან საუბარში 1824 წლის 4 იანვარს, წარმოადგენს საფრანგეთის რევოლუციის შესახებ მის მიერ მანამდე გამოთქმული შეხედულებების არა უარყოფას, თვითკრიტიკას, როგორც ამას ჰაინც კამნიტცერი ფიქრობს (Heinz Kamnitzer. Über Literatur und Geschichte, Petermänken — Verlag Schwerin, 1954, S. 106), არამედ მათ განვითარებას. კამნიტცერი ფიქრობს, რომ მხოლოდ თავისი სიცოცხლის დაღმართზე შენიშნა მწერალმა საფრანგეთის რევოლუციის დადებითი შედეგები (გვ. 107).

ამგვარი დასკვნისათვის საფუძველს კრიტიკოსი ნახულობს ეკერმანთან მწერლის ზემოდასახელებულ საუბარში. თუ ამ საუბარს განვიხილავთ გამოცალკევებულად რევოლუციის შესახებ მწერლის მთელი ნაზრევისაგან, იმ ნაწარ-

ისინი თავიანთი ამგვარი მოქმედებით ხელს შეუწყობენ თვით ბალხის აღზრდას, მის ამაღლებას „წმინდა ადამიანურობამდე". ასეთ პირობებში იხსნება არსებულის რევოლუციური გზით შეცვლის საჭიროება და აუცილებლობა.

მოებებისაგან, რომლებიც რევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებაშია ქვეშ დაწერა, აგრეთვე იმ ნაწარმოებებისაგან, რომლებიც ახალი საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, მაშინ, ცხადია, ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რასაც აკეთებს კამნიტცერი, რადგან აქ მწერალი რევოლუციისადმი თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას მართლაც იმით ხსნის, რომ ის ერთობ ახლოს იდგა რევოლუციის ამბებთან. რომ ეს უკანასკნელი მას ყოველდღიურად აღაშფოთებდა. იმ დროს, როდესაც რევოლუციის კეთილისმყოფელი შედეგების დანახვა მაშინ შეუძლებელი იყო (Eckermann, 33).

თუ საუბრის ამ ნაწილში გატარებულ აზრს მივიღებთ საფრანგეთის რევოლუციის გოეთესეული კონცეფციის კვინტესენციად, მაშინ, ბუნებრივია, იგი, კამნიტცერის მსგავსად, უნდა მივიჩნიოთ მწერლის თვითკრიტიკად, რევოლუციის შესახებ მისი აქამდელი შეხედულებების უარყოფად. მაგრამ გვაქვს კი სინამდვილეში საქმე ასეთ ვითარებასთან? სწორად აფასებს თუ არა მწერალი თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში საფრანგეთის რევოლუციისადმი მის ადრინდელ დამოკიდებულებას, მართალია თუ არა იგი. როცა იმის აღიარებისაკენ იხრება, რომ რევოლუციის ტალღების აზვირთების დროს მან ვერ შენიშნა და არც შეიძლებოდა შეენიშნა ამ მოძრაობის დადებითი შედეგები. გოეთეს მთელი ცხოვრება და შემოქმედება საფუძველშივე უარყოფს ამ დებულებას, სახელდობრ იმას, რომ მწერალს საფრანგეთის რევოლუციისადმი იმთავითვე მხოლოდ და მხოლოდ კრიტიკული დამოკიდებულება ეკავა, რომ იგი ვერ ხედავდა და არც შეეძლო დაენახა ამ მოძრაობის დადებითი მნიშვნელობა, რომ რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის გაგების საქმეში რადიკალურ გარდატეხასთან გვაქვს საქმე მწერლის ცხოვრების უკანასკნელ წლებში. კამნიტცერი არ მიუთითებს და არც შეუძლია მიუთითოს გოეთეს შემოქმედების უკანასკნელი პერიოდის რომელიმე ნაწარმოებზე, საიდანაც ჩანდეს, რომ მწერალმა გადასინჯა რევოლუციის შესახებ თავისი კონცეფცია, გამოთქვა ისეთი მოსაზრებები, რომლებიც რითიმე უპირისპირდება მწერლის მიერ მანამდე გამოთქმულ შეხედულებებს.

რაც შეეხება საფრანგეთის რევოლუციის თემაზე დაწერილ გოეთეს აქამდელ ნაწარმოებებს, მათში კამნიტცერი, როგორც ჩანს, ხედავს საფრანგეთის რევოლუციისადმი მწერლის მხოლოდ და მხოლოდ უარყოფით დამოკიდებულებას. კრიტიკოსის ზემოთ აღნიშნული დებულების ფონზე — რომ გოეთემ მხოლოდ თავის ცხოვრების ბოლო წლებში გაიგო საფრანგეთის რევოლუციის კეთილმყოფელი შედეგები, სხვა დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. მაგრამ ასეთი დასკვნა არამც და არამც არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ, რადგან გოეთე, როგორც ეს გავარკვიეთ, საფრანგეთის რევოლუციის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში არა მხოლოდ აკრიტიკებს რევოლუციას, არამედ აღიარებს მის დადებით, მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობასაც. კამნიტცერი ემყარება ეკერმანთან მწერლის მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ საუბარს, მაგრამ იგი არ აკავშირებს ამ უკანასკნელს მწერ-

ამ აზრს აქსოვს გოეთე რევოლუციის შესახებ დაწერილ ნაწარმოებებში, რომლებშიაც ხშირ შემთხვევაში გამოყავს იდეალური მმართველისა და მოქალაქის პერსონაჟები. ესენი ზრუნავენ საზოგადოებაში სიკეთის დანერგვისათვის, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ზრუნავენ იმისათვის, რომ არ გამწვავდეს სოციალური წინააღმდეგობა, ყველა გახდეს საზოგადოების პროდუქტიული წევრი.

ლის მთელს შემოქმედებასთან, უგულებელყოფს იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის რევოლუციის კეთილისმყოფელ შედეგებს მწერალი ხედავდა 90-იან წლებშივე, იაკობინური დიქტატურის ეპოქაშივე. ის შეხედულებები, რომლებიც ვამოთქმულია ეკერმანთან ზემოთ აღნიშნულ საუბარში, არ წარმოადგენენ რაიმე სიახლეს რევოლუციის შესახებ მწერლის საერთო ნააზრევში. შეხედულებათა იმ სისტემაში, რომელსაც იმუშავებს მწერალი 90-იან წლებში. ამ დროის ნაწარმოებებშიაც გოეთე იმ აზრს ატარებს, რომ რევოლუციის წარმოშობაში არ მიუძღვის ბრალი, იმ ხალხს, რომელიც იარაღს კიდებს ხელს, რომ რევოლუციამ ემართველი კლასების უგნური, ანტიხალხური პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს, რომ მისი თავიდან აცდენა შეიძლება უპირველესად ყოვლისა მმართველობის გონიერული, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ გამიზნული პოლიტიკის შედეგად. ასეთი აზრი მსჭვალავს ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაწერილ „ეგმონტს" და იგივე აზრია გატარებული დრამა „აჯანყებულებში", რომელსაც მწერალი იმ დროის თავის აღსარებად მიიჩნევდა და ასეთად მიიჩნევდა მას აგრეთვე თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში. ამ ნაწარმოებში გამოყვანილი გრაფის მეუღლის სახით ის აზრია გამოთქმული, რომ რევოლუციური გამოსვლები არა დაბალი სოციალური ფენების, არამედ მაღალი სოციალური წრეების მოქმედებით არის გაპირობებული, რომ მოთმინებიდან გამოსულ ხალხს ამიტომ აქვს უფლება რევოლუცია მოახდინოს. და თუ გოეთე, მისივე აღიარებით, ასეთ აზრს ატარებს 90-იან წლებში დაწერილ ნაწარმოებში, თუ ამ აზრზე იდგა იგი იმ პერიოდშიაც, რომელსაც ეკერმანთან ზემოაღნიშნული საუბარი შეეხება, მაშინ რა საფუძველი არის ეამტკიცოთ, რომ ბოლო ხანებში შეიცვალა მან რადიკალურად საფრანგეთის რევოლუციაზე თავისი შეხედულება, ახლა დაინახა მისი ის კეთილისმყოფელი შედეგები, რასაც წინათ თითქოს ვერ ხედავდა?

რევოლუციის ეს „კეთილისმყოფელი შედეგები" მწერალმა დაინახა რევოლუციური მოძრაობის დროსვე, იგრძნო, რომ რევოლუცია ისტორიული აუცილებლობის შედეგს წარმოადგენს და ხალხის ინტერესებს ექომაგება, ადამიანებს მომწიფებული სოციალური საკითხების გადაწყვეტას პირდება. იმის სრული შეგნებით, რომ სამართლიანობა რევოლუციის მხარეზეა, ბრძოლის მოწინავე ხაზზე გასულმა მწერალმა 90-იან წლებშივე აღიარა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა, პრუსია-ავსტრიის რეაქციულ არმიაზე რევოლუციურ არმიის გამარჯვებაში დაინახა მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქის დასაწყისი. 90-იან წლებში დაწერილი „კამპანია საფრანგეთში" გვიჩვენებს გოეთეს არა მხოლოდ შიშს საფრანგეთის რევოლუციის, იაკობინელთა წინაშე, არამედ რევო-

პიესაში „დიდი კოფტა“ ასეთ სამართლიან მმართველად გვეელინება თავადი, რომლის სახელითაც ლაპარაკობს პოლკოვნიკი. ნაწარმოებში გამოყვანილი თავადი არ ჰგავს იმ დროის გერმანელ თავადებს. გებულობს რა გრაფისა და მისი დამქაშების მატყუარობას, იგი ზომას ღებულობს, რათა ამ სოციალურმა სენმა არ დააავადოს საზოგადოების ორგანიზმი. არ გარყვნას სხვები. იგი სრულებითაც არ ისახავს მიზნად სასტიკი ზომების მიღებას, კმაყოფილდება აფიორის მიოლოდ აქტიური მონაწილეების დასჯით, დანარჩენთა ბიმართ კი, მორალური სენტენციებით, მათზე იდეური ზეგავლენის მოხდენით.

ლუციის სწორედ „კეთილისმყოფელი შედეგების“ გაგების, მისი ისტორიული მნიშვნელობის დაფასების უნარს. კმნიტცერიც იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ ფაქტს, ვალმის დამარცხების დროს წარმოთქმულ გოეთეს სიტყვაში დაინახოს საფრანგეთის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის გაგება („die historische Würdigung der Französischen Revolutim“ გვ. 96), იმის გაუთვალისწინებლად თუ როგორ ეგება ყოველივე ეს იმის მტკიცებას, რომ გოეთემ მხოლოდ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გაიგო საფრანგეთის რევოლუციის კეთილისმყოფელი შედეგები.

ფრიად სასურველი იყო, კრიტიკოსს ეჩვენებინა. თუ რა ახალი ეომენტი შეიტანა გოეთემ რევოლუციის შესახებ თავის კონცეფციაში სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, რევოლუციის რა ახალი „კეთილისმყოფელი შედეგები“ დაინახა მან ამ პერიოდში, ისეთები, რომელთა მსგავსი მის შემოქმედებაში აქამდე არ მოიპოვებოდა. მაგრამ ამ ახალ მომენტებზე კრიტიკოსი არაფერს ამბობს უთუოდ იმის გამო, რომ მათ შესახებ არაფერს ამბობს მწერალიც ეკერმანთან ზემოთ აღნიშნულ საუბარში. სინამდვილეში კი მოგვიანო პერიოდის გოეთესთან არა თუ ძნელია, არამედ შეუძლებელია ვიპოვოთ ისეთი მომენტები. რომლებიც მოწმობდეს რაიმე გარდატეხას რევოლუციის შესახებ მწერლის მიერ ათეული წლის მანძილზე შემუშავებულ შეხედულებათა სისტემაში.

უპირისპირებს რა რევოლუციის გაგების საკითხში ერთიმეორეს მოგვიანო და შედარებით ადრინდელ პერიოდის გოეთეს, მიაჩნია რა, რომ გოეთე მე-19 საუკუნის 20-იანი წლებისა თვითკრიტიკულადაა განწყობილი რევოლუციის შესახებ მანამდე გამოთქმულ თავის შეხედულებებისადმი, კამნიტცერს, როგორც ირკვევა, განზრახული არ ჰქონია ეჩვენებინა თუნდაც მოგვიანო პერიოდის გოეთესთან რევოლუციის დადებითი მნიშვნელობის შეფასება. ირკვევა, რომ საფრანგეთის რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულება კამნიტცერს ესმის საფუძველშიეე მცდარად. მას მიაჩნია, რომ გოეთეს ამ რევოლუციაში ამხედრებს მისი დემოკრატიულ-პლებეური ხასიათი, რომ მისი პოლიტიკური ოცნების საგანს (Wunschtraum) წარმოადგენს ისეთი ხელისუფალი, რომელმაც რევოლუცია თავისი პლებეური ხასიათისაგან გაათავისუფლა (der... die Bevolutim von ihrem plebejschen Zug befreit hatte“. გვ. 106).

ასეთივე დადებით პირებად გვევლინებიან ნაწარმოებში გამოყვანილი პოლკოვნიკი და რაინდი. ნწერალი, რომელიც დიდ საშიშროებას გრძნობს ე. წ. ყელსაბამის ისტორიაში, რომელიც სწორედ ამიტომ შეუდგა „დიდ კოფტაში“ თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას, იმ აზრს ანვითარებს, რომ საზოგადოებას, მართალია, დიდი საფრთხე ემუქრება, მატყუარებმა, ავანტიურისტებმა ხელფეხი აიშვეს, მაგრამ ყველაფერი მაინც არ არის დაკარგული, საზოგადოების შიგნით არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია თავიდან ააცდინოს ქვეყანას კატასტროფა, გაამთლიანოს, იდეურად კომპაქტური გახადოს საზოგადოება.

კიდევ უფრო მკვეთრად აყენებს გოეთე ამ საკითხს იმ ნაწარმოებებში, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშ დაიწერა—„მოქალაქე გენერალში“, „აჯანყებულებში“, „უკანონო ქალში“, „ჰერმანსა და დოროთეაში“ და სხვ. და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ამ პერიოდში მწერალი ხედავს, რომ გერმანიაშიაც იწყება სოციალური მღელვარებანი, ვრცელდება რევოლუციური იდეები, ახალი სოციალური ურთიერთობა აქაც გზას იკაფავს. ამ ნაწარმოებებში გოეთე არ კმაყოფილდება მხოლოდ იმის გადმოცემით, რაც ხდება მის ქვეყანაში, არ კმაყოფილდება იაკობინელების კრიტიკით, არამედ გვაწვდის თავის სოციალურ პროგრამასაც, რომელიც უნდა გახდეს გერმანიისათვის ბურჟუაზიული რევოლუციის მეხთამრიდი. რევოლუციის კრიტიკის, ალაგ-ალაგ მისი დადებითი მნიშვნელობის აღიარების ფონზე გოეთე ცდილობს გახაზოს გერმანიის მშვიდობიანი განვითარების უპირატესობა. იმათ გვერდით, ვინც ესწრაფვის საზოგადოებრივი ცხოვრების არევდარევას, იგი ცდილობს დახატოს მიმზიდველ ფერებში ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეგნებული აქვთ, თუ რას წარმოადგენს ეს კრიტიკული ეპოქა, იბრძვიან ოჯახებს, ნათესავებსა და მეგობარ-ნაცნობებს შორის სოლიდარობისა და ურთიერთგაგების დამყარებისათვის, იბრძვიან იმისათვის, რომ კომპაქტური გახდეს მთელი საზოგადოება.

ამ საფუძველზე ხსნის კრიტიკოსი გოეთეს გატაცებას ნაპოლეონით, მიაჩნია რომ ის, რაც ნაპოლეონმა მოიმოქმედა საფრანგეთის რევოლუციის მიმართ, საკუთრივ გამოხატავდა გოეთეს მრწამსს („Die Art der Ordnung, mit der Napoleon die Französische Revolution beendete, war so recht nach Goethes Sinn“. იქვე, გვ. 105 — 106).

კამნიტცერის ეს დებულება საფუძველშივე მცდარად წარმოგვიდგენს გოეთეს დამოკიდებულებას საფრანგეთის რევოლუციისადმი, საერთოდ, მწერლის სოციალურ კონცეფციას. არავითარი ფაქტობრივი მონაცემები არ არის მივიჩ-

ასე, მაგალითად, კომედიაში „მოქალაქე გენერალი“ მწერლის ყურადღებას იპყრობს არა იმდენად ქარაფშუტა შნაპსის სახე, რამდენადაც ის გარემოება, რომ შნაპსის გამოსვლას გარკვეული სოციალური გამართლება აქვს, რომ ამ ავანტიურისტს შეუძლია ზიანი მოუტანოს მთელს საზოგადოებას, კიდევ უფრო გააძლიეროს ეჭვები და რყევები, დაარღვიოს საზოგადოების მთლიანობა. მწერალი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ შნაპსი მოღვაწეობს იმ დროს, როცა რევოლუციის ქარიშხალი გერმანიასაც უახლოვდება, როცა გერმანიის შიგნით ადგილი აქვს სოციალურ დრტვინვას. ამიტომაა, რომ იგი არ კმაყოფილდება მარტოოდენ შნაპსის კარიკატურული სახის ჩვენებით, არამედ უპირისპირებს მას იდეალურ მეართველს, თავადს, რომელიც ცხადდება შნაპსის დანაშაულის ადგილზე და ღებულობს ზომას, რათა მომხდარმა ფაქტმა არ მოიტანოს ზიანი საზოგადოებისათვის.

თავადი კატეგორიულად უარყოფს მოსამართლის წინადადებას შნაპსის დატყვევებისა და დასჯის შესახებ, რადგან ასეთი ნაბიჯი, ფიქრობს იგი, შიშსა და უნდობლობას დათესს დამშვიდებულ ქვეყანაში („Sie erregt nur Schrecken und Misstrauen in einem ruhigen Lande“). „დროის შეუფერებელი ბრძანებები და სასჯელი უპირველესად ბოროტებას წარმოშობს“, ამბობს იგი. მაშასადამე, მკვეთრი მოქმედება, ადამიანთა გაღიზიანება არ არის მიზანშეწონილი, საჭიროა მიზნად ვისაბაავდეთ ადამიანის არა დასჯას, არამედ გამოსწორებას, ამას მოითხოვს ინტერესი არა მხოლოდ იმ ადამიანისა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, არამედ, მთელი საზოგადოების. თავადის მოწოდების აზრია გამოვიჩინოთ მეტი მზრუნველობა ადამიანზე, ვიზრუნოთ ერთიმეორისათვს სარგებლობის მოტანაზე.

„თვითეულმა, ამბობს თავადი, გამოიყენოს ჩვენი მშვიდობიანი ხანა, მოუტანოს როგორც თავისთავს, ისე თავისიანებსაც კანონიერი სარგებლობა. ამით იგი სარგებლობას მოუტანს ყველას“. ხელისუფლების მესვეურმა ადამიანებში ეს ურთიერთ სიყ-

ნიოთ, რომ გოეთე საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას აკრიტიკებდა ანტიდემოკრატიული პოზიციიდან, რომ მის პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენდა ბონაპარტიზმი. გოეთე იმიტომ კი არ აკრიტიკებს საფრანგეთის რევოლუციას, რომ მასში ღარიბი ხალხი ღებულობდა მონაწილეობას, არამედ იმიტომ, რომ ამ ხალხმა რევოლუციისაგან ვერაფერი მიიღო, რევოლუციის შედეგები მდიდრებმა მოიმკო. მისი პოლიტიკური კრედო საფუძველშივე უარყოფდა ხელისუფლების ისეთ მესვეურს, რომელიც ხალხს მჩაგვრელად ეელინებოდა, მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამოდიოდა.

ვარულის გრძნობა უნდა დანერგოს, ყველას თავისი მოღვაწეობის უშუალო სფეროზე უნდა მიუთითოს. „შვილებო, გიყვარდეთ ერთმანეთი, მოუწოდებს თავადი შეკრებილთ, დაამუშავეთ თქვენი მინდვრები და იქონიეთ წესრიგში თქვენი სახლები“.

თავადის სახით გოეთე თავისი სოციალური პროგრამის ძირითად ბზარეს გადმოვცემს, იმ აზრს ანვითარებს, რომ ადამიანთა შორის სოციალურ-კასტური განსხვავების მიუხედავად, სავსებით შესაძლებელია დამყარდეს ნდობისა და ურთიერთგაგების დამოკიდებულება, ყველანი საერთო ინტერესებით გაიმსჭვალოს, თავისი ნიჭისა და ბონაცემების გამოყენების სფეროს ეცდეს, პროდუქტიულად მუშაობდეს თავისი უშუალო მოწოდების დარგში. ამის შედეგად მოიხსნება სოციალური ბრძოლის საჭიროება, ფიქრობს მწერალი.

„იმ ქვეყანაში, ამბობს თავადი, სადაც მმართველი ყველას გულღიად უხვდება, სადაც ყველა წოდება პატივს სცემს ერთიმეორეს, ყველას აქვს დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, სადაც სასარგებლო შეხედულებები ფართოდ იკიდებს ხოლმე ფეხს, პარტიები არ წარმოიშობა. მონდარი ამბები იქ მხოლოდ ყურადღებას მიიქცევს, მაგრამ სხვადასხვა ერის მეამბოხური შეხედულებები მათზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს. იმ დროს, როცა გამაუბედურებელი ქარიშხალი სეტყვავს თვალუწვდენელ სივრცეს, ჩვენ, სიწყნარეში მყოფთ, გულს გვიხარებს ჩვენს ზევით მოწმენდილი ცის დანახვა“.

ირკვევა, რომ, გოეთეს აზრით, რევოლუციებს თვითეულ ქვეყანაში თავისი ღრმა საზოგადოებრივი მიზეზები გააჩნია, იგი ადამიანებს მათი სანუკვარი მისწრაფებების განხორციელებას პირდება. რევოლუციის იდეებს, ამდენად, ცხოველი, მიმზიდველი ძალა გააჩნია, მათ შეუძლია სხვა ქვეყანაშიაც გავრცელება, ხალხში მეამბოხური განწყობილებების წარმოქმნა. მაგრამ, რევოლუციები საჭირო აღარ იქნება, ის დაპირებები, რომელთაც რევოლუცია იძლევა, განხორციელებული იქნება საზოგადოებრივი წყობის საფუძვლების ნგრევის გარეშე, თუ კი გატარდება ის პროგრამა, რომელსაც გოეთე აყენებს, თუ მთავრობები ისტორიის გაკვეთილს შეითვისებენ, ხელს აიღებენ ხალხების ჩაგვრის პოლიტიკაზე, თუ კი მმართველებიცა და ქვეშევრდომებიც ერთიმეორისადმი ნდობითა და პატივისცემით გაიმსჭვალებიან და ყველა აქტიურად იმუშავებს ცალკეულის, ეს უკანასკნელი კი ყველას კეთილდღეობისათვის.

ჩაგვრის პოლიტიკაზე ხელის აღება, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, მისი ღირსების პატივისცემის, ურთიერთშორის ნდობისა და სიყვარულის ატმოსფეროს შექმნა. ადამიანებისადმი თავაზიანი, ლმობიერი დამოკიდებულების გამოჩენა, ეგოისტური მისწრაფების დაძლევა და ერთიანეობრივ „წმინდა ადამიანურის“ დანახვა და დაფასება, ერთობლივი ცდა შენარჩუნებულ იქნას საზოგადოებრივი სიმშვიდე, ყველას ბერიე შრომა და გარჯა იმ დარგში, რომლისთვისაც იგი თავს განსაკუთრებით მოწოდებულად თვლის, — აი როგორ ესახება მწერალს სოციალური წინააღმდეგობიდან გამოსავალი.

ამ თვალსაზრისს ატარებს ნწერალი დრამაში „აჯანყებულები“, რომელიც აგრეთვე საფრანგეთის რევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშაა დაწერილი. რომ ეს ნაწარმოები, მასში გამოყენილი გრაფის მეუღლის ნხატერული სახე გამოხატავს გოეთეს თვალსაზრისს, ამას თვითონ ბწერალი გვიდასტურებს. „მე დავწერე იგი, აღნიშნავს გოეთე, საფრანგეთის რევოლუციის დროს (ლაპარაკია „აჯანყებულების“ შესახებ — გ. ხ.) და იგი გარკვეული მნიშვნელობით შეიძლება ჩაითვალოს იმ დროის ჩემს პოლიტიკურ აღსარებად“ [1].

დრამა აგვიწერს გერმანიის ერთი საფეოდალოს გლეხთა მზადებას აჯანყებისათვის, როგორც გაბატონებული კლასის მიერ გლეხთა ჩაგვრის, მათი კანონიერი უფლების ხელყოფის ბუნებრივ შედეგს. ირკვევა, რომ გლეხები ღრმად აღშფოთებულნი არიან მათ მიმართ გამოჩენილი უსამართლობით და ელიან შესაფერის დროს აქტიური გამოსვლისათვის. ამას ვგებულობთ გლეხთა მეთაურების, განსაკუთრებით, ალბერტის სიტყვებიდან. იგი აღნიშნავს, რომ გლეხებს დიდი ხანია უნდათ აჯანყება, მაგრამ აქამდე იგი, ალბერტი, აჩერებდა მათ, ხელმძღვანელობდა რა ქირურგ ბრემეს მითითებით, რომ აჯანყებისათვის ჯერ კიდევ არ არის შესაფერისი დრო. ირკვევა ისიც, რომ გლეხები დიდი ინტერესითა და აღტაცებით ადევნებენ თვალყურს იმ დიდ პოლიტიკურ ამბებს, რომელთაც ადგილი აქვს საფრანგეთში, მიაჩნიათ, რომ იქ ხდება შესანიშნავი და კარგი რამ („Wunderliches und Gutes“). ისინი ღებულობენ გადაწყვეტილებას, იმოქმედონ სწრაფად და გადამჭრით, გამოიყენონ დაუყონებლივ გლეხთა შეიარაღებული რაზმები და წაუყენონ სასახლეს ულტიმატუმი — დააკმაყოფილოს გლეხების

---

[1] Eckermann, III, 32.

მოთხოვნა, დაუბრუნონ მათ ის უფლება, რომლითაც ისინი წინათ სარგებლობდნენ და რომელზედაც გრაფმა მათ უარი უთხრა.

დახატა რა პოლიტიკური ბრძოლის ფერხულში ჩაბმული გლეხკაცობა, მწერალმა ცხადყო, რომ ამ მოძრაობას თავისი შინაგანი კანონი გააჩნია, რომ იგი წარმოადგენს აუცილებლობის შედეგს. მაგრამ შეცდომა იქნება თუ აქედან დავასკვნით, რომ დრამის ავტორი სოციალურ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის რევოლუციურ გამოსავალზე მიუთითებს, რომ იგი ბურჟუაზიულ რევოლუციას გერმანიისათვის აუცილებელ მოვლენად თვლის. ნაწერალი აქ უფრო რელიეფურად, ვიდრე თავისი რომელიმე სხვა ნაწარმოებით, აღიარებს ხალხის უფლებას რევოლუციაზე, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ იგი თვლის აქტიურ რევოლუციურ მოქმედებას გერმანიისათვის გარდაუვალად. როგორც შედარებით აღრე დაწერილ „ეგმონტში“, ისე იაკობინური დიქტატურის ეპოქაში დაწერილ ამ ნაწარმოებშიაც გოეთე, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ატარებს იმ აზრს, რომ „რევოლუციური გამოსვლები არის მაღალი კლასების უსამართლობის ნაყოფი“, რომ ხალხი შეიძლება დაჩაგრო, მაგრამ მათი წელში გატეხა და მოსპობა კი — შეუძლებელია [1].

„აჯანყებულნის“ ავტორი რევოლუციაზე ხალხის უფლების აღიარების გასწვრივ მიუთითებს ბურჟუაზიული რევოლუციის თავიდან აცდენის აუცილებლობასა და შესაძლებლობაზე, აყენებს მმართველებსა და ხალხს შორის გონივრული და თავაზიანი დამოკიდებულების პროგრამას. ნაწარმოებში საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, რომ გლეხთა სასიცოცხლო ინტერესების ფეხქვეშ გათელვას არ აქვს უშუალო კავშირი ფეოდალურ სისტემასთან, რომ შესაძლოა ასეთი ვითარება თავიდან ავიცდინოთ თვით სოციალური სისტემის ხელუხლებლად დატოვების პირობებშიაც. „ეგმონტის“ ავტორი გარკვეულად ილუზიებს ეძლეოდა, რომ აბსოლუტისტური რეჟიმის საფუძვლების შეურყევლად შეიძლება თავისუფლად ამოისუნთქოს ნიდერლანდელმა ხალხმა. ასევე „აჯანყებულებშიაც“ ის აზრია განვითარებული, რომ გლეხებმა ფეოდალურ-აბსოლუტისტური რეჟიმის დანგრევის გარეშე შეიძლება სიმართლე და თავისუფლება მოიპოვონ. საჭიროა მხოლოდ ხალხისადმი გულშემატკივრობა, გონივრული პოლიტიკის წარმოება.

გლეხთა უფლებების ხელყოფა და, ამდენად, რევოლუციური მოძრაობის წარმოშობა, გოეთეს ამ ნაწარმოებში წარმოდგენილია

---

[1] Eckermann, III. 32.

არა როგორც ფეოდალური სისტემით განპირობებული მოვლენა, არამედ როგორც შედეგი ცალკე ფეოდალის არაგონიერი მოქმედებისა, ხალხის ინტერესისათვის ანგარიშის გაუწევლობისა. ასეთი ანტიხალხური პოლიტიკის გამტარებლად ნაწარმოებში გამოყვანილია გრაფი, რომელმაც გლეხებს უარი უთხრა მათ უფლებაზე. მაგრამ ნაკლი, რომლითაც ხასიათდებოდა გრაფი, არ შეიძლება განზოგადდეს, გავრცელებულ იქნას ფეოდალებზე საერთოდ, მიჩნეულ იქნას, რომ ყველა ფეოდალი, ხელისუფლების ყველა მმართველი აუცილებლობის კანონის კარნახით ასეთივე ანტიხალხურ პოლიტიკას უნდა ანხორციელებდეს. ავტორი გვიჩვენებს, რომ გრაფის პოლიტიკა არ არის ერთადერთი შესაძლო და აუცილებელი პოლიტიკა, რომ არის სრული შესაძლებლობა გატარებულ იქნას მისი პრინციპულად საწინააღმდეგო პოლიტიკა, გამიზნული ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, პოლიტიკა ხალიზე ზრუნვისა და მეურვეობის.

თვით შეთქმულებიც კი იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ასეთი პოლიტიკის გატარება არ არის გამორიცხული, არ არის გამორიცხული, რომ ფეოდალური სასახლე, გლეხთა პოლიტიკური გამოსვლით დაფიქრებული, გადავა ასეთ გონივრულ პოლიტიკაზე. გამოცდილება უჩვენებს გლეხებს, რომ მმართველები მათ ყოველთვის ასე უდიერად არ ეპყრობოდნენ, რომ გარდაცვლილი გრაფის მამა, განსხკავებით თავისი შვილისაგან, იყო კეთილგონიერი მმართველი, რომელიც ხალხს ანგარიშს უწევდა, ცხოვრებას არ უმწარებდა. „მოხუცი გრაფი, აღნიშნავს ბრემე, იყო ჭკვიანი, ამასთანავე კეთილი ბატონი. იცხოვრე და სხვაც აცხოვრე — ასეთი იყო მისი დევიზი". ბრემეს ეს სიტყვები, ეჭვი არ არის, გამოხატავს თვით ნაწარმოების ავტორის აზრს, მის შეხედულებას სოციალური წინააღმდეგობიდან გამოსავალზე. იგი მიგვითითებს, რომ რევოლუციური მოძრაობის აუცილებლობით გამოწვეულ მოვლენად მაღიარებელი მწერალი ამასთანავე აღიარებს ამ მოძრაობის თავიდან აცდენის შესაძლებლობას, თუ კი გატარდება ხალხზე ზრუნვის, მათი მდგომარეობის გაუმჯობესების პოლიტიკა, ნაცვლად ხალხის დაჩაგვრის, მათი ინტერესების ფეხქვეშ გათელვის პოლიტიკისა. ასეთი პოლიტიკის გატარების პირობებში აუცილებელი არ იქნება ბურჟუაზიული რევოლუცია, ის ზომები, რომლებსაც „თავისუფლების ყალბი მოციქულები" მიმართავენ.

„აჯანყებულნის" ავტორი კვლავინდებურად გამოდის ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ, გლეხთა ერთერთი მეთაუ-

რის — პეტერის სახით იმ აზრს გამოთქვამს, რომ საფრანგეთის რევოლუციაში ბევრი რამ არა ნხოლოდ შესანიშნავი იყო, არამედ უცგვანოც („Wunderliches und Abscheuliches"), ლუიზეს სახით კი იმ აზრს ანვითარებს, რომ ბევრი თავისუფლებისა და საერთო თანასწორობის მხარეს იქერს იმ მოსაზრებით, რომ თავისთვის გამონაკლისი გააკეთოს („um für sich eine Ausnahme zu machen"). ამ შეხედულებას სავსებით იზიარებს გრაფის მეუღლე, დასძენს რა თავის მხრივ, რომ დიდსულოვანი მოქმედებანი მეტწილად პიროვნულ ხასიათს ატარებს, რის შედეგადაც ანგარება წარმოგვიდგება. მაგრამ, ფიქრობს იგი, რევოლუცია აუცილებელი ხდება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების მმართველები საბედისწერო შეცდომას დაუშვებენ, ფეხქვეშ გათელავენ ხალხის უფლებას.

მწერალი კურსს იღებს იდეალურ, კეთილგონიერ მმართველზე, რომელსაც მტკიცედ გადაუწყვეტია უკუაგდოს თავისი წინამორბედი მმართველის ანტიხალხური პოლიტიკა. ასეთად ნაწარმოებში წარმოდგენილია გრაფის მეუღლე, ნათელი გონებისა და კეთილი გულის ადამიანი. მწერალი გვიჩვენებს, რომ გრაფის ცოლის იდეურ გარდაქმნაში, ხალხთან მის დაახლოებაში სასიკეთო როლი შეასრულა საფრანგეთის ამბებმა, იმ გარემოებამ, რომ გრაფის ცოლი რევოლუციის დროს საფრანგეთში იყოფებოდა. რა ნახა მან რევოლუციურ პარიზში, რა გაკვეთილები გამოიტანა ყოველივე იმისაგან, რაც ნახა და განიცადა, როგორი ევოლუცია განიცადა მისმა შეხედულებებმა? ცხადია, იმის თქმა შეუძლებელია, რომ გრაფის ცოლი გაიტაცა რევოლუციის იდეებმა, გაიტაცა იმ მეთოდებმა, რომლებსაც რევოლუცია მიმართავდა, რომ იგი დადგა რევოლუციის მიღების, ფეოდალური წყობილების ძალდატანებით დამხობის თვალსაზრისზე. არა, გრაფის ცოლი, მიუხედავად იმისა, რომ აკრიტიკებს ფეოდალურ სისტემას, დგას მაინც ამ სისტემის დაცვის ნიადაგზე; იგი აკრიტიკებს ფეოდალურ წყობილებას, კონკრეტულად, ფეოდალურ რეჟიმს გერმანიაში, მაგრამ ამ კრიტიკაში იგი არ სცილდება თავისი სოციალური წრის ფარგლებს, არ აკრიტიკებს საფუძვლებს ფეოდალური საზოგადოებისა. აყენებს რა ახალი, ხალხის საკეთილდღეოდ გამიზნული პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, იგი გამოდის ფეოდალური სისტემის ხელუხლებლად დატოვების წანამძღვრიდან. საფრანგეთის რევოლუციამ მიიპყრო მისი ყურადღება, რევოლუცია დიდი გაკვეთილის მიმცემი აღმოჩნდა მისთვის არა იმ გაგებით, რომ მან მოხიბლა გერმანელი სტუმარი, არამედ იმ გაგებით, რომ გრაფის მეუღლემ ნათლად დაინახა თუ სანამ შეიძლება მიიყვანოს ხელისუფლების

სათავეში მყოფი ხალხის მიერ მკაცრი პოლიტიკის გატარებამ, მათ ბიერ დაშვებულმა საბედისწერო შეცდომამ. თავისთავად აღებული, საფრანგეთის რევოლუცია კი, გრაფის ცოლის გაგებით, სრულიადაც არ წარმოადგენს ბიბლიოფილსა და ბისაბაძს. ა ერტომაა, რომ მას არ ეტყობა აღტყინება და აღფრთოვანება სიმართლისათვის მებრძოლი ხალხის საქმით; პირიქით, იგი ცრუნდება სამშობლოში, როგორც დათრგუნვილი და უგუნებო, რაც განპირობებულია შეგნებით არა მხოლოდ იმ ჩაფორჩენილობის და უბადრუკობისა, რასაც ადგილი აქვს მის სამთავროში, არამედ იმ „უბგვანოებებისაც“ რომელიც მან რევოლუციურ საფრანგეთში ნახა. იგი თვითონვე აღნიშნავს, რომ საფრანგეთში ნახა საუცხოო, მაგრამ ნაკლებად სიხარულის მომგვრელი ამბები („ich habe wunderbare Begebenheiten gesehen, aber wenig Erfreuliches“).

საფრანგეთის ამბებმა გარკვეულად შეარბილა გრაფის მეუღლის სოციალურ-პოლიტიკური ზეხედულებები, გახადა იგი ლიბერალური თვალსაზრისის დამცველი. მმართველობის ფორმებისა და მეთოდების შეფასებაში გრაფის მეუღლე უპირისპირდება აატმანს, რომელიც უპირატესობას აძლევს მმართველობის ტრადიციულ ფორმასა და მეთოდებს, მოითხოვს ქვეშევრდომებისადმი მკაცრ დამოკიდებულებას. გრაფის მეუღლეს გადაუწყვეტია გაატაროს თავის სამფლობელოში ლმობიერი, გონივრული პოლიტიკა, გამოიჩინოს მმართველისათვის საჭირო სულგრძელობა („ich würde großmutig sein, wie es dem gar wohl ansteht, der Macht hat“), იყოს მუდამ სამართლიანი.

მას მიაჩნია, რომ ხალხისადმი ამგვარი დამოკიდებულების აუცილებლობა ნაკარნახევია მთელი საზოგადოების ინტერესებით, იმის შეგნებით, რომ მმართველობის დიქტატორულ მეთოდს არ მოაქვს სასურველი შედეგები არა თუ იმათთვის, ვის მიმართაც ასეთი მეთოდები ტარდება, არამედ თვით მმართველებისთვისაც; რადგან ხალხი დიქტატორული რეჟიმის პირობებში იძულებული ხდება აღსდგეს თავისი უფლების დასაცავად, აღმართოს ასეთი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. მმართველობის დიქტატორული მეთოდები მოწოდებულია თავზარი დასცეს ხალხს, წელში გასტეხოს იგი, ჩაკლას მასში ჩანასახმივე წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა. მაგრამ ასეთი მიზანი, ფიქრობს მწერალი, შეუძლებელია განხორციელდეს, შეუძლებელია ხალხის წელში გატეხა, მისი, როგორც წინააღმდეგობის გაწევი ძალის მოსპობა. ხალხი შეიძლება დაჩაგრო, მისი უფლებები და ღირსება შეიძლება ხელყო, მაგრამ არსებობს საზღვარი, რომლის იქითაც

წასვლა შეუძლებელია, რომლის შემდეგაც ხალხი თავისი უფლებისა და ღირსების დასაცავად აღსდგება. ეს აზრი გამოთქვა მწერალმა ჯერ კიდევ „ვერთერში“ და შემდეგ კი იგი უფრო გაშლილად და დასაბუთებულად გამოთქვა „ეგმონტსა“ და „აჯანყებულებში“.

მსგავსად ეგმონტისა, გრაფის მეუღლეც კონსტატაციას ახდენს იმ ფაქტისას, რომ საზოგადოებაში ადგილი აქვს ადამიანთა ჩაგვრას და დამცირებას, მაგრამ ეგმონტის მსგავსადვე იგი იმ აზრსაც ავითარებს, რომ ადამიანები ამ ჩაგვრასა და დამცირებას ვერ აიტანენ დაუსრულებლივ, რომ ჩაგვრისა და დამცირების ამ პოლიტიკას არ შეუძლია მოუტანოს მის გამტარებელთ სასურველი შედეგები. რადგან ასეთი პოლიტიკა მიზნად ისახავს განუყორცელებელ ამოცანას, ხალხის წელში გატეხისა და მოსპობის ამოცანას. მმართველობის ასეთი დიქტატორული ფორმის შედეგად, ფიქრობს მწერალი, ირღვევა საზოგადოებრივი ცხოვრების სიმშვიდე, იწყება რევოლუციური მოძრაობა. ნიდერლანელი ხალხის აბხედრება ესპანელი დამპყრობელების წინააღმდეგ და საფრანგეთის რევოლუცია მას ამის ილუსტრაციად მიაჩნია.

როგორც ვხედავთ, „აჯანყებულები“ იდეურად დაკავშირებულია საფრანგეთის რევოლუციამდელი და რევოლუციის პერიოდის გოეთეს მთელს შეხედულებასთან, ანვითარებს იმავე სოციალურ პროგრამას, რომელიც მწერალმა ბევრ სხვა თავის ნაწარმოებში წამოაყენა, განსაკუთრებით კი „ეგმონტსა“ და იმ ნაწარმოებებში, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის უშუალო მონაწილეობათა ქვეშ დაიწერა. ამ ნაწარმოებში გამოყვანილი გრაფის მეუღლის პერსონაჟი იდეურად იმავე სიბრტყეზე ძევს, რომელზედაც, პერსონაჟები ეგმონტისა, რაინდისა („დიდი კოფტა“), თავადისა („მოქალაქე გენერალი“), ევგენიასი („უკანონო ქალი“). თვითონ გოეთეც აღნიშნავს, რომ გრაფის მეუღლის დახატვით მან გვიჩვენა, თუ როგორი უნდა იყვნენ მაღალი, ფეოდალური წრის წარმომადგენლები („wie der Adel eigentlich deuken soll“. Eckermann, III, 32), გვიჩვენა, რომ გრაფის ცოლის ეს შეხედულებები წარმოადგენს მისი, გოეთეს შეხედულებებს. 1824 წელს მწერალი ეუბნებოდა ეკერმანს, რომ „აჯანყებულების“ დაწერის დროს თვითონაც იმავე შეხედულების ნიადაგზე იდგა, რაზედაც დგას გრაფის მეუღლე და ამ შეხედულებებს იზიარებს იგი დღესაც („Sie war damals die meinige und ist es noch jetzt“. ibid., 32—33).

როგორც ვხედავთ, პოლიტიკურ ცხოვრებაში ადამიანის აქტიური მონაწილეობის მოთხოვნას გოეთე უპირისპირებს საზოგა-

დოების მშვიდობიანი განვითარების იდეალს. საკითხის ამგვარ გა-
გებაში მთელი სიცხადით ჩანს მწერლის წინააღმდეგობა. ერთი
მხრივ იმ ქეშმარიტების აღიარება, რომ ხალხი თავისი ბუნებით
მშვიდობის მოყვარეა, მეორე მხრივ კი დავიწყება იმ ქეშმარიტე-
ბის, რომ ისეთ საზოგადოებაში. სადაც ხალხის უმრავლესობა
ფეოდალურ ჩაგვრას განიცდის, აქტიური რევოლუციური მოქმედე-
ბისათვის ე. წ. მშვიდი ცხოვრების იდეალის დაპირისპირება გა-
მოხატავს რევოლუციით დაშინებულ ბიურგერის ილუზიას, ფეოდა-
ლურ-იუნკერულ კლასისადმი შერიგების განწყობილებას.

გოეთე ფიქრობს, რომ საზოგადოების თვითეულ წევრს მო-
ეთხოვება გამოიჩინოს სიმშვიდე, პოლიტიკური ზომიერება. მწე-
რალი ასეთ დარიგებას იძლევა:

„Es mag sich feindliches erreignen,
du bleibe ruhig, bleibe stumm“ [1]

„Wer etwas taugt, der schweige still,
im Stillen giebt sich's schön“ [2]

„Jst Cehorsam im Gemüte
wird nicht fern die Liebe sein“ [3]

გოეთე კიცხავდა არა მხოლოდ შნაპსებსა და ბრემებს, არა-
მედ იმ პირებსაც, რომლებიც პოლიტიკურ ცნობისმოყვარე-
ობას იჩენენ, პოლიტიკური ცხოვრების ჰორიზონტს გასცქერიან.
საინტერესოა ამ მხრივ კომედია „მოქალაქე გენერლის“ მოქმე-
დი პირი — გლეხი მერტენი, რომელიც დიდ ცნობისმოყვარეობას
იჩენს, დაჟინებით მოითხოვს შნაპსისაგან პოლიტიკურ საკითხებზე
საუბარს. ამ გარემოებით ისარგებლა შნაპსმა და მოხერხებულად
მოატყუა იგი. გოეთე ფიქრობს, რომ ამგვარი ცნობისმოყვარეობა
საზიანოა, იგი მასების მოტყუების საშუალებაა.

პოლიტიკური მოვლენებისადმი ადამიანის ასეთივე დამოკი-
დებულების პროგრამაა გადმოცემული „ჰერმანსა და
დოროთეაში“. პოემის გმირთა შორის ამ მხრივ განსაკუთრე-

---

[1] Goethes sämtl. Werke, Bd. III, Stuttg. u. Tüb. 1853, S. 78.
[2] ibid., 69.
[3] „Gott und Bajadere“ Goethes sämtl. Werke, Bd. I — II, Berlin. 1872, S. 143.

ბულ ყურადღებას იქცევს ჰერმანის მამა, რომელიც ცდილობს თავი შორს დაიჭიროს ყოველივე იმისაგან, რასაც შეეძლია დისონანსი შეიტანოს მის ბოლოდროინდელ საოჯახო იდილიაში, არა თუ არ წავიდეს და არ ინახულოს უბედურებაში ჩავარდნილი თანამემამულეები, არამედ არ ილაპარაკოს, ანდა ძალიან ცოტა ილაპარაკოს მათ შესახებ. იგი გაოცებით აღნიშნავს, რომ ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი გაეშურა გადმოხვეწილი გერმანელების შესახვედრად, აღნიშნავს, რომ მას არ შეუძლია გაყვეს მათ მაგალითს, ნახოს თავისი თვალით უბედურებაში ჩავარდნილი ხალხი. ხატავს რა მოსახლეობის დიდი ნაწილის, განსაკუთრებით ჰერმანის, მეაფთიაქესა და მოძღვარის დაინტერესებას მომხდარი ამბებით, მათ ვამგზავრებას გადმოხვეწილთა შესახვედრად, მწერალი თითქოს უპირისპირებს მათ სასტუმროს „ოქროს ლომის“ მეპატრონეს, უჩვენებს მისი ინდიფერენტიზმის უსაფუძვლობას. მაგრამ თუ საკითხის არსს ღრმად ჩავიხედავთ, დავრწმუნდებით, რომ პოემის გმირების ასეთ დაპირისპირებაზე ლაპარაკი შეუძლებელია, რომ მათი დამოკიდებულება ეპოქის უმნიშვნელოვანესი სოციალური საკითხებისადმი საფუძველში არ განსხვავდება ერთიმეორისაგან. ისინი, ვინც პოლიტიკური მოვლენებისადმი ერთგვარ ინტერესს ამჟღავნებს და ისინიც, ვინც ცდილობს არავითარი ინტერესი არ გამოამჟღავნოს, სდგანან ამ მოვლენების შეფასებაში არსებითად ერთსადაიმავე თვალსაზრისზე, ბიაჩნიათ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება არ უნდა გაიყინოს ერთ დონეზე, მაგრამ ეს განვითარება უნდა განხორციელდეს მშვიდობიანი, არსებულთან შერიგების გზით. ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს იმ საუბრიდან, რომელიც იმართება ჰერმანის მამასა, მოძღვარსა და მეაფთიაქეს შორის.

პირველი შეხედვით ისინი თითქოს განსხვავებული აზრის არიან მიმდინარე ამბებზე, საზოგადოების განვითარების საკითხებზე, მაგრამ ირკვევა, რომ იმის შეფასებაში, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანის მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ადამიანსა და საზოგადოებას შორის, მათი შეხედულებები ერთიმეორეს არ უპირისპირდება. არსებითად მათი საუბარი წარმოადგენს არა პოლემიკას, არამედ თვითეული მოსაუბრის მიერ გამოთქმული შეხედულებების მეორეს მიერ ან გაზიარებას, ანდა მის განვითარებას.

პოემის გმირები, მათ შორის ჰერმანი და დოროთეაც, ერთნაირად აფასებენ მიმდინარე მომენტს, არ გააჩნიათ განსხვავებუ-

ლი აზრი იმის გაგებაში, თუ რა გზით უნდა წარიმართოს გერმანიის განვითარება ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში. მთელს პოემას მთავარ ზოლად მიყვება შეგნება იმისა, რომ გერმანიისათვის მიუღებელია განვითარების ის გზა, რომელიც აირჩია საფრანგეთმა. გზა რევოლუციური გარდაქმნისა. რევოლუციის იდეებით გერმანელთა გატაცება. რწმენა იმისა, რომ მას შედეგად მოყვება თავისუფლება და სამართლიანობა. ამ ნაწარმოებში წარმოდგენილია, როგორც ანაქრონიზმი, როგორც განვლილი საფეხური. მოხუცი ნსაჯულის მიერ მოცემული შეფასება საფრანგეთის რევოლუციისა, ამ უკანასკნელით გერმანელი ხალხის გატაცებისა და შემდეგ მასში საბოლოოდ იმედგაცრუებისა. გამოხატავს თვალსაზრისს არა ცხოლოდ ამ მოხუცის და იმ ლტოლვილებისა, რომელთა იდეურ მეთაურადაც იგი ითვლება. არამედ ნაწარმოების ყველა მოქმედი პირისა.

ნაწარმოების ყველა გმირი შიშითა და ძრწოლით აღიქვამს მომხდარ ამბებს. გერმანიის თავზე დატეხილ უბედურებას. საზოგადოებრივი ცხოვრების არევდარევას. ისინი ოცნებობენ იმახეთუ როდის მოელება ბოლო ომს, უგულებელყოფენ რა იმ ფაქტს, რომ ინიციატორი ამ ომისა თვით რეაქციული პრუსია და ავსტრია იყო.

რევოლუციური საფრანგეთის მიერ არჩეულ გზას „ჰერმანსა და დოროთეაში" უპირისპირდება საზოგადოების მძვიდობიანი განვითარების გზა. რის შედეგად შეიქმნება ასეთი მდგომარეობა? ამ საკითხის გადაწყვეტისას „ჰერმანსა და დოროთეაში" გოეთე იმავე თვალსაზრისს ანვითარებს, რასაც ანვითარებდა რევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშ დაწერილ ნაწარმოებში. აგრეთვე მომდევნო პერიოდის თავის შემოქმედებაში. მწერალი ფიქრობს, რომ ასეთი მდგომარეობა მიიღწევა მმართველობის გონივრული მეთოდის გატარების, საზოგადოეის ყველა წევრის აქტიური საწარმოო საქმიანობის, მშენებლობის ფართო პროგრამის განხორციელების შედეგად. პოემაში ის აზრია ჩაქსოვილი, რომ გერმანიის განვითარება შეუძლებელია ჩაიკეტოს ვიწრო ფარგლებში, პროვინციულ ჩარჩოებში, საზოგადოების ყველა წევრი უნდა ისწრაფოდეს მუდმივი განახლებისა და გაუმჯობესებისაკენ იმის გათვალისწინებით, რასაც გვასწავლის ეპოქა და სხვა ქვეყნის მაგალითი („Denn was wäre das Haus, was wäre die Stadt, wenn nicht immer jeder gedächte mit Lust zu rerhalten und zu

erneuen, und zu verbessern auch, wie die Zeit uns lernt und das Ausland").

მუდმივი წინსვლა, გაშლილი საწარმოო საქმიანობა. გზების. არხებისა და საწარმოთა მშენებლობა, კომპაქტურობა ოჯახის და მთელი საზოგადოების — აი ის პროგრამა, რომელსაც აყენებს ჰერმანის მამა და რომელიც სავსებით გამოხატავს თვით მწერლის შეხედულებას საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საკითხზე. ეს არის ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების პროგრამა, რომელიც უარყოფს რევოლუციური გარდაქმნის აუცილებლობასა და მიზანშეწონილობას, მაგრამ განვითარების იდეას კი არ უარყოფს, ხელმძღვანელობს რა იმ დებულებით, რომ ვინც წინ არ მიდის, იგი უკან რჩება („Wer nicht vorwärts geht, der kommt zurücke")!

იგივე აზრია ჩაქსოვილი მოთხრობაში — „გერმანელ ლტოლვილთა საუბარი", რომლითაც მწერალს განუზრახავს გვიჩვენოს პოლიტიკური ამბების მსვლელობით შეშფოთებული და დაზარალებული ლტოლვილი გერმანელი არისტოკრატები, გვიჩვენოს თუ პოლიტიკურ ნიადაგზე როგორ შეიძლება დაირღვეს არა მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების მყუდროება, არამედ ოჯახებს. [ნათესავ-მეგობრებს შორის მთლიანობა და სოლიდარობა.

მწერალი გვიჩვენებს. რომ ეპოქის „ბუნტარულ შეხედულებებს" გაელენა მოუხდენია თვით არისტოკრატიული წრიდან გამოსულ ზოგიერთ ადამიანზედაც. ამ შემთხვევაში ახალგაზრდა კარლზე, რომელიც გადმოხვეწილ არისტოკრატთა შორის ყოფნას უთავსებს იაკობინური იდეების დაცვას. მეორე მხრივ, მწერალი გვიჩვენებს კონტრრევოლუციური შეხედულებების პირწავარდნილ დამცველს — საიდუმლო მრჩეველს, რომელიც ბრაზს ანთხევს რევოლუციონერების მისამართით და უპირისპირდება თავისივე წრიდან გამოსულ კარლს.

გოეთე არ კმაყოფილდება მხოლოდ იმის ჩვენებით, თუ როგორი განხეთქილება შეიტანა მომხდარმა პოლიტიკურმა ამბებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არისტოკრატიულ წრეებში, არამედ მიუთითებს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალზედაც — სიმშვიდისა და ზომიერების დაცვაზე, ცალმხრივობასა და მეოცნებობაში გადაჩეხვის თავიდან აცდენის აუცილებლობაზე, ოჯახისა და საზოგადოების შიგნით დარღვეული მთლიანობის აღდგენის საჭიროებაზე. მწერლის ამ პროგრამის მქადაგებლად ნაწარმოებში გამოდის ბარონის ცოლი, რომელიც მწუხარებით აღნიშნავს, რომ პოლიტი-

კისადმი გამოდეევნებამ, პოლიტიკურ საკითხებზე დისკუსიებმა ჩამოაგდო განხეთქილება წინათ ერთიანი აზრით შეკავშირებულ ოჯახებს შორის, დაუპირისპირა ერთიმეორეს კარლი და საიდუმლო მრჩეველი. ბარონის ცოლი მწუხარებით იგონებს იმ დროს, როცა ისინი პოლიტიკურ თემებზე საუბრის მაგიერ თავს ირთობდნენ ზღაპრების მოყოლით. სად დაიკარგა ეს ურთიერთდათმობის გრძნობა, ფილოსოფიური განსწავლულობა, ნაღვლიანად კითხულობს იგი და მოუწოდებს თავის კოლეგებს დაუბრუნდნენ პირვანდელ მდგომარეობას, მშვიდსა და უდარდელ ცხოვრებას, თავი აარიდონ მღელვარე პოლიტიკურ ამბებს. ნაწარმოებში იმარჯვებს სწორედ ეს ხაზი, ბარონის ცოლის ლიბერალიზმი.

გოეთეს მიერ წამოყენებულ სოციალურ პროგრამაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მწერალი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას, ქვეყნად სამართლიანობისა და თავისუფლების განხორციელებას აკავშირებს ფაქტობრივად არსებული სოციალური უთანასწორობის ხელუხლებლად დატოვებასთან. გოეთე ფიქრობს, რომ საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლის შეცვლის გარეშე, კლასობრივი განსხვავების არსებობის პირობებში შესაძლებელია ვიპოვოთ სოციალური კრიზისიდან გამოსავალი, უზრუნველვყოთ კაცობრიობისათვის ბედნიერი მომავალი. მთავაო ძალად, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მიერ თავისი წოდებრივი შეზღუდულობის დაძლევას, მწერალს მიაჩნია აღზრდა, პირველ ყოვლისა თვითაღზრდა, ადამიანის მიერ საზოგადოების წინაშე თავისი ვალდებულების შეგნება, პერსონალობიდან ადამიანურობამდე ამაღლება.

ცხოვრების მიერ დასმული მწვავე საკითხების გადაჭრის ამგვარი პროგრამის წამოყენება იმაზე მიგვითითებს, რომ გოეთეს არ აქვს დაძლეული გერმანელი ბიურგერის კონსერვატიზმი, ფეოდალური წყობილებისადმი შერიგების განწყობილებები. მაგრამ იგი ამასთანავე იმაზედაც მიგვითითებს, რომ ფილისტერული გარემოს გავლენისაგან თავდაუღწეველ მწერლისთვისაც მთავარ საზრუნავს წარმოადგენს ხალხის, კაცობრიობის ინტერესები, რომ მას ღრმად სწამს ადამიანთა საზოგადოების პროგრესი, კაცობრიობის ბედნიერი მომავალი.

როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის ეპოქაში გოეთე რჩება დიდი განმანათლებელი, ადამიანთა განთავისუფლების უანგარო დამცველი. „ქარიშხლისა და შეტევის“ ეპოქაში გოეთეს

მიერ შექმნილ ნაწარმოებებში გაისმის მქუხარე მოწოდება პიროვნების გათავისუფლების, ძველი სოციალური ინსტიტუტების უარყოფის შესახებ. მწერალი ამ პერიოდში არ ცნობდა პიროვნების თავისუფლების რაიმე შეზღუდვას, როგორც ეს ჩანს ამ ხანებში მის მიერ შექმნილი მთელი რიგი უკვდავი მხატვრული სახეების მაგალითზე. ასეთი პრეტენზიით გამოდის, მაგალითად, ფაუსტი, რომელიც მიისწრაფვის ადამიანის სრული თავისუფლებისაკენ, არ ცნობს ადამიანზე ძველი საყოფაცხოვრებო ინსტიტუტებისა და იდეოლოგიის მეურვეობას. ადამიანის განვითარებისათვის ჰიმნს იმღერის აგრეთვე ოლიმპის დაუძინებელი მტერი — პრომეთე.

მწერალი არ აყენებს ამ ხანებში ადამიანის გათავისუფლების იდეალს პოლიტიკური ბრძოლიდან მოწყვეტილად, მის მიერ დახატული გმირები არ უფრთხიან ტირანიასთან აშკარა პოლიტიკურ შეჯახებას. მათ სამოქმედო პროგრამაში არის ზოგი რამ ბუნდოვანი, აბსტრაქტული, მაგრამ მათ აქვთ დიდი ინტელექტუალური გაქანება ფაუსტისა, პრომეთესებური სიძულვილი ტირანებისა და შეუდრეკელი ნებისყოფა რკინისხელა ბერლიხინგენისა.

მე-18 საუკუნის უკანასკნელ წლებში კი ამ მხრივ მწერალთან გარკვეულ ცვლილებას ვხედავთ, სახელდობრ, ადრინდელი ბუნტარული განწყობილებების შესუსტებას, შემარიგებლური განწყობილების გაძლიერებას, რასაც, როგორც აღნიშნული გექონდა, თავისი ღრმა სოციალურ-კლასობრივი მიზეზები გააჩნია. გარკვეულ ცვლილებას ვხედავთ ამ ხანებში გოეთეს სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებში, ადამიანისა და საზოგადოების დამოკიდებულების, საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის გზების ძიებაში. გარკვეულად შეიცვალა და აშკარა ბიურგერულ-შემარიგებლური განწყობილებების დაღს ატარებს ამ ხანებში გოეთესეული გაგება ადამიანის თავისუფლების საკითხისა. მაგრამ ისე, როგორც საერთოდ ამ პერიოდის გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ბუნების შესახებ ითქვა, ადამიანის თავისუფლების ცნების გაგებაშიაც გოეთე არამც და არამც არ უპირისპირდება თავის ადრინდელ გაგებას, რჩება ადამიანის თავისუფლების დამცველი.

ეს კია, რომ მწერალი ახლა უფრო ზომიერად მსჯელობს, გამოცდილებით დამძიმებული, საფუძველს პოულობს ერთგვარად კრიტიკულ ხაზებმიაც დაგვიხატოს თავისი თავი, მის მიერ განვლილი გზა, საქმე ისე წარმოადგინოს, რომ მან განიცადა „გიჟი ეპოქის“ გავლენა თავისთავზე და თვითონაც მას არ აკლდა ეს გიჟური გატაცებები („Tolle Zeiten hab'erlebt, und hab'

nicht ermangelt selbst auch töricht zu sein, wie es die Zeit mir gebot"[1]. მაგრამ ადვილი შესამჩნეველია, რომ ამ შემთხვევაშიაც მწერალი არამცდაარამც არ აყენებს კითხვის ქვეშ სოციალური საკითხების თავის ადრინდელ გაგებას, არ უარყოფს თავისი აქამდელი მსოფლგაგების ძირითად საწყისებს.

გოეთე ხედავს, რომ ადამიანთა შორის არსებობს ბუნებრივი და უფლებრივ-პოლიტიკური უთანასწორობა, რომ ამის გამო ადამიანთა დიდი ნაწილი მოკლებულია თავისუფლებას. ასეთი მდგომარეობა მწერალს მიაჩნია გაუმართლებლად და იგი მოითხოვს ადამიანთა თავისუფლებას. მაგრამ როგორ ესმის მას ადამიანის გათავისუფლება, როდის ხდება, მისი აზრით, ადამიანი თავისუფალი? მაშინ, როცა, იგი ისწავლის თავისი ნებელობის შეზღუდვას, როცა იგი შეიგნებს თავის მოვალეობას საზოგადოებაში, შეიგნებს თავის თავს და გახდება თავისი თავის გამგონე და მბრძანებელი.

რას ნიშნავს ეს თავისი თავის შეგნება, თავის თავზე გაბატონება? ეს ნიშნავს გარეგანი აუცილებლობისადმი შეგნებულ დამორჩილებას, იმ ნაბიჯის გადადგმას, რასაც ინდივიდს თავისი ადამიანობის და, მაშასადამე, მ თ ე ლ ი კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს ინტერესი უკარნახებს. ამ გზით ინდივიდი დაძლევს თავისში თვითნებობისა და სუბიექტურობის მომენტს და მთელს თავის მოქმედებას საზოგადოების სასარგებლოდ წარმართავს. ამგვარად ადამიანის თავისუფლების ცნებას გოეთე მჭიდროდ აკავშირებს აუცი-

---

[1] Epigramme. Goethes sämtl. Werke, Bd. I—II. Berlin, 1872, S. 215. მოხუცი პოეტი ცდილობს შეარბილოს „ვ ე რ თ ე რ ს ი“ სოციალურ ძალთა დაპირისპირების შედეგად გამოწვეული შთაბეჭდილებები. იგი წერს: „პირადად ჩემი დამოკიდებულება საზოგადოების უმაღლესი კლასებისადმი მეტად კარგი იყო. თუ „ვერთერში“ ერთგვარი გაცხარებით გამოვხატე უკმაყოფილება. საზოგადოების ორი მოწინააღმდეგე კლასის შეჯახებით გამოწვეული, ამას ზერელედ შეხედეს... მით უმეტეს, რომ თვითეული კარგად გრძნობდა ამ წიგნში უშუალო პრაქტიკული შედეგიანობისადმი მისწრაფების არარსებობას“ (Dichtung und Wahrheit, Goethes sämtl. Werke. Bd. XII, Leipzig S. 322). როგორ ეწინააღმდეგებოდა დიდი მწერალი „ვერთერის“ შესახებ ამგვარი მსჯელობისას არა მხოლოდ იმ შეფასებას, რასაც აძლევდნენ თანამედროვეები ამ შესანიშნავ რომანს, არამედ იმ შეფასებასაც, რასაც აძლევდა მას თვით მწერალი. სწორედ დიდ პრაქტიკულ შედეგიანობაში გამოიხატა ამ წიგნის დიდი რეზონანსი მკითხველ საზოგადოებაში როგორც გერმანიაში, ისე გერმანიის გარეთ. ნაწარმოების ამ დადებით პრაქტიკულ შედეგიანობას წამოსწევს წინ მწერალი 1830 წელს „ვერთერის“ გარშემო გამართულ კამათში ლორდ ბ ი ს ტ ო ლ თ ა ნ. აღნიშნავს, რომ ამ რომანით მან „ნამდვილი სამსახური გაუწია კაცობრიობას და დაიმსახურა მისი მადლობა“ (E c k e r m a n n, III, 232).

ლებლობის ცნებასთან, თავისუფლება ადამიანის მიერ გარეგანი აუცილებლობის გაგებასა და ამის შესაბამის მოქმედებაში აქვს წარმოდგენილი. თუკი ადამიანს სურს გახდეს თავისუფალი, მან უნდა ისწავლოს სხვისი, იგულისხმება, ადამიანთა საზოგადოების სამსახური; ამისათვის კი საჭიროა მან ისწავლოს თავის თავზე გაბატონება, თავისი ვალდებულების შესრულება („Versuche deine Pflicht zu tun, und du weisst gleich, was an dir ist").

მწერალმა აღიარა, რომ თავისუფლება და აუცილებლობა ურთიერთთან დაკავშირებული ცნებებია, რომ ადამიანი თავისუფლებას აუცილებლობაში შეიგრძნობს და, პირიქით, აუცილებლობას თავისუფლებაში შეიგრძნობს, („Es darf sich einer nur für frei erklären, so fühlt er sich den Augenblick als bedingt. Wagt er es sich für bedingt zu erklären, so fühlt er sich frei"). ამ სიტყვებს ვკითხულობთ „რჩეულთა შენათესავების" გმირის — ოტილიეს დღიურში, რასაც, ეჭვი არ არის, თვითონ გოეთეც იზიარებს. მაგრამ, განსხვავებით თავისი ადრინდელი გაგებისაგან, ადამიანის თავისუფლებას გოეთე ამ ხანებში წყვეტს პოლიტიკური, ანუ, როგორც თვითონ იტყოდა, მ ო რ ა ლ უ რ ი თავისუფლებისაგან.

ადამიანი, ფიქრობს მწერალი, თავისუფალი ხდება მაშინ, როცა იგი ემორჩილება გარეგან აუცილებლობას, როცა იგი სწავლობს თავისი თავის შეზღუდვას, სხვების ინტერესების ანგარიშის გაწევას, როცა იგი იმუშავებს საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობის გრძნობას, მაღლდება „წმინდა ადამიანურობამდე"; მაგრამ ადამიანის მიერ თავისი თავის დაოკების მოთხოვნით გოეთე არსებითად ქადაგებს პოლიტიკური ბრძოლიდან ადამიანის განზე განდგომის საჭიროებას. იგი სწორად აკავშირებს თავისუფლების ცნებას აუცილებლობის ცნებასთან, მაგრამ აუცილებლობის ცნებაში ფაქტობრივად უგულებელყოფს ადამიანის პოლიტიკურ აქტიობას, აღიარებს არსებული სოციალური ყოფის მეღების, მისი მშვიდობიან-რეფორმატორული გზით გარდაქმნის აუცილებლობას.

ადამიანის თავისუფლების გოეთესეული გაგების ერთერთ ძირითად ნაკლს წარმოადგენს თავისუფლების ცნების შემოფარგვლა ადამიანის მიერ მხოლოდ ფიზიკური თავისუფლების მოპოვებით. იმის გაუთვალისწინებლობა, რომ ფიზიკური თავისუფლების მოპოვება იმ სახით, როგორც ეს მწერალს წარმოუდგენია, შეუძლებელია განხორციელდეს სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის გარეშე. პოეტს კი ეგონა, რომ ადამიანის ნამდვილი თავისუფლება მიიღწევა პოლიტიკური ბრძოლების, ძველი წყობილების საფუძვლე-

ბის დანგრევის გარეშე, რომ ადამიანისათვის სრულიად საკმარისია ფიზიკური თავისუფლება და იგი აღარ უნდა ეცადოს პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას.

ამ აზრს მკაფიოდ გამოთქვამს გოეთე შილერის შესახებ მსჯელობაში, აღნიშნავს, რომ შილერს თავდაპირველად არ ჰქონდა ფიზიკური თავისუფლება, დიდხანს იღწვოდა, რომ შეექმნა ცხოვრების მატერიალური პირობები, მოეპოვებინა ფიზიკური თავისუფლება. როცა შილერმა ეს უკანასკნელი მოიპოვა, იგი, ფიქრობს გოეთე, უნდა შეჩერებულიყო, მაგრამ შილერი მოპოვებულით არ დაკმაყოფილდა და მოითხოვა მორალური, იდეალური თავისუფლება, რასაც თვითონ აღარც საჭიროებდა. „შემდეგ, სიმწიფის ხანაში, ეუბნება გოეთე ეკერმანს, როცა მას (ე. ი. შილერს — გ. ხ.) საკმაოდ ჰქონდა ფიზიკური თავისუფლება, იგი გადავიდა იდეალურზე და მე შემიძლია ვთქვა, რომ ამ იდეამ იმსხვერპლა იგი“ [1].

როგორც ვხედავთ, თავისუფლების ცნებაში გოეთეს ესმის ადამიანის ცხოვრებისათვის საჭირო, აუცილებელი პირობების შექმნა, რისი განხორციელებაც, მისი აზრით, შესაძლებელია რევოლუციური მოძრაობის გარეშე. „უცნაური რამ არის ეს თავისუფლება, ეუბნებოდა გოეთე ეკერმანს... თვითეულს ადვილად შეუძლია მისი მოპოვება, ოღონდაც მან თავისი თავის შეზღუდვა შეძლოს. ან რად გვინდა ზედმეტი თავისუფლება, რომლის გამოყენებაც არ შეგვიძლია? შეხედეთ აი ამ ოთახს, შეხედეთ მის მოსაზღვრე ოთახს, რომელშიაც ჩემი ტახტია; ეს ოთახები არცერთი არ არის დიდი, ამასთანავე ისინი სხვადასხვა ხელსაწყოებით, წიგნებით, ხელნაწერებითა და მხატვრულად შესრულებული საგნებითაა სავსე. ჩემთვის ისინი საკმარისია, მე მთელი ზამთრის განმავლობაში ამ ოთახებში ვცხოვრობდი, წინა ოთახებში კი თითქმის ფეხიც არ შემიდგამს. რად მინდა ჩემი დიდი სახლი, ან თავისუფლება დავდიოდე ოთახიდან ოთახში, თუკი არ მაქვს მისი გამოყენების მოთხოვნილება“? [2]

თუკი ადამიანს აქვს იმდენი თავისუფლება, ფიქრობს გოეთე, რომ იცხოვრებს ჯანსაღად, მას აღარ სჭირდება მორალური ანუ პოლიტიკური თავისუფლება. ბიურგერი ისევე თავისუფალია როგორც თავადი, თუკი იგი წარმოსახვაში წვდება მისი წოდებრიობის საზღვარს. თანასწორობა რეალურად არ არსებობს, ერ

---

[1] Eckermann, I, 220.

[2] ibid., 218.

თიმეორის თანასწორი არავინ არის, იგი მხოლოდ წარმოსახვაში მიიღწევა, როგორც კი თვითეული საწინააღმდეგო პოლუსზე მყოფი შეიგნებს თავის მოვალეობას, შეიგნებს, თუ რა უნდა აკეთოს „წმინდა ადამიანობის" ინტერესებისათვის. თანასწორობა და თავისუფლება მიიღწევა თავისთავზე გაბატონებით, თავისითავის სრულქმნით („Gleich sei keiner dem andern; doch gleich sei jeder dem Höchsten. Wie das zu machen? Es sei jeder vollendet in sich"). ის კი არ გვხდის თავისუფლად, რომ ჩვენს ზევით არაფერი გვსურს ვიცოდეთ, არამედ ის, რომ „მას ვსცეთ პატივი, რაც ჩვენს ზევითაა" [1].

ამ აზრის საილუსტრაციოდ გოეთეს მოყავს ვაჭრებთან შეხვედრის მაგალითი. ვაჭრებს ეგონათ, როცა მწერალთან ერთად მოუსხდნენ მაგიდას, მისი თანასწორი იყვნენ. „ისინი მართლაც გახდებოდნენ ჩემი თანასწორი, შენიშნავს გოეთე, თუკი შესძლებდნენ ჩემს ჯეროვნად შეფასებას" [2].

რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს თავისუფლების საკითხის გოეთესეული გაგების ანალიზიდან? გოეთე გამოდის სოციალური ჩაგვრის, ადამიანისათვის თავისუფლების წართმევის სასტიკ მოწინააღმდეგედ, სოციალური სამართლიანობის დამცველად. თავისი შემოქმედებითი განვითარების ადრინდელ საფეხურებზე ადამიანის გათავისუფლების საკითხს იგი აკავშირებს ძირმომპალ სოციალურ ინსტიტუტებთან, ძველს იდეოლოგიასთან ბრძოლის საკითხთან. ადამიანის გათავისუფლების პრობლემა, ამდენად, დიდ გერმანელ მწერალთან სოციალურ ასპექტშია წარმოდგენილი. თავისი შემოქმედებითი განვითარების შემდეგ საფეხურზე, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და მის მომდევნო პერიოდებში გოეთეს შეაქვს გარკვეული კორექტივი ადამიანისა და საზოგადოების დამოკიდებულების, თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხის ადრინდელ გაგებაში. მწერალი არა თუ ხელს იღებს სოციალური ხუნდებისაგან ადამიანის გათავისუფლების თავის ადრინდელ კონცეფციაზე, არამედ კიდევ უფრო ღრმად და ფართო პლანზე აყენებს მას. არავითარი საფუძველი არ არის დავეჭვდეთ, რომ ამ პერიოდის მწერალს ღრმად სწამს კაცობრიობის გათავისუფლება, ადამიანის გათავისუფლება ყოველგვარი ტირანიისაგან, კაცობრიობის ბედნიერი მომავლის გამოჭედვა.

მაგრამ ადამიანის თავისუფლების, მტკივნეული სოციალური საკითხების გაგებაში ამ პერიოდის მწერალი თავისუფალი არ არის

---

[1] ibid.

[2] ibid., 219.

შეზღუდულობისაგან, კონსერვატიული განწყობილებებისაგან. საფრანგეთის რევოლუციის მაგალითზე მწერალი რწმუნდება, რომ ამ რევოლუციას არ მოაქვს ადამიანისათვის ნამდვილი თავისუფლება, რომ იგი აკანონებს ადამიანის ჩაგვრის ახალ ფორმას. ეს გარემოება მწერალს აძლევს საფუძველს დაეჭვდეს გერმანიისა და სხვა ქვეყნებისათვის იმ გზის მართებულობაში, რომელიც საფრანგეთმა აირჩია, წამოაყენოს დებულება საზოგადოების ევოლუციური განვითარების უპირატესობის შესახებ. მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის გათავისუფლება უნდა გამოიხატოს მისი ცხოვრების საარსებო პირობების გაუმჯობესებაში, მის ფიზიკურ თავისუფლებაში საზოგადოების ყველა წევრის აქტიური თანამშრომლობის პირობებში.

ის კი არ ჰქონდა გათვალისწინებული დიდებულ მწერალს, რომ ადამიანის ნამდვილი გათავისუფლება, რომელსაც იგი ჰიმნს უმღეროდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, განხორციელება თუნდაც იმისა, რასაც მწერალი ფიზიკურ თავისუფლებას უწოდებდა, შეუძლებელია პოლიტიკური ბრძოლის და, მაშასადამე, პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის უარყოფის ნიადაგზე. მწერალს არ ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ჩაგრულები შეუძლებელია ნოჩვენებითი, წარმოსახვაში მიღწეული თავისუფლებით დაკმაყოფილდნენ, ხოლო მჩაგვრელები კი შეუძლებელია ჩაგრულთა მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებაზე დათანხმდნენ. მწერლის ძირეული შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანის გათავისუფლების მიღწევა მას წარმოედგინა, ერთი მხრივ, როგორც მოპირდაპირე სოციალურ ბანაკთა ურთიერთდათმობის შედეგი, მეორე მხრივ კი, როგორც შედეგი ადამიანის ბრძოლისა ბუნების ძალთა დამორჩილებისათვის.

გოეთეს მიერ წამოყენებული სოციალური პროგრამა, ამდენად, აშკარად წინააღმდეგობრიობის შემცველია, მწერლის ბიურგერულ-კომპრომისული განწყობილებების მაჩვენებელია. მაგრამ ეს გარემოება, ეს ფილისტერული ლაქები ხელს ვერ გვიშლის საფრანგეთის რევოლუციისა და მომდევნო ეპოქების გოეთეში დავინახოთ კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის მებრძოლი, ჰუმანისტ-დემოკრატი მწერალი, რომლის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენს ადამიანის გათავისუფლება, რომელიც კრიტიკას მიმართავს არა ბურჟუაზიული რევოლუციის იდეალების, არამედ იმ მეთოდების წინააღმდეგ, რასაც მათი განხორციელებისათვის იყენებდნენ.

* * *

ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში სხვადასხვა სოციალური ბანაკების ურთიერთთანამშრომლობის, ევოლუციური განვითარების უპირატესობის აღიარება წარმოადგენს დიდი გერმანელი მწერლის მსოფლმხედველობის სუსტ მხარეს, მაგრამ, როგორც გამორკვეული გვქონდა, იგი არ არის დამახასიათებელი მარტოოდენ გოეთეს, არამედ დამახასიათებელია მთელი იმდროინდელი გერმანული იდეოლოგიისათვის, ფილოსოფიის, ისტორიოგრაფიის, ხელოვნების და სხვა დარგებისათვის. ამ ფაქტში ისახება გოეთეს დროის გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების უბადრუკობა, გერმანიის ბურჟუაზიის კლასობრივი სიჩლუნგე და შეზღუდულობა, მისი კოსმოპოლიტური ყოყოჩობა, ერთი მხრივ, ფეოდალურ კლასებთან, რეაქციასთან შერიგების განწყობილებები, მეორე მხრივ.

გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება წარიმართა საფრანგეთისაგან განსხვავებული გზით, ფეოდალურ ურთიერთობასთან არა რადიკალურ-რევოლუციური ბრძოლის, არამედ მასთან შეთანხმების, მასთან შეზრდის გზით, რასაც ლენინმა კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზა უწოდა. გერმანულმა იდეოლოგიამ მკვეთრად განიცადა ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების გავლენა, მასში აისახა ის დიალექტიკა, რომელიც დამახასიათებელი იყო საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მიღება რევოლუციისა თეორიულად, პრაქტიკულად კი მისგან გამიჯვნა და რეაქციულ სინამდვილესთან შერიგება, თეორიისა და პრაქტიკის მკვეთრი დაცილება ურთიერთისაგან.

როგორც ცნობილია, გერმანიის საზოგადოებრივი განვითარების ეს თავისებურება ნათლად აისახა ამ პერიოდის მხატვრულ ლიტერატურაში, რომელშიაც ფეხს იკიდებს არსებული სოციალური ყოფის მიღების, მისი აპოლოგიის განწყობილებები. მხატვრული სიტყვის მთელი რიგი წარმომადგენელი ამ დროის გერმანიაში ამთავრებს თავის შემოქმედებით ევოლუციას არსებულთან შერიგებით, რევოლუციური განვითარების უარყოფით. საფუძველი ეყრება მ ი ს ტ ი კ უ რ - რ ო მ ა ნ ტ ი კ უ ლ მიმართულებას, რომელიც მკვეთრად უპირისპირდება რევოლუციის იდეოლოგიას, ისწრაფვის შერყეული ფეოდალური ავტორიტეტების აღდგენას, შუა საუკუნეების სოციალური ყოფის იდეალიზაციას.

გოეთეს მსოფლმხედველობაშიაც აისახა გერმანიის საზოგადოებრივი განვითარების თავისებურება, გოეთემაც ვერ შეძლო დაძლევა გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების უბადრუკობის, გერმანიის ბურჟუაზიის პროვინციული შეზღუდულობის, რაც გან-

საკუთრებით ჩანს მის დამოკიდებულებაში ბურჟუაზიული რევოლუციისადმი, კლასობრივ-პოლიტიკური ბრძოლისათვის მშვიდი ბიურგერული ცხოვრების იდეალის დაპირისპირებაში.

მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის კრიტიკაში გოეთე არ მიდის მის ხელაღებით უარყოფამდე, რომ იგი ალაგ-ალაგ გამოთქვამს სწორ მოსაზრებებს რევოლუციის წარმოშობისა და გავრცელების საკითხთა შესახებ, რევოლუციის ხასიათისა და მიზანდასახულობის, საერთოდ მისი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ. დამახასიათებელია, რომ რევოლუციური განვითარების მიზანშეწონილობის უარმყოფელი გოეთე არ უარყოფს ყველა შემთხვევაში რევოლუციის მიზანშეწონილობას, კონკრეტულ ვითარებაში თვლის მას ისტორიულად აუცილებელ მოვლენად.

რევოლუციებისადმი გოეთეს დამოკიდებულებაში განსაკუთრებით ისაა მნიშვნელოვანი, რომ ბურჟუაზიული რევოლუციებით გამოწვეულ იმედგაცრუებას იგი არ მიყავს თავისი მსოფლმხედველობის ძირითადი საფუძვლების შეცვლამდე, უსასოებასა და სასოწარკვეთამდე, მისტიკა-პათოლოგიზმამდე, რაც არ ითქმის ამ დროის ბევრი მისი თანამედროვის შესახებ. გოეთე დარჩა მატერიალისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზე, სასტიკი მოწინააღმდეგე იდეალიზმისა. სწორედ ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში ეწევა იგი ინტენსიურ მუშაობას საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში. ხელოვნების თეორიის დარგში, ამ პერიოდშიაც გოეთე გვევლინება ჯანსაღი, მატერიალისტური თვალსაზრისის დამცველად, ფორმალისტური ხელოვნების პრინციპის უარმყოფელად *.

თავის თეორიულ-კრიტიკულ შრომებში გოეთე მკვეთრად ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ქადაგებდა ხელოვნების მოწყვეტას სინამდვილისაგან, ვინც ხელოვნებაში უსაგნო ოცნების კულტს ამკვიდრებდა, ირაციონალიზმსა და პათოლოგიზმში იჩეხებოდა. გოეთე სასტიკად უპირისპირდება თავის თანამედროვე გერმანელ რომანტიკოსებს, მიუხედავად იმისა რომ ამ უკანასკნე-

---

* ეს გარემოება საფუძველშივე უგულებელყოფილი აქვს გ ო რ ნ ფ ე ლ დ ს, რომელიც ფიქრობს, რომ გოეთეს ესთეტიკისა და შემეცნების ქვაკუთხედს წარმოადგენს რეალური სინამდვილისადმი ადამიანის ირაციონალური, არსებითად ქვეცნობიერი დამოკიდებულება. „Так или иначе, ґорнґуелди, бессознательное постижение поэтом действительности, бессознательность поэтического замысла, не поддающееся волевому усилию вдохновение было одним из краеугольных камней эстетики Гете... Даже научная истина постигается, по мнению Гете, прежде всего путем иррациональной угад-

ლებს დასაწყისში თავიანთ დროშაზე გოეთე ეწერათ. გოეთე არ ჩერდება იმის წინაშეც, რომ მოახდინოს, როგორც ჰაინე იტყოდა, თავისებური 18 ბრიუმერი გერმანულ ლიტერატურაში [1]. ამას მოწმობს გოეთეს სტატია, გამოქვეყნებული ჟურნალში — „Kunst und Altertum", აგრეთვე მწერლის მიერ ეკერმანთან საუბარში მოცემული დაპირისპირება რომანტიზმისა და კლასიციზმის, პირველის მიჩნევა ავადმყოფობის, მეორისა კი, სიჯანსაღის განსახიერებად [2].

თავისი ესთეტიკის მატერიალისტურ საფუძვლებთან სრულ შესაბამისობაში ბურჟუაზიული რევოლუციისა და მომდევნო პერიოდების გოეთე რჩება რეალიზმის ნიადაგზე, როგორც ამას გერცენი აღნიშნავდა [3], იგი კვლავინდებურად იმარჯვებს წერის რეალისტურ მეთოდს, ხდება რა საზღვარგარეთის ლიტერატურაში ახალი პერიოდის რეალიზმის ერთერთი უდიდესი წარმომადგენელი. მის ამდროინდელ შემოქმედებაში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება არა იმ მკრთალად მოხაზულ მხატვრულ სახეებს, რომელთაც მწერალი თავისი ზომიერი სოციალური შეხედულებების გამოთქმას აკისრებდა, არამედ ცოცხალ-რეალისტურ სახეებს, უკვდავ მხატვრულ განზოგადებებს.

ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბურჟუაზიული რევოლუციისა და მომდევნო პერიოდების გოეთე არ შეიძლება მიჩნეულ იქნას წარსულის აპოლოგეტად, საზოგადოებრივი პროგრესის მოწინააღმდეგედ. თვით ისეთ კრიტიკულ ეპოქაშიაც კი, რომელსაც ფრ. ენგელსმა საყოველთაო იმედგაცრუების ეპოქა უწოდა, გოეთეს არ უარუყვია თავისი მსოფლმხედველობის ჯანსაღი მატერიალისტური საფუძვლები, არ გადაჩეხილა უშუქარ პესიმიზმში, არამედ დარჩა დიდი ოპტიმისტი, კაცობრიობის ბედნიერი მომავლისადმი ღრმა რწმენით გამსჭვალული.

არ შეიძლება ითქვას, რომ გოეთე დგას განმარტოებით თავისი ეპოქისაგან, რომ ამ უკანასკნელს მასზე არავითარი გავლენა

кн" (Горнфельд А. Г., Как работали Гете, Шиллер и Гейне, Москва, 1933, გვ. 12). საფუძველშივე მცდარად უნდა იქნეს მიჩნეული ფრ. შტრიხის შეხედულება, რომ ვაიმარის პერიოდის შესანიშნავი ქმნილებანი — „მოგზაურობის წლები" და „ფაუსტის" II ნაწილი არის თვითმიზნობრივი ხელოვნების ნიმუშები, რომ ისინი ამხადებენ ნიადაგს იმ მოძრაობისათვის, რომლის დროშაზედაც აწერია — „ხელოვნება ხელოვნებისათვის". ეს მოძრაობა, რომლის მთავარ წარმომადგენლად გოეთე გვევლინება, შტრიხის აზრით, ემყარება გოეთეს („Sie berief sich auf Goethe, natürlich nicht auf den Götz, den Werther, den ersten Teil des Faustes, aber auf den zweiten Teil.... auf den alten Goethe also, auf den „Olympir" (Strich, 363).

[1] H. Heine, Die romantische Schule, 246.

[2] Eckermann, II, 63.

[3] Герцен. Избранные философские произведения, т. 1, 1948, გვ. 43.

არ მოუხდენია. პირიქით, ჩვენ დავინახეთ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობანი, გერმანიის ბიურგერთა დამახასიათებელი ფილისტერული განწყობილებები აშკარად ისახება მასთანაც, მაგრამ ეს გავლენა დიდ გერმანელ მწერალზე არ გამოხატულა მისი ჰუმანიურ-დემოკრატიული, მატერიალისტური თვალსაზრისის, წერის რეალისტური მეთოდის უკუგდებაში. პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს პერიოდი გოეთეს შემოქმედებით განვითარებაში მისი მატერიალიზმის, რეალიზმის განვითარებითა და გაღრმავებით აღინიშნებოდა და არა დაქვეითებით.

ეპოქის გავლენას თავს ვერავინ დააღწევს, მას ვერ დააღწია თავი ვერც გოეთემ, რომელიც, რაოდენ არ ცდილობდა გულგრილი ყოფილიყო მომხდარი ამბებისადმი, მაინც იძულებული ხდებოდა დაშვებულიყო თავისი მაღალი კვარცხლბეკიდან და ეპოქის მღელვარე ამბებისათვის თვალი გაესწორებინა. მისი დროის საზოგადოებისადმი დამოკიდებულებაში გოეთესთან შეინიშნება ხან ამხედრების, ხან მისგან გაქცევის, ხან კი მასთან შერიგების განწყობილება. ეს განწყობილებები, თუ მიდგომა სოციალური მოვლენებისადმი მონაცვლეობენ იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად როგორი სოციალური ვითარება იქმნება გერმანიაში, მთელს ევროპაში.

თავისთავად ცხადია, გარემომცველი სინამდვილისადმი დამოკიდებულებაში შეუძლებელია გოეთეს სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა ერთგვაროობაზე ლაპარაკი სხვადასხვა პერიოდში. მაგრამ მწერლის სოციალური კონცეფციის საფუძვლები კი არსებითად უცვლელი რჩება, მწერლის დაპირისპირებას თავისთავთან, ადრინდელ შეხედულებასთან ადგილი არ აქვს. სოციალური პროგრამა, რომელსაც აყენებს გოეთე საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში და რომელსაც იგი აღრმავებს მომდევნო პერიოდებში, არ შეიძლება გამოცხადდეს იმის საპირისპიროდ, რასაც მწერალი ადრე აყენებდა. ეს იმიტომაც, რომ გარემომცველი სინამდვილისადმი გოეთეს დამოკიდებულების ესა თუ ის ფორმა არაა დამახასიათებელი მწერლის შემოქმედების მხოლოდ ერთი რომელიმე პერიოდისათვის, არამედ, მეტად თუ ნაკლებად, იგი დამახასიათებელია სხვა პერიოდებისთვისაც. ბუნტარულ-ამხედრებითი განწყობილებები ახასიათებს არა მხოლოდ ადრინდელი, არამედ გვიანი პერიოდის გოეთეს ნაწარმოებებსაც. ასევე თანადროულობიდან გაქცევის განწყობილება შეინიშნება გოეთეს შემოქმედებითი განვითარების იმ პერიოდშიაც, როცა მწერალი მიზნად ისახავდა არსებულის დაცვას რევოლუციის შემოტევისაგან. მაგრამ ყველა შემ-

თხზევაში გოეთე ერთგულია თავისი თავის, თავისი სოციალური კრედოს, არ შეაქვს მკვეთრი დისონანსი თავის შეხედულებებში სოციალურ საკითხთა შესახებ.

მივუდგეთ ამ კუთხით გოეთეს იმ ნაწარმოებებს, რომლებშიაც მწერალი მასალას იღებს არა თანადროულობიდან, არამედ წარსულიდან. გარემომცველი სინამდვილის გავლენა დიდ გერმანელ მწერალზე გამოიხატა იმ ფაქტშიაც, რომ იგი იძულებულია გარკვეული ხარკი მიუზღოს იმ განწყობილებას, რომელიც დამკვიდრებული იყო იმ პერიოდის ხელოვნებასა და ლიტერატურაში და რომელიც თანადროულობისათვის ზურგის შექცევასა და წარსულისაკენ მიბრუნებაში გამოიხატა. მაგრამ იმ დროის ოფიციალური ლიტერატურის ბევრი წარმომადგენლისაგან განსხვავებით, გოეთე და მისი თანამოკალმე შილერი, გარბიან არა ფეოდალურ შუა საუკუნეებში, არამედ ა ნ ტ ი კ უ რ ობ ა შ ი, დარწმუნებულნი იმაში, რომ შუა საუკუნეების სოციალური ყოფის აპოლოგია ინსპირირებულია იმათ მიერ, ვისაც სურს ისტორიის ჩარხის უკან დატრიალება *.

---

* ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ გოეთე და შილერი არ იღებენ მასალას შუა საუკუნეებიდან. ამას გვიდასტურებს გოეთეს „გოეცი", „ეგმონტი", „ტასო". შილერის — „დონ კარლოსი", „ვალენშტაინი", „მარიამ სტიუარტი", „ორლეანელი ქალწული" და სხვა. მაგრამ, როცა შუა საუკუნეებისაკენ მიბრუნებაზე ვლაპარაკობთ, საკითხი იმას კი არ ეხება, იღებენ თუ არა ეს მწერლები თემას შუა საუკუნეებიდან, არამედ იმას, თუ როგორია მათი დამოკიდებულება შუა საუკუნეებისადმი, იმ დროის გაბატონებული სოციალური ინსტიტუტებისადმი. თუ საკითხს ამ მხრივ მივუდგებით, დავრწმუნდებით, რომ გოეთესა და შილერის დამოკიდებულება შუა საუკუნეებისადმი პრინციპულად განსხვავებულია იმ დამოკიდებულებისაგან, რომელსაც გერმანელ რომანტიკოსებთან ვხედავთ. რომანტიკოსების, იგულისხმება მისი რეაქციულ-მისტიკური ფრთა, შუა საუკუნეებისადმი დამოკიდებულება წარმოადგენს აპოლოგიას, განდიდებას იმ დროის სოციალური ინსტიტუტებისა. ახდენენ რა შუა საუკუნეების, ფეოდალური ყოფის იდეალიზაციას, ისინი მიზნად ისახავენ განმანათლებლური ფილოსოფიის უარყოფას, შერყეულ" თუ უკუგდებული ფეოდალური ავტორიტეტების აღდგენას.

შუა საუკუნეებისადმი გოეთესა და შილერის მიმართებაში კი სახელმძღვანელო ხაზს წარმოადგენს თანადროულობის, განათლების საუკუნის ინტერესები, არა ფეოდალური წყობილების სტაბილიზაციის, არამედ მისი უარყოფის, ამ წყობილებისათვის „თავისუფლების სამეფოს" დაპირისპირების ინტერესები. შუა საუკუნეებიდან ეს მწერლები იღებენ არა ყოველგვარ თემას, არამედ ისეთს, რომელიც პასუხობს თანადროულობას, ახალი დროის მოწინავე ადამიანის მიზანსწრა-

ანტიკური კლასიციზმისაკენ მიბრუნება ახალ დროში სრულიადაც არ წარმოადგენდა რეაქციულ ნაბიჯს ლიტერატურის მოწყვეტას თანადროულობის მღელვარე საკითხებისაგან. არამედ გარკვეულად დაკავშირებული იყო თანადროულობის მწვავე სა-

---

ფეებს. ასეთს, თანადროულობისათვის თავისი ხასიათითა და შინაარსით ეაღრეესად საინტერესო ეპოქას იღებს გოეთე შუა საუკუნეებიდან „გოეცში", ეპოქას, რომელშიაც ადგილი აქვს დიდ სოციალურსა და ინტელექტუალურ მოღვაწეებს, იდეოლოგიის. დარგში — მკვეთრ გალაშქრებას შუასაუკუნეებრივი განათლების წინააღმდეგ. იგივე ითქმის „ეგმონტის" შესახებაც, რომელშიაც მწერალი თავისი თანამედროვეების ყურადღებას იმ საკითხებზე აჩერებს, რომლებიც თავის დროსაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო და ასეთი მნიშვნელობა აქვნდა მათ მე-18 საუკუნეშიაც. ესაა საკითხი ხალხთა ბრძოლისა თავისი ნაციონალური გაბ-თავისუფლებისათვის. „გოეცის", „ეგმონტისა" და „ფაუსტის" ავტორს შუა საუკუნეებში იზიდავს არა ისტორიული პროგრესის შემაფერხებელი ძალები, არამედ ისინი, რომლებიც სხვადასხვა მხრივ და სხვადასხვა სიძლიერით მას უპირისპირდება, არა ფეოდალური ურთიერთობა თავისი კლასიკური ნიშნებით, არამედ ის, რაც პირდაპირ თუ ირიბად ამ ურთიერთობას უპირისპირდება და, ამდენად ახალი ურთიერთობის განვითარებისათვის გზას აფაკეს. ის გარემოება, რომ ორგორც ისტორიული, ისე დრამატიზებული გოეცი ან ეგმონტი სოციალურად ფეოდალურ კლასს ეკუთვნიან, გოეთესათვის სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისინი თავიანთი მოქმედებით ნებით თუ უნებლიეთ არ უპირისპირდებიან ფეოდალურ კლასს და ამდენად, არ პასუხობენ ახალი ეპოქის მოწინავე ადამიანთა მისწრაფებებს. ცნობილია, რომ კ. მარქსი სავსებით გამართლებულად მიიჩნევდა გოეთეს მიერ ტრაგედიის გმირად გოეცის გამოყვანას ისე, როგორც გამართლებულად მიიჩნევდა ახალ დროში ისტორიულ მასალაზე ტრაგედიის აგებას ფ. ლასალის მიერ (უფრო ვრცლად ამ საკითხზე იხ. ჩვენი შრომა—კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ისტორიული დრამის შესახებ, „მნათობი", № 11, 1956 წ.).

ისტორიზმი გოეთესთან არამც და არამც არ გულისხმობს წარსულის, ისტორიულად დრომოჭმულისა და რეაქციულის აპოლოგიას, არამედ, იმის განდიდებას, რაც ამ რეაქციულსა და დრომოჭმულს უპირისპირდება. ამიტომაა, რომ შუა საუკუნეებიდან მწერალი იღებს არა ყოველგვარ თემას, არამედ ისეთს, რომელშიაც გარკვეულად ძველისა და ახლის ჭიდილი ისახება, იღებს ისეთ ეპოქას, რომელშიაც ძველის წინააღმდეგ გაბედული ბრძოლა იწყება. ამითაა განპირობებული მწერლის ინტერესი ისტორიული ბერლიხინგენისა და ეგმონტისადმი, ასევე, ინტერესი ფაუსტური თემისადმი, შექსპირისა და ფერარას მგოსნისადმი. იმის თქმა შეუძლებელია, რომ ისტორიული მასალისადმი მიდგომაში მწერალი თანმიმდევრულად იცავს რადიკალურ თვალსაზრისს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ იგი არ

კითხების გადაწყვეტასთან. ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე საფრანგეთში რევოლუციური კრიზისის ეპოქაში, როცა „მოკრძალებით იწვევენ დახმარებისათვის წარსულის სულებს, გადმოიღებენ მათ სახელებს, საბრძოლო ლოზუნგებს, ტანსაცმელს — რათა

აიდეალებს ფეოდალურ ტირანიას, არამედ უარყოფს მას, აყენებს რა საზოგადოებრივი ცხოვრებინ გარდაქმნის საკუთარ პროგრამას. შუა საუკუნეებისადმი მწერლის დამოკიდებულება ამიტომ არამც და არამც არ შეიძლება გავუგიგეოთ იმ დამოკიდებულებას, რომელსაც რეაქციული რომანტიკოსები იჩენდნენ. იგივე ითქმის შილერის შესახებ, რომელთანაც ისტორიულ თემებს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ვიდრე გოეთესთან. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებისადმი ინტერესს შილერი იჩენს არა მხოლოდ იმ პერიოდში, როცა თანადროულობის ზურგის შექცევა გერმანული ლიტერატურის ერთერთ ნიშანდობლივ მხარედ იქცა, არამედ ადრე პერიოდშიაც, იმ დროს, როცა მწერალი ჯერ კიდევ „ქარიშხლისა და შეტევის" ლიტერატურის ფარვატერში იყო მოქცეული. ტრაგედია „„ფიესკოს შეთქმულება" ამის ილუსტრაციას წარმოადგენს. მაგრამ ისე, როგორც ბევრ სხვა გერმანელ მწერალთან, შილერთანაც ისტორიულ თემაზე გადაკავშირება ხდება ისეთ ეპოქაში, რომელსაც ფრიდრიხ ენგელსმა „საყოველთაო იმედგაცრუების ეპოქა უწოდა და რომელიც ქრონოლოგიურად მე-18 საუკუნის 90-იან წლებს ემთხვევა.

ერთერთ ძირითად ნიშანდობლივ მხარეს ამ დროის გერმანული ლიტერატურისას წარმოადგენს თანადროულობისათვის ზურგის შექცევა, იმის ასახვა, რაც ახალ ეპოქაში წარმავალი სოციალური კლასების მისწრაფებებს უდგებოდა. გოეთესა და შილერის სიდიადის მანიშნებლად ამ პერიოდში ის უნდა ჩაითვალოს, რომ ისინი ვერ წარიტაცა „საყოველთაო იმედგაცრუების" ტალღამ, მათ არ დაიწყეს იმედების ძებნა ფეოდალურ შუა საუკუნეებში, არ გადაიჩეხნენ მისტიციზმში, არამედ შეინარჩუნეს მოვლენებზე თავიანთი იდრინდელი ჯანსაღი შეხედულებები. ფრ. ენგელსი აღნიშნავს, რომ გოეთე ამ პერიოდში შემოიფარგლა მეტად გაბედული სატირებით, შილერმა კი თავშესაფარი ნახა ისტორიულ მეცნიერებაში. ცხადია, გოეთესაც არ აუღია ხელი იმ პერიოდში ისტორიულ თემებზე, მაგრამ ამ უკანასკნელთ მის შემოქმედებაში უფრო ნაკლები ხვედრითი წონა აქვს, ვიდრე შილერის შემოქმედებაში, რომლის კლასიკური დრამატურგია უშუალოდ ისტორიულ მასალას ემყარება. განსაკუთრებით ისაა საგულისხმო, რომ ისტორიული წარსულისადმი მიდგომა შილერთან ისე, როგორც გოეთესთან, საფუძველშიე განსხვავდება რეაქციულ რომანტიკოსთა მიდგომისაგან, გულისხმობს ფეოდალური დესპოტიზმის არა იდეალიზაციას, არამედ მის კრიტიკას, ვესტეის პოლიტიკური თავისუფლების სამყაროს დაპირისპირებას. ეს კია, რომ შილერს. თავისი დიდი თანამედროვის მსგავსად, ახლა სხვაგვარად ესახება ტირანიდან თავისუფლების სამყაროში გადასვლის გზები, იგი ახლა, განსხვავებით წი-

ძველ საპატიო სამოსელში და ამ ნასესხებ ენაზე მსოფლიო ისტორიის ახალი სცენა დადგან“ [1].

გოეთესა და მისი თანამედროვეების მიბრუნებას ანტიკურობისაკენ კი ტონს აძლევდა ფეოდალური რეაქციისადმი კონსერვატიულად განწყობილი გერმანიის ბურჟუაზია. მასში იხატებოდა ამ უკანასკნელის მისწრაფება დაეპირისპირებინა თანადროულობის აქტიური საკითხებისათვის მშვიდი ბიურგერული ცხოვრების იდეალი, წამოეყენებინა საზოგადოების ჰარმონიული განვითარების აბსტრაქტული იდეალი. როგორც საფრანგეთის რევოლუციის, ისე ანტიკური კლასიციზმისადმი დამოკიდებულებაში გოეთე გარკვეულად ატარებს ბიურგერული შეზღუდულობის დაღს, ხაზს უსვამს საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუციური განვითარების უპირატესობას, განადიდებს მის მიერ ანტიკურობაში დანახულ ჰარმონიასა და პლასტიკურობას. ამდენად, ანტიკურობის თემაზე დაწერილი გოეთეს ნაწარმოებები იმავე იდეურ სიბრტყეზე ძევს, რომელზედაც, საფრანგეთის რევოლუციის თემაზე დაწერილი ნაწარმოებები ისე, როგორც მომდევნო პერიოდებში შექმნილი ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებებს არა თუ რაიმე დისონანსი შეაქვს იმ ხანებში მწერლის მიერ შემუშავებულ სოციალურ კონცეფციაში, არამედ ავითარებს და აღრმავებს მას ახალი მხატვრული განზოგადებებით. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ანტიკური თე-

---

ნა პერიოდისაგან, როცა აყენებდა პოლიტიკური ბრძოლის იდეალს, კურსს იღებს მორალურ-აღმზრდელობით ფაქტორზე, მაგრამ ტირანიისადმი თავისი კრიტიკულა, პოლიტიკური თავისუფლებისადმი თანაგრძნობითი დამოკიდებულება მას სრულებით არ შეუცვლია. მწერალი კვლავ რჩება ფეოდალური ტირანიის სასტიკი მოწინააღმდეგე, მისი გაბედული მამხილებელი. ფილიპე მეორის, სასახლის მოძღვრისა და ალბას მხატვრული სახეები „დონ კარლოსში“, ელისაბედ დედოფლისა და მისი მინისტრების „მარიამ სტიუარტში“, ჰესლერისა „ვილჰელმ ტელში“ ამის ილუსტრაციას წარმოადგენს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ შილერი ისტორიულ თემებზე აგებულ არცერთ თავის დრამაში არ აიდეალებს ფეოდალურ ყოფას, არამედ ყველგან გამოდის დესპოტიზმის წინააღმდეგ, ნაციონალური ერთიანობისა და აღორძინების, თავისუფლებისა და სამართლიანობის მეხოტბედ. საფუძველი არ არის ამიტომ ერთმეორესთან გავაიგივეთ მისი დამოკიდებულება შუა საუკუნეებისადმი რომანტიკოსთა დამოკიდებულებასთან ისე, როგორც არ არსებობს საფუძველი ასეთი გაიგივეებისათვის გოეთესა და რომანტიკოსებთან.

[1] კ. მარქსი. თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, თბილისი, 1950, გვ. 267.

მების დამუშავებისას გოეთეს მხედველობაში აქვს თანადროულობის ინტერესები, თავისი სოციალური პროგრამის პროპაგანდას ახდენს. ეს გარემოება არ აქვს გათვალისწინებული ჰაინეს. როცა იხილავს გოეთესთან ანტიკურობის მოდერნიზების საკითხს [1].

ანტიკურობაზე დაწერილ ნაწარმოებთაგან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს დრამა — „იფიგენია თავრიდში", რომელიც, მსგავსად „ეგმონტისა", საბოლოო სახით გამოვიდა საფრანგეთის რევოლუციის გარიჟრაჟზე და იდეურადაც იმავე სიბრ-

---

[1] H. Heine, Zur Geschichte der Religion und Phylosophie in Deutschland, Elster, Bd-IV, S. 272.

რამდენად მართებულად გადმოსცა ჰაინემ გოეთეს დამოკიდებულება ანტიკურობისადმი, რას ნიშნავს მის კონცეფციაში გოეთესთან ანტიკურობის ეს მოდერნიზაცია? ამ საკითხს მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ჰაინეს, არამედ გოეთეს ესთეტიკური მრწამსის შესასწავლად, იმის გამოსარკვევად, თუ რა თეორიულ წანამძღვრებს ემყარება გოეთესთან ანტიკურობისაკენ მიბრუნება. როგორც აღინიშნა, გოეთეს მიბრუნება წარსულისაკენ, შუა საუკუნეებისაკენ წარმოადგენს კანონზომიერ მოვლენას, განპირობებულს გერმანიის საზოგადოებრივი განვითარების თავისებურობით. იგივე ითქმის ანტიკურობისაკენ გოეთეს მიბრუნების შესახებაც.

სანამ გავარკვევდეთ, თუ რამდენად სწორად აქვს გაგებული ჰაინეს გოეთესთან ანტიკურობის მოდერნიზაციის საკითხი, საჭიროა გავარკვიოთ, თუ რამდენად მართებულია თვით ამ საკითხის დაყენება ჰაინესთან იმ შეხედულებათა შუქზე, რომლებსაც იგი საერთოდ გოეთეს შემოქმედების, კერძოდ, ანტიკურობისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ ანვითარებდა. წამოყენება დებულებისა, რომ გოეთესთან ადგილი აქვს ანტიკურობის მოდერნიზაციას, ბუნებრივია, უნდა გულისხმობდეს იმის აღიარებას, რომ ამ მწერალს მხედველობაში აქვს თანადროულობის ინტერესები. რომ მისი ესთეტიკა რეალისტური საწყისების შემცველია, მაგრამ ასე ესმის თუ არა ჰაინეს გოეთეს შემოქმედება, მისი ესთეტიკური იდეალი? უნდა ითქვას, რომ ამ პუნქტშიაც ჰაინემ ვერ დასძლია თავისი მსოფლმხედველობის წინააღმდეგობა, ვერ გვიჩვენა რა გოეთეს ესთეტიკური კონცეფციის ნამდვილი ბუნება. ერთი მხრივ, მან გოეთე, როგორც მხატვარი, წარმოგვიდგინა რეალისტად, ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მართალი სურათის მომცემად, მეორე მხრივ კი, იგი წარმოგვიდგინა თვითმიზნობრივი, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამდგარი ხელოვნების პრინციპების დამცველად.

ერთი მხრივ, გოეთეს მხატვრული სახეები ჰაინესათვის წარმოადგენს ხინამდვილის მართალ განზოგადებებს, „ბუნების სარკეს"; კერძოდ, ამ მწერლის „იტალიურ მოგზაურობაში" იგი ხედავს „ფაქტებზე დამყარებულ გაგებასა და სიმშვი-

ტყეზე ძევს, რომელზედაც, ამ ეპოქაში შექმნილი გოეთეს სხვა ნაწარმოებები. გოეთემ თანადროულობის კუთხით შეხედა ევრიპიდეს დრამის სიუჟეტს, აქცია ბერძენი ტრაგიკოსის მიერ დახატული იფიგენია ახალი დროის ადამიანად, თავისი ჰუმა-

---

დეს ბუნებისა", ბუნების მართალ სურათს (Italien. Heines Werke, Bd. III. S. 265). სამყარო, რომელსაც ხატავს გოეთე, ჰაინეს აზრით, ადეკვატურია რეალური ქვეყნის. მისთვის გზის წარმართველია რეალისტური ალღო, სიმართლე, იგი ხედავს მოვლენების როგორც ნათელს, ისე ჩრდილოვან მხარეებს და ხატავს მათ გარეშე რაიმე სუბიექტური მიმატებისა, ხატავს ადამიანებს „იმავე ჭეშმარიტი მხარეებით და ფერებით, რომლებითაც იგი ღმერთს დაუჯილდოვებია (ibid., 99). თავისი და გოეთეს მსოფლმხედველობის გამასხვავებლად ჰაინეს ის მიაჩნია, რომ გოეთეს მსოფლმხედველობა რეალისტური ბუნებისაა იმ დროს, როდესაც თავისი მსოფლმხედველობის დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნია მისტიკის, მეოცნებობისადმი მიდრეკილება.

გოეთე ჰაინეს გაგებაში არის მთლიანი, ჯანსაღი და პლასტიკური ნატურა და, როგორც ასეთი, ხდება ღვთისმოშიშობის დამცველთა თავდასხმის ობიექტი („Über die franz. Bühne", Bd. IV. S. 525). ამავე თეორიულ წანამძღვარზე აგებს ჰაინე გოეთესა და რომანტიკოსთა დამოკიდებულების საკითხის გაგებას, ცხადყოფს, რომ გოეთე დგას რეალისტურ ნიადაგზე.

გოეთეს მსოფლმხედველობაში რეალიზმის ნიშნების ცხადყოფის გასწვრივ ჰაინე მიზნად ისახავს გამოაქვეყნოს ამისი სრულიად საპირისპირო, ანტიმატერიალისტური ნიშნები. თუ, ერთი მხრივ, გოეთეს მიერ შექმნილი მხატვრული განზოგადებები მან მიიჩნია რეალისტურ, პლასტიკური ხასიათის განზოგადებებად, თუ გოეთეს ელინელობის ნიშანდობლივი მხარე მან სინამდვილის სწორედ ამგვარი პლასტიკური სურათების დახატვაში დაინახა, მეორე მხრივ, მან მიზნად დაისახა გამოეცხადებინა ეს პლასტიკური სახეები როგორც თვითმიზნობრივი, იგულისხმება, არარეალისტური სახეები, გამოეცხადებინა დიდი გერმანელი მწერალი ხელოვნების არისტოკრატად, მისი ეპოქა კი — „ხელოვნების ეპოქად" და დაპირისპირებინა ეს უკანასკნელი ახალი დროის ადამიანების, აქტიური მოქმედების მაღიარებელი ეპოქისათვის (Die romant. Schule, 215). გოეთეს პლასტიკური სახეები გვიჩვენებენ შინაგან სიმშვიდესა და ჰარმონიას, მაგრამ ისინი არიან მარმარილოსებრ ცივი და მიუკარებელი; ამიტომ მიაჩნია ჰაინეს, რომ „აღფრთოვანებისა და მოქმედების ეპოქა ვერ შეძლებს გოეთეს გამოყენებას" (Г. Гейне. Письма, Academia, т. XI, გვ. 239), რომ „ხელოვნების პერიოდის" დამთავრება გოეთეანობის დამთავრებასაც მოასწავებს (ibid.).

როგორც ვხედავთ, ანტიკურობისადმი გოეთეს დამოკიდებულების გაგებაში ჰაინემ ერთიმეორეს შეათავსა ამ მწერლის მიერ რეალისტური ესთეტიკის ძირითადი საფუძვლების დაცვა ფორმალისტურ-თვითმიზნობრივი ხელოვნების პრინციპების აღიარებასა და დაცვასთან. არის თუ არა აქ წინააღმდეგობა? ერთი შეხედეით აქ თითქოს წინააღმდეგობა აშკარაა, მაგრამ, თუ ამ საკითხის არსში ჩავიხედავთ, თუ ელინური ხელოვნებისა და გოეთეს ხელოვნების შესახებ ჰაინეს სა-

ნური შეხედულებების გამომხატველად. მართებულად შენიშნავდა გერცენი, რომ გოეთე „იფიგენია თავრიდში“ გერმანელი რჩებაო[1].

გოეთეს პოლიტიკური შეხედულებების ძირითადი ნიშნები, მისი სოციალურ-რეფორმატორული თვალსაზრისი ნათლად

ერთო კონცეფციიდან გამოვალთ, მაშინ მწერლის თავისთავთან წინააღმდეგობაზე შეჯელობა თითქოს საფუძველს მოკლებულად უნდა მივიჩნიოთ. ეს, ცხადია, იმას კი არ ნიშნავს, რომ ჰაინეს ესთეტიკურ კონცეფციაში საერთოდ არაა წინააღმდეგობა, არამედ იმას, რომ წინააღმდეგობა არაა იმის შესახებ, რასაც ამბობდა მწერალი გოეთეს რეალიზმის შესახებ ერთსა და მეორე შემთხვევაში, რომ გოეთეს შესახებ ჰაინეს ნააზრევი არაა მოკლებული შინაგან სიმწყობრესა და სისტემურობას.

საკითხი გოეთესადმი ჰაინეს როგორც თანაგრძნობითი, ისე კრიტიკული დამოკიდებულებისა, გოეთესთან ანტიკურობის გაგებისა მჭიდროდ უკავშირდება ჰაინეს მთელს ხელოვნებათმცოდნეობითს კონცეფციას, მის გაგებას ანტიკური ხელოვნების ბუნებისა, უკავშირდება მის მიერ მატერიალურისა და იდეალურის დამოკიდებულების გაგებას ელინურ ხელოვნებაში, მოძღვრებას ანტიკურ ხელოვნებაში მატერიალურისა და იდეალურის იდენტიფიკაციის შესახებ, სინამდვილის ე. წ. პლასტიკური და პოეტური ასახვის საკითხებს (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჩვენი შრომა — ჰაინრიხ ჰაინეს ხელოვნების თეორია, თბილისი 1956 წ., გვ. 236 — 246). ცხადი ხდება, რომ რეალიზმი გოეთესთან ჰაინეს დანახული აქვს არა მხოლოდ თანადროულობის მოვლენების, არამედ წარსულის, მათ შორის ანტიკურობის მოვლენების ასახვაშიაც.

ანტიკურობისადმი მიმართებაში რეალიზმის პრინციპი გოეთესთან ჰაინეს დანახული აქვს არა მხოლოდ იმ ფაქტში, რომ გოეთესთან განდიდებულია მატერია, არამედ იმ ფაქტშიაც, რომ მასთან გაიგივებულია იდეალური, იგი დაყვანილია მატერიალურამდე. მატერიალურისა და იდეალურის ეს იდენტიფიკაცია ხდება ჰაინესათვის არა მხოლოდ მოწონების საგანი, მოწონებისა იმდენად, რამდენადაც მასში რეალიზმის პრინციპის დაცვას ხედავს, არამედ კრიტიკის საგანიც, რამდენადაც რეალური და იდეალური ერთიმეორესთანაა გაგიგებული, საბოლოო ჯამში კი, დამცირებულია მნიშვნელობა იდეალურის, რაც ჰაინესათვის მოცემულ შემთხვევაში პოეტურის მნიშვნელობის იდენტურია.

გამოდის რა სინამდვილის ე. წ. პლასტიკურ ასახვასთან შედარებით მისი ე. წ. პოეტური ასახვის უპირატესობის აღიარებიდან, ჰაინე შინაგანად ამთლიანებს გოეთეს რეალიზმის, ანტიკურობისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, იხრება რა იმის აღიარებისაკენ, რომ გოეთესთან ჭარბობს სი-

[1] Герцен. Избранные философские произведения, т. II, 1946, გვ. 16.

ჩანს ნაწარმოების სიუჟეტის ახლებურ დამუშავებაში, თვით იფიგენიას ხასიათის რადიკალურად შეცვლაში. განსხვავებით ევრიპიდეს მიერ დახატული იფიგენიისაგან, რომელიც ფანატიკურად ასრულებს თავის მოვალეობას, გოეთეს იფიგენია გამოირჩევა სპე-

---

ნამდვილის ასახვის ე. წ. პლასტიკური და არა პოეტური ფორმები. გოეთეს მიერ შექმნილი მხატვრული სახეები, ფიქრობს ჰაინე, არის მარმარილოსებრ ციკი და უსიცოცხლონი, მსგავსად ელინური ხელოვნების ნიმუშებისა, რაც არ ნიშნავს, რომ ისინი დაცლილია რეალისტური შინაარსისაგან. ეს პლასტიკური სახეები, ჰაინეს გაგებით, თითქოს საფუძველს იძლევა მივიჩნიოთ ისინი თვითმიზნობრივი ხელოვნების ნიმუშებად, მაგრამ არსებითად ისინი არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს ასეთად. ჰაინე გოეთეს, მართალია, უწოდებს ხელოვნების არისტოკრატს, მაგრამ ამით მას იმის თქმა როდი სურს, რომ გოეთეს ხელოვნება ანტირეალისტური საწყისების შემცველია, რომ მის ესთეტიკა, რეფლექსიაში ძირითადი საკითხი—მატერიალურისა და იდეალურის დამოკიდებულეიის საკითხი გადაწყვეტილია პირველის უგულებელყოფისა და მეორეს განდიდების ნიშნით, არამედ იმის თქმა, რომ იქ იდეალური მატერიალურამდეა დაყვანილი და ამდენად დამცირებულია მისი მნიშვნელობა. კონკრეტულად ჰაინესათვის ეს იმას ნიშნავს, რომ გოეთე, მისი აზრით, არ იმსჭვალება ახალი ეპოქის ენთუზიაზმით, რომ მასთან არაა სამოქალაქო, პოლიტიკური აღტყინება, რომ იგი გულგრილად გასცქერის მისი დროის დიდ პოლიტიკურ მოვლენებს. გოეთეს მხატვრულ ქმნილებათა მარმარილოსებრ სიცივესა და სიმშვიდეში ჰაინე ხედავს და კრიტიკის საგნად იხდის მწერლის დამოკიდებულებას ეპოქის დიდი საზოგადოებრივი მოვლენებისადმი, კერძოდ, საფრანგეთის რევოლუციისადმი. ჰაინეს მიაჩნია, რომ ახალი ეპოქა, „მოძრაობის მომხრეთა“ ეპოქა და გოეთეს ეპოქა უპირისპირდება ერთიმეორეს, რამდენადაც ახალი ეპოქა ხასიათდება ადამიანთა აღფრთოვანებითა და აღტკინებით, გოეთეს ეპოქა კი — შინაგანი სიმშვიდითა და ქვიეტიზმით. მას მიაჩნია, რომ „აღფრთოვანებისა და მოქმედების ეპოქა ვერ შეძლებს გოეთეს გამოყენებას“ (Die rom. Schule, 255).

ირკვევა, რომ ანტიკურობისადმი გოეთეს დამოკიდებულების საკითხის გაგებაში ჰაინე არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თავის თავს, როცა მწერალთან რეალიზმის პრინციპის ცხადყოფის გასწვრივ ლაპარაკობს მისი ხელოვნების არისტოკრატიზმის შესახებაც, რადგან იგი, მისი გაგებით, უცილობლად არ ნიშნავს რეალიზმის პრინციპის უარყოფას. ჰაინეს მიაჩნია, რომ სინამდვილის პლასტიკური სახეები გოეთესთან არ არის არარეალისტური იმის გამო, რომ მათში ასახვას არ პოულობს ეპოქის სამოქალაქო ენტუზიაზმი. ამ უკანასკნელის უქონლობა არ წარმოადგენს იმის უტყუარ ნიშანს, რომ მწერალი თავის შემოქმედებაში შორდება რეალობას, წერის არარეალისტურ მეთოდს იმარჯვებს. ასევე, მხატვრული შემოქმედების გამსჭვალვა სამოქალაქო პოლიტიკური ენთუზიაზმით, ჰაინეს კონცეფციით, მწერალს არ ხდის უთუოდ რეალისტად. ამაში გვარწმუნებს ჰაინეს მიერ შილერის

ტაკი მისწრაფებითა და მაღალი ჰუმანიურობით, ადამიანებისადმი. განურჩევლად იმისა, თუ რომელ ბანაკს ეკუთვნიან ისინი, ადამიანური დამოკიდებულებით. იგი ჰეშმარიტად გოეთეს იდეალური გმირია, რომელსაც გააჩნია ადამიანზე ზემოქმედების დიდი უნარი.

უპირატესობის გახაზვა გოეთესთან შედარებით, იმის აღნიშვნა, რომ შილერი „ბაზრის ბასტილიებს“ ანგრევს, „თავისუფლების ტაძრის“ გაგებაში მონაწილეობს, რაც ჰაინესათვის სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შილერი გოეთეზე უფრო ძლიერი რეალისტია.

როგორც ვხედავთ, ჰაინეს საკმარისი წანამძღვარი გააჩნდა იმისათვის, რომ წამოეყენებინა დებულება გოეთესთან ანტიკურობის მოდერნიზაციის შესახებ, რადგან გოეთესთან მან იგულვა არა მხოლოდ სინამდვილის პლასტიკური ასახვა, რასაც იგი ელინური ხელოვნების ნიშანდობლივ მხარედ აღიარებდა, არამედ მისი პოეტური ასახვაც, წამოაყენა დებულება, რომ გოეთე პოეზიის სპინოზაა („Zur Geschichte der Religion und Philosophie in Deutschland“, Bd. IV, S. 272). ცხადია, ძირითადი მნიშვნელობა გოეთეს მხატვრული წერის მანერაში ჰაინემ ასახვის პლასტიკურს და არა პოეტურ ფორმას მიანიჭა, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია, რომ დიდ გერმანელ მწერალთან მან დაინახა ის, რასაც იგი ასახვის პოეტურ ფორმას უწოდებდა. ამ საფუძველზე ეძლევა ჰაინესთან გამართლება იმის აღიარებას, რომ გოეთესათვის სავსებით შესაბამისი არ არის სახელწოდება — „დიდი წარმართი“ (იქვე).

რომ ანტიკურობის მოდერნიზება გოეთესთან ჰაინეს მართლა პლასტიკური ასახვის გასწვრივ სინამდვილის ე. წ. პოეტურ ასახვაში ჰქონდეს დანახული, მაშინ მისი ეს დებულება შეიძლება კითხვის ქვეშ არ დაგვეყენებინა, ჰეშმარიტებასთან დაახლოებულად მიგვაჩნია იგი, როცა გერმანელ მწერალთან სინამდვილის მართალსა და პლასტიკურ ასახვაში დაინახა აგრეთვე მხატვრულ-ამაღლებულის მომენტიც; მაგრამ ჰაინეს მიერ წამოყენებული დებულება ეპვს იწვევს იმის გამო, რომ იგი ანტიკურობისადმი გოეთეს დამოკიდებულებაში ვერ ხედავს ნამდვილად არსებულ სინთეზს რეალურისა და მხატვრულ-ამაღლებულის, არამედ — სინთეზს რეალურისა და ქრისტიანულ-სპირიტუალისტურის. გოეთესთან ჰაინე წარმართულის გასწვრივ, რაც მისთვის რეალურის სინონიმია, ნახულობს მის საპირისპირო ქრისტიანულ-სპირიტუალისტურ ელემენტს (იქვე), რაც, მწერლის გაგებით, რომანტიკული სპირიტუალიზმისაკენ გვახედებს და არა თანადროულობის მწვავე საკითხების გაგებისაკენ. გამოკვეთილად ასეთ მდგომარეობას ხედავს ჰაინე „ვერთერში“. აყენებს რა დებულებას, რომ ანტიკურობის მოდერნიზება გოეთესთან გამოიხატა მის შემოქმედებაში ქრისტიანულ-სპირიტუალისტური მომენტის შეჭრაში, ჰაინე გამოდის იქიდან, რომ გოეთე თავისი დროის პოლიტიკური მოვლენებისადმი გულგრილადაა განწყობილი, რომ მის შემოქმედებაში არ იხატება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ენთუზიაზმი, მაგრამ ეს გარემოება არამც და არამც არ გა-

მათში ბოროტების ჩახშობისა და სიკეთის განდიდების უნარი. ის გოეთეს მიერ შექმნილ იმ გმირთა გალერეას განეკუთვნება, რომელთაც მწერალი აკისრებს ადამიანების მორალურ-ესთეტიკური აღზრდისა და სრულყოფის ამოცანას.

მოდგება იმის არგუმენტად, რომ გოეთეს შემოქმედებაში იკრება ქრისტიანულ-სპირიტუალისტური მომენტი. საქმის ვითარების ისე დასახვა, რომ წარმართობის მოდერნიზაცია გოეთესთან მდგომარეობს ქრისტიანულ-სპირიტუალისტური მომენტის რესტავრაციაში, იმას ნიშნავს, რომ გოეთე წარმოდგენილ იქნას არა თანადროულობის მწერლად, არამედ წარსულის შებაირალტრედ, ნიშნავს მწერლის დაახლოებას მისტიკა-იდეალიზმთან. გვაქვს კი სინამდვილეში ასეთ ვითარებასთან საქმე, მართლაც იხრება გოეთე ახალ დროში ქრისტიანული მისტიციზმისაკენ? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გოეთესთან ამის მსგავსი არაფერი მოიპოვება მისი შემოქმედებითი ევოლუციის არც ერთ საფეხურზე. შეუძლებელია დასახელებულ იქნას გოეთეს ისეთი ნაწარმოები, რომელსაც ქრისტიანული-მისტიკური თვალსაზრისი მსჭვალავდეს.

აყენებს რა დებულებას, რომ ქრისტიანულ-სპირიტუალისტური ელემენტი გოეთესთან უკავშირდება ამ მწერალთან ანტიკურობის მოდერნიზებას, ჰაინეს საილუსტრაციო მასალად, ბუნებრივია, უნდა მოეყვანა გოეთეს ის ნაწარმოებები, რომლებიც ანტიკურ თემაზეა დაწერილი, მაგრამ მას მოყავს არა ამ რიგის ნაწარმოები, არამედ „ვერთერი“, რომელიც არ არის დაწერილი ანტიკურ თემაზე და შუქს ვერ მოჰფენს იმ საკითხს, თუ რა ხასიათს ატარებს გოეთესთან ანტიკურობის თემის დამუშავება. თუ განვიხილავთ გოეთეს იმ ნაწარმოებებს, რომლებშიაც მწერალი ანტიკურ მასალას ამუშავებს, დავრწმუნდებით, რომ მათში შეუძლებელია ქრისტიანულ-სპირიტუალისტური მოტივების ნახვა, რომ მათი ავტორი დგას ჯანსაღ, მატერიალისტურ თვალსაზრისზე, ერთგულია რეალიზმის პრინციპების. ზოგან მწერალი, როგორც, მაგალითად, „ფაუსტის“ მეორე ნაწილში, ერთგვარად ხარკს უხდის ქრისტიანულ რელიგიას, მაგრამ ირკვევა, რომ ამ გარემოებას არ შეაქვს რაიმე დისონანსი მწერლის მხატერული ჩანაფიქრის განხორციელებაში, ნაწარმოების იდეურ ხაზის გამართვაში. აღსანიშნავია, რომ სხვა შემთხვევაში ჰაინესაც ამგვარად აქვს ხოლმე წარმოდგენილი გოეთეს შემოქმედება, მკვეთრად აქვს იგი გამიჯნული ქრისტიანულ-სპირიტუალისტური თვალსაზრისის დამცველ რომანტიკოსთა შემოქმედებისაგან.

რაც შეეხება „ვერთერს“, იგი, როგორც ადინიშნა, არ გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორია გოეთეს დამოკიდებულება ანტიკურობისადმი, მაგრამ ეს გარემოებაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, „ვერთერი“ თავისთავად არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ ნაწარმოებად, რომელშიაც გოეთე თითქოს ქრისტიანული სპირიტუალიზმისაკენ უხვევს. იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ „ვერთერში“ იკრება ქრისტიანულ-სპირიტუალისტური მომენტი, ჰა-

როგორც ადამიანთა მოამაგემ, იფიგენიამ გავლენა მოახდინა თვით სკვითების მეფე თოასზე, განავითარა მასში მაღალი ადამიანური მიდრეკილებები, ჩაახშო ველური მისწრაფებები, ქალღმერთ დიანასათვის ადამიანების მსხვერპლად მიტანაში რომ მდგომარეობდა. იგი ყველგან სიკეთის თესლს აბნევს, სურს ყველაში ადამიანური თვისებების გაღვიძება. მას არ ახასიათებს ცალმხრივობა, ექსცენტრიულობა. იგი შინაგანად გაწონასწორე-

---

ინეს მიაჩნია ნაწარმოებში ეპოქის სანტიმენტალური ტენდენციის ასახვა. ეს ფაქტია, რომ „ვერთერში" ისახება ეპოქის სანტიმენტალური ტენდენცია, რომ ნაწარმოების გმირი იღუპება იმ ცალმხრივობის გამო, რომელიც მას როგორც „მეოცნებე ტირიას" ახასიათებს. მაგრამ ეს განა იმას ნიშნავს, რომ ვერთერი და მით უფრო ნაწარმოების ავტორი ქრისტიანულ სპირიტუალიზმში იჩეხება? გოეთეს ამ რომანში შეუძლებელია ვნახოთ ისეთი მხატვრული დეტალი, საიდანაც ჩანდეს, რომ ვერთერი ხსნას ეძებს სპირიტუალიზმში, სწამს რომ ტანჯვის გზით მიაღწევს თავისი იდეალების განხორციელებას. კიდევ მეტი: თავისი ბუნებით ვერთერი არ არის რელიგიურად მორწმუნე, დამკვიდრებული ტრადიციების მადიდებელი. რომ ის რელიგიური ეკზალტაციით იყოს შეპყრობილი, მაშინ საფუძველიც აღარ ექნებოდა იმ ეჭვიანობას, რაც მას ვერთერად აქცევს. იგი მაშინ ადვილად იპოვნიდა „პასუხს" იმ კითხვებზე, რომლებიც მას აწვალებს, უკეთ, მისთვის ადვილად მოიხსენებოდა ეს კითხვები ქრისტიანული დოგმების წყალობით. ქრისტიანული დოგმატიკის პირობებში კი არ უნდა ვეძიოთ ვერთერიანობის ფესვები, არამედ მისი უარყოფის, კრიტიკული აზროვნების განვითარების პირობებში. ვერთერი ხორცით ხორცი და სისხლით სისხლია ახალი ეპოქისა, განათლების საუკუნისა, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტურად იგი განწყობილია განათლების წინააღმდეგ.

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ის, რაც ჰაინემ გოეთესთან ანტიკურობის მოდერნიზებად მიიჩნია, ამ მწერლის არა სიძლიერეს, არამედ სისუსტის ხაზგასმას წარმოადგენს. ჰაინე უდავოდ დაუახლოვდა ჭეშმარიტებას, როცა გოეთესთან მატერიალურისა და იდეალურის იდენტივობის აღიარების გასწვრივ ხაზი გაუსვა იდეალურის აქტიურ, ზემოქმედებით ფუნქციასაც, როცა გოეთეს მხატვრული ქმნილებანი წარმოადგინა როგორც თავისებური სინთეზი რეალურისა და მხატვრულის, პლასტიკურისა და პოეტურის, როცა გოეთე გარკვეულად გამიჯნა ეულგარულ-რეალისტური თვალსაზრისის დამცველთაგან. მაგრამ ჰაინე უდავოდ დაშორდა ჭეშმარიტებას, როცა ანტიკურობის მოდერნიზება გოეთესთან წარმოადგინა, როგორც მწერლის მხრივ გარკვეულად ხარკის მიზღვა ქრისტიანული სპირიტუალიზმისათვის, უგულებელყო რა ის ფაქტი, რომ ანტიკური ჰარმონიის ის იდეალი, რომელსაც ვხვდებით გერმანულ კლასიკურ ლიტერატურაში, კერძოდ გოეთეს შემოქმედებაში, გარკვეულად უდგებოდა გერმანიის საზოგადოების მოწინავე ნაწილის განწყობილებებს, გამოხატავდა მოწინავე ადამიანთა მისწრაფებას დაეპირისპირებინათ დუხჭირი სინამდვილისათვის უკეთესი სოციალური ყოფა-

ბული, ჰარმონიული ნატურაა, რომელიც ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმისას რჩევას არა მხოლოდ გონებას ეკითხება, არამედ გულსაც. იგი ცდილობს დააყენოს რეალობის ნიადაგზე მასთან შემთხვევით მისული ძმა, ამჯერად ტყვექმნილი ორესტი, რომელიც გამოსავალს მხოლოდ სიკვდილში ხედავს.

შექმნილი ვითარებიდან ასეთი გამოსავალი იფიგენიას საფუძველშივე მიუღებლად მიაჩნია. მისი აზრით, ადამიანმა ყოველგვარ გასაჭირს თვალი უნდა გაუსწოროს, არ დაკარგოს რეალობის გრძნობა, ამ ქვეყნად დარჩეს და ცხოვრების გარდაქმნისათვის იშრომოს. უცხო ქვეყანაში ძმის ნახვით გახარებულს, მას კიდევ უფრო გაუმტკიცდა ეს ჯანსაღი, რეალისტური თვალსაზრისი, რადგან ახლა მის წინაშე იშლება წარმტაცი პერსპექტივა ძმასთან ერთად სამშობლოში, საყვარელ ელადაში დაბრუნებისა, თავისი ქვეყნის სამსახურისა. ორესტის წინადადების მიღება, იფიგენიას გაგებით, მოასწავებდა დანაელთა სამეფო გვარეულობის აღსასრულს, ტანტალიდების ცოდვის შედეგების საბოლოოდ დაგვირგვინებას.

მეორე მხრივ, იფიგენიასათვის მიუღებელია თვალსაზრისი ორესტის მეგობრის, ტყვექმნილი პილადისა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელისათვის უცხოა ორესტის გრძნობითი ეკზალტაცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი პრაქტიკული მოქმედების კაცია, რეალობის გრძნობით დაჯილდოებული. რეალისტურ-პრაქტიკული ხაზი პილადისა მიუღებელია იფიგენიასათვის იმიტომ, რომ იგი, მისი გაგებით, ადამიანურობის უარყოფაა, ადამიანებისადმი უ მ ა დ ო ბ ი ს დემონსტრაციაა. პილადის ზუსტად დაწყობილი გეგმა გულისხმობს სკვითების ქვეყნიდან დიანას ქანდაკების გატაცებას და ამის მეოხებით საბერძნეთის ტახტის განკურნვას ტანტალიდთა მიერ ჩადენილი ფატალური ცოდვისაგან. იფიგენიას არ შეუძლია გაიზიაროს პილადის ეს გეგმა, რაოდენ არ იზიდავდეს მას ამ უკანასკნელის განხორციელების სასიკეთო შედეგები თავისი ქვეყნისათვის.

პილადის წინადადების მიღება იფიგენიასათვის ნიშნავდა წინააღმდეგობიდან ბრძოლითი გამოსავლის უპირატესობის აღიარებას, თოასისადმი აშკარა ვერაგობის გამოჩენას, მთელი იმ პროგრამის უკუგდებას, რომელსაც იგი იცავდა და აბორციელებდა. იფიგენია დარწმუნებულია, რომ მოინახება მშვიდობიანი გამოსავალი, რომ კეთილგონიერება გზას გაიკაფავს და სკვითების მეფე, იფიგენიას სულიერი გავლენის ორბიტში მოქცეული, დათმობს ქანდაკებას, რაოდენ მძიმე დანაკლისს არ წარმოადგენდეს ეს მისი ქვეყნისათვის. იფიგენიას სჯერა, რომ იგი არ ცდება, როცა

ორიენტაციას იღებს თოასის ჰუმანიურ მისწრაფებებზე, როცა სწამს, რომ თოასიც ისევე ამაღლდება „წმინდა ადამიანობამდე", როგორც ამაღლებულია თვით იფიგენია.

და იგი არ ტყუვდება თავის ვარაუდში. ევრიპიდეს გმირისაგან განსხვავებით, გოეთეს თოასი გვევლინება კეთილშობილურ და ჭკვიან მეფედ, რომელსაც სამართლიანობის გრძნობა ამოქმედებს. იფიგენიას მსგავსად, ისიც კეთილი და ჰუმანისტია, იცის მასზე გაწეული ამაგის დაფასება, შეუძლია დიდი მსხვერპლის გაღებაც *. როცა გაიგებს, თუ რაოდენ აუცილებელია ბერძნებისათვის დიანას ქანდაკება, იგი, მართალია, დიდად ყოყმანობს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თმობს ქანდაკებას. იფიგენიას კი არ უნდა ამ სახით მიიღოს ქანდაკება, არამედ ისე, რომ თოასი მისი სამუდამო მეგობარი დარჩეს, რომ მან მტკიცე მეგობრობის ნიშნად ხელი გაუწოდოს სამშობლოსაკენ მიმავალ ქალს. და თოასიც ხელს უწვდის იფიგენიას ნიშნად ამგვარი მეგობრობისა, რაც მოასწავებს მის საბოლოო სრულყოფას, ამაღლებას ე. წ. წმინდა ადამიანურობამდე. დრამის გმირები ძლევენ თავიანთ ვიწრო, შეზღუდულ მისწრაფებებს და ზოგადსაკაცობრიო მისწრაფებებით იმსჭვალებიან.

როგორც ვხედავთ, ანტიკური მასალის დამუშავების საფუძველზე „იფიგენია თავრიდში" გოეთე ადამიანთა შორის დამოკიდებულების, სოციალური საკითხების გადაწყვეტის იმავე პროგრამას ანვითარებს, რასაც ანვითარებდა უშუალოდ რევოლუციის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში. მწერალი აქაც ხაზს უსვამს ადამიანის როლს, მის აქტიობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აღნიშნავს ადამიანის ვალდებულებებს მისი ქვეყნის წინაშე, პიროვნულის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარების აუცილებლობას. ეს იგივე ჰუმანური იდეებია, რომელთაც გოეთე რევოლუციის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში გამოთქვამდა.

ამ დრამაშიაც ისე, როგორც რევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშ დაწერილ ნაწარმოებებში, მწერალი იმ აზრს ატარებს, რომ საზოგადოების ყველა წევრი უნდა გრძნობდეს თავისთავს პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, პ რ ო დ უ ქ ტ ი უ ლ ი საქ-

---

* მართებულად ამბობს ჰ ა ტ ე ნ ი გოეთეს თოასის შესახებ: „თოასს, რომელიც მათ წარუდგათ, სკვითის არაფერი შერჩენია. ეს კარგი გემოვნებით დაპირობებული თავმდაბლობაა, რომ მას სურს ასე ხრდილობიანად კვლავ ბარბაროსად იწოდებოდეს" (H Patin. Etudes sur les tragiques grecs, sixième édition. Paris, 1883, p. 141).

მიანობისათვის მოწოდებულად, რომ ყველა უნდა იყოს ჩაბმული სასარგებლო შრომაში, რომელიც შესაძლოა პიროვნულად სასარგებლო შრომის ხასიათს ატარებდეს, მაგრამ არამც და არამც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მთელი საზოგადოების ინტერესებს. ამ აზრს ატარებს გოეთე „მოქალაქე გენერალში", „აჯანყებულებში", „ჰერმანსა და დოროთეაში" და ბევრ სხვა ნაწარმოებში. პრაქტიკული მოღვაწეობისაკენ მოუწოდებს „მოქალაქე გენერალში" გამოყვანილი თავადი გლეხებს; საზოგადოებრივად სასარგებლო პრაქტიკული მოღვაწეობის იდეის პროპაგანდას ეწევა დრამა „აჯანყებულნის" გმირი — გრაფის მეუღლე; ასევე, პრაქტიკული, როგორც საზოგადოებრივი, ისე პიროვნულად სასარგებლო მოღვაწეობის აუცილებლობას იცავს მწერალი პოემაში „ჰერმანი და დოროთეა". ნაწარმოების გმირი — დოროთეა გვხიბლავს არა მხოლოდ თავისი მაღალი მორალური თვისებებით, სიკეთისა და სათნოების გრძნობით, არამედ დიდი შრომისმოყვარეობით. მწერალი მას აჯილდოვებს ისეთი თვისებებით, რომლებიც კომპაქტური ბიურგერული ოჯახის შექმნისათვის აუცილებელ პირობად მიაჩნია.

გოეთე შორს არის იქიდან, რომ მოახდინოს პრაქტიციზმის, უიდეო პრაქტიკული საქმიანობის აპოლოგია. იგი ხატავს მომხიბვლელ ფერებში, თავის შეხედულებებს გამოათქმევინებს იმ ადამიანებს, რომლებიც მშვენივრად უთავსებენ ერთიმეორეს პრაქტიკულ საქმიანობასა და იდეურობას, რომლებიც უარყოფენ როგორც გრძნობითი ცალმხრივობას, უსაგნო მეოცნებობას, ისე პრაქტიკულ საქმოსნობას. ასეთ ჰარმონიულ გმირებად გვევლინებიან იფიგენია, ევგენია და დოროთეა, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან რეალობის გრძნობით, თვალს უსწორებენ სინამდვილეს, მაგრამ ამასთანავე მოკლებული არ არიან პოეტურ აღმაფრენას, ენთუზიაზმის გრძნობას.

გოეთეს სოციალური კონცეფციის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი შესაძლებლად თვლის ადამიანთა ასეთ გარდაქმნას, ადამიანთა შორის ურთიერთთანამშრომლობასა და კომპაქტურობას ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში, მაგრამ თვით იდეა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის მნიშვნელობის, ადამიანის ღირსების აღიარების და დაფასებისა, ფრიად მნიშვნელოვანია. უდავოდ მნიშვნელოვანია, რომ გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების სიდუხჭირის, ამ უკანასკნელისაგან ანტიკურობაში „გაქცევის" პირობებში, გოეთე რჩება ჯანსაღ, მატერიალისტურ-ჰუმანისტურ თვალსაზრისზე, ანვითარებს ადამიანის საზოგადოებაში დარჩენისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გარ-

დაქმნის იდეას, იბრძვის იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ კრიტიკულ ეპოქაში მისტიკა-იდეალიზმში იჩეხება, ვინც ახალ ვითარებაში ძველ ჰანგებს მღერის, ვერთერულ იდეალიზმში ვარდება. ახალ სოციალურ ვითარებაში ვერთერიანობის სენით ამგვარ დაავადებულ პიროვნებას ვხედავთ ორესტის მხატვრულ სახეში, უფრო რელიეფურად კი, დრამა „ტორკვატო ტასოს“ გმირის, ტასოს მხატვრულ სახეში.

წინამდებარე შრომაში დასმული საკითხის გადაწყვეტისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ ეს ნაწარმოები ავტობიოგრაფიული ხასიათისაცაა, რომ ფერარას მგოსნის ტრაგედიის დახატვით გოეთემ ფარდა ახადა თავის სულიერ მდგომარეობასაც ვაიმარის სასახლეში, რომ ეს ნაწარმოები წარმოადგენს მშვენიერ მასალას ვაიმარში ცხოვრების პირობებით ყოველმხრივ კმაყოფილი, და მაშასადამე, ფეოდალურ სასახლეებთან იდეურად დაკავშირებული გოეთეს ლეგენდის დასარღვევად *. მაგრამ დასმული პრობლემისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია იმის გამორკვევა, თუ რა თვალსაზრისს ანვითარებს მწერალი ამ ნაწარმოებში ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ნაწარმოების ცენტრალური გმირის — ტასოს ტრაგედია მოგვაგონებს ვერთერის ტრაგედიას. ტასოც ისეთივე უიმედო სიყვარულს შეუპყრია, როგორსაც ვერთერი. მაგრამ გოეთეს ეს ახალი ნაწარმოები უფრო ფართო პლანშია მოფიქრებული, ვიდრე „ვერთერი“. მსგავსად ვერთერისა, ტასოს ტრაგედიის მთავარ მიზეზს წარმოადგენს არა უიმედო სიყვარული, არამედ გმირის დამოკიდებულება საზოგადოებისადმი, პირველყოვლისა პრივილეგირებული კლასებისადმი; მაგრამ ტასოს თავგადასავალში ეს სოციალური ბარიერები, გმირს წინ რომ ეღობება, გაცილებით უფრო გამოკვეთილად ჩანს, ვიდრე ვერთერის ცხოვრებაში.

მსგავსად ვერთერისა, ტასოც აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამს მისი გარემომცველი საზოგადოების მისამართით, გაგე-

---

* ამ გარემოებას შუქს ფენს ეკერმანთან საუბრის ის ადგილი, რომელშიაც მწერლისადმი ამპერის დამოკიდებულების შესახებაა ლაპარაკი. ამპერმა, ფიქრობს გოეთე, მართებულად შენიშნა, რომ პირველ ათეულ წლებში ვაიმარის სასახლის კარზე მოღვაწეობისა მან, გოეთემ, ვერაფერი შექმნა და რომ იგი ამის, გამო იძულებული იყო იტალიაში გაქცეულიყო („Wie richtig hat er bemerkt, daß ich den ersten zehn Jahren meines weimarischen Dienst-und Hoflebens so gut wie gar nichts gemacht, daß die Verzweiflung mich nach Italien getrieben“. Eckermann, III, 113).

ბული აქვს თავისი, როგორც მწერლის, სავალალო მდგომარეობა, მიდის იმის შეგნებამდე, რომ ადამიანის სპეტაკ ბისწრაფებებსა და სინამდვილეს! შორის არსებობს უფსკრული. ნაწარმოებში გარკვეულად ისახება შესაძლებლობა, რომ ტასოც იმ გზით წავა, რა გზითაც ვერთერი წავიდა, რომ ამ გმირის სანტიმენტალური ცალმხრიობა, ილუზიებში გადაჩეხვა ბოლოს და ბოლოს მისი რეალური სინამდვილიდან გაქცევით დაგვირგვინდება. მაგრამ ეს არ ხდება და არ ხდება იმიტომ, რომ გოეთეს ახლა სოციალური კოლიზიიდან გამოსავალი სხვაგვარად ესახება, ვიდრე ესახებოდა მაშინ, როცა „ვერთერზე“ მუშაობდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ვერთერული მისწრაფებისაგან თავის დროს გოეთეც არ იყო თავისუფალი, მაგრამ ეს არამც და არამც არ გვაძლევს საფუძველს, რომ მწერალი ამ პერიოდშიაც ვერთერიანობის მქადაგებლად მივიჩნიოთ. არა, გოეთემ „ვერთერში“ მხოლოდ ის აღწერა, რასაც ხედავდა მისი დროის საზოგადოებაში ვერთერული ფილოსოფიის აპოლოგიის გარეშე.

მით უფრო მიუღებელია მწერლისათვის სოციალური კოლიზიიდან ვერთერული გამოსავალი 90-იან წლებში, იმ პერიოდში როცა ტასოს მხატვრული სახე იქმნება, რადგან მწერალი ახლა ხედავს, რომ დასმულია კარდინალური საკითხი, სახელდობრ, საკითხი იმის შესახებ, თუ საით უნდა წავიდეს საზოგადოების განვითარება. შეუძლებელია გოეთესაგან მოველოდეთ იმას, რომ იგი, ერთი მხრივ, ამ პერიოდში დაწერილ თეორიულ-კრიტიკულსა და მხატვრულ ნაწარმოებებში იცავს ადამიანის ცხოვრებაში დარჩენისა და მისი გარდაქმნისათვის ბრძოლის თვალსაზრისს, მეორე მხრივ კი, იმავე პერიოდში დაწერილ „ტორკვატო ტასოში“ ვერთერულ-იდეალისტურ თვალსაზრისს იცავს. ამგვარი წინააღმდეგობის ძებნას ამაოდ დავიწყებდით გოეთესთან. „ტორკვატო ტასოს“ არ შეაქვს რაიმე ცვლილება იმ იდეებსა და შეხედულებებში, რომლებსაც გამოთქვამს გოეთე მე-18 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში. ამიტომაა, რომ მწერალს ფერარას სასახლის მგოსნის ტრაგედია არ მიყავს იმ გზით, რა გზითაც მიყავს მას ტრაგედია ვერთერისა.

მწერალი აყენებს თავის გმირს ცხოვრებასთან შერიგების გზაზე, გარკვეულად კავშირს აწყვეტინებს ვერთერულ იდეალიზმთან *. მართალია, დრამაში არ არის ნაჩვენები, თუ როგორ მი-

---

* ამიტომ მიაჩნია გოეთეს მართებულად ა მ პ ე რ ი ს შეხედულება, რომ ტასო არის თავისი თავისაგან ამაღლებული ვერთერი („Sehr treffend nennt er

ვიდა ტასო ასე რადიკალურად განსხვავებულ მსოფლმხედველობამდე, კიდევ მეტი, მისი ეს შემობრუნება ნაჩვენებია, როგორც უეცარი ფაქტი, მაგრამ ივარაუდება, რომ ტასოს ეს ნაბიჯი ხანგრძლივი დროის მანძილზე მზადდებოდა, ვიდრე იგი მას ოფიციალურად გამოთქვამდა. ირკვევა, რომ სანტიმენტალური ცალმხრიობით დაავადებულ ტასოს არ გაუწყვეტია საბოლოოდ კავშირი რეალობასთან. ტასოს ეს ნაბიჯი, მისი დადგომა რეალობის ნიადაგზე არ არის ადამიანის სიცოცხლესთან უკანასკნელი, უმიზნო გაბრძოლება, ნაბიჯი დასაღუპად განწირული ადამიანისა, რომელიც თავის გადასარჩენად ხავსს ეკიდება; ესაა ნაბიჯი იმ ადამიანის, რომელმაც მძიმე წუთებში გაიგო თავისი ვალდებულება ადამიანთა საზოგადოებაში, მიაგნო თავისთავში იმ მონაცემებს, რომელთაც იგი ღრმა სულიერი კრიზისიდან უნდა გამოეყვანა [1]. როგორც ორესტში, ისე ტასოშიაც იმარჯვებს ს ი ც ო ც ხ ლ ი ს გრძნობა, ცხოვრებაში დარჩენის აზრი. ტასოს ეს მეტამორფოზა, მართალია, მოასწავებდა უბადრუკ სოციალურ სინამდვილესთან მის შერიგებას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამ მხატვრულ სახეს უფრო მეტი შემეცნებითი ღირებულება ექნებოდა მაშინ, თუ იგი ვერთერული სასოწარკვეთის მსხვერპლი გახდებოდა.

გოეთეს დროის სოციალური სინამდვილე, მართალია, დუხჭირია, მწერალი მას აკრიტიკებს, მაგრამ იგი საჭიროდ თვლის, რომ ადამიანი კი არ გადაიჩეხოს უსაგნო ოცნებაში, არამედ დარჩეს პრაქტიკული სინამდვილის ნიადაგზე, ხელი მოჰკიდოს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, რადგან ამ გზითაა შესაძლებელი კაცობრიობის ბედნიერი მომავლის შექმნა — ასე ფიქრობს ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის მწერალი და ეს აზრი მას არ უარუყვია მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დარჩენისა და მისი გარდაქმნისათვის ბრძოლის თვალსაზრისს კიდევ უფრო მკვეთრად გამოთქვამს მწერალი მომდევნო ხანის ნაწარმოებებში, რომელთაგან ქრონოლოგიურად პირველ რიგში უნდა განვიხილოთ რომანი „ვ ი ლ ჰ ე ლ მ ა ი ს ტ ე რ ი ს მ ო ს წ ა ვ ლ ე ო ბ ი ს წ ლ ე ბ ი“ (1796 წ.). რომანის მთავარი გმირია მდიდარი ვაჭრის შვილი ვილჰელმი, რომელიც მამის დავალების შესასრულებლად მოგ-

---

daher auch den „Tasso“ einen gesteigerten „Werther“. E c k e r m a n n, III, 113).

[1] გ. ხ ა ვ თ ა ს ი. ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1953, გვ. 486 — 487.

ზაურობს სხვადასხვა მხარეში. სიუჟეტის გაშლის ეს ფორმა მწერალს გამოყენებული აქვს იმისათვის, რომ გვიჩვენოს ახალგაზრდა ვილჰელმის განვითარება, სოციალური გარემოს როლი მისი ხასიათის საბოლოოდ ჩამოყალიბებაში. ნაწარმოებში გამოყვანილი გმირები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პირველი ჯგუფის წევრები სანტიმენტალურად განწყობილი ადამიანებია, მეორე ჯგუფის წევრები კი ცხოვრებაში მიღებული გამოცდილებით ხელ-. მძღვანელობენ, პრაქტიკული სინამდვილის მხარეს იჭერენ. სანტიმენტალურად განწყობილი ავრელიას, ფილინეს, მოხუცი მექნარისა და სხვათა გასწვრივ რომანში გამოყვანილია პრაქტიკოსები — იარნო, ვილჰელმი, ტერეზა, ლოტარიო და სხვები, რომლებიც მათი ნიჭისა და უნარის გამოყენების ადგილს პრაქტიკულ სინამდვილეში ეძებენ.

ხატავს რა მოქმედ პირთა ამ ორს, ერთიმეორისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ ჯგუფს, მწერალს გათვალისწინებული აქვს, რომ ისინი ფაქტობრივად არ არიან ერთიმეორის მოპირისპირე სოციალური ჯგუფი, არამედ არსებითად ერთ სოციალურ ჯგუფს წარმოადგენენ, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ერთნი შერჩენიან ძველს ილუზიებს, შეუნარჩუნებიათ არსებული სოციალური ყოფისადმი მაინც კ რ ი ტ ი კ უ ლ ი დამოკიდებულება, მეორეებს კი თავი დაუღწევიათ ამგვარი კრიტიციზმისათვის და არსებულთან შერიგების, პრაქტიკული საქმიანობის აპოლოგიის ნიადაგზე დამდგარან. ერთნი სულდგმულობენ „ქარიშხალისა და შეტევის“ ეპოქის განწყობილებებით, აცხადებენ პროტესტს ადამიანის შევიწროების გამო, მეორენი კი ბურჟუაზიულ რევოლუციაზე დაკვირვების შედეგად მისულან არსებულთან შერიგების, სინამდვილის მიღების თვალსაზრისამდე.

ნაწარმოების მთავარი გმირი, ვილჰელმი ეკუთვნის გმირთა პირველ ჯგუფს. ისიც სხვების მსგავსად, გამოთქვამს არსებულის მიმართ პროტესტს, ცდილობს წარმოსახვაში დასძლიოს სოციალური ცხოვრების წინააღმდეგობა, რეალურ სინამდვილეს დაუპირისპიროს ილუზია. მას იდეურად უახლოვდებიან ფრიდრიხი, დაუდეგარი ფილინე, მექნარე, თეატრული დასის ანტრეპრენიორი მელინა, მელანქოლიკური ავრელია და სხვ. ეს ადამიანები გარკვეულად გამოთქვამენ პროტესტს არსებულის წინააღმდეგ. იგრძნობა, რომ მწერალს არ აქვს განზრახვა წარმართოს მათი განვითარება ფეოდალურ-იუნკერულ გერმანიასთან შერიგების გზით, რომ მას გარკვეული გაკვეთილები გამოუტანია საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციიდან, სახელდობრ ის, რომ ამ რევოლუციას

არ მოუტანია შეება ხალხთა ფართო მასებისათვის, რომ სოციალური საკითხები რევოლუციის გამარჯვების შემდეგაც მთელი სიმწვავით ისმება. ფეოდალური და ბურჟუაზიული ყოფის ამგვარ კრიტიკაში რელიეფურად თავს იჩენს გოეთეს დემოკრატიულ-ჰუმანისტური მისწრაფებები, მისი სურვილი შეაფასოს რევოლუციის მნიშვნელობა იმის მიხედვით, თუ რამდენად გააუმჯობესა მან ხალხის მდგომარეობა. იგი, ამასთანავე გვიჩვენებს, რომ ე. წ. ვაიმარის პერიოდის გოეთე არ მისულა ფეოდალური ყოფის აპოლოგიამდე, არ უარუყვია აბსოლუტურად ბურჟუაზიული რევოლუციის მნიშვნელობა.

შთაბეჭდილება იბადება, რომ „ვილჰელმ მაისტერის მოსწავლეობის წლებს" შეაქვს გარკვეული დისონანსი სოციალური საკითხების იმ გაგებაში, რომელსაც იმუშავებს გოეთე ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში, რადგან მწერალი სოციალური საკითხების გადასაწყვეტად თითქოს საბრძოლო პროგრამას აყენებს. მაგრამ ნამდვილად კი მწერალი ამ ნაწარმოებშიაც სოციალური საკითხების ისეთივე გაგებას იძლევა, როგორსაც რევოლუციის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში. ის გარემოება, რომ ამ რომანის გმირთა ერთი წყება გამოთქვამს პროტესტს არსებულის წინააღმდეგ, არ ცვლის საქმის ვითარებას, რადგან ამგვარი პროტესტი და კრიტიკა მეტად თუ ნაკლებად ახასიათებს რევოლუციის ეპოქაში შექმნილ სხვა ნაწარმოებებსაც. მთავარი მნიშვნელობა იმას აქვს, თუ რა ხაზით მიდის რომანში სიუჟეტის განვითარება, ვისი თვალსაზრისი იმარჯვებს ნაწარმოებში, იმათი, ვინც არსებული სოციალური ყოფის წინააღმდეგ კრიტიკულად არიან განწყობილი, თუ იმათი, რომელთაც მასთან საერთო ენა მოუნახავთ.

რომანის პირველ წიგნებში წინა პლანზეა წამოწეული სწორედ ისინი, ვინც არსებულს უპირისპირდებიან, მაგრამ უპირისპირებენ მას არა რაიმე ნათელ იდეალს, ქმედით პროგრამას, არამედ ილუზიას, სურვილებს. იმთავითვე ცხადი ხდება, რომ ამ გმირებს არ ეკუთვნით მომავალი, რომ მათ კრიტიციზმს პრაქტიკულ სინამდვილესთან დაპირისპირების შედეგად ბოლო მოეღება. ცხადი ხდება, რომ მათი, როგორც ვერთერულ-იდეალისტური ხაზის გამგრძელებელთა, დამარცხება გარდაუვალია, როგორც ამას ვხედავთ ავრელიას, მოხუცი მექნარისა და მინიონის ტრაგიკული თავგადასავლების მაგალითზე. მკითხველი რწმუნდება, რომ ასეთ გმირებს არ ძალუძთ მიუთითონ გამოსავალზე ჩაგრულ კაცობრიობას, რომ მათ არ შეუძლიათ დასახონ საამისო ქმედითი პროგრამა, იბრძოლონ მისი განხორციელებისათვის.

მწერალი არ ხატავს ამ ადამიანებს მხოლოდ მუქ ფერებში, არამედ გვიჩვენებს მათში წარმტაცსა და მიმზიდველ მხარეებსაც, გვიჩვენებს, რომ მათ სძულთ ის, რაც ღირსია სიძულვილის, რომ მათ უყვართ სიკეთე და კეთილშობილება. მწერალი ამასთანავე გვანიშნებს, რომ ისინი არიან ცალმხრივი, არაპრაქტიკული ადამიანები, განწირულნი დასაღუპად, თუ კი საფუძვლიანად არ გადასინჯავენ მოვლენებისადმი თავიანთ დამოკიდებულებას.

რომანის უკანასკნელ წიგნებში მწერალი გარკვეულად გვანიშნებს, რომ ვილჰელმი ცალმხრიობაშია გადაჩეხილი, რომ იგი ანვითარებს თავის მონაცემებს მხოლოდ ერთი მიმართულებით, რომელიც პრაქტიკული მოღვაწეობის უგულებელყოფაში იხატება. გოეთე, ცხადია, არ უარყოფს ადამიანის ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობას, ამდენად, არ უარყოფს ვილჰელმის თეატრთან დაახლოების მნიშვნელობას, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ხელოვნებით გატაცება არ უნდა გამოიხატოს პრაქტიკული სინამდვილისათვის ზურგის შექცევაში. გოეთეს მსოფლმხედველობის ბუნების ნათელსაყოფად ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ვილჰელმ მაისტერი მას გაბედულად მიყავს პოეტურ იდეალიზმთან, ვერთერულ ცალმხრიობასთან კავშირის გაწყვეტამდე.

თუ ამგვარი გაბედული ნაბიჯის გადადგმის უუნარობამ ვერთერი უსასრულობაში შთანთქა, თუ ფერარას მგოსნის, ტასოს ცხოვრების დრამაში გმირის ცხოვრებისაკენ შემობრუნება მხოლოდ ზოგად ხაზებშია მოცემული, „ვილჰელმ მაისტერში“ ცენტრალური გმირის ეს მეტამორფოზა მთელი სისავსითაა ნაჩვენები, რასაც ეძღვნება „მოსწავლეობის წლების“ უკანასკნელი წიგნები და რომანის მთელი მეორე ნაწილი.

რეალიზმის ამ გამარჯვების ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს გოეთეს სხვა ბევრი შემოქმედებითი ნიმუში, მათ შორის — „ვილჰელმ მაისტერის“ II ნაწილი, „აქილეიდა“, „პანდორა“, განსაკუთრებით კი „ფაუსტი“. ცხოვრებისადმი ადამიანის ამ ჯანსაღი დამოკიდებულების აპოთეოზს წარმოადგენს ფაუსტის მიერ საწამლავით სავსე ფიალის გადაგდება, ამდენად, ვერთერული ფილოსოფიის უკუგდება და მატერიალისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზე განმტკიცება.

ეს ჯანსაღი, მატერიალისტური ხაზი იმარჯვებს „ვილჰელმ მაისტერის“ პირველ ნაწილში, რაც რომანის ცენტრალური გმირის მიერ საზოგადოებაში თავისი ადგილის პოვნაში, პოზიტური თვალსაზრისის გამომუშავებაში ისახება. ვილჰელმი ახლა იმ ადამიანთა წრეში ტრიალებს, რომლებიც არიან პრაქტიკული იდეა-

ლების მატარებელნი, ვაჭრობითა და მეურნეობის ორგანიზაციით გართულნი, რომლებიც ისწრაფვიან ახლებურად დაამუშაონ თავიანთი მიწა-მამულები.

ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის გოეთესათვის სავსებით ბუნებრივია, რომ მან რომანის ცენტრალური გმირი დააახლოვა ამგვარ ადამიანებთან, ისეთებთან, რომელთაც ალღო აუღეს ცხოვრების განვითარებას, რომლებიც აფასებენ ტექნიკის პროგრესის დიდ მნიშვნელობას, ცდილობენ დანერგონ ახალი ტექნიკა მეურნეობაში. არ შეიძლება ითქვას, რომ ვილჰელმის დაახლოვება ამ ადამიანებთან, პროფესიის შეცვლა, გულის სატრფოს არჩევა ამ წრის ადამიანებიდან ნიშნავდეს მისი მხრივ რეაქციულ-ფეოდალური ყოფის აპოლოგიას, იმ რუტინის მიღებასა და განდიდებას, რომელსაც პრუსიის ბიუროკრატული სახელმწიფო აკანონებდა.

არ ჩანს, რომ ვილჰელმი შეტრფოდეს გერმანელ იუნკერებს, საზოგადოების განვითარების შეჩერება სურდეს იმ საფეხურზე, რომელზედაც იგი მაშინ იმყოფებოდა. ვილჰელმი ისწრაფვის საზოგადოებრივი პროგრესისაკენ, იმ ძალებთან კრავს კავშირს, რომლებმაც, მისი აზრით, ეს პროგრესი უნდა განახორციელოს. მას ფართო პერსპექტივა გააჩნია, მისი მიზანია ისე განავითაროს თავისი ნიჭი, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს თავის ხალხს. თავის მეგობრებშიაც ვილჰელმი ასეთს საზოგადოებრივი საქმის მოამაგეებს ხედავს. რომანის ცენტრალური გმირის ეს ნათელი, ჰუმანიური მისწრაფებები, მისი ფართო სოციალური პროექტები მთელი სიცხადითაა გადაშლილი რომანის მეორე ნაწილში, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

არ შეიძლება ითქვას, რომ რომანის სიუჟეტური ხაზის ამგვარ წარმართვაში, პრაქტიკული იდეალების მატარებელ ადამიანებთან ვილჰელმის დაახლოებაში იხატებოდეს მწერლის მსოფლმხედველობის მხოლოდ დადებითი მხარე — რეალიზმის პრინციპების განდიდება. ამ ფაქტში ჩანს აგრეთვე გოეთეს მსოფლმხედველობის სუსტი მხარე, რწმენა იმისა, რომ სოციალური წინააღმდეგობიდან არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი, სახელდობრ, ხელის აღება არსებულის რადიკალური გარდაქმნის პროგრამაზე, არსებულ სოციალურ ყოფასთან შერიგება.

ეს ასეა, ვილჰელმის მხრივ კავშირის გაწყვეტა სასცენო ხელოვნებასთან, მოხეტიალე მსახიობებთან და არჩევა იმ გზისა, რომელზედაც შემდგარან ლოტარიო, იარნო, ტერეზა, ნატალია და სხვები, იმაზე მიგვითითებს, რომ მწერალს თავი ვერ დაუღწე-

ვია ბიურგერული მსოფლმხედველობის გავლენისაგან, მაგრამ არავითარი საფუძველი არ არის ეს ფაქტი შეეფასოთ როგორც მწერლის მიერ ბიურგერული პრაქტიციზმისა და კონსერვატიზმის აპოლოგია. როგორც სხვა ნაწარმოებებში, ისე ამ რომანშიაც გოეთე წინ წამოსწევს ხოლმე მშვიდი ბიურგერული ცხოვრების იდეალს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი ქადაგებს რუტინასა და შემოქმედებით შეჩერებას, გულგრილ-განურჩეველ დამოკიდებულებას მღელვარე საზოგადოებრივი მოვლენებისადმი. გოეთეს მიერ დახატული პრაქტიკული ადამიანები, მართალია, ატარებენ ბიურგერული შეზღუდულობის დაღს, მაგრამ ისინი მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან გერმანელი ბიურგერებისაგან, უპირველესად იმით, რომ სძლევენ ბურჟუაზიულ ანტიესთეტიზმსა და ვულგარიზმს, ერთიმეორესთან ათავსებენ პრაქტიკული სინამდვილის მხარის დაჭერას ხელოვნებით გატაცებასთან, ამაღლებული იდეების პროპაგანდასთან.

როგორც ვხედავთ, ამ რომანშიაც გოეთე ადამიანისა და საზოგადოების შესახებ იმავე თვალსაზრისს ავითარებს, რასაც ავითარებდა რევოლუციის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში, ხაზს უსვამს ადამიანის აქტიურ როლს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში, წინ წამოწევს პოზიტური ცოდნის, სინამდვილისადმი ადამიანის ჯანსაღი, რეალისტური დამოკიდებულების გადამწყვეტ მნიშვნელობას როგორც ცალკე ადამიანის აღზრდისა და განვითარებისათვის, ისე მთელი საზოგადოების პროგრესისათვის. მწერალი იმ აზრს ანვითარებს, რომ გამწვავებული სოციალური ბრძოლების ეპოქაში სოციალური კოლიზიიდან გონივრულ გამოსავალს წარმოადგენს არა რევოლუცია, არამედ მშვიდობიანი განვითარება, საზოგადოების ყველა წევრის მიერ თავისი მოვალეობის შეგნებამდე ამაღლების, თავისი ნიჭისა და შესაძლებლობის გაშლის, თავისი თავის აღზრდის გზით. ბიურგერულ-კონსერვატიული მსოფლმხედველობის გავლენისაგან თავდაუღწეველი მწერალი ამ რომანშიაც გვეელინება საზოგადოებრივი განვითარების პროგრესის მგზნებარე დამცველად, იმათ სასტიკ მოწინააღმდეგედ, ვინც მისტიკა-პათოლოგიზმში იჩეხება, ასევე იმათ მოწინააღმდეგედ, ვინც უიდეობისა და ანტიესთეტიზმის ნაჭუჭში ეხვევა.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ საზოგადოებრივი პროგრესის განხორციელებაში გოეთე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის საზოგადოებრივ აქტივობას, პროდუქტიულობას, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ისეთი მიმართების დამყარებას, როცა პირველ რიგში დაყენებულია ხალხის ინტერესები,

რაც ამასთანავე ცალკე პიროვნების კეთილდღეობასაც გულისხმობს. ხალხის სამსახურის ეს იდეა მთავარ ზოლად მისდევს გოეთეს მთელს შემოქმედებას, მის ლაიტმოტივს წარმოადგენს. ამ იდეით აღტაცებული გვევლინებიან გოეთეს ნაწარმოებებში ზოგჯერ თვით დიდგვარიანთა რიგებიდან გამოსულნიც. გოეთე გვიხატავს მათ, როგორც თავიანთი კლასობრივი თვალსაზრისისაგან გამიჯნულებსა და საკაცობრიო იდეალამდე ამაღლებულთ. ეს იდეა მსჭვალავს გოეთეს იმ ნაწარმოებებს რომლებიც შეიქმნა რევოლუციის ეპოქაში და რომლებშიაც მწერალი გამოთქვამს თავის მოსაზრებებს იმის შესახებ თუ როგორ უნდა გარდაიქმნას საზოგადოებრივი ცხოვრება, რა როლი ენიჭება ამ საქმეში მთელს საზოგადოებას, აგრეთვე ცალკე ინდივიდს.

ამავე იდეას ატარებს მწერალი დაუმთავრებელ ნაწარმოებში — „აქილეიდაში", რომელიც 1799 წელს გამოქვეყნდა, როგორც იფიგენიას დრამაში, ისე აქილევსის ცხოვრების აღწერილობაში გოეთემ ბერძნულ სიუჟეტს შთაბერა ახალი სული, გაათანადროულა იგი [1]. მართებულად შენიშნავს გოეთეს ამ ნაწარმოების შესახებ ფინსლერი, რომ „პირველივე სტრიქონიდან იგრძნობა — ჰომეროსის გამგრძელებელი თანამედროვე მწერალია, რომელიც ორიგინალიდან, როგორც შილერი იტყოდა, სტიმულს ღებულობს, მაგრამ მონური მიბაძვისაგან სავსებით თავისუფალია" [2]. გოეთეს მიერ დახატულ აფროდიტესაც არაფერი სცხია ანტიკურობის, იგი გრძნობამიშვებულ, ვნებით დათენთილ სალონის ქალს უფრო გავს, ვიდრე ანტიკურ ქალღმერთს.

გოეთეს მსოფლმხედველობის ბუნების, მისი სოციალური სიმპათია-ანტიპათიების ცხადყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მან ამ ნაწარმოებში ახლებურად გაიაზრა ანტიკური სიუჟეტი, მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა თვით მოქმედი პირების ხასიათში. ეს სიახლე და კორექტივი ნაკარნახევია იმ კონკრეტული სოციალური ვითარებით, რომელშიაც იქმნებოდა ეს ნაწარმოები, სოციალური საკითხების გადაწყვეტის იმ პროგრამით, რომელსაც გოეთე აყენებდა. „აქილეიდას" ავტორმა თავისებურად გაიგო კონფლიქტი ტროელებსა და ბერძნებს შორის და თვით აქილევსის ხასიათიც. მის აქილევსს არ ახასიათებს ის მებრძოლი განწყობილებები, რომლითაც კლა-

---

[1] შდრ. Moriss M. Goethes Studien, Bd-II, Berlin. 1907, S 173.

[2] Phinsler. Homer in der Neuzeit von Dante bis Goethe, Leipzig u. Berlin, 1912, S. 450.

სიკური აქილევსი ხასიათდებოდა. ჰომეროსის მიერ დახატული უდრეკი აქილევსის ნაცვლად გოეთესთან გამოდის მშვიდი, ზომიერი ადამიანი, რომელიც მსჯელობს, რეზონიორია.

გოეთეს აქილევსის სურვილია დამშვიდებით შეხვდეს მოახლოებულ სიკვდილს, ეცადოს, რომ მისი სახელი ამ ქვეყნად უკვალოდ არ დარჩეს. არ ჩანს, რომ იგი ახალი საგმირო საქმეებისათვის, ბრძოლებისათვის ემზადებოდეს; არ ჩანს, რომ იგი ტროას ომის დამთავრების შემდეგ ისე იმოქმედებდეს, როგორც ამას ძველი მითები გვაუწყებენ, რომ მას პენტესილეასა და მემნონის წინააღმდეგ მოუხდებოდეს ბრძოლა. მხოლოდ არესისაგან გვესმის ერთ ადგილას, რომ აქილევსი თვითონ კი არ ამოჟლეტს ხალხს, არამედ სხვებს ააჯანყებს, სახელდობრ, პენტესილეასა და მემნონს, მაგრამ ფრამგენტში კი არ არის იმის ნიშანი, რომ გოეთე ამ ხაზით ფიქრობს სიუჟეტის განვითარებას, სურს ბრძოლის სურათების ჩვენება. შეიძლება ითქვას, რომ „აქილეიდას“ ავტორი არ აპირებდა „აქილევსის გმირობის“ დაწერას.

გოეთეს აქილევსი სრულიად არაა განწყობილი გადაიხადოს ახალი ომები, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის მონაწილე გახდეს, ხალხთა შორის მძულვარება იქადაგოს. მწერლის სოციალურ-პოლიტიკური კრედოს, მისი მაღალი ჰუმანიური იდეალების ნათელსაყოფად საყურადღებოა ის გარემოება, რომ აქილევსის ბედნიერებას მწერალი აკავშირებს არა ტროელთა უბედურებასთან, მათი სახელმწიფოს დანგრევასთან, არამედ ამ უბედურების ვადის გახანგრძლივებასთან. ამიტომაა, რომ აქილევსის პერსონაჟს გოეთე ხატავს მაინც ნაღვლიან მელანქოლიკურ ფერებში, რაც იმითაა პირობადებული, რომ მითის თანახმად აქილევსის ცხოვრება ტროას სახელმწიფოს დარღვევასთან ერთად დასრულდებოდა. ბუნებრივია, აქილევსს აღონებს თავისი ბედი, მისი ცხოვრების მოახლოებული დასასრული, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მას აღონებს ტროელთა სახელმწიფოს დასასრული, ამ ხალხის თავზე დატეხილი უბედურება.

ხატავდა რა აქილევსს ამგვარ მელანქოლიკურ ფერებში, გოეთეს განზრახვა ჰქონდა ეჩვენებინა არა პირადი უბედურების თვალნათლივ წარმომდგენი ტირია, არამედ ისეთი ადამიანი, რომელსაც შეუგნია, რომ ბევრი უბედურება დაატეხა თავს ხალხებს, ააოხრა ქალაქები. აქილევსის ხასიათის ამგვარი მეტამორფოზის ჩვენებაში ამოიკითხება გოეთეს აზრები ხალხთა შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე, ხალხთა შორის მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობის იდეა. მწერლის ამ ჰუმანიური თვალსაზრისის გან-

ხორციელებას წარმოადგენს ნაწარმოებში აქილევსის დასამშვიდებლად კრონიონის მიერ გადადგმული ნაბიჯი, მასთან ლატონასა და ფეტიდას გაგზავნა, რათა გახადოს იგი ამ ქვეყნად ბედნიერი ადამიანი. აქილევსის ამქვეყნიური ბედნიერება კი მითის თანახმად ტროელთა ტრაგედიის ვადის გადაწევას, მაშასადამე, ოლიმპის საბრძანებელში ტროას მომხრე და მოწინააღმდეგე ძალებს შორის წონასწორობის დამყარებას მოასწავებდა.

როგორც ვხედავთ, გოეთეს შეგნებულად არ მიყავს აქილევსი ახალი ბრძოლების გზით, რადგან არა ამ ბრძოლებში ხედავს იგი ხალხთა ბედნიერი ცხოვრების შექმნის გზას, არამედ მშვიდობიანი შრომითი ცხოვრების პირობებში. მის მიერ დახატული აქილევსი არ არის თავისუფალი სანტიმენტალურ-მელანქოლიკური განწყობილებებისაგან, ვერთერული სევდიანობისაგან, მაგრამ, მსგავსად იფიგენიას, ტასოს და ფაუსტისა, იგი ძლევს თავის ამ სისუსტეს, ცხოვრებიდან განდგომის ფილოსოფიას და მტკიცდება რეალისტურ, მატერიალისტურ პოზიციაზე, რჩება ადამიანთა შორის და თანაც, არა როგორც პასიური, არამედ როგორც შემოქმედი, აქტიური ბუნების ადამიანი. გოეთეს მიერ დახატული სხვა გმირების მსგავსად, იგი ამიერიდან თავისი ცხოვრების უმაღლეს პრინციპად იხდის ხალხის სამსახურს, ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისა და გამშვენიერების ამოცანას, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

აქილევსის ეს ჰუმანურ-დემოკრატიული მისწრაფებები გამოხატავს თვით გოეთეს შეხედულებებს, რასაც მწერალი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იზიარებდა. დასანანია, რომ მწერალი არ გვიჩვენებს ნაწარმოებში ამ თავისი მაღალი იდეალების განხორციელებას, არ გვიჩვენებს თავის გმირს მოქმედებაში. იგი მხოლოდ გვიშლის აქილევსის ხასიათს, გვეუბნება, თუ რა დიდი პოტენციისაა იგი, რა დიდი საქმეების გაკეთება შეეძლო მას. ეს ასეა, გოეთეს აქილევსი არაა ნაჩვენები პრაქტიკულ მოქმედებაში, მაგრამ ეს გარემოება ხელს ვერ გვიშლის მასში დავინახოთ ჰუმანისტი, ხალხთა შორის მშვიდობის მქადაგებელი.

აქილევსის ბუნების ამ წარმტაც მხარეზე, მის მაღალ ჰუმანიურობასა და დიდ პოტენციაზე მოგვითხრობს მის დასამშვიდებლად მოსული ათინა პალადა, რომელიც ნაღვლიანად შენიშნავს, რომ აქილევსს არ დასცალდა პრაქტიკულად განეხორციელებინა თავისი მაღალი მოწოდება, დიდი კონსტრუქციული გეგმები. ეს თვისებები აქილევსს, ათინა პალადას და, თვით გოეთეს აზრითაც, მკვეთრად ანსხვავებს არესისაგან, რომელსაც კმაყოფილებას

გვრის ომები, ხალხთა ხოცვა-ჟლეტა („dem die Schlacht nur genügt“).

წინააღმდეგ არესისა, გოეთეს აქილევსი თავისი მოცემულობით არის ხალხთა შორის სიკეთის მთესველი, ქალაქთა აშენებელი, უკაცური ადგილების დამსახლებელი („Städte zerstört er nicht mehr, er baut sie; fernem Gestade führt er den Überfluss der Bürger zu; Küsten und Syrten wimmeln von neuem Volk, des Raums und der Nahrung begierig“).

როგორც ვხედავთ, აქილევსის მხატვრულ სახეშიაც გოეთემ წინ წამოსწია ხალხის სამსახურის, მისი ცხოვრების გაუმჯობესების იდეა. აქილევსშიაც იგი ხედავს პოზიტურს, საზოგადოებრივი იდეალების მატარებელ გმირს, რომელიც გამოდის ომების, მატერიალური დოვლათის განადგურების მოწინააღმდეგედ, ხალხთა შორის სოლიდარობის დამცველად.

მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ის გარემოება, რომ ომების უარყოფასა და მაღალი ჰუმანიური იდეალების დაცვას „აქილეიდას“ ავტორი უთავსებს ძველი საზოგადოებრივი წყობის საფუძვლების დაცვას, რევოლუციური მოძრაობის უარყოფას, რაც მისი მსოფლმხედველობის სუსტ მხარეს წარმოადგენს. აქილევსის მხატვრული სახის დახატვისას გოეთე დარჩა ერთგული თავისი სოციალურ-პოლიტიკური მრწამსის, იგი წინ წამოსწევს ადამიანს, ხაზს უსვამს მისი საზოგადოებრივი აქტიობის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის მნიშვნელობას კაცობრიობის ბედნიერი მომავლის შექმნისათვის, მაგრამ ამ მიზნის მიღწევისათვის უგულებელყოფს რევოლუციის მნიშვნელობას.

ამავე იდეურ სიბრტყეზე უნდა მოთავსდეს დრამა „პანდორა“, რომელშიაც ცენტრალური ადგილი უკავია ისევ პრომეთეს პერსონაჟს. ეს უკანასკნელი კი აქ რადიკალურად შეცვლილია. ჩვენ ვერ ვხედავთ ამ ნაწარმოებში უშიშარსა და დაუდეგარ გმირს, რომელიც არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა. მის ნაცვლად ვხედავთ პრომეთე-პრაქტიკოსს, ხელოსანს, რომელიც კმაყოფილია მოპოვებულით და საჭიროდ არ თვლის არსებული სოციალური წყობის წინააღმდეგ ბრძოლას. მხოლოდ პრაქტიკულ საქმიანობაში ხედავს იგი ადამიანის მთავარ მოწოდებას („Des echten Mannes wahre Feier ist die Tat“).

როგორც ირკვევა, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში გოეთე იმუშავებს სოციალური საკითხების გადაწყვეტის, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის გარკვეულ პროგრამას, მომავალი საზოგადოების იდეალს. ჯერ კიდევ არ ჩანს,

თუ კონკრეტულად როგორ ესახება მწერალს ეს იდეალი, ადამიანთა შორის მიმართება მომავალ საზოგადოებაში, მაგრამ ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ეს მომავალი მას ესახება როგორც ადამიანის გათავისუფლება ჩაგვრის ხუნდებისაგან, როგორც თავისუფლებისა და სამართლიანობის განხორციელება. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შემდეგ საფეხურზე, ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ გრანდიოზულ ცვლილებებზე დაკვირვების შედეგად გოეთე უფრო აფართოებს თავის სოციალურ პროგრამას, იძლევა თავისი დროისათვის ფრიად საყურადღებო პროგნოზებს, ისწრაფვის გვიჩვენოს ადამიანთა ისტორიის განვითარების მაგისტრალური ხაზი, მისი უმთავრესი ნიშანსვეტები.

გოეთე ხდება მოწამე, თუ როგორ იკაფავს გზას ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობა ევროპის ქვეყნებში, როგორი ცვლილებები შეაქვს მას ქვეყნის ეკონომიურს, პოლიტიკურსა და სულიერ ცხოვრებაში. მწერლის ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს ის გარემოება, რომ ამ დროს წარმოებაში ინერგება ახალი, გაუმჯობესებული ტექნიკა, ორთქლის ძალით მომუშავე მანქანები, რომლებიც რიყავს ხელოსნურ შრომას. მწერალმა იგრძნო პროგრესული მნიშვნელობა ამ ფაქტისა, იგრძნო, რომ ტექნიკური პროგრესი წარმოადგენს აუცილებელ პირობას მის მიერ წამოყენებული სოციალური პროგრამის განხორციელებისათვის, კაცობრიობის ბედნიერი მომავლის შექმნისათვის. ამიტომაა, რომ იგი არა მხოლოდ ესალმება ტექნიკურ რევოლუციას ევროპის ქვეყნებში, ახალი სამიმოსვლო გზებისა და სატრანსპორტო საშუალებების განვითარებას, ორთქლით მავალი გემების გამოჩენას, არხების გაჭრას, არამედ პირადად ღებულობს ქმედით მონაწილეობას თავისი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების საქმეში, ახალი გზების გაყვანის, საბაჟო ბარიერების მოსპობის, წონა-ზომის ერთიანი სისტემის დამყარებისა და სამთამადნო და დამუშავებითი მრეწველობის განვითარების საქმეში*.

---

* შილერისადმი ილმენაუდან 1795 წლის 29 აგვისტოს გაგზავნილ წერილში გოეთე იქ გატარებულ რამდენიმე დღეს სასიხარულო დღეებს უწოდებდა, მიაჩნდა, რომ ილმენაუში ჰარმონიულადაა მოცემული ყველაფერი. მის ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს ხელოსნური შრომიდან სამანქანო შრომაზე გადასვლა. („der Übergang vom Handwerk zum Maschinenwerk"), ურთიერთობის გაჩაღება სხვა ქვეყნებთან („ein größerer Verkehr mit der Welt". — Briefwechsel zwischen Schiller und Goethe, erster Band, Stuttgart, S. 85).

გოეთე-მინისტრის ეკონომიური პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს გერმანიის გამოყვანა კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობის ზღუდეებიდან, ეკონომიური და სულიერი ცხოვრების დარგში დაძლევა ფეოდალური პარტიკულარიზმისა, პრუსიის აბსოლუტისტური სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლების უარყოფა. იმის გათვალისწინებით, რასაც ადგილი აქვს მისი დროის გერმანიაში, გოეთე ფიქრობს, რომ ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარება განხორციელდება საზოგადოებრივი წყობის საფუძვლების დანგრევის გარეშე.

შთაბეჭდილება იქმნება, რომ, აღიარებს რა მეურნეობის ახალი წესის აშკარა უპირატესობას მეურნეობის ძველს, ფეოდალურ წესთან შედარებით, იცავს და ახორციელებს რა ქვეყნის ბურჟუაზიული გარდაქმნის პროგრამას, გამოდის რა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების საქმის თავგამოდებით დამცველად საამისო ეკონომიური ღონისძიებების გატარების მეთხებით, გოეთე დგას ბურჟუაზიული ურთიერთობის ა პ ო ლ ო გ ი ი ს ნიადაგზე, მიაჩნია, რომ ამ ურთიერთობას მოაქვს ხსნა ჩაგრული კაცობრიობისათვის. მაგრამ სინამდვილეში კი გოეთეს, როგორც მწერლის, ისე საზოგადო მოღვაწის შესახებ, ასეთი აზრი მოკლებულია საბუთიანობას, მწერლის შემოქმედებისა და მოღვაწეობის არსის გაყალბებას წარმოადგენს.

ერთი კი ცხადია, რომ ბურჟუაზიულ ურთიერთობას გოეთე თვლის პ რ ო გ რ ე ს უ ლ ა დ ფეოდალურ ურთიერთობასთან შედარებით, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ გამოსვლისას იგი ბურჟუაზიის პოზიციამდე დადის *. ჩვენ ვხედავთ, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების გარიჟრაჟზედაც გოეთეს ერთობ ძლიერი ეჭვები იპყრობს ამ ურთიერთობისადმი, მიაჩნია, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციას არ მოაქვს ხსნა და იმედების გამართლება ხალხები-

---

* გოეთეს შემოქმედების შესწავლა არავითარ საფუძველს არ იძლევა მივიჩნიოთ ეს მწერალი ხალხისაგან დაშორებულად, ექსპლოატატორი კლასების ესთეტიკური შეხედულებების გამომხატველად, როგორც ეს პ. ს. ტ რ ო ფ ი მ ო ვ ს მიაჩნია. ტროფიმოვი წერს: "Большинство представителей передовой домарксистской эстетики на Западе были д а л е к и о т н а р о д а. Они выражали эстетические взгляды большей частью прогрессивных для своего времени, н о э к с п л у а т а т о р с к и х к л а с с о в. Это в одинаковой мере относится к Лессингу, Дидро, Гете и другим выдающимся представителям домарксистской эстетики". (Т р о ф и м о в П. С. Вопросы марксистско-ленинской эстетики, Москва, 1956, გვ. 14. ხაზი ჩვენია—გ. ხ.).

სათვის. გოეთეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ამჩნევს ბურჟუაზიული რევოლუციის შეზღუდულ ხასიათს, ხედავს ძირეულ დაშორებას იმ დაპირებებს შორის, რომელთაც იძლევა რევოლუციის წინა და რევოლუციის ეპოქაში ბურჟუაზია და იმას შორის, რასაც იგი პრაქტიკულად აკეთებს.

გოეთე დარწმუნებულია, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია არ აკმაყოფილებს ადამიანთა საუკუნეებრივ მისწრაფებებს, მოაქვს ადამიანებისათვის არა თავისუფლება და სამართლიანობა, არამედ ახალი ჩაგვრა, ახალი ტირანია; ამითაა მნიშვნელოვანწილად დაპირობებული ის კრიტიკული დამოკიდებულება, რომელსაც იჩენს მწერალი ბურჟუაზიული რევოლუციისადმი. მომდევნო ამბებმა, ბურჟუაზიული ურთიერთობის შემდგომმა განვითარებამ მწერალი კიდევ უფრო დაარწმუნა თავისი შეხედულებების სისწორეში, იმ ფაქტში, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრება კი არ წყვეტდა სოციალურ საკითხებს, არამედ უფრო ამწვავებდა მათ, უფრო აღრმავებდა სოციალურ წინააღმდეგობებს. მწერალი მიხვდა, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება თავს ატეხს ადამიანთა მილიონებს სოციალურ უბედურებას, რიყავს ხელოსანთა შრომას, ქმნის უმუშევართა არმიას.

გოეთეს დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ მისი ეს მართალი პროგნოზი, ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობის დანახვა ამ საზოგადოების განვითარების ჯერ კიდევ ადრინდელ საფეხურზე, ბურჟუაზიის ეგოისტურ-მერკანტილისტური ბუნების შენიშვნა ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ბურჟუაზია გადაჭრით უარს იტყოდა თავის ადრინდელ რომანტიკაზე. მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება ბურჟუაზიული ურთიერთობისადმი, ამ უკანასკნელის ისტორიულად პროგრესული როლის აღიარების გასწვრივ, ნათლად ჩანს იმ დიდი მხატვრული ტილოების მაგალითზე, რომლებიც შეიქმნა მისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით—„ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლებში“ და „ფაუსტის“ მეორე ნაწილში.

მომავალი საზოგადოების იდეალი, რომელსაც გოეთე საბოლოოდ იმუშავებს, ამიტომ არამც და არამც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც იდეალი ბურჟუაზიული საზოგადოებისა, ამ უკანასკნელის აპოლოგია. ამ იდეალის წამოყენებისას, ადამიანთა მომავლის სურათის დახატვისას გოეთე ცდილობს გაცდეს ბურჟუაზიული კლასის მსოფლმხედველობრივ ზღურბლს, თავი დააღ-

წიოს თავისი მსოფლმხედველობის ბურჟუაზიულ შეზღუდულობას, მოგვცეს თავისი სოციალური პროგნოზები და ვარაუდები.

ეს ფაქტი კი მოწმობს მწერლის იდეურ კავშირს თავის ხალხთან, მთელი მსოფლიოს ხალხებთან, მისი შემოქმედების ხალხურ საწყისებს. სწორედ იმიტომ, რომ ყურს უგდებდა ხალხთა გულისთქმას, მიყვებოდა თავის რეალისტურ ალღოს, შესძლო მწერალმა ამოეკითხა ხალხის გულისთქმანი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ეპოქაში, აესახა მათი სანუკვარი იდეალები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ახალ იდეებს გოეთე აყენებს იმ დროს, როცა სამოღვაწეო სარბიელზე გამოდიან უტოპისტ-სოციალისტები, სენსიმონი და მისი მოწაფეები, რომლებიც ანვითარებენ უტოპიური სოციალიზმის თეორიას. შეუძლებელია ითქვას, რომ მწერალმა განიცადა ფრანგული უტოპიური სოციალიზმის მძლავრი გავლენა, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ მის უკანასკნელ ნაწერებში მოისჰის გამოძახილი ამ ახალი იდეებისა, იგრძნობა რწმენა იმისა, რომ ბურჟუაზიულ ურთიერთობას შეცვლის ახალი, ადამიანებისათვის ბედნიერების მომტანი საზოგადოებრივი ურთიერთობა. ეს ოპტიმიზმი, რწმენა კაცობრიობის საბოლოო განთავისუფლებისა მსჭვალავს გოეთეს მთელს შემოქმედებას, განსაკუთრებით, რომანის—„ვილჰელმ მაისტერის“ და დრამატიული პოემის — „ფაუსტის“ მეორე ნაწილებს. ამ ნაწარმოებებში გამოთქვა გოეთემ თავისი „სიბრძნის უკანასკნელი დასკვნა“. მისი სოციალური სიმპათია-ანტიპათიები, გვიჩვენა საბოლოო სახით, თუ როგორ წარმოუდგენია მას ექსპლოატაციის ხუნდებისაგან გათავისუფლებული მომავლის საზოგადოება.

როგორც აღნიშნული გვქონდა, „ვილჰელმ მაისტერის“ უკანასკნელ წიგნებში მწერლის დამოკიდებულება ვილჰელმისა და ხელოვნების სხვა ენთუზიასტებისადმი საფუძვლიანად იცვლება. თავისი გმირის წინაშე მწერალი სახავს ახალ პერსპექტივას, უსაგნო მეოცნებობაზე, თვითმიზნობრივი ხელოვნებით გატაცებაზე უარის თქმას და პრაქტიკულ სინამდვილესთან დაახლოებას. ეს ახალი გზა მწერლისათვის არ გამხდარა ცნობილი მხოლოდ ახლა, ამ გზით მიდიოდნენ აქამდე რომანის სხვა გმირები—იარნო, ლოტარიო, ტერეზა და სხვები.

სწორი არ იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ, აყენებს რა ვილჰელმს განვითარების ამ ახალ გზაზე, მწერალი ბურჟუაზიულ ანტიესთე-

ტიზმის აპოლოგიას ახდენს, რომ სოციალური წინააღმდეგობებიდან გამოსავალს იგი პრაქტიციზმის კულტის დამკვიდრებაში ხედავს. არა, საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიაში გოეთე ერთი პირველთაგანია, რომელიც მწვავედ აღიქვამდა, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრებას თან მოჰქონდა ვულგარიზმისა და ანტიესთეტიზმის დამკვიდრება, ადამიანის გულის პოეზიის გამორიყვა.

ამ რომანში გამოყვანილი პრაქტიკოსი გმირები არ არიან ბურჟუაზიულად შეზღუდული, ცალმხრივი და უსულგულო ადამიანები, რომელთათვისაც უცნობია გულის სიხარული და პოეზია. იმთავითვე იგრძნობა, რომ ისინი არიან გოეთეს იდეალური ადამიანები, რომლებიც მოვლენებისადმი ჯანსაღ, რეალისტურ დამოკიდებულებას იჩენენ, ადამიანის ხსნას მის ამქვეყნად დარჩენასა და პრაქტიკული იდეალების დასახვაში ხედავენ. ისინი გოეთეს გაგებაში არიან ჰარმონიული ადამიანები, რომლებიც ერთიმეორეს უთავსებენ პრაქტიკული სინამდვილისა და პოეტურ-ამაღლებულის მხარის დაჭერას. ამიტომ ისახება რომანში ვილჰელმის წინამე აუცილებლობა, რომ იგი უსწორდეს ამ ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანებს, წავიდეს მათი გზით.

ვილჰელმის ევოლუციის ამგვარ დახატვაში ცხადად ჩანს, გოეთეს კრიტიკული დამოკიდებულება როგორც ფეოდალური, ისე ბურჟუაზიული წყობილებისადმი, მისი პროგრამა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისა, იმ სოციალურ წინააღმდეგობათა გადაწყვეტისა, რომლებიც შედეგად მოყვა ბურჟუაზიული ურთიერთობის განმტკიცებას. ხელოვნების ენთუზიასტის — ახალგაზრდა ვილჰელმის დახატვით მწერალი ახდენს იმ ჭეშმარიტების აღიარებას, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის განმტკიცებამ გამოიწვია ადამიანის სულიერი ცხოვრების დანაწევრება, დაამკვიდრა ვულგარულ-პროზული სული, წაართვა ადამიანს გულის სიხარული და პოეზია. ვილჰელმისა და ხელოვნების სხვა ენთუზიასტთა გამოსვლებში იგრძნობა პროტესტი ადამიანის სულიერი ცხოვრების ამგვარი გაუბრალოებისა და გავულგარების წინააღმდეგ.

„ვილჰელმ მისტერით“, განსაკუთრებით მისი მეორე ნაწილით, მწერალი გვიჩვენებს, რომ კაცობრიობისათვის ბედნიერი მომავლის შექმნა არ განხორციელდება იმ გზით, რომელსაც ვილჰელმი და მისი თანამგზავრები შესდგომიან, რადგან ეს არ არის ა ქ ტ ი უ რ ი მოქმედების გზა. ვილჰელმის პროტესტი მწერ-

ლის გაგებაში უთუოდ ატარებს თავისში ჯანსაღ ელემენტებს, მაგრამ მას არ შეუძლია მოიტანოს რაიმე ხელშესახები შედეგი სოციალური ცხოვრების უკუღმართობის აღმოფხვრაში. ვილჰელმი, მწერლის გაგებით, მართალია, არაა მოკლებული პრაქტიკულ ალღოს, არ იჩეხება მისტიკაში, მსგავსად ავრელიასი, მაგრამ არსებითად იგიც იმავე ცალმხრივი სანტიმენტალიზმის ტყვეობაშია მოქცეული, რომელმაც იმსხვერპლა მისი წინამორბედი ვერთერი.

ამიტომ წარმართავს მწერალი ვილჰელმის განვითარებას ამ ცალმხრიობის დაძლევისა და პრაქტიკული სინამდვილის მიღების, ჯანსაღი მსოფლმხედველობის გამომუშავების გზით. ამიტომ აახლოვებს იგი ვილჰელმს იმ ადამიანებთან, რომელთათვისაც არაა დამახასიათებელი ცალმხრიობა, რომლებიც არც პრაქტიციზმში იჩეხებიან და არც ქიმერებს მისდევენ, არც ბურჟუაზიულად შეზღუდული პედანტები არიან და არც ყველაფრის ხელაღებით უარმყოფელები.

ეს ადამიანები თავიანთი მისწრაფებებითა და საქმიანობით, მწერლის გაგებით, არიან მომავლის ადამიანები, ისეთები, როგორიც საერთოდ უნდა იყვნენ ადამიანები. ისინი, დამოუკიდებლად მათი სოციალური მდგომარეობისა, გამსჭვალულნი არიან მაღალი ჰუმანიური მიზნებით, ხალხებისათვის ბედნიერების მოტანის სურვილით *.

---

* შეუძლებელია გაზიარებულ იქნას ი. კ უ გ ც ი ნ ს კ ი ს შეხედულება, რომ ეს გმირები, კერძოდ ვერნერი, არიან კაპიტალისტთა პროტოტიპები, რომ მათი სახით გოეთე იძლევა ვაჭრის აპოლოგიას („Abschließend sei die Apotheose des Kaufmanns durch Goethe bzw. durch den goetheschen Prototyp des Kapitalisten, Werner, in „Wilhelm Meisters Lehrjahre" weitergegeben"— J ü r g e n K u g z i n s k i. Studien über schöne Literatur und politische Ökonomie, Berlin. 1954, S. 81). აყენებს რა ასეთ მოსაზრებას, კუგცინსკი გამოდის იქიდან, რომ გოეთესთან არის მერკანტილისტური მსოფლმხედველობის საწყისები, რომ იგი განადიდებს ვაჭარს, სავაჭრო კაპიტალს (... tritt Goethe mit seinem merkantilistisch anmutenden Lob des Kaufmanns auf". ibid., 75), რომ ვაჭარი, გოეთეს გაგებაში, იქნება იგი პირატი თუ „ნორმალური" ვაჭარი, არის დიდი გამარჯვებული ადამიანი ეპოქისა („ist der große Sieger der Zeit"—(ibid., 78).

დავას არ იწვევს, რომ გოეთე აფასებს ვაჭრობის განვითარების პროგრესულ მნიშვნელობას, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი ქება-დიდებას

ასეთი ალტრუისტების, კეთილმოქმედი ადამიანების სახეებს ხატავდა გოეთე ადრეც, მაგრამ ახლა მან ისინი დახატა უფრო გამოკვეთილად, თანაც უფრო დიდი რაოდენობით და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, გვიჩვენა მათი პრაქტიკული საქმიანობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ორგანიზაცია.

ამ ადამიანთა შორის ყურადღებას იქცევს იარნო, რომელსაც დიდად გაუფართოებია თავისი ცოდნა სამთამადნო წარმოების დარგში და გამხდარა რომანში დახატული უტოპიური საზოგადოების, პედაგოგიური პროვინციის ერთერთი აქტიური წევრთაგანი. ყურადღებას იქცევენ აგრეთვე მხატვრული სახე დურგალ იოსებ II-სა—თავისი პროფესიის, აგრეთვე ხელოვნების დიდი ენთუზიასტისა, მხატვრული სახეები მაიორის, ლენარდოსა და სხვების. მწერალი გვაგრძნობინებს, რომ მომავლის საზოგადოება იქნება მისი დროის საზოგადოებისაგან ძირეულად განსხვავებული, მეურნეობის ორგანიზაციის, შრომის განაწილების, შრომისადმი ადამიანის ახალი დამოკიდებულების მხრივ. ამ საზოგადოებაში ადგილი არ ექნება ადამიანის ჩაგვრას, იძულებით მუშაობას, ფიზიკური და გონებრივი შრომის დაპირისპირებას.

მწერალს მიაჩნია, რომ ამგვარი საზოგადოება წარმოადგენს ადამიანის აღზრდისა და სრულყოფის ძლიერ იარაღს, მთავარ

ასხამს ვაჭრებს, იძლევა მათ აპოლოგიას. კუგლინსკი ასევე შორდება ტენშარიტებას, როცა გოეთეს იდეურად აკავშირებს სავაჭრო კაპიტალის ეპოქასთან იმის მომიზეზებით, რომ გოეთეს დროის გერმანია განვითარების მხრივ ჩამორჩებოდა კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარ ქვეყნებს. საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენის მიუხედავად, გერმანიის განვითარება მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის და მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლებისა მიდიოდა კაპიტალისტური გზით, იქაც ინერგებოდა ახალი, გაუმჯობესებული მანქანები, მკვიდრდებოდა ის, რაც დამახასიათებელია საშრეწველო კაპიტალის ეპოქისათვის. თავისი მხატვრული შემოქმედებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით გოეთე ჰიმნს უმღერის არა სავაჭრო კაპიტალის ეპოქას, არამედ სამრეწველო კაპიტალიზმის დროს მომხდარ დიდ ცვლილებებს ცოდნისა და ტექნიკის დარგში, საწარმოო ძალთა სწრაფსა და მძლავრ განვითარებას, მაგრამ მწერალი ამასთანავე ხედავს, თუ რა საფრთხეს უმზადებს ადამიანებს ეს ახალი ურთიერთობა, გამოდის ამ უკანასკნელის კრიტიკით. ამიტომ, შეუძლებელია მისი გამოყვანა კაპიტალიზმის იდეოლოგად.

სკოლას. ამიტომ იწოდება იგი რომანში პედაგოგიურ პროვინციად, სადაც განადიდებენ შრომას, კოლექტივიზმსა და სოლიდარობას. შრომა და ხელოვნება აქ არ არის ერთიმეორისაგან გათიშული, აღსაზრდელს აქ იმთავითვე შთაუნერგავენ ხოლმე შრომის, ადამიანისა და მისი ღირსებისადმი პატივისცემას და სიყვარულს. აქ ყველა თავისი შესაძლებლობის მიხედვით ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, აკეთებს იმას, რისთვისაც იგი თავს მოწოდებულად თვლის და რაც მას ხალისსა და კმაყოფილებას გვრის. ამ საზოგადოებაში დიდად სცემენ პატივს ხელოვნების სხვადასხვა დარგს.

ვილჰელმი სულ უფრო და უფრო მეტი სიმპათიით იმსჭვალება ამ ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციისადმი. იგი გადაწყვეტს მიაბაროს თავისი ვაჟი აღსაზრდელად საზოგადოების მესვეურებს, რომლებიც ამასთანავე აღმზრდელებიც არიან. იგი გადაწყვეტს თვითონაც შეიცვალოს პროფესია, ხელი მოჰკიდოს ქირურგიას, დარწმუნებული იმაში, რომ ამის მეოხებით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას და თავისთავსაც.

„ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები" გვიჩვენებს, თუ როგორ შეშფოთებულია მწერალი იმის გამო, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის დადგინებას შედეგად მოყვა სოციალური საკითხების გამწვავება, სოციალურ წინააღმდეგობათა გაღრმავება. მწერალი ხატავს ამ ახალი ურთიერთობის განვითარების მწვავე შედეგებს, მრავალრიცხოვანი წვრილი მწარმოებლის, ხელოსნების შრომის გამორიყვას, უმუშევართა არმიის წარმოშობას. იგი ხატავს ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად შეშფოთებულ ადამიანებს, რომლებიც ხედავენ, რომ მანქანური წარმოების განვითარება დაღუპვით ემუქრება არა მხოლოდ ხელოსნურ შრომას, არამედ იმ სიხალისესა და პოეზიასაც, რომლებიც ხელოსნური შრომის განუყოფელ ატრიბუტს წარმოადგენდა.

„მე მტანჯავს და მაშინებს ის უპირატესობა, ამბობს რომანის ერთი გმირი, რომელიც მანქანით დამუშავებას გააჩნია ხელით შრომასთან შედარებით. სამანქანო შრომა, თითქოს ქარიშხალიაო... ადრე თუ გვიან თავს დაგვატყდება". რომანში აღნიშნულია, რომ ხელოსნებს ორი არჩევანი აქვთ: ან თვითონვე გადავიდნენ გაუმჯობესებული იარაღების გამოყენებაზე და ამ გზით დააჩქარონ მათი საერთო დაღუპვა, ანდა მიატოვონ თავიანთი დანგრეული მანუფაქტურული წარმოება და ბედის საძებნელად გადასახლდნენ სხვა ქვეყანაში, გადასახლდნენ იქ, სადაც კაპიტალიზმი არაა

განვითარებული და სადაც ბუნებით ლაღსა და მშვიდ მშრომელებს თითქოს შეეძლებათ თავისუფალი ცხოვრება.

გოეთე გვიჩვენებს საგონებელში ჩავარდნილ მშრომელებს, თვით პედაგოგიური პროვინციის მესვეურებს, მათ შორის ლენარდოსაც, რომლებიც ანვითარებენ გადასახლების, ზღვის იქითა ქვეყნებში ბედის ძებნის, იქ ახალი უტოპიური საზოგადოების დაარსების იდეას. მაგრამ გოეთეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი აკრიტიკებს არა მხოლოდ იმ სისტემას, რომელმაც მილიონობით ადამიანებს უბედურება დაატეხა თავს, არამედ ე. წ. გ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ ი ს, სხვაგან რაღაც ოაზისების ძიების იდეასაც. მწერალი გვიჩვენებს, რომ მანქანური წარმოება გზას იკაფავს გერმანიაშიაც, მაგრამ გამოსავალი უნდა ეეძიოთ არა ახალი ტექნიკისათვის ზურგის შექცევაში, მშობლიური ადგილებიდან აყრაში, არამედ ახალი ტექნიკის გაბედულად დანერგვაში *. ამგვარი ოპტი-

---

* ამიტომ შეუძლებელია გაზიარებულ იქნას შეხედულება ვ. ლ ი ნ დ ე ნ ი ს ა, რომელსაც მიაჩნია, რომ „მოგზაურობის წლებში“ გოეთე უპირისპირდება სამანქანო წარმოებას. ლინდენი წერს: „Die Wanderjahre sind ja... die schöpferische Auseinandersetzung des goetheschen Idealismus mit der neuen Maschinenwelt des 19 Jahrhunderts“ (Germ. rom. Monatsschrift, März/April, 1932, Heidelberg, S. 265). ასევე, საფუძველშივე მცდარია ფრ. შ ტ რ ი ხ ის შეხედულება, რომ გოეთე მისი დროის ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობიდან გამოსავალს ხედავს ამერიკის ცხოვრებაში (Fr. S t r i c h, 185), რომ „ვილჰელმ მაისტერში“ იგი ანვითარებს ამერიკაში გადასახლების იდეას. ფაქტების ლოგიკა იძულებულს ხდის შტრიხს ერთგვარი კორექტივი შეიტანოს თავის ამ დებულებაში, როცა აღიარებს, რომ ნაწარმოებში გარკვეულად თავს იჩენს სამშობლოში დაბრუნების მოტივი („Zwar ist auch in den Wanderjahren das Motiv der Rückwanderung wieder aufgenomen“— ibid., 187). მაგრამ ეს უკან დაბრუნება, შტრიხის აზრით, თურმე იმის შეგნებითაა ნაკარნახევი, რომ „ძველ ევროპას“ ახალი საზოგადოებრივი წყობისათვის სჭირდება ადამიანები, რომლებიც მას თურმე უცილობლად ამერიკიდან უნდა მოევლინონ (187). ეს იმიტომ, ფიქრობს შტრიხი, რომ ევროპის საზოგადოების ახალი ორგანიზაცია უნდა განხორციელდეს ახალ საფუძველზე, რომელსაც ამერიკა იძლევა (187).

ამ აუცილებლობის შეგნებას ხედავს შტრიხი გოეთესთან როგორც ევროპის საზოგადოების განვითარების საერთო პერსპექტივის, ისე ევროპული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით. საკითხის ამგვარი გაგება საფუძველშივე ყალბია, უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ის დიდი საზოგადოებრივი მოვლენები, რომელთაც ადგილი აქვს ევროპის ქვეყნებში XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში, ფესვებს უშვებს თვით

მისტური ხაზით მიყავს გოეთეს რომანის სიუჟეტური ხაზი. თვით ლენარდოც კი, რომელიც აქამდე გადასახლების პროექტს აყენებდა, ვერაფერს ამბობს იმ გეგმის წინააღმდეგ, რომელსაც ავითარებს რომანის ერთი გმირი და რომელიც გადასახლების პროექტის უარყოფასა და მანქანურ წარმოებაზე გადასვლის მოთხოვნაში მდგომარეობს.

ასე გადაწყვიტა გოეთემ თავისი დროის დიდი სოციალური საკითხი ამ შესანიშნავ რომანში. მან სწორად გაიგო ეპოქის მთავარი მოთხოვნა, გაიგო საბუნებისმეტყველო-ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარების როლი ახალ საზოგადოებრივ ვითარებაში, სწორად გაიგო ისიც, რომ ახალი ტექნიკის დამკვიდრება მოასწავებდა ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის წინააღმდე-

---

ამ ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების სიღრმეში, რომ საფუძველი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ორგანიზაციისათვის თვით ამ ქვეყნების სინამდვილეშია მოცემული. დასმული პრობლემის განსაერში განსაკუთრებით ისაა ყურადსაღები, რომ ის გაგება ამერიკისა, რომელსაც შტრიხი გვთავაზობს, საფუძველშივე მცდარია, მწერლის მსოფლმხედველობის გაყალბებას წარმოადგენს. მართალია, გოეთე იჩენდა ხოლმე თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში ინტერესს ამერიკისადმი, მაგრამ აქედან არამც და არამც არ გამოდის, რომ იგი ხსნას ევროპისათვის ამერიკიდან მოელოდა, რომ საკუთრივ ევროპის ქვეყნების ძალებისა და შესაძლებლობისადმი იგი სკეპტიკურად იყო განწყობილი. ამაში გვემოწმება გოეთეს მთელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მთელი მისი შემოქმედება.

მწერალი მწვავედ აღიქვამდა თავისი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობას, მაგრამ ღრმად სწამდა, რომ იგი მონახავდა განვითარების, საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ახალ გზას, ღრმად სწამდა შესაძლებლობა თავისი ხალხისა. ასევე ღრმად სწამდა მწერალს, რომ განახლების, ისტორიული პროგრესის გზას ადგანან ევროპის სხვა ქვეყნებიც, რომ ამ პროგრესის საფუძველს წარმოადგენს დიდი ცვლილებები ამ ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების დარგში. უდიდეს გარანტიას ამ განვითარებისათვის მწერალი ხედავდა ევროპის ცალკე ქვეყნების საწარმოო ძალების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, სამრეწველო რევოლუციაში. ამ უკანასკნელის საფუძველს მწერალი ნაუწლობდა თვით ევროპის სინამდვილეში და არა ევროპაში იდეებისა თუ ცალკე ინჟენერ-ტექნიკოსების მოხიდვაში, როგორც ეს შტრიხს წარმოუდგენია. ამგვარი გაგებაა ჩაქსოვილი მწერლის შემოქმედების უკანასკნელ დიდ მხატვრულ ნაწარმოებში—„მოგზაურობის წლებსა“ და „ფაუსტის“ მეორე ნაწილში. მოხუცი ფაუსტის საწარმოო საქმიანობა, მისი შრომითი საწარმოო ენთუზიაზმი იმ ხალხის ენთუზიაზმთან ერთად, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ფარდას ხდის მწერლის მსოფლმხედველობის ძირითად მხარეს, გვიჩვენებს მწერლის ღრმა რწმენას, რომ ხალხთა, მათ შორის ევროპის ხალხთა ცხოვრების განახლების საფუძველი თვით ამ ხალხთა შრომით-საწარმოო საქმიანობაშია მოცემული, რომ ამ გზით იქნება უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ორგანიზაცია, ადამიანთა მილიონების გათავისუფლება. ფაუსტის ეს დასკვნითი

გობის გამწვავებას, ბურჟუაზიული ანტიესთეტიზმის დამკვიდრებას. მწერალმა სცადა მხატვრულ ტილოზე გადაეტანა თავისი დაკვირვებები საზოგადოებრივ მოვლენებზე, ახალი, უტოპიურ-სოციალისტური იდეების განვითარება. რომანში ჩაქსოვილი სოციალური იდეალები უდავოდ უტოპისტური ხასიათისაა, მაგრამ ისინი მოწმობენ დიდი გერმანელი მწერლის მხრივ ადამიანების უანგარო სიყვარულს, მის შეუნელებელ ინტერესს კაცობრიობის მომავლისადმი.

ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდის ამ ნაწარმოებში გოეთე ცდილობს უფრო ღრმად

სიტყვა, ეს „სიბრძნის უკანასკნელი სიტყვა“ შთაგონებულია, უკეთ, მოშზადებულია ადამიანთა მთელი ისტორიის წინაპერიოდებით, თვითეული ქვეყნის განვითარებით და საქმის ვითარების ისე წარმოდგენ, რომ ამ გარემოებას კი არ ეკუთვნის მსაზღვრელი მნიშვნელობა ფაუსტის, თვით გოეთეს ასეთ დასკვნამდე მისვლაში, არამედ ამერიკელ ინქენერთა საქმიანობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს, როგორც ეს შტრიხს სურს დაამტკიცოს (188), გოეთეს შემოქმედების, „ფაუსტის“, პოობლემატიკის აშკარა გაყალბებას წარმოადგენს.

საფუძველი არ არის ეეძიოთ გოეთესთან ევროპისა და ამერიკის დაპირისპირება, პირველის წარმოდგენა, როგორც ძველი ქვეყნისა, და მეორისა კი, როგორც ახალი ქვეყნისა. მწერალს სწამს, რომ მისი დროის ევროპა დამდგარია სოციალურ-პოლიტიკური განვითარების გზაზე, რომ ირღვევა ძველი, ფეოდალურ-საზოგადოებრივი წყობის საფუძველი და იბადება ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა. მას ღრმად სჯერა, რომ ამ ახალ საზოგადოებრივ წყობას არ მოაკვს ადამიანისათვის აღთქმული ბედნიერება, მაგრამ სჯერა ისიც, რომ იგი წარმოადგენს პროგრესს საზოგადოების განვითარების ისტორიაში. ამ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამარჯვებაში მწერალი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის ცალკე ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეკონომიურ, პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ ფაქტორებს. ასევე ევროპის ცალკე ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაზე იღებს მწერალი კურსს, როცა აყენებს თავის სოციალურ პროგნოზებს, გამოდის რა იმ გარემოებიდან, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება არ წყვეტს ძირითად სოციალურ საკითხებს. საქმის ვითარების ისე დახატვა, რომ გოეთეს ამ თავისი სოციალური პროგნოზების დასახვისას, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ორგანიზაციის პროექტების წამოყენებისას სპირდებოდა კურსის აღება ამერიკაზე, უგულვებელყოფს არა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ გოეთეს შემოქმედებასა და მოღვაწეობაში ასეთ ვითარებას ადგილი არ აქვს, არამედ იმასაც, რომ ამ ახალი სოციალური პროექტების სამშობლოს სწორედ XIX საუკუნის პირველი ათეული წლების ევროპა წარმოადგენდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ საუკუნის მომდევნო ათეული წლების ევროპაზე, როცა ეს უტოპისტურ-სოციალისტური იდეები ადგილს უთმობს მეცნიერული სოციალიზმის იდეებს. გოეთე, მართალია, არ მოსწრებია იმ დიდ რევოლუციას ადამიანის აზროვნების დარგში, რომელიც მეცნიერული სოციალიზმის წარმოშობაში გამოიხატა, მაგრამ იგი იყო თანამედროვე დიდი უტოპისტ სოციალისტებისა, რომელთა იდეების თავისებურ გამოძახილს უდავოდ ვხვდებით მის შემოქმედებაში.

და ფართოდ დააყენოს და გააანალიზოს ის მწვავე სოციალური საკითხები, რომლებიც ბურჟუაზიული ურთიერთობის დადგინების ეპოქაში ისმება. ეს არ ნიშნავს, რომ მას ამ საკითხთა გაგებაში შეაქვს რაიმე არსებითი ხასიათის კორექტივი იმასთან შედარებით, რასაც იგი ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში აყენებდა. როგორც რევოლუციის ეპოქაში, ისე ახლაც მწერალს მიაჩნია, რომ მწვავე სოციალური საკითხების გადაწყვეტაში მთავარი როლი ეკუთვნის თვით ადამიანს, მის აქტიურსა და შეგნებულ მონაწილეობას ისტორიულ პროცესებში, ადამიანს, განურჩეველად მისი სოციალური მდგომარეობისა, ადამიანს, რომელიც თავისუფალია სოციალური ჩაგვრის ხუნდებისაგან.

ადამიანთა შორის დამოკიდებულება როგორც რევოლუციის ეპოქაში, ისე ახლაც, მწერალს წარმოდგენილი აქვს როგორც დამოკიდებულება, დამყარებული ურთიერთისადმი თავაზიანობასა, დათმობასა და პატივისცემაზე. მაგრამ თავისი შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში მწერალი ერთობ მკვეთრად აყენებს საკითხს ადამიანის აქტივობის, მისი საზოგადოებრივად სასარგებლო, პროდუქტიული მოქმედების შესახებ. რევოლუციის ეპოქაში დაწერილ ნაწარმოებებში გოეთე მეტწილად იფარგლება ამგვარი საზოგადოებრივი იდეალების მხოლოდ პროპაგანდით, მაშინ, როდესაც „ვილჰელმ მაისტერის“ მეორე ნაწილში ეს პროპაგანდა ამ იდეალების პრაქტიკულად განხორციელებისათვის მოღვაწეობას უკავშირდება. ამ შემთხვევაში მწერალი არ იფარგლება მხოლოდ იმით, რაც სურვილების სფეროს ეკუთვნის, არამედ გვიჩვენებს საზოგადოებას, ადამიანთა შრომით ასოციაციას, სადაც განხორციელებულია ის სოციალური პროექტები, რომელთაც იგი აქამდე აყენებდა, სადაც ყველა მოქმედებს და შრომობს სრულიად ძალდაუტანებლად და შეგნებულად მთელი საზოგადოებისათვის, სადაც პირადი საერთოსადმია დაქვემდებარებული. აღსანიშნავია, რომ გოეთეს ამ ნაწარმოებს მსჰვალავს კოლექტივიზმისა და სოლიდარობის იდეა, რაც მწერლის აქამდელ ნაწარმოებებშიაც ჩანდა, მაგრამ არა ასეთი სიძლიერით.

თუ როგორ ესახებოდა გოეთეს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის გზები, კაცობრიობის მომავალი, ამის შესახებ ჩვენი ძიება შეგვიძლია დავასრულოთ „ფაუსტის“ II ნაწილის ანალიზით. ეს ნაწარმოები წარმოადგენს გოეთეს ცხოვრების გზის შეჯამებას, გვირგვინს მთელი მისი შემოქმედებისას. წინამდებარე შრომაში დასმული პრობლემის განასერში უკვე განვიხილეთ „ფაუსტის“ პირველი ნაწილის პრობლემატიკა, ვუჩვენეთ, რომ ეს ნაწარმოები

წარმოადგენს მონუმენტურ ძეგლს, გრანდიოზულ მხატვრულ ტილოს იმ ეპოქისა, როცა იწყება ბრძოლა ფეოდალური წყობილების ბაზისის დანგრევისა და ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისათვის. ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ის ცხარე ბრძოლა, რომელსაც უმართავს ფაუსტი სქოლასტიკურ-მეტაფიზიკურ განათლებას, წარმოადგენდა იმ ბრძოლის გამოხატულებას, რომელიც წარმოებდა ძველსა და ახალ სოციალურ სისტემას შორის.

საკითხი, რომელსაც აყენებს ფაუსტი ტრაგედიის პირველ ნაწილში, არ არის ვიწრო სამეცნიერო საკითხი, არამედ ღრმად საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხია, რამდენადაც იგი იმას ეხება, თუ როგორია და როგორი უნდა იყოს ადამიანისა და საზოგადოების დამოკიდებულება. ტრაგედიის პირველი ნაწილი გვემოწმება, რომ მწერალი მკვეთრად აკრიტიკებს არსებული სოციალური წყობის საფუძვლებს, აყენებს ადამიანის ყოველმხრივი განვითარების იდეას. ამ კარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წინამდებარე შრომაში დასმული პრობლემის გადასაჭრელად. თითქოს სათუო არ უნდა იყოს, რომ ძირითადი სოციალური საკითხების გაგებაში ფეოდალური მსოფლმხედველობის საფუძველშივე უარმყოფელი მწერალი ამ საკითხთა რევოლუციურ გაგებას უახლოვდება.

მაგრამ „ფაუსტის“ ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ნაწარმოებს არა თუ რაიმე დისონანსი შეაქვს სოციალური საკითხების იმ გაგებაში, რომელსაც იმუშავებს გოეთე ბურჟუაზიულ რევოლუციის ეპოქაში, არამედ წარმოადგენს მის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას, რომ ამიტომ „ფაუსტის“ პრობლემატიკის გაგებაშიაც შეუძლებელია დანახულ იქნას ბურჟუაზიული რევოლუციის მიმღები მწერალი. როგორც რევოლუციის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში, ისე „ფაუსტის“ II ნაწილშიაც იგრძნობა ბურჟუაზიული რევოლუციისადმი მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება, მისი ზომიერ-შემარიგებლური მისწრაფებები, რაც ცხადია, არ იძლევა საფუძველს დავაკავშიროთ გოეთე ფეოდალურ რეაქციასთან.

იგივე ითქმის ბურჟუაზიული ურთიერთობისადმი გოეთეს დამოკიდებულების შესახებ. როგორც აღინიშნა, გოეთეს კრიტიკული გამოსვლა ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ მნიშვნელოვნად პირობადებულია იმის შეგნებით, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრება, მართალია, ისტორიული პროგრესის განხორციელებას წარმოადგენს, მაგრამ იგი არ წყვეტს იმ დიდ

სოციალურ საკითხებს, რომლებსაც აყენებდა საუკუნეთა მანძილზე მშრომელი ხალხი. საკითხის ამგვარი გაგება მთელი სიცხადით ჩანს „ფაუსტის“ II ნაწილში.

ამ ნაწარმოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გოეთეს მსოფლმხედველობრივი განვითარების, მისი შემოქმედებითი ევოლუციის საბოლოო სურათის დასადგენად. მასში ჩანს მთელი სისრულით გოეთეს როგორც ძლიერი, ჰუმანიურ-დემოკრატიული, ისე ბიურგერულ-შემარიგებლური მიდრეკილებები. იგი გვიჩვენებს თუ რა ცვლილებები მომხდარა გოეთეს სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებში XVIII საუკუნის უკანასკნელსა და XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში, როგორ აფასებს მწერალი ახლა ადამიანისა და საზოგადოების დამოკიდებულებას, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის როგორ პროგრამას აყენებს. ფაუსტის ტრაგედიის II ნაწილში ჩანს მწერალი, რომელიც აღრმავებს ბურჟუაზიული რევოლუციის იმ გაგებას, რომელიც მან შეიმუშავა რევოლუციური მოძრაობის უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშ, რომელიც იღებს და ანვითარებს იმ იდეებს, რომლებსაც რევოლუცია აყენებდა, მაგრამ უარყოფს რევოლუციონერთა მიერ გამოყენებულ ბრძოლის მეთოდებს. დიდი ჰუმანისტის, ხალხის უანგარო მოამაგის გვერდით „ფაუსტის“ II ნაწილში ვხედავთ მწერალს, რომელსაც ვერ დაუძლევია გერმანიის ბიურგერის შეზღუდულობა, არსებულ სოციალურ ყოფასთან შერიგების განწყობილებები. ბუნებრივია ამიტომ იდეური კავშირის არსებობა ამ ტრაგედიასა და გოეთეს იმ ნაწარმოებებს შორის, რომელთა თემასაც საფრანგეთის რევოლუცია წარმოადგენს.

„ფაუსტის“ II ნაწილზე მუშაობისას გოეთე საჭიროდ თვლის შეიტანოს ცვლილება ნაწარმოების იდეურ ჩანაფიქრსა და მის მხატვრულ შესრულებაში, ასევე, ცვლილება თვით ცენტრალური გმირის ხასიათის გაგებაში, რადგან ამას მოითხოვდა მისგან გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურობა, ის ფაქტორები, რომლებმაც ბურჟუაზიული რევოლუციისადმი მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება განსაზღვრა. თვითონ გოეთეც მიუთითებს, რომ მის წინაშე იდგა აუცილებლობა შეეტანა კორექტივი ფაუსტის ხასიათის გაშუქებაში, მიაჩნდა რა, რომ ტრაგედიის პირველი ნაწილი ატარებს სუბიექტურობის დაღს, ინკომენზურაბლური ნაწარმოებია[1]. ცხადია, იმის თქმა შეუძლებელია, რომ ტრაგედიის პირველი ნაწილისათვის გოეთეს გამოაქვს სასიკვდილო

---

[1] Eckermann, II, 117.

განაჩენი, რომ იგი თვითონ ძირეულად თიშავს ერთიმეორისაგან ტრაგედიის ნაწილებს. ამგვარი დაშვება ეწინააღმდეგება თვით გოეთეს მიერ მოცემულ შეფასებას „ფაუსტისას", როგორც მთლიანი ნაწარმოებისას, იმის აღნიშვნას, რომ ტრაგედიის II ნაწილზე მუშაობისას იგი იმ გეგმას ანხორციელებდა, რომელიც 50 წლის წინათ ჰქონდა მოფიქრებული.

ცვლილებები, რომელთა შეტანა მიზნად დაისახა მწერალმა „ფაუსტის" პრობლემის გაშუქებაში, ისტორიულად განპირობებული მოვლენაა, შესაბამებული გოეთეს შემოქმედებითი განვითარების მაგისტრალურ ხაზთან. ტრაგედიის ორივე ნაწილის იდეური გამთლიანების მიზნით გოეთე უმატებს ნაწარმოების პირველ ნაწილს, პროლოგს ზეცაში, სადაც იმართება პაექრობა ღმერთსა და მეფისტოფელს შორის ადამიანების, კერძოდ, ფაუსტის შესახებ, პაექრობა, რომელიც ბოლოსდაბოლოს მათ შორის ნიძლავის დადებით მთავრდება. ეს ნიძლავი შეეხება ფაუსტს, მისი განვითარების პერსპექტივას, იმას, თუ თავისი მოღვაწეობის რა გზას აირჩევს იგი. ამგვარი მხატვრული ხერხის გამოყენების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ გ ა მ ა რ თ ლ დ ე ს კონფლიქტის ის გადაწყვეტა, როგორსაც ვხედავთ ტრაგედიის II ნაწილში და არა ის, რისი პერსპექტივაც ისახება ტრაგედიის პირველ ნაწილში.

როგორც გამორკვეული გვქონდა, ფაუსტი ტრაგედიის პირველ ნაწილში გამოდის არსებული სოციალური წყობის და მისი დამცველი იდეოლოგიის ქედუდრეკ, უკომპრომისო მოწინააღმდეგედ. დრამის სიუჟეტის ამგვარი განვითარების, დახავსებული ინსტიტუტების წინააღმდეგ ფაუსტის გაბედული ბრძოლის ბუნებრივი შედეგი უნდა ყოფილიყო მისი დადგომა ბწყობრი რევოლუციური მსოფლმხედველობის ნიადაგზე. შეცვლილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, საფრანგეთის რევოლუციისადმი პირისპირ წამდგარ მწერალს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება უნდა წარიმართოს იმ სპეტაკი იდეალების განხორციელების გზით, რომელთაც ქადაგებენ ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებული მისი გმირები, მიაჩნია, რომ ადამიანი უნდა განთავისუფლდეს როგორც სოციალური, ისე იდეოლოგიური ბორკილებისაგან, რომ ქვეყნად უნდა განხორციელდეს სამართლიანობა და თავისუფლება, მაგრამ ახალ ვითარებაში მწერალი თვლის, რომ ამ პროგრამის განხორციელება, პროგრამისა, რომელსაც იგი სულ უფრო და უფრო აღრმავებს და ანვითარებს, უნდა მოხდეს ადამიანისა და საზოგადოების არა დაპირისპირების, არა ამხედრებისა და ბრძოლის გზით, არამედ ადა-

მიანთა შორის სოლიდარობისა და გონიერული თანამშრომლობის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ყველას ჩაბმის გზით.

ამიტომაა, რომ მწერალი „ფაუსტში“ ახლა ირჩევს კონფლიქტის გადაწყვეტის სხვა გზას, იმის საწინააღმდეგოს, რისი შესაძლებლობაც ისახებოდა ტრაგედიის პირველ ნაწილში. ფაუსტმა ამ ახალი გეგმის მიხედვით უნდა განიცადოს განწმენდისა და ამაღლების სამი ფაზა — გრეთჰენის ტრაგედია, კლასიკური ეალპურგიის ღამე და მფლობელის ტრაგედია, ვიდრე იგი ნაწარმოებში სიბრძნით დამძიმებული ასი წლის მოხუცის სახით მოგვევლინებოდეს.

ფაუსტის ამგვარი ევოლუციის შესაძლებლობა მოცემულია ნაწარმოებისათვის წამძღვარებულ პროლოგში, მეფისტოფელისა და ღმერთის დიალოგში. ღმერთი ცნობად იღებს მეფისტოფელის დებულებას, რომ ფაუსტი არ არის ღმერთის მონა, რომ ის მას აბნეულად ემსახურება და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ იგი, ფაუსტი, გახდება მისი თვალხილული მონა, საბოლოოდ მონახავს „სწორ გზას“. ექვი არ არის, ეს „სწორი გზა“ უნდა ნიშნავდეს ფაუსტის მისვლას ღმერთის იდეასთან, თავის მებრძოლ-მატერიალისტურ შეხედულებებზე საბოლოოდ ხელის აღებას, ხელის აღებას იმაზე, რაც მას თავისი დროის დიდ მოაზროვნედ აქცევს. ესაა ძირითადი აზრი და თემა ღმერთსა და მეფისტოფელს შორის გამართული დავისა, სახელდობრ, საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ფაუსტი და რა უნდა გახდეს იგი მომავალში.

როგორც მეფისტოფელი, ისე ღმერთი ფიქრობს, რომ ფაუსტი არ ჰგავს ჩვეულებრივ ადამიანებს, განსხვავდება მათგან თავისი მაღალი მისწრაფებითა და ძლიერი ნებისყოფით. ორივენი ხედავენ, რომ ფაუსტი არის არსებულით უკმაყოფილო, არსებულის წინააღმდეგ ამხედრებული გმირი, რომელსაც მაღალი იდეალები იტაცებს. ფაუსტის ამ მაღალ პათოსსა და მისწრაფებებში ნწერალი იმთავითვე ავლენს იმ თვისებებს, რაც ამ გმირს ამაღლებს ჩვეულებრიობის დონედან, არსებულ სოციალურ ყოფას უპირისპირებს. ფაუსტის ამ თვისებებს გრძნობს როგორც მეფისტოფელი, ისე პროლოგის ღმერთი, ორივე ისწრაფვის გაათავისუფლოს იგი ამ თვისებებისაგან, პირველი, გმირის ტრივიალურ, ბანალურ სინამდვილემდე ჩამოყვანით, მეორე — მისი რელიგიური გაწმენდით. „მე მას სიცხადეში შევიყვანო“, ეუბნება ღმერთი ფაუსტის შესახებ მეფისტოფელს.

რომ მწერალს ფაუსტის განვითარება წაეყვანა იმ გზით, რომლითაც მის წაყვანას ცდილობდა მეფისტოფელი, მაშინ იგი მას უნდა ექცია ჩვეულებრივ საქმოსნად, შეზღუდულ ბიურგერად, რომლისთვისაც არ იქნებოდა დამახასიათებელი არა თუ ადრინ-

დელი ძლიერი სამოქალაქო-ფილოსოფიური პათოსი, მგზნებარე პროტესტი სოციალური ცხოვრების სიდუხჭირის წინააღმდეგ, არამედ, ღრმა ოპტიმიზმიც. ასევე, მწერალს ფაუსტის განვითარება რომ იმ გზით წაეყვანა, რასაც სასურველად აღიარებდა პროლოგის ღმერთი, მაშინ ფაუსტი მას უნდა ექცია რელიგიური ეკზალტაციის მსხვერპლად, ორტოდოქსური ქრისტიანობის მიმდევრად.

რა გზით მიყავს გოეთეს თავისი გმირი, რა პოზიციას აჭერინებს იგი მას, ამ საკითხს ენიჭება ძირითადი მნიშვნელობა ტრაგედიის მთელი პრობლემატიკის გასაგებად. ერთი შეხედვით, ფაუსტს თითქოს რომელიმე ამ გზათაგანი უნდა აერჩია, ნებით თუ უნებლიეთ უნდა გაემართლებინა ან მეფისტოფელის რწმენა— რომ იგი არის ის, რაც არის („du bist am Ende, was du bist"), ანდა ღმერთის წინასწარმეტყველება, რომ, თუ დოქტორი მას დღეს აბნეულად ემსახურება („dient auf verworrene Weise"), შემდეგში იგი მისი თვალახელილი მონა გახდება. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, ნამდვილად კი ზეცაში პროლოგიდან არ ჩანს, თუ რა გზით წავა ფაუსტი.

პროლოგში გამოყვანილი ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ მათი იმედი გამართლდება, ფაუსტი მათი გზით წავა, ორივეს რწმენა გარკვეულ წანამძღვრებზეა აგებული, მაგრამ არავითარი საფუძველი არ გვაქვს მივიჩნიოთ, რომ გამართლდება ერთის ან მეორის წინასწარმეტყველება, რადგან პროლოგში ფაუსტის პოზიციას ვერ ვეცნობით.

საკითხს იმის შესახებ, თუ რა გზით წავა ფაუსტი, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება წინამდებარე შრომაში დასმული პრობლემის გადასაწყვეტად, იმის გასარკვევად, თუ როგორ ესახება მწერალს ადამიანის როლი საზოგადოებაში, როგორია მისი შეხედულება თვით ადამიანთა შორის ურთიერთობაზე, საზოგადოების განვითარების პერსპექტივაზე. ტრაგედიის პირველ ნაწილშივე ცხადყოფს მწერალი, როგორც ეს აღნიშნული გვქონდა, რომ ფაუსტი არ მიდის პროლოგში მოხაზული გზით, არამედ მიდის თავისი საკუთარი, ფაუსტური გზით, რომელიც ამ გმირს არსებული სოციალური ყოფისა და მისი ინსტიტუტების წინააღმდეგ მკვეთრად ამხედრებულ ადამიანად აქცევს. გზა ფაუსტისა ტრაგედიის პირველ ნაწილში — ესაა მაღალი ჰუმანური იდეალებით გამსჭვალული მოაზროვნის გაბედული ბრძოლის გზა იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც იცავდა ჩაგვრის ფეოდალურ სისტემას, გზა განმანათლებელ მატერიალისტისა.

მაგრამ როგორია ვითარება ტრაგედიის მეორე ნაწილში, ინარჩუნებს თუ არა ფაუსტი აქაც იმ მებრძოლ, სამოქალაქო და ფილოსოფიურ პათოსს, რომელიც მას ტრაგედიის პირველ ნაწილში ახასიათებდა? რა გზით მიყავს მწერალს თავისი გმირი ტრაგედიის მეორე ნაწილში? რიგი მკვლევარი ფიქრობს, რომ გოეთეს თავისი გმირი ტრაგედიის მეორე ნაწილში მიყავს პირველი ნაწილისაგან პრინციპულად განსხვავებული გზით. ამ აზრის დამცველნი, ბუნებრივია, ერთიმეორეს უპირისპირებენ ტრაგედიის ნაწილებს, უარყოფენ მათ შორის მთლიანობის არსებობას. ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ გოეთემ თავისი გმირი იმ გზით წაიყვანა, რასაც პროლოგში ღმერთი გვანიშნებდა.

წინამდებარე შრომაში გამორკვეულ იქნა უსაფუძვლობა როგორც ერთი, ისე მეორე თვალსაზრისის დამცველებისა. აღნიშნულ იქნა, რომ გოეთეს „ფაუსტი" წარმოადგენს მთლიან ნაწარმოებს, რომ ორივე ნაწილს ერთი მაგისტრალური ხაზი გასდევს. მაგრამ იქ არ ყოფილა სრულად ნაჩვენები, თუ რაში მდგომარეობს ეს ერთიანობა, რადგან განხილული არ ყოფილა ტრაგედიის მეორე ნაწილი. ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ფაუსტი ტრაგედიის პირველ ნაწილში არ მიდის არც იმ გზით, რომელსაც ღმერთი წინასწარმეტყველებდა და არც იმ გზით, რომელსაც მეფისტოფელი წინასწარმეტყველებდა, რომ იგი მიდის თავისი გზით. ეს კი იმდროინდელი სოციალური ყოფის წინააღმდეგ ადამიანის ამხედრების გზა იყო. მაგრამ ეს, ცხადია, კიდევ არ ნიშნავს, რომ ფაუსტი ბოლომდე ამ გზით წავიდოდა, რადგან მას ჯერ კიდევ განვითარების სხვადასხვა საფეხური უნდა გაევლო.

მოსალოდნელი იყო, რომ გოეთეს შეეტანა გარკვეული ცვლილებები ფაუსტის ხასიათის გაგებაში, რადგან ამას ხელს უწყობდა შექმნილი სოციალური ვითარება, გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურება. ეპოქა, როცა ტრაგედიის პირველი ნაწილის ფაუსტი იქმნებოდა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმ ეპოქისაგან, როცა შეიქმნა ფაუსტი ტრაგედიის მეორე ნაწილისა. ეს იყო ეპოქა, როცა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარება მხოლოდ იწყებოდა იმ დროს, როცა მეორე ნაწილი ტრაგედიისა იწერება ამ ურთიერთობის განმტკიცების ეპოქაში.

იმ დროს, როცა ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ დასმული საკითხები გერმანიაში პრაქტიკული ცხოვრების სფეროდან წარმოსახვის სფეროში გადააქვთ, როცა იდეოლოგიაში გზას იკაფავს ანტირეალისტური, მისტიკურ-რომანტიკული მიმართულება, შესაძლებელი იყო, რომ გოეთეს ფაუსტსაც განეცადა რადი-

კალური ცვლილება, მის მსოფლმხედველობაში მკვეთრად გაჩენილებულიყო ანტირეალისტური, რომანტიკულ-მისტიკური განწყობილებები. შესაძლო იყო, რომ ფაუსტს ხელი აეღო აგრეთვე მის მგზნებარე სამოქალაქო პათოსზე, მოწინავე ჰუმანისტურ ხალხურ იდეალებზე და თავისი მეტამორფოზა არსებულ სოციალურ ყოფასთან, ტრადიციასა და ცრურწმენებთან საბოლოო შეთანხმებით დაემთავრებინა.

იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ ტრაგედიის მეორე ნაწილის ფაუსტში გარკვეულად თავი იჩინა ზომიერ-შემარიგებლურმა განწყობილებებმა, რომლებიც დამახასიათებელია ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედებისათვის. ფაქტია, რომ ფაუსტი ტრაგედიის მეორე ნაწილში არ გამოდის რევოლუციების, ფეოდალური წყობის დანგრევის მომხრედ. ადრინდელი შეუპოვარი ბუნტარის მაგიერ აქ ვხედავთ იმპერატორის სასახლის კარზე მცხოვრებ ფაუსტს, რომელიც სამსახურსაც კი უწევს ტახტს აჯანყების ჩაქრობაში.

ეს ასეა, ფაუსტი ტრაგედიის მეორე ნაწილში ატარებს დაღს იმ შეზღუდულობისა, რომელიც დამახასიათებელია საფრანგეთის რევოლუციის ეპოქის გოეთეს შემოქმედებისათვის; მაგრამ ისე, როგორც ამ უკანასკნელის განხილვის შესახებ ითქვა, ამ შემთხვევაშიაც არა ეს ბიურგერულ-შემარიგებლური მომენტები წარმოადგენს ძირითადს ფაუსტის ხასიათში, არამედ მისი მაღალი ჰუმანიურ-დემოკრატიული იდეალები. ფაუსტი არ ხდება მსხვერპლი ამ შეზღუდულობისა, მასში ადგილი არ აქვს რაიმე რადიკალური ხასიათის ცვლილებებს მყოფობისა და ადამიანთა ისტორიის ძირეული საკითხების გაგებაში.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ფაუსტი გნოსეოლოგიის დარგში არა თუ ახდენს თავისი აქამდელი მატერიალისტური თვალსაზრისის გადასინჯვას, არამედ კიდევ უფრო მკვეთრად და გადაჭრით იცავს მას. აქ ჩანს ღრმა იდეური კავშირი, მსოფლმხედველობრივი ერთიანობა ტრაგედიის პირველსა და მეორე ნაწილს შორის, სახელდობრ, მთავარი გმირის მიერ თავის ფილოსოფიურ კრედოთ ტრაგედიის ორივე ნაწილში მატერიალიზმის აღიარება. ნაწარმოების პირველ ნაწილში ფაუსტი გამოდის იდეალიზმისა და მისტიკის სასტიკ მოწინააღმდეგედ, მიდის იმ დასკვნამდე, რომ მატერიალურ სამყაროს არ ჰყავს შემოქმედი, პირველი მიზეზი, რომ პირველადი არის თვით მატერიალური სამყარო. ეს ჯანსაღი რეალისტური ხაზი მსჭვალავს ნაწარმოების პირველ ნაწილს, რომელშიაც საგნები და მოვლენები, ადამიანის

ცხოვრებასთან რომ არიან დაკავშირებული, განხილული არიან ჯანსაღი მატერიალისტური თვალთახედვით.

ტრაგედიის მეორე ნაწილში ეს ჯანსაღი რეალისტური ხაზი კი არ სუსტდება, არამედ უფრო ძლიერდება. ამას ის გარემოებაც ცხადყოფს, რომ მწერალი ახლა ფაუსტის ადრინდელ მისწრაფებებში ხედავს სუბიექტურობისა და ბუნდოვანობის მომენტებსაც და მიზნად ისახავს მისგან ნაწარმოების გმირის განთავისუფლებას. იმისი უარყოფა შეუძლებელია, რომ ამგვარი ოპერაცია, განთავისუფლება ამგვარი მომენტებისაგან, ფაუსტს გარკვეულად აახლოვებდა ბიურგერულ-მეშჩანურ ყოფასთან, მაგრამ არა ეს გარემოებაა ძირითადი მნიშვნელობის მოვლენა ფაუსტის ხასიათში, არამედ ის გარემოება, რომ იგი ცხოვრებასთან მაინც უფრო ახლოს მიდის, პრაქტიკული სინამდვილის ნიადაგზე უფრო გაბედულად დგება. ახლა ფაუსტი, დიდი გამოცდილებით დამძიმებული, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ადამიანი ცხოვრების ძირითადი კითხვების გადასაწყვეტად პასუხს თვით ცხოვრებაში უნდა ეძებდეს, ამ ქვეყანას უნდა მიაპყრობდეს იგი თავის გულისყურს; ისინი კი, ვინც იდეალს ღრუბლებს იქით ეძებს, იგულისხმება, ვინც მეტაფიზიკის ტყვეობაში იმყოფება, ისინი, ფაუსტის აზრით, არიან სულელები. ადამიანი აქ უნდა დარჩეს, აქ უნდა მიმოიხედოს, რადგან მოქმედი ადამიანისათვის ეს ქვეყანა არ არის მდუმარე.

„Tor, wer dorthin die Augen blinzend richtet,
Sich über Wolken seines Gleichen dichtet!
Er stehe fest und sehe hier sich um!
Dem Tüchtigen ist diese Welt nicht stumm.
Was braucht er in die Ewigkeit zu schweifen!
Was er erkennt, lässt sich ergreifen".

ამ სიტყვებით გამოაქვს მწერალს მრისხანე განაჩენი იდეალისტური ფილოსოფიისათვის, რომანტიკული მისტიციზმისათვის, მიდის რა იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი უნდა დადგეს სინამდვილის ნიადაგზე, უკუაგდოს უსაგნო მეოცნებობა. ფაუსტის ამ შეხედულებებში გარკვეულად მოისმის კრიტიკა მისი ადრინდელი მისწრაფებებისაც, რომლებიც მას ახლა გადაჭარბებულად უნდა მიაჩნდეს.

ეს გარემოება ცხადყოფს, თუ როგორ წყვეტს მწერალი ტრაგედიის ძირითად პრობლემას, როგორ წყვეტს იგი პაქტს ღმერთსა და მეფისტოფელს შორის, აგრეთვე ფაუსტსა და მეფისტოფელს შორის. ირკვევა, რომ მეფისტოფელი, როგორც ნეგა-

ციის აბსოლუტური პრინციპი, ორივე შემთხვევაში დამარცხებული გამოდის. იგი ვერ იგებს ნიძლავს ღმერთთან, რადგან ვერ ახორციელებს თავის ძირითად ამოცანას, ვერ ჰკლავს ფაუსტში მაღალ სულიერ მისწრაფებებს და ვერ აქცევს მას ყველაფრით კმაყოფილ და შეზღუდულ ფილისტერად, ვერ უმტკიცებს ფაუსტს, რომ მას, როგორც ადამიანს, არ შეუძლია გასცდეს იმ შეზღუდულობას, რაც, მეფისტოფელის აზრით, საერთოდ დამახასიათებელია ადამიანებისათვის. ამავე მიზეზის გამო იგი აგებს ნიძლავს ფაუსტთანაც. მართალია, ფაუსტი ბოლოსდაბოლოს წარმოსთქვამს იმ სიტყვებს, რომლებიც მას ეშმაკთან დადებული ხელშეკრულების თანახმად არ უნდა წარმოეთქვა, ეტყვის წამს — „შეჩერდი, შენ ასე მშვენიერი ხარ!“, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ იგი გახდა ის, რასაც მეფისტოფელი ესწრაფოდა, ხელი აიღო თავის მაღალ ჰუმანიურ მისწრაფებაზე, წუთიერითა და წარმავალით შემოიფარგლა.

გამოთქვამდა რა იმთავითვე ღრმა რწმენას, რომ არასდროს არ ეტყოდა წამს — შეჩერდი, შენ ასე მშვენიერი ხარო, ფაუსტი თავისი ძალებისა და მონაცემების შეფასებიდან გამოდიოდა, ღრმად სწამდა, რომ მაღალ მისწრაფებებზე, მუდმივ წინსვლასა და პოზიტურ საქმიანობაზე არასდროს ხელს არ აიღებდა. თავის მხრივ მეფისტოფელიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ფაუსტი წარმოთქვამდა აკრძალულ სიტყვებს, დაკმაყოფილდებოდა წუთიერითა და წარმავალით, ხელს აიღებდა თავის ტიტანურ მისწრაფებებზე, ბოლოსდაბოლოს დარწმუნდებოდა, რომ ამაოა ადამიანის ცდა გასცდეს იმ შეზღუდულობასა და უბადრუკობას, რაც მისთვის დაბადებითვე დამახასიათებელია.

მაგრამ წარმოსთქვა რა ის სიტყვები, რომლებიც მას პაქტის თანახმად არ უნდა წარმოეთქვა, ფაუსტმა მხოლოდ ფორმალურად წააგო ნიძლავი. მეფისტოფელს მისი სული არ დარჩენია, რადგან არსებითად ფაუსტს ნიძლავი არ წაუგია. მას არა თუ არ აუღია ხელი თავის მაღალ საკაცობრიო იდეალებზე, არამედ პრაქტიკულად შეუდგა მათს განხორციელებას, ნათლად წარმოიდგინა მომავლის საზოგადოება, თავისუფალი ადამიანების საზოგადოება. ფაუსტი არ წასულა იმ გზით, რომლისაკენაც მას მეფისტოფელი ეწეოდა, ყველაფრის უარყოფის გზით. იგი დარჩა ბოლომდე ქმედითი, უაღრესად ენერგიული და კონსტრუქტული ნატურის ადამიანი. ამდენად გამართლდა ის, რასაც პროლოგის ღმერთი ფაუსტის შესახებ ეუბნებოდა მეფისტოფელს, რომ ეს უკანასკნელი ვერ შეძლებს ფაუსტის წაყვანას თავისი გზით, იმის დამტკიცებას,

რომ ეს დოქტორი არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენს სხვა ადამიანებს შორის. მაგრამ პროლოგის ღმერთის პროგნოზი ფაუსტის მიმართ საერთოდ როდი გამართლდა. როგორ აფასებდა მეუფე ფაუსტს? როგორც მეფისტოფელი, ისე ღმერთი ერთი აზრის იყვნენ იმის შესახებ, რომ ფაუსტი თავისი სულიერი მიდრეკილებებით განსხვავდება დანარჩენი ადამიანებისაგან. ღმერთი არ უარყოფს საფუძველში მეფისტოფელის დებულებას, რომ სამყაროს „პატარა მეუფე" — ადამიანი საცოდავი რამ არის, ოღონდაც იგი ამ საერთო მოვლენაში გამონაკლისს ხედავს, სახელდობრ, ფაუსტს. მეფისტოფელიც არ უარყოფს, რომ ფაუსტი განსხვავდება სხვა ადამიანებისაგან, მაგრამ ეს განსხვავება არსებითად სხვადასხვაგვარად ესმით ღმერთსა და მეფისტოფელს. მეფისტოფელის გაგებით, ფაუსტის ტიტანიზმი, და, მაშასადამე, განსხვავება სხვა ადამიანებისაგან, იმაში მდგომარეობს, რომ ის ერევა ღმერთის საქმიანობაში, რომ იგი ღმერთის წინააღმდეგ ამხედრებულია. ღმერთი კი საფუძველშიეე უარყოფს ფაუსტის ტიტანიზმის, სხვებისაგან მისი განსხვავების ამგვარ შეფასებას, აზრს იმის შესახებ, რომ ფაუსტი ღმერთის წინააღმდეგ მხედრდება. ღმერთს მიაჩნია, რომ ფაუსტი თავისი ბუნებით რელიგიური ნატურაა, ღმერთის მონაა. მისი განსხვავება დანარჩენი ადამიანებისაგან იმაში კი არ მდგომარეობს, რომ იგი თითქოს ანტირელიგიური ბუნების ადამიანი იყოს, არამედ იმაში, რომ ის ღმერთს აბნეულად ემსახურება. განვითარება ფაუსტისა, ღმერთის გაგებით, წარიმართება იქითკენ, რომ მას აეხილება თვალები, სიცხადეში შევა და ნაცვლად აბნეული მსახურისა იგი მისი შეგნებული და თვალახელილი მსახური გახდება. მეფისტოფელს შეუძლია, ფიქრობს ღმერთი, სამსახური გაუწიოს ღმერთს ფაუსტის გამცილებლად გახდომით, მუდამ სიფხიზლეში იყოლიოს ეს გმირი, აღკვეთოს მისი შემოქმედებითი ძალების მოდუნების შესაძლებლობა. ამიტომ ეკვრის მეუფე ნიძლავით მეფისტოფელს, დარწმუნებული იმაში, რომ ეს უკანასკნელი დააჩქარებს ფაუსტის გახდომას ღმერთის შეგნებულ და თვალახელილ მსახურად.

მაგრამ მართლდება კი ღმერთის ეს პროგნოზი, მიდის კი ფაუსტი იმ გზით, რომელსაც პროლოგის ღმერთი ხაზავს? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არა. იგი არ მიდის არც მეფისტოფელის და არც ღმერთის გზით, არამედ მიდის საკუთარი გზით. იგი იყო და დარჩა ბოლომდე მატერიალისტი, ანტირელიგიური ნატურის გმირი. ყველაფერი მოწმობს, რომ გოეთეს ამ ნაწარმო-

ების ძირითადი იდეური ხაზი მდგომარეობს ადამიანურისა და ღვთაებრივის ურთიერთისაგან გამიჯვნაში, როგორც ამას მართებულად მიუთითებს ჰ. მაიერი („In solchem Wirken aber hat sich der Mensch nach Goethes Plan eigentlich von Gott unabhängig gemacht") [1].

ტრაგედიის ძირითადი ხაზი არ ვითარდება იმ გზით, რომელიც პროლოგის ღმერთს აქვს მოხაზული, არამედ მისგან სრულიად განსხვავებული გზით, ტრაგედიის გმირის ხალხთან იდეური დაკავშირების, ბრძოლითა და შრომით თავისუფალ ადამიანთა საზოგადოების შენების გზით. როგორც ახალგაზრდობაში, ისე ღრმა სიბერეში ფაუსტს ხელი არ აუღია ამ თავის საბრძოლო პროგრამაზე, არ გადახრილა მატერიალისტური მსოფლმხედველობის ძირითადი საწყისებისაგან, არ ცდილა ეძია ხსნა რელიგიაში. ღრმად მოხუცებული, ამასთანავე დაბრმავებული, იგი კიდევ უფრო მკვეთრად იმიჯნება ყოველივე მისტიკურისაგან, იმისაგან, რაც აშორებს ადამიანის ყურადღებას ამ ქვეყანას. არ გამართლდა, ამდენად, ღმერთის წინასწარმეტყველება, რომ ფაუსტი ბოლოსდაბოლოს მისი თვალახელილი მსახური გახდებოდა; მართალი აღმოჩნდა მეფისტოფელი, რომელიც უმტკიცებდა მეუფეს, რომ იგი ფაუსტს საბოლოოდ დაკარგავს. ღმერთის მიერ გადადგმულ ნაბიჯს — მიეცა ფაუსტისათვის გამცილებლად ყველაფრის უარმყოფელი მეფისტოფელი, შედეგად მოჰყვა, როგორც ამას მართებულად აღნიშნავს იგივე ჰ. მაიერი, იმის სრულად საწინააღმდეგო, რასაც ღმერთი მოელოდა („Damit hat Gott dieser Tragödie einen Anstoß gegeben, der sich schließlich gegen ihn selbst wendet") [2].

ნაცვლად რელიგიური გარდაქმნისა, ფაუსტი კიდევ უფრო განმტკიცდა მატერიალისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზე. მისი უკანასკნელი სიტყვები გაისმის, როგორც საბრძოლო მოწოდება კაცობრიობის ბედნიერი მომავლის შექმნისათვის.

მართალია, გოეთე იძულებული ხდება გარკვეული ხარკი მიუზღოს ქრისტიანულ რელიგიას, გვიჩვენოს ფაუსტის სულის ზეატაცება ანგელოსების მიერ, მაგრამ ამ კათოლიკურ სიმბოლიკას არ აქვს ორგანული კავშირი დრამის მაგისტრალურ ხაზთან, არ წარმოადგენს ნაწარმოების მხატვრული ქსოვილის ორგანულ ნაწილს.

---

[1] Hans Meyer. Deutsche Literatur und Weltliteratur, Berlin, 1957, S. 44.

[2] ibid.

ამიტომ იმ საკითხის გადაწყვეტაში, თუ რა ხაზით მიდის ფაუსტის განვითარება, ამ რელიგიურ-სიმბოლიკურ სურათებს მნიშვნელობა არ ენიჭება, რადგან ნაწარმოები არსებითად მთავრდება იქ, სადაც აღწერილია მთავარი გმირის სიკვდილი.

ტრაგედიის მეორე ნაწილის ფაუსტის ფილოსოფიურ კრედოს უკავშირდება მისი სოციალურ-პოლიტიკური კრედო. ამ შემთხვევაში მწერალი ანვითარებს და აღრმავებს იმ სოციალურ შეხედულებებს, რომლებსაც საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში შექმნილ ნაწარმოებებში ანვითარებდა. ამგვარი გაღრმავების აუცილებლობა ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ იმ დროს, როცა „ფაუსტის“ მეორე ნაწილი იწერება, ევროპის ხალხთა ცხოვრებაში ადგილი აქვს დიდი მნიშვნელობის სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს. ნაწარმოების ცენტრალური გმირის ხასიათის საბოლოო ჩამოქნა ხდება იმ დროს, როცა ევროპაში მკვიდრდება ბურჟუაზიული ურთიერთობა, რასაც შედეგად მოყვა კლასობრივ ძალთა შორის ახალი მიმართების დამყარება, სოციალური წინააღმდეგობის გამწვავება, უმუშევრობა და პაუპერიზმი.

როგორც აღნიშნული გვქონდა, რომანში „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“ გოეთე ცდილობს უპასუხოს ცხოვრების მიერ დასმულ ამ მწვავე საკითხებს, მოგვცეს თავისი პროგრამა ამ საკითხების გადაწყვეტისა. ამავე პროგრამას ანვითარებს იგი „ფაუსტის“ მეორე ნაწილში.

როგორც საფრანგეთის რევოლუციისა და მის მომდევნო პერიოდში დაწერილ ნაწარმოებებში, ისე ფაუსტის II ნაწილში მწერალი შეხარის საწარმოო ძალების განვითარებას, მოწინავე ტექნიკის განვითარებას, ხედავს მასში საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესის წანამძღვარს. თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით და სამეცნიერო საქმიანობით იგი ხელს უწყობს ბუნების ძალთა შეცნობა-გამოყენებას, აღაგზნებს ადამიანებს ბუნების წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა გამოსტაცოს მას რაც შეიძლება მეტი ადამიანების საკეთილდღეოდ. ფაუსტის სახით ჩვენ ვეცნობით დიდი ნიჭისა და ნებისყოფის, შრომითი-საწარმოო ენთუზიაზმით გამსჭვალულ ადამიანს, რომელიც წინ მიუძღვის თავის ხალხს სტიქიონის წინააღმდეგ, ბუნების ძალთა დამორჩილებისათვის ბრძოლაში, რომელიც ორგანიზაციას უკეთებს ჭაობების ამოშრობის, არხების გაჭრის, ჯებირების გაკეთებისა და ზღვისათვის ტერიტორიის წართმევის საქმეს.

მაგრამ ფაუსტს შეგნებული აქვს ისიც, რომ ახალი სოციალური ურთიერთობის დამყარებას შედეგად მოყვა არა მხოლოდ

საწარმოო ცხოვრების პროგრესი, არამედ დიდი სოციალური უბედურებაც, სოციალური საკითხის გაძწვავება, მასების უკმაყოფილების ზრდა. ფაუსტი ხედავს, რომ ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობის განვითარებამ დაამკვიდრა სოციალური ჩაგვრის ახალი ფორმა, გზა გაუხსნა ექსპანსიის, ძარცვა-გლეჯისა და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის განწყობილებებს. თვით ფაუსტის თანამგზავრი მეფისტოფელი ნაწარმოებში გამოდის როგორც კაპიტალისტური ექსპანსიის განსახიერება. იგი დგას საზღვაო ფლოტის სათავეში და ეწევა მეკობრეობას გაშლილ ზღვებზე.

რა გამოსავალზე მიუთითებს ამ ახალ სოციალურ ვითარებაში „ფაუსტის" ავტორი? იმავე გამოსავალზე, რომელზედაც მითითებულია „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლებში". ამ ნაწარმოებშიაც განვითარებული სოციალური პროგრამა გულისხმობს კაპიტალისტური საზოგადოებისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ახალი ფორმის, ადამიანის შრომითი-საწარმოო გაერთიანების დაპირისპირებას. ეს იგივე პედაგოგიური პროვინციაა, რომლის იდეასაც მხატვრულად ხორცი შეასხა მწერალმა თავის უკანასკნელ დიდ რომანში — „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლებში".

ფაუსტი იწყებს ამგვარი საზოგადოების პრაქტიკულ შენებას კაპიტალისტური წყობილების პირობებში. იმპერატორის მიერ ნაბოძებ ტერიტორიას ის აწყობს მისი ამ გეგმის მიხედვით. ამ ტერიტორიას იგი მიიჩნევს ჩაგვრის სისტემისაგან დამოუკიდებელ, თავისუფალი ხალხით დასახლებულ თავისუფალ ტერიტორიად. ფაუსტი სათავეში უდგას ამ ხალხს არა როგორც მათი მჩაგვრელი ტირანი, არამედ როგორც მათი მოამაგე, მათი კეთილდღეობისათვის მებრძოლი. მის ტერიტორიაზე ადგილი არ აქვს ადამიანთა მიერ ადამიანის ჩაგვრას, ბრძოლებსა და მოუსვენრობას. აქ ადგილი არ აქვს ადამიანთა ინტერესების ურთიერთდაპირისპირებას, პიროვნული ინტერესების წინ წამოწევას, არამედ — პირადის საერთოსადმი, საზოგადოებრივისადმი დაქვემდებარებას. ეს არის თავისუფალ ადამიანთა თავისუფალი კავშირი, კომპაქტური საზოგადოებრივი ორგანიზმი, დამყარებული შეგნების, კოლექტივიზმის პრინციპზე.

ამ საზოგადოებაში განხორციელებულია ადამიანთა სანუკვარი ოცნება, შრომის გათავისუფლება. შრომა აქ პატივისა და დიდების შარავანდედითაა მოსილი. ამ საზოგადოების წევრები არავის არ ებრძვიან, ისინი ებრძვიან მხოლოდ ბუნებას, რათა ჩააყენონ იგი ადამიანის კეთილდღეობისათვის სამსახურში. აქ იღწვი-

ან არა მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობისათვის, არამედ მშვენიერებისათვის, ხელოვნებისათვის. ფაუსტი თავგამოდებით ცდილობს მისცეს თავის ტერიტორიას ლამაზი სახე, შეუქმნას მას წარმტაცი ხედი, არ ერიდება ამ მიზნისათვის ფილემონისა და ბავკიდეს ქოხის დანგრევასაც.

თავისთავად ცხადია, რომ „ფაუსტში" დახატული საზოგადოების სურათი პრინციპულად განსხვავდება იმ საზოგადოებისაგან, რომელიც იქმნებოდა გოეთეს თვალწინ. გენიალურად მიხვდა დიდებული მწერალი, რომ ფეოდალური წყობილების ერა ახალ ეპოქაში დამთავრებულია, მიხვდა აგრეთვე, რომ ისტორიის განვითარება არ შეჩერდება ბურჟუაზიული განვითარების საფეხურზედაც, რომ ამ ახალ საზოგადოებასაც არ გაუუმჯობესებია ადამიანთა მილიონების ცხოვრება, არ გაუთავისუფლებია ადამიანი. გოეთე მიხვდა, რომ მომავალის საზოგადოება იქნება თავისუფალი ადამიანების, გათავისუფლებული შრომის საზოგადოება. მწერლის მთელი სიმპათია ამ საზოგადოებისადმია, მასში ხედავს იგი სიბრძნის უკანასკნელი სიტყვის განხორციელებას.

ამ საზოგადოების პრაქტიკული შენების პროცესშია ჩაბმული ჰაღარა ფაუსტი, რომელიც ხედავს კონტურებს მომავლისა. იგი წარმოსახვით გადადის ამ მომავალ'ში, რომლის სურათები მისი გონების თვალწინ გაივლიან და ამ თავისი მიზნის განხორციელების წარმოდგენით დამტკბარი, იგი გაბედულად ეგებება სიკვდილს.

იმის თქმა შეუძლებელია, რომ დადებითი შემოქმედებითი მოღვაწეობის ფერხულში ჩაბმული ფაუსტი თავისუფალია შინაგანი წინააღმდეგობისაგან, შეზღუდულობისაგან. ფაუსტის ეს წინააღმდეგობრიობა, ბიურგერული შეზღუდულობის კვალი მის მსოფლმხედველობაში, ნათლად ჩანს იმ ფაქტში, რომ მას სჯერა, სოციალური ჩაგვრისაგან ადამიანთა გათავისუფლებისათვის საჭირო არ არის ბრძოლა ჩაგვრის სისტემის წინააღმდეგ. მას ჰგონია, რომ ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესების მთავარ პირობას წარმოადგენს ადამიანის ბრძოლა ბუნებასთან, მაედველობიდან უშვებს რა იმ გარემოებას, რომ ბუნების წინააღმდეგ ადამიანის ბრძოლას განსაზღვრავს თვით ადამიანთა შორის საწარმოო დამოკიდებულება.

ფაუსტს არ აქვს გათვალისწინებული, რომ საზოგადოებრივი წყობის ძირითადი საფუძვლების შეცვლის გარეშე ეს პედაგოგიური პროვინციები, ეს რაღაც ოაზისები ბურჟუაზიული წყობილების პირობებში არ არის დაზღვეული იმისაგან, რომ იქაც

არ გაჩაღდება კლასობრივი ბრძოლები, გზა არ გაეხსნება იმ სოციალურ ბოროტებას, რომელსაც გოეთე-ფაუსტი ბრძოლას უცხადებდა. და თუმცა ტრაგედიის ფინალში მწერალმა გვიჩვენა ვალმოხდილი, ცხოვრების სიბრძნეს მიღწეული ფაუსტი, რომელიც დამშვიდებით ეგებება სიკვდილს, მახ მაინც გვანიშნა, რომ ეს არ არის სრული კმაყოფილება. წერის რეალისტური ალღო იძულებულს ხდის მწერალს გვანიშნოს, რომ ფაუსტის ტრაგედია ფაქტობრივად არ დასრულებულა, რომ არ არის ყველა წანამძღვარი იმისათვის, რომ ფაუსტს სრულიად დაკმაყოფილებულად ეგრძნო თავი.

ეკერმანის შეკითხვაზე, თუ რატომაა, რომ ფაუსტი, მიუხედავად იმისა, რომ სიმდიდრე აქვს მოპოვებული, მაინც უკმაყოფილოა, გოეთე ასე უპასუხებს: „ფაუსტი, როგორც მას ჩვენ მეხუთე მოქმედებაში ვხედავთ, ჩემის მიხედვით, არის ასი წლისა და მე არ ვიცი, უკეთესი იქნებოდა თუ არა, რომ ეს სადმე აღმენიშნა“ [1].

ჩანს, რომ ფაუსტის უკმაყოფილების მიზეზს გოეთე ამ გმირის ასაკით ხსნიდა. სინამდვილეში კი ამ ფაქტში თავს იჩენს წინააღმდეგობა მწერლის, წინააღმდეგობა თვით გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების, ის გარემოება, რომ კაცობრიობის საუკეთესო მომავლის განხორციელებას მწერალი რევოლუციის გარეშე ფიქრობდა, მაგრამ დიდი რეალისტი მწერლის ალღო კი იძულებულს ხდიდა მას გარკვეული ეჭვებიც გამოეთქვა, როცა თავისი ჩანაფიქრის მხატვრულად განხორციელებას იწყებდა.

ასეთია გოეთეს სოციალურ-პოლიტიკური კრედო, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის ის პროგრამა, რომელსაც აყენებს მწერალი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და მის მომდევნო ეპოქაში. როგორც დავინახეთ, ბურჟუაზიული რევოლუციის ერაში გოეთე გამოდის მკვეთრი ანტიფეოდალური პროგრამით, აკრიტიკებს როგორც თავის თეორიულ-კრიტიკულ შრომებში, ისე მხატვრულ ნაწარმოებებში ფეოდალურ საზოგადოებას, უჩვენებს დრომოჭმულობას ამ უკანასკნელისას, შეტრფის მომავალს, საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესს. გერმანიის ჯანსაღი განვითარების საწინდარს მწერალი ხედავს ქვეყნის სამეურნეო განვითარებაში, ახალი, გაუმჯობესებული ტექნიკის დანერგვაში, სამომსავლო საშუალებათა განვითარებასა და საერთოდ, ნატურალური მეურნეობით ნაკარნახევი კარჩაკეტილობის მოსპობაში.

---

[1] Eckermann.

გოეთეს სწორი სოციალური მიხვედრა ჩანს იმ გარემოებაში, რომ გერმანიის ეკონომიური განვითარების აღმავლობას იგი ორგანულად უკავშირებს ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას, პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრალიზაციის საკითხს. „მე არ მაქვს შიში იმისა, ეუბნება გოეთე ეკერმანს, რომ გერმანია არ გაერთიანდება. ჩვენი კარგი გზატკეცილები და მომავალი რკინიგზები თავისას იზამს. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ ურთიერთისადმი სიყვარულით და ვიყოთ ყოველთვის ერთიანი გარეშე მტრის წინააღმდეგ. დეე, გერმანია იყოს იმდენად ერთიანი, რომ გერმანულ ტალერებს და გროშებს მთელს სახელმწიფოში ერთი და იგივე ფასი ჰქონდეს. რომ მე შემეძლოს გავატარო ჩემი სამგზავრო ჩემოდანი სულ ყველა ოცდათექვსმეტ სახელმწიფოში ისე, რომ ერთხელაც არ დამჭირდეს მისი გახსნა, რათა დაათვალიერონ იგი. დეე, გერმანია იყოს იმდენად ერთიანი, რომ ვაიმარში გაცემული სამგზავრო პასპორტი მეზობელი სახელმწიფოს რომელიმე საზღვრის ჩინოვნიკმა არ ჩათვალოს არანამდვილად, როგორც პასპორტი უცხოელისა. გერმანიის სახელმწიფოთა ფარგლებში არ უნდა იყოს ლაპარაკი თავისი ქვეყნისა და საზღვარგარეთის შესახებ; დეე, იყოს გერმანიაში ერთიანი ზომა და წონა, ვაჭრობა და მიმოქცევა და მრავალი მისი მსგავსი, რომლის მოგონება ახლა არ შემიძლია“ (Eckermann, III, 191 — 192).

ეს ამონაწერი, მწერლის შენოქმედების სხვა ბევრს, ჩვენს მიერ განხილულ რეალიებთან ერთად, ეჭვს არ ტოვებს, რომ გოეთე საფუძველშივე უარყოფს წარმოების ფეოდალურ წესს, ხედავს ისტორიულ პროგრესს წარმოების ახალი, ბურჟუაზიული წესის დამკვიდრებაში. როგორც ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, გოეთე ასევე მკვეთრად აკრიტიკებს იმ იდეოლოგიას, რომელიც იცავს ფეოდალურ ტირანიას, გაბატონებულ იდეებს, ცრურწმენებსა და დახავსებულ ადათ-წესებს.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო აგრეთვე, რომ ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ გოეთეს გალაშქრება არ ატარებს თანმიმდევრულ, რევოლუციურ ხასიათს, რომ მწერალი მაინც ვერ დგება ფეოდალური საზოგადოებისა და მისი ზედნაშენის რადიკალური უარყოფის ნიადაგზე. აკრიტიკებს რა ფეოდალურ საზოგადოებას, ხაზს უსვამს რა წარმოების ფეოდალურ წესთან შედარებით წარმოების ბურჟუაზიული წესის უპირატესობას, პოლიტიკურ დეცენტრალიზაციასთან შედარებით პოლიტიკური ცენტრალიზაციის უპირატესობას, გოეთე მაინც მთლიანად ვერ თავისუფ-

ლდება წარსულის, ფეოდალური ყოფის გავლენისაგან. ეს ჩანს ჯერ ერთი იმ ფაქტში, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაში იგი გარკვეულ როლს ანიჭებს ფეოდალურ არისტოკრატიას, გამოყავს რა მისი ზოგიერთი წარმომადგენელი ახალი სოციალური ყოფის შექმნის ინიციატორებად, ხალხის მოამაგე იდეალურ მმართველებად; მეორე მხრივ, ეს ჩანს იმ ფაქტში, რომ გოეთე, გახაზავს რა ქვეყნის განვითარებისათვის პოლიტიკური გაერთიანებისა და სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციის მნიშვნელობას, ამასთანავე აღიარებს ფეოდალური დეცენტრალიზაციის მნიშვნელობასაც, მომეტებულად, კულტურის განვითარებისათვის.

„თუ ვინმე ფიქრობს, აღნიშნავს გოეთე, რომ გერმანიის ერთიანობა იმაში მდგომარეობს, რომ გვქონდეს ერთი ვეება სატახტო ქალაქი მთელი ვეება სახელმწიფოსათვის და რომ ეს ვეება სატახტო ქალაქი ხელს შეუწყობს ცალკე ტალანტების, ასევე ხალხთა მასების კეთილდღეობას,—ეს შეცდომაა“ (ibid., 192).

ერთი მხრივ, გოეთე ფიქრობს, რომ გერმანული კულტურის განვითარებისათვის დამღუპველი იქნებოდა, რომ გერმანიას ისტორიულად მხოლოდ ერთი ან ორი სატახტო ქალაქი — ბერლინი და ვენა ჰქონოდა, რომ სხვადასხვა გერმანელ საფეოდალოებს არ ეთამაშნათ ფრიად მნიშვნელოვანი როლი გერმანული კულტურის განვითარებაში. „რაშია სიძლიერე გერმანიისა, კითხულობს გოეთე, თუ არა მის გასაოცარ ხალხურ კულტურაში, თანაზომიერად რომ მსჭვალავს სახელმწიფოს ყველა ნაწილს? განა ის არ გამოდის ცალკე თავადთა რეზიდენციებისაგან, რომლებიც მას ამკვიდრებენ და ანვითარებენ? დავუშვათ, რომ ჩვენ მთელი წინა საუკუნეების მანძილზე გერმანიაში გვქონდა მხოლოდ ორი სატახტო ქალაქი, ვენა და ბერლინი, ანდა ერთი. შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა დონეზე იქნებოდა მაშინ გერმანული კულტურა. მაგრამ ეს აგრეთვე იქნებოდა დამღუპველი საყოველთაო კეთილდღეობის თვალსაზრისით, კეთილდღეობისა, რომელიც კულტურასთან ხელიხელჩაკიდებული მაღლდება“ (ibid., 192).

ფეოდალური წყობილების საფუძვლებისა და მისი იდეოლოგიური ზედნაშენის კრიტიკისა და პოლიტიკური ცენტრალიზაციის მოთხოვნის შეთავსება ფეოდალურ დეცენტრალიზაციასთან, თავისთავად ცხადია, გოეთეს წინააღმდეგობრიობის გამოხატულებას წარმოადგენს, მაგრამ ამ ფაქტში ჩანს აგრეთვე მისი ძლიერი მხარეც, იმის მიხვედრა, რომ ყოველგვარ ცენტრალიზაციას არ მოაქვს სიკეთე საზოგადოებისათვის, არ ქმნის პირობებს ხალხის კულტურის მძლავრი განვითარებისათვის. მწერალს მიაჩნია,

რომ ფეოდალური დეცენტრალიზაციის პირობებში უფრო მეტი იყო შესაძლებლობა ცალკე კუთხეების, პროვინციების ხალხთა კულტურული განვითარებისათვის, მათი მონაწილეობისათვის საერთო ეროვნული კულტურის განვითარებაში, ვიდრე იმ დროს, როცა შეიქმნა პოლიტიკური ცენტრალიზაცია ბრანდენბურგ-პრუსიის სამხედრო-პოლიციური სახელმწიფოს სახით.

ამასთანავე მხედველობიდან არ შეიძლება გავუშვათ, რომ გოეთე ამ შემთხვევაში არა მხოლოდ პრუსიული სამხედრო ცენტრალიზმის წინააღმდეგ გამოდის, არამედ მისი დროის ბურჟუაზიული ოლიგარქიის წინააღმდეგაც, ავითარებს რა ამ შემთხვევაშიაც „ვილჰელმ მაისტერსა" და „ფაუსტში" ჩაქსოვილ აზრს, სახელდობრ იმას, რომ ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ და, მაშასადამე, ბურჟუაზიულმა ცენტრალიზაციამაც არ მოუტანა ხალხებს ბედნიერება, სიკეთე და სამართლიანობა, რომ მან გარკვეულად დაამუხრუჭა ხალხის კულტურული ძალები, დაამკვიდრა კულტი ერთფეროვნებისა და ანტიესთეტიზმის. ამ აზრით უნდა იქნას გაგებული ღრმა მოხუცი პოეტის ზემომოხსენებული სიტყვები, რომლებიც სავსებით ეხმაურება მის მიერ შექმნილ უკანასკნელ დიდ მხატვრულ ტილოებს. ამ შემთხვევაშიაც გოეთე ერთგულია თავისი ძირითადი დებულების, აღიარებს ახალი ურთიერთობის უპირატესობას ძველთან შედარებით, მაგრამ ამჩნევს იმასაც, რომ ეს ახალი სოციალური ურთიერთობაც ღრმად წინააღმდეგობრივია, რომ იგიც ისტორიულად გარდამავალია. საფუძველი არ არის ამიტომ გავიზიაროთ ასმუსის აზრი, რომ გერმანიის განვითარების პერსპექტივის შეფასებაში ისე, როგორც საფრანგეთის იმდროინდელი ამბების შეფასებაში, გოეთე დგას ბურჟუაზიის თვალსაზრისზე („Именно в относящихся сюда суждениях обнаруживается буржуазный характер, буржуазное тяготение мировоззрения Гете".) [1].

წინამდებარე შრომაში საკმარისი მასალა იქნა მოტანილი იმის ცხადსაყოფად, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის პროგრესული მნიშვნელობის აღიარების მიუხედავად გოეთე მკვეთრად აკრიტიკებს ამ ურთიერთობას, ცდილობს თავი დააღწიოს ბურჟუაზიის გავლენას და ასახოს ხალხთა ფართო მასების ფიქრები და განწყობილებები. გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების შესახებ მწერლის მიერ გამოთქმულ, ზევითმოყვანილ

---

[1] В. Ф. Асмус. Гете в „Разговорах" Эккермана. И. П. Еккерман. Разговоры с Гете, Academia, 1934, გვ. 31.

სიტყვებსაც არ შეაქვს დისონანსი იმ შეხედულებებში, რომლებიც მწერალს ბურჟუაზიული ურთიერთობის შესახებ აქამდე გამოეთქვა. ასევე არ არსებობს საფუძველი დავაკავშიროთ გოეთე იდეურად ბურჟუაზიასთან იმის გამო, რომ იგი დადებითად ლაპარაკობს ბურჟუაზიის ზოგიერთი მოღვაწის, კერძოდ, გ ი ზ ო ს შესახებ, გავიზიაროთ იმავე ა ს მ უ ს ი ს აზრი, რომ გიზო „გოეთესათვის გახდა თავისებური სათაყვანო და იდეალი მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში“ [1].

იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ გოეთე დადებითად აფასებს გიზოს ისე, როგორც კუზენსა და ვილმენს. გიზოს შესახებ იგი პირდაპირ ამბობს, რომ ეს „არის მისი გემოვნების ადამიანი“ (E c k e r m a n n, III, 201), მაგრამ ყველაფერი მოწმობს, რომ გიზოში მას იზიდავს მოაზროვნე-ისტორიკოსი, „ფართო მსოფლგაგების“ მქონე „მშვიდი და მყარი“ ადამიანი (იქვე), რაც ესოდენ საჭიროა მისი დროის ფრანგებისათვის (იქვე). გიზოში გოეთეს მოწონებას იმსახურებს მისი ღრმა განსწავლულობა, წინააღმდეგ ვოლტერული ზედაპირულობისა, განსწავლულობა, რომელსაც „წინად მხოლოდ გერმანელებთან ვხვდებოდით“ (Eckermann, II, 68), მოწონებას იმსახურებს, „უნარი საგნის წვდომის და მისგან მთელი მისი შინაარსის გადმოცემისა“ (ibid.). გოეთე აღფრთოვანებით ლაპარაკობს გიზოზე, როგორც ისტორიკოსზე, რომელსაც გააჩნია შეხედულების ის სიღრმე და სიცხადე, რაც არცერთ ისტორიკოსს არ გააჩნია“ (ibid., 75), რომლის თვალში „ჩვენს მიერ შეუმჩნეველი საგნები იღებს უდიდეს მნიშვნელობას, როგორც წყარო დიადი მოვლენისა“ (იქვე).

გოეთე ხედავს გიზოში მისი დროის მოწინავე მოაზროვნე ისტორიკოსს, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ტოვებს პედანტის შთაბეჭდილებას (ibid., 201), მაგრამ თავისი პრაქტიკულ-რეალისტური ბუნებით სწორედ ისეთია, როგორიც სჭირდება ბურჟუაზიულ საფრანგეთს. ეჭვი არ არის, გიზოში გოეთეს იტაცებს ის, რომ გიზო არ არის ძველი ყალიბის მეცნიერი, არამედ მეცნიერია ახალი დროის, იგულისხმება, ბურჟუაზიული ეპოქის. მას მოსწონს გიზო, თავისი გემოვნების ადამიანად მიაჩნია იგი იმიტომ, რომ თავისთვისაც სახელმძღვანელოდ თვლის შესასწავლ მასალისადმი ღრმა რეალისტურ მიდგომას, მოვლენათა სიღრმეში წვდომას, მის ყოველმხრივ შესწავლას. აქედან არამც და არამც არ გამოდის, რომ გოეთე ქედს იხრის გიზოს როგორც პოლიტიკური მოღვაწის წინაშე, რომ გიზო, როგორც იდეოლოგი ბურჟუაზიისა, გოეთეს იდეალსა და კუმირს წარმოადგენს.

[1] იქვე, 35.

იმის თქმა შეუძლებელია, რომ გოეთე ნათლად ხედავს წინააღმდეგობას გიზოს შეხედულებებსა და პრაქტიკულ საქმიანობას შორის. მწერალი იმის აღიარებისაკენ იხრება, რომ გიზო არ ეკუთვნის რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, არამედ დგას „პარტიებს ზევით“, წარმომადგენელია „განმანათლებლური ლიბერალიზმისა“ (ibid.), მაგრამ არ ჩანს, რომ მწერალს ჰქონდეს ღრმა რწმენა იმისა, რომ გიზო შეინარჩუნებს ბოლომდე ამ მოჩვენებით უპარტიობას, არ დაიჭერს გარკვეული პოლიტიკური პარტიის მბარეს, როცა ის ბურჟუაზიული მთავრობის მესვეური გახდება. „მე ძალიან მაინტერესებს ვიხილო, ეუბნება გოეთე ეკერმანს 1830 წელს, თუ როგორ როლს ითამაშებს იგი პალატაში, სადაც ის ახლა უკვე აირჩიეს“ (ibid.).

ამბების შემდგომმა განვითარებამ, ივლისის მონარქიის ეპოქამ ნათლად დაადასტურა, რომ გოეთე არ ცდებოდა, როცა გიზოს მომავალი პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ გარკვეულ ეჭვებს გამოთქვამდა, ნათლად დაადასტურა აგრეთვე, თუ რაოდენ შორდება ჭეშმარიტებას დიდი გერმანელი მწერალი, როცა გიზოს, როგორც მკვლევარ-ისტორიკოსს პარტიების ზევით აყენებდა.

როგორც ვხედავთ, გიზოს შესახებ მწერლის მიერ გამოთქმული შეხედულებები არაა წინააღმდეგობაში იმ დასკვნებთან, რომლებიც გაკეთებული იქნა ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი გოეთეს დამოკიდებულების შესწავლის შედეგად. იგივე ითქმის გოეთეს მიმართების შესახებ გაზეთ „Globe“-სადმი, რომლის თანამშრომლებშიაც მწერალმა, ასმუსის აზრით, თითქმის „იპოვა პოლიტიკური, მეცნიერული და ლიტერატურული მოღვაწის იდეალი“ (33).

გოეთე მართლაც თანაგრძნობით ლაპარაკობს ამ გაზეთის, მისი თანამშრომლების შესახებ. ისინი მას მიაჩნია პრაქტიკულ, ნათლად მოაზროვნე, მეტად გაბედულ ადამიანებად (Eckermann, I, 180). იგი წინ წამოწევს მათში იმ თვისებას, რომელსაც ვერ ნახულობს მისი დროის გერმანიაში, პარტიკულარიზმის, პროვინციული შეზღუდულობის უარყოფას, ერთი სიტყვით, იმ ფართო თვალსაზრისს, რაც ესოდენ ხიბლავდა მწერალს გიზოს მსჯელობებში. ეკერმანის გადმოცემით, ამ გაზეთით გოეთე განსაკუთრებით იყო დაინტერესებული იმიტომ, რომ მასში იხილებოდა უახლესი ფრანგული კაზმული ლიტერატურის ნაწარმოებები და ძალიან ხშირად ენერგიულად ხდებოდა რომანტიკული სკოლის ნებისმიერობათა დაცვა.

ეს ასეა, გოეთე თანაგრძნობით ლაპარაკობს გაზეთ Globe-ს და მისი თანამშრომლების შესახებ, აღნიშნავს საზოგადოებრივი საკითხებისადმი დამოკიდებულებაში მათ ფართო თვალსაზრისს, ცალმხრივობისა და პირობითობის უარყოფას, მოვლენებისადმი ფხიზელ, პრაქტიკულ დამოკიდებულებას, ე. ი. იმ ნიშნებს, რომლებიც ხელს უწყობდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებას; მაგრამ საფუძველი არ არის ვაღიაროთ, რომ გოეთე მათში ხედავდა პოლიტიკური, მეცნიერული და კულტურული მოღვაწეობის იდეალს. ამგვარი იდეალი გოეთემ შეიმუშავა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე Globe-ის თანამშრომლები გამოვიდნენ სამოღვაწეო სარბიელზე და მხატვრულად ხორცი შეასხა კიდევაც თავის მრავალ ნაწარმოებში.

გაზეთ Globe-ს საზოგადოებრივ ლიტერატურულ საქმიანობაში გოეთე ხედავდა უთუოდ წინგადადგმულ ნაბიჯს, გაბედულ რომანტიკულ ჯანყს ძველი, არისტოკრატიული პირობითობის წინააღმდეგ, მაგრამ არ ჩანს, რომ ეს ლიბერალ-რომანტიკოსები გამოხატავდნენ მის პოლიტიკურსა და ესთეტიკურ კრედოს. ამაში განსაკუთრებით ის გარემოება გვარწმუნებს, რომ სოციალური კრიზისის ეპოქაში გოეთე უკვე აღარ იჩენს ინტერესს ამ გაზეთისადმი, აღარ კითხულობს მას, რაშიაც გვემოწმება ეკერმანი (Eckermann, III, 212).

გოეთე დარწმუნებულია, რომ საფრანგეთში მზადდება დიდი პოლიტიკური ამბები, მას გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს მშვიდი მუშაობა, არ მიეცეს უსარგებლო ვნებათა ღელვას. „მე ვხედავ, აღნიშნავს გოეთე, რომ პარიზში მზადდება მნიშვნელოვანი ამბები. ჩვენ დიდი აფეთქების ზღურბლზე ვიმყოფებით. მაგრამ, რადგან მე არ შემიძლია მასზე არავითარი გავლენის მოხდენა, ამიტომ მინდა მშვიდად დავიცადო, არ მივცე საშუალება დრამის მიმზიდველ სვლას ყოველდღიურად გამოიწვიოს ჩემში უსარგებლო მღელვარება. სწორედ ამიტომ ასე ცოტას ვკითხულობ მე Globe-ს და Temps-ს; ჩემი ვალპურგიის ღამე კი ამასობაში წინ მიდის არც თუ ცუდად“ (ibid.).

გოეთეს თავისებური პოზიცია როგორც 1789 წლის, ისე ივლისის რევოლუციაში, მისდამი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება იმას გვიმტკიცებს, რომ მწერალი ახალი სოციალური ურთიერთობის გამარჯვებაში ხედავს საზოგადოებრივ პროგრესს, მაგრამ ამასთანავე ამჩნევს, რომ ეს ახალი ურთიერთობა აკანონებს ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის ახალ ფორმას. მკვეთრი კრიტიკა, რომელსაც მიმართავს მწერალი ბურჟუაზიის წინააღმდეგ,

როგორც ბურჟუაზიული რევოლუციის გარიჟრაჟზე, ისე ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრების ეპოქაში, ყოველგვარ საფუძველს აცლის იმ აზრს, რომ დიდი გერმანელი მწერალი ბურჟუაზიის პოლიტიკურ მოღვაწეებში ხედავს თავის პოლიტიკურ სათაყვანოს, ადამიანთა ისტორიის გაგებაში იფარგლება ბურჟუაზიული კლასის მსოფლგაგებით.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ გოეთე როგორც თავისი შემოქმედების, ისე პრაქტიკული მოღვაწეობის დარგში ეხმაურება მისი დროის დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, გამოთქვამს მათ შესახებ თავის მოსაზრებებს როგორც საუბრებსა და მიმოწერებში, ისე თავის მხატვრულსა თუ კრიტიკულ ნაწერებში. ეს მოსაზრებები თანადროულობის დიდ საზოგადოებრივ მოვლენებზე გამოთქმულია არა მხოლოდ იმ ნაწერებში, რომელთა თემას უშუალოდ ბურჟუაზიული რევოლუცია წარმოადგენს, არამედ იმ ნაწერებშიაც, რომლებშიაც მწერალი თავის სოციალურ პროექტებსა და პროგნოზებს აყენებს.

გოეთეს გათვალისწინებული აქვს, რომ ის ეპოქა, რომელშიაც მას უხდება მოღვაწეობა, წარმოადგენს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების და დამკვიდრების ეპოქას. ჯერ კიდევ 90-იან წლებში, რესპუბლიკური არმიის მოკავშირეთა არმიაზე გამარჯვების ფაქტში დაინახა მწერალმა ახალი ურთიერთობის გამარჯვება ძველსა და დრომოჭმულზე, ახალი ეპოქის დასაწყისი მსოფლიო ისტორიაში. ექვი არ არის, ამ ახალის ცნებაში მწერალს ესმის გამარჯვება იმ ურთიერთობისა, რომელიც შედეგად მოყვა საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას.

მომდევნო ხანის გოეთეს შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა იმას გვიდასტურებს, რომ საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის მომდევნო ეპოქა მას მიჩნეული აქვს როგორც ერა ბურჟუაზიული ურთიერთობის საბოლოო დამკვიდრებისა. ამის შეგნება მსჭვალავს და განაპირობებს მწერლის შემოქმედებასა და პრაქტიკულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე, სახელდობრ, შეგნება იმისა, რომ ფეოდალური საზოგადოება გზას უთმობს და უნდა დაუთმოს ახალ საზოგადოებას, რომელსაც, მართალია, არ მოაქვს ხსნა ჩაგრული კაცობრიობისათვის, მაგრამ წარმოადგენს აშკარა პროგრესს კაცობრიობის ისტორიაში. თვით ის გარემოებაც, რომ მწერალი უკან არ იხევს ბურჟუაზიული რევოლუციის კრიტიკისაგან, ბურჟუაზიულ ურთიერთობას უპირისპირებს მომავლის საზოგადოებას, თავის სოციალურ პროექტებს აყენებს, იმას გვემოწმება, რომ იგი

იღებს როგორც ფაქტს ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებას, მიაჩნია, რომ განვითარება მიდის ბურჟუაზიული ურთიერთობის საბოლოო დამკვიდრების გზით.

მიუხედავად იმისა, რომ მწერლის თვალწინ ხდება არა მხოლოდ პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია, არამედ ტერმიდორული რეაქციაც, ბონაპარტისტული გადატრიალება და ძველი რეჟიმის აღდგენა საფრანგეთში, იგი მაინც ამჩნევს, რომ ისტორიის ჩარხის უკან დატრიალება, ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამარჯვება ახალზე შეუძლებელია. რესტავრაციისა და ივლისის რევოლუციის დროის გოეთეს მხატვრული შემოქმედება ამის მჭევრმეტყველურ დადასტურებას წარმოადგენს. პირველ რიგში ამის დადასტურებას წარმოადგენს „ვილჰელმ მაისტერისა“ და „ფაუსტის“ მეორე ნაწილები, რომლებიც ამ ეპოქაში იქმნებოდა და რომლებსაც მსჭვალავს ძველზე ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის საბოლოო გამარჯვების ურყევი რწმენა.

ის ფაქტი, რომ რესტავრაციის ეპოქაში შექმნილ თავის დიდ რომანში მწერალი აყენებს მომავლის საზოგადოების თავის გაგებას, იმაზე მიგვითითებს, რომ მას ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვება ფეოდალურ ურთიერთობაზე საბოლოოდ და შემოუბრუნებლივ უზრუნველყოფილად მიაჩნია. რა აზრი ექნებოდა ადამიანთა შორის იმ ურთიერთობისათვის, რომელსაც ბურჟუაზიული საზოგადოება აკანონებს, იმ ურთიერთობის დაპირისპირებას, რომელსაც ვხვდებით რომანში დახატულ პედაგოგიურ პროვინციებში, თუ კი რესტავრაციის ეპოქა მწერლის გაგებაში ბურჟუაზიული ურთიერთობის საბოლოო დამარცხებას ნიშნავს? რომ გოეთესათვის გამოსავალს წარმოადგენდეს დებულება, რომ ძველი რეჟიმის რესტავრაცია ნიშნავს ძველი ურთიერთობის საბოლოოდ გამარჯვებას ახალ ურთიერთობაზე, მაშინ სრულიად გაუგებარი იქნებოდა „ვილჰელმ მაისტერში“ ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის მომავლის საზოგადოების დაპირისპირება. სწორედ იმიტომ, რომ მწერალს ევროპის საზოგადოების ბურჟუაზიული განვითარება საბოლოოდ უზრუნველყოფილად მიაჩნია, უპირისპირებს იგი შრომის განაწილებასა და ორგანიზაციას ბურჟუაზიული საზოგადოებისას შრომის განაწილებასა და ორგანიზაციას მომავლის საზოგადოებისას.

„მოგზაურობის წლების“ ავტორის გაგებაში ფეოდალურ ურთიერთობაზე ბურჟუაზიული ურთიერთობის საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია მომეტებულად იმიტომ, რომ ახალმა ურთიერთობამ ცხადყო თავისი უპირატესობა ეკონომიური ცხოვრების

დარგში, გზა გაუხსნა საწარმოო ძალთა განვითარებას, აღინიშნა ტექნიკის მძლავრი განვითარებით. აყენებს რა თავის სოციალურ პროგნოზებსა და ვარაუდებს, ავტორისათვის სახელმძღვანელოს წარმოადგენს იმის შეგნება, რომ მათთვის ნიადაგი მომწიფებულია საზოგადოებაში, რომ წარმოების ახალი, ბურჟუაზიული წესი უკვე დამკვიდრებულია, რასაც შედეგად მოყვა სოციალური საკითხების გამწვავება.

საკითხის ამ ასპექტში დასმა, იმის მიჩნევა, რომ მომავლის საზოგადოების იდეალის დახატვისას „მოგზაურობის წლების" ავტორი აღიარებს, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობა უკვე საბოლოოდ დამკვიდრებულია, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მწერალი უგულებელყოფს გერმანიის სპეციფიკურ მდგომარეობას, უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ გერმანია მისი დროისა ფეოდალური და არა ბურჟუაზიული სახელმწიფოა? ან იქნებ გოეთეს მიერ საკითხის ასეთ ასპექტში დასმა იმას მოწმობს, რომ მას შესაძლებლად მიაჩნია მომავლის საზოგადოების განვითარება კაპიტალისტური სტადიის გაუვლელად? ასეთი დაშვება საბოლოო ჯამში იმას ნიშნავს, რომ „მოგზაურობის წლების" ავტორი კურსს არ იღებს თავის ქვეყანაზე, რომ მისი ეს ნაწარმოები. ამდენად, არ ემყარება მშობლიურ ნიადაგს. შეიძლება კი გოეთეს შესახებ ეს ითქვას, ამგვარად შეფასდეს მისი „ვილჰელმ მაისტერი"? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არა. იმის მიუხედავად, რომ ამ ნაწარმოებში ბრწყინვალედ განზოგადოებული და მხატვრულ ტილოზეა გადატანილი ის გრანდიოზული ცვლილებები, რომლებიც ხდება ევროპის საზოგადოებაში, მის ეკონომიკურ ბაზისსა და ზედნაშენში მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის პირველ მესამედში, შეუძლებელია უარყოფა იმისა, რომ მთლიანად ეს ნაწარმოები ემყარება მშობლიურ ნიადაგს. ავტორის საზრუნავს შეადგენს თავისი ხალხის ბედი, ხალხისა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულა ფეოდალური ჩაგვრისაგან და რომელმაც ამასთანავე უკვე იგემა სუსხი ახალი სოციალური ჩაგვრისა. გოეთესათვის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს პოლიტიკურად დაქუცმაცებული, ეკონომიურად ჩამორჩენილი გერმანია, რომელიც ადგება განვითარების თავისებურ გზას.

„მოგზაურობის წლების" ავტორი არ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ გერმანია მისი დროისა ფეოდალური და არა ბურჟუაზიული სახელმწიფოა, იგი უშუალოდ გვაგრძნობინებს, რომ იქ მემამულეებს კვლავაც უკავიათ მთავარი როლი ქვეყნის სამე-

ურნეო ცხოვრებაში, მაგრამ ამასთანავე გვაგრძნობინებს იმასაც, რომ კაპიტალისტური ურთიერთობა გერმანიაშიაც გზას იკაფავს, და, რაც მთავარია, გვაგრძნობინებს, რომ გერმანიის განვითარება მიდის სპეციფიკური გზით, კაპიტალის მიერ ფეოდალური მეურნეობის არა გამორიყვის, არამედ მასთან კავშირის გზით. და მწერალი არა მხოლოდ გერმანიის განვითარების ამ სპეციფიკურობის კონსტატაციას ახდენს, არამედ იმის კონსტატაციასაც, რომ ეს სპეციფიკურობა არ აყენებს კითხვის ქვეშ ახალი ურთიერთობის განვითარების ფაქტს გერმანიაში, არ უარყოფს, რომ ფეოდალურ-აბსოლუტისტური მმართველობის პირობებშიაც გერმანიაში გზას იკაფავს კაპიტალიზმი, რომ იმ სოციალურ პროექტებს, რომლებსაც იგი თავის რომანში აყენებს, გერმანიისთვისაც აქტუალობა ენიჭება.

როცა ვამბობთ, რომ „მოგზაურობის წლების" ავტორისათვის ნაწარმოების იდეური ხაზის გამართვისას გამოსავალ პუნქტს წარმოადგენს ევროპის სინამდვილეში ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრება, მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მხოლოდ გერმანიის სპეციფიკური ვითარება, არამედ ისიც, რაც ახასიათებს მის მეზობელ საფრანგეთს, საერთოდ ის ვითარება, რომელიც შეიქმნა ევროპაში ბონაპარტისტული დიქტატურის დამხობის, პოლიტიკური რეაქციის მძვინვარების შედეგად. და თუ საფრანგეთში ძველი, ფეოდალური რეჟიმის რესტავრაციას „მოგზაურობის წლების" ავტორისათვის ხელი არ შეუშლია დაენახა ისტორიის განვითარების მაგისტრალური ხაზი, ფეოდალურ-მონარქისტული რეჟიმის აღდგენის პირობებში ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება, ასევე არ შეუშლია მისთვის ხელი გერმანიის საზოგადოებრივი განვითარების სპეციფიკურობას დაენახა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით. ამ დასკვნამდე მივყავართ არა მხოლოდ „მოგზაურობის წლების"; არამედ „ფაუსტის" II ნაწილის პრობლემატიკის განხილვასაც.

ეს ნაწარმოებიც მომეტებულად იქმნება რესტავრაციის ეპოქაში. მასალის მხრივაც იგი ამ ეპოქასთანაა დაკავშირებული. ნაწარმოების გმირთა მნიშვნელოვანი ნაწილიც გვახედებს ფეოდალური წყობილებისაკენ, რომლის საფუძვლები ძირეულად შერყეულია. ფაუსტიც ტრაგედიის მეორე ნაწილისა ტრიალებს ფეოდალური საზოგადოების მესვეურთა შორის, უკავია მაღალი თანამდებობა იმპერატორის სასახლეში, ღებულობს მისგან ჯილდოს სახით სამფლობელოს. არა ერთგზის აღნიშნულა ხოლმე, რომ

ფეოდალური საზოგადოების სურათები „ფაუსტის“ II ნაწილში წარმოადგენს მინიშნებას პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის წინაპერიოდის საფრანგეთზე. ასეთ მტკიცებას გარკვეული საფუძველი გააჩნია, რამდენადაც ნაწარმოებში დახატული სამეფო ტახტის, ძველი საზოგადოებრივი წყობილების საფუძველი აშკარად ძირმოთხრილი და შერყეულია. მაგრამ ქეშმარიტებასთან უფრო დაახლოებული ვიქნებით, თუ ამ ნაწარმოებში დავინახავთ მინიშნებას არა რევოლუციის წინა პერიოდის, არამედ რესტავრაციის პერიოდის საფრანგეთზე, იმდროინდელ სამეფო ხელისუფლებაზე. რომ გოეთეს განზრახვა ჰქონოდა „ფაუსტში“ გამოყვანილ იმპერატორსა და დიდგვარიანებში დაეხატა რევოლუციამდელი საფრანგეთის სურათები, მაშინ მას ბუნებრივად უნდა მოეცა ამბების შემდეგი განვითარება, დაეხატა რევოლუციური მოძრაობის შედეგად ფეოდალური წყობილების დანგრევა. ნაწარმოებში კი ამის სრულიად საპირისპიროს ვხედავთ, სახელდობრ, სამეფო ხელისუფლების გამარჯვებას, თუმცა იგრძნობა, რომ მდგომარეობა სამეფო ხელისუფლებისა არ არის სტაბილური. თუ კი გოეთეს ამ ნაწარმოებში რევოლუციამდელი საფრანგეთის სურათის მოცემა ეწადა, მას, ერთგულს რევოლუციის შესახებ თავისი კონცეფციისა, უნდა ეჩვენებინა არა მხოლოდ სამეფო ხელისუფლების დამხობა, არამედ მისი მომდევნო ამბებიც ისე, როგორც ეს მას განზრახული ჰქონდა მოეცა „უკანონო ქალსა“ და „ობერკირხელ ქალში“.

ამ ნაწარმოებთა გაგრძელების სქემიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ესახებოდა მწერალს საფრანგეთის რევოლუციის თემის სრული დამუშავება, რომ იგი სრულიადაც არ ფიქრობდა წერტილის დასმას იქ, სადაც ხდება რევოლუციური მასის პირველი შემოტევის მრგერიება, ანდა იქ, სადაც ემხობა სამეფო ხელისუფლება, არამედ სახავდა რევოლუციონერთა გამარჯვების შემდეგი დროის ამბების გადმოცემასაც. მაგრამ ცნობილია, რომ გოეთე ორივე შემთხვევაში, როცა მიზნად საფრანგეთის რევოლუციის გაშლილი სურათის მოცემას ისახავდა, გადაულახავი დაბრკოლების წინაშე დადგა, არჩია ნაწარმოებთა დამთავრებაზე ხელის აღება. ცნობილია, რომ რევოლუციის იმ კონცეფციაზე, რომელიც „უკანონო ქალსა“ და „ობერკირხელ ქალშია“ ჩაქსოვილი, გოეთეს შემდეგაც ხელი არ აუღია, თუმცა იგი ამის შემდეგ არც არასდროს ცდილა ფართო პლანში მის მხატვრულ განხორციელებას. და თუ „ფაუსტის“ II ნაწილი ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს, თუ გოეთე აქ მიზნად ისახავს პირველი ბურჟუაზიული

რევოლუციის წინა პერიოდის საფრანგეთის სურათის ჩვენებას, მაშინ ბუნებრივი იქნებოდა ისიც, რომ მას ეს სურათი ძირითადად იმავე პლანში მოეცა, რომელშიაც იგი მოფიქრებული ჰქონდა „უკანონო ქალსა“ და „ობერკირხელ ქალში“. მაგრამ „ფაუსტის“ ტრაგედიაში ვერ ვხედავთ ამგვარ ვითარებას, რევოლუციის სურათის ჩვენებას ვერც იმ ასპექტში, როგორც იგი მოცემულია დასახელებული ორი დრამის ძირითად ტექსტუალურ ნაწილში, აგრეთვე ვერც იმ ასპექტში, როგორც იგი ნავარაუდევია ამ ნაწარმოებთა გაგრძელების სქემებში. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ „ფაუსტში“ დახატული იმპერატორის სასახლე უკეთ რესტავრაციის დროის საფრანგეთისაკენ გვახედებს, ვიდრე პირველი რევოლუციის წინა დროის საფრანგეთისაკენ.

ამ დასკვნამდე მივყავართ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ რევოლუციის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში გოეთე იფარგლება რევოლუციის მხოლოდ ცალკე საკითხების გარკვევით და არსად არ გვაძლევს ხოლმე მის გაშლილს, შედარებით დასრულებულ სურათს. როცა მწერლის წინაშე ისმება რევოლუციის ფართო პლანში დახატვის საკითხი, მას არცერთ შემთხვევაში არ ძიყავს თავისი განზრახვის შესრულება ბოლომდე, ტოვებს ნაწარმოებებს ფრაგმენტული სახით. ბუნებრივია, ამიტომ, რომ ერთობ ძნელია ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ გოეთეს კონცეფციის დადგენა, რადგან დასრულებული სახით იგი მწერალს არცერთს თავის მხატვრულ ნაწარმოებში არ გაუტარებია. რაც შეეხება მწერლის სხვა სახის ნაწერებს, რომლებიც ბურჟუაზიული რევოლუციის საკითხებს ეხება, ისინი, მართალია, მწერლის შეხედულების ცხადსაყოფად ერთობ ხელსაყრელ მასალას წარმოადგენენ, მაგრამ ისინი არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად რევოლუციის შესახებ გოეთეს კონცეფციის ცხადსაყოფად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რევოლუციის შესახებ დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებს, იმის გამორკვევას, თუ რამდენად თანმიმდევრულად ატარებს მწერალი მხატვრულ ნაწერებში რევოლუციის შესახებ თავის იმ შეხედულებებს, რომლებიც მან წერილებში, საუბრებსა და კრიტიკულ-ავტოგრაფიული ხასიათის ნაწერებში გამოთქვა. მაგრამ თავის მხატვრულ ნაწერებში, როცა საკითხი რევოლუციის მთლიანი სურათის მოცემას ეხება, გოეთე, როგორც ითქვა, დუმილს არჩევს, არ აძლევს ნაწარმოებებს დამთავრებულ სახეს.

რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ამ საკითხის გამორკვევას მნიშვნელოვნად შეუძლია მოფინოს შუქი ბურჟუაზიული რევოლუ-

ციის გოეთესეულ კონცეფციას. იმის დაშვება, რომ მწერალი იმიტომ ტოვებს ფრაგმენტად თავის ნაწარმოებებს, რომ იგი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როგორც ზოგიერთებს მიაჩნიათ, ანარქიული ბუნების ადამიანი, მანკიერი მეამბოხე იყო, რომ მას არ ახასიათებდა ზომიერების, თავისი თავის დაოკების გრძნობა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მწერლის ხასიათის ევოლუციის ამგვარი წარმოდგენა, როგორც ეს თავის ადგილას ვუჩვენეთ, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, მეორე იმიტომ, რომ ფრაგმენტულობა გოეთეს შემოქმედებას ახასიათებს მომეტებულად იმ პერიოდში, როცა იგი თითქოს გათავისუფლდა თავის „ურკონფლიქტისაგან", დაუბრუნდა თავისი შემოქმედების „ძირითად" პრინციპს.

გოეთეს შემოქმედების ადრინდელ პერიოდში ერთობ მცირეა რაოდენობა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც დარჩნენ დაუმთავრებელი იმ დროს, როდესაც მისი სიმწიფის პერიოდის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორიცაა „უკანონო ქალი", „ობერკირხელი ქალი", „აჯანყებულნი", „აქილეიდა", „მეგაპრაკონის ვაჟები", „პანდორა" დაუმთავრებელი დარჩა. ასე, რომ ზომიერების, თვითდისციპლინირების უნარის უქონლობა, რომც ის გოეთესათვის განვითარების ადრინდელ საფეხურზე მართლაც იყოს დამახასიათებელი, ვერ აგვიხსნის იმ ფაქტს, რომ მწერალმა ეპოქის მტკივნეულ საკითხებზე დაწერილი მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოები დაუმთავრებელი დატოვა. თუ საკითხი იმ ასპექტში დაისმის, რომ ზომიერების მომენტს ენიჭება მთავარი მნიშვნელობა გოეთეს შემოქმედებისათვის, მაშინ აუხსნელი დარჩება ის ფაქტი, რომ მწერალი ზომიერების თითქოს უქონლობის ამ პერიოდში ქმნის დამთავრებულ ნაწარმოებებს, შედარებით სწრაფად ამთავრებს თავის შესანიშნავ მხატვრულ ქმნილებებს, როგორც ეს „კლავიგოს", „გოეცის", „ვერთერისა" და სხვა ადრინდელი პერიოდის ნაწარმოებთა წარმოშობის მაგალითზე შეიძლება დავინახოთ. და ეს იმ დროს, როცა გვიან პერიოდში, რომელიც ზოგიერთებს მწერალთან ზომიერების გრძნობის გამარჯვების პერიოდად აქვთ მიჩნეული, გოეთე მთელ რიგ თავის მხატვრულ ჩანაფიქრს ბოლომდე განუხორციელებელს ტოვებს. ისტორია ისეთი ნაწარმოებებისა, როგორიცაა „ეგმონტი", „იფიგენია", „ფაუსტი", „ვილჰელმ მაისტერი" და სხვა გვემოწმება, რომ გოეთე არ ჩქარობს დაამთავროს თავისი ნაწარმოებები, აქა-იქ ისახება კიდეც საშიშროება, რომ ზოგი მათგანი დაუმთავრებელი დარჩება. ეს ასეა, მაგრამ მწერალი ახერხებს თავიდან აიცილოს ეს საშიშროება, ახერხებს ბო-

ლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე ხანგრძლივი, დაბეჯითებითი შრომის შედეგად.

იგივე არ ითქმის მისი იმ ზოგიერთი ნაწარმოების შესახებ, რომლებშიაც იგი პირდაპირ თუ ირიბად ბურჟუაზიული რევოლუციის თემას ეხება და რომლებიც დაუმთავრებელი დარჩნენ არა იმიტომ, რომ მწერალმა ვერ მოასწრო მათი დამთავრება, არამედ იმიტომ, რომ მან არჩია ისინი ამ სახით დარჩენილიყო. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს ნაწარმოებები დაუმთავრებელი დარჩნენ იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა თვით აღებული მასალის ხასიათი, მსგავსად გუნდოლფისა მიგვეჩნია გოეთე ისეთ მწერლად, რომლისთვისაც უცხოა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემები. თუ ამ თვალსაზრისზე დავდგებით, მაშინ დასმული საკითხი ადვილად გადაწყდება, ბუნებრივად იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მწერალმა ფრაგმენტად დატოვა თავისი ნაწარმოებები იმიტომ, რომ ხელი მოჰკიდა ისეთ თემას, რაც მის ბუნებასა და მოწოდებას არ შეეფერებოდა. მაგრამ თავის ადგილას, როცა გოეთეს გუნდოლფისეულ გაგებას ვიხილავდით, უკვე ვუჩვენეთ უსაფუძვლობა იმ მოსაზრებისა, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე წერა არ შეადგენდა გოეთეს მოწოდებას.

ის გარემოება, რომ მწერალი პოლიტიკურ თემას ამუშავებს, ვერავითარ შემთხვევაში ვერ აგვიხსნის იმ ფაქტს, რომ გოეთეს რიგი ნაწარმოები დაუმთავრებელი დარჩა. ეს ცხადია თუნდ იქიდანაც, რომ პოლიტიკურ თემაზე, მათ შორის უშუალოდ რევოლუციის თემაზე დაწერილი გოეთეს ბევრი ნაწარმოები არ ატარებს დაუმთავრებელ სახეს. არა მასალის ხასიათში უნდა ვეძიოთ ახსნა დასმული საკითხისა, არამედ იმაში, თუ როგორაა მოფიქრებული მწერლის მიერ მისი დამუშავება. ასე, მაგალითად, საფრანგეთის რევოლუციის თემას ამუშავებს გოეთე „მოქალაქე გენერალსა“ და „უკანონო ქალშიაც“, მაგრამ პირველში მას მოქმედება ბოლომდე მიყავს, მეორეში კი დაუმთავრებელს ტოვებს. მიზეზი ამისა იმაში უნდა ვეძიოთ, რომ „მოქალაქე გენერალში“ იგი განსახილველი მოვლენის ერთს, ან რამდენიმე მხარეს ეხება, „უკანონო ქალში“ კი მიზნად ისახავს რევოლუციის მთლიანი სურათის მოცემას, მისი წარმომშობი მიზეზების, მიმდინარეობისა და შედეგების, ამასთანავე, თავისი სოციალური პროექტებისა და პროგნოზების ჩვენებას.

ყურადსაღებია, რომ რევოლუციის თემაზე დაწერილი გოეთეს მხოლოდ ის ნაწარმოებები დარჩა დაუმთავრებელი, რომლებშიაც მწერალს მასალა ფართო პლანში აქვს მოფიქრებული,

რომლებშიაც მას მიზნად აქვს დასახული რევოლუციის წარმომშობი მიზეზების, თვით რევოლუციის მასობრივი-პოლიტიკური ბრძოლის სურათების ჩვენება, ხოცვა-ჟლეტისა და საყოველთაო არეულობის, შორეულ პერსპექტივაში კი — საზოგადოებრივი მშვიდობის აღდგენის ჩვენება.

ასე, მაგალითად, „აჯანყებულნში" მწერალს მიზნად დაუსახავს ცხადყოს, თუ როგორ აუცილებელი და გარდაუვალი ხდება რევოლუცია მმართველი წრეების მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად; იგი უჩვენებს კიდევაც გამალებულ მზადებას აჯანყებისათვის, მაგრამ სწორედ იქ, სადაც ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო ნაჩვენები, ნწერალი წერტილს სვამს. ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე „უკანონო ქალში", რომელშიაც ნაჩვენებია მხოლოდ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის სამზადისი, მაგრამ თვით ბრძოლის სურათების, სამეფო ხელისუფლების დამხობის მომდევნო ამბების ჩვენებისაგან კი მწერალი თავს იკავებს. იგივე ითქმის „ობერკირხელი ქალის" შესახებაც, რომელშიაც მწერალს განუზრახავს დახატოს ის ვითარება, რომელიც შეიქმნა საფრანგეთის რევოლუციის გამარჯვების შედეგად, მაგრამ კმაყოფილდება იაკობინელთა შესახებ მხოლოდ გერმანელი დიდგვარიანების შეხედულებების გადმოცემით. რაც შეეხება რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ბრძოლის სურათებს, იაკობინელთა გამარჯვების შედეგად საზოგადოებაში შექმნილ ვითარებას, მის შესახებ მწერალი კვლავ დუმილს არჩევს, სტოვებს ნაწარმოებს დაუმთავრებელს.

ის გარემოება, რომ გოეთე რევოლუციის თემაზე დაწერილი ნაწარმოებებიდან მომეტებულად იმათ ტოვებს დაუმთავრებელი სახით, რომლებშიაც მას, თავისი გეგმის თანახმად, მასობრივი რევოლუციური ბრძოლის სურათები უნდა მოეცა, არამც და არამც არ ნიშნავს, რომ იგი ეშვის ქვეშ აყენებს თავის შეხედულებას რევოლუციის წარმომშობ მიზეზებზე, მასების უფლების შესახებ რევოლუციაზე. დგას რა იმ თვალსაზრისზე, რომ რევოლუციები კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში აუცილებელი ხდება, მწერალი, ბუნებრივია, თავის თავს გადაულახავი დაბრკოლების წინაშე ხედავს, როცა რიგ თავის ნაწარმოებში მიზნად ისახავს რევოლუციის გაშლილი სურათის ჩვენებას, ამასთანავე საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის თავისი გეგმის ჩვენებას, გეგმისა, რომელიც რიცხავს რევოლუციას და კურსს იღებს მშვიდობიან განვითარებაზე.

ერთი მხრივ, მწერალს ამ რიგის ნაწარმოებებში უნდა ეჩვენებინა, თუ როგორ ხდებიან მასები იძულებულნი ხელთ აიღონ

იარაღი, დაიწყონ მასობრივი პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც მწერალს სამართლიან ბრძოლად მიაჩნია, მეორე მხრივ კი უნდა ეჩვენებინა ეს მასები თავის უდიდეს ნაწილში როგორც „თავისუფლების ყალბ მოციქულთა“ მიერ მოტყუებულნი. ეჩვენებინა რევოლუციის გამარჯვების შედეგად თუ როგორ გახდა ეს მასა „თავისივე თავის მტერი“. თავისთავად ცხადია, როცა დიდი რეალისტი მწერლის წინაშე დაისვა თავისი წინააღმდეგობრივი ხასიათის გეგმის განხორციელების საკითხი, მან დუძილი არჩია. მართალი წერის დიდმა ალღომ უკარნახა მწერალს უარი ეთქვა თავისი მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელებაზე. მწერლის ამგვარი ნაბიჯი განაპირობა არა მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ იგი წინააღმდეგობის ხლართში გაება რევოლუციური მასის როლის პრაქტიკულად ჩვენებისას, არამედ იმ გარემოებამაც, რომ მან იგრძნო წინააღმდეგობრიობა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის იმ გეგმისა, რომელსაც იგი აყენებდა თავის სხვადასხვა სახის ..ნაწერებში, იგრძნო. რომ რეალური სინამდვილე არ ამართლებს მის ვარაუდებს, რომ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ადამიანთა შორის არ დამყარდება ის იდეალური დამოკიდებულება, რომელსაც იგი საჭიროდ აღიარებდა. ის ფაქტი, რომ გოეთემ ამ პუნქტში არჩია დუმილი, დაუმთავრებელი დატოვა თავისი ნაწარმოებები, მოწმობს მასთან რეალობის გრძნობის გამარჯვებას, შემოქმედებითი მარცხის თავიდან აცდენას.

თ ა ვ ი VI

ხალხთა ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლი მწერალი

აქამდე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ბურჟუაზიული რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულება წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, რომ, აკრიტიკებს რა რევოლუციას, იგი ამასთანავე აღიარებს მის დადებით მნიშვნელობას, აღიარებს, რომ რევოლუცია ხალხთა საარსებო ინტერესებს ექომაგება და გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში ხდება აუცილებელი და გარდაუვალი. ჩატარებულმა კვლევამ აგრეთვე გვიჩვენა, რომ დიდი ისტორიული მოვლენისადმი გოეთეს ამგვარი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება არ იძლევა საფუძველს გამოვაცხადოთ მწერალი მსოფლმხედველობრივად დაფლეთილად, უარვყოთ შინაგანი კავშირი მის სოციალურ-პოლიტიკურ ნააზრევში. ჩვენ დავინახეთ, რომ ბურჟუაზიული რევოლუციისადმი გოეთეს წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაში მაინც არის შინაგანი კავშირი, სისტემურობა. მწერალი მაინც ახერხებს შეიტანოს გარკვეული სიმწყობრე რევოლუციის შესახებ გამოთქმულ შეხედულებებში და ამას ახერხებს იმის შედეგად, რომ მისთვის ყოველთვის, მაშინაც, როცა რევოლუციას აკრიტიკებს და მაშინაც, როცა მის ისტორიულ მნიშვნელობას აღიარებს, გამოსავალ პუნქტს წარმოადგენს ხალხზე ზრუნვის, მისთვის ბედნიერი მომავლის შექმნის ინტერესები.

როცა აკრიტიკებს ბურჟუაზიულ რევოლუციას, გოეთეს სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ამ რევოლუციას არ შეუმსუბუქებია ტვირთი ხალხისათვის, არ განუხორციელებია ის ლოზუნგები, რომლებიც მის დროშაზე ეწერა, ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების ლოზუნგები. ბურჟუაზიულ რევოლუციაში მწერალს განიზიდავს ამ რევოლუციის სწორედ ბურჟუაზიული ხასიათი, ბურჟუაზიის ფარისევლობა, მატყუარობა და ეგოიზმი, მის

მიერ სოციალური ჩაგვრის ახალი ფორმის დაკანონება. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია უმტკიცებს მწერალს, რომ ხალხს ამ რევოლუციის შედეგად ტვირთი არ შემსუბუქებია, კვლავ სიღარიბესა და გაჭირვებაში ცხოვრობს.

გამოდის რა ბურჟუაზიული რევოლუციის კრიტიკით, გერმანიაში მისი გავრცელების მიზანშეწონილობის უარყოფით, გოეთე, როგორც ითქვა, თავის შეზღუდულობას, რევოლუციით დაშინებული გერმანული ბიურგერის განწყობილებებსაც გამოხატავს, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც იგი რჩება მაინც ერთგული თავისი ჰუმანიურ-დემოკრატიული მისწრაფებების, რადგან მას ამოძრავებს თავისი ქვეყნის, საერთოდ, ხალხების კეთილდღეობის ინტერესები. აკრიტიკებს რა ბურჟუაზიულ რევოლუციას, მწერალი რჩება ერთგული და თავგამოდებული დამცველი იმ იდეალებისა, რომლებიც რევოლუციამ გადმოისროლა, ერთგული განმანათლებლური იდეალებისა.

ამავე წანამძღვრიდან გამოდის გოეთე, როცა რევოლუციის დადებით მნიშვნელობას აღნიშნავს. ამ შემთხვევაშიაც მას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ რევოლუცია ხალხის ინტერესებს ექომაგება, რომ ფრანგი ხალხი იმიტომ გამოდის რევოლუციის დასაცავად, რომ ამას მისი საარსებო ინტერესები უკარნახებს. ამავე წანამძღვრიდან გამოდის გოეთე, როცა იმუშავებს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის გეგმას, უარყოფს როგორც ფეოდალურ, ისე ბურჟუაზიულ ჩაგვრას და აყენებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ახალ ფორმას, რომლისთვისაც უცხოა სოციალური ჩაგვრა და კონფლიქტები. ასე აკავშირებს და შინაგანი სიმწყობრის სახეს აძლევს მწერალი თავის შეხედულებებს ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ, გვაძლევს გარკვეულ სისტემას ამ შეხედულებებისა.

ამ სისტემის არსი შემდეგი სახით წარმოგვიდგება: რევოლუციის წარმოშობის მიზეზია სოციალური ცხოვრების სიდუხჭირე, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, სიღარიბე და გაჭირვება. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციას ასეთი ღრმა სოციალური მიზეზები აქვს, მისი თავიდან აცილება შესაძლებელია, თუკი ხელისუფლების მესვეურები აწარმოებენ ხალხისათვის ტვირთის შემსუბუქების პოლიტიკას, თუ ისინი სახელმძღვანელოდ გაიხდიან ხალხის სამსახურის იდეას. თუ ამგვარი პოლიტიკის ნაცვლად გატარდება ანტიხალხური პოლიტიკა, მაშინ რევოლუცია გარდაუვალი ხდება, მაშინ ხალხი აღსდგება და მას უფლებაც აქვს აღსდგეს სამართლიანი საქმის დასაცავად.

მაგრამ მეორე მხრივ, ბურჟუაზიულ რევოლუციას, გოეთეს გაგებით, საზოგადოებისათვის მოაქვს დიდი უბედურებაც, იგი ხალხის დაცვის აბრით გამოდის, მაგრამ გზას უკაფავს ახალ სოციალურ ჩაგვრას, ახალ ტირანიას. მას შედეგად მოსდევს საზოგადოებრივი ცხოვრების მყუდროების დარღვევა, საყოველთაო შიში და შეშფოთება. აქედან გამოსული, გოეთე იმუშაევებს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის პროგრამას, რომელიც უარყოფს, როგორც ფეოდალურ, ისე ბურჟუაზიულ ჩაგვრას. მომავალ საზოგადოებაში, ფიქრობს მწერალი, ნამდვილად განხორციელდება სოციალური სამართლიანობა, მიღწეული იქნება ადამიანის გათავისუფლება სოციალური ბორკილებისაგან რევოლუციური ძალდატანების გარეშე. გოეთეს ეს სოციალური კონცეფცია, რასაკვირველია, წინააღმდეგობის შემცველია, გარკვეულად უტოპიური ხასიათისაა ის საზოგადოებაც, რომელსაც გვიხატავს მწერალი „ვილჰელმ მაისტერსა“ და „ფაუსტში“, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მწერალს არ გააჩნია საზოგადოების განვითარებაზე შეხედულებათა გარკვეული სისტემა.

გოეთეს ცხოვრება და შემოქმედება ნათლად გვიდასტურებს ამ მწერლის ღრმა იდეურ კავშირს თავის ხალხთან, მოწინავე კაცობრიობასთან. როგორ ანაქრონიზმად მოჩანს დღეს მტკიცება, რომ გოეთე დიადია მხოლოდ როგორც მწერალი, მაგრამ ადამიანური მოღვაწეობის დარგში კი იგი ხალხისაგან განზე დგას, რანგებისა და ორდენებისათვის მებრძოლია. ისტორიამ დიდი ხანია განაჩენი გამოუტანა ამგვარი შეხედულების დამცველებს.

გოეთეს სიცოცხლეშივე გამოჩნდნენ ხოლმე ადამიანები, რომლებიც მას უწოდებდნენ „თავადების მონას“ და „ხალხის მტერს“. მეტად მწარედ აღიქვამდა ხოლმე მწერალი მისთვის ამ მძიმე ბრალდების წაყენებას; და როცა მის მაუგებელთა რიგებს ცელტერიც მიემატა, მაშინ მასში დაგუბებულმა ნაღველმა აშკარად გადმოხეთქა. „შენ იმის კაცი რომ არ ხარ, სწერდა ცელტერი გოეთეს, — ვაიმარში ხალხს თეატრი აუშენო—ეს მე წინასწარ შემეძლო მეთქვა შენთვის“ [1]. ამ წერილის გამო გოეთე ნაღვლიანად შენიშნავდა: „ხალხს და მის განათლებას მე მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირე. რატომ არ უნდა ამეგო მისთვის თეატრი?“ [2].

ვაიმარში, ამ პატარა რეზიდენციაში, სადაც ერთ მცხოვრებზე მრავალი პოეტი მოდის, არ შეიძლება, გოეთეს აზრით, ვთქვათ,

---

[1] Briefwechsel zwischen Goethe und Zelter, Bd. II, Leipz., 316.
[2] Eckermann, III, 60.

რომ არსებობს სახალხო თეატრის დაარსების პირობები. ვაიმარის საზოგადოებას არ აქვს თეატრული სანახაობის განვითარებული გემოვნება, მას არ შეუძლია დააფასოს ნამდვილი ხელოვნების მნიშვნელობა, ხელოვანსა და მასებს შორის აქ ისე, როგორც მთელს გერმანიაში, ინტერესთა წინააღმდეგობაა. გოეთე ხედავს, რომ გერმანია ჩამორჩა მეზობელ ქვეყნებს; ამიტომ იყო, რომ თეატრის დირექტორად ყოფნის დროს იგი ზრუნვის საგნად იხდიდა იმას, რომ ეზიარებინა გერმანელები ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის. ვაიმარსაც არ ჰყავდა თეატრის მასობრივი და ორგანიზებული მაყურებელი. მწერალი გულმოდგინედ მუშაობდა თეატრის მაყურებლის აღზრდაზე, მისი გემოვნების განვითარებაზე მას, შილერთან ერთად, უხდებოდა ზოგი მკაცრი ზომების გატარებაც თეატრის მუშაობის ძირფესვიანად გარდასაქმნელად. იგი უკან არ იხევდა, რომ ზოგჯერ მკვახედ მიემართნა თეატრის მაყურებლისათვის, როცა ატყობდა, რომ ამ უკანასკნელს ეფექტები იზიდავს. როცა თავისი მხატვრული გემოვნების სიჩლუნგის შედეგად მაყურებლები სპექტაკლის დროს აურზაურს ქმნიდნენ, გოეთე მათ დარბაზიდან გაძევებით ემუქრებოდა. ასევე, როცა მაყურებელთაგან ვინმე უადგილოდ ხარხარს მორთავდა, გოეთე მას მრისხანედ შესძახებდა — man lache nicht! მხატვრული გემოვნების მოდუნება ემჩნეოდა თვით ჰერცოგ კარლ ავგუსტსაც, რომელმაც 1817 წელს, გოეთეს მხრივ სასტიკი პროტესტის განცხადების მიუხედავად, ნება დართო მოხეტიალე მსახიობ კარსტენის სცენაზე მელოდრამაში ძაღლი გამოეყვანა *.

ასეთი იყო ის თეატრული საზოგადოება, რომლის ინტერესის ანგარიშის გაუწევლობას უჩიოდნენ მწერალს როგორც მოწინააღმდეგეები, ისე ზოგიერთი მეგობარიც. გოეთე არჩევდა, რომ ეს მასა აღეზარდა, ისინი აემაღლებინა ხელოვნების ჭეშმარიტი ძეგლების გაგებამდე, ვიდრე ის, რომ თვითონ დასულიყო მათ დონემდე **. ამიტომ წუხდა იგი, რომ მას არისტოკრატისა და ხალხის მოძულის ეპითეტით იხსენიებდნენ.

იგი გაოცებულია, რომ მას ასე აფასებენ. აღშფოთებით ლაპარაკობს გოეთე, რომ მას არ აკმარეს ხალხის მტრობის, ბრალ-

---

* რ. მაიერი შენიშნავს, რომ კ. ავგუსტს პოეზიისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, იგი ბუნებით სამხედრო პირი იყო. Meyer R. Goethe, Berlin, 1898, S. 179.

** შდრ. Ludwig E. Goethe, Geschichte eines Menschen, Berlin, 1928, S. 534.

დება და მიაკერეს ეპითეტი — „თავადების მონა“. „კვლავ ამბობენ, გადმოგვცემს გოეთე, რომ მე თავადების მსახური. თავადების მონა ვარ. თითქოს ამით რაიმე ითქვა. მიმსახურნია მე ტირანთან, დესპოტთან? მიმსახურნია ისეთთან, ვინც თავის მხიარულებას ხალხის ხარჯზე ყიდულობს“? [1]. ლექსში — „Grabschaft“ მწერალი თავს ესხმის იმათ, ვინც მას თავადების მონას უწოდებს.

„Verstanden hat er vieles recht,
doch sollt'er anders wollen;
warum bleibt er ein Fürstenknecht
hätt' unser Knecht sein sollen“ (Sämtl. Werke, Stuttg. u. Tüb., 1853, Bd. II, 136).

იმის გასარკვევად, თუ რამდენად მართებულია გოეთესათვის ხალხის სიძულვილში ბრალის დადება, თავისთავად ცხადია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, თუ რას ამბობდა ამ საკითხზე თვითონ მწერალი, არამედ ამ უკანასკნელის შემოქმედებასა და პრაქტიკულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მაგრამ იმის უარყოფაც შეუძლებელია, რომ გოეთეს მიერ მოცემულ თვითდახასიათებასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს დასმული საკითხის გასარკვევად.

გოეთეს ნააზრევში გარკვევით ჩანს ტენდენცია განიხილოს ხალხი, როგორც საფუძველი და სტიმულის მიმცემი საზოგადოების, კულტურის ჯანსაღი განვითარებისა, წამოაყენოს ხალხთა შორის სოლიდარობის, მათი მშვიდობიანი თანაარსებობის პროგრამა, გამოსული იმ წანამძღვრიდან, რომ ხალხი თავისი ბუნებით კეთილი და მშვიდობის მოყვარეა, რომ ხალხთა „სასიცოცხლო მდგომარეობა“, მათი განცდები და შეგრძნებანი საფუძველში ერთნაირია (Eckermann, I, 140).

გოეთე საფუძველშივე უარყოფს საზოგადოების რომელიმე ნაწილის განსაკუთრებულობის იდეას, თავის თავს თვლის იმათ ბანაკში, ვინც განზე დგას ე. წ. რჩეული საზოგადოებისაგან, რომელიც თავის წინაპრად აცხადებს ბიბლიურ ადამს (ibid., II, 16). მწერალი ირონიით ლაპარაკობს მათზე, მიაჩნია, რომ მათ გაუსწრეს ე. წ. არარჩეულ ხალხს — ნეგრებს, ლაპლანდიელებსა და სხვებს ფულის საქმეში (ibid., 17); „მე რომ მთავარი ვყოფილიყავი, ეუბნება გოეთე ეკერმანს, არასდროს არ დავაყენებდი პირველ

[1] Eckermann, III, 63.

პოსტზე იმ ადამიანებს, რომლებიც დაწინაურდნენ თავიანთი წარმოშობის ანდა უფროსობის მიხედვით" (ibid., III, 164 — 165).

ხელოვანის წინაშე გოეთე მთავარ მოთხოვნად აყენებს ხალხისადმი სამსახურს. დიდი დრამატიული პოეტი, ფიქრობს იგი, გარკვეულ პირობებში აღწევს იმას, რომ მისი პიესების სული იქცევა ხალხის სულად (ibid., 101.). ამაში ხედავს გოეთე მიზეზს კორნელის, ბერნსის, ტასოს და სხვათა სიდიადისა.

რაც შეეხება პირადად მას, გოეთეს, იგი დარწმუნებულია, რომ სულითა და გულით ემსახურება ხალხს, მისი აღზრდისა და გაკეთილშობილების, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეს. იგი ირიბად ადასტურებს სისწორეს ეკერმანის შენიშვნისა, რომ „ეგმონტი" წარმოადგენს ხალხის თავისუფლების დაცვას, განმარტავს, რომ მასში „ხშირად იმას ხედავენ, რაც არ არის მის ბუნებაში" (ibid., 33). გოეთეს მხედველობაში აქვს არისტოკრატიულობისა და ხალხის სიძულვილის ბრალდება, რომელსაც მას, მისი ღრმა რწმენით, სრულიად უსაფუძვლოდ უყენებდნენ. თუ საქმე ასე არასწორად გაგებულ არისტოკრატიულობაზე მიდგა, მაშინ, ფიქრობს გოეთე, მასზე უფრო შილერი შეიძლება ჩაითვალოს არისტოკრატად და ეს მაშინ, როცა მას ხალხის მეგობარს უწოდებდნენ (ibid.). მწერალს ამ შემთხვევაში სურს არა იმის თქმა, რომ შილერი არისტოკრატიული მიდრეკილების მწერალია, არამედ იმის ცხადყოფა, თუ როგორ ცდებოდნენ თვით მის, გოეთეს, შეფასებაში, როცა ბრალს დებდნენ არისტოკრატიულობასა და ხალხის სიძულვილში.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ გამოსვლა, რევოლუციური მასის კრიტიკა, გოეთეს გაგებით, არ ნიშნავს ხალხის წინააღმდეგ გამოსვლას, რადგან რევოლუციის დაწყებაში, ფიქრობს იგი, ბრალი მიუძღვის არა ხალხს, არამედ მთავრობას, რომელიც არ არის სამართლიანი და კეთილგონიერი თავისი ქვეშევრდომების მიმართ (ibid., 32). ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ გამოსვლა, რევოლუციისათვის ევოლუციის დაპირისპირება, ამდენად, მწერლის გაგებით, ნიშნავს ხალხისადმი არა სიძულვილის, არამედ მასზე ზრუნვის გამომჟღავნებას, ხალხის სამსახურს.

გოეთეს მიერ მოცემული თვითდახასიათებიდან ჩანს, რომ მწერალი გადაჭრით უარყოფს მისთვის ხალხის სიძულვილში ბრალის დადებას იმ მოტივით, რომ იგი ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ გამოდის. ასევე ცხადი ხდება, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ გამოსვლა გოეთესათვის არ ნიშნავს არსე-

ბული სოციალური ყოფის დაცვას. იგი გადაჭრით უარყოფს მისთვის ხალხის სიძულვილსა და არსებულის. დაცვაში ბრალის დადების საფუძვლიანობას. არსებულის მეგობრობა, ფიქრობს მწერალი, ნიშნავს მეგობრობას იმისას, რაც ძოძველებული და უვარგისია (ibid., 37). მწერალი განმარტავს, რომ მისი პოზიცია საფრანგეთის რევოლუციის მიმართ არ იძლევა საფუძველს ჩაითვალოს იგი არსებულის დამცველად, კონსერვატიული სულისკვეთების ადამიანად, რადგან მას სრულიადაც არ აქვს მხედველობაში არსებულის მიღება იმ სახით, როგორც ის მოცემულია, არამედ, მისი შეცვლა, გარდაქმნა, ოღონდაც ძალდატანების. ისიც გარედან თავსმოხვეულის, გარეშე. გოეთეს მიაჩნია, რომ „თვითეული ერისათვის მხოლოდ ის არის კარგი, რაც მისი საკუთარი, შინაგანი არსებობიდან გამომდინარეობს“ (ibid.), რომ „სისულელეა ყოველგვარი ცდა შემოღებულ იქნას უცხოური სიახლე, რისი მოთხოვნაც არ არის ღრმად ფესვგადგმული საკუთრივ ერის წიაღში“ (ibid.), რომ „ღმერთი ყოველი ასეთი ჯანყის წინააღმდეგია“ (ibid.)**.

გოეთეს მიერ მოცემული თვითდახასიათებიდან ცხადი ხდება, რომ მწერალი არ დგას არსებულის ხელუხლებლად დატოვების ნიადაგზე, რადგან მისთვის ცხადია, რომ საზოგადოება ვითარდება, რომ „დრო მუდმივად წინ მიდის და ადამიანთა საქმეები ყოველი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ახალ სახეს იღებს“ (ibid.). ბუნებრივია ამიტომ, რომ გოეთე უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანებს ებადებათ „მოთხოვნა დიდი რეფორმებისა“ (ibid.) და ასეთ პირობებში მწერალს სავსებით გამართლებულად მიაჩნია დიდი რეფორმატორების გამოსვლა, მათი საქმეების წარმატებით დაგვირგვინება. ასეთ დიდ რეფორმატორებად მიაჩნია გოეთეს იესო ქრისტე და მარტინ ლუთერი, რომელთა გამოსვლა, ფიქრობს იგი, განპირობებული იყო ხალხთა მოთხოვნით. ასეთი პარალელით გოეთეს სურს ცხადყოს, რომ საზოგადოების განვითარება გარკვეულ ეტაპზე მოითხოვს დიდი სოციალური რეფორმების გატარებას რევოლუციური ძალდატანების გარეშე. ამ პარალელით გოეთეს აგრეთვე სურს ცხადყოს, რომ რე-

---

** გოეთეს ამ მოსაზრებას მთლიანად იზიარებს ლ. ფოიერბახი, დასძენს რა თავის მხრივ, რომ იქ „სადაც არ არის რევოლუციის აუცილებლობა, იქ რევოლუციას არ გააჩნია ნამდვილი შეგულიანება, ტალანტი, თავი და მან აუცილებლობით უნდა დამარცხება განიცადოს“ (Людвиг Фейербах. Избранные философские произведения, Москва, 1955, т. II გვ. 843).

ვოლუციისათვის სოციალური რეფორმების დაპირისპირება, სრულიად არ ნიშნავს ძველი სოციალური წყობის ნიადაგზე დგომას, არსებულის დაცვას (ibid.). მწერალი გარკვეულად გვანიშნებს, რომ მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის პირველ მესამედშიაც საზოგადოებაში მომწიფებულია კრიზისი, წარმოიშვა დიდი სოციალური რეფორმების გატარების აუცილებლობა. მწერალი ასევე არა ორაზროვნად გვანიშნებს, რომ ახალ დროში მას თავისი თავი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის ერთერთ ასეთ რეფორმატორად მიაჩნია.

ცნობილ პუბლიცისტს, ლ. ბ ო ე რ ნ ე ს გამოაქვს გოეთესათვის მრისხანე განაჩენი. ფეოდალური სასახლეებისადმი მწერლის დამოკიდებულებაში იგი ხედავს არისტოკრატიზმის მონას. „ბრმა სამსახური თავდაუჭერელი დესპოტებისადმი, წერს იგი, გოეთესათვის იყო აღმოსავლური ძვირფასეულობის ბაზარზე ყველაზე გაუმაძღარ სწრაფვათა საგანი. დანარჩენი ყველაფერი მან იპოვა. ამას ეძებდა. გოეთე — ეს გარითმული მონაა მაშინ, როდესაც ჰეგელი გაურითმავი მონაა“ [1]. არისტოკრატიულობასა და ხალხის სიძულვილს ბოერნე ნახულობს გოეთეს ნაწარმოებთა თითოეულ სტრიქონსა და მარცვალში. მასალის გადმოცემის მშვიდსა და მოსვენებულ მანერასაც იგი გოეთეს არისტოკრატიზმს მიაწერს. არც გოეთესა და არც შილერს არ თვლის ბოერნე ხალხის მეგობრად. „მათ არ უყვარდათ ხალხი, წერს ბოერნე, ძაგდათ ხალხი და არაფერი გაუკეთებიათ მისთვის“ [2]. გოეთეს არ უზრუნია გერმანელი ხალხისათვის, არასდროს არ უთქვამს პატარა სიტყვაც კი მის სასარგებლოდ, ამბობს გაცხარებული პუბლიცისტი [3]; იგი ერთი უბედნიერესი კაცთაგანი იყო, რომელიც კმაყოფილი ცხოვრობდა სასახლეში. გოეთე, ბოერნეს გაგებით, წარმოადგენს ისტორიის განვითარების მუხრუჭს, შემაფერხებელ ძალას: იგი სითეთრეა გერმანულ თვალზე. ერთი შეხედვით ეს უბრალო რქოვანა გარსის ნაწილია და მეტი არაფერი, მაგრამ მოაცილეთ იგი და თქვენს წინ თავისი სიცხადით მთელი ქვეყანა გადაიშლება. „ისტორია, ბოერნეს აზრით, ითვლის დიად ადამიანებს, რომელთაც შეიძლება წარსულის დასათაურება ვუწოდოთ. ასეთ ადამიანებს ეკუთვნიან გოეთე

---

[1] Л. Б е р н е. „Из моего дневника“. Сочинения, 1869, С. Петербург, т. I, გვ. 175.

[2] ibid., 153.

[3] ibid., 161.

და შილერიც“ [1]. ბოერნე იმას უსაყვედურებს გოეთეს, რომ ეს უკანასკნელი, თავისი მრავალი სიტყვიერი განცხადების. მიუხედავად, არ არის ლიბერალი.

გოეთესადმი ბოერნეს დამოკიდებულებაში იგრძნობა ამ პუბლიცისტის თვალსაზრისის შეზღუდულობა, წარსულის მეცკვიდრეობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება. იწყებს რა გოეთეს ადგილის შეფასებას გერმანული კულტურის ისტორიაში, ბოერნე ამ მწერალთან ხედავს მხოლოდ სუსტ მხარეს, აზვიადებს ამ უკანასკნელს და სრულიად უმართებულოდ აცხადებს მას გოეთეს შემოქმედების ძირითად მხარედ. ამასთანავე, ბოერნე ვერ იჩენს უნარს გაიგოს გოეთეს ამ სუსტი მხარის მსაზღვრელი საზოგადოებრივი მიზეზები, გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თავისებურება, გაიგოს. რომ დიდი გერმანელი მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების სუსტ მხარეს ტონს აძლევდა ფეოდალური წყობილებისადმი კომპრომისულად განწყობილი გერმანიის ბურჟუაზია, მისი კლასობრივი შეზღუდულობა. ცნობილია, რომ გერმანიის ბურჟუაზიის პოლიტიკურ გამოფხიზლებას ადგილი აქვს არა გოეთეს სიცოცხლეში, არამედ XIX საუკუნის 40-იან წლებში. „მხოლოდ 1840 წლიდან დაიწყეს ფიქრი გერმანელმა ბიურგერებმა საერთო ინტერესების დაკმაყოფილებაზე. ისინი შეიქმნენ ნაციონალისტები და ლიბერალები და მოითხოვეს მფარველობითი ბაჟები და კონსტიტუცია. ისინი ამნაირად მივიდნენ დაახლოვებით იმ საფეხურამდე, რომელზედაც საფრანგეთის ბურჟუაზია 1789 წელს იმყოფებოდა [2].

გოეთეს შესახებ ბოერნეს მიერ გამოთქმულ შეხედულებებში მოიპოვება ჭეშმარიტების მომენტებიც. ბოერნე მართებულად მიუთითებს გოეთეს მსოფლმხედველობის სუსტ მხარეებზე, მართებულად აღნიშნავს, რომ დიდი სოციალური ძვრების ეპოქაში იგი მერყეობას იჩენდა, ზურგს აქცევდა თანადროულობის მწვავე საკითხებს. გოეთეს ამ სუსტ მხარეს ამჩნევდნენ და აკრიტიკებდნენ ამ ეპოქის სხვა მოწინავე ადამიანებიც, მათ შორის ჰაინეც. ცნობილია, რომ ჰაინეც მკვეთრად გამოდიოდა დიდი პოლიტიკური მოვლენებისადმი იმ ინდიფერენტული დამოკიდებულების წინააღმდეგ, რომელსაც გოეთე დროგამოშვებით ამჟღავნებდა, თუმცა ბოლომ-

---

[1] Л. Берне. Парижские письма. Соч. т. II, გვ. 24.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. IV, 1933. გვ. 177.

დე მის შენარჩუნებას იგი ვერ ახერხებდა. პოლიტიკური, სამოქალაქო ენთუზიაზმის უქონლობა, ჰაინეს აზრით, ახასიათებს გოეთეს შემოქმედებას, რაც ისტორიულად უარყოფით როლს ასრულებს *.

გოეთეს შემოქმედების ამ სუსტ მხარეს აღნიშნავდა ფრ. ენგელსი, რომელიც მიუთითებდა, რომ გოეთე დიდი პოლიტიკური ძვრების ეპოქაში მაგრად იკეტავდა ხოლმე კარებს, რათა დარჩენილიყო იქ შეუწუხებლად.

ეს ასეა, გოეთეს მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში უდავოდ არის სუსტი მხარე, რომლის უარყოფა და არ აღნიშვნა შეუძლებელია; მაგრამ ბოერნეს ძირითადი შეცდომა იმაშია, რომ იგი გოეთეს შესახებ მხოლოდ ამ სუსტი მხარის მიხედვით მსჯელობს, აზვიადებს, პრინციპში აყავს იგი და ვერ ამჩნევს მწერალთან იმას, რაც მას აკავშირებს თავის ხალხთან, მოწინავე კაცობრიობასთან, ვერ ამჩნევს მწერალთან მაღალ ჰუმანიურ-დემოკრატიულ მისწრაფებებს. იგი მხედველობიდან უშვებს იმ ფაქტებს, რომლებიც განსაზღვრავენ გოეთეს ამ სისუსტეს, ვერ ითვალისწინებს, რომ ამ სისუსტის მიუხედავად, გოეთე ინარჩუნებს ღრმა იდეურ კავშირს თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლ ხალხებთან, არ მიდის არც ფეოდალური და არც ბურჟუაზიული ურთიერობის აპოლოგიამდე.

ბოერნე მხედველობაში არ იღებს გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობის მომიზეზებას გოეთეს მიერ. იგი მწერალში მხოლოდ თავისი ცხოვრებით კმაყოფილ, ფეოდალურ სასახლესთან დაკავშირებულ არისტოკრატს, ბ—ნ გოეთეს ხედავს, რომლისთვისაც თურმე უცხოა ხალხის ინტერესები. გოეთეს მხოლოდ საკუთარი ეგოისტური ინტერესები ამოძრავებს, იმეორებს ბოერნე მწერლის შესახებ სხვების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. ისტორიამ სასტიკად დასცინა ბოერნეს, როცა მან დიდი გერმანელი მწერალი წარსულის დასათაურებად გამოაცხადა. ბოერნე გოეთეში მხოლოდ ყოველმხრივ კმაყოფილ სასახლის არის-

---

* გოეთე, ფიქრობს ჰაინე, არის „ინდიფერენტ-პანთეისტი" („Die rom. Schule". H. Heines Werke herausg. v. E. Elster, Bd. V, S. 253), მასში არ არის აღფრთოვანება და ენთუზიაზმი. იგი სწერდა ფ. ენზეს, რომ ხელოვნების პერიოდის დამთავრებასთან ერთად იწყება გოეთეანობის დასასრულიც (Г. Гейне. Письма, ч. I, Академия, გვ. 239).

ტოკრატს ხედავს. ამ აზრს მოხერხებულად ჩაეჭიდნენ გოეთეს სხვადასხვა ჯურის ფალსიფიკატორები, რომლებიც, ბოერნესაგან განსხვავებით, ქებადიდებას ასხამენ ამგვარ სერვილისტურ განწყობილებებს.

ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ, რომ გოეთეს ამგვარ შეფასებას არავითარი მეცნიერული საბუთიანობა არ გააჩნია, რომ სუსტი, შემარიგებლური განწყობილებების გამოვლენის მიუხედავად, გოეთე რჩება ერთგული თავისი ჰუმანისტურ-დემოკრატიული იდეალებისა, იბრძვის ხალხთა ბედნიერი მომავლისათვის როგორც ახალგრულსა და თეორიულ-კრიტიკულ ნაწერებში, ისე საზოგადოებრივი მოღვაწეობის დარგში, რჩება თავისი პრინციპების ერთგული. ამ პრინციპების ერთგული მწერალი ჩანს აგრეთვე საფრანგეთის რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში. საკითხის ეს მხარე, უმნიშვნელოვანესი, არსებითი მომენტი გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ბუნების გასაგებად, გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საკითხის გადაწყვეტის სისრულისათვის საჭიროა დამატებითი ექსკურსი, განსაკურთებით იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ისმებოდა ეს საკითხი ისტორიულად და როგორ ისმება იგი დღეს გოეთეს მდიდარი მემკვიდრეობის შეფასებისას.

ჩვენ გზადაგზა აღნიშნული გვქონდა, თუ როგორ სჭიდებდნენ ხელს მთელი რიგი ბურჟუაზიული გოეთელოგები ამ მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების სუსტ მომენტებს და როგორ იყენებდნენ ამ უკანასკნელს იმისათვის, რომ შეექმნათ სხვადასხვა ეპოქაში რეაქციული ბურჟუაზიისათვის სასურველი გოეთეს იდეალი. ამჯერად კი საჭიროა ამ საკითხის უფრო დაწვრილებითი განხილვა. როგორც აღვნიშნეთ, ბოერნეს და კომპ. ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ გოეთეს მემკვიდრეობისადმი სტიმული მისცა გოეთეს შემოქმედების ფალსიფიკატორთა გამოსვლას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ როლი ე. წ. „ჭეშმარიტი სოციალიზმის“ მიმდევრის, კ. გ რ ი უ ნ ი ს ა, რომელიც იხილავს გოეთეს ცალმხრივად, პრინციპში აჰყავს მწერლის სისუსტე. და აცხადებს ამ უკანასკნელს გოეთეს შემოქმედების ძირითად მხარედ. გრიუნი იმარჯვებს ე. წ. „ადამიანურობის“ თვალსაზრისს კულტურის ისტორიაში გოეთეს ადგილის დასადგენად. გრიუნის ამ შრომის გამო ენგელსი სწერდა მარქსს: „გრიუნი ქებას ასხამს გოეთეს ყოველგვარ ფილისტერობას, როგორც ადამიანურს. იგი ფრანკფურტელსა და ჩინოვნიკ გოეთეს აქცევს „ჭეშმარიტ ადამიანად“ მაშინ, როდესაც ყოველ კოლოსალურსა და გენიალურს

გვერდს უვლის ანდა კიდევაც აფურთხებს მას: ასე რომ, ეს წიგნი ბრწყინვალე დამტკიცებაა იმის, რომ ადამიანი = გერმანელ მეშ-ჩანს".

გრიუნი რევოლუციების ზევით აყენებს გოეთეს. იგი ფიქრობს, რომ გოეთემ იგემა რევოლუციის მწარე გაკვეთილები, დააგროვა საკმაოდ ბევრი გამოცდილება. მას სავსებით გამართლებულად მიაჩნია, რომ გოეთე „მოქალაქე გენერალსა" და სხვა ნაწარმოებებში აკრიტიკებს საფრანგეთის რევოლუციას. გრიუნს იზიდავს გოეთეს ის ნაწარმოებები, რომლებშიაც საფრანგეთის რევოლუციას უპირისპირდება ბიურგერული იდილია, რადგან, მისი აზრით, აქ ჩანს ნამდვილი ადამიანი. გოეთეს ნამდვილი ადამიანობა გრიუნს სურს დაინახოს მწერლის მიერ რევოლუციების უარყოფასა და ბურჟუაზიული საკუთრების დაცვაში [1]. რევოლუციაში მონაწილეობა, გრიუნის აზრით, არ არის ჭეშმარიტი ადამიანური საქციელი, რადგან რევოლუციონერებს თვალი კერძო საკუთრების პრინციპების დარღვევაზე უჭირავთ. ამიტომაც ის, ვინც უარყოფს რევოლუციას, კიცხავს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს რევოლუციონერებს, მისი აზრით, არიან ნამდვილი ადამიანები. გრიუნს მიაჩნია, რომ გოეთე განუდგა რევოლუციას, „ჰერმანსა და დოროთეაში" და „გერმანელ ლტოლვილთა საუბარში" ბურჟუაზიული საკუთრების ხელუხლებლობის აპოლოგეტად გამოვიდა, რის გამოც იგი ნამდვილ ადამიანად წოდების ღირსია [2].

როგორც ვხედავთ, გრიუნის მიდგომა გოეთეს მემკვიდრეობისადმი საფუძველშივე მცდარია, რადგან იგი გოეთეს შემოქმედების ძირითად მხარედ აცხადებს იმას, რაც წარმოადგენს მწერლის სისუსტეს, მაგრამ არა ძირითად მხარეს. ნამდვილად დიადი და ადამიანური გოეთეს შემოქმედებაში გრიუნის მიერ ანგარიშში არაა ჩაგდებული [3]. რევოლუციისადმი მწერლის დამოკიდებულება გრიუნის მიერ გამოყენებულია გოეთეს მისტიფიკაციის საშუალებად.

გოეთეს მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებაში საერთო ბოერნესა და გრიუნის პოზიციას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ორივენი იხილავენ გოეთეს ცალმხრივად, ხედავენ მწერალში მხო-

---

[1] K. Grün, Über Goethe vom menschlichen Standpunkte, Darmstadt, 1846, S. 151.

[2] Ibid., 152.

[3] ე. კარო გოეთეს სიდიადეს მის ფილისტერულ შეზღუდულობაში ხედავს (Caro, 286).

ლოდ ფილისტერულ მიდრეკილებებს. განსხვავება იმაშია. რომ ბოერნე აკრიტიკებს გოეთეს ფილისტერობას და ამ საფუძველზე მკაცრი მსჯავრი გამოაქვს მწერლისათვის მაშინ, როდესაც გრიუნი ქება-დიდებას ასხამს, ჟეშმარიტი ადამიანობის გამოვლენად მიიჩნევს გოეთეს ფილისტერობას. ახალი პერიოდის ბურჟუაზიული გოეთეანის მთელი რიგი წარმომადგენლები იღებენ გამოსავალ პუნქტად გრიუნის დებულებას, მიიჩნევენ, რომ გოეთეს ბუნებას შეესაბამებოდა არსებული სოციალური ყოფისადმი თანაგრძნობითი და არა კრიტიკული დამოკიდებულება, რომ ის ნაწარმოებები, რომლებშიაც მწერალი სოციალური სიდუხჭირის წინააღმდეგ იბრძვის, წარმოადგენს მწერლის თვითაღზრდის, თავისი თავის ძიებისა და ბოლოს სასახლის კარზე მის მიერ თავისი თავის ნახვის პერიოდს. ერთიანობის ძიება გოეთეს სოციალურ-პოლიტიკურ ნააზრევში სწარმოებს იმ მიმართებით, რომ იმ ნაწარმოებებს, რომლებშიაც გოეთე მკვეთრად ანტიტირანულ შეხედულებებს გამოთქვამდა, მიიჩნევენ მწერლის მხრივ თავისი ბუნებისაგან, მოწოდებისაგან გადახვევად, „ურკონფლიქტისაგან" გაწმენდის საფეხურად. არსებული სოციალური წყობის, ჩაგვრის სისტემის დამცველი გოეთე — აი მწერლის როგორ იდეალს იმუშავებს ბურჟუაზიული გოეთეანა.

პირველი იმპერიალისტური ომის როგორც წინა, ისე მომდევნო ეპოქის ბურჟუაზიულ გოეთეანაში მკვეთრად თავს იჩენს ტენდენცია გამოიყენონ რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულების საკითხი პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, კლასობრივი „ზავის" ქადაგებისათვის. პირველი იმპერიალისტური ომის დროს გერმანიის ბურჟუაზია გოეთეს სახელს იყენებდა ომის პროპაგანდისა და შოვინისტური შეხედულებების დასანერგად *. თავის მხრივ საფრანგეთის ბურჟუაზიაც პოეტის მიერ საფრანგეთის რევოლუციის კრიტიკას იყენებდა იმისათვის, რომ ომის

* ამ საკითხზე ჰ. ჰესესთან შემდეგს ეკითხულობთ: „ომის დროს გაიმართა ბრძოლა გოეთეს გარშემო პატრიოტიზმის ინტერესებისათვის. პატრიოტებმა მალე გაიგეს, რომ გოეთე ამ მიზნისათვის გამოუსადეგარია, რომ იგი არ იყო ნაციონალისტი, რომ მან თავის ხალხს ზოგჯერ მართლაც არასასიამოვნო ჟეშმარიტება უთხრა. 1914 წლის ზაფხულიდან სხვა მშვენიერ პირებთან ერთად გაქრა ხსენებიდან გოეთე და რომ ხარეები შეევსოთ აღმოჩენილ და პლაკატირებულ იქნენ სხვა პირები, რომლებიც ნაციონალიზმისა და ომის გამართლებისათვის უფრო გამოდგებოდნენ (H. Hesse. Dank an Goethe. „Die neue Rundschau", April, 1932, Berlin—Leipz. S. 527).

ბთელი პასუხისმგებლობა იმპერიალისტური გერმანიისათვის დაეკისრებინა.

გერმანიის იმპერიალიზმმა ხელი ჩასჭიდა გოეთეს ე. წ. ოლიმპიელობის ვერსიას და შეეცადა გამოეყენებინა გოეთე რევოლუციის აჩრდილისაგან გერმანიის იმპერიალიზმის დასაცავად. ამიტომ ვარჯიშობდნენ ხოლმე მშვიდი და მორჩილი გოეთეს სახის დასადგენად, „ამტკიცებდნენ“ გოეთეს მეტაფიზიკოსობას, კანტიანელობას და სხვა. პოეტის პიროვნებას ამოფარებული, გერმანიის ბურჟუაზია ქადაგებდა კლასობრივ „ზავს“, მუშებისა და კაპიტალისტების ინტერესების „შერიგებას“.

აყენებდა რა უწყინარი გოეთეს იდეალს იმპერიალისტური ბურჟუაზია შორს იყო იქიდან, რომ დაეხატა გოეთეს ჭეშმარიტი სახე, ეჩვენებინა ხალხთა შორის მშვიდობისა და ურთიერთგაგების მქადაგებელი, მტაცებლური ომის სასტიკი მოწინააღმდეგე მწერალი. უწყინარი გოეთეს, გოეთე — მშვიდი ნესტორის იდეალის წამოყენება იმპერიალისტური ბურჟუაზიის მიერ გამიზნული იყო მშრომელი მასების ექსპლოატაციის კიდევ უფრო გაძლიერებისა და ახალი იმპერიალისტური ომის მომზადებისათვის. გამოსავალ პუნქტად მწერალზე ასეთ ოპერაციის წარმოებისას მეტწილად მიჩნეული იყო გოეთეს დამოკიდებულება ბურჟუაზიული რევოლუციისადმი.

მწერლისადმი გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის ამგვარი დამოკიდებულება მკვეთრად გამოვლინდა გოეთეს გარდაცვალებიდან 100 წლისთავზე, როცა გოეთეს პიროვნებას, კერძოდ მის დამოკიდებულებას საფრანგეთის რევოლუციისადმი იყენებდნენ ქვეყნის შიგნით მშრომელთა ექსპლოატაციის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის, ხალხთა შორის სიძულვილის, ნაციონალისტური შუღლის გაღვივებისა და ახალი ომის მომზადებისათვის. გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის ეს სწრაფვა აისახა XX საუკუნის 20 — 30-იანი წლების გერმანულ ბურჟუაზიულ გოეთეანაში. გერმანიის ბურჟუაზიის ეს მისწრაფება პროგრამული სახით აისახა ჰინდენბურგის წერილში, რომელიც იუბილეს დღეებში გამოქვეყნდა. ამ წერილის ძირითადი აზრი იმის მოთხოვნაში მდგომარეობდა, რომ გოეთე უნდა გამხდარიყო ქვეყნის შიგნით მშრომელთა მხრივ კაპიტალისადმი წინააღმდეგობის შეწყვეტის, საერთაშორისო ასპარეზზე კი — გერმანიის რეაქციული ბურჟუაზიის რევანშისტული მოთხოვნების განხორციელების იარაღი.

გოეთეს გაგებას გერმანიის ამდროინდელი ბურჟუაზია მჭიდროდ უკავშირებს ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობას,

კაპიტალიზმის კრიზისის ლიკვიდაციის ან შენელების ამოცანას. იგი ცდილობს აქციოს დიდი მწერალი გერმანიის იმპერიალიზმის შერყეული პოზიციების აღდგენის, ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი ომის გაჩაღების სიმბოლოდ, ე. წ. „დიდი გერმანიის“ შექმნის სიმბოლოდ. იგი ცდილობს გოეთეში მხოლოდ გერმანელი, სხვა ხალხების, კერძოდ, ფრანგების მოძულე პიროვნება დაინახოს, უგულებელყოს დიდ გერმანელ მწერალში ინტერნაციონალისტური, ჰუმანისტური სულისკვეთება, დასახოს იგი პირწავარდნილ ნაციონალისტად.

მებრძოლ ბანაკთა შორის 20 — 30-იანი წლების ბურჟუაზიულ გოეთეანაში ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს გოეთეს გერმანელობის საკითხი. ის გარემოება, რომ გოეთე ვერ დააფასეს მონარქიული გერმანიის მესვეურებმა, მოხერხებულად იქნა გამოყენებული ფრანგი ბურჟუაზიული გერმანისტების მიერ, რათა დაესახათ მწერალი ბურჟუაზიული საფრანგეთის დიდ მეგობრად. ასე მაგალითად, პანჟი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ელზასში ყოფნამ და ფრანგულმა კულტურამ შეუქმნა გოეთეს განვითარების ყოველგვარი პირობა. იგი ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც უგულვებელყოფს ელზასის გავლენას გოეთეს განვითარებაზე, „ამტკიცებს“, რომ გოეთეს შტრასბურგში ყოფნა მოასწავებდა პოეტის მიერ დასახული პროექტის — საფრანგეთში კარიერის შექმნის — განხორციელებას, რომ მისთვის ხელი არ შეეშალა ჰერდერს და გერმანელ მოსწავლეთა ჯგუფს[1]. პანჟის მტკიცების პოლიტიკური სარჩული ნათლად ჩანს, როცა იგი ცდილობს გოეთეზე მითითებით გაამართლოს ელზასის შეერთება საფრანგეთთან. „იმაზე უფრო საწინააღმდეგო ისტორიული ჭეშმარიტებისა არაფერია, ვიდრე ის, რომ გოეთეს მემუარებში ვეძებოთ პროტესტი ელზასის საფრანგეთთან შეერთების გამო“[2].

გერმანულსა და ფრანგულ ბურჟუაზიულ გოეთეანას შორის დაპირისპირება კიდევ უფრო თვალსაჩინოდ მოცემულია კურციუსისა და ბალდენშპენგერის შრომებში. კურციუსი თავს ესხმის ლუაზოს დებულებას, რომ გოეთე უფრო მეტად ჰუმანის-

---

[1] J. Pange. Goethe en Alsace, Paris, 1925, P. 213.

[2] იქვე. პანჟის მკაცრი კრიტიკით გამოდის ჰაინერმანი. პანჟის სიტყვებს, რომ გოეთე არ იყო ელზასის საფრანგეთთან შეერთების წინააღმდეგი, ჰაინერმანი უტიფარსა და უაზრო სიტყვებს უწოდებს.

ტია, ვიდრე გერმანელი [1]. იგი არ მალავს, რომ გოეთესათვის ბრძოლას აქვს პოლიტიკური სარჩული. „მართალია, წერს კურციუსი, ლუაზოს შეხედულებას არ იზიარებს ყველა ფრანგი გერმანისტი, მაგრამ ეს შეხედულება არ წარმოადგენს გამონაკლისს, მას აქვს ღრმა ფესვები საფრანგეთის წარსულში. დღეს იწყება დიდი კამათი, წერს კურციუსი, ადამიანთა სხვადასხვა მოდგმას შორის. ამ კამათის შინაარსია გოეთე. ეს კამათი შეიძლება გახდეს ერების რომანი" [2].

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანიის ბურჟუაზიასა და მის ლიტერატურათმცოდნეობას გოეთე სურს აქციოს იმპერიალისტური გერმანიის მკურნალად და მხსნელად. ასე, მაგალითად, გ. ფრიკე წერს: „შეუძლია თუ არა გოეთეს გამოგველაპარაკოს, ჩამოვიდეს თავისი კლასიკურობის პიედესტალიდან და ჩვენს შორის ადამიანის სახით წარმოდგეს? გოეთე გვაძლევს სიმამაცეს... შევასრულოთ დღიური მოთხოვნა, ღრმად გვარწმუნებს, რომ ჩვენც აგრეთვე მოწოდებული ვართ დიდი ამოცანების განსახორციელებლად... ამგვარად, გოეთე აღვიძებს ჩვენში ძალას ყოველი არსებულის შერყევის პერიოდში ვიწამოთ მომავალი" [3].

გოეთე გერმანიის ბურჟუაზიას სჭირდება არა მხოლოდ ეკონომიური, არამედ სულიერი კრიზისის, იმედგაცრუებისა და დაბნეულობის დაძლევის იარაღად. ეს აზრი ნათლად გამოხატა ე. ნოიბაუერმა. იგი გრძნობს კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის სუსხს. „ეპოქის საჭიროება აღვიძებს ძალებს, წერს ნოიბაუერი. როცა დღეს გერმანელი ხალხი იგებს თანამედროვე კრიზისის სერიოზულობას, კრიზისისა, რომელიც მთელს მის არსებობას სულის უკანასკნელ საძირკვლამდე იპყრობს და კითხვის ქვეშ აყენებს, იგი მარად თავდაცვის ძალებზე, განახლებასა და აღორძინებაზე

[1] Curzius E. Goethe ou le classique allemand. „La nouv. revue française, Paris, mars, 1932, p. 343. ა. ჟიდი აღნიშნავს, ოომ გოეთე „ფრანგებს უფრო ნაკლებ გერმანელად მიგვაჩნია, ვიდრე რაინის იქით მცხოვრებ ავტორებს" (A. Gide. Goethe. დასახელებული კრებული, გვ. 368). ჟიდი უკან არ იხევს იქიდანაც, რომ გასდოს ხიდი გოეთესა და ნიცშეს შორის (ibid., 375), დაინახოს გოეთესთან შესაძლებლობაში მოცემული ნიცშე, ფაუსტში — ნიცშეს ზეადამიანი (ibid.). გოეთესა და ნიცშეს შორის მიმართებაზე ასეთივე მცდარ შეხედულებას იცავს ჰ. ლიხტენბერგერი (H. Lichtenberger. L'époque classique de Goethe. „Revue des cours et conférences", № 2, 1929, p. 119).

[2] Curzius, 346.

[3] Gerhard Fricke. Gedankenrede auf Goethe, Germ-rom Monatsschrift, Heft 7/8. Heidelberg, 1932, S. 242; შდრ. Heinormann. Goethe in Frankreich, „Euphorion", Stuttgart, 1932, გვ. 339 — 340.

ფიქრობს“ [1]. ამ გასაჭირში გერმანიის ბურჟუაზიას, ნოიბაუერის აზრით, დამხმარე ესაჭიროება, რათაც გოეთე გამოდგება. „გასაჭირში დამხმარის ძიებისას გერმანელთა თვალი, წერს ნოიბაუერი, თავისთავად გოეთეზე, ამ გერმანელ ადამიანზე ჩერდება და მრავალგზის რჩევა-ნაკითხავს, ხელახლა რჩევას ჰკითხავს“ [2].

სწორი არ იქნება, თუ 20—30-იანი წლების ბურჟუაზიულ გოეთეანაში მხოლოდ იმათ დავინახავთ, ვინც გოეთეს აკავშირებს ამა თუ იმ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ბედთან და ანგარიშში არ ჩავთვლიდით იმათ, ვინც ამ მწერალს მთელი კაპიტალისტური სამყაროს ბედთან აკავშირებს. იმპერიალიზმის, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის შემდეგი დროის ბურჟუაზიულ გოეთეანაში ნათლად შეინიშნება ტენდენცია დასახონ გოეთე კაპიტალისტური წყობილების მკურნალად. ამ ტენდენციას რელიეფურად ასახავს ა. სიუარეს შრომა. ავტორი ბრაზს ანთხევს კომუნიზმის წინააღმდეგ და მხსნელად გოეთეს უხმობს. „ევროპა ჩვენს წინაშეა, წერს სიუარე, ბაგრამ იგი ავადაა. ეს საშინელი ცხელება კრუნჩხვის დროს უდავოდ სქესობრივი სიმწიფის ასაკს წარმოადგენს... მთლიანად აღებული, უმჯობესია ავადმყოფი, ვიდრე მკვდარი ევროპა... ევროპის ხსნა მხოლოდ გოეთეს სულშია... გოეთე საუცხოთო მკურნალია“ [3].

მიუხედავად წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობს ბურჟუაზიული გოეთეანას სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის, ერთერთი ძირითადი საკითხის, რეოლუციისადმი მწერლის დამოკიდებულების საკითხის გარშემო მათი წარმომადგენლების უმრავლესობა ნახულობს საერთო ენას. ისინი გოეთეში ხედავენ მშვიდსა და ქაოსის მოწინააღმდეგე პიროვნებას, დადებითად მიიჩნევენ მწერლის მიერ ადრინდელი შტიურმერული მისწრაფებების დაძლევას [4]. გოეთე მტერი იყო „საზოგადოებრივი უწესრიგობის“, ქაოსისა და ანარქიის, ეს მტკიცება მთავარ ზოლად მისდევს რეაქციულ ბურჟუაზიულ გოეთეანას [5]. უწესრიგობასა და ქაოსში, რასაკვირვე-

---

[1] E. Neubauer. Goethes religiöses Erleben im Zusammenhang seiner intuitiv-organischen Weltanschauung, Tüb., 1925, S. 1.

[2] იქვე.

[3] A. Suarés, Goethe l'universel., La nouvelle revue française. 1er mars, 1932, Paris, p. 390; შდრ. J. Cohn.—Wilhelm Meisters Wanderjahre; „Logos“, Bd. I, Heft. 2, S. 26.

[4] შდრ. ბალდენშპენგლერის ხევით დასახელებულ შრომას, გვ. 119.

[5] შდრ. Ludwig, E. Goethes Weg zum Idealstaat. „Die neue Rundschau“, April, 1932, Berlin u. Leipz., SS. 505—50. შდრ. აგრეთვე Alt, K., SS. 52, 74;

ლია, ნაგულისხმევია გალაშქრება კაპიტალისტური წყობილების საფუძვლების წინააღმდეგ. ეს აზრი აქვს პ. ამანის მტკიცებას, რომ „გოეთე არის ნორმალური გერმანელი, პატრიოტი“, რომ მან, გოეთემ „იცოდა ზომიერება“ [1]. იგივე აზრი აქვს ბ. კროჩეს მტკიცებას, რომ გოეთე სიმშვიდისა და სერიოზულობის განსახიერებაა [2].

რეაქციული ბურჟუაზია უხმობს გოეთეს შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობის შესანელებლად. გოეთეს გამოსვლა რევოლუციის წინააღმდეგ, მისი ფილისტერობა აჰყავთ პრინციპში, რათა ქვეყნის შიგნით იქადაგონ კლასობრივი „მორიგება“. დიადსა და კოლოსალურს გოეთეს პიროვნებაში, რაც არ ეტევა კაპიტალიზმის ჩარჩოებში, მისტიკურ ბურუსში ხვევენ, რათა წინა რიგზე წამოწიონ გოეთეს შემარიგებლობა და კონსერვატიზმი.

გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ამგვარი მისტიფიკაციის ხაზს აგრძელებს და აღრმავებს გერმანიის ფაშიზმი, იგი ცდილობს აქციოს მწერალი რასიული თეორიისა და ანტისემიტიზმის მიმდევრად, გამოიყენოს გოეთეს პიროვნება შოვინისტური იდეების პროპაგანდისათვის, მტაცებლურ-ექსპანსიონისტური მიზნებისათვის. გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების მისტიფიკაციის ხაზს აგრძელებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბურჟუაზიული გოეთელოგია.

ასეთია გოეთეს პროფილი ბურჟუაზიულ გოეთეანაში, კერძოდ, რევოლუციისადმი მწერლის დამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტა. ცხადად ჩანს, რომ ბურჟუაზიულმა გოეთელოგებმა ვერ შესძლეს გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ჰეშმარიტი სახის დადგენა, ბევრი მათგანი დაადგა მწერლის შემოქმედების მისტიფიკაციის გზას, დასახა იგი იმ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის იარაღად, რომლებიც ახასიათებს კაპიტალისტურ საზოგადოებას. ეს ცხადია, არ გვაძლევს საფუძველს უარვყოთ, რომ რიგმა ბურჟუაზიულმა გოეთელოგმა ჩაატარა პოზიტური მუშაობა, მაგრამ კვლევის მანკიერი მეთოდოლოგიის გამო მათი კვლევა არ გასცილებია ფაქტობრივი მასალის დაგროვების, საერთოდ ფილოლოგიური ძიების ფარგლებს ამ სიტყვების ვიწრო მნიშვნელობით.

---

[1] Amann, P. Goethe et les catastrophes politiques de son temps. „Europe“, 15 avril, 1932, Paris, p. 65 [569].

[2] B. Croce. Goethe et la métamorphose poétique. იგივე ჟურნალი „Europe“, ss. 144 [648].

გოეთეს შემოქმედების ჭეშმარიტად მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის 40-იან წლებში, რაც დაკავშირებულია ამ პერიოდში საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ დიდ სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებთან, რევოლუციური პროლეტარიატის გამოსვლასთან თავისი დამოუკიდებელი პროგრამით, იმ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენასთან, რომელიც მეცნიერული სოციალიზმის თეორიის შექმნაში გამოიხატა. მეცნიერულ გოეთელოგიას საფუძვლები ჩაუყარეს კ. მ ა რ ქ ს მ ა და ფ რ. ე ნ გ ე ლ ს მ ა. მათ მოგვცეს გოეთეს შემოქმედების ბრწყინვალე ანალიზი, ფუძემდებელი დებულებები ამ მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების საკვანძო საკითხების, მათ შორის რევოლუციებისადმი მისი დამოკიდებულების შესასწავლად.

გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების მეცნიერული შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა.

როგორც დავინახეთ, გოეთეს შესახებ ბოერნეს მსჯელობაში მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის არ იხილავს დიდ გერმანელ მწერალს თავის წინააღმდეგობაში, არამედ იხილავს მას ცალმხრივად, ამჩნევს მასში მხოლოდ უარყოფით მხარეს, სასახლეებისადმი სერვილისტურ დამოკიდებულებას. გოეთეს ცხოვრება და შემოქმედება კი გვაძლევს არა ერთ მაგალითს იმის გასაგებად, რომ პოეტი არც თუ თავისუფლად გრძნობდა თავს ფეოდალურ გერმანიაში *. ამას გვიდასტურებს ის მელანქოლიური განწყობილება, რომელიც თავს იჩენს ამ პერიოდის გოეთეს სიტყვებსა და წერილებში, მელანქოლია, რომელიც არასდროს არ გადადის სასოწარკვეთაში, მწერალს პოზიტურ საქმიანობაზე ხელს ვერ აღებინებს.

---

* გოეთეზე ვაიმარის სასახლის უარყოფითი გავლენის შესახებ ი. გ ა ს ე ტ ი შემდეგს წერს: „ჩვენ დღეს-დღეობით შეგვიძლია შევნიშნოთ ის გამაქვავებელი გავლენა, რომელიც მასზე (გოეთეზე — გ. ბ.) მოახდინა ვაიმარმა. ის ქანდაკებასავით ქვავდება... გოეთე იწყებს ცხოვრებას თავისი... მოწოდების აზრის წინააღმდეგ. საზომი მეტად დიდი გახდა და შეავიწროვა გოეთეს ცხოვრების ნამდვილი არსი. გოეთე ცეცხლია, რომელიც ითხოვს ბევრ შეშას, ვაიმარში კი არ არის საწვავი, მასალა ისე, როგორც არ არის ატმოსფერო. იგი არის გეომეტრიული ადგილი, აბსტრაქციების დიდი საჰერცოგო, მიბაძვის, სიყალბის ადგილი. გოეთე იღებს თავისი მდგომარეობით უკმაყოფილების სახეს, იგი მინისტრია, ნამდვილად კი არა, თეატრის დირექტორია და ძაგს ეს საქმე (I. O. G a s s e t. Um einen Goethe von innen bittend. „Die neue Rundschau, „April, 1932, S. 569).

ოფიციალურ გამოსვლებში, სიტყვებსა და მიმოწერებში გოეთე ცდილობს დაფაროს თავისი უკმაყოფილება, მაგრამ ადვილი შესამჩნევია, რომ იგი თავს შეზღუდულად გრძნობდა. ეს უკმაყოფილება მოჩანს დედისადმი გაგზავნილ ერთ წერილში, რომელშიაც ვკითხულობთ: „თუ კი სიცოცხლეს გამოვემშვიდობე, მაინც ხომ სამარცხვინოდ არ მიცხოვრია?! მე მრჩება კარგი მეგობრები, სახელი და ეს იქნება შენთვის საუკეთესო ნუგეში იმისა, რომ მე მთლიანად არ მოვმკვდარვარ“. ზოგჯერ მწერლის უკმაყოფილების გრძნობა ძნელად გამოსაცნობია, მაგრამ ზოგჯერ იგი აშკარად ჩანს. ეკერმანთან საუბარში მწერალი ჩიოდა, რომ მას სამსახურის საქმეები მძიმე ტვირთად აწვება, რითაც ფერხდება მისი ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობა. მწერლის უკმაყოფილება აშკარად იჩენს თავს ჰერცოგისადმი იტალიიდან გაგზავნილ წერილში, აგრეთვე კნებელისადმი გაგზავნილ წერილშიაც.

ტრადიციული კრიტიკა გოეთესა და ჰერცოგს შორის დამოკიდებულებას თვლის იდეალურად. ოფიციალურ გამოსვლებში თვით გოეთეც ამგვარად აფასებდა ვაიმარის ჰერცოგსა და მას შორის არსებულ დამოკიდებულებას. მაგრამ ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ მწერალი უკმაყოფილოა ჰერცოგის საქციელით. იგი აღშფოთებულია, რომ ჰერცოგი უმაგალითოდ ანიავებს სახელმწიფო სახსრებს. „ჰერცოგი მხიარული და კეთილია, აღნიშნავს გოეთე. მაგრამ ხუმრობა ძვირი ჯდება. იგი გავერანებულ ადგილას (აიზენახში) ნადირობისას კვებავს 80 კაცს, ჯაფავს და აღონებს თავისიანებს, ინახავს სხვისი სუფრის შემყურე ორიოდე თავადს, რომლებიც მადლობასაც არ ეუბნებიან; და ყოველივე ამას იგი აკეთებს კეთილი სურვილით, ასიამოვნოს თავის თავსა და სხვებსაც. ღმერთმა იცის, შეიგნებს თუ არა იგი ოდესმე, რომ მაშაალა შუადღისას არავითარ ეფექტს არ იძლევა. მე არ მსურს ვიყო ყოველთვის ფიტული, სხვებს კი იგი არც რჩევას ეკითხება და არც იმას, თუ რის გაკეთებას აპირებს“ [1]. ჰერცოგის საქციელით

---

[1] Lewes, II, 44 — 45; ვაიმარის ჰერცოგის შესახებ გოეთეს გამონათქმებში მოკრძალების გასწვრივ შეინიშნება ფარული ირონია ჰერცოგსა და მის საქმიანობაზე. მწერალი ცდილობს ერთგვარად მოუბოდიშოს ჰერცოგს, ახსნას მის საქმიანობაში შენიშნული ნაკლოვანებები იმით, რომ „მონარქს არ აქვს საკმარისი დრო და მოცლა, რათა დეტალურად გაეცნოს საგნებს, რომლებთანაც უხდება საქმის დაჭერა“ (Eckermann, II, 85). ამას ამბობს გოეთე, რომელიც სხვა შემთხვევაში იმავე ჰერცოგის შესახებ აღნიშნავს, რომ „მას ჰქონდა გონებასა და ხასიათების გამოცნობის უნარი“ (ibid., III, 187), რომ „მისი განსაკუთრებული გონება ბუნების მთელს სამეფოს იგებდა“ (ibid., 186).

უკმაყოფილება იქამდე მივიდა, რომ მწერალი იძულებული გახდა დაეტოვებინა ვაიმარის სასახლე და დროებით იენაში გადასახლებულიყო.

მთავარი მნიშვნელობა ფეოდალური სასახლეებისადმი გოეთეს დამოკიდებულების გამორკვევაში, მწერლის შემოქმედების ხალხური საწყისების ცხადყოფაში ენიჭება არა ვაიმარის ჰერცოგ-

---

ეს ასეა, „წერალი გარკვეულად ცდილობს ჰერცოგის მობოდიშებას, კერძოდ იმ ბრძანების გამო, რომელიც სურათების რესტავრაციის ანაზღაურებას შეეხებოდა, მაგრამ ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ ამ მობოდიშებაშიაც გარკვეული ირონიაა ჩაქსოვილი. გოეთე ამ შემთხვევაშიაც ერთგულია ჰეშმარიტების, თავს აღწევს ჰერცოგის იდეალიზაციას და უჩვენებს, რომ ჰერცოგი, როგორც ხელისუფალი, არაფრით განსხვავდება სხვებისაგან (ibid., II, 85), რომ ხელოვნების საკითხებისადმი იგიც ისეთივე ვულგარულ მიდგომას იჩენს, როგორც სხვა მეფეები, რომ ხელოვნების ძეგლთა შეფასებას იგი მათემატიკური საზომით ახდენს. გოეთე აღნიშნავს, რომ ჰერცოგის ბრძანებით რესტავრირებული სურათების ანაზღაურება უნდა ხდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა სიგრძისა და სიგანისაა სურათი, ერთ კვადრატულ ფუტზე უნდა ეძლეოდეს ერთი ტალერი, ორზე ორი ტალერი, თორმეტზე თორმეტი ტალერი იმის გაუთვალისწინებლად, რომ შესაძლოა 12 კვადრატული ფუტის სურათზე მუშაობამ მოითხოვოს გაცილებით უფრო ნაკლები დრო, ვიდრე მუშაობამ, ვთქვათ, 4 კვადრატული ფუტის სურათზე (ibid.).

ასევე, ჰერცოგზე ირონიაა ჩაქსოვილი გოეთეს იმ სიტყვებში, ორმლებიც შეეხება ვაიმარის ახალი თეატრის მშენებლობის შეწყვეტას და ამ საქმისაგან გოეთეს მეგობრის — არქიტექტორ კუდრეს ჩამოშორებას. ეკერმანი დარწმუნებულია, რომ ეს ამბავი შემაძრწუნებელად და შეურაცხმყოფლად იმოქმედებს გოეთეზე და გაოცებულია, რომ გოეთე მშვიდად იღებს ამ ამბავს, ცდილობს აქ შემთხვევაშიაც ჰერცოგის მობოდიშებას, მაგრამ უკმაყოფილების ჩუმი გრძნობა მაინც თავს იჩენს.

გოეთე არ აკრიტიკებს აშკარად ჰერცოგის ნაბიჯს, პირიქით, გარეგნულად საქმის ვითარების ისე სახავს, რომ ჰერცოგის ნაბიჯი თითქოს გამართლებულია თვით თეატრის განვითარების ინტერესებით, მაგრამ ძნელი არ არის აქაც შევნიშნოთ მისი ღრმა უკმაყოფილება ჰერცოგის გადაწყვეტილების გამო. მწერალს მიაჩნია, რომ ჰერცოგი ხელოვნების საკითხისადმი ამ შემთხვევაშიაც მერკანტილისტურ მიდგომას იჩენს, თეატრში ხედავს ფულადი შემოსავლის გაზრდის წყაროს. ამიტომ უარყო მან, ფიქრობს გოეთე, ახალი თეატრის მშენებლობის გეგმა.

გარეგნულად გოეთე თითქოს ეთანხმება ჰერცოგის მოსაზრებას, რომ „თეატრი სრულიადაც არ უნდა იყოს არქიტექტურული ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოები" (ibid., III, 64), რომ „თეატრი—ეს უპირველეს ყოვლისა ისეთი შენობაა, რომლის მიზანია ფულის მიღება" (იქვე), მაგრამ ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ გოეთე საფუძველშივე უარყოფს ჰერცოგის ამგვარ ვულგარულ უტალიტარიზმს. მწერალი, მართალია, არ აძლევს ამგვარ კვალიფიკაციას ჰერცოგის მიდგომას თეატრისადმი, იგი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ჰერცოგის „ეს შეხედულება მოჩანს ერთობ მატერიალურად", მაგრამ არსებითად იგი ჰერცოგის ნაბიჯში სწორედ ვულგარული ანტიესთეტიზმის გამოვლენას ხედავს.

გოეთე გარეგნულად გადაჭრით არ უარყოფს ხოლმე კარლ ავგუსტის მტკიცებას, რომ თეატრი ფულადი შემოსავლის ზრდის, მოგების მომცეში დაწესებუ-

თან დამოკიდებულების ცალკე ფაქტებს, არამედ მის სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.* თავისი მოწოდების უშუალო სფეროში გოეთე რჩება ერთგული თავისი ანტიტირანული, ანტიფეოდალური შეხედულების, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის სასტიკი მოწინააღმდეგე**. იგი რჩება კვლავინდებურად დიდი

ლება უნდა გახდეს, მაგრამ არსებითად იგი მას საფუძველშივე უარყოფს, რადგან გამოდის სრულიად სხვა წანამძღვრიდან, ვიდრე ჰერცოგი, სახელდობრ, თვით თეატრალური კულტურის განვითარების ინტერესებიდან. გოეთე ფიქრობს, რომ თეატრის ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიება ის იქნება, რომ იგი ხელს უწყობდეს თეატრის ხელმძღვანელების, რეჟისორებისა და აქტიორების პასუხისმგებლობის ზრდას, მათ დაინტერესებას — მიაწოდონ მაყურებელს მაღალმხატვრული სპექტაკლები. გოეთეს მსჯელობიდან სრულიადაც არ ჩანს, რომ თეატრული კულტურის განვითარებას ჰერცოგიც ასე უყურებდეს, რომ ამ აზრით ხელმძღვანელობდა იგი თავის გადაწყვეტილებაში ვაიმარის თეატრის მშენებლობის შეჩერების შესახებ.

* ჰერცოგის საქციელით უკმაყოფილებას ხედავს გოეთესთან რიხტერიც. იგი წერს: „მისი (ე. ი. გოეთეს — გ. ხ.) ბრალი როდი იყო, რომ ყოველთვის ვერ ახერხებდა ჰერცოგის შეტევითი ტემპერამენტის შეხლუდვას“ (Richter, W. Goethe und der Staat, Jena, 1932, S. 8). ლუდვიგიც გოეთესა და ჰერცოგს შორის იდეალური დამოკიდებულების უარყოფიდან გამოდის, მიაჩნია ისინი არსებითად განსხვავებული ბუნების ადამიანებად („Durch Sympathie naiv und rasch verbunden, hatten sich beide nach wenigen Jahren in der grossen Verschiedenheit ihres Wesens erkannt“. E. Ludwig, 386). გოეთეს დამოკიდებულება ვაიმარის ჰერცოგისადმი არ შეიძლება განხილულ იქნას ამ მწერლის საერთოდ ფეოდალური კლასისადმი დამოკიდებულებისაგან იზოლირებულად. გოეთეს შემოქმედება და პოპულარული მოღვაწეობა ვაიმარის სასახლეში იძას გვიმტკიცებს, რომ მწერალს არ შეუცვლია პრინციპში თავისი კრიტიკული დამოკიდებულება ფეოდალური დესპოტიისადმი. ი. ლუახო შენიშნავს, რომ ბურჟუაზიის კრიტიკაში ვაიმარის პერიოდის გოეთე ხაზს უსვამს ბურჟუაზიის ჰორიზონტის შეხლუდულობასა და წვრილმანობას („la mesguinerie de son horizon.“ Loiseau, 74), რომ იგი ბურჟუაზიას ამ მხრივ დაბლა აყენებს ფეოდალურ კლასებთან შედარებით, მაგრამ ლუახო მკვეთრად შორდება ჭეშმარიტებას, როცა იხრება იმის აღიარებისაკენ, რომ პირველ ხანებში ვაიმარში მოღვაწეობისა გოეთე იდეურად ფეოდალურ სასახლეებთანაა დაკავშირებული და მხოლოდ შემდეგ პერიოდში იცვლის ორიენტაციას და თანაც ისე, რომ მიიჩნევს თურმე ბურჟუაზიას საზოგადოების ძირითად კლასად. („Mais par la suite, quand il fut guéri de la premiere griserie qu'il avait éprouvée de ses premiers rapports avec la noblesse de Weimar, il y vit la classe fondamentale de la société“. Ibid., 74).

** გოეთეს ეს მოწინავე შეხედულებები ნათლად ჩანს იმ პოლიტიკის წინააღმდეგ გალაშქრებაში, რომლის გატარებასაც ცდილობდა პრუსიის მონარქია საქსონურ ქვეყნებში. 1779 წელს პრუსიის მეფემ ულტიმატური ფორმით მოითხოვა, რათა მისი რწმენებით აღჭურვილ გენერალ მოელენდორფისათვის საშუალება მიეცათ გაეკეთებინა მობილიზაცია ვაიმარის საჰერცოგოში პრუსიის არმიაში სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი ახალგაზრდობისათვის. საგო-

ჰუმანისტი, ხალხის მოამაგე. ამგვარი განწყობილებები მჭვალავს გოეთეს შემოქმედებას იმ პერიოდშიაც, როცა იგი ვაიმარის სა-

---

ნებელში ჩავარდნილმა კ. ავგუსტმა შეკრიბა საიდუმლო მრჩეველთა კონსილიუმი, რომელსაც ესწრებოდა გოეთეც (იხ. Hans Tumler. Goethes politische Gutachten aus dem Jahre 1779. კრებული შრომებისა — Goethe, Weimar, 1956). თათბირზე გოეთემ გამოთქვა თავისი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემოქმედნა ჰერცოგს ამ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში. მწერლის გამოსვლაში ყურადღებას იქცევს არსებული პოლიტიკური ვითარების ღრმა ცოდნა, სიყვარული თავისი ხალხისა და სიძულვილი ტირანების.

გოეთე დეტალურად განიხილავს თუ როგორი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ვაიმარისათვის ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ, წინააღმდეგ ჰერცოგისა, იგი მოითხოვს სწრაფი და გადამჭრელი ნაბიჯის გადადგმას, თანაც იმასაც ითვალისწინებს, რომ შედეგები ყველა შემთხვევაში არასასიამოვნო იქნება. თუ მიღებულ იქნება პრუსიელთა წინადადება და მათ ნება დაერთებათ ჩაატარონ ახალგაზრდების გაწვევა ჯარში, მაშინ ვაიმარის მოსახლეობას, ფიქრობს გოეთე, ცუდი დღე დაადგება, პრუსიელები, ეს „საშიში ხალხი" („diese gefährliche Leute") ფეხს მოიკიდებენ და ყველგან ფესვს გაუშვებენ. ისინი შეეცდებიან თავისკენ გადაიბირონ საუკეთესო ახალგაზრდები ყოველნაირი „საშუალებით, შეეცდებიან იმასაც, რომ ვაიმარის ჯარისკაცები ჰერცოგს აუმხედრონ („Sie werden mit List und heimlicher Gewalt eine grosse Anzahl wegnehmen, sie werden's an nichts fehlen lassen, selbst die Soldaten Euer Durchlaucht untreu zu machen".—გვ. 98).

გოეთეს ასევე გაუმართლებლად, სახიზღარ და სამარცხვინო საქმედ მიაჩნია, რომ პრუსიელებს ვაიმარელებმა თვითონვე შეურჩონ ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები, დარწმუნებულია, რომ აქედან კარგი არაფერი გამოვა, რადგან უცხოელებზე ძალით გადაცემული ეს ახალგაზრდები სულ მოკლე დროში სამშობლოს მოაშურებენ, ხოლო პრუსიელები კი მოითხოვენ მათ უკან დაბრუნებას, როგორც დეზერტირებისას.

გოეთე წინადადებას იძლევა დამყარებულ იქნას სხვა საქსონურ სახელმწიფოებთან კავშირი და მათთან ერთად გამომუშავებულ იქნას პრუსიის მოძალადეთა წინააღმდეგ მოქმედების საერთო პროგრამა. იგრძნობა, რომ ეს გარემოება მწერალს სურს გამოიყენოს დაქუცმაცებული გერმანიის პოლიტიკური გაერთიანების საშუალებად, წინააღმდეგ იმ საშუალებებისა, რომელთაც პრუსიის მონარქია მიმართავდა. მწერლის ამგვარ პოზიციაში ნათლად ჩანს, რომ იგი დგას თავისი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე, გული შესტკივა მათდამი. იგი გამოდის პრუსიელ მოძალადეთა წინააღმდეგ იმიტომ კი არა, რომ ვაიმარის საახლის ინტერესები ამოძრავებს, არამედ იმიტომ, რომ პრუსიელები ფეხქვეშ თელავენ არა მხოლოდ ვაიმარის, არამედ სხვა ხალხების ინტერესებსაც, ცდილობენ მათ გამოყენებას თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის. გოეთეს გათვალისწინებული აქვს, რომ პრუსია-ავსტრიის კონფლიქტში დანაშაული არ მიუძღვის გერმანელ ხალხს, რომ გაუმართლებელია ხალხის საუკეთესო შვილები გაიყოლიტონ მათთვის ამ სრულიად უსარგებლო წამოწყებებში. მწერალი ამ შემთხვევაში გამოდის არა ვიწრო, კუთხური ინტერესებიდან და არა მხოლოდ ვაიმარის დაცვას ესწრაფვის პრუსიელი მოძალადეებისაგან, არამედ — გერმანული ქვეყნების მშვიდობიანი გაერთიანებისა და თანამშრომლობის ინტერესით ხელმძღვა-

სახლეში ცხოვრობდა, დიდი ისტორიული მოვლენების პირისპირ იმყოფებოდა *. ესაა ჭეშმარიტება, რომელიც ხელახალ აღმოჩე-

---

ნელობს. პრუსიის პოლიტიკა მას ხალხთა ამ მშვიდობიანი თანამშრომლობის ძირის გამომთხრელ, გერმანელი ხალხისათვის უცხო პოლიტიკად მიაჩნია. იგი გადაჭრით ილაშქრებს ხალხთა დაჩაგვრის. ერთი ხალხის მიერ სხვა ხალხებისათვის თავისი ნების თავზე მოხვევის პოლიტიკის წინააღმდეგ, გერმანელ ხალხთა „გაერთიანების“ პრუსიული პროგრამის წინააღმდეგ, რადგან მიაჩნია, რომ ეს პროგრამა ამ ხალხთა ღირსებისა და საარსებო ინტერესების უგულებელყოფას წარმოადგენს. ამგვარი გაერთიანება, მწერლის გაგებაში, არ წარმოადგენს იმას რასაც ესწრაფვის ხალხი, არ წარმოადგენს ხალხთა მშვიდობიან გაერთიანებას არამედ ერთის, ამ შემთხვევაში პრუსიელების. ჰეგემონიას, სხვებისა კი, დამორჩილებას წარმოადგენს. ამგვარი გაერთიანება ხელსაყრელია მხოლოდ პრუსიელებისათვის, რადგან იგი სხვა ხალხზე მათ ბატონობას უზრუნველყოფს. ამიტომაა, რომ გოეთეს იმედი არ აქვს, რომ რაიხსტაგი რაიმე ქმედით დახმარებას გაუწევს საქსონურ ქვეყნებს, ივარაუდება, ვერ გაუწევს, იმიტომ, რომ იგი თავის ნაბიჯს პრუსიის მონარქიის ინტერესებს უგუებს. მწერალს მიაჩნია, რომ ამ მძიმე წუთებში საქსონური ქვეყნები რაიხსტაგისაგან მხოლოდ ცარიელ თანაგრძნობას შეიძლება ელოდნენ („nur eine leere Teilnehmung“.—100).

* ბურჟუაზიულ გოეთეანაში კი ის აზრია გაბატონებული, რომ გოეთეს განდგომა საფრანგეთის რევოლუციისაგან და ფეოდალურ სასახლეებთან დაახლოება ამ მწერალში კანონის გრძნობის გამარჯვებას მოასწავებს. ასე, მაგალითად, პ. ამანი ფიქრობს, რომ „ნორმალური გერმანელის“ („l'allemand normal“) — გოეთეს პოლიტიკური მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია ზომიერება („quia conu la belle mesure“. — Aman, (65 [509], დიდი სიმეტრიულობა („grande symétrie de la vie politique de Goethe—ibid.—70 (574).

ჰ. ჰოფმანსტალსაც გოეთეს შემოქმედებითი ევოლუცია წარმოდგენილი აქვს როგორც მწერალთან მოვალეობისა და კანონის გრძნობის გამარჯვება ვნებებზე.

მწერლის განვითარების პირველ საფეხურზე, ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა „გოეცი“, „პრომეთე“ და „ვერთერი“, ჰოფმანსტალი ხედავს ბრძოლას პიროვნებასა და საზოგადოებას შორის („Lutte entre le moi naturel et créateur et la société“. H. v. Hofmanstal. Loi et liberté... Europe, Revue mensuelle, 15 avril, 1932, Paris, 173 (677), ვნებათა გამარჯვებას კანონზე. ვაიმარის პერიოდის გოეთესთან კი ჰოფმანსტალი ხედავს მორალური კანონის, მოვალეობის გრძნობის გამარჯვებას. ასეთ ვითარებას ხედავს იგი, მაგალითად, „იფიგენიასა“ და „ტორკვატო ტასოში“, რომლის ფინალიც მიაჩნია კანონის გამარჯვებად, წინააღმდეგ „ვერთერისა“, რომელშიაც, მისი აზრით, ვნებები იმარჯვებს კანონზე.

თ. მანიც მწერლის მხრივ ამგვარი კანონიერების მხარის დაპერასა და დაცვას ხედავს „იფიგენიასა“ და „ტასოში“, წინ წამოწევს გოეთეს კონსერვატიზმს („Il défandait la société, au sens conservateur qu'implique cette idée de défence“, Th. Mann, 108 (612). სიმშვიდისა და კანონიერების განწყობილებებს მკვეთრად გამოყოფს გოეთეში ბ. კროჩეც. იგი წერს: „La figure de Wolfgang von Goethe est faite de vertu tranquille, de bonté sérieuse, de justice, de sagesse, d'équilibre, de bon sens, de sente et en

ნას არ საჭიროებს. ვისაც სურს გოეთეში დაინახოს სასახლის კაცი, ხალხის მოძულე და მთავრების მონა, მან ბუნებრივად ჯვარი უნდა დაუსვას იმ დიდ მხატვრულ ტილოებს, რომლებიც შექმნა მწერალმა XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში და რომლებშიაც იგი დიდ ჰუმანისტად გვევლინება.

გოეთეს დასახვა ანტიხალხურ მწერლად შეუძლებელია მისი შემოქმედების გაყალბების გარეშე, იმის გარეშე, რომ წინა პლანზე არ იქნას წამოწეული ამ მწერლის შემარიგებლური განწყობილებები და დავიწყებას მიცემული ის საბრძოლო განწყობილებები, სოციალური პროტესტი, რომლებიც ამ პერიოდის მწერლის ნაწერებშიაც გარკვეულად თავს იჩენს. ჩვენ უკვე ვუჩვენეთ, რომ საფრანგეთის რევოლუციისა და მომდევნო ეპოქის გოეთეს შემოქმედებისათვის არ არის უცხო კრიტიციზმი, სოციალურ საკითხთა ბ̌კვეთრი დაყენება, კრიტიკა როგორც ფეოდალური, ისე ბურჟუაზიული ჩაგვრისა. ამ მნიშვნელოვანი გარემოებისათვის გვერდის ავლა, თვალის დახუჭვა იმის წინაშე, რომ გოეთე აკრიტიკებს

---

somme de tout ce qu'on a l'habitude de denégrer sous l'epithète de bourgeois" (B. Croce, 144 [648]. შდრ. J. Prevost. L'ordre en place d'idéal. „La nouv. revue française", Paris, 1er mars, 1932, p. 474).

ამავე პლანში იხილავს გოეთეს შემოქმედებით ევოლუციას ი. ლუაზოც. რომელსაც მიაჩნია, რომ ე. წ. წინავაიმარული პერიოდის გოეთეში იგრძნობოდა ანარქიული ბუნების ადამიანი („Il avait été une sorte d'apôrte de l'anarchisme". Loiseau, 70), ხოლო შემდეგ, ვაიმარის პერიოდში ისწავლა მწერალმა თანდათანობით კანონისადმი დამორჩილების ფასი („Il reconnait peu á peu non seulement la nécessité, mais aussi la beauté de la soumission á la loi" — ibid., 71). სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ გოეთეს მსოფლმხედველობის ბუნების ასე მცდარი შეფასების მიუხედავად, ლუაზო მწერალს მაინც არ მიიჩნევს კონსერვატორად, წარსულის ინსტიტუტების თავგამოდებით დამცველად (იქვე). ლიხტენბერგერიც ასევე უპირისპირებს ერთიმეორეს წინავაიმარისა და ვაიმარის პერიოდის გოეთეს, აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა გოეთესათვის დამახასიათებელია დისჰარმონია და ზომიერების უქონლობა („La désharmonie et la démesure". H. Lichtenberger. L'époque classique de Goethe. „Revue de cours et conférences", 30 décembre, 1929, Paris. p. 119,). მისთვის თურმე უცნობია, გახუხორციელებელი იდეალია შინაგანი ჰარმონია, შინაგანი წონასწორობა („l'équilibre intérieur"). ის, რაც ნორმალურია ამ პერიოდის გოეთესთან, იგი, ლიხტენბერგერის აზრით არის გრძნობა შინაგანი ჰარმონიის უქონლობისა (ibid.). ლიხტენბერგერი ფიქრობს, რომ მხოლოდ შემდეგ, ვაიმარის პერიოდში დაუდვა გოეთემ ზღვარი თავის თავს („toutesa naturité n'est qu'un long effort pour dompter et discipliner son titanisme originel, et d'une part, se dominer lui-même, arriver á la pleine maîtrise de soi" (ibid.).

ბურჟუაზიას თვით ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების გარიჟრაჟზე, უჩვენებს, თუ რა უბედურება მოუტანა ხალხებს ამ ურთიერთობამ, როგორ უარყოფითად იმოქმედა მათ მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაზე, ამის წინაშე თვალის დახუჭვა, — ცხადია, ვერ მოგვცემს მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების სწორ სურათს, მისი გამყალბებლებისათვის ნიადაგის მომზადებას წარმოადგენს.

გოეთეს მთელი შემოქმედება, კერძოდ საფრანგეთის რევოლუციისა და მისი მომდევნო პერიოდისა, გვიდასტურებს, რომ მწერლისათვის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს ხალხის ინტერესების დაცვა. არც ერთი მისი ნაწარმოების შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ ავტორი გუნდრუკს უკმევს ტირანიას, განადიდებს თვითმპყრობელობას, ფეოდალურ პარტიკულარიზის, იცავს ცრურწმენებსა და მისტიკას. კაცობრიობის ნათელი მომავლის, ხალხთა შორის მეგობრობის მომღერალი დიდი ჰუმანისტი და ინტერნაციონალისტი გოეთე ჩანს მისი მოწოდების უშუალო სფეროში — მხატვრულსა და თეორიულ-კრიტიკულ ნაწერებში. საფუძველი არ არის ამიტომ ბრალი დავდოთ გოეთეს ხალხის მტრობასა და თავადებისადმი მონურ დამოკიდებულებაში. მართალია, როცა საფრანგეთის რევოლუციას აკრიტიკებს, გოეთე, ნებით თუ უნებლიეთ, იცავს არსებულ სოციალურ წყობას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი დგას ფეოდალური კლასების პოზიციაზე, არსებული სოციალური წყობის ხელუხლებლად დატოვების თვალსაზრისზე. მისი სოციალურ-პოლიტიკური პროგრამა მკვეთრად განსხვავდება რეაქციული კლასების სოციალური პროგრამისაგან.

აყენებენ რა გოეთეს მისამართით დიდ პრეტენზიებს, ბოერნესა და კომპ. მხედველობაში აქვთ ამ მწერლის ადგილი საზოგადოებაში, მისი ქმედება, როგორც საზოგადოების წევრისა. წინააღმდეგობა, სისუსტე გოეთესი, ბუნებრივია, თავს იჩენს მის არა მხოლოდ მხატვრულ შემოქმედებაში, არამედ მის პრაქტიკულ საქმიანობაშიაც. მაგრამ პრაქტიკული საქმიანობის სფეროში, საზოგადოებრივი მოღვაწეობის დარგშიაც, როგორც აღნიშნული გვქონდა, გოეთე გვევლინება თავისი დროის მოწინავე ადამიანად. მთელს თავის მოღვაწეობაში იგი სახელმძღვანელოდ იხდის ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს, პრაქტიკულად იბრძვის ხალხის ტვირთის შემსუბუქებისათვის, მისი მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. როგორც საზოგადო მოღვაწე, გოეთე გვევლინება თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტად, გერმანიის პოლიტიკური გაერთიანების არა უბრალო მოტრფიალედ, არამედ

ისეთ ადამიანად, რომელიც დიდ შრომას ეწევა, რათა შეუქმნას მკვიდრი ბაზა ამგვარ გაერთიანებას.

გოეთეს როგორც პიროვნებისა და საზოგადო მოღვაწისათვის დამახასიათებელია ღრმა რწმენა ხალხის შემოქმედებითი ძალებისადმი, რწმენა იმისა, რომ ხალხი გზას გაიკაფავს უკეთესი სოციალური მერმისისაკენ. მისთვის დამახასიათებელია ალღოს აღება ცხოვრების განვითარებისათვის, ტექნიკის პროგრესის დიდი მნიშვნელობის აღიარება, პრაქტიკული ბრძოლა გერმანიის მეურნეობაში მოწინავე ტექნიკის დანერგვისათვის. ცნობილია, რომ გოეთეს ეკონომიური პოლიტიკა ვაიმარის სასახლის პირველი მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს, მისი სოციალური რეფორმები უპირისპირდებოდა მსხვილი ფეოდალების ინტერესებს და განაწყობდა მათ მწერლის წინააღმდეგ. საფუძველი არ არის ამიტომ გოეთეში როგორც საზოგადო მოღვაწესა და პიროვნებაში დავინახოთ არისტოკრატთა მონა, ხალხის მოძულე. ამ დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს არა ის გარემოება, რომ მწერალს უსაფუძვლოდ მიაჩნდა მის მიმართ ასეთი ბრალდების წაყენება, არამედ, და მომეტებულად, მისი შემოქმედება და პრაქტიკული მოღვაწეობა.

საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად მართებულია გოეთე მივიჩნიოთ ხალხის მოძულე პიროვნებად, დაკავშირებულია იმის გამორკვევასთან, თუ როგორ ესმის მწერალს ხალხებს შორის დამოკიდებულება, დადის თუ არა იგი ამ დამოკიდებულების გაგებაში შოვინიზმამდე, ანდა დგას თუ არა იგი უთვისტომო კოსმოპოლიტიზმის ნიადაგზე. გოეთეს ცხოვრება და მოღვაწეობა უხვ მასალას გვაწვდის იმის დასამტკიცებლად, რომ ამ მწერლის შემოქმედებას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ხალხში, ეხმაურება ხალხთა ფიქრებსა და განწყობილებებს, რომ არ არსებობს საფუძველი მწერალს ხალხის სიძულვილი მივაწეროთ. საკითხის ეს მხარე სათანადოდ იქნა გარკვეული წინამდებარე შრომაში და მას ჩვენ აღარ დავუბრუნდებით *. შევეხებით ამ საკითხს იმასთან დაკავში-

---

* თვითონ მწერალი ბადაკრით ილაშქრებდა იმის წინააღმდეგ, რომ მისთვის ბრალი დაედოთ ეგოისტობასა და შურიანობაში. იგი წერს:

„Ich Egoist! Wenn ich's nicht besser wüsste!
der Neid, das ist der Egoiste;
und was ich auch für Wege geloffen,
auf'm Neidpfad habt'ihr mich nie betroffen" (Goethes sämtl. Werke, Stuttg. u. Tüb. 1853, Bd. III, S. 27.

ამავე საკითხზე გოეთეს საუბარში ეკერმანთან შემდეგს ვკითხულობთ: „მშვენივრად ვიცი, რომ ებერისათვის წარმოვადგენ სითეთრეს თვალზე და ისინი

რებით, თუ როგორი პოზიცია უკავია გოეთეს ე. წ. გამათავისუფლებელი ომის დროს.

როცა გოეთეს ხალხის მოძულის ბრალდებას უყენებენ, მეტწილად მხედველობაში აქვთ მისი პოზიცია ამ ომში, ის ფაქტი, რომ სხვა ბევრი მისი თანამედროვე მწერლისაგან განსხვავებით, გოეთე ვერ გაიტაცა ამ ომმა. ამ წანამძღვრიდან გამოსული, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ გოეთესათვის უცხოა თავისი ხალხის ინტერესი, დამპყრობლისგან მისი სამშობლოს განთავისუფლების ინტერესი, რომ იგი არ არის თავისი ქვეყნის პატრიოტი. ამგვარი ბრალდების წამოყენებაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ფრანგიჭამია მენცელი", როგორც მას ბოერნე უწოდებდა. გოეთეს საქციელში მენცელმა დაინახა ანტიპატრიოტიზმი, რის გამოც მან მწერალს მეტად მრისხანე განაჩენი გამოუტანა.

ვნახოთ, თუ როგორია პოზიცია გოეთესი ე. წ. გამათავისუფლებელ ომში, შეიძლება თუ არა მისი იმდროინდელი მოქმედება შეფასდეს როგორც ანტიხალხური მოქმედება, თავისი სამშობლოს ინტერესებზე მაღლა უცხოელ დამპყრობელთა ინტერესების დაყენება. საკითხი ეხება იმას, თუ როგორი იყო გოეთეს დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი, იმ მოძრაობისადმი, რომელსაც შედეგად მოჰყვა დამპყრობელთა განდევნა გერმანიის ტერიტორიიდან. შეიძლება თუ არა გოეთეში დავინახოთ ნაპოლეონის კულტის მაღიარებელი, იმ პოლიტიკის მიმღები, რომელსაც საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზია და მისი წარმომადგენელი ნაპოლეონი ატარებდა? ეს საკითხი ნაწილობრივ უკვე გაირკვა წინამდებარე შრომაში. ამჟამად საჭიროა მისი გარკვევა იმ მოვლენების შუქზე, რომლებიც ნაპოლეონის არმიის დამარცხებით აღინიშნა.

ნაპოლეონისადმი გოეთეს დამოკიდებულების საკითხი იმთავითვე დიდ ინტერესს აღძრავდა და ეს გასაგებიცაა, რადგან

სიამოვნებით ისურვებდნენ ჩემს თავიდან მოცილებას. მაგრამ რადგან ახლა ჩემს ტალანტს თავს ვეღარ ესხმიან, ამიტომ თავდასხვის საგნად იღებენ ჩემს ხასიათს. ხან აცხადებენ, მე ვარ ამაყი, ხან ეგოისტი, ხან კი ახალგაზრდა ტალანტებისადმი შურით აღსავსე. ხან აცხადებენ, რომ მე ვარ გრძნობით კმაყოფილებას მიცემული („in Sinnenlust versunken"), ხან კი იმას, რომ არა ვარ ქრისტიანი; დაბოლოს, ამბობენ, რომ მე თურმე არა მაქვს სიყვარული ჩემი სამშობლოს და ჩემი საყვარელი გერმანელებისა. თქვენ მე კარგა ხანია მიცნობთ და მიხვდებით, თუ რა ფასი აქვს ამ ლაყბობას... გერმანელი მწერალი — ეს გერმანელი მარტვილია! დიახ, ეს ასეა, ჩემო ძვირფასო და თქვენც დარწმუნდებით ამაში. განსაკუთრებული სამდურავი არც მეთქმის: სხვებს ჩემზე უკეთესი დღე არ დაჭ-ᲧᲠᲘᲐ, ზოგიერთებს უარესიც ხვდათ წილად" (Eckermann, III, 222).

იგი დაკავშირებულია გოეთეს შემოქმედებითი განვითარების საკითხთან. ბურჟუაზიული გოეთელოგი ჩემბერლენი მართებულად აღნიშნავს, რომ გოეთესადმი დამოკიდებულებაში ნაპოლეონი პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ აქედან გამოსული, იგი ცდილობს დახატოს გოეთე ბავშვივით გულუბრყვილო ადამიანად, რომელსაც სჯერა ყველაფერი, რასაც კულტურის საკითხებში სუსტად ორიენტირებული იმპერატორი ეუბნება, რომელიც თავს იმცირებს, ლაქიასავით დგას საუზმეთი გართული იმპერატორის წინაშე [1].

მოყავს რა გოეთეს სიტყვები, რომელშიაც მწერალი გამოთქვამს აღფრთოვანებას ნაპოლეონთან შეხვედრის გაბო, ჩემბერლენი გაბრაზებით შენიშნავს: „Das schreibt ein Goethe, der Besonnene... und er sagt nicht, es sei ihm von Bedeutung gewesen, den merkwürdigen Kondottiere zu sehen, nein, sondern ihm, Goethe, konnte nichts „Höheres" begegnen, als von dem kulturarmen Korsen zwischen zwei Bissen herablassend angeredet zu werden" [2].

რა გვეთქმის ამის შესახებ? რამდენად მართებულია ნაპოლეონისადმი გოეთეს დამოკიდებულებაში დავინახოთ მწერალი, რომელიც თავს იმცირებს დამპყრობელის წინაშე, რომელსაც ვერ გაუგია, თუ საით უმიზნებს იმპერატორი, რატომ ცდილობს მისი გულის მოგებას? ნაპოლეონისადმი დამოკიდებულებაში ჩემბერლენი ხედავს ბავშვივით გულუბრყვილო გოეთეს, რომელსაც თითქოს არ ესმის ამ აუდიენციის პოლიტიკური აზრი. გოეთეს მიერ მოცემული აღწერა ამ აუდიენციისა კი სრულიად სხვას გვემოწმება, სახელდობრ იმას, რომ მწერალს კარგად ესმის ამ აუდიენციის პოლიტიკური აზრი, იცის, რომ ნაპოლეონისათვის წამყვანი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ მოსაზრებებს. ასე, მაგალითად, გოეთე გადმოგვცემს, რომ ნაპოლეონმა მასთან საუბარში უარყოფითად დაახასიათა ე. წ. ბედისწერის ტრაგედია, საერთოდ, ბედისწერის მიჩნევა ტრაგედიის მამოძრავებელ ზამბარად, აღნიშნა, რომ ბედისწერა არაფრის მაქნისია, რომ პოლიტიკაა ბედისწერა („was, sagte er, will man jetzt mit dem Schicksal? Die Politik ist das Schicksal" [3].

ნაპოლეონთან გოეთე ხედავს მოვლენებისადმი პოლიტიკურ მიდგომას. ამას გვიდასტურებს მწერლის საუბარი ეკერმანთან ვერ-

---

[1] Chamberlain, H. St. Goethe, München, 1919, S. 158.
[2] ibid., 163.
[3] Goethe. Annalen. Biographische Einzelnheiten, Leipzig, S, 398.

თერის შესახებ. მართალია, როცა „ვერთერის“ შესახებ ნაპოლეონთან საუბარს აღწერს, გოეთე საკითხის ამ მხარეს არ ეხება, მაგრამ ეჭვი არ რჩება, რომ იგი ნაპოლეონთან ვერთერისადმი სწორედ პოლიტიკურ მიდგომას ხედავს. ამას გვიდასტურებს გადმოცემა იმ შენიშვნისა, რომელიც გააკეთა ნაპოლეონმა „ვერთერის“ მიმართ, შენიშვნა რომანის სოციალური დამიზნულობის გამო. უფრო გვიან პერიოდში, როცა „ვერთერისადმი“ ნაპოლეონის დამოკიდებულებას იგონებდა, გოეთე ხედავდა მასში საკითხისადმი გარკვეულად პოლიტიკურ მიდგომას, აღნიშნავდა, რომ ნაპოლეონი ისე სწავლობდა „ვერთერს“, როგორც სისხლის საქმეთა მსაჯული სწავლობს ხოლმე თავის აქტებს (Eckermann, II, 88). ასევე მსჯელობს გოეთე ნაპოლეონის დამოკიდებულების შესახებ ფრანგული ტრაგედიისადმი, რომელსაც იგი თურმე სისხლის სამართლის მსაჯულის მსგავსად უდგებოდა („gleich einem Kriminalrichter betrachtet“) [1].

ეს ფაქტები, სხვა ბევრ რეალიებთან ერთად, რომელთა შესახებაც ქვემოთ იქნება ლაპარაკი, მოწმობს, რომ ნაპოლეონისადმი დამოკიდებულებაში გოეთე არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ისეთ გულუბრყვილო ადამიანად, როგორადაც მას გვისახავს ჩემბერლენი.

ჩემბერლენი ფიქრობს, რომ გოეთესათვის ნაპოლეონის მიერ მიცემული აუდიენცია ატარებდა სრულიად ხელოვნურ ხასიათს, იმპერატორი მას ხელოვნების თუ სხვა მწერლისათვის საინტერესო საკითხთა შესახებ წინასწარ შერჩეული და გაზეპირებული ფრაზებით ელაპარაკებოდა, რაც თურმე სრულიად შეუმჩნეველი დარჩა დიდი გერმანელი მწერლისათვის. ფაქტები კი ამგვარი დასკვნის გაკეთებისათვის არ იძლევა საფუძველს. ჩვენ ვგებულობთ, რომ, გოეთეს შეხედულებით, ნაპოლეონი სრულიადაც არაა კულტურული განვითარების მხრივ ჩამორჩენილი, ხელოვნების საკითხების ზერელე მცოდნე. გოეთეს მიერ მოცემული აღწერა ნაპოლეონთან შეხვედრისა არ იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ, რომ იგი მისდამი ნაპოლეონის დამოკიდებულებაში ხედავს დიპლომატიურ ცბიერობასა და ნაძალადეობას, ასევე, ხელოვნების საკითხისადმი დილეტანტურ დამოკიდებულებას. მწერალი უშვებს და, როგორც ჩანს, სრულიად არ მიაჩნია თავისათვის შეურაცხმყოფლად ის ფაქტი, რომ ნაპოლეონს, რომელიც აქამდე მას მხოლოდ „ვერთერის“ მიხედვით იცნობდა, აუდიენციის დანიშვნამდე გარკვეული შეხედულება შეუმუ-

[1] Annalen 338.

შავებია გოეთეს შესახებ. მას სრულიად არ მიაჩნია სააუგოდ, რომ იმპერატორისათვის გოეთე დადებითად დაუხასიათებია მინისტრ მარეს და მარშალ ლანს, რომელმაც გოეთე, ამ უკანასკნელისავე გადმოცემით, ორი წლით ადრე გაიცნო. ასევე სრულიად არ მიაჩნია გოეთეს თავისთვის სააუგოდ ის ფაქტი, რომ დარუ დადებითად უხასიათებს თავის იმპერატორს გოეთეს ისე, როგორც ეს შეიძლებოდა გაეკეთებინათ გოეთეს ბერლინელ მწყალობლებს („Gonner in Berlin").

ეს აუდიენცია იმ სახით, როგორც ის აღწერილი აქვს გოეთეს, არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ნაპოლეონი მწერალთან მსჯელობს ზერელედ, გაზეპირებული ფრაზებით. გოეთე ხატავს ცოცხალს, რეალისტურ სახეს საფრანგეთის იმპერატორისას, რომელიც ერფურტის კონგრესის წინ აუდიენციას უნიშნავს გოეთეს, რომელსაც არც გარემოებანი და არც ტემპერამენტი საშუალებას არ აძლევს ყურადღება შეაჩეროს მხოლოდ ერთ საკითხზე, თუნდაც მასთან მისულ სახელმოხვეჭილ მწერალზე, რომელიც მოკლედ, ზოგჯერ ტრივიალური კითხვებითაც მიმართავს მას, გზადაგზა კი ისმენს ინფორმაციებს, იღლება განკარგულებებს სამხედრო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე. ბოლოს და ბოლოს საუბარი მაინც გადადის გოეთესათვის საინტერესო საკითხზე, ლიტერატურის, თვით გოეთეს შემოქმედების საკითხებზე. ამ საუბრიდან ნათლად ჩანს, რომ ნაპოლეონი საკმარისად ერკვევა ხელოვნების, კულტურის განვითარების საკითხებში, კარგად აქვს გათვალისწინებული ხელოვნების საზოგადოებრივი, უტილიტარული დანიშნულება. ამგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს ნაპოლეონი, მის მიერ ხელოვნების შესახებ გაკეთებული შენიშვნები თვით გოეთეზედაც. როცა, მაგალითად, საუბარი ჩამოვარდება ვოლტერის „მუჰამედის" შესახებ, ნაპოლეონი, გოეთეს გადმოცემით, „მეტად საფუძვლიანად" („Sehr umständlich") აკრიტიკებს ამ ნაწარმოებს, უჩვენებს ძირითად ნაკლს მისი იდეური ხაზისა.

ასევე, საკითხისადმი ღრმა და საფუძვლიან მიდგომას ხედავს გოეთე ნაპოლეონთან, როცა საუბარი „ვერთერზე" ჩამოვარდება. მწერლისათვის ნათელია, რომ ნაპოლეონის შენიშვნები ამ შემთხვევაშიაც საკითხის შესწავლის შედეგადაა გაკეთებული, რომ იმპერატორი „ვერთერის" შესახებ აკეთებს სავსებით სწორ შენიშვნებს, რომ „ვერთერის" სიუჟეტურ განვითარებაში, მისი შეხედულებით, შეინიშნება გარკვეული ნაკლი. გოეთე აგვიწერს, თუ რაოდენ მახვილი კრიტიკული თვალითაა შეიარაღებული იმპერატორი, როცა იგი მას „მუჰამედის", „ვერთერისა" თუ „ბედისწერის ტრაგედიის" შესახებ ელაპარაკება, გვიჩვენებს ამ კამათში შეტევაზე გადმოსულ ნა-

პოლეონს, რომელსაც ხელოვნების სახელმოხვეჭილი ოსტატი მოთმინებით უსმენს არა იმიტომ, რომ ემლიქვნელება მას, არამედ იმიტომ, რომ გარკვეულად ხედავს სიახლესა და სიმართლეს მის მსჯელობაში. აღსანიშნავია ამ მხრივ, რომ გოეთე უკან იხევს ნაპოლეონთან კამათში, როცა საკითხი „ვერთერს“ ეხება, ცდილობს მხოლოდ ფორმალურად გაამართლოს თავისი საქციელი, ის გარემოება, რომ მან ვერთერის ტრაგედია წარმართა სხვა გზით, ვიდრე ამას ნაპოლეონი ისურვებდა, მაგრამ გულის სიღრმეში კი ღვაწლმოსილი მწერალი გრძნობს ნაპოლეონის კრიტიკის მართებულობას. ასევე გრძნობს იგი ფრანგული ტრაგედიისა და ე. წ. ბედისწერის ტრაგედიის შესახებ ნაპოლეონის მკაცრი შენიშვნების მართებულობას.

ამგვარად, გოეთეს მიერ მოცემული აღწერილობა ნაპოლეონთან შეხვედრისა არ იძლევა საფუძველს გავიზიაროთ ჩემბერლენის აზრი, რომ გოეთე ნაპოლეონთან შეხვედრისას ბავშვურ გულუბრყვილობას იჩენს, რომ ნაპოლეონი მას ზერელედ, გაზეპირებული ფრაზებით ესაუბრება, კულტურის საკითხთა ცოდნაში ღარიბად გამოიყურება.

ასევე საფუძველშივე მცდარად უნდა იქნას მიჩნეული ჩემბერლენის აზრი, რომ გოეთე ამ აუდიენციის დროს თავს იმცირებს, ლაქიასავით დგას ნაპოლეონის წინაშე, იგულისხმება, გარკვეულად მლიქვნელობს მის წინაშე. გოეთეს მიერ მოცემული აღწერილობა ნაპოლეონთან აუდიენციისა, ასევე მისი სხვა გამონათქმები, ნაპოლეონთან შეხვედრის შესახებ, არ იძლევა საფუძველს რაიმე სათუო ხასიათის დასკვნისათვის, იმის მტკიცებისათვის, რომ დიდი გერმანელი მწერალი ნაპოლეონისაგან რაიმე გამორჩენასა და წყალობას მოელოდა. თუ იგი დადებითად მსჯელობდა ნაპოლეონის შესახებ, ეს იმიტომ, რომ მიაჩნდა — ნაპოლეონი ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობისას იჩენდა საკითხისადმი ღრმა და საფუძვლიან მიდგომას, აკეთებდა მახვილსა და მოხდენილ შენიშვნებს.

ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ნაპოლეონი, გოეთეს აზრით, საერთოდ ხელოვნების ყველა საკითხზე სწორად მსჯელობდა, რომ გოეთე ყველა შემთხვევაში მის შენიშვნას მართებულად მიიჩნევდა. ასე, მაგალითად, გოეთე გარკვეულად გვანიშნებს, რომ ნაპოლეონი შორდება ჭეშმარიტებას ვოლტერის „მუხამედისა“ და „იულიოს კეისრის“ შეფასებისას. ნაპოლეონთან შეხვედრის აღწერილობისას გოეთე არამც და არამც არ იხრის ქედს იმპერატორის წინაშე, მისდამი გარკვეული სიმპათიების მიუხედავად, გრძნობს და აშკარად გამოთქვამს უკმაყოფილებას მისი რო-

გორც დამპყრობელის მისამართით. ასე, მაგალითად, მწერალი თავდაჭერით ლაპარაკობს დარუს შესახებ იმ ფაქტის გამო, რომ დარუმ იმპერატორს დადებითად დაუხასიათა გოეთე. ასე იქცევა მწერალი იმიტომ, რომ დარუში იგი ხედავს ადამიანს. რომელიც ახლა ემლიქვნელება გერმანელებს, იმათ, ვისაც მან ბევრი სატანჯველი მიაყენა.

ასევე ნაპოლეონისადმი მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება აშკარად იჩენს თავს, როცა იგი ათვალიერებს ნაპოლეონის კაბინეტს და ვერ ნახულობს კედლებზე მისთვის პატივსაცემ გერმანელ თავადთა პორტრეტებს. ნაპოლეონი უსვამს კიდევაც მწერალს საკითხს მისი დამოკიდებულების შესახებ ვაიმარის ჰერცოგისადმი, ჰერცოგის მეუღლის, ამალიასა და სხვა დიდგვარიანებისადმი, რაზედაც გოეთე ჯეროვან პასუხს აძლევს. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ადასტურებს თავის ახლო დამოკიდებულებას ვაიმარის სასახლისადმი. არ ჩანს, რომ მწერალი ცდილობდეს რითიმე აამაღლოს თავისი თავი ნაპოლეონის თვალში, აუგად მოიხსენიოს ისინი, ვისდამიც ნაპოლეონი მტრულად იყო განწყობილი, არ აძლევს საბაბს საფრანგეთის იმპერატორს დააკავშიროს იგი თავის პოლიტიკურ საქმიანობასთან. ღვაწლმოსილი მწერალი დგას საფრანგეთის იმპერატორის წინაშე, არა როგორც რანგებისა და წარჩინების მაძიებელი, არამედ როგორც თავისი ხალხის ერთგული შვილი, მისი უფლებისა და ღირსების დამცველი.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ გოეთეს იტაცებდა ნაპოლეონის პიროვნება, როგორც შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ნაპოლეონსაც იტაცებდა ხოლმე გოეთე. ნაპოლეონი გოეთეს იზიდავდა არა მხოლოდ როგორც სახელმწიფო მოღვაწე, არამედ როგორც პიროვნება იმ დროს როცა ნაპოლეონი პიროვნულში სახელმწიფოებრივის დანახვას ცდილობდა.

ნაპოლეონი, გოეთეს გაგებით, წარმოადგენს ისეთ ადამიანს, ანუ, როგორც თვითონ იტყოდა, „ქვეყნის კომპენდიუმს“ (Kompendium der Welt) [1], რომელიც მაღლდება ჩვეულებრიობისა და განსაზღვრულობის სფეროდან და მიზნად ძნელად გადასაწყვეტი ამოცანების განხორციელებას ისახავს. ნაპოლეონი, ფიქრობს გოეთე, უაღრესად პროდუქტიული ადამიანი იყო [2]. „ვისაც ნაპოლეონთან უმსახურნია და მასთან ერთად მთელი ქვეყანა შეუძრავს, მას, აღნიშ-

---

[1] Eckermann, I, 177.
[2] ibid.

ხავს მწერალი, შეუძლებლად არაფერი მოეჩვენება“ [1]. როცა გოეთეს მდივანი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ჭაბუკობის პერიოდში მყოფმა ნაპოლეონმა ბევრი საგმირო საქმე ჩაიდინა, მწერალი მას ასე უპასუხებს: „ეს დიდი ტალანტების თანდაყოლილი თვისებაა, ჩემო კარგო; ომის დაწყებამდე თუ ომის დროს, გაბარჯვებისა თუ დამარცხების შემდეგ, იგი მუდამ ფხიზელი და გადამწყვეტი იყო, იცოდა თუ როგორ ემოქმედნა“ [2]. სხვა შემთხვევაში იმპერატორის შესახებ მწერალი ამბობდა: „თუ ვინმე იტყვის ნაპოლეონის შესახებ, რომ იგი გრანიტის კაციაო, ეს განსაკუთრებით მისი სხეულის შესახებ ითქმის. რას არ შეეგუა იგი, დაწყებული სირიის მწველი უდაბნოებიდან და დამთავრებული მოსკოვის თოვლით დაფენილი მიდამოებით. მერე რა უთვალავი საბრძოლო სვლა, ომი, ღამის კარვები! რა გაჭირვება და ნაკლებობანი! მცირე ძილი, ნაკლები კვება და ამასთანავე მუდმივი სულიერი დაძაბულობა. 18 ბრიუმერის იმ შიშის მომგვრელი დაძაბულობისა და მღელვარების დროს უკვე შუაღამეს მიეღწია, მას კი მთელი დღის მანძილზე თავის თავზე სრულიად არ ეფიქრნა და, ამის მიუხედავად, მაინც შეძლო გვიან ღამით დაეწერა საფრანგეთის ხალხის მისამართით ცნობილი პროკლამაცია“ [3]. ნაპოლეონის არა მხოლოდ პიროვნების, არამედ მისი საქმიანობის სიდიადეს გახაზავს გოეთე საუბარში თავის ვაჟთან, რომელიც სურვილს გამოთქვამს მოაწყოს თავისი ოთახი ნაპოლეონის საქმეების ამსახველი სურათებითა და გრავიურებით. გოეთე თავის ვაჟს ასე პასუხობს: „ოთახი ძალიან დიდიც რომ იყოს ყველა სურათს მაინც ვერ დაიტევდა, იმდენად დიდია მისი (ლაპარაკია ნაპოლეონის შესახებ.—გ. ხ.) საქმეები („so gross sind seine Taten“) [4].

ნაპოლეონში, მსგავსად ბაირონისა, გოეთე ხედავდა რაღაც დემონურ თვისებას, რომელიც არ ცნობს ჩვეულებრივ ნორმებს [5]. კუნძულ ელბაზე გადასახლებული იმპერატორის განცხადებას, რომ იგი ყოველთვის დაეძებდა სასწაულებრივს, მუდამ ისწრაფოდა გადაელახა ყოველგვარი სიძნელე, მაგრამ წინააღმდეგობა იძულებულს ხდიდა დაეოკებინა ეს მისწრაფებები, გოეთე ასეთ

---

[1] Eckermann, I, 177

[2] ibid., II, 78—79.

[3] Eckermann, III, 162—163.

[4] ibid., I, 209.

[5] ibid., II, 204. გოეთე ადასტურებს სისწორეს ეკერმანის შენიშვნისა, რომ ნაპოლეონში იყო დემონური საწყისი. „ის უაღრესად დემონური იყო, ამბობს გოეთე, ამ მხრივ მას სხვა ვერავინ შეედრება“ (ibid.).

კომენტარს უკეთებს: „ნაპოლეონის სიტყვები საკმაოდ საყურადღებოა... საოცარის სიყვარული პოეტებს ახასიათებთ, სიძნელეების გადალახვის სურვილი კი — მათემატიკოსებს“ [1].

იქმნება შთაბეჭდილება, რომ გოეთე ნაპოლეონში წინ წამოსწევდა რაღაც ზეკაცურსა და აბსტრაქტულს, რის დამტკიცებასაც ცდილობს კიდევაც ზოგიერთი ბურჟუაზიული გოეთელოგი, რომ იგი ნაპოლეონს თიშავდა მისი ეპოქისაგან, იმ დროის პოლიტიკური კონიუნქტურისაგან. რომც არ ვირკვიოთ, არის თუ არა ჭეშმარიტების მარცვალი იმ დებულებაში, რომ გოეთე ამ ხანებში პოლიტიკური მოვლენებისადმი საერთოდ ინდიფერენტულადაა განწყობილი, აგრეთვე პ. ამანისა და სხვათა მიერ წამოყენებულ დებულებაში, რომ ნაპოლეონში გოეთე საკუთარი ბუნების ადამიანს ხედავდა [2], მაინც შეუძლებელია ნაპოლეონისადმი მწერლის დამოკიდებულებაში უგულებელვყოთ პოლიტიკური ფაქტორების მნიშვნელობა, საქმის ვითარება ისე წარმოვიდგინოთ, რომ გოეთე არ იხილავდა ნაპოლეონს, როგორც ისტორიულ პიროვნებას, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის შუქზე [3].

რომ გოეთე ამგვარად და არა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან განყენებით იხილავს ნაპოლეონის როლს ისტორიაში, ამას გვიდასტურებს მის მიერ მოცემული აღწერილობა იმ აუდიენციისა, რომელიც იმპერატორმა მას დაუნიშნა. ამ შეხვედრის აღწერისას მწერალი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა მოსწონს მას ნაპოლეონში და რა მოსწონს ამ უკანასკნელს გოეთეში, როგორც ადამიანში. „Voilà un homme“ — ეს სიტყვები შეაგება ნაპოლეონმა აუდიენციაზე მისულ მწერალს, სახელგანთქმული „ვერთერის“ ავტორს. მაგრამ შემდეგი მსჯელობიდან ირკვევა, რომ ნაპოლეონი მწერლისადმი დამოკიდებულებაში ხელმძღვანელობდა პოლიტიკური მოსაზრებებით, რაც კონკრეტულად გოეთესათვის იულიოს

---

[1] Heilbrun, L. Faust II Teil als politische Dichtung, 1923, S. 14.

[2] P. Amann, 65) (570). ჩემბერლენის აზრით კი გოეთე იმიტომ იყო მოხიბლული ნაპოლეონით, რომ ეს უკანასკნელი მის მოწინააღმდეგე პოლუსს წარმოადგენდა (Gegenpolen), რომ ერთს გააჩნდა ის, რაც არ გააჩნდა მეორეს (Tschamberlain, 764).

[3] ე. ლუდვიგი ფიქრობს, რომ გოეთე ნაპოლეონსა და მის საქმიანობას არ იხილავს ეპოქასთან კავშირში. ნაპოლეონში გოეთე, ლუდვიგის აზრით, ხედავს სამხრეთელს (Südländer), უსამშობლო და ეპოქის გარეშე მდგომ გენიოსს (Ludwig, E., 314).

კეისრის ისტორიის ახლად დამუშავების წინადადების მიცემაში, აგრეთვე „ვერთერის“ შეფასებაში გამოიხატა.

გოეთე გრძნობს და შუქს ფენს იმ გარემოებას, რომ ნაპოლეონი ამ შემთხვევაშიაც მოქმედებს როგორც სახელმწიფო მოღვაწე და არა როგორც რაღაც აბსტრაქტული მიზნებით გატაცებული ადამიანი. ეთანხმება ნაპოლეონს „ვერთერის“ პრობლემატიკის განხილვაში თუ უარყოფს მის წინადადებას — გაათანადროულოს ი. კეისრის თემა, უჩვენოს მასში თითქოს ქვეყნის გამაბედნიერებელი ნაპოლეონი, გოეთე ცხადს ხდის იმ გარემოებას, რომ ნაპოლეონი პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ იგი, გოეთეც არ უგულებელყოფს პოლიტიკური ფაქტორების მნიშვნელობას.

შესაძლებელია ჩავთვალოთ შემთხვევითად, იმ დროის საზოგადოებრივი ვითარებისაგან განკერძოებულ მოვლენად ის გარემოება, რომ ნაპოლეონისადმი გოეთე ზოგჯერ სიმპათიებს გამოთქვამს, ზოგჯერ კი ანტიპათიებს, ერთი მხრივ ღებულობს მისგან საპატიო ლეგიონის ორდენს, მეორე მხრივ კი ილაშქრებს მკვეთრად მის წინააღმდეგ, უარყოფს მის დაკვეთას. იმპერატორისადმი გოეთეს ამ დამოკიდებულებაში, რომელიც არაა თავისუფალი წინააღმდეგობისაგან, მაინც ჩანს მწერლის გარკვეული თვალსაზრისი, მისი სოციალური სიმპათია-ანტიპათიები, მისი ცდა განიხილოს ნაპოლეონი ეპოქის დიდი სოციალური მოვლენების შუქზე და არა როგორც რაღაც გამონაკლისი და ზებუნებრივი.

ამით უნდა აიხსნას გოეთეს დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი, კერძოდ ის ფაქტიც, რომ იგი მადლობის გრძნობით ღებულობს ნაპოლეონისაგან ორდენს, თავს ვალდებულად თვლის განაგრძოს ის, რაც გრძნობებმა თავიდანვე უკარნახეს [1]. არის გადმოცემა, რომ ნაპოლეონის დამარცხების შემდეგაც მწერალი დიდხანს ატარებდა ხოლმე ამ ორდენს რეაქციის მძვინვარების დროს, რომ ამ ორდენით გამოცხადდა იგი ვაიმარის სასახლეში შეკრებილ პრინცთა წინაშე [2]. ეს იმას მოწმობს, რომ გოეთეს იზიდავს ნაპოლეონის არა მხოლოდ პიროვნული მხარე, არამედ ზოგი რამ მისი საქმეებიდანაც, სახელდობრ ის გარემოება, რომ ნაპოლეონი ევროპაში პროგრესულ როლსაც ასრულებდა, ბატონყმურ სისტემას უპირისპირდებოდა.

---

[1] Houben. Goethe et la police, Paris, 146.

[2] Baldensperger, F. Goethe et la Légion d'honneur, „La revue de Paris,“ 1932, № 6, p. 375.

ამიტომაა, რომ გოეთე არ იზიარებს იმათ თვალსაზრისს, ვინც ნაპოლეონში უგულებელყოფს ამ პროგრესულ მხარეს, არ იზიარებს მისი თანამედროვე ნაციონალისტების პოზიციას, რომლებიც ცდილობდნენ გამოეყენებინათ პოეზია გერმანელთა და ფრანგთა შორის შოვინიზმის შხამის დასათესად. იგი არ მიდის არც მისი თანამედროვე ვალტერ სკოტის გზით ნაპოლეონისადმი დამოკიდებულების საკითხში, ვალტერ სკოტისა, რომელიც ნაპოლეონში მხოლოდ ერთს, რეაქციულ მხარეს ხედავდა [1].

როგორც ცნობილია, ნაპოლეონის ბატონობამ გერმანიაში გამოიწვია დიდი საპროტესტო მოძრაობა. მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონი „წმენდდა ევროპის ავგიოსის თაღლებს", იგი, როგორც დამპყრობელი, თავის წინააღმდეგ ამხედრებდა ევროპის ხალხებს, მათ შორის, გერმანიის ხალხს. ნაპოლეონის წინააღმდეგ მოძრაობაში ჩაება გერმანიის სხვადასხვა კლასი, მათ შორის გერმანიის ბურჟუაზიაც, რომელიც გრძნობდა კონტინენტური ბლოკადის სუსხს, მაგრამ ლიბერალურმა ბურჟუაზიამ მოძრაობის ხელმძღვანელობა გადასცა თავადაზნაურობას, რის გამოც ეს მოძრაობა იმთავითვე რეაქციას უწვდიდა ხელს. ამდენად, ე. წ. გამათავისუფლებელი ომი იქცა ომად ბურჟუაზიული რევოლუციის მონაპოვართა წინააღმდეგ. „დაიწყო კონგრესები, წერს ენგელსი, და გერმანელებს მისცეს დრო გამოძინებისათვის გამათავისუფლებელი ნაბახურევის შემდეგ" [2].

სამოღვაწეო სარბიელზე გამოდიან მწერლები, რომლებიც თემად იღებენ ომთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგრამ აშუქებენ მათ ტენდენციურად, იჭრებიან ცალმხრივობაში. ზოგი მათგანი იჩეხება შოვინიზმში, ქადაგებს შუღლს ფრანგებისადმი. მოდაში შემოდის ფრანგთა სიძულვილი და გერმანოფილობა. ხმას იმაღლებს და უკიდურეს რეაქციონერთა ბანაკში გადადის „ლიტერატურული ფურცლის" რედაქტორი — „ფრანგიჭამია მენცელი". „დაიწყო საზიზღარი, ტლანქი, ჭუჭყიანი ოპოზიცია, ამბობს ჰაინე, ყველაზე უწმინდესი და კეთილშობილი გრძნობის წინააღმდეგ, რომელიც კი ოდესმე წარმოუშვია გერმანიას".

გაჩაღდა საზიზღარი კამპანია ფრანგული კულტურის, საერთოდ იმის წინააღმდეგ, რაც საფრანგეთიდან მოდიოდა. გერმანოფილებმა მიზნად დაისახეს საფუძველშივე მოსპობა საფრანგეთის

---

[1] Eckermann, III, 196.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. II, 1931, стр. 171.

რევოლუციის მონაპოვრების, უკუგდება საკანონმდებლო ცხოვრების დარგში მიღწეული ზოგიერთი რეფორმისა.

გოეთე დუმილით შეხვდა ამ ომს არა იმიტომ, რომ მას არ სურდა გერმანელი ხალხის გათავისუფლება, არამედ იმიტომ, რომ არ თვლიდა ამ მოძრაობას სახალხო მოძრაობად, არ იზიარებდა იმათ თვალსაზრისს, ვინც ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდნენ, შოვინისტების, გერმანოფილების თვალსაზრისს. ყურადსაღებია ამ მხრივ მწერლის პასუხი ლუდენისადმი, რომელსაც მიუმართავს მისთვის დაეწერა პატრიოტული ხასიათის წერილი. ლუდენთან შემდეგს ეკითხულობთ: „ნუ გგონიათ, თქვა მან (გოეთემ—გ. ხ.), რომ გულგრილად ვარ განწყობილი თავისუფლების, ხალხისა და სამშობლოს დიდი იდეებისადმი. არა, ეს იდეები ჩვენშია, ჩვენი არსების ერთი ნაწილია და მისი თავიდან მოშორება არავის შეუძლია. მეც გულით ვატარებ გერმანიას, მე ხშირად მწარე ტკივილი მიგემნია, როცა ვფიქრობდი გერმანელ ხალხზე" [1].

გოეთეს ამ სიტყვებიდან ირკვევა, რომ მისთვის არ არის უცხო ნაციონალურ-გამათავისუფლებელი იდეა, ხალხის სიყვარული, მაგრამ ამ ომს იგი არ თვლის სახალხო მოძრაობად, რომელიც გერმანელი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარეობდეს, ომში ამ ხალხის შეგნებული მონაწილეობით აიხსნებოდეს. იძავე ლუდენს გოეთე განუმარტავს, რომ ამ ომით გერმანია გათავისუფლდება არა უცხოელებისაგან, არამედ უცხო უღლისაგან.

---

[1] H. Amelung, Bd. II, SS. 184—185. ომის დაწყებისას დრეზდენისაკენ გამგზავრებულ გოეთეს შეხვდა შეიარაღებული პოეტი თ. კორნერი. იქ იყო აგრეთვე თ. კორნერის მამა და პოეტი არნდტიც. მათთან საუბარში გოეთემ თქვა: „Schlittelt nur an euren Ketten. Der Mann ist auch zu gross! Ihr werdet sie nicht zerschlagen" (E. Ludwig. Goethe, Berlin. 1928, S 323). ლუდენთან გოეთეს საუბრიდან, საერთოდ ამ მწერლის შეფასებაში საფუძველშივე მცდარი დასკვნა გამოაქვს თ. მანს. მოყავს რა ომის დასასრულს ლუდენთან გოეთეს ბიერ წარმოთქმული სიტყვები, მანი ცდილობს დაინახოს მათში აღმოსავლეთის ხალხებისადმი მძულვარებით შეპყრობილი მწერალი. „ამ ჩამოთვლას (ლაპარაკია აღმოსავლეთის ხალხთა შესახებ — გ. ხ.) აღმოსავლეთის ტომებისას, ამბობს მანი, აქვს განსაკუთრებული სიძულვილის აქცენტი" (Th. Mann, Goethe und Tolstoi, Berlin, 1932, გვ. 100). სინამდვილეში კი ამ ჩამოთვლაში ხალხთა სიძულვილის ნიშან-წყალიც არ არის. მწერლის სიძულვილის ობიექტია არა ხალხები, რომელთა მხედრები იმყოფებოდნენ ამ დროს გერმანიის ტერიტორიაზე და ებრძოდნენ ფრანგებს, არამედ მონარქიული მთავრობები, რომლებიც პირდებოდნენ გერმანელ ხალხს თავისუფლებას, ბაგრამ ფრანგების განდევნის შემდეგ მას ახალი უღელი დაადგეს.

გერმანელთა სიძულვილი კი არ ამოძრავებდა ამ შემთხვევაში გოეთეს, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობს მენცელი, არაშედ იმის შიში, რომ გერმანია ვერ მოიპოვებდა თავისუფლებას. ის ენთუზიაზმი, რომელმაც მოიცვა ამ დროს გერმანელები, გოეთეს ხელოვნურად გამოწვეულ მოვლენად მიაჩნია. ამიტომაა, რომ იგი ამ ხანებში განმარტოებით ცხოვრობს, სანაძლეოს დებს მსახურთან — ომს ვერ მოვიგებთო [1], თავის ვაჟს კი უკრძალავს ომში მონაწილეობის მიღებას, იყენებს თავის გავლენას, რომ გაათავისუფლოს იგი სამხედრო სამსახურისაგან, ზოგჯერ იგი განუმარტავს ნაციონალისტებს, რომ გერმანია ამ ომში მხოლოდ ჯაჭვების შერხევას შეძლებს, მის დალეწვას კი ვერა. გერმანიამ შესაძლოა თავი დააღწიოს ფრანგების ბატონობას, მაგრამ მას მონობის ახალი უღელი დაედგმება *. ამ თავისი წინათგრძნობის გამართლებას ხედავდა მწერალი ომის დამთავრების შედეგად.

---

[1] E. Ludwig. Geschichte eines Menschen, Berlin, Bd. II, 1929, 328. „დრო გვიჩვენებს, ამბობდა გოეთე ამ ომის შესახებ, თუ რას მოგვცემს იგი. მე ვისურვებდი ჩემი ურწმუნოება შერცხვენილიყოს" (ibid.).

* ვ. ჰუმბოლდტი, ლაპარაკობს რა ე. წ. გამათავისუფლებელი ომისადმი გოეთეს უარყოფით დამოკიდებულებაზე, აღნიშნავს თუ რა წანამძღვრებიდან გამოდის მწერალი. ირკვევა, რომ გოეთე იმიტომ კი არ გამოდის ამ ომის წინააღმდეგ, რომ გულგრილია თავისი ხალხის ბედისადმი, არაშედ იმიტომ, რომ მიაჩნია,—გერმანელ ხალხს ეს ვერ უშველის, ვეო განკურნავს მის ავადმყოფობას. პირიქით, იგი უფრო მეტ ზიანს მოიტანს, ვიდრე თვით ავადმყოფობას მოაქვს, ბოლოს მოუღებს მონობას, მაგრამ ქვეყნის დაღუპვას კი მოასწავებს. („Er (ლაპარაკია გოეთეზე — გ. ხ) meint, das Heilmittel sei übler als die Krankheit, man werde der Knechtschaft loswerden, aber zum Untergehen". E. Arnold. Goethes berliner Beziehungen, Cotha, 1925, Bd. II. S. 178). ირკვევა, რომ გოეთე ამ შემთხვევაშიც არა პირადი სიმპათია-ანტიპათიებით ხელმძღვანელობს, არამედ იმის შეგნებით, რომ ეს ომი უბედურებას დაატეხს თავს ქვეყანას, გაანადგურებს მატერიალურ დოვლათს. მწერალს აფიქრებს ამ ომის საკალალო შედეგები ხალხისათვის, განსაკუთრებით დაბალი სოციალური ფენებისათვის. ამას გვიდასტურებს ფრაიჰერ ფონ ჰესის მოგონება, რომელშიაც ამ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე შემდეგს ვკითხულობთ: „Die gewaltige Zeit nun, der Kriegsgeist, der sie belebte, und die ebenso gewaltige Reaktion, welche den ernst erfolgten Brand von Moskau nun wahrscheinlich zum allgemeinen Weltbrande anzufachen drohte, und das Unglück, welches dadurch über die einzelnen so blühenden Länder Deutschlands und besonders über die unteren Volksklassen, die in allem so unschuldig waren, kommen müsse, schienen den in diesen Gedanken ganz versunkenen edlen Mann tief zu durchdringen" (E. Arnold, I, 100).

გოეთე არ აყვა რეაქციონერთა ნაბიჯს, იგი ვერც იმ ენთუზიაზმმა გაიტაცა, რომელმაც მოიცვა სტუდენტი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი. გამათავისუფლებელი იდეებით მოდური გატაცებით გაპირობებული უკმაყოფილება ჩააქსოვა მწერალმა „ფაუსტის“ II ნაწილში გამოყვანილ ბაკალავრის პერსონაჟში, რომლითაც, საფიქრებელია, სატირის მახვილი მიმართა სუბიექტური იდეალიზმის წინააღმდეგ იმის გამოც, რომ მისი წარმომადგენელი ფიხტე ებმება მოძრაობის ფერხულში.

როგორც ვხედავთ, გოეთეს ორიგინალური პოზიცია ე. წ. გამათავისუფლებელი ომის პერიოდში პირობადებულია იმ გარემოებით, რომ ეს ომი მწერალს არ ეიაჩნია ხალხის ნამდვილი გამოფხიზლების მაჩვენებლად, რომ ამ მოძრაობის სათავეში ექცევიან რეაქციონერები, რომლებიც შექმნილ ვითარებას მოხერხებულად იყენებენ ხალხთა შორის სიძულვილის ქადაგებისათვის, შოვინისტური გრძნობების გაღვივებისათვის. პოეტის ამგვარი შეხედულებიდან არამც და არამც არ გამომდინარეობს, რომ მას არ შესტკივა გული თავის ხალხზე, რომ იგი ხალხისადმი მძულვარებითაა შეპყრობილი.

ასევე უმართებულობა იქნება ნაპოლეონისადმი გამოჩენილი სიმპათიების საფუძველზე დავასკვნათ, რომ გოეთე მხარს უჭერს ნაპოლეონის დაპყრობით ომებს, ბონაპარტიზმს. არა, გოეთე, როგორც ვუჩვენებთ, მკვეთრად უპირისპირდება ნაპოლეონს, როგორც დამპყრობელს, როგორც დიქტატორს *. იგი ღრმად შეშ-

---

* ეხება რა პარიზის ახალგაზრდების მოძრაობას, გოეთე ხედავს მათ გამოსვლაში ნაპოლეონის მაგალითით დანერგილ ეგოიზმს, დარწმუნებულია, რომ ეს ახალგაზრდები მანამ არ დაცხრებიან, ვიდრე სცენაზე არ გამოვა ახალი დიდი დესპოტი („Sie werden nicht eher ruhen, als bis wieder ein grosser Despot unter ihnen aufsteht“ (Eckermann, II. 220). დასმული საკითხის განსაერში გოეთეს ამ მსჯელობას მნიშვნელობა ენიჭება იმდენად, რამდენადაც მასში ნაპოლეონი ირიბად შეფასებულია როგორც დესპოტი. ნაპოლეონი ფიქრობს მწერალი, ფეხქვეშ თელავდა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლესა და ბედნიერებას („der das Leben und Glück von Millionen mit Füssen getreten hatte“—ibid., II, 126) ბედმა დასცინა სახელმოხვეჭილ მხედარმთავარს, ფიქრობს მწერალი. გადასახლებაში ყოფნისას, იმის გამო, რომ ვერ პოულობს ახალ მასალას მუნდირისათვის, იგი იძულებული ხდება გადააბრუნებინოს თავისი გაცვეთილი მუნდირი. ამ ფაქტში გოეთე ხედავს იმპერატორის თავზე დატეხილ რისხვას ბედისწერისას, მაგრამ მიაჩნია, რომ ბედი მას შედარებით ლმობიერად მოექცა (ibid.). გადასახლებაში მყოფი ნაპოლეონის ეს ტრაგიკული მდგომარეობა, გოეთეს ახრით, გამაფრთხილებელი მაგალითია იმის, თუ „რა საშიშია ამაღლება აბსოლუტურამდე და ყველაფრის მიტანა მსხვერპლად ერთი იდეის განხორ-

ფოთებულია თავისი ქვეყნის მდგომარეობით, იღწვის მისი გათავისუფლებისათვის. იგი კიცხავს იმათ, ვინც შეეცდება ნაპოლეონის ექსპერიმენტის გადანერგვას გერმანიაში.

„Verflucht sey wer nach falschem Rat,
mit überfrechem Mut,
das was der Corse — Franke tat
nun als ein Deutscher tut“ (Goethes sämtl. Werke, Bd. III, Stuttgart u. Tüb., 1853. S. 132).

გოეთეს ეს ორიგინალური პოზიცია ე. წ. გამათავისუფლებელი ომის ეპოქაში ხდება მის წინააღმდეგ გალაშქრების საფუძველი. მენცელს გამოაქვს მწერლისათვის მრისხანე განაჩენი იმის გამო, რომ იგი სხვების მსგავსად არ წყეველიდა „თავის სამშობლოს დამღუპველ ნაპოლეონს, რომ იგი არ გახდა „კეთილმოქმედთა კავშირის“ მეთაური და არ დაწერა ნაციონალისტური ლექსები. გუნდოლფი კი, იმისათვის, რომ მოხადოს გოეთეს ბოდიში მენცელის წინაშე, მწერალს „საღვთო კავშირთან“ აკავშირებს. „როგორც კი დაეცა ნაპოლეონი, აღნიშნავს გუნდოლფი, გოეთეს არ დაუტირია იგი პრინციპული ცრემლებით..., არამედ მიეკედლა საღვთო კავშირს, რომლისაგანაც წესრიგის დამყარებას მოელოდა“ [1].

ასეთი შეხედულება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. გოეთეს შემოქმედებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში ე. წ. საღვთო კავშირის ეპოქაში შეუძლებელია დაიძებნოს ისეთი ფაქტი, რომელიც პოლიტიკურ რეაქციასთან მწერლის დაახლოებაზე მეტყველებდეს, საწინააღმდეგო ფაქტები კი ბევრია. უპირველეს ყოვლისა „საღვთო კავშირისადმი“ გოეთეს მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ პერიოდის გოეთეს ნაწერებს კვლავინდებურად მაღალი, ჰუმანურ-დემოკრატიული იდეალები მსჭვალავს. თავისი მოღვაწეობის უშუალო სფეროში მწერალი აკეთებს იმის სრულიად საწინააღმდეგოს, რასაც მისგან „საღვთო კავშირის“ მესვეურები მოითხოვდნენ. გოეთე არა თუ მიემხრო იმათ, ვინც რესტავრაციის ეპოქაში ფეოდალური წარსულის აპოლოგია იწყო, არამედ მკვეთრად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ,

---

ციელებისათვის“ (ibid.). ეჭვი არ რჩება, რომ გოეთეს მხედველობაში აქვს მსოფლიოს დაპყრობის იდეა, სახელისათვის ბრძოლა („Hat doch Napoleon eines grossen Namens wegen fast die halbe Welt in Stücke geschlagen!“ — ibid., 72).

[1] Gundolf, 402.

რეაქციულ რომანტიკოსთა წინააღმდეგ. რაც შეეხება ნაპოლეონს, რომელიც ევროპის ამ პერიოდის მთელმა რიგმა მოწინავე მწერალმა რევოლუციის სიმბოლოდ აქცია, მას გოეთემაც, მიუხედავათ რეაქციის მძვინვარებისა, გარკვეული ხარკი მიუზღო. ცნობილია, მაგალითად, რომ იგი იმჟამად ატარებდა ნაპოლეონის მიერ ნაბოძებ ორდენს, რომ მის სამუშაო კაბინეტში ყოველთვის იდგა ნაპოლეონის ბიუსტი.

რომ დებულება „საღვთო კავშირთან" გოეთეს იდეური კავშირის შესახებ მოკლებულია საფუძველს, ამას გვიდასტურებს ის შეზღუდვა, რომელიც დააწესეს მწერლის მიმართ იმ პოზიციის გამო, რომელიც ეკავა მას საღვთო კავშირისადმი დამოკიდებულებაში *.

როგორც ვხედავთ, საფუძველი არ არის პოლიტიკური რეაქციისადმი დამოკიდებულებაში გოეთეს თვალსაზრისის რაიმე გადასინჯვაზე ვილაპარაკოთ. ომის დამთავრების შემდეგაც მისი დროის მტკივნეულ საკითხებზე მწერალმა იგივე თვალსაზრისი შეინარჩუნა, რაც მას ომის დასაწყისში ჰქონდა. მწერალი ომის დამთავრების შემდეგაც ამართლებს თავის პოზიციას ამ ომში, ამართლებს იმ ფაქტს, რომ არ მიიღო ომში აქტიური მონაწილეობა, არ დაწერა საომარი ხასიათის სიმღერები. იგი ცდილობს დაასაბუთოს, ახსნას თუ რატომ ეკავა მას ომის პროცესში ორიგინალური პოზიცია. იგი მიუთითებს, რომ საომარი სიმღერების წერა არ შეესაბამებოდა მის ბუნებას. „საომარი სიმღერების წერა და სახლში ჯდომა — ეს შეესაბამებოდა განა ჩემი ცხოვრების წესს? ჯარის სადგომი, სადაც ღამით მტრის წინა რიგში მყოფ გუშაგთა ცხენების ჭიხვინი გესმით, ეს შეიძლებოდა მომწონებოდა კიდევაც,

---

* ეკერმანის შენიშვნაზე, რომ გოეთეს საყვედურობენ იმას, რომ მან ომის დროს ხელი არ მოჰკიდა იარაღს, არ მიიღო საერთო ბრძოლაში მონაწილეობა როგორც პოეტმა, გოეთე ასე პასუხობს: „თავი დავანებოთ შაგას, ჩემო ძვირფასო. ეს უგნური ხალხია, რომელთაც თვითონ არ იციან თუ რა უნდათ. დეე ილაპარაკონ და აკეთონ ის, რაც უნდათ. როგორ შემეძლო მე ხელი მომეკიდა იაოაღისათვის, თუ გულში არ მექნებოდა სიძულვილის გრძნობა... ჩვენ ყველას ერთნაირად როდი შეგვიძლია ვემსახუროთ სამშობლოს, არამედ თვითეული ცდილობს შეასრულოს რაც შეიძლება უკეთესად ის, რისთვისაც იგი ღვერთს განუკუთვნებია. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ბევრი შრომა გამიწევია, შეიძლება ვთქვა, რომ ყველა იმ საქმეში, რაც ჩემთვის ბუნებას დაუწესებია, არ ვიცი მოსვენება არც დღითა და არც ღამით... რომ ყველას შეეძლოს თქვას იგივე თავისი თავის შესახებ, კარგი რამ იქნებოდა" (Eckermann, III, 221).

მაგრამ ჩემი ცხოვრება ასეთი არ იყო. ეს ჩემი კი არა, თეოდორე კორნერის საქმე იყო“ [1].

მთავარი მიზეზი იმისა, რომ ომის დროს მწერალს თავისებური პოზიცია ეკავა, იმაში მდგომარეობს, რომ ომისათვის მხარის დაჭერა, მისი გაგებით, ნიშნავდა ერთა შორის სიძულვილის ქადაგებას, ნაციონალიზმისათვის ინტერნაციონალიზმის მსხვერპლად მიტანას. გზა კორნერისა გოეთეს გაგებაში იყო ნაციონალისტური სიძულვილის გზა, ომელზედაც შედგომა მას არ შეეძლო და არც უნდოდა. მას არ შეეძლო გულში იმ ხალხის სიძულვილი ეტარებინა, რომლისაგანაც, როგორც თვითონ ამბობს. დიდათაა დავალებული საკაცობრიო კულტურა, პირადად გოეთეც [2].

„სიყვარულის ლექსებს, ეუბნება გოეთე ეკერმანს, ვწერდი იმ დროს, როცა ვინმე მიყვარდა. როგორ შემიძლია ამჟამად სიძულვილის ლექსის წერა სიძულვილის გარეშე. ჩვენს შორის იყოს და, მე არ მძულს ფრანგები, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთს მადლობას ვწირავდი, როცა ისინი განდევნეს. მე, რომლისთვისაც კულტურაც და ბარბაროსობაც მნიშვნელოვანი რამ არის, როგორ შემეძლო გულში იმ ერის სიძულვილი მეტარებინა, ვინც დედამიწის ზურგზე უკულტურეს ხალხს ეკუთვნის და ვისაც მე ვუმადლი ჩემი საკუთარი განათლების დიდ ნაწილს“ (ხაზი ჩვენია— გ. ხ.) [3]. ეს სიტყვები მოწმობს, რომ გოეთე არაა გულგრილად განწყობილი გერმანელი ხალხისა და მისი გათავისუფლების საქმი-

---

[1] ibid., III, 223.

[2] ეს, ცხადია, არ იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ, რომ გოეთეს განვითარებაში უმთავრესი როლი ფრანგული კულტურის გავლენას მიუძღვის, უარყოთ მშობლიური, საკუთრივ გერმანული საწყისები მისი მსოფლმხედველობისა და შემოქმედების. ამას გვერდს უვლის ზოგი ფრანგი კრიტიკოსი. ასე, მაგალითად, ბ. დ ო რ ე ვ ი ს აზრით გოეთემ სიდიადეს მიაღწია მხოლოდ საფრანგეთის პროხვებით, მის გარეშე იგი მხოლოდ ტლაპანს მოადენდა მელნით სავსე ბოთლში („Sans la France... Goethe n'aurait fait que son bruit allemand un glouglou dans une bouteille d'encre“ (J. Barbey d'Aurevilly. Goethe et Diderot, p. 3). გოეთე დორევისათვის არ არის საკუთარი ინდივიდუალობის მქონე მწერალი, არამედ მხოლოდ გადმომკეთებელი და მიმბაძველია (ibid., 8). ეს თავისი შეხედულება დორევის ორიგინალურ შეხედულებად მიაჩნია, სინამდვილეში კი იგი წარმოადგენს გრიუნისა და მენცელის მიერ გამოთქმული შეხედულებების განმეორებას. ამ თავის „ორიგინალურ“ მსჯელობაში დორევი იქამდეც კი მიდის, რომ „ფაუსტს“ აცხადებს მხოლოდ გადმოკეთებულ ნაწარმოებად, „გოეცს“ — მხოლოდ შექსპირის მიბაძვად, „ვილჰელმ მაისტერსა“ და „რჩეულთა შენათესავებას“ კი — სისულელის ნაყოფად („Le Wilhelm de Meister et les Affinités sont des phénomènes de sotise. On perdrait „son temps et son honneur à vouloir les analyser“ (ibid., 74).

[3] Eckermann, III, 223.

სადმი, რომ მას აწუხებს გერმანელთა დაბეჩავებული მდგომარეობა. ცნობილია, რომ იგი არ იყო პრინციპულად საწინააღმდეგოდ განწყობილი იმ მოძრაობისადმი, რომელიც იმ ხანებში გერმანიის უნივერსიტეტებს მოედვა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ იძულებული იყო გაელაშქრა ამ მოძრაობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ [1]. ეს ასეა, მაგრამ მწერალი მაინც არ გაყვა არნდტისა და კოერნერის გზას, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ასეთ შემთხვევაში იგი ნაციონალური შუღლის მქადაგებელი გახდებოდა. გოეთე კი პოეზიას ამოცანად უსახავს არა ნაციონალური შუღლის გაღვივებას, არამედ ხალხთა გაკეთილშობილებას. ნაციონალური შუღლი, ფიქრობს მწერალი, აღმოცენდება კულტურის დაბალ საფეხურზე, განვითარების მაღალ საფეხურზე იგი მოისპობა. ამ საფეხურზე ადამიანს თანაბრად შესტკივა გული ყველა ერზე, მწუხარებასა და ბედნიერებას მეზობელი ერისას იგი აღიქვამს, როგორც მწუხარებასა და ბედნიერებას თავისი ერისა. „კულტურის ეს საფეხური, ამბობს გოეთე, ჩემი ბუნების შესაბამისი იყო და მე იქ გავმაგრდი მანამ, ვიდრე 60 წლის გავხდებოდი“ [2].

ცხადი ხდება, რომ დიდი გერმანელი მწერალი უარყოფს ნაციონალურ განკერძოებას, ერების ინტერესთა დაპირისპირებას *. იგი დგას გერმანელი და სხვა ხალხების ინტერესთა შეთავსების, ხალხთა დაახლოების, მათი თანამშრომლობის თვალსაზრისზე. მწერლის ამ თვალსაზრისს საერთო არაფერი აქვს იმასთან, რისი დანახვაც სურთ მასში სხვადასხვა რეაქციურ კრიტიკოსებს, რომელთაგან ერთნი ცდილობენ დასახონ მწერალი ნაციონალიზმის მედროშედ, მეორენი კი, უთვისტომო კოსმოპოლიტიკოსად **. ღრმა სიყვარული თავისი ხალხისა, რომელიც მთავარ ზო-

---

[1] შდრ. H. Houben. Goethe et la police, Paris, p. p. 123 — 124. სწორად შენიშნავს პ. ამანი, რომ გოეთე გულით ამ ახალგაზრდობის მხარეზე იყო („Il est facile à prouver que de cœur il était avec la jeunesse“. P. Amann, 65 (571).

[2] Eckermann, III, 223.

* ამით აიხსნება, რომ გოეთე დიდი სიმპათიითაა განწყობილი ამპერი-სადმი, რომელმაც — „უკან მოიტოვა ნაციონალური ცრურწმენები, თავისი ბევრი თანამემამულის ყოყოჩობა და შეზღუდულობა“ (.Eckermann, III, 119).

** ფრ. რ. შროედერი უარყოფს მტკიცებას, რომ გოეთე თავადებისადმი სერვილისტურადაა განწყობილი, ასევე, უარყოფს მტკიცებას, რომ მწერალს არ ახასიათებს ნაციონალური ენთუზიაზმი. შროედერისათვის გამოსავალი დებულებაა გოეთეს მიჩნევა პარტიების ზევით მდგომად („Goethe steht über den Parteien“. Schröder, Fr. Goethes Weltanschauung. Germ. rom. Monatsschrift, April, 1932, Heidelberg, S. 86).

ლად მიყვება გოეთეს შემოქმედებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას, არავითარ საფუძველს არ იძლევა შემოიფარგლოს ამ მწერლის მსოფლგაგების არე ნაციონალური ზღუდეებით ისე, როგორც მისი სიყვარული და პატივისცემა სხვა ხალხებისა არ იძლევა საფუძველს მივიჩნიოთ იგი თავისი ხალხის გარეწრად. ნამდვილი პატრიოტობა, გოეთეს აზრით, იმაში გამოჩნდება თუ ადამიანი როგორ იბრძვის ყალბი შეხედულებების წინააღმდეგ, ხალხის განათლებისა და გემოვნების განვითარებისათვის, აზრის გაკეთილშობილებისათვის.

იმის თქმა შეუძლებელია, რომ ხელოვნებისა და ხალხის დამოკიდებულების გაგებაში გოეთე თავისუფალია წინააღმდეგობისაგან. ლაპარაკობს რა პოეზიის, კულტურის მაღალ დანიშნულებაზე, გოეთე აქა-იქ შორდება თავის მატერიალისტურ თვალსაზრისს, ანვითარებს რა იმ აზრს, რომ ნაციონალური შუღლის მოსპობა დამოკიდებულია კულტურის განვითარების დონეზე. ირკვევა, მწერალს არ აქვს გათვალისწინებული ის საზოგადოებრივი მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ შოვინიზმის წარმოშობას, არ აქვს გათვალისწინებული, რომ ნაციონალური შუღლის მოსპობაში მთავარი როლი ენიჭება თვით საზოგადოებრივი წყობის გარდაქმნას. როგორც ჩანს, გოეთე ამ შემთხვევაშიაც ხელოვნების, კულტურის განსაკუთრებულ მნიშვნელობას გახაზავს ადამიანთა განათლებისა და გაკეთილშობილების საქმეში, მაგრამ თუ ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ცვლილებები თვით საზოგადოებრივი წყობილების ბაზისში, ეს მას გათვალისწინებული არ აქვს.

შეცდომისაგან არაა თავისუფალი გოეთე მაშინაც, როცა ხალხთა შორის ურთიერთობის საკითხს იხილავს, ანვითარებს რა იმ სწორ შეხედულებას, რომ პოეტი არ უნდა ჩაიკეტოს ნაციონალურ ნაჭუჭში, რომ მას უნდა უყვარდეს სხვა ხალხებიც. რეაქციონერთა წინააღმდეგ მიმართული ამ სწორი აზრის მიუხედავად, გოეთე მკვეთრად შორდება ჭეშმარიტებას, როცა აცხადებს, რომ — „პოეტური ძალებისა და პოეტური ქმედობის სამშობლო არის სიკეთე, კეთილშობილება, მშვენიერება, რომელიც არაა დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულ პროვინციასა და ქვეყანასთან“ [1], ანდა, როცა აცხადებს, რომ „ამ პირობებში მწერალი თავისუფალი ხედვით ქვეყნებს ზევით მონავარდე არწივს მოგვაგონებს, რომლისთვისაც სულერთია, ის კურდღელი,

[1] Eckermann, II, 245.

რომელსაც იგი ზევიდან უთვალთვალებს, პრუსიის მიწაზე გარბის თუ საქსონიისა“ [1].

შთაბეჭდილება იქმნება, რომ გოეთე პოეზიას უსახავს რაღაც აბსტრაქტულ იდეალს, აყენებს მას რეალობის ზევით, რომ იგი თითქოს ქადაგებს ხელოვნების გათიშვას თავისი ხალხისაგან. მიუხედავად ზევით აღნიშნული შეცდომისა, გოეთე ძირითადად მაინც სწორად წყვეტს ხელოვნებისა და ხალხის დამოკიდებულების საკითხს, მართებულად ილაშქრებს პატრიოტიზმის ცნების ცალმხრივი გაგების წინააღმდეგ, უსახავს პოეზიას ამოცანად ხალხთა შორის სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობის დანერგვას. იხრება რა ხელოვნების რაღაც აბსტრაქტული მიზნების აღიარებისაკენ, გოეთე, რასაკვირველია, მკვეთრად შორდება ჭეშმარიტებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც მას მხედველობაში აქვს პოეზიის ამოცანების შოვინისტური გაგების უარყოფა, ჰუმანისტური გაგების უპირატესობის ხაზგასმა და არა ხელოვნების მოწყვეტა ხალხის ცხოვრებისაგან.

თავისი ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის შეთავსება სხვა ხალხების სიყვარულსა და პატივისცემასთან, — აი გოეთეს სამოქმედო პროგრამის ძირითადი ხაზი. ამ ხაზს მიყვება იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე — კერძოდ, ნაპოლეონის ტირანიის წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობის დროს. მწერალს აწუხებს თავისი ქვეყნის ბედი, გულით სწადია დამპყრობელებისაგან მისი გათავისუფლება, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ ფრანგთა წინააღმდეგ ბრძოლას არ მოაქვს კარგი შედეგები გერმანიისათვის, რადგან ეს ბრძოლა აღვივებს ნაციონალურ შუღლს ფრანგებსა და გერმანელებს შორის და ამასთანავე მოასწავებს გერმანელთა არა ნამდვილ გათავისუფლებას, არამედ ერთი უღლის შეცვლას მეორე უღლით. მწერალს მიაჩნია, რომ მისი პოზიცია ე. წ. გამათავისუფლებული ომის დროს უფრო შეესაბამებოდა გერმანელი ხალხის ინტერესებს, ვიდრე მყვირალა ნაციონალისტების პოზიცია.

ეს თვალსაზრისი ჩააქსოვა გოეთემ დრამაში — „ ე პ ი მ ე ნ ი დ ე ს გ ა მ ო ღ ვ ი ძ ე ბ ა “. ეს ნაწარმოები მას დაუკვეთეს ნაპოლეონზე მოკავშირეთა გამარჯვების წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაულისათვის. გოეთე გააოცა ასეთმა დაკვეთამ, მაგრამ იძულებული გახდა თანხმობა განეცხადებინა [2]. დაკვეთის აზრი, ბუნებრი-

---

[1] ibid.

[2] შდრ. E. Ludwig. Goethe, Berlin, 1928. 329.

ვია, იმაში მდგომარეობდა, რომ მწერალს განედიდებინა მოკავშირეები და მიემართა სატირის მახვილი ფრანგთა წინააღმდეგ. კონკრეტულად, ნაპოლეონის წინააღმდეგ. როგორია გოეთეს პოზიცია, ვის წინააღმდეგ მიმართავს იგი ამ ნაწარმოებში სატირის მახვილს — ამ საკითხს ენიჭება ფრიად მნიშვნელოვანი როლი გოეთეს პოზიციის გამოსარკვევად ე. წ. გამათავისუფლებელ ომში, იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ესმის მას ხალხთა შორის ურთიერთდამოკიდებულება, ხელოვნების მიზანი და ამოცანები, მისი კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, ხალხებისათვის ბედნიერი მომავლის შექმნასთან. ამ ნაწარმოებში ზოგი ხედავს სატირას ფრანგებზე, ზოგნი კი მოკავშირეებზე [1].

პოემის ცენტრალური გმირია ეპიმენიდე, რომელშიაც ადვილი გამოსაცნობია თვით ნაწარმოების ავტორი [2]. ნაწარმოებში ნაჩვენებია ჩაგვრისა და ომის დემონები, რომლებმაც თავს დაატეხეს ქვეყანას უბედურება. ამათ გასწვრივ მწერალს გამოყავს გენიები, რომლებიც ამ ნგრევის პერიოდში მოუწოდებენ ეპიმენიდეს ძილისა და მოსვენებისაკენ. ძილის დანიშნულებაა შეინარჩუნოს ეპიმენიდემ თავისუფალი თვალსაზრისი, შეინახოს ის, რაც შეუქმნია საკაცობრიო კულტურას. ეპიმენიდეს განდგომა უბადრუკი სინამდვილისაგან, ხელოვნების დასახვა ადამიანთა გაკეთილშობილების, განადგურებისაგან თავის დაღწევის მთავარ იარაღად იმას მოწმობს, რომ ამ პერსონაჟს გოეთემ თავისი თვალსაზრისის გამოთქმა დააკისრა. ამაში გვარწმუნებს ეპიმენიდეს პირველივე მონოლოგი, საიდანაც ჩანს, რომ იგი ისწრაფვის მაღალი სფეროსაკენ, იტაცებს ადამიანთა კეთილშობლური მოქმედება. იგი შეტრფის კაცობრიობის მომავალს, სადაც ადამიანთა შორის არ ექნება ადგილი წინააღმდეგობას, ხალხი თავიანთ მეთაურებთან ერთად იმუშავებს კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის, საუკუნეებისათვის.

„So freut mich auch zu sehen ein edles Volk
mit seinem Herrscher die im Einklang sich

---

[1] როზანოვი, მაგალითად, ფიქრობს, რომ ეს ნაწარმოები „უკეთო ძალის გაბატონებისაგან გათავისუფლების სადღესასწაულო ჰიმნია“ (Гете. Драмы в стихах. Вступ. статья М. Н. Розанова, Москва, 1933, стр. 27—28.). ანალოგიური აზრისაა ვ. რიხტერიც (Richter, W., 23). საწინააღმდეგო აზრს ავითარებს ე. ლუდვიგი (Ludwig, E., 330—333).

[2] კ. ალტი ფიქრობს, რომ ეპიმენიდეში ისეთი ტიპია გამოყვანილი, რომელიც ომისა და ნგრევის პერიოდში იცავს ხელოვნებისა და მეცნიერების ძეგლებს (K. Alt. Goethe und seine Zeit, Leipzig, 1911, S. 127).

zusammenwirkend fügen für den Tag,
ja für Jahrhunderte, wenn es gelingt"

ეპიმენიდეს ამ სიტყვებში ჩაქსოვილია ის აზრი, რომელიც შემდეგ მწერალმა განვითარებული სახით მოხუც ფაუსტს წარმოათქმევინა. აქაც დახატულია იდეალი ისეთი საზოგადოებისა, რომელშიაც ადგილი არ ექნება სოციალურ ჩაგვრას, ყველანი შეხმატკბილებულად იცხოვრებენ. ეპიმენიდე გამოთქვამს თვით გოეთეს შეხედულებას, რომ მხოლოდ გათავისუფლებულ, გაკეთილშობილებულ ხალხს შეუძლია შექმნას სანეტარო ცხოვრება. ადამიანთა გაკეთილშობილების უმნიშვნელოვანეს საშუალებად ამ შემთხვევაშიაც მიჩნეულია ხელოვნება. ეპიმენიდეს ძილი, ომის საშინელებათაგან განზე განდგომა კი წარმოდგენილია როგორც საღი, ნათელი მსოფლმხედველობის შენარჩუნების, ნაციონალისტური შუღლისაგან განკურნვის საშუალება.

მწერლისათვის მიცემული დაკვეთის აზრი, ბუნებრივია, იმაში მდგომარეობდა, რომ მას გამოეყვანა ნაპოლეონი და საერთოდ ფრანგები გერმანიის დამჩაგვრელის როლში, ეჩვენებინა ნაპოლეონის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ცხოვრების მძიმე სურათები, მომდევნო სცენებში კი, მოკავშირეთა გაძარჯვების აპოთეოზი. რამდენად დაიცვა მწერალმა ეს მოთხოვნები? გოეთეს არ შეეძლო დაკვეთისაგან გამომდინარე მოთხოვნების სრული უგულებელყოფა. მას გამოყავს სცენაზე ჯარისკაცები, ომის, ჩაგვრისა და ცბიერების დემონები, მღვდელი, იურისტი, დიპლომატი და სხვ. თუ მწერალს დაკვეთის შესრულება სურდა, მას ომისა და ჩაგვრის დემონებში უნდა მინიშნება გაეკეთებინა ნაპოლეონზე, ჯარისკაცებში კი — ნაპოლეონის არმიაზე. მაგრამ თუ ასე მოიქცეოდა, მაშინ იგი აშკარა წინააღმდეგობაში ჩავარდებოდა თავისთავთან, იმასთან, რასაც აქამდე ამბობდა ფრანგი ხალხისა და ნაპოლეონის შესახებ.

რათა არ ეღალატნა თავისი თვალსაზრისისათვის, ამასთანავე ნაწილობრივ გერმანელი ვაშა-პატრიოტების თავმოყვარეობაც დაეკმაყოფილებინა, გოეთე იძულებული იყო მიემართნა გამოთქმის სპეციფიკური, თუმცა მისთვის არა უჩვეულო ფორმისათვის — რეალური, ისტორიული ტიპების მაგიერ სიმბოლოებისა და ალეგორიების გამოყვანისათვის. ამასთანავე, ესენი დრამაში იმგვარად უნდა განლაგებულიყვნენ, რომ ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო, ზოგჯერ კი ერთი და იმავე ფუნქციის შემსრულებლად გამოსულიყვნენ.

და მართლაც, ნაწარმოებში გამოყენებული ჯარისკაცები არ არიან დახატული რეალისტურად, მათი მარში სიმბოლოების, ნიღბების სვლას მოგვაგონებს, მათი მუქარა უმიზნო და უბისა-მართოა. გაუგებარია, თუ ვინ არიან ისინი, საიდან მოსულან, ვის წინააღმდეგ უბრძოლიათ, ან ვის წინააღმდეგ აპირებენ ბრძოლას. ომის დემონის გამოსვლა ერთგვარად შუქს ფენს ამ ჯარისკაცებს, ცხადს ხდის, რომ ისინი ამ დემონის პირმშონი არიან, მაგრამ ვინ არის ეს დემონი, არის თუ არა მასში მინიშნება ნაპოლეონზე? ერთი შეხედვით ეს თითქოს თავისთავად ცხადია, რადგან ამ დემონის ზოგიერთი მხარე მართლაც მოგვაგონებს ნაპოლეონს. მაგრამ მწერალს ისე მიყავს დრამის ფაბულის განვითარება, რომ ომის დემონისა და ნაპოლეონის გაიგივებისათვის საფუძველი აღარ რჩება. როგორც ომის, ისე ჩაგვრის დემონი საყოველთაო ნგრევისა და განადგურების აბსტრაქტული პრინციპია. ნათთვის დამახასიათებელი ნიშნები ისეთივე უფლებით შეიძლება გავავრცელოთ მოკავშირეთა მონარქებზე, როგორც ნაპოლეონზე.

მნიშვნელოვანია ამ მხრივ ჩაგვრისა და ცბიერების დემონების საუბრის ის ადგილი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საჭიროა შემპარავი მუშაობა იმის აღმოსაფხვრელად, რაც თავისუფლებას დაუნერგავს. შეუძლებელია, აბბობს ცბიერების დემონი, ერთი ხელის დაკვრით, საომარი საყვირის ხმაზე ბოისპოს ის, რაც დააფუძნა თავისუფლებამ დიდი ხნის განმავლობაში („denn was die Freiheit langsam schuf, es kann nicht schnell zusammenstürzen, nicht auf der Kriegsposaune Ruf").

ეს სიტყვები მოწმობს, რომ ომისა თუ ჩაგვრის დემონის გამოყენით გოეთე არ მიმართავს სატირის მახვილს მაინცდამაინც საფრანგეთის წინააღმდეგ, რადგან თავისუფლების იდეის გავრცელება, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ცბიერების დემონი, მწერალს არ შეეძლო რეაქციული ავსტრია-პრუსიისათვის მიეწერა. ამგვარად, პოემის დასაწყისში აბსტრაქტულ-ალეგორიული პერსონაჟების გამოყენით გოეთემ შეძლო უგულებელყო მისთვის მიცემული დაკვეთის ძირითადი აზრი.

მაგრამ დაკვეთის ძირითადი აზრის სრული უგულებელყოფა გოეთეს არ შეეძლო. პოემის ფინალში მას როგორმე მაინც უნდა ეჩვენებინა გამარჯვებულთა აპოთეოზი, ომის ზოგიერთი დადებითი შედეგებიც. ამ მიზნისათვის საჭირო იყო ძირეული კორექტივის შეტანა თვით ეპიმენიდეს ხასიათის გაგებაში, ანდა ისეთი ვითარების დახატვა, როცა გამოლეიძებული ეპიმენიდე მსჯავრს გამოუტანდა თავის თავს მისი ადრინდელი ინდიფერენტიზმის გა-

შო. გოეთემ ეს უკანასკნელი გზა აირჩია, ეპიმენიდე ხედავს ნანგრევებად ქცეულ ქვეყანას, მაგრამ მას შორიდან იმედი უყვავებს. ამ მიზნით შემოაქვს მწერალს ნაწარმოებში უჩინარი ქოროების, რწმენის, სიყვარულისა და იმედის სიმბოლოები. საყოველთაო ნგრევის შედეგად ნიადაგი გამოეცალა რწმენას, იგი უსასოდ დაეხეტება ამ განსაცდლის დღეს. აღარსად ისმის სიხარულის ხმა. მისი და — სიყვარული კი თავისუფლად პარპაშობს, რადგან მისთვის არ არსებობს შემზღუდავი პირობები. ამ დაცემულობის ფონზე გამოდის იმედი, რომლის ხელში ჩაგდება ვერ შეძლო ჩაგვრის დემონმა. მას არ სჩვევია ეშვები, იგი აშუშებს ტკივილებს, აბოლოებს უმაღლეს ბედნიერებას. ქალურად მოკაზმული, იგი ვაჟკაცივით მამაცია. მას სჯერა, რომ ბოლო მოეღება ჩაგვრის სამყაროს.

საფიქრებელია, რომ აქ არის მინიშნება ნაპოლეონის უღლისაგან გერმანიის გათავისუფლებაზე. ამაში შემდეგი გარემოებაც გვარწმუნებს: იმედი მოგვითხრობს, რომ აღმოსავლეთიდან მოდის ტალღა, რომელსაც თან მოაქვს თოვლი. ეს უკანასკნელი სულ უფრო და უფრო იზრდება, ლხვება და ნიაღვრად იქცევა. ეს ნიაღვარი მიექანება დასავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ და თან აოხრებს ყველაფერს, მაგრამ მაინც უკეთესობა ჩანს („Die Welt sieht sich zerstört — und fühlt sich besser").

ეპიმენიდე ხედავს ჯარისკაცების კოლონებს, ესმის მუსიკა, ხედავს თუ როგორი ენთუზიაზმით ეგებება მოსახლეობა ომში მიმავალ მხედრებს. გამოფხიზლებული, იგი კიცხავს თავის თავს იმისათვის, რომ აქამდე განზე იდგა საზოგადოებრივი მოვლენებისაგან, მშვიდ ცხოვრებას ეწეოდა („Doch schäm'ich mich der Ruhestunden, mit euch zu leiden war Gewinn"). ეს იმას მოწმობს, რომ გოეთე არ უარყოფს ხელაღებით ე. წ. გამათავისუფლებელი ომის მნიშვნელობას. ამაში კიდევ უფრო გვარწმუნებს ნაწარმოების ფინალი, რომელშიაც ეპიმენიდე გერმანელთა გათავისუფლებას დიდი ხნით ნანატრ საქმედ აცხადებს („Und wir sind alle neugeboren, das grosse Sehnen ist gestillt; bei Friedrichs Asche war's geschworen und ist auf ewig nun erfüllt").

მაგრამ რამდენად დამაჯერებელია ის საყვედური, რომელიც გამოაქვს ეპიმენიდეს თავისი თავისათვის, კიცხავს თუ არა ავტორი მას პოლიტიკური მოვლენებისადმი გულგრილობის გამო? უნდა ითქვას, რომ არ კიცხავს. ეს ჩანს მოძღვარის სიტყვებიდან. იგი განუმარტავს ეპიმენიდეს, რომ უმართებულოა მისი საყვე-

დური თავისი თავისადმი, რადგან ეს ნიშნავს საყვედურს ღმერთებისადმი, რომლებმაც დაიცვეს ეპიმენიდე, შეუნარჩუნეს მას მოვლენების წმინდა ხედვის უნარი. ირკვევა, რომ ავტორსაც პრინციპულად არაფერი აქვს საწინააღმდეგო მოძღვრის მოსაზრებისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გოეთე, მიუხედავად იმისა, რომ ხელაღებით არ უარყოფს დაწყებული ომის მნიშვნელობას, მაინც მისდამი უარყოფითადაა განწყობილი *. იგი ქმნის ილუზიას, რომ სატირის მახვილს მიმართავს ფრანგების წინააღმდეგ, მაგრამ სინამდვილეში კი ნაწარმოებში ვერ ვხედავთ ასეთ სატირას. მწერალი ამ ნაწარმოებშიაც დგას იმ ფართო ჰუმანისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზე, რომელიც მსჭვალავს მთელს მის მოღვაწეობას, არ ეგება ნაციონალისტური შეღლის ანკესს.

ამიტომ იყო, რომ გოეთეს ამ ნაწარმოებმა დიდად გააბრაზა პრუსიის მონარქი, რომელმაც მიზნად დაისახა შური ეძია მწერალზე იმით, რომ ხელი შეეშალა მისი პოპულარობის ზრდისათვის, კონკრეტულად, მისი იუბილეს პრესაში ფართოდ გაშუქებისათვის. ვ. ფ. ენზე წერს, რომ მეფემ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გაზეთები გოეთეს ხატავენ როგორც სუვერენს, წერს, რომ განკარგულება მიეცა ცენზორებს არ დაუშვან ასეთი სტატიების გამოქვეყნება [1].

როგორც დავინახეთ, გოეთეს პოზიცია ე. წ. გამათავისუფლებელი ომის დროს ავლენს ამ მწერლის მსოფლმხედველობის ჰუმანისტურ-დემოკრატიულ საწყისებს და არა თუ არ აძლიერებს, არამედ საფუძველს აცლის იმათ პოზიციას, ვინც მწერალში ხედავს ხალხის მოძულესა და თავადების მონას, მონარქისტს, ანგარების მოყვარესა და უპრინციპო ადამიანს.

როგორც ფეოდალური სასახლეების, ისე ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი დამოკიდებულებაში გოეთე, მიუხედავად სუსტი, შემარიგებლური განწყობილებების გამოვლენისა, დგას ჰუმანისტურ-დემოკრატიულ თვალსაზრისზე, ხელმძღვანელობს თავის მო-

* მწერლის ამ თვალსაზრისს გვიდასტურებს ფრაიჰერ ფონ შტაინი, რომელმაც გოეთესთან შეხვედრის დროს ასე გააფრთხილა არნდტი და აიხჰორნი; „Still, still, nur nichts politisches! Das mag er nicht. Wir können ihn darob freilich nicht loben. Aber er ist doch zu gross“ (Heilbrun, L. Faust II Teil als politische Dichtung. Frankfurt, 1925, S. S. 31—32). კ. ჰალტი ცდილობს დაამტკიცოს, რომ გოეთემ ბოლოს გაიგო ამ ომის მნიშვნელობა (Alt K., 126), მაგრამ ეს ცდა წარუმატებელი რჩება, რადგან არ არსებობს რაიმე ფაქტობრივი მასალა, რომელიც ამ ომისადმი დამოკიდებულებაში გოეთეს თვალსაზრისის შეცვლას გვიდასტურებდეს.

[1] Houben, 153.

ღვაწეობაში ხალხის ინტერესებით. ფეოდალური სასახლეების მიერ გამოყენებული ზომების მიუხედავად, იგი ინარჩუნებს არსებითად მაინც ანტიტირანულ თვალსაზრისს, აღიარებს ფეოდალური ურთიერთობის შეცვლის, სოციალური რეფორმის გატარების აუცილებლობას. მწერალი ესალმება ტექნიკის პროგრესს, ბურჟუაზიული საწარმოო ძალების განვითარებას, მაგრამ ამასთანავე ამჩნევს ბურჟუაზიული რევოლუციის შეზღუდულ ხასიათს, ამჩნევს განსხვავებას ბურჟუაზიის სიტყვასა და საქმეს შორის. იგი ფიქრობს, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება წარმოადგენს პროგრესს, მაგრამ ამჩნევს ამასთანავე, რომ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო ამწვავებს სოციალურ ძალთა შორის დამოკიდებულებას, მოაქვს ადამიანთა მილიონებისათვის ჩაგვრის ახალი უღელი.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის შეფასებაში ჩანს გოეთეს მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრიობა, ბურჟუაზიული რევოლუციის კრიტიკის გასწვრივ მისი დადებითი მნიშვნელობის აღიარება, მაგრამ ამ წინააღმდეგობრიობაში, როგორც გამოვარკვიეთ, არსებობს მაინც შინაგანი ერთიანობა, სისტემა აზრების და შეხედულებებისა. საფრანგეთის რევოლუციის, ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი მწერლის დამოკიდებულების გამორკვევით ცხადი გახდა, რომ გოეთე არ იხილავს საზოგადოების ისტორიას როგორც დასრულებულ პროცესს, არამედ მიაჩნია, რომ ახალმა ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ გზა უნდა დაუთმოს მომავლის საზოგადოებას, რომლის კონტურებიც მოხაზულია „ვილჰელმ მაისტერისა“ და „ფაუსტის“ მეორე ნაწილებში. ადამიანთა ისტორიის განვითარება მწერალს წარმოუდგენია როგორც აღმავალი ხაზი. მომავლის საზოგადოება მას მიაჩნია როგორც გათავისუფლებული შრომის საფუძველზე აგებული კავშირი თავისუფალი ადამიანებისა. მეტად აღარ დასცალდა დიდებულ მწერალს, რათა თავისი თვალით ეხილა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის საბოლოო განმტკიცება, ეხილა ამ საზოგადოების წინააღმდეგ სტიქიური ბრძოლიდან შეგნებულ პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასვლა. მწერალს კალამი ხელიდან გაუვარდა სწორედ იმ დროს, როცა დღის წესრიგში ისმებოდა ახალი საბალხო რევოლუციის მოხდენის საკითხი, რასაც ბოლო უნდა მოეღო ჩაგვრის ყოველგვარი ფორმისათვის. ამიტომ ვერ მისცა მან დასრულებული სახე თავის სოციალურ მისწრაფებებს, დაკმაყოფილდა მხოლოდ გაბედული პროგნოზებით, განჭვრეტითა და ვარაუდებით.

РЕЗЮМЕ

Настоящая работа, в основе которой лежит опубликованный в 1937 году наш труд „Гете и революция“, преследует цель — изучить отношение Гете к французской буржуазной революции, установить систему его взглядов на эту революцию. Нет нужды доказывать, что это один из важных вопросов науки о Гете, решить который возможно лишь на базе изучения всего творчества великого немецкого писателя.

Разумеется, для решения поставленной задачи наибольшую ценность представляют те произведения Гете, которые написаны под непосредственным впечатлением французской революции; однако нельзя ограничиться только этими произведениями, поскольку на отношение писателя к буржуазной революции в определенной степени проливают свет и те его произведения, в которых не затрагивается тема французской революции. Следует отметить, что, высказывая свои соображения о французской революции, Гете не ограничивается одними теми вопросами, которые ставила эта революция. Он значительно расширяет круг таких вопросов, включая сюда и такие, которые ставились в разные эпохи развития общества. Тем самым вопрос об отношении Гете к французской революции перерастает в общий вопрос понимания им путей и закономерности развития общества, его переустройства на разумных началах.

Обоснование системы взглядов Гете на французскую буржуазную революцию немыслимо в их отрыве от общих вопросов мировоззрения писателя. Выясняется, что воззрения писателя на французскую буржуазную революцию находятся в полном соответствии с его философскими, эстетическими, этическими и др.

взглядами. При всей противоречивости мировоззрения Гете в его социально-политических, философских, эстетических и др. воззрениях можно проследить наличие определенной целостности, внутренне связывающего фактора. Высказывая свои суждения о французской революции, Гете редко противоречит своему социально-политическому, эстетическому и философскому кредо.

При решении поставленной проблемы, естественно, следует исходить из тех же методологических предпосылок, которыми руководствуемся при изучении всех других вопросов мировоззрения и художественного творчества Гете, а именно из факта признания противоречия в мировоззрении и творчестве писателя, борьбы между его воинственно-демократической и бюргерско-примиренческой тенденциями. При этом следует учесть, что эта противоречивость присуща Гете не на одном каком-нибудь этапе его развития, а на протяжении всей его творческой деятельности. Это, конечно, не значит, что противоречивость Гете проявляется всегда в одинаковой степени, и не отрицает того, что она отчётливо дает о себе знать в эпоху французской буржуазной революции, в те годы, когда писатель стал лицом к лицу с революционными событиями.

Изучение отношения Гете к французской буржуазной революции, разумеется, надо тесно увязать с изучением общественно политической и идеологической жизни Германии последних десятилетий 18-го и первых десятилетий 19-го века, с изучением отношения немецкой буржуазии к этой революции. Стремление последней к абстрактно-теоретическому осмыслению революционных событий, а на практике — к компромиссу с феодальной реакцией обусловливает наличие колебаний, подчас консервативных устремлений передовых представителей немецкой культуры, накладывает печать ограниченности и на мировоззрение великого немецкого писателя. Однако было бы неправильно при изучении взглядов Гете на французскую буржуазную революцию ограничиться установлением лишь того, что сближает его с позицией немецкой буржуазии, и пренебречь тем, что отдаляет его от нее и сближает со своим народом, с народами всех стран. Становится очевидным, что в суждениях о революции, как в критических выступлениях, так и в подчеркивании положительных ее сторон, у Гете наличествуют не одни только бюргерско-примиренческие, но и гуманно-демократические устремления.

Научно несостоятельно утверждение, согласно которому творческий путь писателя, включая и его творчество эпохи французской буржуазной революции, представляется как нисходящая линия, как решительный отказ писателя от своих воинственно-демократических тенденций и как окончательное его примирение с феодальной реакцией. Несостоятельно также утверждение, что в выступлениях Гете против феодальной действительности, преимущественно в его произведениях дореволюционного периода, обнаруживаются порочные стороны его мировоззрения, что освобождение писателя от этих коренных недостатков падает на ту эпоху, когда он стал лицом к лицу с французской революцией. Защитники этого взгляда, подгоняя факты под определенную схему, перекликаются с теми, которые рассматривают компромиссные настроения писателя в эпоху французской буржуазной революции как процесс его освобождения от своего „праконфликта", процесс возвращения к самому себе, в лоно защитников существующего социального строя.

Творческий путь Гете при всей его противоречивости следует рассматривать как единый процесс, как восходящую линию. В тех произведениях писателя, в которых затрагивается тема французской революции, нет основания видеть резкое его расхождение со своими прежними произведениями. Становится очевидным, что творчество Гете эпохи французской революции, его художественные полотна, созданные под непосредственным впечатлением революционных событий, представляют собой не нечто случайное, а совершенно закономерное явление, подготовленное предшествующим этапом его творческого развития.

В произведениях эпохи „бури и натиска" Гете критикует феодально-абсолютистский строй, выступает за освобождение личности от оков социального угнетения. В монументальном произведении „Фауст", создававшемся в эпоху французской буржуазной революции, Гете резко критикует идеологию феодального общества, отстаивая принципы материализма. Придерживаясь того взгляда, что новое рождается лишь в результате борьбы со старым и отжившим, автор „Фауста", преодолевая абстрактную трактовку основных социальных вопросов ранних своих произведений, перекликается с теми, кто штурмовал феодальный строй. Это отнюдь не значит, что „Фауст" свободен от

противоречия и что его автор встал на путь признания целесообразности революционного переустройства феодального общества. Однако не это является основным и определяющим моментом в характере Фауста, а его смелые позитивные стремления, его непоколебимое желание построить новое на базе отрицания старого, его реалистическое отношение к окружающей действительности.

Противопоставление позитивно-научных стремлений Фауста схоластическим взглядам Вагнера, критика теологии, основных положений идеализма свидетельствует, что Гете не чужда радикальная постановка наболевших социальных вопросов как в эпоху, предшествовавшую французской революции, так даже и в эпоху развернувшихся революционных событий. Это обстоятельство предопределяет всю идейную направленность трагедии, равно как ее художественно композиционный строй. Именно резко критическая настроенность, стремление к отрицанию старого определяют отношение Фауста к Мефистофелю, к этому абсолютному отрицателю. Однако Гете перекликается с передовыми социальными идеями эпохи не только там, где позиции Фауста и Мефистофеля сходятся, но и там, где они расходятся, где выплывает вопрос о создании нового на развалинах старого. Показывая точки сближения позиции Фауста и Мефистофеля, Гете вместе с тем с самого начала подчеркивает и резкое расхождение между ними, показывает, что стихия Мефистофеля — перманентное отрицание, отрицание во имя отрицания, тогда как в понимании Фауста отрицание ценно лишь постольку, поскольку оно является необходимым моментом построения нового, процесса созидания. Защищая тезис единства отрицания и созидания, воспевая гимн практической деятельности, общественно полезному труду человека, автор „Фауста" фактически приближается к идее защиты радикального переустройства феодальной действительности.

Однако, рисуя героев, восставших против феодальной действительности, Гете не смог остаться последовательным, дойти до признания необходимости революционного переустройства феодального строя. Эта непоследовательность, являющаяся следствием наличия противоречий в его мировоззрении, сказывается и в тех произведениях, в которых преобладают бунтарские настроения. Противоречивость мировоззрения Гете наиболее резко

выявляется в его отношении к французской буржуазной революции. Писатель, в ряде своих произведений выступавший со смелыми антифеодальными сатирами, в эпоху развернувшихся революционных событий выступает с критикой французской революции, обнаруживая филистерский страх перед возможностью возникновения революции в Германии. Особенно ярко это можно видеть в эпоху якобинской диктатуры, когда республиканская армия обратила интервенционистскую армию союзников в паническое бегство.

В буржуазной революции, в действиях якобинцев Гете отталкивает то, что они, по его мнению, вызывают расстройство общественной жизни, анархию, разжигают страсти и вражду между людьми, нарушают мирный и спокойный образ жизни. В ряде произведений он рисует представителей революции как алчных, эгоистических личностей, обманывающих и заманивающих людей одними обещаниями. Самоё революционную массу же писатель рисует как нечто аморфное, слепо следующее за „лживыми апостолами свободы".

Одним из существенных недостатков гетевской концепции буржуазной революции — это отождествление писателем закономерности природы с закономерностью человеческого общества. Считая, что в природе господствует лишь закон эволюционного развития, Гете находит, что буржуазная революция является отклонением от этого закона. Придерживаясь мнения, что ни в природе, ни в человеческом обществе нет беспричинных явлений, что развитие должно итти по эволюционному пути, Гете, тем не менее, считает, что буржуазная революция, будучи в свою очередь результатом исторической необходимости, свидетельствует об отклонении развития общества от этого пути. Писатель отмечает, что буржуазные революции лишь в силу определенных обстоятельств только становятся необходимыми, но это отнюдь не значит, что они являются вообще необходимыми, что их нельзя избежать. Революции в понимании Гете становятся неизбежными в результате проведенных определенных усилий, точнее, благодаря роковым ошибкам, допущенным теми, в чьих руках находятся бразды управления обществом.

В критическом выступлении Гете против французской буржуазной революции многие усматривают отход писателя от своих гуманистически-демократических воззрений, превращение его

в апологета феодально-монархического строя, в врага своего народа. На базе изучения соответствующего материала деятельности Гете как писателя и как веймарского министра, его отношения к веймарскому двору, ко многим политическим деятелям той эпохи в настоящем труде устанавливается полная научная несостоятельность таких суждений о великом немецком писателе. Устанавливается также полная несостоятельность утверждений тех, кто отношение писателя к революции критикует справа, с позиции реакционных классов, критикует не действительно слабые стороны мировоззрения писателя, его концепции революции, а сильные стороны, возвеличивая и возводя в принцип примиренчество писателя.

Устанавливается, что, критикуя французскую революцию, преимущественно те методы, к которым прибегали якобинцы, Гете вскрывает и ее положительное историческое значение. Причисляя себя к рядам тех, которые не являются друзьями революции, Гете в принципе не против осуществления той программы, которую выдвигала революция. В своей критике французской революции, в проявлении примиренческого отношения к феодальной действительности Гете отнюдь не скатывается к позиции реакционного класса, не склонен провозгласить незыблемость устоев феодально-крепостнического общества. Великий писатель, бичевавший в ранних своих произведениях окружающее его феодальное общество, не отмежёвывается абсолютно от этой позиции и в последующие периоды своего творческого развития.

Гете является пламенным защитником идеи общественного прогресса, одним из провозвестников победы новых общественных отношений над старыми. Критика французской буржуазной революции у него совмещается с признанием того, что наступает новая эра в развитии человеческого общества, что феодальные отношения уступают место новым, буржуазным отношениям. И Гете не только констатирует наступление новой эпохи, развитие производительных сил, но и приветствует ее победу, видя в ней осуществление исторического прогресса. Вместе с тем он как государственный деятель проводит энергичную работу, направленную на развитие новых общественных отношений, на внедрение новой техники, проведение прогрессивных реформ внутри страны. Сознавая, что феодальные порядки должны ус-

тупить место новым, Гете стремится покончить с феодальным партикуляризмом, ликвидировать помехи, препятствующие свободному общению отдельных княжеств, создать экономическую основу политического объединения раздробленной Германии. Это обстоятельство лишает основания видеть в критических выходках Гете против французской буржуазной революции защитника устоев феодального строя, противника победы новых социальных отношений над старыми, принципиального противника буржуазной революции.

В воззрениях Гете на французскую буржуазную революцию можно проследить не только слабые стороны его мировоззрения, то, что́ его сближает с филистерски настроенной немецкой буржуазией, но и сильные, прогрессивные стороны, его гуманистическо-демократические тенденции, идейную связь со своим народом, неугасимое стремление помочь людям труда в осуществлении их вековых мечтаний. Устанавливается, что свое понимание буржуазной революции Гете связывает с признанием социальной дифференциации общества, скопления богатства на одном полюсе, бедности на другом, с признанием борьбы неимущих и имущих классов. Писатель считает, что французская революция стала неизбежной вследствие того, что бедные, уверенные в победе разума и справедливости, поддержали это движение, пошли за „фальшивыми апостолами свободы", за теми, кто внушал им большие надежды, на деле же стремился не к осуществлению общественного благополучия, а к установлению новой формы эксплуатации человека человеком.

Французская революция в понимании Гете стала неизбежной и потому, что стоявшие у руля управления обществом не предприняли эфективных мер для улучшения материального положения народа, не провели разумных социальных реформ, способствуя тем самым революционизированию масс, тому, чтобы они откликнулись на призывы тех, кто их обнадеживал, сулил осуществление идей братства, равенства и свободы. Считая прискорбным такое стечение обстоятельств, исследуя причины возникновения революции, Гете, конечно обнаруживает слабые стороны своего мировоззрения, своей концепции буржуазной революции. Однако в системе его взглядов на буржуазную революцию определяющим моментом является не это обстоятельство, а то, что великий писатель Германии поддерживает интересы по-

рабощенного народа, связывает вопрос возникновения революции с материальным и правовым положением этого народа, изнемогающего в тисках феодальной эксплуатации

Исходя из этих предпосылок, Гете резко критикует антинародную политику феодально-монархических государств, политику, ставящую своей основной задачей подавление народа, применение суровых мер для искоренения в самом зародыше всякого проявления чувства сопротивления угнетателям. Еще на заре революции устами Эгмонта писатель ясно дает знать, что политика, ставящая целью угнетение народа, лишение его суверенных прав, пренебрежение чувством его национальной чести и достоинства обречена на провал, ибо такая политика способствует созданию крайне невыгодной конъюнктуры для узурпаторов, развертыванию национально-освободительного движения, революции. Эту же мысль развивает Гете в ряде произведений, трактующих тему французской революции, преимущественно, в драме „Взбунтовавшиеся".

Одним из важных моментов гетевской концепции буржуазной революции является признание им за народом права на революцию, оправдание в конкретных исторических условиях его вооруженного выступления против поработителей, оправдание возникновения французской буржуазной революции. Оставаясь противником тех методов, которыми оперировали якобинцы, противником насильственного перенесения революции из одной страны в другую, Гете, тем не менее, в принципе не отрицает программу французской буржуазной революции. Он подчеркивает ее историческое значение, видя в успешном для революции исходе борьбы между феодальной реакцией и буржуазной революцией наступление новой эры всемирной истории. Будучи не в состоянии сохранить индифферентное отношение к происходящим событиям, сильно напуганный действиями Робеспьера, Гете идейно поддерживает не интервенционистскую армию, в рядах которой он состоял, а республиканскую армию, которая в его понимании является народной армией, располагающей большим моральным преимуществом перед армиями оккупантов. Победу слабо вооруженных республиканцев над союзными армиями писатель склонен объяснить тем, что первые, защищая родину, революционные завоевания, ведут справедливую войну, тогда как вторые ведут войну грабитель-

скую, захватническую, чтобы задушить революцию, восстановить господство Бурбонов, следовавших за обозами интервентов. В ожесточенной схватке сил реакции и революции для Гете становится очевидным, что французские республиканцы, защищающие революцию от внутренних и внешних врагов, олицетворяют исторический прогресс, тогда как прусско-австрийские интервенты и их приспешники — французские эмигранты стремятся повернуть колесо истории вспять, реставрировать во Франции феодальные порядки. В конечном счете победа республиканской армии над армиями союзников в понимании Гете является отражением превосходства нового общественного строя, создавшегося в результате революции, над старым.

Это обстоятельство позволяет заключить, что, будучи сторонником эволюционного развития, Гете не склонен пренебречь значением революции, раз уж она в силу определенных условий возникла Становится очевидным, что феодальные отношения, по мнению Гете, должны уступить место новым общественным отношениям, независимо от того, по какому пути пойдет развитие в каждой отдельной стране, — по эволюционному или по революционному.

Как в признании положительной роли буржуазной революции, так и в критике форм и методов борьбы якобинцев Гете руководит глубокая симпатия к порабощенному народу, сознание того, что правда находится на стороне порабощенных. Эта идея пронизывает многие произведения писателя, написанные как до французской революции, так и те, которые написаны им под свежими впечатлениями революционных событий, а также позднее. В произведениях, трактующих тему французской революции, писатель выводит карикатурные образы немецких филистеров, напуганных революцией, а равно и ее мнимых приверженцев. В обрисовке этих характеров Гете, на первый взгляд, берет под обстрел идеалы революции, но в действительности он выступает не противником братства, равенства и свободы, а против их произвольно-эгоистического толкования, против их использования в корыстных целях всякого рода авантюристами.

Расхождение Гете с теми, кто защищал позицию французской буржуазии, следует видеть не в том, что он якобы стоит за сохранение феодальных порядков, а в том, что он отдает предпочтение эволюционному развитию; но раз, в

результате конкретных исторических условий, в той или иной стране вспыхнула буржуазная революция, ее следует не душить, а поддержать. Однако не в одном только этом обстоятельстве следует видеть причину отмеченного расхождения, а также в признании того, что буржуазная революция не приносит обещанного счастья порабощенным народам; что она ликвидирует только одну форму эксплуатации человека человеком, узаконивая другую ее форму. Становится очевидным, что Гете еще на заре возникновения французской революции с гениальной прозорливостью усмотрел ее противоречивый характер, резкое расхождение между словами и делами буржуазии. Не приходится поэтому удивляться, что в более поздние годы, когда буржуазия сбросила с себя маску революции, Гете еще более углубляет критику буржуазии.

Это обстоятельство, подтвержденное в настоящей работе анализом творчества писателя, позволяет заключить, что в критике французской буржуазной революции Гете, проявляя примиренческие настроения, расходится с позицией как феодальной аристократии, так и победившей буржуазии, что он не удовлетворен результатами буржуазной революции и стремится заглянуть в смутно представляемое им счастливое будущее человечества. Являясь пламенным защитником общественного прогресса, сторонником развития производительных сил; всемерно поддерживая развитие и внедрение новой техники в хозяйственную жизнь, развитие промышленности, торговли, путей сообщения, — все то, что было связано с развитием буржуазных отношений, Гете, вместе с тем выступает с резкой критикой этих отношений, памятуя, что буржуазия не разрешает наболевшие социальные вопросы, не приносит обещанного счастья человечеству. Последующие события еще более убеждают писателя в правильности своих суждений и прогноза.

Вся писательская и общественная деятельность Гете наглядно свидетельствует, что отношение его к феодальному способу производства резко отрицательное, что он видит олицетворение исторического прогресса в его замене новым способом производства. Это отнюдь не значит, что в критике базиса феодального строя, а равно и его идеологической надстройки, Гете доходит до последовательной революционной позиции. Это видно не в одном том факте, что в деле переустройства общества пи-

сатель отводит руководящую роль преимущественно заправилам феодального общества, а также в том, что, подчеркивая для развития страны роль и значение ее политического объединения, централизации государственной власти, он, вместе с тем, отмечает значение и феодальной децентрализации, преимущественно в деле развития культуры.

В совмещении критики устоев феодального строя и его идеологии, требования политической централизации с определенной точки зрения с оправданием значения политической децентрализации, с признанием благотворного влияния на развитие немецкой культуры того факта, что Германия в продолжение долгого времени не имела единого административного центра, одной столицы, конечно, сказывается противоречие социальной концепции Гете. Но это обстоятельство проливает свет также на прогрессивные стороны этой концепции, преимущественно на то, что в понимании писателя не всякая политическая централизация таит в себе задатки общественного прогресса, создает основу мощного развития культуры отдельных народностей.

Отмечая, что в условиях феодальной децентрализации были куда лучшие условия для развития культуры отдельных немецких государств, для внесения каждым из них определенной лепты в создание общей национальной культуры, нежели это имеет место в новое время, Гете берет объектом критики ту политику централизации государственной власти, которую на его глазах проводила монархическая Пруссия, политику антинародную, захватническую. Беря в качестве исходного пункта при рассмотрении вопроса политической централизации страны интересы народа, общенациональной культуры, Гете выступает не только против той политики централизации, которую проводила Пруссия, но и против буржуазной олигархии, оттеняя то положение, что та политическая централизация, которую осуществляет победившая буржуазия, не создает предпосылки мощного развития сил и способностей народа, что она, буржуазная централизация, не принесла счастья народу, затормозила его силы, утвердила культ меркантилизма и антиэстетизма. И в данном случае подтверждается то положение, что в понимании наболевших социальных вопросов Гете расходится как с позицией феодальной аристократии, так и с позицией буржуазии, что он не идеализирует ни феодальную децентрализацию, ни буржуазную централизацию.

Оставаясь на своей позиции, писатель, тем не менее, твердо придерживается того мнения, что буржуазная система, по сравнению с феодальной, олицетворяет прогресс в развитии человеческого общества. К этому заключению приходит писатель под свежим впечатлением борьбы сил реакции и революции в 90 х годах и от этого он не отказывается на протяжении всей своей жизни. То обстоятельство, что писатель в эту эпоху вырабатывает свою программу переустройства общественной жизни, противопоставляет буржуазному строю свою социальную концепцию, говорит о том, что он считается с фактом развития буржуазных отношений, признает, что развитие идет по пути окончательного утверждения этих отношений.

Будучи свидетелем не только революции 1789 года, но и эпохи реставрации, Гете все же остается на прежней позиции в оценке перспектив развития общества, считает, что повернуть колесо истории вспять невозможно, невозможно, чтобы феодальные отношения восторжествовали над буржуазными отношениями. Красноречивым свидетельством этого являются написанные в эту эпоху произведения „Годы странствования Вильгельма Мейстера" и вторая часть „Фауста", которые пронизывает глубокая вера в окончательную победу новых общественных отношений над старыми. Если не эта вера, то тогда потеряло бы всякий смысл противопоставление писателем в своем романе буржуазным общественным отношениям тех отношений, о которых говорится в описанных в романе педагогических провинциях. Победа буржуазных отношений над феодальными, в понимании автора этого романа, обеспечена преимущественно тем обстоятельством, что новые отношения доказали свое превосходство в области экономической жизни, что их развитие ознаменовалось мощным подъемом производительных сил, техники. Выдвигая в романе свои социальные проекты, автор, стало быть, руководствуется сознанием того факта, что почва для намечения таких проектов в общественной жизни созрела, что новый буржуазный способ производства уже утвердился, вызвав обострение социальных вопросов.

Исходя из этого, именно из того факта, что при обрисовке контура будущего автор романа „Годы странствования Вильгельма Мейстера" руководствуется сознанием, что буржуазные отношения уже утвердились, можно было заключить, что он пре-

небрегает специфичностью развития Германии, пренебрегает тем фактом, что современная ему Германия является феодальной, а не буржуазной страной. Можно было также предположить, что писатель считается с возможностью развития своей страны в обход капиталистической стадии. Такое предположение резко противоречит фактическому положению вещей, является пренебрежением того факта, что отмеченный роман, блестяще отражающий изменения в общественной жизни Европы конца 18-го и первой трети 19-го века, все же в целом базируется на немецкой почве, выявляет стремление автора помочь своему народу, еще не освобожденного от феодального гнета.

Автор романа не пренебрегает тем фактом, что современная ему Германия феодальное, а не буржуазное государство, но он отчетливо дает знать, что капиталистические отношения прокладывают себе путь и в этой стране, не вызывая однако вытеснения старых феодальных отношений. Считаясь со специфичностью развития Германии, Гете придерживается того мнения, что эта специфичность не ставит под вопросом факт развития в Германии новых отношений, что выдвигаемые им в романе социальные проекты приобретают актуальность и для неё.

Гете видит, что развитие буржуазных отношений влечет за собой обострение социальных противоречий, вытеснение мануфактурного труда, возникновение массовой безработицы, роста пауперизма. Будучи свидетелем движения, направленного против новой техники, Гете, при всей своей симпатии к ремесленному труду, стоит за смелое внедрение новой техники, отбрасывая идею переселения в чужие, заморские края.

В унисон передовым социальным идеям первых десятилетий XIX века Гете выдвигает программу будущего человеческого общества, свободного от социального гнета и построенного на справедливых, разумных началах. Программа эта предусматривает установление между людьми новых отношений, отличающихся от феодальных и буржуазных отношений. Она предполагает новую организацию хозяйственной жизни, всей общественной деятельности человека, торжество принципов коллективизма, честного отношения к труду.

Намеченная Гете социальная программа носит утопический характер, поскольку ее осуществление мыслится при наличии и сохранении социально-классовой дифференциации общества; при этом делается ставка на моральный фактор, обоюдные и созна-

тельные уступки со стороны порабощенных и поработителей, исключается необходимость революции. Но нельзя ставить писателю в вину, что при обрисовке контура будущего он не смог пойти дальше выдвинутой им социальной утопии, не смог выработать более зрелых социальных идей, поскольку современной ему эпохе импонировали именно такие незрелые социальные идеи. Жизнь писателя оборвалась именно в начале той эпохи, когда противоречия буржуазного общества все более и более углублялись и недалеко было то время, когда рабочий класс выступил с программой самостоятельной политической борьбы, когда социализм из утопии превратился в науку.

Гетевская социальная программа будущего обрисована в последних крупных произведениях—„В годах странствования Вильгельма Мейстера“ и во второй части „Фауста“. Однако ее основные положения писателем выдвигались и раньше. В эпоху французской революции Гете не ограничивается лишь ее оценкой, а дает свое понимание путей развития общества. Отмечая положительные стороны французской революции, Гете вместе с тем развивает мысль, что этот путь не приемлем для всех стран, в частности, для Германии, что последняя должна пойти по другому пути. В произведениях, написанных под свежим впечатлением французской революции, писатель отстаивает ту мысль, что путь, избранный Францией, для Германии не приемлем, что Германия должна пойти и пошла уже по собственному, специфическому пути. Придерживаясь того мнения, что новые производственные отношения и в Германии должны восторжествовать, писатель в своих многочисленных произведениях развивает ту мысль, что это должно произойти мирным путем, без социальных столкновений.

Новое, которое воспевает автор „Фауста“ и „Вильгельма Мейстера“, в его понимании отнюдь не является обществом победившей буржуазии, а — обществом свободных людей, построивших свою жизнь на свободных, справедливых началах. Более смутно, но в основном в этом же духе воспроизводится писателем идеал будущего в произведениях последнего десятилетия 18-го века. Социальная концепция Гете сугубо противоречива, носит печать именно буржуазной ограниченности ее автора, но это не должно помешать пониманию прогрессивных ее сторон, не должно мешать видеть в ее авторе великого писателя и общественного деятеля, гуманиста и интернационалиста, стремя-

щегося убрать все препятствия с пути человечества к светлому и счастливому будущему, писателя, воспевающего дружбу народов, уважение национального достоинства и честь всех народов, презирающего грабительские войны.

В создании такого лучезарного будущего, думается Гете, должны принять действенное участие все члены общества, независимо от их социально-имущественного положения, каждый в сфере своих сил и способностей. Все общество должно быть компактным, не должны иметь места внутренняя вражда, расхождение интересов. Каждый должен действовать в интересах всех, последние, в свою очередь, должны удовлетворять интересы отдельного члена общества.

Особенно большую ответственность писатель возлагает на тех, кто стоит у кормила власти. От них он требует руководствоваться интересами народа, проведения разумной политики, направленной на улучшение условий жизни людей. Вместе с тем писатель требует от тех, кто стоит на низших ступенях социально-иерархической лестницы, с чувством благодарности ценить проведенные сверху социальные мероприятия. Они, по мнению писателя, не должны выходить из сферы деятельности, продиктованной им своей специальностью и родом занятий, не должны проявлять особого интереса к политической жизни, давать возможность авантюристам всех мастей увлечь их в свою сторону. Все члены общества должны отвлечься от своих социально-классовых интересов и возвыситься до т. н. чистой человечности. При таких условиях, по Гете, человечество может достигнуть счастья и процветания, минуя борьбу разных политических сил, революционные потрясения. Как ни прекрасна нарисованная писателем картина безграничной любви к народу, требования служения народу, все же нельзя закрывать глаза на то, что в выдвигаемой им социальной программе определенно дает о себе знать ограниченность немецкой буржуазии, в ужасе отшатнувшейся от энергичного французского радикализма и пошедшей на компромисс с феодально-юнкерской Германией.

Идеал „чистой человечности", проповедуемый Гете не только в тех произведениях, которые написаны на тему французской революции, но и во многих других, оттеняет как положительные, так и отрицательные стороны его социальной концепции. Надо отметить, что местами и сам писатель ставит под

сомнение свою веру в возможность создания подлинно гуманных отношений между людьми в антагонистическом классовом обществе. Можно предположить, что в силу этих причин остались незаконченными написанные на тему французской революции произведения Гете, в которых, по его замыслу, должна была восторжествовать идея мирного решения наболевших социальных вопросов, идеал т.н. чистой человечности. Обращает на себя внимание, что незаконченными остались преимущественно те произведения, в которых писатель ставил целью широкий охват революционных событий.

Так, например, в драме „Взбунтовавшиеся" показано, как форсируется подготовка к восстанию крестьян, но действие пьесы обрывается там, где должна была идти речь о восстании как о случившемся факте. Такое же явление видим в драме „Побочная дочь", которая по плану автора должна была описать возникновение и ход революционных событий. Однако Гете ограничивается лишь показом подготовки к революционным выступлениям. То же самое наблюдается в драме „Девушка из Оберкирха", которая должна была обрисовать положение, сложившееся в результате победы революции, но ограничивается только изложением суждений героев драмы о действиях якобинцев. Что касается выполнения основной части своего художественного замысла — обрисовки столкновения сил реакции и революции, показа событий, последовавших за победой якобинцев, — об этом писатель предпочитает сохранить молчание. Можно предположить, что великий писатель видит перед собою непреодолимую трудность, когда задается целью показать картину не только массовых революционных событий, но и „выхода" из этого положения, победы идеи т. н. чистой человечности.

С одной стороны, в упомянутых произведениях Гете преследовал цель показать, как вынужден народ начать борьбу, с другой же стороны, должен был показать эту массу, в значительной своей части, как обманутую, слепо следующую за авантюристами, „лживыми апостолами свободы". И не удивительно, что когда перед писателем реалистом в ряде своих произведений встал вопрос о художественном воплощении своего противоречивого плана переустройства общественной жизни, то он предпочел оставить эти произведения незаконченными. Это отнюдь не значит, что Гете вообще ставит под сомнение свое понимание путей и закономерности развития общества, свою концепцию буржуазной революции.

ავტორისაგან

წარმოდგენილ ნაშრომს საფუძვლად დაედვა ჩვენს მიერ 1937 წელს გამოქვეყნებული შრომა—„გოეთე და რევოლუცია". ავტორს არ შეუძლია კმაყოფილებით არ აღნიშნოს, რომ დასახელებულმა წიგნმა, რომელიც გოეთელოგიის ერთერთი სპეციალური საკითხისადმია მიძღვნილი, გარკვეული დახმარება გაუწია იმათაც, ვინც გოეთეს შემოქმედების საერთო საკითხების შესწავლით ინტერესდება. ეს გარემოება კარნახობდა ავტორს შედგომოდა მუშაობას წიგნის მეორე, შევსებულ გამოცემაზე.

მუშაობის დაწყებისას ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ, წიგნის კონცეფციის, მისი ძირითადი დებულებების გადასინჯვის გარეშე, საჭიროა განსახილველ საკითხთა წრის გაცილებით უფრო მეტად გაფართოება, ვიდრე ეს იმთავითვე იყო ნავარაუდევი. ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ შეგვეტანა შრომაში რიგი ახალი საკითხისა, ისეთების, რომლებიც არ იყო პირველ წიგნში, ანდა გაკვრით იყო წარმოდგენილი. საჭიროდ მივიჩნიეთ აგრეთვე შეგვეტანა მნიშვნელოვანი ცვლილება მასალის განლაგებაში, საერთოდ, შრომის არქიტექტონიკაში. მკითხველი შენიშნავს, რომ ზოგი თავი წარმოდგენილი ნაშრომისა დაწერილია ახლად, ზოგი კი, პირველი შრომის შესაბამისი თავის გადამუშავების შედეგს წარმოადგენს.

ავტორმა ამასთანავე საჭიროდ ჩათვალა უფრო დაკონკრეტება, საკითხის არსთან დაახლოება თვით პრობლემის დასახელებისა, გოეთეს დამოკიდებულების ჩვენება არა საერთოდ რევოლუციებისადმი, არამედ, კონკრეტულად, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისადმი. შედეგად ჩატარებული მუშაობისა, განსხვავება წარმოდგენილ ნაშრომსა და მის საფუძველს — „გოეთე და რევოლუციას" შორის იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ავტორმა შესაძლებლად ვერ ჩათვალა ეწოდებინა მისთვის ამ ოცდაორი წლის წინათ გამოსული წიგნის მეორე გამოცემა.

პროფ. გ. ხავთასი

თბილისი, ოქტომბერი 1959.

შინაარსი

შესავალი . . 3—31

თავი I

ფეოდალური საზოგადოების კრიტიკა გოეთეს რევოლუციამდელ შემოქმედებაში . . . . . 32—76

თავი II

გოეთე საფრანგეთის რევოლუციის პირისპირ . 77—139

თავი III

გოეთე და ფეოდალური სასახლეები . . . . . 140—171

თავი IV

ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის გაგების საკითხი გოეთესთან . . . . . 172—198

თავი V

საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის გზების ძიება . . . 199—304

თავი VI

ბალზაკი ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლი მწერალი . . . . . 305—356

Резюме . . . . . 357—372

ავტორისაგან 373

რედაქტორი დ. ფანჩულიძე

*

ტექ.-რედაქტორი შ. დოლიძე
კონტროლიორ-კორექტორი მ. ინასარიძე

შეკვეთა № 280 უე 01576 ტირაჟი 1000

გადაეცა წარმოებას 11/VII-59 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/X-59 წ. ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×92. საღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 23,51. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 23,5.

ფასი 15 მან.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბა, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства ТГУ им. Сталина, проспект И. Чавчавадзе, 1.

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება

გვ.	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზემ.	ქვემ.		
19	6	—	მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრები. კ. მარქსი და ფ. ენგელსი	მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრები — კ. მარქსი და ფ. ენგელსი
28	9	—	genze	ganze
43	—	5	Aoc	Avec
50	8	—	წარმმოდგენას	წარმოდგენას
61	25	—	SS	S. S.
73	—	18	Iahre	Jahre
72	—	2	irtuitiv	intuitiv
72	—	4	Iena	Jena
100	—	7	მე მათ მოვხდი	„მე მათ მოვხდი“
103	—	6	მ	ამ
104	—	4	მზითვების	მზითევის
121	—	3	რეალასტური	რეალისტური
123	—	5	თეოლოგიური	თელეოლოგიური
141	—	სქოლიოში	Iulius. Bab	Julius Bab
147	13	—	april	April
163	12	3	Jhm	Ihm
182	—	—	monarchch	monarchisch
218	—	1	მიიყვანოს	მიიყვანოს საქმე
223	11	1	rerhalten	erhalten
253	—	—	ვილჰელმი	ვერნერი
271	9	8	ნაწარმოებში	ნაწარმოებებში
320	—	—	მეორე	პირველი
325	23	7	უტალიტარიზმს	უტილიტარიზმს
328	—	—	quia	qui a
329	—	3	toutesa	toute sa
321	—	7	Jch	Ich
335	—	12	umstàndlich	umständlich
341		სქოლიოში	стр. 171	стр. 71.
353	24	—	schnell	schnell